

ბ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

# ახლო აღმოსავლეთი და საქართველო

## XI

# THE NEAR EAST AND GEORGIA



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ILIA STATE UNIVERSITY

2018

**ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XI**  
**THE NEAR EAST AND GEORGIA, XI**

სარედაქციო კოლეგია:

აკად. **თამაზ გამყრელიძე** (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე),  
**თამაზ აბაშიძე, გრიგოლ ბერაძე, ირინე ნაჭყებია,**  
**ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, გიორგი სანიკიძე, დარეჯან სვანი,**  
**ჰიროტაკე მაედა** (ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი),  
**ჯორჯიო როტა** (ვენის უნივერსიტეტი)

Editorial Board:

Acad. **Thomas V. Gamkrelidze** (Head of the Editorial board), **Tamaz Abashidze, Grigol Beradze, Irene Natchkebia, Nikoloz Nakhutsrishvili, George Sanikidze, Darejan Svani, Hirotake Maeda** (Tokyo Metropolitan University), **Giorgio Rota** (University of Vienna)

რედაქტორი: **გიორგი სანიკიძე**

Edited by **George Sanikidze**

საქართველო, თბილისი 0162, აკად. გ. წერეთლის ქ. 3

3. Acad. G. Tsereteli Str., 0162 Tbilisi, Georgia

ტელ./ფაქსი. Phone/Fax: (+995 32) 233 114

E-mail: [giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge](mailto:giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge)

<http://www.iliauni.edu.ge>

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“ გამოიცემა 1991 წლიდან. 2017 წლიდან კრებული გარდაიქმნა ყოველწლიურ ჟურნალად.

© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University

ISSN 2587-4780

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS

3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

# შინაარსი

## ენათმეცნიერება – Linguistics

<b>ლელა ავალიანი</b> <b>ცხოველებსა და ფრინველებთან დაკავშირებული გამოთქმები არაბულში .....</b>	<b>11</b>
<b>Lela Avaliani</b> <b>ANIMALS AND BIRD-RELATED EXPRESSIONS IN ARABIC .....</b>	<b>19</b>
<b>რამაზ გორგაძე, ვიქტორ ჩიკაიძე</b> <b>თურქიზმები ქართულსა და სომხურ ენებში .....</b>	<b>22</b>
<b>Ramaz Gorgadze, Viktor Chikaidze</b> <b>COMMON WORDS OF TURKISH ORIGIN IN GEORGIAN AND ARMENIAN .....</b>	<b>29</b>
<b>მანანა გოცირიძე<sup>†</sup>, მარინა მეფარიშვილი</b> <b>შენიშვნები სემიტური ოთხთანხმოვნისანი ზმნური ძირების თაობაზე .....</b>	<b>31</b>
<b>Manana Gotsiridze<sup>†</sup>, Marina Meparishvili</b> <b>SOME NOTES ON SEMITIC FOUR-CONSONANTAL VERBAL ROOTS .....</b>	<b>40</b>
<b>ნათელა ჯვანია</b> <b>წინდებულები ძველ ეთიოპურში .....</b>	<b>45</b>
<b>Natela Zhvania</b> <b>PREPOSITIONS IN OLD ETHIOPIC .....</b>	<b>48</b>
<b>Maia Sakhokia</b> <b>LITERARY HERITAGE OF RHETORIC: ACHAEMENIANS, SASSANIANS, SHAHNAMEH .....</b>	<b>50</b>
<b>მაია სახოკია</b> <b>რიტორიკის სამწერლოებო მემკვიდრეობითობა: აქემენიდები, სასანიდები, შაჰნამე .....</b>	<b>58</b>
<b>Darejan Svani</b> <b>PECULIARITIES OF GENDER FORMATION IN SYRIAC GRAMMAR .....</b>	<b>62</b>
<b>დარეჯან სვანი</b> <b>სქმის წარმოების თავისებურებები სირიულ გრამატიკაში .....</b>	<b>65</b>
<b>გურამ ჩიქოვანი</b> <b>QƏLTU – GƏLƏT არაბული დიალექტები და ცენტრალურაზიური არაბული .....</b>	<b>68</b>
<b>Guram Chikovani</b> <b>QƏLTU – GƏLƏT ARABIC DIALECTS AND CENTRAL ASIAN ARABIC .....</b>	<b>76</b>

ლიტერატურათმცოდნეობა  
Literary Criticism

**ნინო დოლიძე**  
**ებრაელებთან დამოკიდებულების საკითხი და**  
**ებრაული გავლენა გავრცელებულ დარვერის პოეზიაში**..... 83  
**Nino Dolidze**  
**ATTITUDE TOWARDS THE JEWS AND THE JEWISH INFLUENCE**  
**IN THE POETRY OF MAHMOUD DARWISH**..... 99

**თამთა ფარულავა**  
**ბედისწერის პრობლემისათვის** ..... 105  
**Tamta Parulava**  
**ON THE PROBLEM OF FATE**..... 110

**ელენე ჯაველიძე**  
**ჰალიდ ზია უშაკლიგლის შემოქმედებითი აქსიოლოგიის საკითხები** ..... 112  
**Elene Javelidze**  
**HALID ZIYA UŞAKLIGIL: THE CREATIVE AXIOLOGY**..... 120

თეოლოგია - Theology

**დავით თინიკაშვილი**  
**აპოკატასტასისი: აღმოსავლელი მამები ყველა დაცემულის**  
**ღმერთთან დაბრუნების შესახებ**..... 125  
**David Tinikashvili**  
**APOCATASTASIS: EASTERN FATHERS REGARDING THE RETURN**  
**TO GOD OF ALL WHO HAVE FALLEN** ..... 174

ისტორია, წყაროთმცოდნეობა, ნუმისმატიკა  
History, Primary Source Studies,  
Numismatics

**თამაზ აბაშიძე**  
**მასალები ქართულ-სპარსული საბუთების შესასწავლად**..... 191  
**Tamaz Abashidze**  
**MATERIALS FOR THE STUDY OF GEORGIAN-PERSIAN DOCUMENTS**..... 199

<b>Grigol Beradze</b>	
<b>AMONG THE CHOSEN CITIES: TBILISI IN THE SHI'Ī TRADITION*</b> .....	201
<b>გრეგოლ ბერაძე</b>	
<b>ბამორჩეულ ქალაქთა შორის: თბილისი ერთ შიიტურ გადმოცემაში</b> .....	214
<b>კახაბერ დემეტრაშვილი</b>	
<b>ბაქოსა და დარუბანდის საკითხი ირან-რუსეთის ურთიერთობაში</b> .....	235
<b>Kakhaber Demetrashvili</b>	
<b>ISSUE OF BAKU AND DERBENT IN IRANIAN-RUSSIAN RELATIONS</b> .....	248
<b>ირაკლი თოფურიძე</b>	
<b>დაუდ ფაშას ურთიერთობა პრავის ბაბანიანთა ქურთულ გვართან</b> <b>(1817-1823 წწ.)</b> .....	253
<b>Irakli Topuridze</b>	
<b>DAUD PASHA'S RELATIONS WITH BABAN KURDISH FAMILY (1817-1823)</b> .....	258
<b>ჯაბა მესხიშვილი</b>	
<b>რამდენიმე ცნობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ</b> <b>1918-1921 წლების იაპონურ პრესაში</b> .....	260
<b>Jaba Meskhishvili</b>	
<b>REPORTS ABOUT THE FIRST REPUBLIC OF GEORGIA IN THE JAPANESE PRESS</b> <b>IN 1918-1921</b> .....	265
<b>ირინე ნაჭყებია, გიორგი სანიკიძე</b>	
<b>ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურების თვალთ დანახული თბილისი</b> <b>(XIX საუკუნის მეორე ნახევარი-XX საუკუნის დასაწყისი)</b> .....	266
<b>Irine Natchkebia, George Sanikidze</b>	
<b>TBILISI IN THE WORKS OF FRENCH AND FRANCOPHONE TRAVELERS</b> <b>(SECOND HALF OF THE 19<sup>TH</sup> C. - BEGINNING OF THE 20<sup>TH</sup> C.)</b> .....	308
<b>ირაკლი ფალავა</b>	
<b>1578: თბილისში სეფიანური საფასის მოჭრა და საქართველოში</b> <b>ლალა მუსტაფა ფაშას შემოჭრა</b> .....	324
<b>Irakli Paghava</b>	
<b>1578: A YEAR WHEN THE SAFAVID COINAGE WAS STRUCK IN TIFLIS,</b> <b>AND LALA MUSTAFA PASHA INVADED GEORGIA</b> .....	328

ნიკო ქელბაქიანი  
საბჭოთა-ირანული ურთიერთობები: თუდეს საქმე ..... 333

Niko Kelbakiani  
IRANIAN RELATIONS WITH THE SOVIET UNION:  
THE CASE OF TUDEH PARTY..... 353

ნინო ჯაველიძე  
გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის  
ბოლო წლები ..... 358

Nino Javelidze  
GIORGI SAAKADZE - LAST YEARS OF LIFE AND ACTIVITIES..... 369

ინტერდისციპლინური კვლევები  
Interdisciplinary Studies

თამარ დემეტრაშვილი, თამარ ლეკვეიშვილი  
მარიამ დადიანის ირანული სამოსი ..... 372

Tamar Demetrashvili, Tamar Lekveishvili  
MARIAM DADIANI'S IRANIAN CLOTHING ..... 385

პოლიტიკა – Politics

Miranda Basheleishvili  
FORMATION AND CHARACTERISTICS OF  
IRAN'S CURRENT POLITICAL SYSTEM ..... 392

მირანდა ბაშელეიშვილი  
ირანის თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება და  
მისი ძირითადი მახასიათებლები ..... 400

Tamta Bokuchava  
TURKEY - FROM SECULAR TO ISLAMIC DEMOCRACY ..... 402

თამთა ბოკუჩავა  
თურქეთი - სეკულარული დემოკრატიიდან  
ისლამური დემოკრატიისაკენ..... 411

სიმონ გურეშიძე  
სირიის სამოქალაქო ომი – მთავარი აქტორები და  
კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები..... 415

Simon Gureshidze  
CIVIL WAR IN SYRIA - KEY PLAYERS AND CAUSES OF CONFLICT..... 424

<b>Emzar Makaradze, Beka Makaradze</b> <b>THE MAIN PROBLEMS OF TURKISH-AMERICAN</b> <b>RELATIONS NOWADAYS .....</b>	<b>427</b>
<b>ემზარ მაკარაძე, ბეკა მაკარაძე</b> <b>თურქეთ-ამერიკის ურთიერთობების ძირითადი პრობლემები დღეს .....</b>	<b>434</b>

**გ ე ნ დ ე რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ე ბ ი - Gender Studies**

<b>თინათინ კუპატაძე</b> <b>ფემინიზმი ირანში .....</b>	<b>436</b>
<b>Tinatin Kupatadze</b> <b>FEMINISM IN IRAN.....</b>	<b>450</b>

**რ ე ც ე ნ ზ ი ა - Book Review**

<b>დარეჯან გარდავაძე</b> <b>ბაჰა ტაჰირი – ეგვიპტელი მწერლების 60-იანელთა თაობის</b> <b>თვალსაჩინო სახე (რეცენზია ბაჰა ტაჰირის რომანის „დეიდა საფია და</b> <b>მონასტერი“ ქართულ თარგმანზე).....</b>	<b>455</b>
<b>Darejan Gardavadze</b> <b>BAHAA TAHER – A PROMINENT REPRESENTATIVE OF THE EGYPTIAN WRITERS</b> <b>OF THE 1960<sup>s</sup> (TOWARDS THE PUBLICATION OF THE GEORGIAN TRANSLATION</b> <b>OF BAHAA TAHER’S NOVEL – AUNT SAFIYYA AND THE MONASTERY).....</b>	<b>462</b>

**პ ო ლ ე მ ი კ ა - Polemic**

<b>დავით თინიკაშვილი</b> <b>უხერხულია წინა საუკუნეებში ჩარჩენა:</b> <b>პასუხი ედიშერ ჭელიძეს .....</b>	<b>465</b>
--	------------

**გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა - In Memoriam**

<b>მანანა (მაკა) გოცირიძე</b> <b>(1956–2018).....</b>	<b>472</b>
<b>გიორგი შაყულაშვილის ხსოვნას .....</b>	<b>475</b>

Proceedings of the 8<sup>th</sup> International Conference  
on Popular Cultures of the Middle East and North Africa

POPULAR CULTURES BETWEEN SITE AND FLOW

Tbilisi

September 28-30, 2017

A r t i c l e s

<b>Tinatin Karosanidze</b> SOCIAL MEDIA LANGUAGE DURING THE “ARAB SPRING” IN EGYPT AND TUNISIA .....	479
<b>Tamar Mosiashvili</b> MAHRAGANAT: FROM WEDDINGS TO REVOLUTION .....	488
<b>Anke Reichenbach</b> “WE SHARE A BEAUTIFUL MOMENT, THEN WE WALK AWAY”: DANCING ARGENTINE TANGO IN DUBAI .....	497

S u m m a r i e s

<b>Alzahraa K. Ahmed</b> EPHEMERAL SCULPTURE: VESSELS OF MEMORY, WONDER, AND (E)MOTION IN THE MEDIEVAL MEDITERRANEAN .....	513
<b>Marina Alexidze</b> SHEIKH SANA'AN IN THE FOLK CULTURE OF TBILISI .....	513
<b>Jeffrey John Barnes</b> HANDHALA AND THE MESSIAH: CHRISTOLOGICAL IMAGES IN THE CARTOONS OF NAJI AL-ALI .....	514
<b>Marine Beridze, Lia Bakuradze</b> <b>Nikoloz Nakhutsrishvili</b> GEORGIANS IN IRAN - THE ASPECTS OF CULTURAL AND LINGUISTIC REINTEGRATION .....	515
<b>Hicham Chami</b> ‘THE ROAD LESS TRAVELLED’: THE MOROCCAN MALĤŪN AND THE MIGRATION OF THE ANDALUSIAN MUWASHSHAH .....	516
<b>Mérial Cheikh</b> PRODUCING AND PERFORMING DIGITAL RESISTANCE IN MOROCCO: BETWEEN STYLE AND ILLEGALISMS, THE TCHARMIL 2.0 SUBCULTURE .....	516



<b>Sarit Cofman-Simhon</b> TONGUES ON THE ISRAELI STAGE: THEATRE IN MAGHREBI, ARAMAIC, JUHURI, KIVRULI, AND BUKHORI.....	517
<b>Brad Fox</b> FROM KARAGÜMRÜK TO WEST BROADWAY: THE 21 <sup>ST</sup> CENTURY URBAN DERVISH LODGE.....	518
<b>Darejan Gardavadze</b> “MAGIC LAMPS AND CAPS AND RINGS”... “THE THOUSAND AND ONE NIGHTS” IN THE FOCUS OF WESTERN-EASTERN INTEREST .....	519
<b>Anastasia Grib</b> CULTURAL CODES OF THE QUR’ANIC TABLET: LOVE, MAGIC, AND SCHOOLING .....	519
<b>Narine Grigoryan</b> ART FESTIVAL AND ITS ROLE TO PRESERVE TRADITIONAL CUSTOMS .....	520
<b>Hanan Hammad</b> LAYLA MURAD: GENDER, SEXUALITY, AND RELIGION IN EGYPTIAN POPULAR CULTURE .....	521
<b>Fatemeh Hosseini</b> REPRESENTING THE PROSTITUTE IN IRANIAN POPULAR CINEMA OF THE 1970 <sup>S</sup> .....	521
<b>Igor Johannsen</b> EACH ONE TEACH ONE: UNIVERSAL AND LOCAL KNOWLEDGE PRODUCTION IN ARABIC HIP HOP-CULTURE .....	522
<b>Agnieszka Aysen Kaim</b> THE PHENOMENON OF MODERN TURKISH DRAMAS OR ‘THE NEO-OTTOMANS CONQUER THE MIDDLE EAST?’ .....	523
<b>Nadeem Karkabi</b> AGAINST ETHNICITY IN PALESTINE.....	524
<b>Dr. Marie-Anne Kohl</b> CASTING SHOWS AND GLOBALIZATION. PERFORMANCES AT ARABS GOT TALENT AND ARAB IDOL BETWEEN ADAPTATION AND APPROPRIATION .....	524

<b>Irina Koshoridze</b> <b>ABOUT THE COFFEE-HOUSE PAINTINGS IN GEORGIAN COLLECTIONS.....</b>	<b>525</b>
<b>Sebastian Maisel</b> <b>REBUILDING THE UNIMAGINED PAST: YEZIDI RELIGIOUS ARCHITECTURE AND THE RECONFIGURATION OF SACRED SPACE.....</b>	<b>526</b>
<b>Khaled Malas</b> <b>THE RUKU‘ TREE: NATURE, THE INTERNET AND PRAYER .....</b>	<b>527</b>
<b>Michal Moch</b> <b>ARABIC DIASPORA HIP-HOP – CHOSEN LINGUISTIC, CULTURAL AND IDENTITY-RELATED ISSUES.....</b>	<b>528</b>
<b>Regev Nathansohn</b> <b>THE STORY OF A FILM NEVER COMPLETED: CHALLENGES OF SCRIPTWRITING AND VISUALIZING ETHNIC CATEGORIES IN A MIXED NEIGHBORHOOD.....</b>	<b>528</b>
<b>Magdalena Nowaczek-Walczak</b> <b>CITY LIFE IN THE MIDDLE EAST.....</b>	<b>529</b>
<b>Avihu Shoshana</b> <b>ETHNOGRAPHY OF WAITING IN LINE FOR NIGHT CLUBS IN TEL-AVIV: TIME, ETHNICITY, AND INEQUALITY .....</b>	<b>529</b>
<b>John Shoup</b> <b>TEA IN TARAB AL-BIDAN.....</b>	<b>530</b>
<b>Tea Shurgaia</b> <b>IN SEARCHING OF IRAN OUTSIDE IRAN .....</b>	<b>531</b>
<b>Dalit Simchai</b> <b>Uri Dorchin</b> <b>BETWEEN COSMOPOLITAN AND NATIONALIST-ORIENTED PIONEERING: THE CASE OF ISRAELI INDIE ENTREPRENEURS.....</b>	<b>532</b>
<b>Tugrul Von Mende</b> <b>THE MUSICAL PANORAMA IN POST-REVOLUTIONARY EGYPT: ALTERNA- TIVE ARABIC MUSIC BETWEEN HYBRIDIZATION AND AUTHENTICITY....</b>	<b>532</b>

**ლელა ავალიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ცხოველბესა და ფრინველბეთან დაკავშირებული  
გამოთქმები არაბულში**

არაბები უძველესი დროიდან თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სხვადასხვა ფილოსოფიურ გამოთქმას ანდაზების სახით აფიქსირებდნენ. არაბი ბედუინისთვის გარემო და ბუნება იყო წყარო, რომლის მიხედვითაც ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებები უყალიბდებოდა. ცხოველთა სამყარო ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არაბის ცხოვრებაში; მათზე დაკვირვებით აღმოაჩენდნენ ცხოველთა ქცევის თავისებურებებს და ადარებდნენ ადამიანისას.

სტატიაში წარმოდგენილია ცხოველბესა და ფრინველბეთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმები არაბულ ენაში. რიგ შემთხვევებში არაბულის მონაცემები შედარებულია ქართულ გამოთქმებთან.

არაბულ ანდაზებში ხატოვნადაა წარმოდგენილი ადამიანის ღირსებები. ღირსეული ადამიანი მუდამ მზად არის მტერთან საბრძოლველად ქვეყნისა და საკუთარი ინტერესების დასაცავად, მაგრამ მისი ფიზიკური ძალა მხოლოდ მაშინ იმსახურებს დაფასებას, თუ მას თან ახლავს კეთილშობილებაც. ის მამაცი და პატიოსანია, იცავს თავის მოდგმას, გვარს, ტომს; ასეთი ადამიანი გამოირჩევა დიდსულოვნებითა და გულუხვობით; იგი სტუმართმოყვარე, მომთმენი და ღვთისმოშიშია, ამავდროულად დამოუკიდებელი, ჭკვიანი და საჭიროებისამებრ მოხერხებულიც. კეთილშობილი ადამიანი სიტყვაძვირიცაა, ფრთხილია საუბრისას, ნათქვამს ასრულებს, თავაზიანია მშობლებისა და უფროსების მიმართ. იდეალური ადამიანის დახასიათებისას უნდა გამოიყოს მოთმინების უნარიც, გულითადობა, მეგობრულობა, ალერსიანობა და სხვ.

ადამიანის ნეგატიური თვისებებიც ტრადიციულად ზოონიმებთან არის დაკავშირებული. არაბის მიერ არც ცხოველთა შორის არის წახალისებული მტრობა, ბოროტება, უვიცობა, ღორმუცელობა, ფუჭი ლაპარაკი, სიჩქარე, თავშეუკავებლობა, გულდანურულობა, გულჩათხრობილობა და სხვ.

არაბი ბედუინის წარმოდგენაში მტაცებელი ცხოველები უმეტესად დიდ ძალასთან, ძლიერებასთან, მისწრაფებებთან ასოცირდებოდა. არსებობისთვის მუდმივ ბრძოლაში იმარჯვებდა ის, ვისაც კბილები და კლანჭები უფრო ძლიერი და ბასრი ჰქონდა. ამიტომ მამაც და ბრძოლისთვის მუდმივად მზადმყოფ ადამიანზე ამბობენ, რომ **أسد من أشجع** „ლომზე მეტად მამაცია“; **أوثب من فهد** „ლეოპარდზე მეტად მაღია“<sup>1</sup>

არაბი ბედუინები გამოირჩეოდნენ, ერთი მხრივ, გმირობით, ამტანობით, თავისუფლების სიყვარულით, მეორე მხრივ, საოცარი სიფრთხილით. ამ უკანასკნელს ისინი ხედავდნენ ყვავის, ქამელეონისა და მგლის ქმედებებში: **أحزم من حرباء**

1 E. В. Кухарева, Клише как отражение национального менталитета (На примерах арабских паремий), М., 2005, 121.

„ქამელეონზე მეტად ფრთხილია“ *أخيل من غراب*, „ყვავზე ფრთხილია“<sup>2</sup> *أحذر من ذئب*, „მგელზე მეტად ფრთხილია.“<sup>3</sup> ცნობილია, რომ როდესაც ქამელეონს საფრთხე ემუქრება, ფერს იცვლის და ასე ცდილობს, მტერს დაემალოს. დაკვირვების თანახმად, ყვავებიც ბევრად უკეთ რეაგირებენ, ვიდრე დელფინები ან შიმპანზეები; გამოირჩევიან საზრიანობითა და მოხერხებულობით. ყვავის მონადირება ერთობ ძნელია, რადგან განვითარებული აქვთ ჯგუფურობის ინსტინქტი, ჰყავთ ე.წ. დარაჯები და მეომრები. ყვავს საოცრად მახვილი მზერაც აქვს, რაც თავდაცვისთვის აუცილებელი იყო ბედუინისთვის, ამიტომ ამ თვისებას იწონებს ყვავში, ძალღალსა და ღამურაში: *أبصر من غراب (كلب، الوطواط بالليل)* „უფრო მახვილი მზერა აქვს, ვიდრე ყვავს (ძალღალს, ღამურას)“<sup>4</sup>. მოხერხებულობა შექცეულია მგელშიც: *ذئب من ذئب* ხერხიანი, მგელზე მეტად ეშმაკი.<sup>5</sup> *مراغة الذئب* ეშმაკი, მგელზე მეტად ხერხიანი.<sup>6</sup> მგლის დადებით თვისებებთან ერთად არაბები მის მზაკვრულ ბუნებასაც გამოყოფენ. ძირის თვალსაზრისით, *ذئب* „მგელი“ და *ذئب* „დააშინა“, იდენტურია. ასე რომ, მოულოდნელი არ უნდა იყოს მგლის უარყოფითი თვისებები.

*الذئب بينام وهو يحلم بالخر فان* „მგელს სძინავს და ძილშიც ცხვრებზე ფიქრობს.“ ასე ამბობენ ბოროტ და მზაკვარ ადამიანზე, რომელიც არასოდეს ამბობს უარს თავის ბუნებაზე. ასეთი ადამიანის ნდობა არ შეიძლება, თუნდაც საჯაროდ ინანიებდეს ჩადენილს. ცუდ ადამიანს უჭირს ნეგატიური ჩვევებისაგან გათავისუფლება, მისი გამოსწორება წარმოუდგენელია.

*الذئب منهوم ولو نام جو عان* „მგლისგან ცუდი სუნი მოდის (ანუ საეჭვოა), თუნდაც მშვიერმა დაიძინოს“<sup>7</sup>; *وصاية الذئب* „მგელს ვირი მიაბარო.“<sup>8</sup> შდრ. ქართ. „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და ის კი გაიძახოდა: გამიშვიტ, ცხვარმა სერი გადაიარაო“; „იერუსალიმში ნიორი გაგზავნეს, წმინდა ადგილია, სიწმინდეს მისცემსო. დაბრუნდა – ისევ ჰყარდაო“, „მგლისთვის ცხვარი ვისაც მიუბარებია, მთელი ველარ მიუღია“, „მგელს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც მგელი დარჩებაო“, „მგელი არ მოშლის მგლობასო, კაი ყმა მამაცობასო“, „მგლისგან მწყემსი არ გამოვა და ქურდისაგან წმიდანიო“<sup>9</sup>. ისეთ ადამიანზე, რომელსაც ვერ გაწვრთნი, ვერ გამოცვლი, არაბები ამბობენ:

*لو حملته خزينة السلطان الحمار يبقى حمار حتى* „ვირი ვირად დაჩება, თუნდაც სულთნის განძი (ხაზინა) აჰკიდო“; *من ذهب الكلب كلب لو خنطته* „ძალდი ძალღალად დარჩება, თუნდაც მოაოქროვო“<sup>10</sup>, *الكلب أنجس ما يكون إذا اغتسل*, „ძალღალს ძინძლის სუნი

2 Arabische Sprichwörter und Redensarten. Zusammengefasst von Abu-Abdullah al-Majdani (gestorben 518 nach dem muslimischen Jahreszählung). Übersetzung von Ilyunur Sarbulatov, 1183. [www.nuruliman.ru](http://www.nuruliman.ru)

3 E. V. Kuxarova, op.cit., 124.

4 Arabische Sprichwörter und Redensarten, 580.

5 Ibid, 1216.

6 Мазел Одай М., Интеллектуальные качества человека в зеркале в русской фразеологии, Воронеж, 2014, 66.

7 Кухарева op. cit., 125.

8 Борисов В., Русско-арабский словарь, М., 2004, 364.

9 ქართული ანდაზები, შეადგინა ა.კანდელაკმა, თბ., 1959, 38, 48.

10 Мазел, op. cit., 65-66.

მაინც ექნება, რომც დაბანო.<sup>11</sup> შდრ. ქართ. „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა; „გველმა კანი გაიძრო და გული ისევ გველისა შერჩაო“, „იერუსალიმს ვირი თოფრით გაგზავნეს და ისევ თოფრით დაბრუნდაო“, „თაგვს ბუმბულში აწვენდნენ და ის სოროში მიძვრებოდაო“, „ძალლი ძაღლობას და გველი გველობას არ მოიშლისო“, „ძალლი რაც უნდა გაწვრთნა, ყეფას მაინც არ მოიშლისო“, „ძაღლის კუდი თხუთმეტ წელიწადს კალაპოტში იდგა, მერე ამოიღეს და ისევ მოკაკული იყოო“, „ლორი ლაფში გორვას არ მოიშლის“, „ყვავს შევარდენად ზრდიდნენ და ის ისევ „ყვას“ იძახდაო“, „ჭრელი ღორი გინდ ზღვის გაღმა გაიყვა, გინდა გამოღმა, მაინც ჭრელი ღორიაო“, „ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუპა და ისევ გუბეში ჩახტაო“, „ღორის თავი ხალიჩაზე დადეს, იგორა, იგორა და ისევ ლაფში ჩავარდაო.“<sup>12</sup> ადამიანის ბუნებრივ გარემოსთან კავშირზე მიგვანიშნებს ბოლო ორი ანდაზა. რამდენადაც გულის ამრევი და შემაწუხებელიც არ უნდა იყოს, ეს ჩვეული და მისაღები გარემოა ზოგიერთი ადამიანისთვის.

ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზაში ზემოთ მოყვანილ გამოთქმებს შინაარსობრივად ახლოს მყოფი ანდაზები უდასტურდება. მოვიყვანოთ ზოგიერთს: الحمار حمار ولو بين الخيول المتربى „ვირი ვირად დარჩება, თუნდაც გაწვრთნილ ცხენებს შორის იყოს“; أعطوا لحمار ورده أكلها (სირ. / ლიბან.) „ვირს ყვავილი მისცეს, მან კი შეჭამა“; الحمار معبأً بينظلون (სირ. / პალესტ.) „ვირი შარვლით შეფუთული“.

ადამიანის კეთილგონიერება და სიბრძნე მის თავშეკავებულობაშია. ბევრმა ლაპარაკმა ადამიანი შეიძლება დაღუპოს. ამ მოსაზრების გადმოსაცემად არაბი კვლავ ცხოველთა სახეებს მიმართავს. كانك لسانك خن صانك لسانك صن حصانك لسانك „შენი ენა შენივე ცხენია: მოუარე მას (მოუფრთხილდი), ისიც მოგიფრთხილდება, გაყიდი (ულალატებ) მას, ისიც გილალატებს.“<sup>13</sup> არაბი ბედუინისთვის ცხენი ძვირფასია და დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს. ცხენი მეგობარია, რომელსაც შეუძლია, ბედუინი იხსნას ბრძოლაში, ჩვეულებრივ მომთაბარულ ცხოვრებაში კი ყოფა გაუადვილოს. მის მდგომარეობაზეა დამოკიდებული ბედუინის სიცოცხლე. حسن ძირს არაბულში სხვა მნიშვნელობაც უკავშირდება, კერძოდ: ამტანობა და მებრძოლი ცხენი. ეს უკანასკნელი პატრონისთვის შეუვალ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, ამიტომ, ადამიანებს, რომლებიც ზედმეტს ლაპარაკობდნენ, ენას აჭრიდნენ, მის ცხენს კი – მყესებს. ბედუინისთვის ცხენის დაკარგვა ახლობლის დაღუპვის ტოლფასი იყო. ეს ცხოველი განდიდებულია უამრავ ლექსში. არაბი და ცხენი ეს არის სიყვარულის, ერთგულებისა და ურთიერთგაგების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. თუმცა ამ ბრწყინვალე არსებასაც შეიძლება მარცხი მოუვიდეს. إن الجواد فد يعثر „ჯიშიანი ცხენიც კი ხანდახან წაიბოროდიკებს.“<sup>14</sup> იორდანიულში ამავე მნიშვნელობით ეს ანდაზა გვხვდება: كل جواد والو كبره (სირიულსა და ლიბანურში: كل حصان والو كبره. შდრ. ქართ. „ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო“, „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება.“<sup>15</sup> ბუნებაზე დაკვირვება და ცხოვრებისეული გამოცდილება არაბს კარნახობდა, ასეთი დასკვნა გამოეტანა: სამყაროში არაფერია აბსოლუტური, ყოველმხრივ სრულყოფილი და შეცდომებისაგან დაზღვეული. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა-

11 Кухарева, op. cit., 131.

12 ქართული ანდაზები, 6, 16, 38, 33, 87, 78, 79, 91, 11.

13 Кухарева, op. cit., 125.

14 Арабские пословицы и поговорки, 17.

15 ქართული ანდაზები, 23.

ში ამ გამოთქმებს შინაარსობრივად ახლოს მყოფი სხვა ანდაზები უდასტურდება: „لكل جواد كجوة و لكل عالم هفوة“ (ლიტ.) „ყველა ცხენმა (შეიძლება) წაიბოროციკოს და ყველა დიდი მეცნიერი შეცდეს“.

თუ ადამიანს პატარაობიდანვე ეტყობა გამორჩეულობა, მასზე ამბობენ: „مفتاحك الفصحى من البيضاء يصيح“ წიგნის „كيفية التصحيح“<sup>16</sup>, „კვერცხში გამოწივის“ – ეს თქმა მიეწერება ისეთ ადამიანს, ვინც სულ პატარაობითვე ყოჩაღია, მეტისმეტად ცოცხალია, მარჯვეა, ყველაფერი გამოუდის ხელიდან.<sup>17</sup>

ადამიანის უნარი – ყველგან იპოვოს საყრდენი და შეეგუოს უცხო გარემოს – გამოიხატება შემდეგ გამოთქმაში: „كالحروف أينما مال اتقى الأرض بصوف“ „ცხვარივითაა, სადაც არ უნდა დაწვეს, (ყველგან) მიწისაგან (თავს) ბეწვით იცავს.“<sup>18</sup> შდრ. ქართ. „სადაც წახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“, „სადაც ჩიტი გაიზრდება, მისი ბაღდადი იქ არისო.“<sup>19</sup> ეს უნარი მოწონებულია იმდენად, რამდენადაც ადამიანს მისი საშუალებით თავის გადარჩენა შეუძლია, ე.ი. კაცი მოხერხებული უნდა იყოს: „من دخل ظفر حمر“ „თუ გინდა გაიმარჯვო, უნდა შეენიღბო“ (სიტყვასიტყვით: გამარჯვება მას დარჩა, ვინც შეიღება; „تكلم عند القوم بلغته“ „ხალხს თავის ენაზე ესაუბრე!“; „ارقص للقراد في دولته“ (ეგვიპტ.) „მაიმუნსაც კი ეცეკვე, თუ მის ქვეყანაში ხარ!“; „اللى عاش القوم اربعين يوم صار منهم وفيهم مثلن“ (სირ. / ლიბან. / იორდან.) „ვინც ხალხთან ერთად ორმოცი დღე იცხოვრა, მათ დაემსგავსა.“ „تخلق بالأخلاق أهل البلد“ „შეითვისე მკვიდრი მოსახლეობის ხასიათი!“; „لعل لعل التينة تنظر إلى التينة فتينع“ „ლელვი ლელვის ცქერით მწიფდება“.

არაბი სიფრთხილისა და გონიერებას გამოკვეთს ამ გამოთქმაში: „ნუ შეიმსუბუქებ, გაიადვილებ (თუნდაც ძალიან გჭირდებოდეს) რაიმეს ჯორის უკან და მოსამართლის ცხვირწინ“ „لا تقلط من وراء بغل ولا من قدام حاكم“<sup>20</sup> ცნობილია, რომ ჯორს ეშინია, როდესაც უკნიდან უახლოვდებიან, ამიტომ წიხლებს ისჯრის. ჭკვიანი და ფრთხილი ადამიანი არასდროს არაფერს აკეთებს, თუ ის ამ ცხოველის უკან დგას. ანდაზა გვასწავლის, ადამიანი გონივრულად უნდა მოქმედებდეს, მოსალოდნელ საფრთხეს ხვდებოდეს და თავს არიდებდეს. შდრ. ქართ. „თხას წინიდან მოუარე, ცხენს უკნიდან და ავ კაცს ყოველ მხრიდანო“<sup>21</sup>

იდეალური ადამიანის დახასიათებისას უნდა გამოიყოს მოთმინების უნარი. აქაც ცხოველთა სახეებს მივმართოთ. მაგალითად, (ضب) حمار „ამტანია ვირზე მეტად“ ან „ხვლიკზე მეტად“<sup>22</sup> ნებისმიერ არაბულ სოფელში დაინახავთ ტვირთმოკიდებულ სახედარს, რომელსაც მხოლოდ ყურები უჩანს. ამ ცხოველს სოფელ-სოფელ, მთა-მთა შეუძლია გადაზიდოს ტვირთი. ვირი შინაურ ცხოველებში ცნობილია როგორც ყველაზე გამძლე მუშაობაში, მომთმენი გაჭირვებისა და შიმშილისა. რაც შეეხება ხვლიკს, უდაბნოს არაბის დაკვირვებით, ხვლიკი საოცარი მოთმინებით ელოდება ნადავლს, რომლის დაჭერა არცთუ ისე ადვილია

16 იქვე, 10

17 სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979, 333.

18 Кухарева, op. cit., 131

19 ქართული ანდაზები, 65.

20 Кухарева, op. cit., 129.

21 ქართული ანდაზები, 37.

22 Кухарева, op. cit., 129.

უდაბნოს ქვიშაში. ანალოგიურ პირობებში მცხოვრები არაბისთვის ხელიშეკის მედეგობა სიცხის, უწყლობის ან ღამის სიცივის მიმართ მისაბაძია.

არაბი შრომას იწონებს ფუტკარში: *عمل كالنحلة* „ფუტკარივით შრომობს.“<sup>23</sup> ანალოგიურ შედარებას ქართულშიც ვხვდებით.

მოხერხებულობა იკითხება გამოთქმაში: *أصاب عصفورين بحجر واحد* „ერთი დარტყმით (სიტყვასიტყვით: ქვით) ორი ჩიტი დაიჭირა“. ანალოგიური თქმა ქართულშიც გვაქვს.

უნიკალურობის, იშვიათობის შეფასება იკითხება გამოთქმაში: „თეთრფეხიან ყვავზე მეტად იშვიათი, ძვირფასი“ *أعز من الغراب الأعصم*. ასეთი ფრინველის ნახვა მართლაც იშვიათობაა.<sup>25</sup> არაბულში ეს გამოთქმა ადამიანის შინაგან ბუნებას დადებითი კუთხით წარმოაჩენს. ერთ-ერთი ჰადისში ნათქვამია, რომ „აიშა (მოციქულ მუჰამადის მეუღლე) ქალთა შორის თეთრფეხიანი ყვავითიაა.“ ეს ნიშნავს, რომ აიშა განსხვავდებოდა სხვა ქალთაგან, ის ფლობდა გამორჩეულ, უნიკალურ თვისებებს.

გულითადობა, მეგობრულობა, ალერსიანობა, მტრობა, ბოროტება – ცხოველთა შორის ამ თვისებებმაც იპოვა გამოძახილი: *ألف من الكلب* „ერთგულია ძაღლზე მეტად“.

„სჯობს ძაღლი დააპურო, ვიდრე ადამიანები.“<sup>26</sup> ადამიანისაგან განსხვავებით, ძაღლი პატრონის ერთგული და მადლობელია. შდრ. ქართ. „კაცი კაცის მტერია, ძაღლი კი ერთგულია.“<sup>27</sup>

ინტელექტის მხრივ ადამიანის ნეგატიური დახასიათებაც, ტრადიციულად, ზოონიმების საფუძველზე ფორმირდება. მოუსვენარ, დაუდგრომელ ადამიანზე, რომელიც ხან აქაა, ხან – იქ, არაბები ამბობენ: *أطير من عقاب* „უფრო მეტს ფრენს, ვიდრე არწივი.“ ალ-მაიდანნი ამ გამოთქმას კიდევ უფრო აკონკრეტებს და ამბობს: „არწივი ერაყში სადილობს და იემენში ვახშობს.“ დიალექტებში ამ გამოთქმის ანალოგია: *طيار عصفور* „როგორც ფრენია ჩიტი.“<sup>28</sup> ასე უწოდებენ არასაიმედო, არამყარ ადამიანს, რომელიც ერთ ადგილზე ვერ ჩერდება. ასეთი ადამიანის განწყობა ისეთი სისწრაფით იცვლება, როგორც ამ პატარა ჩიტის გადაფრენა-გადმოფრენა ხდება სწრაფად. გადატანის საფუძველში დევს ამ ფრინველის ქმედებაზე დაკვირვება.

უვიცობა და სიბრიყვეა გაკიცხული ანდაზაში, სადაც შევარდენი ფიგურირებს. არაბები ამბობენ: *إللي ما بيعرف الصفر بيثويه* „ვინც შევარდენი არ იცის [ხორცი ჰგონია], შეწვაეს.“<sup>29</sup> ამ ანდაზით არაბი გამოხატავს როგორც თავის დამოკიდებულებას უვიცისადმი, ასევე ახასიათებს ამ ფრინველსაც. მხოლოდ ბრიყვი ვერ აფასებს ამ ფრინველის უზადო თვისებებს: სისწრაფეს, შეუპოვრობას, სიმამაცეს, გამჭრიახობას; მხოლოდ უჭკუო ხედავს მასში ჩვეულებრივ ნანადირევის ხორცს და შემწვარს წარმოიდგენს. შევარდენი არაბისთვის საყვარელი ფრინველია. ის გამოსახულია ზოგიერთი ქვეყნის გერბსა და დროშაზე. არაბის-

23 Арабские пословицы и поговорки, 40.

24 Борисов В., Русско-арабский словарь, М., 2004. 298

25 Кухарева, op. cit., 130.

26 Ibid, 131.

27 ქართული ანდაზები, 42.

28 Кухарева, op. cit., 132

29 Ibid, 129.

თვის იგი დღემდე სიამაყისა და ზრუნვის საგანია. შევარდნებით დღესაც ნადირობენ არაბეთის ნახევარკუნძულზე, სპარსეთის ყურის ქვეყნებსა და აფრიკის ჩრდილოეთში.

ერაყში მასზე, ვინც მასპინძლის გულუხვობას ბოროტად იყენებს, ამბობენ:

أول يوم قناديل ثانياً منديل ثالثاً ابن خنزير „პირველი დღე ნათელია სარკმელში, მეორე დღე მიზეზია ცრემლის, მესამე – ღორი ღორთა.“<sup>30</sup> არაბისთვის ღორად მოხსენიება ერთობ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია. იგულისხმება თავხედი, ტრადიციების არდამფასებელი, გაუზრდელი ადამიანი. შდრ. ქართ. „დილით ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ კიდევ დაგაგვიანდა, სპილენჯად გადაიქცევი.“<sup>31</sup> ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზაში ვკითხულობთ: إن قام شعيير الضيف إن أقبل أمير وإن قعد أثير وإن قام شعيير „სტუმარი როდესაც მოდის, ემირია, როდესაც ჯდება ტყვე, თუ დგება (და მიდის) – ქერი.“

კიდევ ერთი თვისება, რომელიც მიემართება როგორც სტუმარს, ისე ნებისმიერ სხვა ადამიანს, ღორმუცელობაა: أكل من الفيل „გაუმაძღარია, ღორმუცელაა სპილოზე მეტად“ أكل من السوس „ღორმუცელაა ჩრჩილზე მეტად.“<sup>32</sup> არაბები აქლემის ბეწვისგან უამრავ ნივთს ამზადებდნენ, ჩრჩილი კი ამ ნივთების მტერია. იგი ანადგურებდა არაბების ქონებას. რაც შეეხება სპილოს, ის ფიზიკურად დიდია და ბევრი საკვები ესაჭიროება. არაბი ადარებენ რა ადამიანს მოლსა და სპილოს მადის თვალსაზრისით, გამოხატავენ ნეგატიურ დამოკიდებულებას გაუმაძღარი ადამიანების მიმართ. სიხარბე დაგმობილია სხვა გამოთქმაშიც: أحرص من كلب على جيفة (მიმართ).“<sup>33</sup>

არაბისთვის მიუღებელია ნებისმიერ რაიმეში გადაჭარბება. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ბევრს სვამს, ამბობენ, რომ ის „ისე სვამს, როგორც აქლემი“ شرب شرب الهيم.<sup>34</sup> სიტყვა هيم არის أهيم-ის მრავლობითი ფორმა და ნიშნავს მწყურვალს. არაბები ასე უწოდებდნენ აქლემებს, რომელთაც სწყუროდათ და წყალთან მისულნი ძალიან ბევრს სვამდნენ.

არაბის მიერ არ არის წახალისებული გულდახურულობა და გულჩათხრობილობა. ასეთ ადამიანზე ამბობენ: أسرى من فنن „ზღარბზე მეტად გულდახურულია.“ (სიტყვასიტყვით: ღამით უფრო მეტად მოძრაობს (გადაადგილდება), ვიდრე ზღარბი“<sup>35</sup>.)

უპასუხისმგებლო, უზნეო ადამიანზე, რომელიც თავის საქციელზე, ნამოქმედარზე არასდროს აგებს პასუხს, არაბები ამბობენ: طار عصافير رأسه „თავში ბელურები უფრენს.“<sup>36</sup> ჩიტი ასოცირდება უდარდელ, უნაღვლო ქცევასთან, უმიზნო, ფუჭ და დაუფიქრებელ ქმედებასთან. შდრ. ქართ. მწყრები ჰყავს! მწყერი ქართველებს სისულელის სინონიმად აქვთ მიჩნეული. არსებობისათვის ბრძოლაში სუსტი და მოუხერხებელი ფრინველი ხალხის თვალში მოუსაზრებლობის,

30 Ibid, 123.

31 ქართული ანდაზები, 22.

32 Кухарева, op. cit., 123

33 Арабские пословицы и поговорки, 1217.

34 Кухарева, op. cit., 123

35 Ibid, 128.

36 Ibid, 132.



წინდაუხედაობისა და ჭკუის სისუსტის სინონიმად იქცა. როცა უნდათ თქვან: მაგანი ჭკუნაკლებიაო, ამბობენ: მწყრები ჰყავს და ბლომადაცაო!<sup>37</sup>

ფარისეველ ადამიანზე გაიგონებთ: *شعرة من الخنزير أحسن منه* „ლორის ჯაგარიც კი თავად ღორზე უკეთესია.“<sup>38</sup> ასე ახასიათებენ უზნეო ადამიანს, რომელიც იმოსება უცოდველობისა და ზრდილობიანობის სამოსით და ამგვარად აღწევს მიზანს. ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ეს გამოთქმაც: *تلاغ العقب وتصي* „მორიელმა (სხვა) დაგესლა და თვითონ დაიჩივლა“; სიტყვა-სიტყვით: აწივლდა, დაიწივლა, დაიჭყივლა. მიემართება ტირან ადამიანს, რომელიც თავს მსხვერპლად წარმოადგენს.<sup>39</sup>

სულსწრაფობა არ არის მოწონებული გამოთქმაში: *من أكل بيضة فقد أكل داجاة* „ვინც კვერცხი შეჭამა, მან ქათამიც შეჭამა.“ *بكرة ولا داجاة اليوم* „დღევანდელი კვერცხი მირჩვენია ხვალინდელ ქათამს.“ *عصفور بالأيد أفضل من عشر على الشجرة* „ბელურა ხელში (გყავდეს) უკეთესია, ვიდრე ათი ხეზე იყოს.“ შდრ. ქართ. „ხელში ნაჭერი ერთი ჩიტი გიჯობს, ორ—სამ ხეზე მჯდომარესა.“<sup>40</sup> ამ ანდაზების არსი ისაა, რომ სამომავლოდ ზღაპრულ დაპირებებს სჯობია დღევანდელი მცირედი, უარესი რამ სჯობს (სათუო) უკეთესს. ოპოზიცი.: *لا تبع داجاة بكرة بيضة اليوم* „ნუ გაყიდი ხვალინდელ ქათამს დღევანდელ კვერცხზე.“

მუდმივობა იკითხება: *أثبت من قراد* „ტკიპებზე მუდმივია.“ ტკიპებისაგან აქლემის სხეულის გათავისუფლება რთულია.<sup>41</sup>

ადამიანს, რომელსაც ლაპარაკი უყვარს, მაიმუნს ადარებენ: *أحكى من قراد* „მაიმუნზე მეტად ტლიკინა.“<sup>42</sup> მყვირალა, წრიალა, მანჭია მაკაკები, რომლებიც დღემდე ბინადრობენ ალჟირისა და მაროკოს მთიანი რეგიონების ტყეებში, არაბებში უარყოფით ემოციებს იწვევდა. ამ ცხოველების ქმედებები (ქცევა) საპირისპიროა იმისა, რაც ცხოვრებაში დასაფასებელ თვისებებად მიიჩნევა (აუჩქარებლობა, თავშეკავებულობა, სიდინჯე).

ფუჭ საუბარზე, როდესაც ადამიანი ენაზე დაიხვევს გაგონილს და იმეორებს, ამბობენ: *كلام الببغاء* „თუთიყუშის საუბარი.“<sup>43</sup>

ანდაზების ერთ ნაწილში დაპირისპირებულია დიდი ცხოველის სიმაღლე ან ტანი მასზე პატარას ჭკუასთან. *أحلام البغال و أحلام العصافير* „ტანი ჯორების აქვთ და ოცნებები ბელურების“<sup>44</sup>; *عقل السخلة وطول النخلة* „სიმაღლე პალმის ხის აქვს, ჭკუა ბატკნის.“ მიემართება ტანად დიდ, წარმოსადეგ, მაგრამ უჭკუო ადამიანს. აღნიშნული გამოთქმა უარყოფითი კონოტაციისაა და ადრესატის სიბრძნევეს უსვამს ხაზს. შდრ. ქართ. „აღვის ხეც მაღალია, მაგრამ შიგ არაფერი ყრია“; „ჭადარი მაღალი იზრდება, მაგრამ ნაყოფს არ იძლევა.“<sup>45</sup> ქართულში შედარებისას ცხოველთა სახეებს არ ვიყენებთ.

37 სახოკია, დასახ. ნაშრ., 442.

38 Кухарева, op. cit., 134.

39 Арабские пословицы и поговорки, 641.

40 ქართული ანდაზები, 22, 29.

41 Арабские пословицы и поговорки, 810.

42 Кухарева, op. cit., 128

43 Mahmoud Sami Mousa, A Dictionary of Idiomatic Expressions in Written Arabic, Cairo, 2014. 68

44 Ibid.

45 ქართული ანდაზები, 5.

არაბულ ანდაზებსა და ფრაზეოლოგიურ გამოთქმებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მათი ნაწილი აბსოლუტურად თანხვედრია ქართულთან. არაბულ ენაში არის ერთი ჯგუფი ანდაზებისა და გამოთქმებისა, რომელთაც ქართულში ანალოგი არ დაეძებნათ, თუმცა აზრი შეიძლება გადმოიცეს აღწერილობით. არაბული ფრაზეოლოგიზმებისა თუ ანდაზების მცირე ნაწილს კი ქართულში აზრობრივი ანალოგიც არ გააჩნია.

მასალაზე დაკვირვებამ აგრეთვე გამოავლინა, რომ ადამიანის დადებითი თუ უარყოფითი თვისებების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები მდიდარია ტროპის სახეებით (განსაკუთრებით ალეგორიით, მეტაფორებითა და შედარებებით). მათი გამოყენება ამდიდრებს როგორც სასაუბრო ენას, ისე მხატვრულ ტექსტებს, გვეხმარება ღრმად ჩავწვდეთ გარესამყაროში მიმდინარე მოვლენების აზრსა და შინაარსს, დავადგინოთ და გამოვავლინოთ კანონზომიერი კავშირები ადამიანის სამყაროსა და ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროს შორის.

ზოგადად, არაბულ ანდაზებსა თუ ფრაზეოლოგიზმებში გამოხატულია ადამიანის დამოკიდებულება გარესამყაროსადმი, ასახულია ერის, ხალხის ხასიათი, ცნობიერება.

**Lela Avaliani**

Akaki Tsereteli State University

## **ANIMALS AND BIRD-RELATED EXPRESSIONS IN ARABIC**

Arabs have been expressing their life experience and various philosophical expressions since ancient time.

The environment and nature were the source, on which were based Arab Bedouins' ethical and aesthetic views. Animal world has always played an important role in Arab life; by observing them they used to discover the peculiarities of animals' behavior and compared them to human beings.

The article describes the figurative words for animals and birds in the Arabic language.

In some cases, Arabic data is compared to Georgian expressions.

A human dignity is figuratively depicted in Arabic proverbs. A worthy person is always ready to fight against the enemy to defend the country and its own interests, but his physical strength deserves appreciation if he is accompanied by goodwill. He is brave and honest, protects his race, surname and tribe; such person is distinguished by nobility and generosity; he is hospitable, patient and god-fearing, at the same time, he is independent, clever and convenient. The noble man is also tacit, cautiously speaking, fulfilling and polite to parents and adults. We should also distinguish patience, warm-heartedness, friendship, tenderness and so on while describing an ideal person.

The negative qualities of human beings are traditionally related to zoonimes. Arabs do not encourage animosity, evil, ignorance, gluttony, vain talk, rapidity, intemperance, and secrecy among animals.

On the one hand, the Arab Bedouins were distinguished by their heroism, endurance, love of freedom and on the other hand, with great caution. They saw all these qualities in the actions of the crow, chameleon and a wolf: "more cautious than a chameleon", "more cautious than a crow", "more cautious than a wolf". Convenience is also praised in wolf: "clever, more devil than a wolf." Along with the positive qualities of the wolf, the Arabians emphasize its distasteful nature: "Wolf sleeps and thinks about sheep during his sleep", "A wolf smells (so it is doubtful), even if it sleeps hungry." Arabs say about the person, who cannot be changed or trained: "A donkey will be the donkey even if it carries sultan's treasure (treasury)", "A dog will be the dog even if you cover it with gold", "it will smell even if you wash it."

Humans' wisdom is expressed by temperance. Talkative people can fail. In order to convey this meaning Arabs again appeal to animals. "Your tongue is your horse: look after it (take care of it), it will look after you, too. You sell (betray) it, it will also betray you" if a person is special from childhood, he is said: "An eloquent rooster crows within its egg-shell." Human's ability - to find a seat everywhere and adjust to unknown situation is expressed in the following expressions: "He is like a sheep, wherever he lies, (everywhere) he protects (himself) from ground with fleece." This ability is endowed because a person can save himself; it means that man should be viable. Arabs expose caution and intelligence in this expression: "Do not alleviate, simplify (even if you need it much) something behind the mule and in front of judge." While describing an ideal person we should distinguish an ability of patience. Again we appeal to animals, for example, "it

is resistant as donkey” or a lizard.” Arab likes work of bees: “works like a bee”. Convenience is read in the expression: “With one shot (literally: with stone) took two birds”. Warm-heartedness, friendship, tenderness, hostility, evil – all these qualities have also been found among the animals: “Is more devoted than a dog.”

According to the intellect the negative character of the human being is traditionally based on the zoonimes. Arabs say about the restless person who is here and there: “He flies more than an eagle.” We have the analogy in the dialects: “As a flying bird.” They mean unreliable, unstable people who cannot stand in one place. Such person’s mood changes as rapidly as the little bird’s flying-overflying. The bird is observed from the beginning.

Exaggeration is unacceptable in Arabia. For example, a man who drinks a lot they say that he “drinks like a camel.” Arabs do not encourage disillusionment. In this case they say: “More reserved than a hedgehog.” (Literally: moving more at night than the hedgehog).

The Arabs say about the irresponsible, immoral man who never acts on behalf of his actions that “sparrows fly in his head”. The bird is associated with defective, unhealthy behavior, aimless, vicious and unthinkable.

We will hear about the sham person: “Even the pig burst is better than the pig.” This is an immoral man who is immersed in the form of sincerity and adulteration and thus reaches its goal. In the same context, we may consider the following expression: “A scorpion bit (someone) and complained”, literally: swished and whistled. It refers to the tyrant who regards himself as a victim.

The impatience is not approved in this expression: “Whoever ate eggs, he also ate the chicken.” A person who loves talking is compared to monkey: “More talkative than a monkey.” They say: “A parrot’s talk”, about a person who is talkative.

In one part of proverbs, the height or body of a large animal is confined to the smaller animal’s intelligence. “Body is for mules and the maturity for sparrows”, refers to big but stupid person. The observation of Arab proverbs and phraseological expressions showed that their part is absolutely correlated with Georgian. In Arabic language there is one group of proverbs and expressions that do not have analogy in Georgian, but the opinion can be transmitted by description. The small parts of Arabian proverbs and phrases do not have any mental analogies in Georgian.

#### დამოწმებული ლიტერატურა:

1. *Арабские пословицы и поговорки*. Составитель Абуль-Фадль аль-Майдани (умер в 518 году по мусульманскому летоисчислению). Перевод с арабского: Ильнур Сарбулатов. [www.nuruliman.ru](http://www.nuruliman.ru)
2. Баранов, Х. *Арабско-русский словарь*. 1977
3. Борисов, В. *Русско-арабский словарь*. М., 2004.
4. Кухарева, Е. В. *Клише как отражение национального менталитета (На примерах арабских паремий)*. М., 2005

5. Мазаел Одай, М. *Интеллектуальные качества человека в зеркале в русской фразеологии*. Воронеж, 2014.
6. Sami Mousa, Mahmoud. *A Dictionary of Idiomatic Expressions in Written Arabic*. Cairo, 2014.
7. სახოკია, თ. *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბ., 1979.
8. *ქართული ანდაზები*. შეადგინა ა. კანდელაკმა. თბ., 1959.
9. *ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა*. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. <http://idioms.tsu.ge>

## რამაზ გორგაძე, ვიქტორ ჩიკაიძე

გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### თურქიზმები ქართულსა და სომხურ ენებში

სტატიის მიზანია თურქული წარმომავლობის ქართულ-სომხური საერთო ლექსიკური ერთეულების წარმოჩენა და ანალიზი. ფაქტობრივი მასალა აღებულია საკვლევ ენათა ლექსიკონებიდან.

განხილული ლექსემები ძველ ქართულ ენაში გამოვლენილი არ არის. ზოგიერთი მათგანი არ დასტურდება არც სულხან-საბა ორბელიანთან, მაგრამ ფიქსირდება ნიკო ან დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში:

#### 1. ბაიყუში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ მოცემული სიტყვა არის თურქული წარმომავლობის:

**ბაიყუში**-ი 1. დიდი ბუ. 2. გადატ. უშემური, უცხვირპირო ადამიანი.<sup>1</sup>

პროფ. ბ.გიგინეიშვილის ცნობით, იგი გვიანდელ ნასესხობას წარმოადგენს.<sup>2</sup> და ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებში აღნიშნული სიტყვა არ გვხვდება. იგი მოგვიანებით ვლინდება დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში.<sup>3</sup>

სიტყვა **ბაიყუში** რთული არსებითი სახელია და შედგება ორი სიტყვისაგან. ქართულში შემოსულია თურქული ენიდან და ნიშნავს „ბუ“-ს. ამ სიტყვის პირველი კომპონენტია **bay** „ბატონი; დიდი“, ხოლო მეორე – **kuş** „ჩიტი, ფრინველი“. ე.ი. „ბატონი ჩიტი, დიდი ჩიტი“. იგი ამავე მნიშვნელობით გვხვდება სხვა თურქულ ენებშიც: აზერბ. **bayguş**; უზბ. **baykuş**; თურქმ. **häyguş**; უიღურ. **baykuş**.<sup>4</sup>

საკვლევ სიტყვა სომხურში ფიქსირდება բայկուշ [ბაილუშ] ფორმით. იკითხება ისე, როგორც იწერება და მისი მნიშვნელობაა „ბუ“. თანამედროვე ენაში დიალექტურ სიტყვად არის მიჩნეული და ვლინდება სასაუბრო ენაში. ცნობა მისი თურქული წარმომავლობის შესახებ სტ.მალხასიანცს ეკუთვნის.<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ, აღნიშნული თურქული ლექსემა, ფორმითა და შინაარსით, თითქმის უცვლელად არის შესული სომხურში, ხოლო ქართულ ენაში, როგორც ზემოთ არის მითითებული, შეიძინა დამატებითი მნიშვნელობაც.

#### 2. ბასტურმა

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მოცემული სიტყვა წარმოადგენს თურქულ ნასესხობას:

**ბასტურმა** [თურქ.] სამწვადე ხორცი, შეწვამდე ძმარში ჩადებული, ზედ პილ-პილ-, მარილ – და ხახვ-მოყრილი.<sup>6</sup>

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), ერთტომეული, 57.

2 ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), 40.

3 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 93.

4 Turkece Sozluk. Ankara, 1969, 91; Karsilastirmali Turk Lehceleri Sozlugu. Ankara, 1991, 56.

5 სტ.მალხასიანცი სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 323.

6 ქ ე გ ლ , 58.

აღნიშნული ლექსიკური ერთეული არ გვხვდება სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებში, მაგრამ დამოწმებულია დავით ჩუბინაშვილთან, რომელიც მის თათრულ წარმომავლობაზე მიუთითებს:

**ბასტურმა** (თათრ.), სამწვადე ხორცი ჰაერში ან კომლში გამოსული; ამგვარის ხორცის მწვადი ძმრიანი.<sup>7</sup>

საკვლევი სიტყვა ძველ და საშუალო ქართულ ენაში არ არის დაფიქსირებული. იგი შემოსულია მოგვიანებით თურქული ენის გავლენით და მომდინარეობს **bastirmak** ზმნის ფორმიდან<sup>8</sup>, რაც ნიშნავს „დაწოლა, დაწნეხვა, დაბეგვა“–ს. თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენაში აღნიშნული სიტყვა გვხვდება მოცემული ზმნის შეკვეცილი მასდარის, არუ არსებითი სახელის ფორმით – **pastırma**,<sup>9</sup> სადაც თავკიდური მჟღერი, ბაგისმიერი „b“ ფონემა შეცვლილია ყრუ „p“ ბგერით, ხოლო ბოლოკიდური „k“ ბგერა არის შეკვეცილი. სხვა თურქულ ენებში გამოვლენილია შემდეგი ფორმით: აზერბ. **basdırma**; თათრ., ბაშკირ., უზბეკ. **bastırma**, უიღურულში კი – **pastırma**.<sup>10</sup>

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს სიტყვა არ ფიქსირდება პროფ. ჰრ. აჭარიანის ლექსიკონში, მაგრამ დასტურდება სტ. მალხასიანთან თურქული წარმომავლობის მინიშნებითა და **բաստուրմա**<sup>11</sup> [ბასტურმა] ფორმით. მისი სემანტიკური ველი, თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით, გაფართოვებულია და ორი მნიშვნელობითაა დამკვიდრებული: 1. ნედლი სამწვადე მასალა და 2. ჰაერზე საწვებზელით გამოყვანილი საქონლის ხორცი.

### 3. ბაქმაზი

**ბაქმაზი**-ი [თურქ.] შესანახად მოდუღებული სქელი წვენი (პომიდვრისა, ყურძნისა, თუთისა და ზოგიერთი სხვა ხილისა).<sup>12</sup>

მოცემული ლექსიკური ერთეული არ ფიქსირდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, მაგრამ დასტურდება ნიკო<sup>13</sup> და დავით<sup>14</sup> ჩუბინაშვილებთან.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკვლევ სიტყვას თურქულ ნასესხობად მიიჩნევს პროფ. მ. ანდრონიკაშვილი თავის ცნობილ ნაშრომში.<sup>15</sup> საკითხი დეტალურად განხილული აქვს, აგრეთვე თავის მონოგრაფიაში ლ. რუხაძეს, სადაც ქართული სიტყვა **ბაქმაზი**-ი / **ბექმეზი**-ი წარმომავლობის თვალსზრისით დაკავშირებულია ახალ თურქულ **bekm-äs** – „ტკბილი ღვინო“ – სიტყვასთან, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს ძვ. თურქული **bekni** ფორმიდან, ხოლო ეს უკანასკნელი კი ირანული **bakanin / bagni**. სიტყვიდან.<sup>16</sup>

7 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 4.

8 Turke Sozluk. Ankara, 1969, გვ. 597.

9 იგივე, 597.

10 Karsilastirmali Turk Lehceleri Sozlugu. Ankara, 1991, 694.

11 მალხასიანცი, სომხ.ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 334.

12 ქ ე გ ლ, 58.

13 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 159.

14 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 99.

15 მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, 229.

16 ლ. რუხაძე, თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში, 85-6.

თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენაში ქართული „ბადაგ“-ის და „შარბათ“-ის მნიშვნელობით ფიქსირდება შემდეგი ლექსიკური ერთეული – **Pekmez** “წამოდულებული და შესქელებული ხილის, უმეტესად კი ყურძნის წვენი, ანუ ბადაგი, შარბათი”.<sup>17</sup> სხვა თურქულ ენებში, აზერბაიჯანულის გარდა (**bäkmáz**), გადმოცემულია **şerbet** სიტყვა-ფორმით.<sup>18</sup>

საერთო წარმომავლობის სომხური ლექსიკური ერთეული բարձագ [ბაქმაზ], იმავე ფორმითა და „მოდულებული ხილის წვენის“ მნიშვნელობით, ფიქსირდება მხოლოდ თანამედროვე სომხური ენის განმარტებით ლექსიკონებში წარმომავლობის შესახებ მინიშნების გარეშე, როგორც ენისთვის არაპროდუქტიული სიტყვა და მისი განმარტება ხდება სინონიმური ლექსემების საშუალებით<sup>19</sup>. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ლექსიკური ერთეული არ გვხვდება ჰრ.აჭარიანის ლექსიკონში, მიუთითებს მის გვიანდელ ნასესხობაზე სომხურ ენაშიც.

#### 4. დამბაჩა

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **დამბაჩა** – ხელის ძველბურთი ცეცხლსასროლი იარაღი, მოგრძო ლულის მქონე – დამოწმებულია მისი წარმომავლობის შესახებ მინიშნების გარეშე<sup>20</sup>. იგი არ ფიქსირდება სულხან-საბა ორბელიანთან, მაგრამ იმავე ფორმითა და მნიშვნელობით – „ფიშტო, მოკლე თოფი“ – გვხვდება ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში,<sup>21</sup> ხოლო დავით ჩუბინაშვილთან, სრულიად მართებულად, აღნიშნულია მისი ოსმალური (თურქული) წარმომავლობაც.<sup>22</sup>

მოცემული ლექსემა ქართულ ენასა და მის დიალექტებში შემოსულია არაუადრეს XYIII საუკუნის მიწურულისა და აქვს იგივე მნიშვნელობა რაც თურქულ **tabanca** – „პისტოლეტი“<sup>23</sup> – სიტყვას. სხვა თურქულ ენებში აღნიშნული ლექსიკური ერთეული დასტურდება შემდეგი ფორმით: აზერბ. **tabanča**; უზბეკ. **toppanča**; ყირგიზ., უიღურ. **tapanča**; თურქმნ. **sapanča**.<sup>24</sup>

ქართულ ენაში **tabanča** სიტყვამ გარკვეული ფონეტიკური პროცესების შედეგად, ანუ “**n**” ბგერის გადმოწვევისა და ბაგისმიერი “**b**”-ს გავლენით მისი „**მ**“ ბგერაში გადასვლის შემდეგ, მიიღო ჯერ \***თამბაჩა**, ხოლო თავკიდური **თ**-ს გამჟღერების შემდეგ კი – **დამბაჩა** ფორმა.

მოცემული სიტყვა თანამედროვე სომხური ენის დიალექტური ლექსიკის შემადგენელი ნაწილია და ფიქსირდება դაჰაჰანჩა [დაბანჩა] თურქულთან ანლო ფორმით და იმავე – „ძველი ყაიდის რევოლვერი“-ს მნიშვნელობით.<sup>25</sup>

17 Turkece Sozluk. Ankara, 1969, 601.

18 Karsilastirmali Turk Lehceleri Sozlugu. Ankara, 1991, 698.

19 ედ. ალაიანი, თანამედროვე სომხ. ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 184.

20 ქ ე გ ლ, 181.

21 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 191.

22 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 381.

23 Turkece Sozluk. Ankara, 1969, 701

24 Karsilastirmali Turk Lehceleri Sozlugu, 1991, 832

25 მალხასიანცი, სომხ. ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 480.



## 5. თარსი

ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეული მომდინარეობს თურქული **ters** ლექსემიდან, რომლის მნიშვნელობაა „რაიმეს უკანა მხარე; უკულმა“;<sup>26</sup> იგი ფიქსირდება აგრეთვე თურქული ენის დიალექტებშიც: აზერბ. **tärs**; ყაზახ. **teris**; ყირგიზ., უზბეკ., თურქმ. **ters**.<sup>27</sup>

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, აღნიშნული სიტყვა სასაუბრო ლექსიკას მიეკუთვნება და წარმომავლობის გარეშეა წარმოდგენილი შემდეგი მნიშვნელობით:

**თარს**-ი იგივეა, რაც ნავსი<sup>28</sup>, ანუ

„ვისი, რისი დანახვა ან ვისთანაც შეხვედრა თუ საქმის დაჭერა თითქოს ცუდის, ავის მომასწავებელი იყოს.“<sup>29</sup>

საკვლევო ლექსიკური ერთეული (თარსი) არ ფიქსირდება სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, რაც მის გვიანდელ ნასესხობაზე მიუთითებს ქართულში.

იგივე ნასესხობა სომხურშიც სასაუბრო ლექსიკას მიეკუთვნება. ფიქსირდება იმავე **Թարս** [თარს] ფორმით და შედარებით ფართო სემანტიკური ველით. იგი გამოიყენება როგორც ზედსარსავი სახელის, ასევე ზმნიზედის ფუნქციითაც. მისი მნიშვნელობებია – „უკულმა, გადაბრუნებული; თავნება, ჭირვეული; მრუდე, თარსი, ნავსი.“<sup>30</sup>

ცნობა სომხური სიტყვის თურქული წარმომავლობის შესახებ დამოწმებული აქვს პროფ. სტ. მალხასიანს თავის ნაშრომში.<sup>31</sup>

## 6. მატრაბაზი

თავისთავად სპარსული წარმოშობის მოცემული საკვლევო ლექსიკური ერთეული უკავშირდება თურქულში დამკვიდრებულ **madrabaz** – „1. თევზით, ხილით, ბოსტნეულით ბითუმად მოვაჭრე; 2. თაღლითი, გაქნილი, გაიძვერა“ – სიტყვას.<sup>32</sup>

აღნიშნული ლექსემა არ ფიქსირდება სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებში, მაგრამ გვხვდება დავით ჩუბინაშვილთან – „ძველ-ძულების გამსყიდავი, ჩარჩი“-ს მნიშვნელობით.<sup>33</sup> თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მოცემულმა სიტყვამ შეიძინა, აგრეთვე „მეტიჩარა, მატრაკვეცა“ – ს მნიშვნელობაც.<sup>34</sup>

თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა არ გვხვდება. იგი წარმოადგენს ისტორიული ლექსიკის შემად-

26 Türkçe Sözlük, Ankara, 1969, 729.

27 Karşılaştırmalı Tütk Lehçeleri Sözlüğü, Ankara, 876.

28 ქეგლ, 238.

29 იქვე, 350.

30 მელიქსეთ-ბეგი, სომხურ ქართული ლექსიკონი, 115; სომხურ-რუსული ლექსიკონი, 244. ედ. აღიანი, თანამედროვე სომხ.ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 424.

31 სტ. მალხასიანცი, სომხ.ენის განმარტებითი ლექსიკონი, I I, 87.

32 Фасмер, II, 582., Turkce Sozluk. Ankara, 1969, 503; თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბოლი, 2001, 922.

33 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 679.

34 ქეგლ, 284.

გენელ ნაწილს, ფიქსირდება მხოლოდ პროფ. სტ. მალხასიანთან *masa* (მატრაბაზ) ფორმითა და შემდეგი მნიშვნელობით – ვაჭრობაში მატყუარა; თვალთმაქცი.<sup>35</sup>

## 7. მაშა

საკვლევი ლექსიკური ერთეული უკავშირდება ანალოგიური მნიშვნელობის მქონე თურქ. *maşa* ლექსემას.

მოცემული საკვლევი სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მისი წარმომავლობის მითითების გარეშეა წარმოდგენილი:

**მაშა** – ორად მოკეცილი იარაღი რისამე ჩასავლება, მოსაჭერად ან ასაღებად.<sup>36</sup>

იგი, როგორც აღვნიშნეთ, მომდინარეობს ამავე მნიშვნელობის მქონე თურქული *maşa* სიტყვიდან. მოცემული ლექსიკური ერთეული ფიქსირდება სულხან-საბა ორბელიანთან – „ცეცხლისა ასაღებელი, გინა თოფისა. თურქთა ენაა, ქართულად ტკეცი ეწოდების“<sup>37</sup>

ანალოგიური მნიშვნელობით არის შეტანილი იგი აგრეთვე ნიკო<sup>38</sup> და დავით<sup>39</sup> ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც.

პროფ. ბ. გიგინეიშვილის აზრით, აღნიშნული სიტყვა ძველ ქართულ ენაში გამოვლენილი არ არის და იგი ეტიმოლოგიურად შემოსული ჩანს თურქული ენიდან.<sup>40</sup>

საკვლევი სიტყვა, ამავე ფორმით *masa* [მაშა] და ლექსიკური მნიშვნელობით, გვხვდება სომხური ენის ყველა განმარტებით ლექსიკონში და მიჩნეულია დიალექტურ ფორმად. აღნიშნულს თურქულ ნასესხობად მიიჩნევს აგრეთვე პროფ. სტ. მალხასიანცი თავის ნაშრომში.<sup>41</sup>

## 8. ოინი

ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეული მომდინარეობს თურქული *oyun* “თამაში, ცეკვა; აგრეთვე – “სპექტაკლი, სცენა, ოინი, ხრიკი, ეშმაკობა“ სიტყვიდან.<sup>42</sup>

მოცემული სიტყვა თურქულ ნასესხობად არის მიჩნეული აგრეთვე თანამედროვე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ავტორების მიერ და მიეკუთვნება სასაუბრო ლექსიკას. მას აქვს შემდეგი მნიშვნელობები: 1. ეშმაკობა, ხრიკი, ფანდი, თვალთმაქცობა. // ცელქობა, ცუღლუტობა. // სერი. 2. ნარდის თამა-

35 მალხასიანცი, სომხ.ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, 270.

36 ქეგლ, 285.

37 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 449.

38 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 271.

39 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 682.

40 ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), 325.

41 მალხასიანცი, სომხ.ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, 258.

42 *Türkçe Sözlük*, Ankara, 1969, 578; მანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, 234.

შის ისეთი დაბოლოება, რომელიც მოგებულს ერთ ქულას სძენს (განსხვავებით მარსისაგან).<sup>43</sup>

აღნიშნული ლექსიკური ერთეული არ ფიქსირდება ნიკო ჩუბინაშვილთან და სულხან-საბა ორბელიანთან, მაგრამ დასტურდება დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში ოსმალური (ანუ თურქული) წარმომავლობის მითითებით და შემდეგი მნიშვნელობით – „თვალთმაქცობა“.<sup>44</sup>

როგორც ვხედავთ, თურქული მონოსემანტი ლექსემის სემანტიკური ველი თანამედროვე ქართულში გაფართოვდა და პოლისემანტად, ახალი მნიშვნელობებით დამკვიდრებულა.

ქართულის მსგავსად, იგივე თურქული ნასესხობა, ანალოგიური სემანტიკური დატვირთით, სომხურ ენაში იქნა [ოAინ] ფორმით არის წარმოდგენილი და დიალექტურ ლექსიკას მიეკუთვნება. აქვს შემდეგი მნიშვნელობები – „სერი, ხრიკი, ოინი“.<sup>45</sup>

ცნობას მოცემული ლექსიკური ერთეულის თურქული წარმომავლობის შესახებ ადასტურებს პროფ. სტ. მალხასიანცი.<sup>46</sup>

## 9. ოყა

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემული სიტყვა მისი წარმომავლობის მინიშნების გარეშეა წარმოდგენილი:

**ოყა** – ძველებური წონის ერთეული – უდრის 3 გირვანქას, ანუ დაახლოებით 1200 გრამს.<sup>47</sup>

აღნიშნული ლექსიკური ერთეული იმავე მნიშვნელობით გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის<sup>48</sup> და ნიკო ჩუბინაშვილის<sup>49</sup> ლექსიკონებშიც, ხოლო დავით ჩუბინაშვილი, სრულიად სამართლიანად, მას მიიჩნევს ოსმალურ (ანუ თურქულ) ნასესხობად.<sup>50</sup>

ცნობას, საკვლევი სიტყვის თურქული წარმომავლობის შესახებ, ვხვდებით პროფ. მზია ანდრონიკაშვილის ცნობილ ნაშრომშიც.<sup>51</sup>

როგორც ვხედავთ, ქართული „ოყა“ მომდინარეობს თურქული წონის ერთეულის აღმნიშვნელი სიტყვიდან **okka**: ძვ. წონის ერთეული დაახლოებით 1283 გრამი.<sup>52</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ლექსიკური ერთეული თურქული ენის დიალექტებში არ ფიქსირდება.

იგივე ნასესხობა ამავე მნიშვნელობით სომხურ ენაშიც ვლინდება ორი დიალექტური **hnjua** [ჰონხა] და **ojua** [ოხა] ფორმით.<sup>53</sup>

43 ქეგლ, 362.

44 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 993.

45 ედ. ალაიანი, თანამედროვე სომხ.ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1591.

46 სტ. მალხასიანცი, სომხ.ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, 608,

47 ქეგლ, 364.

48 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1,610.

49 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 325.

50 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1000.

51 მ.ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, 229.

52 T.S. Ankara, 1969, 566.

53 სტ.მალხასიანცი, სომხ.ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, 125; ედ.ალაიანი, II, 1587.

## 10. ჰაიდა

ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეული მომდინარეობს თურქ. **hayidi** / **hadi** სიტყვიდან, რომელსაც აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: – მოკლედ! აბა! წადი! ჰაიდა! მიდი! მოუსვი! კარგი!<sup>54</sup> ქართულ ენაში იგი დამკვიდრდა როგორც შორისდებული, ბოლოკიდური **i > ა** ბგერების მონაცვლეობით სიტყვის ბოლოში (**hayidi > ჰაიდა**).

მოცემული სიტყვა არ ფიქსირდება სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. გვხვდება დავით ჩუბინაშვილთან **ჰაიდა** ფორმითა და – წა, წადი, გამეცალე – მნიშვნელობით.<sup>55</sup>

აღნიშნული სიტყვა, ამავე ლექსიკური მნიშვნელობითა და ფორმით, ფიქსირდება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, სადაც მითითებულია აგრეთვე მისი თურქული წარმომავლობაც.<sup>56</sup>

ზემოთ მოხსენიებული თურქული სიტყვა დამკვიდრებულია აგრეთვე თანამედროვე სომხურ სალიტერატურო ენაში **հայդա** [ჰაიდა] // **հայդէ** [ჰაიდე] ფორმით და, ქართულისაგან განსხვავებით, წარმოადგენს როგორც შორისდებულს, ასევე ზმნიზედას – „მყისვე, სასწრაფოდ, უმალ“ – მნიშვნელობით.<sup>57</sup>

54 თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბოლი, 2001, 599; T.S, Ankara, 1969, 333.

55 დ.ჩუბინაშვილი, დასახ.ნაშრომი,1778.

56 ქეგელ, 590.

57 ედ.აღაიანი, 1,811; სტ.მალხასიანი, დასახ.ნაშრომი, 3, 37.

**Ramaz Gorgadze, Viktor Chikaidze**  
G. Tsereteli Institute of Oriental Studies

## COMMON WORDS OF TURKISH ORIGIN IN GEORGIAN AND ARMENIAN

The aim of the article is to present and analyze Georgian-Armenian general lexical units of Turkish origin. The actual material is taken from the dictionaries of the languages researched.

The reviewed lexemes are not revealed in the old Georgian language. Some of them are not confirmed even in the Dictionary of Sul Khan-Saba Orbeliani, but are met in the dictionaries of Niko and David Chubinashvili:

1. ბაიყუშ-ი	բայղուշ	< Turk. baykuş
2. ბასტურმა	բաստուրմա	< Turk. pastırma
3. ბაქმაზ-ი	բաքմազ	< Turk. bekmäs
4. დამბანა	դաբանչա	< Turk. tabanca
5. თარსი	Թարս	< Turk. ters
6. მატრახაზ-ი	մատրաբაզ	< Turk. madrabaz
7. მაშა	մაշა	< Turk. maşa
8. ოინი	օյին	< Turk. oyun
9. ოყა	հոխა / ოխა	< Turk. okka
10. ჰაიდა	հაიჟა / հაიჟէ	< Turk. hayidi / hadi

### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. ანდრონიკაშვილი, მ. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, II, ნაწილი პირველი. თბილისი, 1996.
2. ალაიანი, ედ. *თანამედროვე სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I-II. ერევანი, 1976 (სომხურ ენაზე).
3. აჭარიანი, ჰრ. *სომხური ენის ძირთა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, I-IV. ერევანი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971-1979 (სომხურ ენაზე).
4. მალხასიანი, სტ. *სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი*, I-IV. ერევანი: სომხ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1944-1945 (სომხურ ენაზე).
5. მელიქსეთ-ბეგი, ლ. *სომხურ-ქართული ლექსიკონი*. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გამომცემლობა „ნეკერი“, 1996.
6. ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*. I-II. თბილისი: მერანი, 1991.
7. რუხაძე, ლ. *თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში*. თბილისი: მწიგნობარი, 2013.
8. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ)*, I-VIII. მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა, თბილისი: მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1950-1964.
9. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ)*, ერთტომეული. მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა, თბილისი: მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1986.
10. ჩუბინაშვილი, დ. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*. მოამზადა აკ. შანიძემ, თბილისი: საბჭოთა საქართველი, 1984.
11. ჩუბინაშვილი, ნ. *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ*. რედ. ალ. ლლონტი. თბილისი: საბჭოთა საქართველი, 1961.
12. *Армяно-русский словарь*. სომხ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ერევანი, 1984.
13. *Турецко-Русский словарь*. Под. ред. А.Н. Баскакова и др., Москва: Русский язык, 1977.
14. Фасмер. *Этимологический словарь русского языка*, I-IV. Москва: “Прогресс”, 1964-73.
15. *Türkçe Sözlük*, I-II cilt. TDK, Ankara, 1988.
16. *Türkçe Sözlük*. Ankara, 1969,
17. *Karşılaştırmalı Türk Lehçeleri Sözlüğü*. Ankara, 1991.
18. *Resimli Türk Dili Sözlüğü*. Istanbul, Arkin Kitabevi, 1967.

## მანანა გოცირიძე<sup>†</sup>, მარინა მეფარიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### შენიშვნები სემიტური ოთხთანხმოვნისა ზმნური ძირების თაობაზე

მრავალთანხმოვნისა ძირების წარმომავლობისა და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი სემიტოლოგიაში საბოლოოდ გადაჭრილ პრობლემათა რიგს არ განეკუთვნება. ამ მხრივ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. მათი მცირე ნაწილი სემიტურ ზმნურ სტრუქტურაში დამკვიდრებული სამთანხმოვნის დომინაციას მეორეულ მოვლენად მიიჩნევდა და მესამე რადიკალს კომპლემენტარულ ელემენტად განიხილავდა. ამგვარ მიდგომას შეესატყვისება ფ. დე სოსიურის ერთი შეხედვით პარადოქსული გამონათქვამიც: „სემიტურთან დაკავშირებით აღვნიშნავდით, რომ სამი თანხმოვნის კანონი არცთუ ისე დამახასიათებელია ამ ოჯახისთვის.“<sup>1</sup> ამის საპირისპიროდ, მეცნიერ-სემიტოლოგთა უმრავლესობა ტრიკონსონანტიზმს სემიტური ენების ტიპოლოგიის ფუნდამენტურ ნიშნად წარმოადგენს არა მხოლოდ მათი აბსოლუტური რიცხოვრივი უპირატესობის გამო თანხმოვანთა სხვა რაოდენობის შემცველ ძირებთან შედარებით, არამედ სემიტურ მორფოლოგიურ სისტემაში მათი ფუნქციონირების გათვალისწინებით. საგულისხმოა, რომ სემიტური ენების მორფოლოგია ჩამოყალიბდა სწორედ სამთანხმოვნის ბაზაზე.<sup>2</sup> ვოკალიზაციის სისტემა, რომელიც ტრიკონსონანტიზმის საფუძველზე განვითარდა, ავტომატურად გავრცელდა ამჟამად არსებულ ოთხ და ხუთთანხმოვნიან ძირებზე. „სემიტური ზმნის სისტემა – წერდა ა. ჰეიდელი, – აგებულია არა უპირატესად, არამედ მხოლოდ სამთანხმოვნიან ზმნაზე. ოთხთანხმოვნიან ზმნებს არ გამოუვლენიათ არავითარი ტენდენცია საკუთარი სისტემის შექმნისა, არამედ მოერგნენ სამთანხმოვნიანთა გაფართოებულ წარმოებას.“<sup>3</sup> ამ მოსაზრებას ჩვენც სრულად ვიზიარებთ.

სემიტური და, კერძოდ, ებრაული ძირის ფუნქციონალურ სამთანხმოვნიანობას განაზავდნენ ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ებრაელი გრამატიკოსები, მოკიდებული იყვნენ ბენ პაიუჯიდან (ახ. წ. X ს.). ტრიკონსონანტიზმი, როგორც სემიტური ენების ტიპოლოგიის ფუნდამენტური ნიშანი, აღიარებულია შუა საუკუნეების ებრაელი გრამატიკოსების შრომებში, თუმცა რიგ ებრაელ გრამატიკოსებთან, სახელდობრ, საადია ბენ იოსეფთან, არ იყო უგულვებელყოფილი სამთანხმოვნიანების გვერდით ერთთანხმოვნიანი, ორ-, ოთხ – და ხუთთანხმოვნიანი ძირების არსებობაც.<sup>4</sup> თანამედროვე კონტექსტში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისრაელელი ლინგვისტის ი. იანაის ვრცელი წერილი „მრავალ-

1 ფ. დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი (თარგმანი ც. ბიბლიევილისა). თბილისი: დიოგენე, 2002, 237.

2 Б. М. Гранде Введение в сравнительное изучение семитских языков. Москва: «Восточная литература» РАН, 1972, 178.

3 A. Heidel, The System of the Quadrilateral Verb in Akkadian. Chicago: University of Chicago Press, 1940, 134.

4 G. E. Weil, Un Essai d'Analyse Quantifiée. Trilateralite Fonctionnelle ou Bilateralite Fondamentale. Des Racines Verbales Hébraïques. „Revue d'Histoire et de Philosophie Religieuses“, 3-4, Strasbourg, 1979, 284.

თანხმოვნის ზმნები ებრაულ ენაში<sup>5</sup> რომელიც კლასიკურსა და თანამედროვე ებრაულში გამოვლენილი 4 – და 5-თანხმოვნის ზმნური ლექსემების სისტემატიზაციის პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს.

წინამდებარე სტატიის მიზანია სხვადასხვა სემიტურ ენებში დადასტურებული ოთხთანხმოვნის ზმნური ძირების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის შედეგების წარმოჩენა. ძირითადი ყურადღება ეთმობა თანამედროვე ებრაული ოთხთანხმოვნის ზმნური ძირების სტრუქტურულ-სემანტიკურ კლასიფიკაციას. ამასთანავე, საკითხი განხილულია საერთო სემიტურ კონტექსტში მონათესავე ენების შეპირისპირებითი მასალის გათვალისწინებით. ებრაული ენის საილუსტრაციო მასალა ექსცერპირებულია როგორც თარგმნითი, ისე ებრაული ენის განმარტებითი ლექსიკონებიდან. სხვა სემიტური ენების მონაცემები კი აღებულია ამ ენათა ორენოვანი ლექსიკონებიდან. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თანამედროვე ებრაულში მრავალთანხმოვნიან ზმნურ ძირთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, სადაც ოთხთანხმოვნის ზმნების რიცხვი საგრძობლად აღემატება ამავე ტიპის ლექსემების რიცხვს კლასიკურ ენაში. დავიმოწმებთ ვეილის შრომას, რომელშიც წარმოდგენილია ბიბლიის ებრაულში ფიქსირებული 1378 ზმნური ძირის ავტომატური დამუშავების და ანალიზის შედეგები.<sup>6</sup> გათვალისწინებულია 1339 სამთანხმოვნის და 39 ოთხთანხმოვნის ზმნა, რომელთა პირიანი ფორმებიც დასტურდება ბიბლიის ტექსტში. შედარებისათვის შევნიშნავთ, რომ თანამედროვე ებრაულში გვხვდება 1200-ზე მეტი ოთხთანხმოვნის ზმნური ძირი, მაშინ როცა, იანაის ცნობით, სულ 2700-მდე ზმნური ძირია რეგისტრირებული.<sup>7</sup> ანალოგიური ტენდენციები სხვა სემიტურ ენებშიც შეინიშნება, განსაკუთრებით, არაბულში.

ვიდრე უშუალოდ განსახილველ თემაზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხოთ ოთხთანხმოვნის ძირების წარმომავლობისა და ფორმირების საკითხს. ეჭვს არ იწვევს, რომ ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ორ – და სამთანხმოვნის ძირების სხვადასხვა ხერხით გაფართოების შედეგი.<sup>8</sup> ამ ხერხთაგან ყველაზე პროდუქტიულია ორთანხმოვნის ძირის რედუქლიკაცია ( $xy > xyxy$ ), ასევე სამთანხმოვნის ძირზე მეოთხე ძირეულის დამატება. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მესამე გაორმაგებული ძირეული ( $xyz > xyzxz$ ), ან პირველსა და მეორე რადიკალს შორის ჩართული სონორი ( $x-r-yz$ ). ოთხთანხმოვნის ზმნური ძირების ამგვარი ფორმირების მოდელები დასტურდება ყველგან, როგორც კლასიკურ (არაბული, არამეული, ეთიოპური), ასევე თანამედროვე პერიფერიულ ენებში.

თავდაპირველად წარმოვადგინოთ თანამედროვე ებრაულ ენაში დადასტურებული ვითარება, პარალელურად განვიხილოთ მონათესავე სემიტური ენების შეპირისპირებითი მასალა, რაც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს, ერთი მხრივ, სხვა სემიტური ენებისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციები, მეორე მხრივ კი წარმოჩინდეს საკუთრივ თანამედროვე ებრაულის კუთვნილი ნიშან-თვისებები. ოთხთანხმოვნის ზმნური ძირების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს ექვსი ჯგუფი, სადაც გადანაწილდება ამგვარი ზმნური ძირები როგორც ფორმის, ასევე შინაარსის

5 Y. Yanay, Pealim merube-icurim balaðon haivrit. "Leðonenu", 38, Jerusalem, 1974, (ებრაულ ენაზე).  
6 Weil, op. cit., 281.  
7 Yanay, op. cit., 120.  
8 Гранде, op. cit., 166-176.



გათვალისწინებით. მათი უმრავლესობა ორ და სამთანხმოვნიაანი ზმნური ძირე-ბიდანაა ნაწარმოები. შედარებით მცირეა ოთხთანხმოვნიაანი ნასახელარი ზმნე-ბის რაოდენობა. აღნიშნული ზმნური ძირების ფორმირებისთვის გამოყენებუ-ლია რამოდენიმე ხერხი, რომელთა შორისაა: ორთანხმოვნიაანი ზმნური ძირების რედუქლიკაცია, სამთანხმოვნიაანებზე მეოთხე ძირეულის დამატება ან მესამე რადიკალის გაორმაგების გზით, ან პირველსა და მეორე (შესაძლოა, მეორესა და მესამე) რადიკალს შორის მეოთხე, უპირატესად სონორი თანხმოვნის ჩართვით, ამავე მიზნით გამოიყენება აფიქსალური წარმოებაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ აღარ აქვთ პრეფიქსების გაგება, მათი თანხმოვნური ნაწილი ალიქმე-ბა როგორც პირველი ძირეული კონსონანტი ოთხთანხმოვნიაანი ზმნისა. ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი ონომატოპოეტური ლექსიკური ფენა სწორედ სემანტი-კური ფაქტორის გათვალისწინებით მიუხედავად იმისა, რომ ფორმირების მხრივ ისინი აბსოლუტურად ემთხვევა პირველ ჯგუფში შემავალ ზმნებს, რადგან ისინი იწარმოება ორთანხმოვნიაანი ზმნური ძირების რედუქლიკაციით. ამჯერად მოკ-ლედ განვიხილოთ ექვსივე ჯგუფი ცალ-ცალკე:

1. ოთხთანხმოვნიაანი დევერბალური ზმნებიდან ყველაზე მაღალი პროცენ-ტი მოდის Pilpel ტიპის ერთეულებზე, რომლებსაც ხშირად ინტენსივის თემის ალტერნატიულ ფორმებად განიხილავენ.<sup>9</sup> ამ ყველაზე პროდუქტიული მოდე-ლით ნაწარმოები ზმნები მიღებულია უმთავრესად გემინირებული ძირებისაგან. მაგალითად, bilbel „შეაცბუნა, დააბნია“ (< bll), dildel „დაასუსტა გამოფიტა“ (< dll), dirder „ფანტავდა“, migmeg „მოურია, შეურია“ (< mgg), qilqel „გააფუჭა“ (< qll). რიგ ზმნებს ორ-ორი კორელატი ეძებნება. მაგალითად, țimțem „გონება დაუჩლუნგა“; შდრ. țamam „თავი დაუტო“ და țmh: nițma (h-ზე დაბოლოებული ძირი) „დაჩლუნგდა“. nidned „გააქანა, შეარყია“ დაიყვანება ndd და II სუსტი ძირეულის შემცველ nwd ძირებზე (მნიშვნელობა საერთოა: „დაეხეტებოდა, ყა-რიბობდა“). Pilpel მოდელით გაფორმებული ზმნები, რომლებიც უმრავლეს შემ-თხვევაში სემანტიკურად ძალიან ახლოს დგას ამოსავალ ზმნურ ლექსემებთან, ძირითადი ფორმის გარდა გვხვდება პასივისა და რეფლექსივის ფორმებში. მაგა-ლითად, zilzel „დაამცირა“, zulzal „დამცირებული იყო“, hizdalzel „თავს იმცირებ-და“. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს აღნიშნული მოდელის პროდუქტიულობას ებრაულში, რაც გამოიხატება არა მარტო საწყისი ფორმების რაოდენობრივ სიმ-რავლეში, არამედ ასევე ფუნქციონალურ მრავალფეროვნებაში, ვინაიდან მათ ხშირ შემთხვევაში ნაწარმოები თემებიც მოეპოვებათ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, თანამედროვე ებრაულში შენიშნული სტრუქ-ტურულ-სემანტიკური მახასიათებლები უცხო არ არის მონათესავე სემიტური ენებისთვისაც. ნათქვამის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამოდენიმე მაგა-ლითს: არამეული: hazbez (bzbz) „გაფლანგა, გაანიავა ქონება“ უკავშირდება ძირს (bz) bezaz „გაძარცვა“, არაბული: hazbaza „წართვა და თან წაიღო“ > bazza „წართვა“; ჰარსუსი (ახალი სამხრ. არაბ.): damdama „შეხებით შეიგრძნობდა, ხელის ცეცებით მიდიოდა“ > damma „ირგვლივ ყველაფერს გულდასმით ათვა-ლიერებდა, ამოწმებდა“; ამჰარული: rabarraba „დაახვავა, ერთმანეთზე ზედ და-ალაგა შემა“; შდრ. ძირი (rb) „რიგში ჩააწყო“; dafaddafa „ძალმომრეობდა, ძალას

9 კ. წერეთელი, ბიბლიის ებრაული (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბი-ლისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001, 107; Л. В., Малыгина Четырѣхбуквенность, как средство выражения интенсивности у удвоенных глаголов в семитских языках. Уч. зап. ЛГУ, №374, серия востоков. наук, вып. 17, Л., 1974, 30.

იყენებდა“ ტიგრე *dafdafa* „გულდასმით რეცხავდა ტანსაცმელს, მთელი ძალით ჭმუჭნიდა რეცხვისას“; არაბ. *taktaka* (*tktk*) 1. „ფეხი დაადგა, ფეხით თელავდა: 2. წიკწიკებდა, წკარუნობდა; 3. დულდა, თუხთუხებდა“ შდრ. მსგავსი სემანტიკის, ოლონდ ნაკლები ინტენსივობის მნიშვნელობებს: < *takka* „1. ფეხით თელავდა; 2. ხმებს გამოსცემდა; 3. დამაჭრდა ყურძენი“ და ა.შ.

2. მეორე ჯგუფში შემაჯავალი ზმნები შინაარსობრივად ახლოს დგას ზემოთ-განხილულ რედუპლიკაციით ნაწარმოებ ძირებთან, რის გამოც მათ განვიხილავთ როგორც ინტენსიური რედუპლიკაციის სახესხვაობას. პირველ ჯგუფში შემაჯავალი ზმნებისგან ისინი განსხვავდებიან ორი ნიშნით, კერძოდ, მათ რაოდენობრივად, გავრცელების ხარისხითაც ჩამორჩებიან და ფორმირების სხვა მოდელსაც გვიჩვენებენ. სახელდობრ, ისინი შესაძლებელია დახასიათდნენ როგორც სამთანხმონიანი ძირის მესამე ძირეულის გამეორებით ნაწარმოები დევერბალური ზმნები (*xyzz* ტიპისა). სემანტიკური თვალსაზრისით ისინი უმეტესად თანხვედბა ამოსავალ სამთანხმონიან ზმნებს, ერთეულ შემთხვევებში კი ეძებნებათ მათგან განსხვავებული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტები (მაგ.: *sifrer* „დანომრა“ < *safar* „დათვალა“), საინტერესოა, რომ ამ ხერხით ნაწარმოებ რამოდენიმე ზმნას აერთიანებს დამატებითი, მოდიფიკაციური სემა, რომელიც მოქმედებას გამეორებული, წყვეტილი პროცესის სახით წარმოგვიდგენს, როგორც დროში განფენილს და თავის გამოვლენაში შესუსტებულს. მაგალითად, *'irreq* „დროდადრო აჭრაჭუნებდა, ჭრაჭუნი გაჰქონდა“ < *'araq* „დაიჭრიალა“;

ფორმალური და სემანტიკური თვალსაზრისით იდენტური ოთხთანხმონიანი ზმნური ძირები უცხო არ არის სხვა სემიტური ენებისთვისაც. მათი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც, ისევე როგორც თანამედროვე ებრაულში, შედარებით ჩამორჩება ინტენსიური რედუპლიკაციით ნაწარმოები ზმნების რიცხვს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ხერხით მიღებული ზმნები რედუპლიცირებულ ძირებთან ერთად თანამედროვე სამხრეთარაბულ ენებში ხმაბაძვითი ზმნური შინაარსის გადმოსაცემდაც გამოიყენება, მაგ. ჰარსუსი: – ონომატოპოეტური ლექსემები: (*bxr+r*) *bexeror* „ყელისმიერ ხმებს გამოსცემდა (აქლემი)“, (*nrx-r*) *enxeror* „ხვრინავდა, ხროტინებდა“, იმავე ენაში (გაძლიერებული მოქმედების სემანტიკით): *hewleb* „მთელი ძალით დააწვა ნუშისებრ ჯირკვლებს, ჩაჭყლიტა“, ეთიოპ.: (*tnqq*) *tanqaqa* „ზუსტი იყო“, შდრ. (*tnq*) *tanaqa* „ყურადღებით შეისწავლა, დაათვალიერა“, არაბული: (*šmll*) *šamlala* „მკვირცხლი, მოხერხებული იყო“, შდრ. (*šml*) *šamala* „გარს შემოერტყა, მოიცვა“.

3. მომდევნო ჯგუფს შეადგენენ ზმნები, რომლებიც ნაწარმოებია ტრიკონსონანტური ძირებისაგან მეოთხე თანხმონის ჩართვით. სამძირეულიანი ფუძეები ჩვეულებრივ გავრცობილია სონორი თანხმონებით, უფრო ხშირად *r*-თანხმონით. აქ ორი შემთხვევა გვაქვს: ა. მეოთხე თანხმონიანი ჩართულია პირველი ძირეულის შემდეგ (*x - r - yz*) და ბ. მეოთხე თანხმონიანი მოსდევს მესამე რადიკალს (*xyz - r/m/l*). პირველი ქვეტიპის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ თანამედროვე ებრაულის რამდენიმე მაგალითს: *sirbel* „დაამძიმა, დატვირთა“ შდრ. < *sbl*: *saval* „ტვირთს ატარებდა, ითმენდა, იტანდა“, *qirtem* „მოახლიჩა, წააჭრა წვერი“ < *qatam* „მოჭრა (რისიმე წვერი)“, *pirqes* „სახეს იღებავდა, გრიმს იკეთებდა“ < *pqs*: *piqes* „ლოყებზე ფერს ისვამდა“, *pirneq* „ანებივრებდა, ელოლიავებოდა“ < *pnq*: *pineq* (იგ. მნიშ.); *zil'ef* „შეარყია, შეძრა, შეაძრწუნა“ < *za'af* „წყრებოდა, ჯავრობდა“, *'ilhev* „გაახურა, გაავარვარა“ < *'ahav* „ბრწყინავდა, ელვარებდა“ ბოლო ორ მაგალითში ძირი გავრცობილია *l* ლატერალური სონორით. მეორე ქვეტიპის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შემდეგ მაგალითებს:

qinṭer „აღიზიანებდა, აბრაზებდა“ <qnt: hiqniṭ, „გააჯავრა, გააბრაზა“; ʾirbel; 1) „ურევდა (მაგ., ბეტონს)“; 2) „აურ-დაურია“ < ʾrb: ʾerav „შეურია, გაურია“; girdeṃ „მოჩენა, მოჭრა (ტოტები და მისთ.) < garad „კაწრავდა, ხეხავდა“. დამატებით შევნიშნავთ, რომ ამგვარი მოდელით ნაწარმოები ოთხთანხმოვნისაა ზმნების რაოდენობა მცირეა, სემანტიკურად ისინი ახლოს დგანან ამოსავალ სამთანხმოვნისაა ძირებთან, თუმცა მათში გადმოცემული მნიშვნელობები მოქმედებას უფრო გაძლიერებულად, ინტენსიურად წარმოაჩენს, ზოგჯერ კი კაუზაციასაც შეიცავს. აღწერილი მოდელი გვხვდება მონათესავე სემიტურ ენებშიც, სადაც ებრაულის მსგავსად, იგი მაღალი პროდუქტიულობით არ გამოირჩევა. მოვიტანთ რამოდენიმე მაგალითს: ჰარუსი (ახალი სამხრ. არაბ.) (s-r-fq) asarfeq „ტაშს უკრავდა გამალებით“, უკავშირდება შესაბამის სამთანხმოვნისაა ძირს <(sfq) safeq იდენტური მნიშვნელობით; ძირი (brkʾ) barkaʾ „თავს დაესხა, აგრესია განახორციელა“; არამეული: (srbl) sarbel „დაფარული იყო ტანსაცმლით, ტანსაცმელში იყო გახვეული“ შდრ. <(sbl): sebal „ტვირთს ატარებდა, დატვირთული იყო“, არაბული: (hmlq) hamlaqa „თვალბედაჭყეტილი, გაოგნებული სახით იყურებოდა“ < (hmq) hamaqa „ბრიყვი, სულელი იყო“; (snbl) sanbala „ამოიყარა თავთავი, აჯეჯილდა“, შდრ. ძირი (sbl) , რომელიც I თემში არ გვხვდება, IV თ. ერთ-ერთი მნიშვნ. „ამოიყარა თავთავი, აჯეჯილდა“; ძირი (bršm) barsama „თავს ცუდად გრძობდა, ცუდად გამოიყურებოდა“ შდრ. (bšm) bašama „ზედმეტად გამოძლა, ველარ იტანდა საკვებს“ და სხვ.

4. ამ ჯგუფში შემავალი ზმნები განცალკევებით დგანან, რადგან ფორმირების თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავდებიან ზემოთგანხილული ზმნური ჯგუფებისაგან. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, რომელთა ოთხთანხმოვნისაა მიიღწევა ფუძის შინაგანი ცვლილებით, šifʾel, ʾifʾel და tifʾel ტიპის ოთხკონსონანტიანი ზმნები პრეფიქსალურ წარმოებას გვიჩვენებენ, (პრეფიქსებია šī-, ʾi-, ti-), თუმცა ისინი უკვე აღარ მოიაზრებიან მორფოლოგიურ დერივაციულ ან ფლექსიურ ელემენტებად, მათი თანხმოვნური შემადგენელი (š ʾ t) კი გაგებულია როგორც ოთხთანხმოვნისაა ზმნური ძირების პირველი რადიკალი. ამგვარ ზმნებს შინაარსობრივად უმთავრესად კაუზაციის გაგება აქვთ, ისინი ხშირ შემთხვევაში იმეორებენ სათანადო მორფოლოგიური კაუზაციების მნიშვნელობებს. ამიტომ მორფოლოგიური კაუზაციებისგან განსხვავებით, რომლებსაა დაც ებრაულში Qal-იდან ნაწარმოები Piʿel და Hifʾil თემები ითვლებიან, აღნიშნული ოთხთანხმოვნისაა ზმნები ე.წ. „ლექსიკურ კაუზაციებად“ მიიჩნევიან.<sup>10</sup> ისინი ლექსიკონებში დამოუკიდებლადაა განლაგებული როგორც ოთხთანხმოვნისაა ზმნური ძირები. ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული ხერხით ნაწარმოები ზმნები, როგორცაა მაგალითად: šihrer „გაათავისუფლა“, šifʾber „ებრაიზაცია მოახდინა“, šintaʿ „გადარგო“, ʾivhen „დიაგნოზი დაუსვა“, ʾixzev „იმედი გაუცრუა, მოატყუა“, tifʾel „ამოქმედა, ექსპლუატაციაში შეიყვანა“, tidleq „საწვავი ჩაასხა“, tingen „ინსტრუმენტირება მოახდინა, საკრავებზე გადაიტანა“, როგორც უკვე აღინიშნა, მათ უმთავრესად კაუზაციის გაგება აქვთ.

მოკლედ უნდა შევხებით šī-, ʾi-, ti – პრეფიქსების წარმომავლობის საკითხსაც. ისინი ებრაულში შემოსულია მონათესავე სემიტური ენებიდან, სადაც ფუნქციონირებენ როგორც სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების ნაწარმოებელი მორფემები. ასე მაგალითად, ინიციალურ პოზიციაში მყოფი „შინი“ ეტიმოლოგი-

10 M. Gotsiridze, Morphological and Lexical Causatives in Modern Hebrew. Jubilee Volume dedicated to the 80-th anniversary of Konstantin Tsereteli; Tbilisi, 2003, 84-86.

ურად მომდინარეობს აქადურიდან, სადაც იგი კაუზატივის მაწარმოებელი პრეფიქსია და ებრაულში არამეულიდან არის შეთვისებული, ისევე როგორც 'ifel მოდელის თავკიდური „აღეფი“, რომელიც გამოხატავს კაუზატივს არაბულში ('a-f'ala IV კაუზატივის თემა fa'ala – დან) და სირიულ-არამეულში, პრეფიქსალური t კი კონსონანტური ელემენტია სახელური ta – თავსართისა, რომელიც ებრაულში ნაზმნარი სუბსტანტივების მაწარმოებელ ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ დერივაციულ მორფემად გვევლინება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია იმის დაშვება, რომ ამგვარი წარმოებით მიღებული ოთხთანხმოვნიანი ზმნები სხვა სემიტურ ენებში არ უნდა მოგვეპოვებოდეს და ისინი მხოლოდ ებრაულისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მოვლენად მივიჩნიოთ, თუმცა საქმე სხვაგვარადაა, ამგვარი ფაქტები სხვაგანაც დასტურდება; ბ.მ. გრანდემ ანალოგიური მოვლენა არაბულსა და არამეულშიც შენიშნა და აღწერა,<sup>11</sup> რასაც ჩვენც ვეთანხმებით. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ არაბულის მაგალითებს. აქ დასტურდება გარკვეული რაოდენობა ოთხთანხმოვნიანი ზმნებისა, რომლებიც მიღებულია არაბული სამთანხმოვნიანი ძირებიდან მათზე არაარაბული პრეფიქსების დართვით, კერძოდ, გამოყენებულია ებრაული ha – და ეპიგრაფიკული სამხრეთარაბული (მინეური) sa – პრეფიქსები. იმ ენებში ისინი კაუზატივს აწარმოებენ, ხოლო არაბულში მათი თამხმოვნი ნაწილი გაგებულია როგორც ოთხთანხმოვნიანი ზმნის პირველი ძირეული. მაგ.,: (ძირი hrđm) hardama „დაანგრია, გაანადგურა“ <(rdm) radama „ძირს დასცა“; (hzlg) hazlaga „მკვირცხლად მირბოდა (სირაქლემა)“ <(zlg) zalaga „სწრაფად მიდიოდა“; (hrkl) harkala „ამაყად გაფხორილი დააბიჯებდა, დააბოტებდა, ღირსეულად მოჰქონდა თავი“ < (rkl) rakala „ფეხი დაჰკრა“; (slmg) salmaga „ნელა ყლაპავდა“ <(lmg) lamaga „წოვდა“; (sqlb) saqlaba „გადააყირავა, თავდაყირა დააყენა, გადააბრუნა“ < (qlb) qalaba „გადააბრუნა“. მოტანილ მაგალითებში ჩანს მოქმედების გაძლიერებული, ინტენსიური ან იძულებით-კაუზალური შინაარსი. შეიძლება დავასკვნათ, რომ აღწერილი მოვლენაც სემიტური ენებში არსებულ საერთო ტენდენციებზე უნდა მიუთითებდეს.

5. სემანტიკური ფაქტორის გათვალისწინებით შესაძლებელია ცალკე ჯგუფად გამოიყოს ონომატოპოეტური ზმნური ლექსემები, ისინი პირველი ჯგუფის ზმნების მსგავსად ორთანხმოვნიანი ძირების რედუქციკაციითაა ნაწარმოები. ონომატოპოეტური რედუქციკაციით ნაწარმოები ზმნები მათ მიერ გადმოცემული მნიშვნელობის მიხედვით ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: ა. ზმნები, რომლებიც გადმოსცემენ ადამიანის პირისა და ცხვირის მიერ წარმოებულ ბგერით ფიზიოლოგიურ პროცესებს, მაგალითად, mi'me' „წოვდა, წუწნიდა“, liqleq „სვლეპდა“, hirher „ახველებდა, ყელს იხეხავდა“, pitpet' „ყბებობდა, ლაყბობდა“ და ბ. საკუთრივ ხმაბაძვითი ზმნები, რომლებიც წარმოადგენენ გარე სამყაროს ხმების (ცხოველთა და ფრინველთა ხმები, ორი საგნის ხახუნით მიღებული ხმები, ფოთლების შრიალი და მისთ.), აგრეთვე ადამიანის არასამეტყველო ორგანოების მიერ გამოცემულ ბგერათა მიბაძვას. მაგალითად, biqbeq „ბუყბუყებდა“, ri're' „რაკრაკებდა, ჩუხჩუხებდა“, rišreš „შრიალებდა, შარიშურობდა“, zimzem „ბზუოდა, ზუზუნებდა“. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ზმნების ნაწილს ძირითად ფორმასთან ერთად მოეპოვება პასივი და რეფლექსივი. მაგალითად, gimgem „ჩიფჩიფებდა, ბუტბუტებდა“ ვნ. gumgam, mi'me' „წოვდა, წუწნიდა“ // რეფლ. hitma'me' „სიამოვნებისაგან ტუჩებს ილოკავდა“. არცთუ იშვიათად რედუქციკ-

11 Гранде, op. cit., 168-169.

რებულ ონომატოპოეტურ ლექსებებს ეძებნება სინონიმები მონათესავე ძირები-საგან წარმოებულ სხვა ტიპის ზმნებს შორისაც. (მაგ.: liqleq - laqaq „სვლედა“; 'il'el - 'alal „წვრიალებდა, რეკავდა, kihkeah - kwḥ: kaḥ „ახველებდა, ნახველს იღებდა“; himhem - hama(h) „ბუტბუტებდა, ბუზლუნებდა“). დავძენთ, რომ ამგვარი ზმნური ლექსებები მოტივირებულობის ძალზე მაღალი ხარისხით გამოირჩევიან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ონომატოპოეტური რედუქციკაციით ნაწარმოები ზმნები დიდი ოდენობით მოგვეპოვება სხვა სემიტურ ენებშიც, ამიტომ ეს მოვლენა სემიტურ ენათა ოჯახის საერთო მახასიათებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ. აქვე წარმოვადგენთ რამდენიმე ილუსტრაციას: ტიგრე(ჩრდილოეთითო.): balbala „კაკუნობდა, ხმაურობდა, გრუხუნებდა“; უკავშირდება ძირს bala „წარმოთქვამდა, ამბობდა, მღეროდა, ესალმებოდა“ არაბული: masmasa „წოვდა, წუწნიდა“ და „ყელს ივლებდა“ (შდრ. massa „წოვდა, წუწნიდა“), baqbaqa „ბუყბუყებდა (ითქმის წყალზე)“; აგრეთვე „განუწყვეტლივ ყბედობდა“; zamzama ბურდლუნებდა, ლულლუნებდა; გუგუნებდა, გრუხუნებდა, ხმაურს გამოსცემდა; barbara „ყვიროდა, ხმაურობდა; ბუზლუნებდა, ბურდლუნებდა, ბუტბუტებდა“; ჰარსუსი: gargara „ხრიალებდა, ყელისმიერ ხმებს გამოსცემდა“; barbara „ლულლუნებდა, გაუგებარ ბგერებს გამოსცემდა“; dafdafa „ჩქარ ტაშს სცემდა“; dagdaga „აკაკუნებდა, კაკუნით ხმაურობდა“ და სხვ. ონომატოპოეტური რედუქციკაციით ნაწარმოები ზმნების ჩამოთვლა შეიძლება გაგრძელდეს, დამატებით კი შევნიშნავთ, რომ ჰარსუსიში ხმაბაძვითი ზმნები სხვა ხერხითაც იწარმოება, კერძოდ, გამოყენებულია სამთანხმოვნისანი ზმნების ბოლო ძირეულის გაორმაგება ან ძირის შიგნით მეოთხე თანხმოვნის ჩართვა, რაზედაც ზემოთ, თანამედროვე ებრაულის მეორე და მესამე ჯგუფზე მსჯელობისას მივუთითებდით.

6. ბოლო ჯგუფში გაერთიანებულია დენომინატიური ზმნები, რომლებიც ამოსავალი ფუძის წარმომავლობისა და შედგენილობის მიხედვით საკმაოდ მრავალფეროვანია. ისინი ნაწარმოებია საკუთრივ ებრაული ოთხკონსონანტიანი სახელური ფუძეებისაგან, სხვა სემიტური (უმთავრესად არამეულიდან) თუ არასემიტური წარმომავლობის (უმთავრესად ბერძნული), აგრეთვე ევროპული ენებიდან შეთვისებული სახელებისაგან, რომლებიც ე.წ. ინტერნაციონალიზმებს მიეკუთვნება. შესაბამისად, ისინი შეიძლება ოთხ ქვეჯგუფად წარმოვადგინოთ, კერძოდ, ა. ზმნები, რომლებიც ნაწარმოებია საკუთრივ ებრაული ოთხკონსონანტიანი სახელური ფუძეებისაგან. მაგ.: 'ilmen „დააქვრივა“ < 'alman „ქვრივი“, gir'en „გამოკურკა, გამომარცვლა“ < gar'in „მარცვალი, თესლი“, hitparḥaḥ „ბავშვივით იქცეოდა“ < pirḥaḥ „ყმაწვილი, ბავშვი“; ბ. რომლებიც მომდინარეობენ სხვა სემიტური ენებიდან (უმთავრესად არამეულიდან) ნასესხები სახელებისაგან, რომელთა ნაწილი სრულად არის ადაპტირებული ებრაულში. მაგ.: pirqen „განმუხტა, გაათავისუფლა (შეკავებული ემოციისაგან)“; < purqan „განთავისუფლება, ხსნა“(არამ.); mirkez „ცენტრალიზაცია მოახდინა“ < merkaz „ცენტრი“(არაბ.); გ. რომლებიც მომდინარეობენ არასემიტური წარმომავლობის (უმთავრესად ბერძნული) სახელებისაგან, რომლებიც აღარ აღიქმება ნასესხობებად. მაგ.: 'imbeṭ „აბაზანაში აბანავებდა“ < 'ambaṭ „აბაზანა“, singer „ვექილი იყო, იცავდა (სასამართლოში)“ < sanegor „ვექილი, დამცველი“ და დ. ევროპული ენებიდან შეთვისებული სახელებისაგან, რომლებიც ე.წ. ინტერნაციონალიზმებს მიეკუთვნება. მაგ.: tilpen „ტელეფონით დარეკა“, pibreḥ „ფაბრიკაცია მოახდინა“, qitṭeq „კატალოგში შეიტანა“, simpet „სიმპათიით იყო განწყობილი“ მთელი რიგი ნასახელარი ზმნებისა მიღებულია ფუძეებისგან, რომლებიც შეიცავენ აფიქსურ

მორფემას. მაგ.: *mismar* „მიაჭედა, მიაღურსმა“ < *mismar* „ღურსმანი“ (< *samar* „მიაჭედა“), *qimcen* „ძუნწობდა“ < *qamcan* „ძუნწი“ (< *qamac* „შეკრა, მოკუმა, ხელი მოუჭირა“). ერთი წყება დერივატებისა ორთანხმოვნისა ჩირის (ფუძის) რედუბლიკაციით ჩანს მიღებული. მაგ.: *qiwqew* „დახაზა, ხაზები გაავლო“ < *qaw* „ხაზი“, *hinhen* „კვერს უკრავდა“, „კი“-ს ამბობდა“ < *hen* „კი, დიახ“: რამდენიმე ზმნა კი წარმოქმნილია ორი ძირეული მორფემის შეერთებით. მაგ.: *bin'em* „ინტერნაციონალიზაცია მოახდინა“ (< *ben* „შუა, შორის“ და *'om* „ერი, ხალხი“), *'ilgez* „დეგაზაცია მოახდინა“ (< *'al* ნეგაციური ნაწილაკი „არ, ნუ“ + *gaz* „გაზი“).

ოთხთანხმოვნისა ნასახელარი ზმნური ძირების არსებობა სხვა სემიტურ ენებშიც საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, განსაკუთრებით, ნეოლოგიზმების, ე.წ. ინტერნაციონალიზმების შემთხვევაში. აქ მრავალი პარალელური მასალის მოტანა შესაძლებელი, თუმცა ქვემოთ ძირითადად შემოვიფარგლებით არაბულის მონაცემებით. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მდიდარი ლექსიკური ფონდის მქონე არაბულში უხვადაა ამგვარი ნასახელარი ზმნური ძირები, ებრაულში აღწერილი ოთხივე ქვეჯგუფის ზმნური ფორმები არაბულშიც დასტურდება, აქ წარმოდგენილია ძირები, რომლებიც ნაწარმოებია საკუთრივ არაბული ოთხკონსონანტიანი სახელური ფუძეებისაგან, სხვა სემიტური თუ კლასიკური არასემიტური წარმომავლობის (უმთავრესად ბერძნული), აგრეთვე ევროპული ენებიდან უკანასკნელ ხანებში შეთვისებული სახელებისაგან, რომლებიც ე.წ. ინტერნაციონალიზმებს მიეკუთვნება. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითებს: არაბ. *bahšaša* „საჩუქარი, გასამრჯელო გადაუხადა, ძღვენი მიართვა“ < *bahšaš-un* „საჩუქარი, გასამრჯელო, ძღვენი“; *ta - bahnaqa* „თავსაბურავი გაიკეთა, თავი დაიფარა, შეიმოსა“; < *bahnaq - un* „თავსაბურავი, ლეჩაქი“; არაბულში მრავლადაა ტექნოლოგიური ეპოქისათვის დამახასიათებელი ნასახელარი ზმნები, მაგ., *ṭalfana* „ტელეფონით დარეკა“, ან *galfana* „გალვანიზაცია ჩაატარა“, ასევე საინტერესოა არაბულში ნასახელარი ოთხთანხმოვნისა ზმნების *masmara* „მიაჭედა, მიაღურსმა“ < *mismar-un* „ღურსმანი“ (*smr*), *markaza* „ცენტრალიზაცია მოახდინა“ < *markaz* „ცენტრი“ (*rkz*) და *mashara* „დასცინოდა ვინმეს“ < *mashar-atun* „დაცინვის საგანი, ობიექტი“ (ძირი *shr*) არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაწარმოებია სამთანხმოვნისა ძირზე *m*-ს შემცველი პრეფიქსით, რომელმაც პირველი ძირეულის ფუნქცია შეიძინა. აქვეა არასემიტური (უმეტესად ბერძნული) და სხვა სემიტური ენებიდან შეთვისებული ნასახელარი ზმნებიც, მაგ., < (ბერძნ.) (*flsf*) *falsafa* „ფილოსოფოსობდა“ < *faylasuf-un* „ფილოსოფოსი“, (*mGnt*) *maGnata* „მიიზიდა, დაამაგნიტა“ < *maGnitis-un* „მაგნიტი“, (*qnttr*) „უამრავი ფული ჰქონდა“ < *qintar-un* „კანტარი (წონის ერთეული)“, მომდინარეობს არამეულიდან < *qentere* იმავე მნიშვნ., თავად არამეულიც, ასევე ბერძნული *nasexsoba*; (*trGm*) *tarGama* „გადათარგმნა“ < *tarGuman-un* „თარჯიმანი“ *nasexsoba* არამეულიდან, რომელიც, თავის მხრივ არამ.-ში აქადურიდან (ძირი *rgm*) არის შეთვისებული. დავძენთ, რომ არამეულშიც ბევრია ბერძნული, ლათინური, სპარსული ნასახელობები, რომელთაგან ანალოგიური წესით იწარმოება ნასახელარი ზმნები.

თანამედროვე ებრაულისა და სხვა სემიტური ენების მონაცემთა შედარებისას უნდა აღინიშნოს შემდეგი: ა. თვალშისაცემია ოთხთანხმოვნისა ზმნური ძირების გაცილებით დიდი რაოდენობა ძველებრაულთან შედარებით, რაც სრულიად მოსალოდნელი იყო იმ ნეოლოგიზმებისა და ე.წ. ინტერნაციონალიზმების გათვალისწინებით, რომელთა უმრავლესობა სწორედ ამგვარი ძირებით იწარმოება. ბ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, თანამედროვე ებრაულში შენიშნული

სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები უცხო არ არის მონათესავე სემიტური ენებისთვისაც. ამის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ებრაულში შენიშნული სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები სხვა სემიტურ ენებშიც უხვად მოგვეპოვება. გ. ისინი ამ ენებში არსებულ საერთო ტენდენციებზე უნდა მიუთითებდეს; განსხვავება მხოლოდ ძირის გაფართოებისა და სემანტიკური სახესხვაობის გადმოსაცემად გამოყენებული ხერხთა რაოდენობრივ მახასიათებლებში უნდა ვეძებოთ და დ. აღნიშნულ ხერხთა სიმრავლე და მრავალფეროვნება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სემიტურ ენათა ლექსიკური ფონდის გამდიდრებას, მეორე მხრივ კი იწვევს როგორც სინონიმების, ასევე ზოგჯერ ომონიმების გამრავლებასაც.

## SOME NOTES ON SEMITIC FOUR-CONSONANTAL VERBAL ROOTS

The paper deals with the formal and semantic analysis of four-consonantal verbs in different Semitic languages. First of all, we are focused on the data taken from Modern Hebrew. The problem is considered in Common Semitic context regarding a comparing material from the other Semitic languages. It should be noted, that the issue of origin of multilateral roots in general is remain open to debate, although it is certain, that trilateral verbal roots have dominative position in Semitic morphological system.<sup>1</sup> As for quadrilateral verbal roots, they might be regarded as a result of widening of biliteral and trilateral roots by different way.<sup>2</sup> In this connection the most useful ways are reduplication of biliteral roots, formed by the doubling of two consonants ( $xy > xyxy$ ) and adding of forth radical on the triconsonantal verbal roots, formed by doubling of the final radical ( $xyz > xyzz$ ) or through inserting a resonant consonant ( $x - r - yz$ ). This kind of forming of four-consonantal verbs exist in all Semitic languages, e.g. in classical Arabic, Aramaic, Ethiopic etc. as well as in Modern South-Arabian and other peripheral ones.

The formal and semantic analysis of four-consonantal verbs in Modern Hebrew allows definition of six groups for them. Thus, quadrilateral verbal roots are classified as follow:

1. The first group consists of the four-consonantal verbs formed by the doubling of a biliteral root (Pi'pel type), e.g., *bilbel* "to confuse", *nidned* "to rock, to shake" (so-called "intensive" reduplication). The verbs of this type are usually considered as alternative forms of the Pi`el. It is well-known that Pi`el stem is used in Hebrew to reflect intensive meanings of action. The Pi`el stem is formed from Qal - ground stem by doubling of second radical in three-consonantal verbs, so this stem forms are listed in the dictionaries under corresponding three-consonantal verbs.<sup>3</sup> In the same time, abovementioned meanings can be reflected in another way too, in particular, by reduplication (= doubling of two consonants) of two-consonantal roots, as a result developed four-consonantal verbal roots with meaning of "intensive" action. It has already been pointed out that in Modern Hebrew verb-formation of Pi'pel type is productive enough, this group of four-consonantal verbs is more numerous than others regarded in the article. It is remarkable that four-consonantal verbs formed in the same way and reflecting the same meanings are very productive and widespread in different Semitic languages too. There are presented some similar examples from different Semitic languages: Aramaic: *bazbez* (*bzbz*) "squander ones fortune" is connected to (*bz*) *bezaz* "rob, plunder"; Arab: *bazbaza* "take away and carry away" > *bazza* "take away"; Harsusi ( Modern South-Arabian): *damdama* "to grope" > *damma* "to look

---

1 Б. М. Гранде Введение в сравнительное изучение семитских языков. Москва: «Восточная литература» РАН, 178; and A. Heidel, *The System of the Quadrilateral Verb in Akkadian*. Chicago: University of Chicago Press, 1940, 134.

2 Гранде, *op. cit.*, 178.

3 M. Gotsiridze, *Morphological and Lexical Causatives in Modern Hebrew*. Jubilee Volume dedicated to the 80-th anniversary of Konstantin Tsereteli. Tbilisi, 2003.



all over”; Tigre (Ethiopic): balbala “to rattle, to claffer”, is connected to bala “to say, to speak, to sing, to great” etc.

2. This group consists of four-consonantal verbs formed from the triconsonantal verbal roots by doubling of the final radical (xyzz type). They mostly express meaning of intensity of action, so according to semantics they might be regarded as variety of reduplicated ones (see group 1.) These deverbal derivatives mostly have the same meaning as the motivating roots. We are especially concerned with the group of the verbs denoting the process of lessened intensivity which is prolonged in time, e.g. niv`a` “to yelp”, ni`rer “to snore gently”. This type of verbs are unnumerous in Modern Hebrew and occur rarely than previous ones. So is in other Semitic languages too. The verbs of the type observed above are more productive only in Modern South-Arabian languages. Examples: Harsusi (Modern South-Arabian): (bxr+r) bexeror “to make a gurgling sounds (camel)” – onomatopoeic; enxeror “to snore”, (meaning of “intensive” action); hewleb “to press on the neck glands”, Ethiopic: (tnqq) tanqaqa „to be exact“, cf. (tnq) tanaqa “investigate, examine, study by attention”, Arabic: (šml) šamlala “be resourceful, adroit, smart”, cf. (šml) šamala “embrace, comprise”.

3. This group consists of very few verbs formed from the trilateral roots through inserting a resonant consonant (mostly r); inserted consonant is between first and second radicals (x-r-yz) or follows last, third radical (xyz-r/l/m/n). The verbs of this type semantically show lakeness to motivated verbs, but meaning of action is more intensive and may express causative sense too. e.g.: sirbel “to load, to burden” from sbl: saval “to bear a load, to carry a burden”, qin`er “to annoy, to anger” < qn`: hiqni` “to anger”. This kind of four-consonantal verb-formation occurs in different Semitic languages, e.g.: Harsusi: (s-r-fq) asarfeq “to clap hands” cf. < (sfq) safeq “to clap hands”; (brk`) barka` “to run full tist, to attack”; Aramaic: (srbl) sarbel “to be covered completely by clothes, garments” cf. <(sbl): sebal „to be loaded“, Arabic: (hmlq) hamlaqa “to stare at, gaze at, look fixedly, be amazed, be wonder-struck” < (hmq) hamaqa “be fool, stupid”; root (bršm) baršama „to look bad, feel bad“, cf. (bšm) bašama „be full, be sated, can not eat, hate food” etc.

4. This group consists of the prefixal patterns šif`el ‘if`el and Tif`el which are considered the lexical causatives as opposed to morphological causatives Hif`il and Pi`el.<sup>4</sup>

It is remarkable that this group is very special and strongly differs from previous ones by formation. The initial consonant of ši - ‘i - and ti - former-prefixes ( š, ‘ and t) are no more regarded as formative elements, but considered as first radical consonant of quadrilateral verbs which have separate entries in the lexicon. The four-consonantal verbs of this type have the same (= meaning) of causation and can be regarded as lexical causatives, which opposed to Pi`el (the type having the 2nd radical geminated) and especially Hif`il (the prepositive h which is the characteristic of Hif`il can be added to three-consonantal regular stems commonly used with causative meanings and regarded as morphological causatives. It can be admitted that this type of four-consonantal verbs rarely used, so this formation can’t be regarded as productive one. As for origin of ši - ‘i - and ti - former-prefixes, it’s important to say that ši - is an ancient causative

4 K. Tsereteli, *Biblical Hebrew (Grammar, Text-Book, Dictionary)*, Tbilisi; Tbilisi University Press, 2001, 130 (in Georgian); Л. В. Малыгина, *Четырёхбуквенность, как средство выражения интенсивности у удвоенных глаголов в семитских языках*. Уч. зап. ЛГУ, №374, серия востоков. наук, вып. 17, Л., 1974. 30; and Gotsiridze, op. cit., 84-86.

formant of Akkadian origin (ša), initial radical of 'i - is etymologically one of the causative prefixes in Semitic, particularly in Arabic, as well as in Aramaic and Syriac, initial radical (t) of Tif'el four-consonantal verbs is originally consonantal element of the substantival prefix ta-, which is considered one of the productive derivational morphemes forming verbal nouns in Hebrew. Examples: šixlel (škl) "to complete, perfect", < kalal (kll) "to generalize", šilhev (šlhb) "inflammate, kindle" < lahav (lhb) "flame, glitter", (root 'b'n) 'iv'en "to diagnosis" cf. hif. (bhn) hivhin "distinguish, differentiate, notice", 'izker "commemorate" cf. hizkir "remind, mention, commemorate", tidleq (tdlq) "to refuel" < dalaq (dlq) "burn" etc.

Similar situation might be found in other Semitic languages too, particularly in Arabic, where for forming of four-consonantal verbs like ones observed above in Hebrew, are used former-prefixes of Hebrew origin ha - and of Ephigraphic South-Arabian origin sa-. Initial radicals of them (h and s) in Arabic function as first radical of 4-consonantal roots.<sup>5</sup> Examples: (root hrđm) hardama "ruin, destroy, pull down" < (rdm) radama „throw down“, (hzlg) hazlaga "run fast, run quickly, promptly (ostrich)" < (zlg) zalaga „go fast, rapidly“, (slmg) salmaga "swallow slowly" < (lmg) lamaga "suck", (sqbl) saqlaba "overthrow, overturn" < (qlb) qalaba "overturn" etc.

5. This group of four-consonantal verbs differs from other ones, because it includes onomatopoeic verbs coined by reduplication like a first group. The verbal lexemes of this type are commonly synonymous to the cognate verbs derived from geminate and hollow roots. It should be pointed out, that four-consonantal onomatopoeic verbs characterized as ones with high-level of motivation. The group consists of considerable number of the phonetic imitative words found in Modern Hebrew. As for quadriliteral verbal onomatopoeic words (with imitative meaning), they have the only way of formation, that is reduplication (= doubling) of two-consonantal roots (=xyxy type). This kind of verbs might be divided into two sub-divisions, particularly, a. imitative words, expressing sounds produced by human beings and b. imitative ones produced by nature, animals, birds etc. mi'me "to lick", liqleq "to champ?", ħirħer "to cough, cough out"; piṭpeṭ "to chatter", biqbeq "to mutter, mumble"; ricrec „to bubble“, rišreš "to rustle", zimzem "to buzz, hum".

The same situation is observed in different Semitic languages too, onomatopoeic verbal meaning is reflected by four-consonantal patterns formed by doubling of two-consonantal roots. Examples: Tigre (Ethiopic): balbala "to rattle, clatter", is connected to bala "to say, to speak, to sing, to great"; Arabic: masmaša „to suck“ and "to lick" (cf. massa „to suck“), baqbaqa a. „mutter, mumble (water)“; b. „chatter“; zamzama "to make noise, rattle, mutter, mumble, grumble", barbara „to cry, shout; grumble, mutter, mumble“, Harsusi : gargara "to gargle, to gurgle", barbara „to make incomprehensible sounds“, daḏafa "to pat quickly", daḏaga „to tap, make a tapping noise“ etc. It should be added that in Harsusi language besides of abovementioned formation onomatopoeic verbal meaning is reflected in other way too, particularly, by doubling of third radical of three-consonantal verbal roots (see above group 2.) root (bxr+r) bexeror "to make a gurgling sounds (camel)".

6. This group consists of denominative verbs which are often back formations from the nouns of deverbal origin, e.g. misper "to numerate" < mispar "number" (from spr: safar = "to count"). Quite a large amount of the verbs included in this group have been derived in Modern Hebrew from the so-called

5 Гранде, op. cit., 168-169.

international words. As for their origin, it should be noted that they are mostly borrowings from different languages. The denominated four-consonantal verbs should be divided into four sub-divisions, such as: a. formed from Old Hebrew four-consonantal nouns, e.g.: *ʾilmen* „to make a widow” < *ʾalman* “widow”; b. ones formed from four-consonantal noun-bases of Semitic origin (mostly Aramaic or Arabic), e.g.: *mirkez* “to centralize” < *merkaz* “centre” (from Arabic); c. ones formed from multi-consonantal nouns of non-Semitic origin (mostly Greece) e.g.: *singer* “to defend (in court)” < *sanegor* “barrister, lawyer, counsel for the defence” (< Greece); d. ones are borrowings from different European languages, so-called internationalisms; e.g.: *tilpen* “to telephone”, *fibreq* “to fabricate”; *qitleg* “to catalogue” etc.

Similar situation might be found in other Semitic languages too, particularly in Arabic, where number of denominative four-consonantal verbs is numerous enough, especially to take into account a large amount of neologisms. All four sub-divisions, considered in Modern Hebrew occur in Arabic too; e.g.: Arab. *bahšaša* “to pay a tribute, to pay out, to reward” < *bahšaš-un* „gift, tribute”; *masmara* “to nail” < *mismar-un* “nail” (*smr*), *markaza* “to centralize” < *markaz* “centre” (*rkz*); (*flsf*) *falsafa* “to philosophize” <  *faylasuf-un* “philosopher” and (*mgnt*) *magnata* “to magnetize” < *magnitis-un* “magnet” < of Greece origin, (*qnt*) *qantara* „to have lots of money” < *qintar-un* “qintar (unit of weight)” < of Aramaic origin < *gentere*; *ṭalfana* “to telephone”, *galfana* “to galvanize” - neologisms etc.

Finally, comparing the data of Modern Hebrew and different Semitic languages, it can be done some conclusions: a. in Modern Hebrew very large amount of four-consonantal verbs are observed, much more than in Old Hebrew.<sup>6</sup> Increase of quantity is expected, if we take into account widespread neologisms (international words), occurred in Modern Hebrew; b. as it was shown above, all features connecting with formal and semantic development of four-consonantal verbal roots observed in Modern Hebrew, might be found in different Semitic languages too. It indicates on common tendencies occur everywhere; the widening of biliteral and trilateral roots by different way is an important reason for enrichment of vocabulary of different Semitic languages. In the same time it could also be a reason for occurrence of numerous synonyms as well as omonyms too.

#### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. სოსიური, ფერდინანდ დე. *ზოგადი ენათმეცნიერების კურსი* (თარგმანი ც. ბიბილეიშვილისა). თბილისი: დიოგენე, 2002.
2. წერეთელი, კონსტანტინე. *ბიბლიის ებრაული (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი)*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
3. Gotsiridze, Manana. Morphological and Lexical Causatives in Modern Hebrew. In *Jubilee Volume dedicated to the 80-th anniversary of Konstantin Tsereteli*. Tbilisi, 2003.

6 Y. Yanay, Pealim merube-icurim balaḥon haivrit. “Leḥonenu”, vol. 38, Jerusalem, 1974, 120, (in Hebrew); and G. E. Weil, Un Essai d’Analyse Quantifiée. Trilateralite Fonctionnelle ou Biliteralite Fondamentale. Des Racines Verbales Hébraïques. „Revue d’Histoire et de Philosophie Religieuses“, №3-4, Strasbourg, 1979, 281.

4. Heidel, A. *The System of the Quadrilateral Verb in Akkadian*. Chicago: University of Chicago Press, 1940.
5. Johnstone, T. M. *Harsusi Lexicon and English-Harsusi Word-List*. London-New York, Oxford University Press. 1977.
6. Leslau, W. *Etymological Dictionary of Harari*. Berkeley & Los Angeles, 1963.
7. Littmann, E. & Hoffner M. *Worterbuch der Tigre-Sprache*. Wiesbaden, 1962.
8. Weil, G. E. Un Essai d'Analyse Quantifiée. Trilateralite Fonctionnelle ou Biliteralite Fondamentale. Des Racines Verbales Hébraïques. *Revue d'Histoire et de Philosophie Religieuses*, №3-4, Strasbourg, 1979.
9. Yanay, Y. Pealim merube-icurim balaðon haivrit. *Leðonenu*, vol. 38, Jerusalem, 1974. (עבראָן עבאָע).
10. Гранде, Б. М. *Введение в сравнительное изучение семитских языков*. Москва: Восточная литература, РАН. 1972.
11. Малыгина, Л. В. Четырёхбуквенность, как средство выражения интенсивности у удвоенных глаголов в семитских языках. *Уч. зап. ЛГУ*, №374, серия востоков. наук, вып. 17, Л., 1974.

## ნათელა ჟვანია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### წინდაბულაბი ძველ ეთიოპურში

ძველი ეთიოპური სხვა სემიტური ენებიდან გამოირჩევა წინდებულების სიმრავლით. წინდებულების ამ სიმრავლიდან გამოვყავით ძირითადი წინდებულები, რომლებიც უფრო ხშირად იხმარება. მათი დაყოფა შეიძლება ორგვარად: მარტივი და რთული ანუ შედგენილი წინდებულები. რთულ წინდებულებს ვთვლით ცალკე მდგომ წინდებულებად. მარტივი წინდებულები ერთმარცვლიანი წინდებულებია, რომელნიც ყველა სემიტურ ენაშია წარმოდგენილი: მაგ; ba-„ში“, la-„კენ“, 'əm-„გან“:

თავდაპირველად განვიხილავთ ერთმარცვლიან წინდებულებს: ba ძირითადად „ში“ წინდებულის მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ იხმარება აგრეთვე ისეთი წინდებულების მნიშვნელობით, როგორცაა „ზე“, „თან“, „ით“, „საშუალებით“, „შესაბამისად“: მაგ; haməðər „ქვეყანაში“, ba'əd „ხელით“ ან „ხელში“ (კონტექსტიდან გამომდინარე) baḫ'əlq'w „რიცხვით, ან რიცხვის შესაბამისად“. Ba წინდებული ყოველთვის სიტყვასთან ერთად იხმარება, მაგრამ თუ ის გაორკეცებულია იგი დგას ცალკე: მაგ., baba:məðromu „მათი ქვეყნის შესაბამისად“; baba:zamadomu „მათი რამდენიმე ჩამომავლობის შემდეგ“:

შემდეგი მარტივი წინდებული, რომელიც ყოველთვის წინ ერთვის სიტყვას არის la: „კენ“, „თვის“, „შესაბამისად“, „მიმართ“: მაგ., yagab'ə:s'aḥay':las'əbāḫ „მზე გადაიხარა აღმოსავლეთისკენ“; lamafqə'da:zia'ahu „მისი სიამოვნების შესაბამისად“. Ba-ს მსგავსად შეიძლება la გაორკეცდეს: მაგ., sisāi:zalala:'elat „საჭმელი ყოველი დღისთვის“; lala:la'āl „ყოველი ნადიმისთვის“; როგორც მაგალითებიდან ჩანს გაორკეცებული ba (baba) და la (lala) უკვე აღარ უერთდება სიტყვას იგი ცალკე-მდგომი წინდებული ხდება.

მესამე „ყველაზე მნიშვნელოვანი წინდებულია 'əm „გან (დან)“, „თვის“ „ამიერიდან“, „იმიტომ რომ“: 'əmləḫb „გულიდან“; 'əmtə'bit „სიამაყისგან“ 'əm შემოკლებული ფორმაა 'əmenn-a-სი: მაგ., kal'a:'əmnna „ორი ჩვენგანი“; 'af'a:'əmhagar „შორს ქალაქიდან“; 'ə'mwə'ətu:sa'āt „ზუსტად ამ საათიდან“; naš'a:'əmnna:'ənsəṣā „მან აიყვანა ერთი თუ ორი ცხოველი“. 'əmnna:'af'a ნიშნავს „გარეთ“, მაგრამ 'əmwəsāt'ehu „შიგნით“. 'əmdəḫər „უკნიდან“ აღნიშნული წინდებული იხმარება შედარებით და აღმატებითი ხარისხის გადმოსაცემად მაგ., 'abiy:'əmnna:zi'ahomu: „უფრო დიდია ვიდრე მათი“:

In the Classical Syriac language, there is no strict distinction between adjectives and nouns. Both of them, as well as adjectives are characterized by the categories of number and status. Hence, these parts of speech are as a rule considered together. In the works of Syrian grammarians the object of separate study is the opposition of gender forms, which is specific for adjectives, whereas it is found in nouns only occasionally. In this regard, the grammar treatise by Arsenius (Faris) Fakhuri, 19th-century Syrian (Maronite) scholar and public figure is interesting. Fakhuri's grammar of the Syriac language mainly covers questions of morphology: nouns, adjectives, numerals and pronouns, noun categories, statuses are discussed, special attention is devoted to explanation of peculiarities of formation of gender and number.

In Syriac grammars the word *šmā* – "name" unites nouns as well as adjectives. Fakhuri implies under the term *šmā* only nouns. He singles out adjectives separately when discussing secondary forms of gender and the genitive construction, and to denote it uses the term *šūmāhā* – "attribute". This term occurs with other Syriac grammarians too.

The treatise under present analysis distinguishes three genders of nouns: masculine, feminine and common. Numbers are two: singular and plural. The statuses characteristic of Syriac nouns are not considered separately, except *status constructus*. In a status, forms of different genders and numbers are regarded as independent units. Fakhuri differentiates gender according to the feminine ending and considers as the main formant the common Semitic suffix *īw*. He does not share the views of old Syrian grammarians concerning the gender formant. Elias of Tirhan identifies in the language forms of the masculine and the feminine genders, but not as a grammatical category and distinguishes them in a sentence only according to function. As regards Bar Hebraeus, he identifies

several formants of gender: “To differentiate masculine and feminine genders, a consonant, a vowel, rūqqāqā and quššāyā are used”, he notes.<sup>1</sup>

Under consonants expressing gender Bar Hebraeus implies: a) “Tāw” consonant: *rabā*- “large”; “many” > *rabtā*; *btūtā* “girl”, “daughter” b) “yūd”, as a marker of gender in pronouns of the second and third persons and pronominal suffixes: *'anā'ant*, *'ant*y, *'at*y; *hū*, *hy*; At the same time, in verbs of perfective, second person, singular number; c) “Nun” and “Dalet”, which differentiate gender in demonstrative pronouns - *hānā* (masc.), *hāde* (fem.). In consonant elements the grammarian considers formants expressed by vowels, implying the rendering of noun gender according to statuses.<sup>2</sup>

Along with nouns of the feminine gender with the formant ä, the feminine without a marker is also attested in Syriac. Fakhuri offers a quite exhaustive list of such nouns in the first part of his grammar. Cases where the morphological marker of gender is present are considered among feminine nouns without a marker: *qalbā* “dog”, *qalbtā* “bitch”; *hmā* “father-in-law”; *hmātā* “mother-in-law”. Other nouns without a gender formant belong to the masculine gender (not taking into account some masculine nouns with the feminine gender ending). As regards Bar Hebraeus, in his treatise he identifies two varieties of gender: real feminine (with a parallel form of masculine) and unreal, i.e. without a marker. In the unreal variety he does not unite names of birds and animals, which in Syriac usually belong to the feminine without a marker (except - *nešrā* “eagle”).

The common gender unites nouns which do not differentiate gender. It includes *singulari atantum* and *plurali atantum*. Fakhuri dwells separately on the feminine noun *melṭā* “word”, which forms plural similar to words of the masculine gender: *melē* (without the formant “ā”) and notes that it is of the masculine gender only when occurs in the dogmatic expression: *melṭābesrāhwā* - “And the Word was made flesh”.

When considering feminine forms proper and secondary feminine forms, Fakhuri singles out several types of nouns, according to which gender must be formed. These are: 1) nouns with the vowel *a* on the first basic (in the feminine gender the vowel is mobile); 2) with the vowel *ā* on the first consonant (in the feminine at the second basic the vowel *e* occurs); 3) nouns ending in *yā* with the vowel *ā* on the first basic.

In the same place, when discussing nisba, two varieties of nisba are mentioned: nisba proper and “figurative nisba”. In the first variety the formant is the suffix *nā*: *šmayā* “sky” > *šmayānā*. *Tūbānā* “blessed” - feminine *tūbtānā* is singled out separately, and its second, different form is highlighted: *tūbānītā* - feminine *tūbtānītā* (when it refers to the Holy Trinity). Diminutive nouns two formants are

1 In Syriac, six simple occlusive consonants after a vowel are pronounced as fricatives. These two different pronunciations are denoted by different terms: *quššāyā* for occlusive consonants and *rūqqāqā* - for fricatives.

2 *Le Livre des splendeurs, La grande grammaire de Gregoire bar Hebraeus*. Lund, 1922, 9.

attested: *ūsā* and *ūnā*, the latter occurs only in compounds: *barnāšā* “is a man - a human” > *barnāšūnā*. In nouns of the feminine gender the formant *ūnītā* is found: *barṭā* > *barṭūnītā*.

On the basis of the discussed material it is possible to arrive at the conclusion that when discussing the gender Fakhuri confines himself to *status emphaticus*, regarding this status is the initial state of a noun. As for two other statuses – *status absolutes* and *status constructus*, Fakhuri considers them as secondary forms resulting from elision of status emphaticus, i.e. dropping of the final vowel. Hence, for this grammarian elision is one of the most significant phenomena in the language, which accounts for existence of different forms. It should be noted that Elias of Tirhan also regards elision of nouns as one of the main grammatical peculiarities of the Syriac language. His grammatical treatise is the first Syriac grammar written to the Arabic pattern.<sup>3</sup>In the work rules of noun elision are formulated: all Syriac nouns undergo elision; elision necessarily leads to the change of vocalization in elided nouns; noun elision is not determined by a sentence type.

---

3 R. G. Rylova, *Grammar of the Syriac Language by Elias of Tirhan*, M.-L., 37, 9.



## დარეჯან სვანი

გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### სქანის წარმოების თავისებურებები სირიულ გრამატიკაში

მრავალმხრივია არსენიოს ფახურის ლიტერატურული, გრამატიკული თუ საეკლესიო ხასიათის მემკვიდრეობა. განსაკუთრებით საყურადღებოა „სირიული ენის გრამატიკული ტრაქტატი“. ორიგინალის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, ამაზე არაფერს ამბობს ფახურის ბიოგრაფი ლ. შეინო. არ არის ცნობილი არც ხსენებული გრამატიკის სხვა რომელიმე ნუსხა, გარდა ჩვენს ხელთ არსებული სანკტ-პეტერბურგის ხელნაწერისა. ეს უკანასკნელი დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ფონდში, სადაც XX საუკუნის 30-იან წლებში, ცნობილი ისტორიკოსისა და პალეოგრაფის, აკადემიკოს ლიხაჩოვის კოლექციის სხვა ხელნაწერებთან ერთად მოხვდა. გრამატიკული ტრაქტატი წარმოადგენს სირიულ-არაბულ ხელნაწერს - „გარშუნი“ და ცნობილი მეცნიერისა და გამოჩენილი სირიოლოგის, ქ-ნ. პიგულევსკაიას მიერ, რომელიც იძლევა ხელნაწერის ზოგად აღწერილობას, აღნუსხულია ლენინგრადის სირიულ ხელნაწერთა კატალოგში.

კლასიკურ სირიულში არსებით და ზედსართავ სახელებს შორის მკვეთრი განსხვავება არა გვაქვს. როგორც ერთს, ისე მეორეს ახასიათებს რიცხვისა და სტატუსის კატეგორიები. აქედან გამომდინარე, მეტყველების ეს ნაწილები ჩვეულებრივად ერთად განიხილება. სირიელ გრამატიკოსებთან ცალკე შესწავლის საგანია სქესის ფორმათა დაპირისპირება, რაც სპეციფიკურია ზედსართავი სახელებისთვის, არსებითი სახელები მხოლოდ ზოგ შემთხვევაში გასდევენ მათ. ამ მხრივ, საინტერესო ჩანს XIX საუკუნის სირიელი (მარონიტი) მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის არსენიოს (ფარის) ფახურის გრამატიკული ტრაქტატი. ფახურისეული სირიული ენის გრამატიკა არსებითად მორფოლოგიის საკითხებს მოიცავს: განხილულია არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელები, სახელთა კატეგორიები, სტატუსები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სქესისა და რიცხვის წარმოების თავისებურებათა ახსნას.

სიტყვა šmā-სახელი, სირიულ გრამატიკებში აერთიანებს როგორც არსებით, ისე ზედსართავ სახელებს. ფახური ტერმინში „šmā“ გულისხმობს მხოლოდ არსებით სახელს. ზედსართავს ცალკე გამოყოფს სქესის მეორეული ფორმებისა და გენეტური კონსტრუქციის განხილვისას და მის აღსანიშნავად მიმართავს ტერმინს šūmāhā-ატრიბუტი. ეს ტერმინი გვხვდება სხვა სირიელ გრამატიკისებთანაც: ილია თირხანელთან (XII ს.) და ბარ ებრაიასთან (XIII ს.).

ჩვენ მიერ განხილულ ტრაქტატში გარჩეულია სახელთა სამი სქესი: მამრობითი, მდედრობითი და ზოგადი. რიცხვი ორია: მხოლობითი და მრავლობითი. სირიული სახელისათვის დამახასიათებელი სტატუსები არ განიხილება ცალკე, როგორც გრამატიკული კატეგორია, გარდა status constructus-ისა. სტატუსში განსხვავებული სქესისა და რიცხვის ფორმები მოიაზრება დამოუკიდებელ ერთეულებად. სქესის დიფერენცირებას ფახური ახდენს მდედრობითის დაბოლო-

ებით და მთავარ მაწარმოებლად საერთოსემიტურ *taw* სუფიქსს მიიჩნევს. იგი არ იზიარებს ძველი სირიელი გრამატიკოსების შეხედულებებს სქესის მაწარმოებელთან დაკავშირებით. ილია თირხანელი გამოყოფს ენაში მამრობითი და მდედრობითი სქესის ფორმებს, თუმცა არა როგორც გრამატიკულ კატეგორიას და წინადადებაში მათ მარტო ფუნქციის მიხედვით განარჩევს. რაც შეეხება ბარ ებრაიას, მასთან სქესის რამდენიმე მაწარმოებელი დასტურდება: მამრობითისა და მდედრობითის განსასხვავებლად იხმარება თანხმოვანი, ხმოვანი, *rūqāqāda qūššāyā* – აღნიშნავს იგი.<sup>1</sup>

სქესის გამომხატველ თანხმოვნებში ბარ ებრაია გულისხმობს: ა) „თავ“ თანხმოვანს: *rabā* „დიდი; ბევრი“ > *rabtā; bṭlā* „ქალიშვილი“ (ბ) „იოტს“, როგორც სქესის განმასხვავებელს მეორე - მესამე პირის ნაცვალსახელებსა და ნაცვალსახელურ სუფიქსებში: *ant* (*at*), *ant* (*at*); *hū*, *hi*; ამავდროულად, პერფექტივის მეორე პირის, მხოლოობითი რიცხვის ზმნებში; გ) „ნუნს“ და „დალათს“, რომლებიც განარჩევენ სქესს მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელებში – *hānā* (მამრ.), *hādē* (მდედრ.); თანხმოვან ელემენტებში ბარ ებრაია მოიაზრებს ხმოვნით გამოხატულ ფორმანტებს, მხედველობაში აქვს რა სახელთა სქესის გადმოცემა სტატუსების მიხედვით.<sup>2</sup>

ქ ფორმატიანი მდედრობითი სქესის სახელების გვერდით, სირიულში დასტურდება უნიშნომდედრობითიც. ამგვარ სახელთა საკმაოდ ამომწურავ სიას გვთავაზობს ფახური გრამატიკის პირველ ნაწილში. უნიშნო მდედრობითის სახელთა შორის განიხილება შემთხვევები, სადაც სქესის მორფოლოგიური მარკინგები ჩანს: *qalbā* „ძალი“, *qalbā* „ძუკნა“; *ḥmā* „სიმამრი; მამამთილი“, *ḥmā* „სიდედრი, დედამთილი“; დანარჩენი სახელები, სქესის მაწარმოებლის გარეშე, განეკუთვნებიან მამრობით სქესს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი მამრობითი სქესის სახელს მდედრობითის დაბოლოებით). რაც შეეხება ბარ ებრაიას, იგი თავის გრამატიკულ ტრაქტატში სქესის ორ სახეობს გამოყოფს: ნამდვილ მდედრობითს (მამრობითის პარალელური ფორმით) და არანამდვილს ე.ი. უნიშნოს. არანამდვილში იგი არ აერთიანებს ფრინველთა და ცხოველთა სახელებს, რომლებიც სირიულში ჩვეულებრივ უნიშნო მდედრობითს განეკუთვნებიან (გარდა- *nešrā* „არწივი“).

ზოგად სქესში გაერთიანებულია სახელები, რომლებიც სქესს არ განარჩევენ. აქ შედის *singularia tantum* და *pluralia tantum*. ფახური ცალკე ჩერდება მდედრობითი სქესის სახელზე *meṭā* „სიტყვა“, რომელიც მრავლობით რიცხვს აწარმოებს მამრობითი სქესის კვალბაზე: *meṭē* (“ქ” მაწარმოებლის გარეშე) და მიუთითებს, რომ იგი მამრობითი სქესისაა მხოლოდ მაშინ, როდესაც გვხვდება დოგმატურ გამოთქმაში: *meṭā besrā hwā* – „სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა“.

საკუთრივ მდედრობითისა და მდედრობითის მეორეული ფორმების განხილვის დროს ფახური გამოყოფს სახელთა რამდენიმე ტიპს, რომლის მიხედვი-

1 სირიულში ხმოვნის შემდეგ ექვსი მარტივი ხშული თანხმოვანი ნაპრალოვნად წარმოითქმის. ეს ორი განსხვავებული წარმოთქმასხვადასხვა ტერმინით აღინიშნება: *qūššāyā* ხშულებისთვის და *rūqāqā* - ნაპრალოვნებისთვის.

2 *Le Livre des splendeurs, La grande grammaire de Gregoire bar Hebraeus*. Lund, 1922, 9.

თაც უნდა მოხდეს სქესის წარმოება. ესენია: 1) სახელები „ა“ ხმოვნით პირველ ძირეულზე (მდედრობით სქესში ხმოვანი მოძრავია); 2) „ა“ ხმოვნით პირველ თანხმოვანზე (მდედრობითში მეორე ძირეულთან „ე“ ხმოვანია); 3) yā-ზე დაბოლოებული სახელები „ა“ ხმოვნით პირველ ძირეულზე.

აქვე, სახელის ნისბაზე მსჯელობისას, საუბარია ნისბის ორ სახესხვაობაზე: საკუთრივ ნისბა და „გადატანითი ნისბა“. პირველ სახეობაში მაწარმოებელია nā სუფიქსი: šmayā „ცა“ > šmayānā, ცალკეა გამოყოფილი tūbānā „ნეტარი“ – მდედრობითი tūbtānā და ხაზგასმულია მისი მეორე, განსხვავებული ფორმა: tūbānāš.) მდედრობითი tūbtānā (როდესაც იგი მიანიშნებს წმინდა სამებაზე). კნინობით სახელებში დამოწმებულია ორი მაწარმოებელი: ūsā და ūnā, ეს უკანასკნელი გვხვდება მხოლოდ კომპოზიტებში: barnāša „კაცია-ადამიანი“ > barnāšūnā. მდედრობითი სქესის სახელებში აღინიშნება ūnīā მაწარმოებელი: bartā „ქალიშვილი“ > bartūnīā.

განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელის სქესზე მსჯელობის დროს ფახური შემოიფარგლება მხოლოდ status emphaticus-ით, ეს სტატუსი არის მისთვის სახელის ამოსავალი მდგომარეობა. რაც შეეხება სირიული სახელის ორ დანარჩენ სტატუსს - status absolutus და status constructus, მათ ფახური განიხილავს როგორც მეორეულ ფორმებს მიღებულს status emphaticus-ის შეკვეცის, ანუ ბოლოკიდური ხმოვნის ამოვარდნის შედეგად. აქედან გამომდინარე, მისთვის კვეცა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ენაში, რომლითაც აიხსნება განსხვავებული ფორმების არსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ სახელის კვეცას სირიული ენის ყველაზე მნიშვნელოვან გრამატიკულ თავისებურებად მიიჩნევა აგრეთვე ილია თირხანელი, რომლის გრამატიკული ტრაქტატი პირველი სირიული გრამატიკაა არაბული ნიმუშის მიხედვით შესრულებული.<sup>3</sup> ნაშრომში ჩამოყალიბებულია სახელთა კვეცის წესები: კვეცას ექვემდებარება ყველა სირიული სახელი; შეკვეცილ სახელებში აუცილებლად იცვლება ვოკალიზაცია; სახელის კვეცა არ განისაზღვრება წინადადების ტიპით.

### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. Cheikho, L. *La littérature arabe au XIX siècle*. Beyrouth, 1926.
2. *Al-Machriq*, 13, 1900.
3. Рылова, Р. Г. *Грамматика Сирийского языка Ильи Тирханского*. М.-Л., 1965.
4. *Oeuvres grammaticales d'Aboul Farağ dit Bar Hebraeus*, t. II. Paris, 1872,
5. *Грамматика сирийского языка Арсения Фахури*. Тбилиси, 1983

3 Р. Г. Рылова, *Грамматика сирийского языка Ильи Тирханского*, М.-Л., 37,39.

## გურამ ჩიქოვანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

### QƏLTU – GƏLƏT

## არაბული დიალექტები და ცენტრალურაზიური არაბული

არაბული დიალექტების კლასიფიკაციის არაერთი პრინციპი არსებობს. ვერ ვიტყვი, რომელია მათ შორის ყველაზე გავრცელებული, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში უფრო მეტად ვხვდებით დაყოფას გეოგრაფიული ნიშნით აღმოსავლურ და დასავლურ არაბულ დიალექტებად. არაბული ენობრივი სივრცე იმდენად ფართოა და მრავალფეროვანი, რომ შესაძლებლობას იძლევა, გეოგრაფიულის გარდა, დავახასიათოთ დიალექტები სხვადასხვა მიდგომით. მათ შორის ქრონოლოგიური, ტომობრივი, სოციალური, ენობრივი (ფონეტიკური) და ა.შ.

წინამდებარე სტატიაში მინდა შევეხო *qəltu* (qāl) და *gəlat* (gāl) არაბულ დიალექტებს. განვიხილავ მათ ცენტრალური აზიის არაბულ დიალექტებთან მიმართებაში. შევეხები ზემოაღნიშნული ფონეტიკური პრინციპით გამიჯნული ბუნარისა და კაშკადარიის არაბული დიალექტების თვალსაჩინო მახასიათებლებს.<sup>1</sup>

წინასწარ აღვნიშნავ, რომ არაბული დიალექტების დაყოფა *qəltu* და *gəlat* ენობრივ სივრცეებად პროფ. ჰაიმ ბლანკს ეკუთვნის. მან ყურადღება გაამახვილა ერაყში სხვადასხვა ეთნიკური, ურბანული და რელიგიური ჯგუფების მიერ *qāf*-ის განსხვავებულ წარმოთქმაზე და ამოსავლად მიიჩნია ზმნის პერფექტივის პირველი პირის ფორმები *qiltu* და *gilit* „მე ვთქვი“: 1959 წელს მეცნიერი წერდა: “Two broad dialectal types, each with several subdivisions, may be distinguished. On the basis of their respective forms of the word for “I said”, these may be called the *qiltu* - dialect and the *gilit* - dialects” (Blank 1959, 449). ჰაიმ ბლანკი 1964 წელს გამოცემულ თავის ცნობილ მონოგრაფიაში “Communal Dialects in Baghdad” ხსენებულ დიალექტურ ჯგუფებს მოიხსენიებს ოდნავ განსხვავებული გახმოვნებით, როგორც *qəltu/qəltu* და *gəlet/gəlat* არაბულ დიალექტებს (Blank 1964, 5), რაც დამკვირდა შემდგომში არაბულ დიალექტოლოგიაში (Jastrow 1978-1981; Levin 1994, 317; Prochazka 2003). პარალელურად გვხვდება აგრეთვე მესამე პირის ფორმები *qāl* და *gāl*.

ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ერაყში ფუნქციონირებს *qəltu* და *gəlat* არაბული დიალექტები. თითოეული მათგანი შეიძლება განვიხილოთ, მათი ენობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, არაბული ენის დამოუკიდებელ დიალექტოლოგიურ ქვესისტემადა. როგორც აღვნიშნე, ყველაზე თვალშისაცემი ამ დიალექტური ჯგუფებისთვის არის არაბული *qāf*-ის წარმოთქმა, რაც საფუძვლად უდევს მათ სახელდებას. *gəlat* – დიალექტზე ლაპარაკობს ქვემო ერაყის მუსლიმთა დიდი ნაწილი. მათ შორის ბინადარი მუსლიმი არაბები და მომთაბარე ბედუინები. ეს უკანასკნელნი, ქვემო ერაყის გარდა, მთელ გარემომცველ ტერიტორიაზე *gəlat* (gāl) არაბულ დიალექტზე მეტყველებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, *gəlat* – დიალექტი ბედუინების არაბული დიალექტია. მისი გავრ-

1 გასული საუკუნის 70-იან წლებში აკად. გ. წერეთელი არაბული დიალექტოლოგიის ლექციებზე ამახვილებდა ყურადღებას ცენტრალურ აზიაში “qāl” და “gāl” დიალექტებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

ცვლებს არეალი მოიცავს არაბეთის ნახევარკუნძულს, მესოპოტამიას, სირიას, ჩრდილოეთ აფრიკას, ერთი სიტყვით, არაბული სამყაროს უკიდვგანო უდაბნოეთს და ნაწილობრივ არაბულ ქალაქებსა და დასახლებებს, სადაც სხვადასხვა დროს, ისტორიულ გარემოებათა გამო, დამკვიდრნენ მომთაბარე ბედუინები. ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შედეგად, დროთა განმავლობაში, მივიღეთ დიალექტი *qəlat* – საკუთარი ენობრივი მახასიათებლებით.

რაც შეეხება *qəltu* (*qāl*) არაბულ დიალექტს, მასზე მეტყველებენ არამუსლიმები, კერძოდ, ებრაელი იუდეველები და ქრისტიანები. მათ შორისაც არის მეტყველებაში განსხვავება. ამგვარად ბაღდადში ფიქსირდება სამი არაბული დიალექტი: მუსლიმების, ქრისტიანებისა და იუდეველების<sup>2</sup>. ბოლო ორი დიალექტი ურბანული არაბული დიალექტებია. რაც შეეხება მუსლიმთა არაბულ *qəlat* – დიალექტს, როგორც აღვნიშნე, მასზე ზეგავლენა იქონია ბედუინების მეტყველებამ. ეს კი შესაძლებელი გახდა ბედუინების გარკვეული ნაწილის მომთაბარეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შედეგად.

2002 წელს დავბეჭდე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით არაბული დიალექტების სახელდება შეიცავს ბუნდოვანებას. არაბულ სამყაროში ან მის მიღმა, ამა თუ იმ რეგიონში, ქვეყანაში, ქალაქსა თუ პროვინციაში დასაშვებია ერთმანეთის გვერდით არაერთი არაბული დიალექტის ფუნქციონირება (ჩიქოვანი 2002, 38-39). მაშინ მე, ასევე, ყურადღება გავამახვილე განსხვავებულ რეგიონებში არსებული არაბული დიალექტების მსგავს ენობრივ ნიშნებზე, რაც შეიძლება აიხსნას მათი წარმომავლობით საერთო, ძველი არაბული დიალექტიდან. მაგალითად განვიხილე ირანის ხორამშაჰისა და იემენის მუქალას არაბული დიალექტები. ენობრივი მასალის ანალიზმა შესაძლებლობა მომცა მუქალას, ბაჰრეინისა და ხორამშაჰის არაბული მეტყველება დამეკავშირებინა ბანუ თამიმის არაბული ტომის ძველ არაბულ დიალექტთან და განმეხილა იგი „თამიმის თანამედროვე არაბულ დიალექტად“ (ჩიქოვანი 2002, 38).

ჰაიმ ბლანკი, 1959 წელს გამოქვეყნებულ ზემოხსენებულ ნაშრომში, ერაყის ტერიტორიაზე არსებული არაბული დიალექტების აღსანიშნად ხმარობს განმარტებულ გამოთქმებს: „Iraqi Arabic studies“ და „Arabic spoken in Iraq“<sup>3</sup>. მეცნიერი მიუთითებს, რომ ინგლისურენოვან ლინგვისტურ ლიტერატურაში, პირველ მსოფლიო ომამდე, ტერმინი „მესოპოტამია“ გამოიყენებოდა. რაც შეეხება „ერაყს“; იგი გაჩნდა 1918 წლის შემდეგ. იგივე ვითარება იყო ფრანგულენოვან ლიტერატურაშიც. რაც შეეხება გერმანულენოვანს, აქ ტერმინი „მესოპოტამია“ მოიცავდა ზემო ევფრატის ტერიტორიას და ასევე, ტიგროსის ზემო ნაწილში არსებულ სივრცეს, ქვევით, ფალუჯა – სამარამდე. ამ სივრცის სამხრეთი ნაწილი გერმანულენოვან ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც „ერაყი“; ან „ბაბილონი“ (Blank 1959, 449).

ჰაიმ ბლანკის შემდეგ მეცნიერები ხშირად მიმართავენ დიალექტების გასამიჯნად *qəltu* და *qəlat* დიალექტების ენობრივ მახასიათებლებს. იკვეთება, რომ თანამედროვე *qəltu* დიალექტები სათავეს იღებს ძველ არაბულ ურბანულ გარე-

2 ცალკე შეიძლება გამოიყოს ბაღდადში მცხოვრები მანდეველების არაბული მეტყველება.

3 უფრო ადრე, ოცდაათიანი წლების ბოლოს, გამოქვეყნდა John Van Ess-ის ცნობილი ნაშრომი *Spoken Arabic of Iraq* (Van Ess 1938).

მოში. რაც შეეხება *qelət* ჯგუფს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ ტიპის არაბული მეტყველება წარმომავლობით ბედუინების მეტყველებაა, რომელიც შეერწყა მუსლიმი არაბების *qeltu* დიალექტს მომთაბარე არაბების ქალაქებში ჩასახლების შედეგად. თანაცხოვრების, თანაბინადრობის საფუძველზე *qeltu* დიალექტმა სახე იცვალა და XVII-XVIII საუკუნეებში მივიღეთ ახალი *qelət* დიალექტი (Levin 1994, 318). ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანებმა და იუდეველებმა შეინარჩუნეს მათი *qeltu* დიალექტი, ვინაიდან ისინი, გასაგები მიზეზის გამო, არ შეერწყნენ მომთაბარე ბედუინებს.

ცენტრალურ აზიაში ფიქსირება ორი არაბული დიალექტი – კაშკადარიული და ბუხარული (წერეთელი 1937, 301; Церетели 1941, 135). მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა, ეს, ჩემი აზრით, განპირობებულია კაშკადარიულ და ბუხარულ არაბთა წინაპრების რეგიონში მიგრაციის ქრონოლოგიურად განსხვავებული ტალღებით, გეოგრაფიულად არაერთი, არამედ სხვადასხვა სივრციდან (Chikovani 1999, 97). ეს არაბული დიალექტები საუკუნეების წინ მოსწყდნენ არაბულ სამყაროს და განვლეს განვითარების დამოუკიდებელი გზა, რამაც ასევე ზეგავლენა იქონია მათ მეტყველებაზე. აღნიშნული დიალექტების კომპლექსური კვლევა ითვალისწინებს რამდენიმე მიმართულებას. არაბული ისტორიული დიალექტოლოგიისათვის და საერთოდ, არაბული ენის ისტორიისათვის ფასეულია კაშკადარიულ და ბუხარულ დიალექტებში დაცული არაბული ენის ძველი ფორმები, განსაკუთრებით, მორფოლოგიის დონეზე. მნიშვნელოვანი ენობრივი მასალა იჩენს თავს ცენტრალურაზიურ არაბულში სემიტურ-ინდოევროპულ-თურქული ენობრივი კონტაქტების შედეგად. მრავალსაუკუნოვანმა კონტაქტმა ტაჯიკურ, უზბეკურ ენებთან გავლენა იქონია არაბულ ენაზე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გარდა ტაჯიკური და უზბეკური ენებისა, ცენტრალური აზიის არაბული დიალექტები განიცდიან აგრეთვე თურქმენული, რუსული და ავღანური (დარი) ენების გავლენას, რაც უაღრესად საინტერესოა ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით. სხვა მხრივაც საყურადღებოა ცენტრალური აზიის არაბული მკვლევართათვის. ვგულისხმობ არაბული ენობრივი მასალის განვითარების ტენდენციებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არაბული სამყაროსგან იზოლაციის პირობებში. საუკუნეების განმავლობაში ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც ახდენდნენ ზეგავლენას არაბულ დიალექტზე. საქმიანობის სფერო, ცხოვრების წესი, ამა თუ იმ ენის მეტნაკლები ცოდნით განპირობებული მოცემულობები, ლექსიკის რეგიონალური თავისებურებანი აისახა ჩვენს მიერ ჩაწერილ დიალექტოლოგიურ მასალებში (Chikovani 2014, 13).

არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვით ცენტრალური აზიის არაბების წინაპრები წარმოშობით მესოპოტამიიდან იყვნენ (Церетели 1941, 148). ვფიქრობ სხვა რეგიონებიდანაც უნდა ყოფილიყვნენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოხდა არაბული ენობრივი მასალის შერწყმა. ამას დაერთო ენობრივი კონტაქტები ადგილობრივ უზბეკურ, თურქმენულ და ტაჯიკურ, ავღანურ (დარი) ენებთან. შედეგად მივიღეთ უნიკალური არაბული ენობრივი ფენომენი. განსხვავება ცენტრალური აზიის ორ დიალექტს შორის ენობრივი მახასიათებლების დონეზე, უწინარეს ყოვლისა, შესწავლილი აქვს გიორგი წერეთელს. აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა დროს შეეხნენ აგრეთვე ვოლფდიტრიჰ ფიშერი (Fischer 1961), ვლადიმერ ახვლედიანი (Ахвледиани 1985, 4) და ოტო იასტროვი (Jastrow 2014, 205-212).

ენობრივი მასალა იძლევა ორი დიალექტის გამიჯნვის შესაძლებლობას. მაგალითად, ზმნის III პირის მამრობითი სქესის ფორმებს კაშკადარიულ დიალექტში დაერთვის *gəlat* არაბული დიალექტისათვის დამახასიათებელი ნაცვალსახელოვანი სუფიქსი *a*: *ħazā* „აილო (ის)“; *ħazuwa* „წაიყვანეს (ის)“; *ħašuwa* „გაავსეს (ის, ისინი)“:

*kokōyata kulla hamrāt ħāzuwa, kisatumāt – kisayām hašuwa* (KAII 63, 5)<sup>4</sup>.  
„ძებმა მთელი ოქრო [ოქროს მონეტები] აიღეს, ქისებში ჩააწყვეს (ისინი), [ქისები გაავსეს]“.

*dīqōn i\_laglag i\_beyta ħazā, ġāʿ* (KAII 109, 1).  
„გლენმა [ფრთამოტეხილი] წერო აიყვანა და სახლში წაიყვანა“.

სახელებთანაც მესამე პირის ნაცვალსახელოვანი სუფიქსი კად-ში გამოხატულია *a*-თი: *morta* „მისი ცოლი“; *walda* „მისი ვაჟიშვილი“:

*pōšō ħubz, muya, laham kala, boṭna šabaʿ* (KAII, 59: 4).  
„ვაშამ პურმარილი (პური, წყალი, ხორცი) მიირთვა, დანაყრდა (მისი მუცელი მაძლარი შეიქნა)“.

*bēy i\_bēʿta ʿirs sawa* (KAII, 59: 4).  
„ბემ თავის (მის) სახლში ქორწილი გადაიხადა“.

ბუხარულ დიალექტში ზმნები მესამე პირის მამრობით სქესში ნაცვალსახელოვანი სუფიქსის სახით *a*-ს ნაცვლად *u*-ს დაირთავენ, რაც გვხვდება *qəltu* დიალექტებში: *muqūlū* „ეტყვის მას“; *raššū* „ჩააგდეს (ის)“:

*had abei muqūlū dabba ma ioħdū* (ბად, 57: 2).  
„ის მამის შერჩეულ ცხენზე [უარს იტყვის] (ცხენს, რომელიც მამამ ურჩია მას, არ აიღებს)“.

*i\_ħa ġifra ki-raššū* (ბად, 56:3).  
„[მათ ის] იმ ჭაში ჩააგდეს“.

ასევე, ზმნის მსგავსად, ბუხარულში სახელთანაც ნაცვალსახელის ფუნქციით *u* სუფიქსი გვხვდება: *ʿiyyālu* „მისი შვილები“; *bintu* „მისი ქალიშვილი“:

*bobotna usmu niōz bōy* (ბად, 64: 1).  
„ჩვენი მამამთავრის, [წინაპრის] სახელია [მისი სახელია] ნიოზ ბოი“.

*iħlāf maratu wulidet walad* (ბად, 63: 7).  
„შემდეგ მისმა ცოლმა ძე დაბადა“.

*qəltu* დიალექტებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიდან შევეხები *qāf*-ის არტიკულაციას ცენტრალურაზიურ არაბულში.

*qāf*-ი *qəltu* დიალექტში – წარმოითქმის, როგორც *q*: *qultu*. შდრ. სირიულში *ana qultu-l-lak* „მე გითხარი შენ“: *qāf*-ის ასეთი წარმოთქმა დამახასიათებელია ბუხარული დიალექტისათვის:

*anā umrī qarīb oħer šōr* (ბად, 55: 1).  
„ჩემი სიცოცხლე მალე დასრულდება“.

4 KAII შემდგომში ტექსტში აღნიშნავს ნაშრომს Чиковани 2008, ხოლო ბად – ბუხარის არაბულ დიალექტს: ჩიქოვანი 2009. სადაც წყარო მითითებული არ არის, მაგალითი მომყავს შუა აზიაში ჩემს მიერ ჩაწერილი გამოუქვეყნებული მასალიდან.

ორივე დიალექტში ფიქსირდება qāf-ის ო-თი გადმოცემის შემთხვევები:  
fad waḥt miṣōr (ზად, 55: 1).

„დრო გავიდა“

zikhōnāt kōn waḥt razi' ma sār (KAII, 53: II, 1).

„მათ შვილი დიდხანს არ ეყოლათ“

უაღრესად საყურადღებოა ბუხარულში qāf-ის გადმოცემა რთული ორთანხ-  
მოვნიანი კომბინაციით – kh. მაგალითად, khōl – „უთხრა“:

abdul lohōn i\_abe khōl: ki-bōwō illay fat dabba iṣtaru! (ზად, 57: 1).

„აბღულ ლოხონმა მამამისს უთხრა: – მამა, მიყიდე (მე) ცხენი!“

ინფორმანტის მიერ qāf-ის kh – თანხმოვნის სახით წარმოთქმა დაფიქსირდა  
ბუხარის გიჟდუჟანის რაიონის ყიშლალ ჯოგარიში. kh ახლოს არის ქართულ ფა-  
რინგალურ, ყრუ ფშვინვიერ კართან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს  
ბუხარულში qāf-ის შიდა ევოლუციასთან. არც ის არის გამორიცხული, რომ kh  
qāf-ის უძველესი არტიკულაცია იყოს.

qāf-ის უკან გადაწევით მივიღეთ პოსტველარი kh, რომელიც წარმოითქმის  
უკანა ენის რბილი სასის უკანა ნაწილზე მიბჯენით. არტიკულაციის დროს ჩნდე-  
ბა მცირე ნაპრალი ხორხიდან ამომავალი ჰაერნაკადისთვის.

ძირის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია სახელებში და ზმნებში სამი  
თანხმოვნის აღდგენის ტენდენცია: kē avbar < ke avbar „ცხოვრობდა“, rowd < rōd  
„მიწა“, შდრ. 'arḏ:

kāin ma kāin fī qadīmi waḥt esqe zamōn fad bōy ke avbar (ზად, 55: 1).

„იყო და არა იყო რა, ძველად (ძველ დროში) ერთი ბეი ცხოვრობდა“

hat pōṣō ki-sōr, 'ihād abū rōden poṣoya insōir i-hankit ḡ'ōniya misōr  
(ზად, 56: 5).

„[მაშინ, როცა] იგი ფაშა გახდა, მისი მამის ქვეყანაში (საფაშოში) შიმშილობა  
ჩამოვარდა“

დიალექტში ფიქსირდება განუსაზღვრელობის გამომსახველი īn, რომელიც  
სინტაქსურ კონსტრუქციაში დაერთვის არსებით სახელს, ზედსართავი მუდამ  
მხოლოობითის ფორმით არის წარმოდგენილი: waladīn isḡīr „უმცროსი ვაჟი“, ḥoiṭīn  
kbīr „დიდი სახლი“

ბედუინების ლექსიკასთან საერთოა შემდეგი სიტყვები, გამოთქმები და  
მორფოლოგიური მარკერები: ugūb//ugūb ბუხ. „შემდეგ“. ბედუინების მეტყველე-  
ბის გარდა გვხვდება ერაყულ დიალექტშიც, ოღონდ განსხვავებული გახმოვნე-  
ბით – agūb:

– ugūb leyl ṣōr.

– „შემდეგ დაღამდა“

– ugūb bōy binta i\_hāma walad 'irs isia.

– „შემდეგ ბეი თავისი ქალიშვილისა და ჭაბუკის ქორწილს გადაიხდის“

– zēn//zīn „კარგი“, „კეთილი“:

– hāza zēn mā haw.

– „ეს კარგი არ არის“



- *hōzir ia'nī waḥt zēn.*
- „ახლა კარგი დროა“
- *fad//fat, fadhat//fahat, fatāhid, fataḥad*
- *kēyin mā kēyin, fad bōy kēyin.*
- „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბეი“
- *aṅta//anta*
- *bōy binta manṭa.*
- „ბეიმ თავისი ქალიშვილი (ცოლად) არ მისცა“

t განიცდის ასიმილაციას ნებისმიერ მომდევნო მჟღერ თანხმოვანთან: *idgūm* < *itgūm* „შენ დგები“, *midrīd* < *mitrīd* „გინდა“.

ზმნის პერფექტივის ფორმებში პირველ და მეორე ძირეულ თანხმოვანთან ფიქსირდება ერთი და იგივე ხმოვნები. ესენია *fa'al* და *fi'il* მოდელები: *zahak* „გაცივდა“, *libis* „ჩაიცვა“. ასეთი „ხმოვნების ჰარმონია“ დამახასიათებელია თურქული ენებისთვის, კერძოდ უზბეკური და თურქმენული ენებისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ფორმები ბედუინების მეტყველებისათვისაც არის დამახასიათებელი. ხმოვანთა ჰარმონიის გავლენას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ერთმაცვლოვანი სიტყვები იქცევიან ორმარცვლიანებად. მაგალითად, *ša'ar* „თმა“, *izin* „ყური“, *biṭṭan* „მუცელი“, *tibin* „თივა“, *ḥamis* „ხუთი“ და სხვა.

ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან საინტერესო დამთხვევაა სირიულ ფორმებთან. მესამე პირში სირიულში გვაქვს *hada, hadi, hal*. ბუხარულში შესაბამისი ფორმებია *had, hadi, hat, hal*. მრავლობითის ფორმა *halān* იდენტურია არამეულის – *halēn*.

უკუქცევითი ნაცვალსახელია *rūḥ* ნაწილაკ *bi>ib*-თან ერთად: *ibrūḥu* „ის თვითონ“, *ibrūḥna* „ჩვენ თვითონ“. კაშკადარიულში *bi* ნაწილაკსა და *rūḥ*-ს შორის ჩნდება თანხმოვანი *d*: *budrāḥa* „ის თვითონ“.

ზმნა საინტერესოა იმით, რომ მამრობითი სქესის გამოძნატველ ფორმებთან ერთად ფიქსირდება მდედრობითი სქესის ფორმები მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში. ეს ეხება როგორც პერფექტივს, ასევე იმპერფექტივს. აღნიშნული მოვლენა ბედუინების მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ბუხარულში პერფექტივის მესამე და მეორე პირის ფორმები მრავლობით რიცხვში, მდედრობით სქესში – *zahakīn* (მე-3 პირი) და *zahaktīn* (მე-2 პირი) ემთხვევა ბედუინების დიალექტში არსებულ ფორმებს. ასევე, კაშკადარიულ დიალექტში, მესამე პირის მრავლობითის ფორმა მამრობით სქესში ისეთივეა, როგორც ეს გვაქვს ბედუინების მეტყველებაში. მაგალითად, *katabaw, dahālaw, ḡaraw*. მაწარმოებელი ელემენტი, როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში არის *in* და მეორე შემთხვევაში – *aw*.

ბუხარული დიალექტის იმპერფექტივის ფორმებში გვხვდება პრეფიქსი *mi*. მისი წარმოშობა შეიძლება მიმდებარდეს ფორმას უკავშირდებოდეს. ფუნქციონალურად მიმდებარისათვის უცხო არ არის ზმნური მნიშვნელობის გამოხატვა. შესაძლოა, მიმდებარისათვის დამახასიათებელი ზმნური ფუნქცია იმპერფექტივის ფორმების წარმოებაში აისახა.

აღსანიშნავია, რომ ზმნის სტრუქტურაში ჩამოყალიბდა განუსაზღვრელი წარსული. იგი თურქული ენებისათვის არის დამახასიათებელი. მისი გაჩენა ცენ-

ტრალური აზიის დიალექტებში აიხსნება უზბეკურის გავლენით (Церетели 1941, 142). განუსაზღვრელი წარსული იწარმოება ზმნის მოქმედებით გვარის მიმღეობაზე ნაცვალსახელოვანი სუფიქსის დართვით: *mā kātibni* „მე არ დამიწერია“: უზბეკურის გავლენას უნდა მიეწეროს აგრეთვე განსაზღვრული აწმყოს ფორმები, რომელიც განგრძობით დროს გამოხატავს. იწარმოება ზმნის იმპერფექტივის ფორმაზე დამხმარე *nām* ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობის დართვით. მაგალითად, *iḡī nāyim* „ის ახლა მოდის“ (Церетели 1941, 142). ამ ზმნას გიორგი წერეთელი არაბულ *nāma*-ს (نام) უკავშირებს, რომელიც „ძილს“, „დაძინებას“ ნიშნავს. ვფიქრობ, შეიძლება იგი მომდინარეობდეს სემიტურ ენებში გავრცელებული *nʾm* ძირიდან, რომლის მნიშვნელობაა „წყალობა“, „კეთილგანწყობა“, „სიკეთე“.

გარდამავალ ზმნებს უმეტეს შემთხვევაში ბუხარის დიალექტში, დაერთვის დამატების აღმნიშვნელი სუფიქსი, მაგალითად, *rōs il-bāḡir ḥazah* „ძროხის თავი: აილო (ის)“ (= მან აილო ძროხის თავი); *ṭaʿōm ḥazah* „საჭმელი: აილო (ის)“ (= მან აილო საჭმელი).

ამგვარად, გარდამავალი ზმნები ცენტრალური აზიის დიალექტებში არიან ორპირიანები, ანუ გამოხატავენ სუბიექტსა და ობიექტს (Церетელი 1941, 143). ეს მოვლენა ფიქსირდება კავკასიის ენებში. იგი საყურადღებოა ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით.

არასწორ ზმნებში ბრძანებითი იწარმოება ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეციტ, რაც ბედუინების მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, *imš* „წადი!“ ნაცვლად ფორმისა „*imšī*“, *ibk* < *ibkī* „იტირე!“.

პირველი ძირეული ჰამზიანი ზმნები კაშკადარიულ დიალექტში იქცევიან ორთანხმოვნიანებად: *ḥaza* < *aḥza*. აღსანიშნავია, რომ პერფექტივის მეორე და პირველ პირში ჩნდება სუსტი თანხმოვანი: *ḥazeyta*, *ḥazeyti*, *ḥazeytu*. ამ შემთხვევაში გამოხატულია სამთანხმოვნიანი ზმნის წარმოების რეკონსტრუქციის ტენდენცია. მომავალი იწარმოება იმპერფექტივის ფორმაზე *ta* პრეფიქსის დართვით, რაც არ არის უცხო აღმოსავლური არაბული დიალექტებისთვის. *ta-noḡdi* „წავიდეთ ახლა“, „წავალთ ახლა“: *ta*, ჩვენი აზრით, მომდინარეობს არაბული ზმნური ფორმიდან *taʿāl* „მოდი“: *ta-nōkul* < *taʿāl nōkul* „მოდი, ეხლა ვჭამოთ“ (ჩიქოვანი 2014, 116).

ბუხარულში საინტერესოა *ḡāk* და *ḡadāk* ფორმები. *k* ამ შემთხვევაში წარმოადგენს დამხმარე *kāna* ზმნის ნაშთს (Церетელი 1941, 143). გამოხატავს მოქმედების მსვლელობას. ეს მოვლენა მნიშვნელოვანია დიალექტის არაბული ენობრივი სისტემის შიდა ევოლუციის თვალსაზრისით. არაბულში ფართოდ გავრცელებული ზმნა *kāna* შემოკლდა და გარდაიქმნა ზმნურ დაბოლოებად. ეს არის დიალექტის სემიტური ენობრივი მასალის შიდა განვითარების ამსახველი მაგალითი.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ცენტრალური აზიის არაბთა მეტყველებაში არაერთმა ენობრივმა მახასიათებელმა განიცადა კონსერვაცია, რაც განპირობებულია აღნიშნულ რეგიონში არსებული არაბული დიალექტების მრავალსაუკუნოვანი იზოლაციით. ამავე დროს ენობრივი გრამატიკული სისტემა დროთა განმავლობაში დაექვემდებარა გარკვეულ ცვლილებებს. ეს აიხსნება ერთი მხრივ ენის შიდა ევოლუციით.<sup>5</sup> მეორე მხრივ,

5 ენის შიდა ევოლუციით არის ასევე განპირობებული ავღანეთში არსებული პერიფერიული არაბულის არაერთი ენობრივი მახასიათებელი (Ingham 2003, 22).

დამახასიათებელია კონტაქტში მყოფი ენების ზეგავლენა, რაზედაც ზემოთ მქონდა საუბარი.

ენობრივი ცვლილებები მოიცავს ფონოლოგიას, გრამატიკას, ლექსიკას და, ასევე, სინტაქსს. მთლიანობაში ცენტრალურაზიური არაბული წარმოაჩენს კლასიკური არაბულისა და არაბული დიალექტების ზეგავლენისაგან თავისუფალ წმინდა არაბულ ენობრივ წარმონაქმს დიაქრონიაში, აჩვენებს გრამატიკული ფორმაწარმოების პოტენციალს და საკუთრივ არაბული ლექსიკის განვითარების სურათს.

ჩვენ ადრე მივუთითებდით, რომ კაშკადარიული დიალექტი ბუხარულთან შედარებით უფრო არქაულია, ახლოს დგას კლასიკურ არაბულთან და მასში უფრო მეტად ფიქსირდება არაბული ენის ისტორიისათვის საყურადღებო ენობრივი ფორმები და ლექსიკა. ისტორიულ და ცენტრალურ აზიაში მოპოვებულ დოკუმენტურ მასალასთან ერთად, ლინგვისტურმა ანალიზმა მაშინ საშუალება მომცა მევარაუდა ცენტრალური აზიის კაშკადარიისა და ბუხარის რეგიონებში არაბთა მიგრაციის ორი ტალღა, კერძოდ, პირველი – კარშის მიდამოებში – VII, VIII საუკუნეებში, ისლამური დაპყრობების ხანაში და მეორე – ბუხარის გიჟდუვანის პროვინციაში, თემურ ლენგის ლაშქრობებიდან გამომდინარე, ტყვეების იძულებითი გადაადგილების შედეგად (ჩიქოვანი 1985, 113).

წინამდებარე ენობრივი ანალიზი ადასტურებს, რომ ცენტრალური აზიის არაბული დიალექტებიდან კაშკადარიული ახლოს დგას ბედუინების არაბულ მეტყველებასთან და მასში ჭარბადაა *qat* არაბული დიალექტების ენობრივი მახასიათებლები. რაც შეეხება ბუხარულს, იგი მეტწილად კავშირშია ბინადარ არაბთა მეტყველებასთან. აქ ენის სხვადასხვა დონეზე იკვეთება *qatu* არაბული დიალექტებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

## **QƏLTU – GƏLƏT ARABIC DIALECTS AND CENTRAL ASIAN ARABIC**

The division of Arabic dialects on *qəltu* and *gələt* linguistic groups belongs to Haim Blank. He emphasized different pronunciations of *qāf* by various ethnic, urban and religious groups in Iraq and considered the forms of the first person of the Perfective of a verb – *qəltu* and *gələt* (“I said”) as its basis. In 1959 the scientist wrote, “Two broad dialectal types, each with several subdivisions, may be distinguished. On the basis of their respective forms of the word for “I said”, these may be called the *qiltu* – dialect and the *gilit* – dialects” (Blank 1959, 449). In his famous monograph “Communal Dialects in Baghdad”, published in 1964, Haim Blank refers to this dialectic group with a slightly different pronunciation as *qeltu*/*qəltu* and *gelet* Arabic dialects (Blank 1964, 5), which settled later in Arabic dialectology (Jastrow 1978–1981; Levin 1994, 317; Prochazka 2003). Similarly there occur the forms of the third person – *qāl* and *gāl*.

Thus, today in Iraq there are *qəltu* and *gelet* Arabic dialects. Based on their linguistic characteristics, each of them can be considered as an independent dialectological subsystem of Arabic language.

In 2002, I published an opinion that the naming of Arabic dialects contains obscurity according to the countries and regions. In Arab world or beyond it, in one or the other region, country, town or province is possible side-by-side functioning of a number of Arabic dialects (Chikovani 2002, 38-39). Then, I also paid an attention to similar linguistic marks of Arabic dialects in different regions that can be explained by their common origin from the old Arabic dialect. For example, I had discussed Arabic dialects of Khorramshahr in Iran and Mukalla in Yemen. The analysis of the linguistic material allowed me to connect Arabic speech of Mukalla, Bahrain and Khorramshahr with the old Arabic dialect of the Arabic tribe Banə Tamīm and discuss it as “the modern Arabic dialect of Tamīm” (Chikovani 2002, 38).

After Haim Blank, the scientists often refer to the linguistic characteristics of *qeltu* and *gelet* dialects in order to separate the dialects. It is clear that modern *qeltu* dialects originate from the old Arab urban environment. As for the *gelet* group, this type of Arabic speech is the speech of Bedouins according to its origination, which merged with the Muslim Arabic *qeltu* dialect as a result of settlement of the nomadic Arabs in the cities.

There are two Arabic dialects in Central Asia – Qashqa-darya and Bukhara Arabic dialects (Tsereteli 1937, 301; 1941, 135). They significantly differ from each other. In my opinion, it is owed to the chronologically different waves of Qashqa-darya and Bukhara Arab ancestors’ migrations to the region from geographically different stretches (Chikovani 1999, 97). These Arabic dialects had centuries ago rived away from Arab world and passed their independent way of development, which had also influenced their speech. Complex research of these dialects considers several directions. Old forms of Arabic language preserved in Qashqa-darya and Bukhara Arabic dialects are very important, especially on the level of morphology. Significant linguistic material is being revealed in Central Asian Arabic as a result of Semitic-Indo-European-Turkic language contacts. Centuries-old contacts with Tajik and Uzbek languages had influenced Arabic language. It should be noted that, besides Tajik and Uzbek languages, Central Asian Arabic dialects are also affected

by the influence of Turkmen, Russian and Afghan (Dari) languages, which is of great interest from the point of view of general-linguistics. Central Asian Arabic is noteworthy for the scholars also from another side. I mean the internal development tendencies of Arabic linguistic material during the long period of isolation from the Arab world. For centuries, extra linguistic factors had also influenced Arabic dialect. Field of activities, lifestyle, more or less knowledge of this or that language, regional lexis peculiarities were reflected in the recorded dialectological material.

There is an assumption that the ancestors of Central Asian Arabs were from Mesopotamia. I think they should have been from other regions as well, and for a long time Arabic linguistic material had been undergoing a merger. As a result, we got a unique Arabic linguistic phenomenon. Linguistic differences between these two dialects are noteworthy. For example, in Qashqa-darya dialect to the forms of the first person masculine of a verb is attached the pronominal suffix *a* characteristic for the *gelet* Arabic dialect: *ḥazā* “(he) took”, *ḥazuwa* “they took (him)”, *ḥaṣuwa* “filled (it, they)”:

*kokōyata kulla hamrāt ḥāzuwa, kisatumāt – kisayām ḥaṣuwa* (QAD, 63: 5).<sup>1</sup>  
*“The brothers took over all the gold [golden coins]; put them in their purses. (They) [filled the purses].”*

*diqōn i\_laglag i\_beyta ḥazā, ḡāʿ* (QAD, 109: 1).  
*“The peasant picked up [a broken-winged] crane and took it home”.*

In Qashqa-darya Arabic dialect with the third person nouns, the pronominal suffix is also expressed by *a*: *morta* “his wife”, *walda* “his son”:

*pōšō ḥubz, muya, laham kala, boṭna šabaʿ* (QAD, 59: 4).  
*“The Pasha has eaten the meal (bread, water, meat), satiated (his stomach was sated)”.*

*bēy i\_bēʿta ʿirs sawa* (QAD, 59: 4).  
*“The Bey celebrated a wedding in (his) house”.*

In Bukhara Arabic dialect, the verbs in the third person masculine instead of *a* add *u* as a pronominal suffix, which occurs in *qeltu* dialects: *muqælæ* “will tell him”, *raââæ* “threw (him)”.

*had abei muqūlū dabba ma ioḥdū* (BAD, 57: 2).  
*“He will refuse his father’s chosen horse (he will not take the horse that his father advised him)”.*

*i\_ha ḡifra ki-raššū* (BAD, 56: 3).  
*“They threw him into that well”.*

Like the verbs, the nouns in BAD also use the suffix *u* with a pronominal function: *ʿiyyālu* “his children”, *bintu* “his daughter”:

*bobotna usmu niōz bōy* (BAD, 64: 1).  
*“The name of our forefather [ancestor] [his name] is Nioz Boy”.*

*iḥlāf maratu wulidet walad* (BAD, 63: 7).  
*“Then his wife gave birth to a son”.*

1 QAD, later in the text, denotes the work – Chikovani 2008, and BAD – Bukhara Arabic dialect: Chikovani 2009. If the source is not indicated, the example is given from an unpublished material collected by me in Central Asia.

Among the characteristic peculiarities of the *qeltu* dialects, I would like to discuss the articulation of qāf in Central Asian Arabic.

qāf in the *qeltu* dialects is pronounced like *q*: *qultu*. Compare in Syriac – *ana qultu-l-lak* “I told you”. Such pronunciation of qāf is characteristic for Bukhara Arabic dialect:

*anā umrī qarib oḥer šōr* (BAD, 55: 1).  
“My life has ended (will end) soon”.

In both dialects, there are occasions of conveying qāf by ḥ:

*fad waḥt mišōr* (BAD, 55: 1).  
“The time has passed”.

*zıklōnāt kōn waḥt raziʿ ma sār* (QAD, 53: 1).  
“They did not have a child for a long time”.

In BAD, qāf is sometimes pronounced by combination of two consonants – *kḥ*. For example *kḥōl* – “told”:

*abdul loḥōn i\_abe kḥōl: ki-bōwō illay dabba ištaru!* (BAD, 57: 1).  
“Abdul Lohon told his father, “Buy me a horse!”.

The informant’s pronunciation of qāf as the consonant *kḥ* occurred in the kishlak Jogari of Bukhara Gijduvan District. It can be assumed that we are dealing with the inner evolution of qāf in Bukhara Arabic. Neither is excluded that *kḥ* could be the oldest articulation form of qāf.

Post velar *kḥ* is pronounced by adjoining the back of the tongue to the back of the soft palate. During the articulation appears a slight slit for the airflow ascending from the throat.

For the root-structure of the verbs and nouns is characteristic the tendency to restore three consonants: *kē avbar* < *ke aʿbar* “lived”, *rowd* < *rōd* “land”, “ground”, “soil”, comp. *ʿarḍ*:

*kāin ma kāin fī qadīmi waḥt esqe zamōn fad bōy ke avbar* (BAD, 55: 1).  
“Once upon a time in old times (in ancient times) there lived one Bey”.

*hat pōšō ki-sōr, ʿihād abū rōden pošoya insōir i-hankit ḡeʿōniya misōr* (BAD, 56: 5).  
“[When] he became a Pasha the famine started in his father’s land”.

In the dialect occurs the suffix *īn* expressing an indefinite state, which in the syntactic construction is added to the noun, the adjective is always represented in singular: *waladīn isḡir* “junior son”, *ḥoiṭīn kbīr* “big house”.

In BAD, some words, expressions and morphological markers are common with the Bedouin lexis, for instance, *ogūb//ugūb* – “then”. Besides the Bedouin speech, it also occurs in Iraqi dialect, but with the different pronunciation – *agūb*:

– *ugūb leyl šōr*.  
“Then the night fell”.

– *ugūb bōy binta i\_hāma walad ʿirs isia*.  
“Then the Bey celebrates the wedding of his daughter and the boy”.

– *zēn//zīn* “good”, “okay”:

– *hāza zēn mā haw*.  
“That is not good”.

*hōzir ia'nī waḥt zēn.*  
"It's a good time now".

-*fad//fat, fadhat//fahat, fatāhid, fataḥad*  
-*kēyin mā kēyin, fad bōy kēyin.*  
"Once upon a time there was one Bey".

- *anṭa//anta*  
*bōy binta manṭa.*  
"The Bey did not give his daughter (to marriage)".

*t* undergoes the assimilation with any of the following voiced consonants: *idgūm* < *itgūm* "you stand up, get up", *midrīd* < *mitrīd* "you want".

In the forms of the Perfective of a verb occur the same vowels with the first and second root consonants. These are *fā'al* and *fī'il* models: *zahak* "laughed", *libis* "dressed". Such "harmony of vowels" is characteristic for the Turkic languages, namely for Uzbek and Turkmen. It should also be said that such forms are characteristic for the Bedouin speech as well. To the influence of the harmony of vowels should also be attributed the fact that one-syllable words behave like two-syllable ones. For example, *ša'ar* "hair", *izin* "ear", *bōṭan* "belly", "abdomen", *tibin* "hay", *ḥamis* "five", etc.

Among the demonstrative pronouns, as we have mentioned, there is an interesting coincidence with the Syriac forms. In Syriac, in the third person we have the forms *hada, hadi, hal*. In Bukhara dialect the corresponding forms are *had, hadi, hat, hal*. The plural form *halān* is identical with the Aramaic *halēn*.

The reflexive pronoun *rūḥ* is used together with the particle *bi* > *ib*: *ibrūḥu* "he himself", *ibrūḥna* "we ourselves". In Qashqa-darya Arabic between the particle *bi* and *rūḥ* appears the consonant *d*: *budrāḥa* "he himself".

The verb is interesting by the fact that together with the forms of the masculine gender, there are singular and plural forms of the feminine gender. This refers to both Perfective and Imperfective. Mentioned fact is characteristic for the Bedouin speech. In Bukhara Arabic the forms of the third and second person *zahakīn* (3<sup>rd</sup> person), *zahaktīn* (2<sup>nd</sup> person) coincides with the forms of the Bedouin dialect. Likewise, in Qashqa-darya dialect the form of the third person masculine plural is the same as it is in the speech of the Bedouins. For example, *katabaw, daḥalaw, garaw*. The forming element, as we can see, in the first case is - *īn* and in the second is - *aw*.

It is noteworthy that in the verb's structure has formed the Past Indefinite. It is characteristic for the Turkic languages. Its occurrence in Central Asian dialects can be explained by the influence of Uzbek language (Tsereteli 1941, 142). Past Indefinite tense is formed by adding of a pronominal suffix to the form of active participle of a verb: *mā kātibni* "I have not written". The forms of the Present Definite conveying continuous tense should also be ascribed to the influence of Uzbek language. It is formed by adding of an auxiliary verb *nām* to the Imperfective form of a verb (Tsereteli 1941, 142). This form of the verb, in my opinion, should be coming from the Semitic root *n'm*. For example, *iḡī nāyim* (< *iḡī nā'im*) "he is coming now".

To the transitive verbs is mostly added the suffix denoting complement, for example, *rōs il-bāgir ḥazah* "The cow's head: he took (it)" (= he took the cow's head); *ta'ōm ḥazah* "The food: he took (it)" (= he took the food).

In defective verbs, the imperative is formed by elision of the final consonant, which is characteristic for the Bedouin speech. For example, *imš* "Go!" instead of the form *imšī*, *ibk* < *ibkī* "Cry!".

First root hamzated verbs in Qashqa-darya Arabic dialect are turning into two-consonantal ones: *ḥaza* < *'aḥaza*. It is noteworthy, that a weak consonant occurs in the second and first persons of the Perfective: *ḥazeyta*, *ḥazeyti*, *ḥazeytu*. In this case, is revealed the tendency of restoration of three-consonantal verbs. The future is formed by adding of the prefix *ta* to the form of the Imperfective, which is not foreign for the Eastern Arabic dialects. *ta-noḡdi* "Let's go now", "We'll go now". According to my opinion, *ta* represents a shortened form of Arabic verb *ta'āl* ("Let's!", "Come on!") (Chikovani 2014, 116).

Illustrated examples reveal the differences between Central Asian Bukhara and Qashqa-darya Arabic dialects, which in some cases coincide with the peculiarities of *qāl* and *gāl* Arabic dialects.

We mentioned earlier that Qashqa-darya Arabic dialect is more archaic than Bukhara dialect, it stands close to classical Arabic and has more fixed language forms and vocabulary important for the history of Arabic language (Chikovani 1999, 97).

Historical and folklore data allowed me to presume two waves of Arab migrations to the Qashqa-darya and Bukhara regions of Central Asia. Namely, the first wave - near Qarshi in the VII, VIII centuries, during the period of Islamic conquests and the second one - in the Gijduvan District of Bukhara region, due to Tamerlane's conquests and as a result of forced displacement of captives (Chikovani 1999, 97).

The difference between the two dialects of Central Asia at the level of linguistic characteristics, first of all has been studied by Acad. George Tsereteli. This issue was also researched at different times by Wolfdietrich Fischer (Fischer 1961), Vladimir Akhvlediani (Akhvlediani 1985, 4) and Otto Jastrow (Jastrow 2014, 205-212).

Presented linguistic analysis confirms that among the Arabic dialects of Central Asia, Qashqa-darya Arabic dialect stands close to the Arabic speech of Bedouins and has an excessive number of linguistic characteristics of "*gələt*" Arabic dialects. As for the Bukhara Arabic, it is largely in contact with the speech of the Arab residents. Here, at different language levels are revealed the characteristics of "*qəltu*" Arabic dialects.

#### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. ჩიქოვანი, გ. კაშკადარიელ არაბთა მიგრაციის ზოგიერთი საკითხი შუა აზიაში. *სემიტოლოგიური ძიებანი*. თბილისი: „მეცნიერება“ (Chikovani, G. Kashkadarieli arabta migraciis zogierti sakitxi shua aziashi. Semitologiuri dziebani. Tbilisi: "Mecniereba", 1985.
2. ჩიქოვანი, გ. შუა აზიის არაბული დიალექტები. *კაშკადარიული დიალექტი (ფონოლოგია, გრამატიკა, ლექსიკა)*. თბილისი: „ენა და კულტურა“ (Chikovani, G. Shua aziis arabuli dialektebi. Kashkadariuli dialekti (phonologia, gramatika, leksika. Tbilisi: "Language and Culture"), 2002.
3. ჩიქოვანი, გ. ცენტრალური აზიის არაბული დიალექტები, კაშკადარიული დიალექტი: ტექსტი, თარგმანი, განმარტებები. თბილისი: „ხირონი“



- (Chikovani, G. *Centraluri aziis arabuli dialektebi, kashkadariuli dilalekti: teksti, targmani, ganmartebebi*. Tbilisi: "Khironi"), 2007.
4. ჩიქოვანი, გ. *არაბული ენის ბუხარული დიალექტი*. თბილისი: "მწიგნობარი" (Chikovani, G. *Arabuli enis bukhharuli dialekti*. Tbilisi: "Mtsingnobar"), 2009.
  5. ჩიქოვანი, გ. რთული (დაუყოვნებელი) მომავალი ცენტრალური აზიის არაბულ დიალექტებში. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VIII, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (Chikovani, G. *Rtuli (daukovnebeli) momavali centraluri aziis arabul dialektbshi*. *The Near East and Georgia*, VIII, Tbilisi: Ilia State University), 2014.
  6. წერეთელი, გ. შუა აზიის არაბული დიალექტები (წინასწარი ანგარიში). *ენიმკის მოამბე*, I თბილისი (Tsereteli, G. *Shua aziis arabuli dialektebi (tsinastsari angarishi)*. *Enimkis moambe, I, Tbilisi*), 1937.
  7. წერეთელი, გ. ზმნის ზოგიერთი ძირითადი ფორმის წარმოებისათვის ბუხარის არაბულ დიალექტში. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, XXX/1 (Tsereteli, G. *Zmnis zogierti dziritadi phormis tsarmoebisatvis bukharis arabul dialektshi*. *Tbilisis saxelmtsipho universitetis shromebi*, XXX/1). 1947.
  8. Blank, H. Book Reviews. *Iraqi Arabic Studies, The Middle East Journal*. Washington. 1959.
  9. Blank, H. *Communal Dialects in Baghdad*. Cambridge, Massachusetts. 1964.
  10. Chikovani, G. Some Notes about the History and Language of Central Asian Arabs, *Perspective - XXI*, 2, Tbilisi, 1999.  
Chikovani, G. Bukhara and Qashqa-Darya Arabic Dialects. The Main Objectives of the Study of Peripheral Arabic Dialects, *Neue Beihefte zur Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes*, Bd.8, Alf Lahga wa Lahga. *Proceedings of the 9<sup>th</sup> AIDA Conference*, edited by Olivier Durand, Angela Diana Langone, Giuliano Mion, Vienna, 2014.
  11. Fischer, W. *Die Sprache der arabischen Sprachinsel in Uzbekistan. Der Islam*, 36, 1961.
  12. Ingham, B. Language Survival in Isolation: The Arabic Dialect of Afghanistan. *AIDA 5<sup>th</sup> Conference Proceedings*, edited by A. Ferrando, J.J. Sanchez Sandoval, Servicio De Publicaciones Universidad De Cadiz, 2003.
  13. Jastrow, O. 1978-1981. *Die mesopotamish-arabischen qeltu - Dialecte, Phonologie und Morphologie, II, Volkskundliche Texte in elf Dialekten*. Wiesbaden, 978-1981.
  14. Jastrow, O. Uzbekistan Arabic: A Language Created by Semitic-Iranian-Turkic Linguistic Convergence. *Linguistic Convergence and Areal Diffusion, Case Studies from Iranian, Semitic and Turkic*. Edited by Éva Ágnes Csató, Bo Isaksson and Carina Jahani. London and New York: Routledge Curzon, 2005.
  15. Jastrow, O. Where do we Stand in the Research of the Anatolian qeltu Dialects. *Romano-Arabica*, New Series, № 6-7, Peripheral Arabic Dialects. Editura Universității din București, 2006-2007.
  16. Jastrow, O. Dialect Differences in Uzbekistan Arabic and their Historical Implications. *Neue Beihefte zur Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes*, Band 8, Alf Lahga wa Lahga. *Proceedings of the 9<sup>th</sup> AIDA*

- Conference*, Olivier Durand, Angela Daiana Langone, Giuliano Mion (Eds.), Wien: LIT Verlag, 2014.
17. Levin, A. The Role of the Mesopotamian qeltu Dialects in the History of the Arabic Dialects of Iraq. *Actes des premières journées internationales de dialectologie arabe de Paris*, INALCO, Paris, 1994.
  18. Levin, A. The ?Imāla in the Modern qeltu Dialects, Aspects of the Dialects of Arabic Today. *Proceeding of the 4<sup>th</sup> Conference of the International Arabic Dialectology Assocoation (AIDA)*, Marrakesh, April 1-4, 1994.
  19. Prochazka, S. The Bedouin Arabic Dialects of Urfa. *AIDA 5<sup>th</sup> Conference Proceedings*, edited by A. Ferrando, J.J. Sanchez Sandoval, Servicio De Publicaciones Universidad De Cadiz, 2003.
  20. Van Ess, J. *Spoken Arabic of Iraq*. Second Edition with Revised and Additional Vocabulary. Oxford University Press. London: Humphrey Milford, 1938.
  21. Vinnikov, I. N. Materialien zur Grammatik der kaška-darjiner Araber, Paradigmen der Verbalformen. *Studia Semitica*, Ioanni Bacoš dicata, Bratislava, 1965.
  22. Ахвледиани, Вл. *Бухарский арабский диалект*. Тбилиси: “Мецниереба” (Akhvlediani, Vl. *Bukharskiy arabskiy dialect*. Tbilisi: “Metsniereba”), 1985.
  23. Словарь диалекта бухарских арабов, *Палестинский сборник*, 10 (73), Москва-Ленинград (Slovar dialekta bukharskikh arabov, *Palestinskiy sbornik*, 10 (73), Moskva-Leningrad), 1962.
  24. Винников, И. Н. Образцы говора кашкадарьинских арабов, *СЯ*, II. Москва (Vinnikov, I. N. Obrazcy govora kashkadarinskikh arabov, *SYA*, II. Moskva), 1963.
  25. Винников, И. Н. *Язык и фольклор бухарских арабов*. Москва (Vinnikov, I. *Yazyk i folklor bukharskikh arabov*. Moskva), 1969.
  26. Церетели, Г. В. К характеристике языка среднеазиатских арабов. *Труды второй сессии Ассоциации арабистов*. Москва-Ленинград (Tsereteli, G. V. K kharakteristike yazyka sredneaziatskikh arabov. *Trudy vtoroy sessii Assotsiatsii arabistov*. Moskva-Leningrad), 1941.
  27. Церетели, Г. В. Арабские диалекты в Средней Азии. *Доклады советской делегации на XXIII международном конгрессе востоковедов, Секция семитологов*. Москва (Tsereteli, G. V. Arabskie dialekty v Sredney Azii. *Doklady sovetskoy delegatsii na XXIII mezhdunarodnom kongresse vostokovedov, Sektsiya semitologov*. Moskva), 1954.
  28. Церетели, Г. В. К изучению языка среднеазиатских арабов. Образцы речи кашкадарьинских арабов. *Труды Ин-та языкознания АН Груз. ССР (сер. вост. яз.)*, вып. I. Тбилиси (Tsereteli, G. V. K izucheniyu yazyka sredneaziatskikh arabov. Obraztsy rechi kashkadarinskikh arabov. *Trudy In-ta yazykoznanija AN Gruz. SSR (ser. vost. yaz.)*, вып. I. Tbilisi), 1954.
  29. Церетели, Г. В. *Арабские диалекты Средней Азии, т. I. Бухарский арабский диалект*. Тбилиси (Tsereteli, G. V. *Arabskie dialekty Sredney Azii, t. I. Bukharskiy arabskiy dialect*. Tbilisi), 1956.
  30. Чиковани, Г. Г. *Кашкадарьинский арабский диалект Центральной Азии*. Тбилиси: “Мцигнобари” (Chikovani, G. G. *Kashkadarinskiy arabskiy dialect Tsentralnoy Azii*. Tbilisi: “Mtsignobari”), 2008.

## ნინო დოლიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ებრაელუბთან დამოკიდებულების საკითხი და ებრაული გავლენა მაჰმუდ დარვიშის პოეზიაში

მაჰმუდ დარვიში (1942-2008) თანამედროვე არაბულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოეტია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მე-20 ს-ის არაბული პოეზიის გათანამედროვებასა და განვითარებაში. თუმცა მას უფრო ხშირად წარმოაჩენდნენ ხოლმე როგორც „პალესტინის ხმას“, პალესტინელთა უფლებების დამცველს, *პალესტინური წინააღმდეგობის* პოეტს, რომელიც *ინთიფადას*<sup>1</sup> სიმბოლოდაც კი იქცა. პალესტინელი არაბები მის პოეზიას ავტობიოგრაფიულად და წინასწარმეტყველურად აღიქვამდნენ. როგორც ა. ნოვირტი აღნიშნავს, დარვიში გახდა ქარიზმატული ფიგურა, ხოლო მისი პოეზია „ქვემოდან კანონიზაციის“ წყალობით ამაღლდა „პალესტინური კანონის“ რანგში.<sup>2</sup> დარვიშის ლექსებში, როგორც „მეტა-ლიტერატურულ“ ავტობიოგრაფიაში, თითოეული პალესტინელი მკითხველი თანაბრად მონაწილეობდა, ყველა საკუთარ თავს ხედავდა. თანდათან დარვიში კოლექტიური გამოცდილების გადამცემ ისლამამდელ პოეტ-წინასწარმეტყველს<sup>3</sup> დაემსგავსა, თუმცა პალესტინური საკითხის საერთაშორისო დონეზე გამხმაურებლისა თუ ჩაგრული მხარის ინტერესების დამცველის როლით არასოდეს დაკმაყოფილებულა. გამუდმებით მუშაობდა ლექსის დახვეწაზე, გამომსახველობითი საშუალებების გამდიდრებაზე, სტილზე, სულ ცდილობდა, განვითარებულიყო როგორც პოეტი.<sup>4</sup> ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა:

„ყოველი ჩემი ახალი კრებული უწყვეტობის ერთგვარი რღვევისკენ, წინა კრებულის დაშლისკენაა მიმართული, რამდენადაც თითოეული ახალი წამოწყებისას, უცვლელად განვიცდი საჭიროებას, განვაავითარო და ცენტრს დაგუახლოვო ნიუანსები, რომელიც მანამდე მეორადად

1 *ინთიფადა* (არაბ. აჯანყება) – პალესტინური წინააღმდეგობის მოძრაობა.

2 Angelika Neuwirth, “Hebrew Bible and Arabic Poetry, Reclaiming Palestine as a Homeland Made of Words: Mahmoud Darwish”, in: *Arabic Literature, Post Modern Perspectives*, Ed. by Angelika Neuwirth, Andreas Pflitsch, Barbara Winkler (London, Saqi, 2004), 172.

3 ისლამამდელ ხანაში პოეზია ნაკლებად აღიქმებოდა ხელოვნების დარგად. არაბთა წარმართულ საზოგადოებაში ის ყოველდღიური ყოფის განუყოფელი ნაწილი, სოციალური არსებობის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. არაბთა კოლექტიური მახსოვრობის შემნახველი, ტრადიციული შემოქმედებითი ნორმების გადამცემი პოეტი წინასწარმეტყველის რანგში გახლდათ აყვანილი.

4 უფრო დაწვრილებით დარვიშის ბიოგრაფიისა და მისი შემოქმედების სამი ძირითადი ეტაპის შესახებ იხ.: ნინო დოლიძე, „მაჰმუდ დარვიშის პოეზია როგორც „კოლექტიური ხმიდან“ ინდივიდუალური ლექსისკენ განვლილი გზა“, *ორიენტალისტური ძიებანი* (2018): 162-178.

და მარგინალურად მიმაჩნდა... ჩემი პოეტური შეთავაზებები სათავეს ყოველთვის არაბული პოეზიის ხანგრძლივ ისტორიაში, მის რიტმებსა და ესთეტიკურ კანონებში იღებს. იშვიათია პოეტები, რომლებიც ერთბაშად იზადებიან. მე თანდათანობით და შუალედური კუმშვებით დავიბადე და დღემდე ვსწავლობ ლექსისკენ მიმავალ რთულ გზაზე სიარულს – ლექსისკენ, რომელიც ჯერ არ დამიწერია.<sup>5</sup>

დარვიშმა მოახერხა, მხოლოდ ანტიისრაელური პოლიტიკური ლექსების ავტორად არ დარჩენილიყო. არაერთი კვლევა დაიწერა მის პოეზიაზე, სადაც ტრადიციული მემკვიდრეობა ისევე კარგად შეიგრძნობა, როგორც ახალი ხედვა. პოეტის ტექსტებში გამოიყოფა როგორც არაბულ-მუსლიმური, ისე ებრაული-იუდაური და ქრისტიანული პარადიგმები.<sup>6</sup> თუმცა ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ის, თუ რა გავლენა მოახდინა დარვიშის პოეზიაზე არა ტრადიციულმა არაბულმა, არამედ ებრაულმა კულტურამ. აღსანიშნავია, რომ ოცზე მეტ ენაზე ნათარგმნი მისი პოეზია განსაკუთრებულ ინტერესს ყოველთვის ისრაელში იწვევდა. მაჰმუდ დარვიშის პოეზიის დიაქრონიაში განხილვა საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ, თუ როგორ იცვლებოდა მისი ხედვა ე.წ. „ებრაულ საკითხთან“ მიმართებაში.

პოეტური შემოქმედების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნათლად დავინახავთ, რომ დარვიშის დამოკიდებულება ებრაელებისადმი სიმკაცრიდან სირბილისკენ იცვლება. დროთა განმავლობაში ის თითქოს უფრო მიმტვევებელი და შემწყნარებელი ხდება, თუმცა ეს არ ნიშნავს დანაკარგთან შეგუებას ან ტკივილის დავიწყებას. საქმე ის გახლავთ, რომ დარვიში თავიდანვე ვერ აღიქვამდა ებრაელებს როგორც ერთ მონოლითურ მთლიანობას. ექვსი წლის ასაკში, 1948 წლის ცნობილი მოვლენების დროს<sup>7</sup>, იძულებული გახდა, დასავლეთ გალილეაში მდებარე მშობლური არაბული სოფელი ბირვა დაეტოვებინა. ეს სოფელი ისრაელმა მალევე დაანგრია, იქ მცხოვრებთა უკან დაბრუნება რომ აერიდებინა თავიდან. ლიბანში გაქცეული ოჯახი ჯერ ჯიზინში, შემდეგ დამურში ცხოვრობდა. ერთ წელიწადში სოფელ დირ ალ-ასადში დაბრუნდნენ. ერთხანს მოქალაქეობას მალავდნენ, რადგან ეს მიწა უკვე ისრაელს ეკუთვნოდა. პოეტის მამა, რომელიც თავის დროზე მიწისმფლობელი იყო, იძულებული გახდა დღიურ მუშად დაეწყო მუშაობა. დაწყებითი სკოლა მაჰმუდმა დამურში, ლიბანის ლტოლვილთა ბანაკში დაამთავრა. ბუნებრივია, ამ ტრამვას უკვალოდ არ ჩაუვლია.

დარვიშს, რომელმაც პირველი პოეტური კრებული „უფრთო ჩიტები“ (عصافير بلا أجنحة) ცხრამეტი წლისამ გამოაქვეყნა, ნამდვილად ექნებოდა განცდა, რომ პოეზია მის ხელთ უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული იარაღი იყო. ნაზარეთში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ის ჰაიფაში ცხოვრობდა და გაზეთ „ითთიჰადის“ რედაქციაში მუშაობდა. აქ დაუახლოვდა სახელგანთქმულ

5 მაჰმუდ დარვიში, „უნივერსალურის ადგილობრიობა“, წინასიტყვაობა ფრანგული კრებულითვის „ჩვენ დედამიწა გვევიწროება“ (გამომცემლობა გალიმარი, 2000), ფრანგულიდან თარგმნა ბ. ჩაბრაძემ, უ. „ახალი საუნჯე“ #1 (2016): 19.

6 ვრცლად იხ: Anette Mansson, Passage to a new Wor(l)d, Exile and Reastoration in Mahmoud Darwish's Writings (1960-1995) (Stockholm: Uppsala Universitet, 2003).

7 1948 წელს ისრაელმა დასავლეთი სანაპირო დაიკავა.

პალესტინელ რომანისტს, ჟურნალისტსა და პოლიტიკოსს ემილ ჰაბიბის.<sup>8</sup> აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის გამო ისრაელის მთავრობის მიერ სამი წლის განმავლობაში (1967-1970) შინაპატიმრობაც კი ჰქონდა მისჯილი. სწორედ ჰაიფაში გამოაქვეყნა პოლიტიკური ლექსები. მათ შორის ყველაზე ცნობილია „პირადობის მოწმობა“ (أبواب الهوية, 1964)<sup>9</sup>, სადაც ის ყოველგვარი ქვეტექსტისა და სიმბოლოების გარეშე, პირდაპირ მიმართავს ისრაელს როგორც ოკუპანტს:

„ჩაიწერე!  
მე არაბი ვარ.  
შენ წინაპართა ვენახები წამართვი, ყველა,  
მიწაც, რომელსაც ვაუთან ერთად ვამუშავებდი.  
ალარაფერი დაგვიტოვეთ  
მე და ჩემს შვილებს  
კლდეების გარდა.  
თქვენი მთავრობა ამასაც გვართმევს?  
მაშინ  
პირველი გვერდის თავში ჩაწერე ახლა:  
მე არ მძულს ხალხი,  
და არავის არაფერს ვერჩი,  
მაგრამ იცოდე,  
თუ მომშვიდება,  
დამპყრობელს შევჭამ!  
ამ ბრაზს ერიდე  
და უფრო ხილდი ჩემს მწარე შიმშილს!“<sup>10</sup>

ამ ლექსში „ხალხი“ („მე არ მძულს ხალხი და არავის არაფერს ვერჩი“) და „ისრაელის სახელმწიფო პოლიტიკა“ უკვე გამიჯნულია. ჰაიფაში მოღვაწეობისას დარვიში აშკარა ანტიისრაელურ განწყობას გამოხატავდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, არასოდეს ივიწყებდა ებრაელ მასწავლებლებს, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მის ჩამოყალიბებაზე, იმ ადამიანებს, ვისაც ემადლიერებოდა. ჰაიმ ბიალიკს<sup>11</sup> განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა. ჰაიფაში შეხვდა თავის პირველ სიყვარულსაც – ებრაელ რიტას, რომელსაც მოგვიანებით ლექსების მთელი კრებული მიუძღვნა.<sup>12</sup> დარვიში იგონებდა:

8 ემილ ჰაბიბი (1922-1996) – ქრისტიანი (ანგლიკანი) პალესტინელი არაბი, ისრაელის მოქალაქე (ისრაელის მოქალაქეობა მიიღო მას, შემდეგ, რაც 1948 წლის მოვლენების შემდეგ ჰაიფაში დარჩა საცხოვრებლად).

9 1965 წლის 1 მაისს დარვიშმა „პირადობის მოწმობა“ ნაზარეთში, სადაც აუდიტორიაში წაიკითხა. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ლიბერმანმა ეს ლექსი ჰიტლერის Mein Kampf-ს შეადარა.

10 დარვიშის ყველა ლექსი თარგმნილია კრებულიდან: (محمود درويش، الأعمال الكاملة، (نابلس-فلسطين: الإسرائ)، 2015)

11 ჰაიმ ბიალიკი (1973-1934) – თანამედროვე ებრაული პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომელიც ისრაელის ეროვნულ პოეტად არის აღიარებული. წერდა ებრაულადაც და იდიშზეც.

12 რიტა, რომელსაც დარვიში სულამითის სახელითაც მოიხსენიებს, პირველად მის პოეზიაში 1977 წელს ჩნდება, 1992 წელს გამოქვეყნებული კრებული „თერთმეტი ვარსკვლავი ანდალუსიის უკანასკნელ სცენაზე“ (أحد عشر كوكبا على آخر المشهد الأندلسي) კი მთლიანად რიტას ეძღვნება. სწორედ ამ კრებულში შედის ცნობილი ლექსი „რიტას

„სამხედრო სასამართლო, ჩემი პოეზიის გამო რომ მაწამა, ებრაული იყო. პედაგოგი, რომელმაც ებრაული მასწავლა და ლიტერატურა შემაყვარა, ებრაელი იყო. ჩემი მკაცრი, შეუბრალებელი ინგლისურის მასწავლებელი ებრაელი იყო. პირველი მოსამართლე ქალი, ვინც განაჩენი გამომიტანა, ებრაელი იყო. ჩემი პირველი საყვარელი ებრაელი იყო. ჩემი მეზობელი ებრაელი იყო. ჩემი პოლიტიკური მოკავშირეები ებრაელები იყვნენ. ასე რომ, თავიდანვე ვერ ვუყურებდი ებრაელებს როგორც ერთ მთლიანობას ან სტერეოტიპს.“<sup>13</sup>

ისრაელის მთავრობის მიერ სამგზის დაპატიმრებული დარვიში სხვადასხვა დროს ცხოვრობდა კაიროში, თუნისში, ბეირუთში, კვიპროსზე, ამანში, აშშ-ში, პარიზში... 1973 წელს დასახლდა ბეირუთში, სადაც განაგრძობდა პოეზიით ბრძოლას, თუმცა მუქარის ტონი, რომელიც პირველ ლექსებში ჩანს, მისი შემოქმედების შემდეგ ეტაპზე შეიცვალა. 1982 წელს, როცა ბეირუთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, პოეტი პარიზს გაემგზავრა. 1991 წელს დაწერილ ლექსში „ბოლო საღამო ამ მიწაზე“ დარვიში ებრაელებს ასე მიმართავს:

„შემოდით, დამპყრობლებო, ჩვენს სახლებში,  
ღვინო დალიეთ  
მსუბუქი მუვაშმაჰებიდან<sup>14</sup>,  
შუალამე რომ გადაივლის,  
განთიადს გმირი აღარ მოიტანს  
უკანასკნელი აზანის<sup>15</sup> მხრიდან...  
დალიეთ ჩვენი მწვანე ჩაი, სანამ ცხელია,  
მოდით და ნედლი ფსტა მიირთვით.  
მწვანე საწოლები კედრის ხისაა,  
ხანგრძლივი ალყის შემდეგ  
მოსვენეთ და დაიძინეთ  
ჩვენი ოცნებების ბუმბულებზე.  
ზეწრები მზადაა,  
კეთილსურნელება კარზე ჰკიდია,  
სარკე ბევრია...  
შედით სახლებში იმისათვის,  
რომ ჩვენ იქიდან გამოვიდეთ.“

ამ ლექსში ჩანს, თუ რა „უმტკივნეულოდ“ გადასცემს დარვიში დამპყრობელს თავისი სახლის გასაღებს, თავად კი ტანჯვით აღსავსე მოგზაურობაში მიემართება. თვალწინ წარმოგიდგება პალესტინელთა მიერ დასავლეთ სანაპირო-

გრძელი ზამთარი; სადაც აშკარაა ბიბლიური „ქებათა ქების“ გავლენა, ჩანს უფსკრული პოეტის სურვილსა და მის აღსრულებას შორის. რიტა ასევე გვხვდება კრებულში „უცხო ქალის საწოლი“ (1999) და მემუარებში „ხსოვნა დავიწყებისთვის“ (1987), სადაც პოეტი ბეირუთის დაბომბვისას ტელეფონით ესაუბრება მას. ბოლოს რიტაც იქცა სიმბოლოდ, თუმცა როგორც ლიბანელი რომანისტი ელიას ხური შენიშნავს, „არა მტრებს შორის სიყვარულის სიმბოლოდ“.

13 Amon Raz-Krakovitz, *Exil und Binationalismus: Von Gershom Scholem und Hannah Arendt bis zu Edward Said und Mahmoud Darwish* (Berlin: Wissenschaftskolleg zu Berlin, 2011): 129.

14 მუვაშმაჰი (არაბ.) – სტროფული ლექსი.

15 აზანი (არაბ.) – მოწოდება ლოცვისკენ.

ზე სულ რამდენიმე საათში დაცლილი სახლები, საიდანაც მათ პირადი ნივთების წაღებაც კი ვერ მოასწრეს, და სადაც სულ ცოტა ხანში საბჭოთა კავშირიდან თუ ბრუკლინიდან „აღთქმულ მიწაზე“ ამოსული ებრაელები შესახლდნენ.

მოგვიანებით დარვიშის დამოკიდებულება ებრაელების მიმართ კიდევ უფრო რბილი ხდება. მეტიც, პოეტი იწყებს პარალელების გავლებას პალესტინელებისა და ებრაელების ლტოლვილობას შორის – ებრაელები ხომ ოცი საუკუნის განმავლობაში იყვნენ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ახლა პალესტინელები აღმოჩნდნენ?! „ვინ ვარ მე გადასახლების გარეშე?“ – სვამს დარვიში კითხვას ერთ-ერთ ლექსში (1999) და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იგივე კითხვა საუკუნეთა მანძილზე შეიძლებოდა ებრაელებსაც დაესვათ. ამ ლექსში პოეტი პალესტინას მიმართავს:

„უცხო ვარ მდინარის ნაპირზე, და ვით მდინარეს...  
შენს სახელთან მაკავშირებს წყალი.  
ამ სიშორიდან აღარაფერი დამაბრუნებს ახლა პალმამდე –  
აღარც მშვიდობა და აღარც ომი.  
აღარაფერი მაიძულებს, რომ სახარება წავიკითხო  
და არ მიბიძგებს, მიქცევ-მოქცევის ამ ნაპირიდან  
გავდინდე ტიგროსს და ნილოსს შორის,  
აღარაფერი ჩამომიყვანს ფარაონების ნაგებებიდან,  
არ მომგვის ფიქრებს –  
არც სინანული, არც სურვილი, არც დაპირება.  
რალას ვიზამ?  
რალა უნდა ვქნა გადასახლების გარეშე,  
წყალს ჩაშტერებული გრძელი ღამის გარეშე?“

თითქოს დევნილობა დარვიშის ბუნებრივ მდგომარეობად იქცა, რამაც ის აიძულა ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ლტოლვილობისთვის თანაგრძობით შეეხედა. დედამიწა ხომ ისლამისთვისაც სულის გადასახლების ადგილია, დროებითი სამყოფელია ისევე, როგორც რელიგიური ებრაელი ხედავს ამ ქვეყანას როგორც გადასახლების ადგილს:

„საბოლოო ჯამში, ყველა ლტოლვილები ვართ. დევნილობისგან ვიტანჯებით გამარჯვებულიც და მეც. ის ჩემ გამოა ლტოლვილი, მე მისი გადასახლების მსხვერპლი ვარ. ყველანი ლტოლვილები ვართ ამ დალოცვილ დედამიწაზე, ყველანი მეზობლები ვართ. ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი წილი ადამიანური ხვედრი. ხოლო ის, რაც გვაერთიანებს, არის აუცილებლობა ამ ლტოლვილობის თუ გადასახლების ამბის მოყოლისა.“<sup>16</sup>

დარვიშის შემოქმედების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ე.წ. „ებრაული საკითხის“ მიმართ მისი დამოკიდებულების ცვლილებაზე, მისი ხედვის ერთგვარ დინამიკაზე. ის არა მარტო ჰაიფაში ცხოვრებისას, არამედ შემდგომშიც კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა ებრაელებთან. ერთხანს ედვარდ საიდთან ერთად ერთ-ერთ ყველაზე „ებრაულად“ ცნობილ კოლუმბიის უნივერსიტეტშიც მუშაობდა. 60-იან – 90-იან წლებში დაწერილ ლექსებს თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ დარვიშს ისრაელის სახელმწიფოს, მისი პოლიტიკის მიმართ უჩინდება პროტესტი, თავიდან იბრძვის, ბოლოს კი თითქოს ეგუება დევნილის

16 Mansson, Passage to a new Wor(l)d, 232.

მდგომარეობას. უან ლუკ გოდარის ცნობილ ფილმში „ჩვენი მუსიკა“<sup>17</sup> (2004) არსებულ ვითარებას შეგუებული პოეტი უკვე დამარცხებულის პოზიციიდან ესაუბრება ებრაელ ჯუდით ლერნერს. ის ამბობს:

„დამარცხებაში უფრო მეტი ჰუმანურობაა, ვიდრე გამარჯვებაში. მარცხში დიდი რომანტიზმიცაა. მე რომ გამარჯვებულთა ბანაკს ვეკუთვნოდე, უთუოდ მსხვერპლის მხარეს დავდებოდი, მხარს მათ დავუჭერდი.“<sup>18</sup>

მაჰმუდ დარვიში დარწმუნებული იყო, რომ ებრაელთა და პალესტინელ არაბთა თანაცხოვრება შესაძლებლებელია როგორც ფსიქოლოგიურად, ისე კულტურულად. მთავარ პრობლემად პოლიტიკა მიაჩნდა.<sup>19</sup> თუ ერთ-ერთ პირველ ლექსში „პირადობის მოწმობა“ ის ისრაელს მიმართავს როგორც ოკუპანტს, ერთ-ერთ ბოლო ლექსში „მზა სცენარი“ სიტყვა „მტერი“ ებრაელებთან მიმართებაში ირონიულად გამოიყენება. აქ მტრად გარე ძალაა მოაზრებული. ჩნდება „მესამე მხარე“, რომლის მიერ დაგეგმილი სცენარითაც ვითარდება მოქმედება, ორმოში (ე.ი. გამოუვალ მდგომარეობაში) ჩავარდნილ არაბს და ებრაელს კი აღარაფრის შეცვლა შეუძლიათ. მათი უუნარობა სევდისმომგვრელია:

„დავუშვათ, მე და ჩემი მტერი  
ციდან ჩამოვვარდით  
და ორმოში ჩავცვივდით.  
რა მოხდება?  
სცენარი მზადაა:  
თავიდან ჩვენს ხვედრს დაველოდებით –  
იქნებ მაშველებმა მოგვაგნონ,  
სამაშველო თოკი ჩამოგვიგდონ...  
ის ამბობს: მე პირველი ავალ,  
მე ვამბობ: არა, მე.  
მლანძღავს და ვლანძღავ  
ასე... უაზროდ,  
თუმც სამაშველო თოკი არსად ჩანს.  
სცენარის თანახმად,  
მე, ეგოისტი ოპტიმისტი,  
ვჩურჩულებ ჩემთვის ისე,  
რომ არც ვკითხულობ, მტერი რას ამბობს,  
ის კი თავისთვის იჩურჩულებს.  
ერთ მახეში,  
შესაძლებლობების ერთ თამაშში  
გაბმულები  
კვლავ საშველს ველით,

17 2004 წელს სან სებასტიანის კინოფესტივალზე *Notre Musique* წლის ფილმად აღიარეს, ხოლო ჯუდით ლერნერის როლის შემსრულებელი სარა ადლერი ევროპულმა კინოაკადემიამ საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაში წარადგინა. სურათში, სადაც უან ლუკ გოდარი ზოგადად ძალადობის თემას და ამ კონტექსტში არაბ-ისრაელის კონფლიქტს შეეხო, დარვიში საკუთარ თავს განასახიერებს.

18 <https://www.youtube.com/watch?v=erz160Dk2bM&feature>

19 Raz-Krakotzkin, *Exil und Binationalismus*, 129.



რომ გავიაროთ თოკზე ცალ-ცალკე.  
 თუ ხსნას ვერ შევძლებთ,  
 ორმოს კიდეზე უფსკრული მოჩანს –  
 დარჩენილი ცხოვრების და  
 ომის უფსკრული!  
 ორივეს გვეშინია,  
 თუმცა ამ შიშზე არ ვსაუბრობთ,  
 ჩვენ ხომ მტრები ვართ.  
 რა მოხდება, თუ სცენარის თანახმად,  
 გველი გამოვა და დაგვეგესლავს  
 და გადაგველაპავს  
 მე და მას?  
 სცენარის თანახმად,  
 ჩვენ ერთად მოვკლავთ გველს  
 და ვუშველთ თავს  
 ერთად,  
 ან ცალ-ცალკე...  
 მაგრამ ერთმანეთს  
 მადლობასაც არ გადავუხდით,  
 არც მივულოცავთ  
 იმას, რაც ერთად გავაკეთეთ,  
 ჩვენ ხომ მხოლოდ ინსტინქტი გვმართავს,  
 ხოლო ინსტინქტს  
 იდეოლოგია არ გააჩნია.  
 გამახსენდა დიალოგის კანონი  
 ორმხრივი დარღვევის დროს,  
 როდესაც მითხრა:  
 ის, რაც ჩემი გახდა, ჩემია,  
 ხოლო ის, რაც ჩემია, შენიცაა და ჩემიც!  
 და დროსთან ერთად,  
 დრო ხომ ქვიშაა და საპნის ქაფი,  
 მოწყენილობამ, სიჩუმემ გვძლია  
 და დაანგრია,  
 თუკი რამ კარგი იყო ჩვენ შორის...“

დარვიშს გული წყდებოდა, რომ მე-20 საუკუნეში ველარ განმეორდა ისტორიული პრეცედენტი, რომელიც შუა საუკუნეების ანდალუსიაში არსებობდა იუდეველთა, ქრისტიანთა და მუსლიმთა თანაცხოვრების, კულტურულ-მეცნიერული თანამშრომლობის სახით. ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს... ლექსს „ბოლო სადამო ამ მიწაზე“ დარვიში ასე ასრულებს:

„ბოლოს ვიკითხავთ:  
 ანდალუსია აქ იყო თუ იქ?  
 დედამიწაზე თუ... პოეზიაში?“

მისი ბოლო პერიოდის პოეზია იძლევა სივრცეს როგორც პალესტინელი, ისე ებრაელი გადასახლებულებისთვის. ის ნაკლებად არის ბრძოლის ველი. ის უფრო ორი კულტურისა და რელიგიის შერიგების მცდელობის ადგილია. არსად ჩანს

ამკარად, რომ პოეტი ორ, პოლიტიკურად, რელიგიურად დაპირისპირებულ, ან-ტაგონისტურ, მტრულად განწყობილ საზოგადოებას მიმართავს. პალესტინური პოლიტიკისგან განსხვავებით მაჰმუდ დარვიშის პოეზიას ინტელექტუალური ღიაობა გამოარჩევს, რაზეც მის ტექსტებში ებრაელთა ნააზრევის გავლენაც მიუთითებს.

როდესაც ვსაუბრობთ ებრაულ გავლენაზე დარვიშის პოეზიაში, პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ბიბლია, შემდეგ პაულ ცელანის (1920-1970) პოეზია და ვალტერ ბენიამინის (1892-1940) ფილოსოფია, ასევე გერშომ შოლემის (1897-1982), ჰანა არენსტისა (1906-1975) და „კულტურული სიონიზმის“ სხვა წარმომადგენელთა მოსაზრებები. თუმცა აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ თუ დარვიშის ლექსებში ცელანისა და ბენიამინის ამკარა გავლენასთან გვაქვს საქმე, ბიბლიის შემთხვევაში პალესტინელი პოეტი „ძველი ალთქმის“ გავლენას კი არ განიცდის, არამედ ამ ტექსტს კონკრეტული მიზნისთვის იყენებს.

ა. ნოვირტი ხაზს უსვამს დარვიშის ორ პოეტურ კრებულს – *سريير الغريبة* (1995) და *لماذا تركت الحصان وحيدا* – „უცხო ქალის საწოლი“ (1999), სადაც უხვად დაიძებნება მაგალითები, „ძველი ალთქმის“ გავლენაზე რომ მიუთითებს.<sup>20</sup> გვხვდება ალუზიები ბიბლიური წინასწარმეტყველების ტექსტებიდან და სხვ. რატომ დაიტერესდა დარვიში ბიბლიით – მტრის საღვთო წიგნით? იმიტომ, რომ ეს სწორედ ის ტექსტია, რომელიც სიონისტებმა თავიანთი პოლიტიკისთვის გამოიყენეს. საგულისხმოა, რომ სიონიზმის იდეა ინგლისელი პროტესტანტებისგან წამოვიდა და არა მთელს მსოფლიოში გაფანტული ებრაელებისგან, რომლებიც მიმღები კულტურების ორგანულ ნაწილებად იყვნენ ქცეულნი. მათი ტრადიციული აზრი მეორედ მოსვლის შესახებ სულაც არ ემთხვეოდა იმ პროტესტანტთა მოსაზრებას, რომლებმაც თავისებურად, პირდაპირ და ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე წაიკითხეს ბიბლია, მე-19 ს-დან მოყოლებული კი მათი გავლენის ქვეშ ბრიტანელი მმართველებიც მოექცნენ.<sup>21</sup> ისინი შეიპყრო „ალთქმულ მიწაზე“ დაბრუნების იდეამ, რაშიც თავიდან ვერც ერთი ებრაელი აიყოლიეს, რადგან ებრაელთა საბოლოო მიზანი, ბიბლიის თანახმად, იყო არა რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე დასახლება, არამედ ჰარმონიაში ცხოვრება. ისინი მეორედ მოსვლას ელოდნენ. „ალთქმულ ქვეყანას“ მათთვის სულიერი მნიშვნელობა ჰქონდა და არა მატერიალური. გარდა ამისა, ებრაელები თითქმის ყველა ქვეყანაში მიმღები საზოგადოებების საკმაოდ მაღალ ფენას წარმოადგენდნენ და სულ არ ჰქონდათ ამ ქვეყნების დატოვების სურვილი. ტრადიციული ებრაელის მიერ გადასახლება აღიქმებოდა არა ტერიტორიულ, არამედ სულიერ გადასახლებად. მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ აყრილი იუდეველებისთვის გაფანტულობა ჩვეულებრივი, ბუნებრივი მდგომარეობაც კი გახდა. გერმანელ-ებრაელი ფილოსოფოსი ფრანც როზენცვაიგი აღნიშნავდა:

„სხვა ერებისგან განსხვავებით, ებრაელებს საერთო მიწისა და ენის გარეშე არსებობა შეეძლოთ, რადგან ებრაელ ხალხად ყოფნა თავიდანვე არ ყოფილა დამოკიდებული ასეთ გარეგან ფაქტორებზე.“<sup>22</sup>

20 Neuwirth, Hebrew Bible and Arabic Poetry, 174.

21 Yakov Rabkin, Y., Reed A. F., What is modern Israel (Chicago: University of Chicago/ Pluto Press, 2016), 240 pp.

22 Neuwirth, Hebrew Bible and Arabic Poetry, 176.

მოგვიანებით, სიონისტურ მოძრაობას, ცხადია, ებრაელებიც შეუერთდნენ, თუმცა ბევრი მათგანი ემიჯნებოდა პოლიტიკურ სიონიზმს, რომელიც თავისი არსით დასავლური კოლონიზატორული პროექტი იყო. ბენიამინ დიზრაელს, არმინიუს ვამბერს, უილიამ გიფორდ ფალგრეისს, ვოლფგანგ ფონ ვაისლს და ევროპაში მოღვაწე სხვა ებრაელებს პალესტინაში დაბრუნება აღმოსავლეთის გასაცოცხლებლად, ხელახლა ასაღორძინებლად წარმოდგინათ პალესტინელ არაბებთან ძმური, მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობებში.<sup>23</sup> თუ რელიგიური ებრაელი სულიერი გადარჩენისთვის სულაც არ თვლიდა საჭიროდ პალესტინის მიწაზე გადასახლებას, „კულტურული სიონიზმის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი აშერ გინცბერგი ფიქრობდა, რომ მთავარი იყო, პალესტინაში ებრაელთა სულიერ ცენტრს მცირე, ემბრიონული ფორმით ეარსება, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა იუდაური განახლებისთვის.<sup>24</sup> ყველა ებრაელის პალესტინაში ჩასახლება სავალდებულოდ არც მას მიაჩნდა.<sup>25</sup> „პოლიტიკური სიონიზმის“ მთავარი კონცეფცია, რომ წმინდა მიწა ებრაელთა სამშობლოა, ონტოლოგიურ რეალობას ეყრდნობოდა და არა ისტორიულ ფაქტებს. ის, ფაქტობრივად, ტრადიციულ ებრაულ აზრს უპირისპირდებოდა. ა. ნოვიგრტი განმარტავს, რომ „პოლიტიკურმა სიონიზმმა“ იუდაიზმის რელიგიურ წარმოდგენათა სეკულარიზაცია მოახდინა – ტრადიციული წყვილი გადასახლება / ხსნა ჩაანაცვლა წყვილით გადასახლება / შინდაბრუნება (ან სამშობლო).<sup>26</sup>

გამოდის, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნას ბიბლიის სეკულარულმა წაკითხვამ დაუდო სათავე. საბოლოოდ, სიონიზმი დასავლურმა პოლიტიკამ თავის სამსახურში ჩაიყენა, რათა შეექმნა ისრაელის სახელმწიფო როგორც საყრდენი ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენის მოსაპოვებლად. ეს პროცესი ევროპაში მე-20 ს-ში გამძვინვარებულმა ანტისემიტიზმამაც დააჩქარა. მაჰმუდ დარვიში ფიქრობდა, რომ ბიბლიის არარელიგიურ, სეკულარულ, ოღონდ არაბულ წაკითხვას შეეძლო შეექმნა ახალი არაბული ტრადიცია, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ე.წ. „სხვის“ (other; ამ შემთხვევაში ებრაელთა) პოლიტიზირებულ კანონთან დაპირისპირება. მაშასადამე, დარვიში შეეხო „ძველ აღთქმას“ როგორც წმინდა მიწაზე ებრაელთა დომინანტობის განმაპირობებელ მთავარ ნარატივს, რომელიც პალესტინელების გადასახლებისა და გაფანტვის მიზეზი გახდა. ისრაელის ოკუპანტური პოლიტიკის წინააღმდეგ ტექსტებით მებრძოლი პოეტი „ძველი აღთქმის“ არაბულ წაკითხვას გვთავაზობს როგორც პასუხს ბიბლიაზე, რომელიც წმინდა მიწაზე ებრაელთა ლეგიტიმაციას განუმტკიცებს საფუძველს. კონკრეტულად რა იგულისხმება ძველი აღთქმის დარვიში-სეულ სეკულარულ არაბულ წაკითხვაში? ის საკუთარ წარმომავლობას „დაბადების“ თავისებური ინტერპრეტაციით უბრუნდება, ბიბლიურ „გამოსვლას“ კი პალესტინელთა „აღთქმულ ქვეყანაში“ დაბრუნებას უკავშირებს.

23 ვრცლად იხ.: ნინო დოლიძე, „ებრაული ორიენტალიზმიდან“ თანამედროვე კონფლიქტურ კერამდე“, გაზ. „იბერია“ №4 (28.10-11.11, 2007): 10.

24 Tom Reiss, „Jewish Orientalism“, in: The Orientalist (London: Vintage Book, 2006), 239.

25 ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ წმინდა მიწაზე ამოსული ებრაელებიდან უამრავმა მათგანმა დატოვა „აღთქმული ადგილი“ და კვლავ დასავლეთს მიაშურა.

26 Angelika Neuwirth, „Canons in Contact: Mahmud Darwish reading the Hebrew Bible and Arabic Poetry“, in: Reflections on Reflections, New Eastern Writers reading Literature, dedicated to Renate Jakobi, ed. Angelika Neuwirth, Andreas Christian Islebe, (Wiesbaden: Reichert Verlag, 2006): 345-373.

„დაბადება“ მაჰმუდ დარვიშის პოეზიაში წარმოდგენილია როგორც პალესტინელთა გადასახლების დენარაცია. დარვიშისეულ „დაბადებაში“ პალესტინა იბადება ტექსტში, პოეზიაში და ამ ფაქტს პალესტინელ არაბთა იდენტობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. აქაც თავს იჩენს პარალელი ებრაულ ლტოლვილობასთან, რადგან პოეზიის ტექსტში პალესტინის გაცოცხლება ნიშნავს მის მარადიულ გახსენებას, ხსოვნას, ხსოვნამ კი (ებრ. *ზიქარონ*) დიდი როლი შეასრულა იუდაური წარსულის შენარჩუნებაში, ხსნის გზის გაკვალვაში იმ იმედით, რომ ებრაელები აუცილებლად დაუბრუნდებიან ღვთაებრივ არსს. ხსოვნის წყალობით უცხოობაში მიმოფანტულმა ებრაელებმა თავიანთი იდენტობის შენარჩუნება საუკუნეების განმავლობაში შეძლეს. პოეტის აზრით, საკუთარი მიწიდან აყრილმა პალესტინელებმაც იდენტობა მიწის ხსოვნით უნდა შეინარჩუნონ. სწორედ პოეზიამ უნდა შეინახოს სახე თუ ხატება იმ მიწისა, რომელიც თავისი არაბული ავთენტურობით რეალურ დროსა და სივრცეში არსებობს. პალესტინის „დაბადება“ ტექსტში 60-იან წლებში განხორციელდა. 1966 წელს, როცა დარვიშმა ლექსი „შეყვარებული პალესტინიდან“ დაწერა, პოლიტიკურ რეალობაში პალესტინას აღარაფერს უწოდებდნენ. სიტყვა „პალესტინა“ პოლიტიკურად ტაბუდადებული იყო. ამ ლექსმა თითქოს ხელახლა შექმნა, შვა ის. „შეყვარებული პალესტინიდან“ ლაზალია, სასიყვარულო ლირიკის ნიმუშია. შეყვარებული თავად პოეტია, მისი სიყვარულის ობიექტი კი, ტრადიციული ღაზალისგან განსხვავებით, არის არა ქალი, არამედ პალესტინა, რომელსაც დარვიში ასე მიმართავს:

„შენი თვალები ეკალივით მესობა გულში,  
ტკივილისაგან მტანჯავს... თუმცა ვემორჩლები.  
ქარისგან ვიცავ და ვიფარავ,  
მას თავად ვისობ  
ღამესა და ტკივილებს მიღმა.“

პოეტი მომხდარ ტრაგედიას აღწერს:

„გუშინ გხედავდი ნავმისადგომთან;  
ნაპირს ტოვებდი სრულიად მარტო –  
უხელჩანთებოდ, უოჯახოდ, უნათესავოდ...  
მე ობოლივით გამოგეკიდე,  
გეკითხებოდი წინაპართ სიბრძნეს:  
მწვანე ფორთოხლის გაშლილ კორომებს რად მიათრევენ  
ცინეში, პორტში, უცხოობაში?!  
ან ამ მგზავრობის,  
მარილისა და მონატრების იდუმალ სუნში  
რატომ რჩებიან ისინი მწვანედ?“

მომხდარი ტრაგედიის შემდეგ მშვენიერი „სატრფო“ დამცირებულ მდგომარეობაშია:

„ჭებში, ბელლებში დაგინახე  
გულგატეხილი, დამცირებული.  
ღამის კლუბებში დაგინახე,  
მიმტანი იყავ და მომსახურე.  
ცრემლებისა და ჭრილობების სხივებშიც გნახე...  
შენ ხომ ერთ-ერთი ფილტვი ხარ ჩემში,

ნმა – ბაგეთგან გამომავალი,  
წყალიც ხარ, მიწაც.  
მღვიმესთან გნახე,  
სახლთან –  
სარეცხის თოკზე ეკიდე  
შენი ობლების სამოსთან ერთად.  
კერასთან გნახე და ქუჩებში,  
ლობებთანაც  
მზის ჩასვლისას!  
ობლის მღერაში, გასაჭირში  
მე დაგინახე  
ზღვის მარილითა და ქვიშით სავსე.  
მიწასავით ლამაზი  
და ბავშვებზე...  
და არაბული უსამინივით...“

ღვენილ დარვიშს ვერაფერი დაავიწყებს სატრფოს სახეს:

„შენა ხარ როგორც პალმა ხსოვნაში,  
რომელსაც ვერ ჭრის ვერც მეტყევე, ვერც ქარიშხალი,  
ტყის და უდაბნოს მხეცებიც კი ვერ ერევიან  
და მის დალალებს ვერას აკლებენ...“

პალესტინა საკუთარი იდენტობის, თავისთავადობის შესანარჩუნებლად  
სჭირდება პოეტს:

„შენი თვალებით მომიჩრდილე,  
ქუთუთოები გადამაფარე.  
წამიყვანე, სადაც ახლა ხარ  
და აღმიდგინე  
სახისა და ტანის ფერი,  
გულისა და თვალის სინათლე,  
პურისა და რითმის მარილი,  
მიწისა და სამშობლოს გემო.  
შენს თვალებს, მზერას შემაფარე.  
წამიყვანე როგორც სევდის ქოხს შეფარებული ნახატი, ტილო,  
და როგორც ლექსი  
ჩემი ჩუმი დარდის წიგნიდან.  
თან წამიყვანე, ვით სათამაშო,  
სახლის აგური,  
რომ ჩვენს შვილებსაც კარგად ახსოვდეთ  
გზა შინისაკენ.“

სიშორის მიუხედავად პალესტინა მის მთავარ შთაგონების წყაროდ რჩება:

„პალესტინელო თვალებით, დალით,  
სახელით, ღელვით და ოცნებებით,  
პალესტინელო თავსაბურავით,  
ტანით, ფეხებით,  
პალესტინელო სიტყვებითა და მდუმარებით,

მღერით, ბგერებით,  
პალესტინელო დაბადებით, გარდაცვალებით,  
ძველ დღიურებში შემოგინანე,  
ვით ნაპერწკალი  
ლექსებისთვის ცეცხლს რომ დაანთებს;  
როგორც საგზალი მგზავრობისათვის.“

პოეტი შემთხვევით არ უსვამს ხაზს პალესტინის პალესტინელობას, მის პალესტინურ ბუნებას. არაერთი სოფლისთვის სახელის გადარქმევისა თუ სხვა ბევრი მცდელობის მიუხედავად, ეს მიწა თავის ავთენტურ სახეს რთულად იცვლის... ყოველ შემთხვევაში, ხსოვნაში ისევე, როგორც მაჰმუდ დარვიშის პოეზიაში, ის პირვანდელი სახით არსებობს. პირველად იყო სიტყვა... პოეტიც სამყაროს შემოქმედია, როცა ის ლექსს ქმნის. მას ადამის როლი აქვს, როცა სახელებს არქმევს. „ჩვენ მოწმენი ვხდებით, თუ როგორ იბადება პალესტინა პოეტის ტექსტში, – აღნიშნავს თავის კვლევაში ნოივირტი, – ლექსის პირველ ნაწილში ავტორი დაკარგულ სამშობლოს მისტირის, შემდეგ აღწერს მტანჯველ სცენებს გადასახლებიდან, ბოლოს კი გვევლინება ადამად, რომელსაც ღმერთმა შეუქმნა ევა. ევა პალესტინაა. ეს არის ახალი „გენეზისი“ – პალესტინის დაბადება პოეზიაში, პოეტურ წარმოსახვაში.“<sup>27</sup>

რაც შეეხება ბიბლიურ „გამოსვლას“, ის დარვიშის პოეზიაში პალესტინელების აღთქმულ ქვეყანაში – პალესტინაში დაბრუნებად (არაბ. ‘ავდა – ٤٤) მოიაზრება. აქ ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი თავის მსხვერპლად გაღების თემა. თავგანწირვაც სიმბოლურია – პოეტი შეიარაღებული არ დგას ბრძოლის ველზე და არ იბრძვის. „მსხვერპლშეწირვა“ ტექსტის დონეზე ხორციელდება. ლექსების მთავარი გმირი, პოეტის alter ego მეზობლი მსხვერპლია, რომელიც მზადაა სატრფოს (ქვეყანას, მიწას) შესწიროს თავი. თავად დარვიში კი ის ტრაგიკული ფიგურაა, თავის გაწირვის სიმბოლური აქტით თავისუფლებისკენ მსწრაფი ხალხის წინამძღოლობა რომ ითავა. ის მეზობლია, ბიბლიური მოსეს მსგავსი გადამრჩენელია, თავად რომ ვერც მოესწრო აღთქმულ ქვეყანაში შესვლას. სწორედ გმირის მიერ გაღებული მსხვერპლი ქმნის ზაქირას<sup>28</sup> – ხსოვნას, რომელშიც ჰეროიკული არაბული ტრადიცია მოიაზრება. ეს ის „ხსოვნაა“, ებრაულ ზიქარონს რომ უპირისპირდება. საკუთარი თავის მსხვერპლად გაღება დარვიშისთვის გამოსყიდვის ძალის მქონე სოციალური რიტუალია. ამ გამოსასყიდის წარმოჩენით პოეტმა შექმნა პალესტინური „გამოსვლის“ დრამა, სადაც მეზობლი წარმოდგენილია როგორც სამშობლოს მოყვარული რაინდი, რომელიც საკუთარი თავის გაწირვის ჰუმანური აქტით სიმბოლურად ქორწინდება პალესტინაზე. ერთ-ერთ ლექსში „ქორწილები“ (أعراس), 1980) მეზობლის საქორწინო ღამე სიკვდილით მთავრდება:

„შეყვარებული ბრუნდება ომიდან  
ქორწილის დღეს,  
საუკეთესო სამოსს იცვამს  
და მოკაზმული, რჩეული რაშით  
მოცეკვავენებს შორის იჭრება,  
შეძახილების ფონზე ხვდება თავის ფატიმას.

27 Neuwirth, Hebrew Bible and Arabic Poetry, 177.

28 ზაქირა (არაბ.) – ხსოვნა.

მათ ორს უმღერის  
 გადასახლების ყველა ხე და  
 გლოვის რბილი თავსაბურავი.  
 შეყვარებულის თვალები ჭკნება,  
 ის შავგვრემან ხელს იწვდის ინისკენ  
 და ქალის წმინდა ქსოვილისაკენ...  
 შეძახილებით მოფენილ ცაზე  
 თვითმფრინავები,  
 თვითმფრინავები,  
 თვითმფრინავები  
 ჩნდებიან უცებ.  
 ხელს ჩაავლებენ შეყვარებულს  
 და, ჩახუტებულს, იტაცებენ  
 სარეცელიდან,  
 გლოვის რბილი თავსაფრებიდან...“

პალესტინური „გამოსვლის“ დარვიშისეულ ვერსიაში „გადასახლებიდან დაბრუნება“ დრამატიზებულია იმდენად, რამდენადაც რეალურად პალესტინაში დაბრუნება უტოპიაა, შეუძლებელია, განუხორციელებელია. თუ პალესტინის „დაბადებას“ ლექსში მშობლიური მხარის ხსოვნის აუცილებლობა განაპირობებს, ხსოვნა „გამოსვლის“ კონტექსტშიც მნიშვნელოვანი ხდება. თუ იარაღით არ ხერხდება მიწის დაბრუნება, მაშინ ხსოვნით უნდა ატარო და აცოცხლო შენი ადგილი ისე, როგორც ეს ებრაელებმა გააკეთეს. მაშასადამე, ბიბლიური „დაბადება“ პალესტინის ტექსტში, პოეზიაში, ხსოვნაში დაბადებაა, „გამოსვლა“ კი პალესტინური „დაბრუნება“ (ე.წ. ‘ავდა – אָדָּה), თუმცა რაკი ეს უკანასკნელი რეალურად შეუძლებელია, პალესტინელ არაბებს ისლა დარჩენიათ, ხსოვნით გააგრძელონ ცხოვრება. ისინი ცხოვრობენ ხსოვნით, ხელოვნებაშიც ხსოვნის რეპრეზენტაციას ახდენენ.<sup>29</sup> დარვიშის პოეზიაში ხსოვნის აღდგენა „გამოსვლის“ უშუალო ნაწილია დაპყრობილ „აღთქმულ ქვეყანაში“.

თუ ებრაული საღვთოს წიგნის პასაჟებს პოეტი ისრეალის ნარატივის საპირისპიროდ მიზანმიმართულად იყენებს, ებრაელ პაულ ცელანთან მას მართლაც ბევრი რამ აკავშირებს. რუმინეთში დაბადებული ცელანის მშობლები საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპნენ, თავად კი თვრამეტი თვის განმავლობაში იძულებით მუშაობდა ნაცისტებთან. ერთხანს ბუქარესტში ცხოვრობდა, შემდეგ ვენაში, ბოლოს პარიზში დასახლდა, მაგრამ არაერთი უცხო ენის მცოდნე აშქენაზმა პოეტმა სამწერლო ენად მტრის, დედის მკვლელების ენა აირჩია. გერმანულენოვან კულტურაზე აღზრდილი ცელანის პოეზიაში ებრაული და გერმანული, დაპირისპირების მიუხედავად, სამუდამოდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული და დაკავშირებული ჰოლოკოსტის მემკვიდრეობით. ცელანი ისევე, როგორც დარვიში, ხშირად მიმართავს ბიბლიას. თუმცა, მაგალითად, „ქებათა-ქების“ ერთ-ერთი პერსონაჟი სულამითი ამ ორ პოეტთან სრულიად სხვადასხვა კონტექსტში, განსხვავებული ფუნქციით ცოცხლდება. თუ მაჰმუდ დარვიშთან სულამითის პროტოტიპი ებრაელი რიტაა, პაულ ცელანის პოეზიაში ის სიკვდილთან ასო-

29 ედვარდ საიდი აღნიშნავდა, რომ 1967 წლის მოვლენების შემდეგ პალესტინელი მწერალი, რომლის ნაწერები თანამედროვე არაბული კულტურის ერთი დიდი თემაა, პოლიტიკური ხსოვნის გარკვეულ ფორმას წარმოგვიდგენს. იხ.: Neuwirth, Hebrew Bible and Arabic Poetry, 177.

ცირდება და უპირისპირდება ქერა მარგარეტს, რომლის ოქროს თმა სისუფთა-  
ვისა და უდანაშაულობის ნაცისტურ ნოსტალგიას განასახიერებს:<sup>30</sup>

„გარიჟრაჟის მრუმე რძეო,  
შენა გსვამთ ღამით,  
დილით შენ გსვამთ,  
შუადღისას,  
გსვამთ საღამოთი,  
გსვამთ და კიდევ გსვამთ.  
იმ სახლში ცხოვრობს ერთი კაცი.  
ის თამაშობს იქედნებით. წერს.  
წერს, როდესაც გერმანიას ბინდი ედება.  
შენი ოქროსფერი თმები, მარგარეტ!  
შენი ფერფლისფერი თმები, სულამით!  
ჩვენ ვითხრით საფლავს ჰაერში. იქ თალხნად ვიქნებით!“<sup>31</sup>

ცელანის უშუალო გავლენა იგრძნობა მაშინ, როცა დარვიში ღურბაზე<sup>32</sup>  
წერს. ღურბა ეგზისტენციალური გადასახლებაა და არა ტერიტორიული. ამ  
თვალსაზრისით ორ პოეტს ერთმანეთს გერმანელი მკვლევარი შტეფან მილიჩი  
უდარებს. მისი აზრით, დარვიშმა ლექსში, ენაში შექმნა გადასახლება. როდესაც  
მინვდა, რომ ემიგრანტობას ველარაფერს მოუხერხებდა, ისიც „სიტყვებისგან  
შექმნილ მიწაზე“ გადასახლდა ცელანის მსგავსად.<sup>33</sup> ეს „სიტყვებისგან შექმნილი  
მიწა“ არის თავშესაფარი, სამყარო, სადაც ოკუპანტი ვერ შეაღწევს; ადგილი,  
სადაც სამშობლოზე უფლებააყრილი პოეტი რეალურად არსებობს და სადაც  
ის ხსნას ნახულობს. ცელანი თვლიდა, რომ „ნამდვილი პოეზია ანტიბიოგრაფი-  
ულია. პოეტის სამშობლო არის მისივე ლექსი. ამიტომ ეს სამშობლო ლექსიდან  
ლექსამდე იცვლება.“<sup>34</sup> სწორედ ამ იდეას ავითარებს დარვიშიც. ორივე პოეტი  
ქვეცნობიერად რალაცას გაურბოდა. თუმცა თუ ცელანი წარსულის დავიწყებას  
ცდილობდა, დარვიში ხსოვნას ეჭიდებოდა. ებრაელმა ემიგრანტმა პოეტმა დეპ-  
რესიის შედეგად 1970 წელს თავი მოიკლა, ხოლო დარვიშმა მოახერხა, პოეზიის  
სახით ალტერნატიული სამყარო შეექმნა. თითქოს გადარჩა კიდევ, თუმცა მისი  
იდენტობა ამ წარმოსახვით სამყაროშიც განადგურებულია. დარვიშის თვითაღქ-  
მის საილუსტრაციოდ შტეფან მილიჩი საგანგებოდ უსვამს ხაზს ერთ-ერთი ლექ-  
სის ბოლო პასაჟს კრებულიდან „უცხო ქალის საწოლი“ (1999), სადაც აშკარაა  
არა მხოლოდ ტრადიციული ლეილმაჯუნუნიანის თემის, არამედ ცელანის რო-  
გორც ემიგრანტი პოეტის გავლენაც:

„მე ვარ არსება, რომელსაც  
აქამდე არ უარსებია.  
იდეა ვარ ლექსისთვის  
უმიწო და უსხეულო

30 <https://www.shmoop.com/death-fugue/identity-quotes-2.html>

31 პაულ ცელანი, „სიკვდილის ფუგა“, გერმანულდან თარგმნა გ. ლობჯინიძემ.

32 ღურბა (არაბ. ) – 1. უცხო მიწა; 2. ემიგრაციაში ცხოვრება.

33 Stefan Milich, „Fremd Meinem Namen und Fremd Meiner Zeit“, in: Identität, Fremdheit und Exil in der Dichtung vom Mahmud Darwisch (Berlin: Schiller), 2004.

34 <https://www.poetryfoundation.org/poetrymagazine/articles/91659/from-microliths#.WHpMWKbOcol.twitter>



უშვილო და უმამო  
კაისი ვარ ლაილასი<sup>35</sup>  
არაფერი ვარ.<sup>36</sup>

მილიჰი შენიშნავს, რომ ეს სტრიქონები სუბიექტის მიერ საკუთარი იდენტობის სრული უარყოფის ნიმუშია. მაჰმუდ დარვიში, პოეზიის სამყაროში გადასახლებულიც კი, იდენტობის კრიზისს განიცდის. პაულ ცელანის მსგავსად, თითქოს ისიც თავს იკლავს, ოღონდ „ირეალურად“:

ცხადია, პაულ ცელანი ისევე, როგორც ნაცისტების მიერ დევნილი ყველა ებრაელი, დარვიშის თანაგრძნობას იწვევდა. მათ ხვედრზე დაფიქრებულმა პალესტინელმა პოეტმა თანდათან ისწავლა ვითარების მიღება ისეთად, როგორც ის არის. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მისი შემოქმედების ბოლო ეტაპზე ჩანს, თუ როგორ შეეგუა არსებულ რეალობას. სწორედ აქ შეიძლება დავინახოთ აშქენაზი ფილოსოფოსის ვალტერ ბენიამინის შეხედულებათა გავლენა, რადგან ეს უკანსკნელი სწორედ არსებული ვითარების მიღების აუცილებლობას ქადაგებდა. თავის ცნობილ თხზულებებში „ისტორიის ფილოსოფია“ და „ძალადობის კრიტიკა“ ბენიამინი ამტკიცებს, რომ დარღვეულია კავშირი ძალადობას, კანონსა და სამართლიანობას შორის. მისი აზრით, ძალადობა როგორც საშუალება, არ შეიძლება გამართლდეს მაშინაც კი, თუ ის კანონთან შესაბამისობაშია. ფილოსოფოსის აზრით, გამორიცხულია, ძალადობა თავისთავად იყოს მორალური საშუალება. ამიტომ ბენიამინი ყველანაირ ძალადობას აკრიტიკებს და ფიქრობს, რომ ახლანდელ დროში სრულფასოვანი არსებობისთვის მნიშვნელოვანია იმის არდანახვა, იგნორირება თუ უგულებელყოფა, რაც არღვევს და ანგრევს აწმყოს. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ არ გახდეს რადიკალი – არ იაზროვნო და იმოქმედო რადიკალურად.<sup>37</sup>

ბენიამინს ყოველთვის შორს ეჭირა თავი პოლიტიკური სიონიზმისგან. ის უფრო „კულტურული სიონიზმისკენ“ იხრებოდა, აღიარებდა რა იუდაურ ფასეულობებს. ზოგადად, სიონისტურ იდეას რასიზმის გამო აკრიტიკებდა. ფიქრობდა, რომ ებრაული სახელმწიფო ნაცისტური იქნებოდა, და რომ იქ წინასწარგაუთვლელი, კრიტიკული და დაძაბული სიტუაციების არსებობა წესად იქცეოდა. „არარადიკალი სიონისტების“ მოსაზრებებს ბევრ რამეში ემთხვევა პალესტინელი პოეტის აზრები. ებრაულ აკადემიურ სივრცეში გაჩნდა კვლევები, სადაც მაჰმუდ დარვიშის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს ებრაელი გერშომ შოლემის,<sup>38</sup> ჰანა არენდტისა<sup>39</sup> და სხვათა ნააზრევს უკავშირებენ.<sup>40</sup> შომელი სი-

35 კაისი და ლაილა ერთ-ერთი ცნობილი უბრიული წყვილია, რომელიც შემოგვინახა გადმოცემებმა უბრიტ პოეტ-მიჯნურებზე.

36 Neuwirth, A., Hebrew Bible and Arabic Poetry, 186.

37 <https://trafo.hypotheses.org/8299>

38 გერშომ შოლემი (1897-1982) – ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, დაიბადა ბერლინში, დაამთავრა ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი. 1923 წელს ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად. იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში იუდაური მისტიციზმის პირველი პროფესორი იყო. ზოგ საკითხში ვერ ეთანხმებოდა ჰანა არენდტს. იყო კომუნისტის და მარქსიზმის მოწინააღმდეგე.

39 ჰანა არენდტი (1906-1975) – მე-20 ს-ის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკის თეორეტიკოსი. ნაცისტურ გერმანიას ჯერ შეეცარათა და ჩეხეთში, შემდეგ აშშ-ში გაექცა.

40 Raz-Krakotzkin, Exil und Binationalismus, 127.

ონიზმში კოლონიალიზმის საფრთხეს გრძნობდა, „ისრაელში ამოსვლას“ ებრაელთა „უტოპიურ დაბრუნებას“ უწოდებდა. მას რელიგიურისა და სეკულარულის გამიჯნვა აუცილებლად მიაჩნდა. ასევე აკრიტიკებდა სიონიზმს ჰანა არენდტი (1906-1975), რომელიც ისრაელის სახელმწიფოს კრიზისის წინასწარმეტყველებდა. ყველა ეს ებრაელი მოღვაწე თვლიდა, რომ საჭირო იყო ე.წ. „მეორე მხარის“ პატივისცემა. მაჰმუდ დარვიშიც მივიდა იმ აზრამდე, რომ ძალადობა და რადიკალიზმი არ არის გამოსავალი, რომ საჭიროა „სხვისი“ პატივისცემა, არსებული ვითარების მიღება. თუმცა მას ამისთვის გარკვეული დრო დასჭირდა. პალესტინელ მებრძოლთა სათავეში მოქცეული, *ინთიფადას* მოძრაობის გამამხნეველი პოეტის ტონს კატეგორიულობა თანდათანობით მოაკლდა. მართალია, დარვიშის ცხოვრება თუ შემოქმედება ყოველთვის დამოკიდებული იყო ვითარებაზე, რომელმაც ის მუდმივ ლტოლვილად აქცია, და ამიტომაც ემიგრანტობა ცხოვრების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველი გახდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, თანაგრძნობით შეეხედა ებრაული ტრაგედიისთვის. დიდი სატიკვარის, მოუშუშებელი ქრილობის მიუხედავად, არასოდეს დაუკარგავს სხვისი გაგების, „სხვა“ კულტურული სივრცისა თუ საზოგადოების კუთხით ხედვის უნარი.

სამწუხაროდ, დარვიშის მიერ ებრაელთა მიმართ გამოხატულმა თანაგრძნობამ არაბთა უკმაყოფილება გამოიწვია მაშინ, როცა პალესტინელთა პოზიციას ის ყველგან და ყოველთვის პრინციპულად იცავდა. არაბი კრიტიკოსები, როცა ისრაელის არსებობას აღმოაჩინენ ხოლმე მის პოეზიაში, ამ ფაქტს რიტას უკავშირებენ. ცოტა მათგანი თუ იცნობს კარგად ბიბლიას, ებრაულ ემიგრანტულ ლიტერატურას, რაც მათ მაჰმუდ დარვიშის უკეთ წაკითხვაში დაეხმარებოდა. მეორე მხრივ, არაბულისა თუ ყურანის უცოდინარი ებრაელისთვისაც ხანდახან რთულია მისი პოეზიის ადექვატურად აღქმა.<sup>41</sup> ვფიქრობ, აუცილებელი და მნიშვნელოვანია მაჰმუდ დარვიშის იმ პოეტად წარმოჩენა, რომელმაც შეძლო პოლიტიკურ დაპირისპირებაზე მაღლა დადგომა, რადგან სწორედ ამაში გამოიხატება მისი ღრმა შინაგანი კულტურა, ჰუმანურობა და დიდი ადამიანობა.

---

41 მიუხედავად ამისა, დაისვა საკითხი დარვიშის ლექსების ებრაულ სასწავლო პროგრამაში შეტანის შესახებ.

**Nino Dolidze**

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

## ATTITUDE TOWARDS THE JEWS AND THE JEWISH INFLUENCE IN THE POETRY OF MAHMOUD DARWISH

Mahmoud Darwish (1942-2008) is one of the most prominent authors in the contemporary Arabic Literature. In spite of his great contribution for the 20<sup>th</sup> century Arabic poetry, he is mostly represented as a defender of Palestinian rights all over the world, as a *Palestinian Voice*, *Symbol of Intifada* etc. Working hard to develop himself as a poet, Darwish managed not to remain only the creator of political poetry. There are traditional and modern elements combined in his verses. One can find Islamic, Christian and Judaic paradigms there.<sup>1</sup> But the most interesting thing is the trace of Jewish influence in his verses. Translated into more than twenty languages these verses were always very popular in Israel. Discussing Darwish's poetry in a diachronic way we can observe how the poet's view towards the "Jewish task" changed from the strictness to the loyalty, but it doesn't mean that he forgot his pain.

From the beginning it was hard for Darwish to perceive the Jews as one monolithic entity. His family was forced to leave its village in 1948. His father lost his property. Darwish studied in the school of the refugee camp in Lebanon. This trauma couldn't disappear without trace. Publishing his first poetry collection *عصافير بلا أجنحة* ("Birds without Wings") in the age of nineteen the poet felt that poetry could become a weapon against injustices. After graduating middle school in Nazareth he worked in the edition of newspaper "Ittihad" in Haifa. He published his first political verses. The most popular among them was "Identity Card" (*البطاقة الهوية*, 1964), where the author directly addresses Israel as an occupier.

But on the other hand even in this political verse the Israeli State policy was separated from the Jewish people. Expressing his anti-Israeli feelings Darwish always remembered his Jewish teachers who influenced him. He highly respected Jewish poets (spatially Haym Bialik). It was in Haifa he met his first love - Jewish Rita to whom he devoted the whole poetry collection later.

He proclaims in the remarkable film of Simone Bitton and Elias Sanbar:

*"The military Judge who punished me for my poetry was Jewish. The teacher who taught me Hebrew and nurtured my love for literature was Jewish. My English teacher who was stern was Jewish. The female judge who sentenced me the first time was Jewish. My first lover was Jewish. My neighbor was Jewish. So from the beginning I never looked at Jews as a monolith or a stereotype."*<sup>2</sup>

Darwish was imprisoned three times by the Israeli government. He lived in Cairo, Tunis, Beirut, Cyprus, Amman, Columbia (the United States), Par-

1 See: Anette Mansson, *Passage to a new Wor(l)d, Exile and Reastoration in Mahmoud Darwish's Writings (1960-1995)* (Stockholm: Uppsala Universitet, 2003).

2 Amon Raz-Krakovitzkin, *Exil und Binationalismus: Von Gershom Scholem und Hannah Arendt bis zu Edward Said und Mahmoud Darwish* (Berlin: Wissenschaftskolleg zu Berlin, 2011): 129.

is... He couldn't enter Palestine for years. In 1973 the poet moved to Beirut where he continued his political struggle with poetry, though later the tone of treatment in his writings has changed. In "On our last Evening on this Land" (آخر مساء علي هذه الأرض) published in 1992 we can see how easily Darwish hands the key of his house over the occupier and goes to his journey:

"So enter our houses, conquerors, and drink the wine  
of our mellifluous *Mouwashah*. We are the night at midnight,  
and no horseman will bring dawn from the sanctuary of the last Call to  
Prayer...  
Our tea is green and hot; drink it. Our pistachios are fresh; eat them.  
The beds are of green cedar, fall on them,  
following this long siege, lie down on the feathers of  
our dreams. The sheets are crisp, perfumes are ready by the door, and  
there are plenty of mirrors:  
enter them so we may exit completely."<sup>3</sup>

After that the poet's attitude towards the Jews was becoming more and more soft. He began to make parallels between the Palestinians and the Jews as refugees. "Who am I without Exile?" - asks Darwish in one of his poems (1999) and underlines the fact that the Jews could also ask the same question during the twenty centuries. The Jews had been refugees just like the Palestinians. Exile became natural condition for the poet. He could look at Jews' Exile only with condolence. We can observe in Darwish's poetry (from sixties including nineties) how his tone was changing towards the Jews, as though he couldn't perceive them as a monolith one even from the beginning. It would be better if we say that he protested the policy of the Israeli State, first he struggled against it but later he got used to the condition of exile.

Darwish was disappointed because it was not possible to repeat the historical precedent that took place in the Middle Ages Andalusia where Muslims, Jews and Christians lived together and their cultural and scientific collaboration was very fruitful:

"Soon we will search  
in the margins of your history, in distant countries,  
for what was once our history.  
And in the end we will ask ourselves:  
Was Andalusia here or there?  
On the land...  
or in the poem?"<sup>4</sup>

The chance of coexistence was not properly used in the 20<sup>th</sup> century. The historians speak today more and more about the good historical relationship between Jews and Arabs. Today it's influenced by political ideologies. The poet was sure that the coexistence of the Jews and the Palestinian Arabs was possible both mentally as well as psychologically. The main problem was the western politics. If in one of the first poems "Identity Card" Darwish addresses Israel as an occupier, in one of the last poems "Ready script" (or "Ready Scenario") he calls a Jew as his "enemy" ironically. Instead we can see the third force as an enemy here. Everything is happening according to the script. Scenario was written and planned

---

3 <http://www.grandstreet.com/gissues/g48/g48c.html>

4 <http://www.grandstreet.com/gissues/g48/g48c.html>

by this "third force". An Arab and a Jew fell into a hole and in this inevitable situation they cannot change anything. It's so sad to see how insecure they are.

"Let's presume now that we,  
the enemy and I,  
fell from the air  
into a hole . . .  
what might happen?"

A ready script:  
In the beginning we wait for luck,  
the rescuers might find us here  
and toss a safety rope our way,  
and he'd say: me first  
and I'd say: me first  
and in vain we'd curse  
each other out  
before the rope reaches us

The script says  
I, a selfish optimist, will  
whisper to myself without wondering  
what my enemy whispers to himself

He and I  
are partners in one trap  
and in the probability game,  
we wait for the rescue rope  
so we can part ways

by the edge of the hole - the chasm,  
and go to what remains  
for us of life  
and war... if we  
are able to survive

He and I  
are frightened  
and don't exchange any words  
about fear, or other than fear  
since we are foes . . .

What might happen if a snake  
were to appear to us here  
out of one of the scenes and hiss  
before swallowing the two  
frightened ones, he and I?

The script says:  
We will partner up in killing the snake  
to survive together  
or alone . . .

Yet we will share a phrase of gratitude  
and congratulations on what  
we have accomplished together  
even if it was instinct, and not us,  
that defended itself, and instinct  
has no ideology

And we did not converse:  
I remembered the law of communication  
over mutual frivolity  
when he once told me:  
What has become mine is mine  
and what is yours  
is yours  
and mine...

And with time, and time is sand and soap bubbles,  
boredom and silence  
broke what's between us..."<sup>5</sup>

When we talk about the Jewish influence in Darwish's poetry, first of all Bible should be mentioned. After that poetry of Paul Cellan (1920-1970), philosophy of Walter Benjamin (1892-1940), and thoughts of the representatives of the "Cultural Zionism" as Gershom Scholem, Hanna Arendt etc.

A. Neuwirth underlines two poetry collections - لماذا تركت الحصان وحيدا (1995) and سرير الغريبة (1999) - where there are a lot of allusions from the Holy Book.<sup>6</sup> What is the reason of it? As it's known the text of the Old Testament was used by the Zionists for their policy. The idea of Zionism was born among the Protestant Christians and not among the Jews who were scattered all over the world and were quiet well received in different countries by native cultures. By the 19<sup>th</sup> century they had important role and place in these societies. According to the Hebrew tradition the ultimate goal of the Jews was not to settle one specific territory but to live in harmony. They were waiting for the Second Coming and they didn't intend to leave their places at all. But the Protestants read the text of the Old Testament directly and in the 19<sup>th</sup> century even the governors of the Great Britain were influenced by them. From the beginning the idea of the returning to the Holy Land was not received by the Jews seriously.<sup>7</sup> They didn't want to leave their countries for Palestine. Exile for the traditional Jew was perceived as not territorial but spiritual. Scattering was natural condition for them.

German-Jew philosopher Franz Rosenzweig marked, that "unlike other nations, the Jewish nation was able to exist without common land and common language because from its very beginning as a people it didn't make a peoplehood of Israel dependent on these external factors."<sup>8</sup>

Later the Jews joined Zionism of course but many of them supported "cultural" and not "political" Zionism which was western colonizer project. Leading cultural Zionists advocated a Jewish spiritual center in Palestine, though they didn't believe that most Jews actually needed to move there.<sup>9</sup> The main concept of political Zionists that the Holy Land is the Jewish motherland contradicted traditional Jewish Idea. So establishment of the State of Israel was conditioned by the secular reading of the Bible. Zionism was used by the western policy to

---

5 trans. Fady Joudah

6 Neuwirth, Hebrew Bible and Arabic Poetry, 174.

7 Lekrtor

8 Neuwirth, Hebrew Bible and Arabic Poetry, 176.

9 Tom Reiss, "Jewish Orientalism", in: The Orientalist (London: Vintage Book, 2006), 239.

improve its positions in the Near East having concrete political and economical interests there.

Darwish thought that the Secular Arabic Reading of the Holy Script could create a new tradition in controversy to the "others" (Jews') politicized canon. The poet touched the text of the Bible as the main narration which had become a reason of the Palestinian Exile. The Biblical "Genesis" in Darwish's poetry is represented by the birth of Palestine in his verses (see "The Lover from Palestine" - the poem was written in 1966, when Palestinian task was tabooed and the word "Palestine" politically didn't mean anything). "Palestinian Exodus" in Darwish's poetry symbolically means returning to Palestine as to the Holy Land. The "Exodus" here is dramatized as much as the return to Palestine in reality is utopia.

So the biblical passages are used by Darwish against the Israeli narrative, but on the other hand he really has a lot of common with the Jewish poet Paul Celan. Celan also used the Holy Script. He also was punished by his enemy - Nazis but in spite of it German - his mother's killer's language - became the language of his poetry. The influence of Celan's poetry is clear when Darwish writes about *ghurba*. *Ghurba* is an existential and not territorial exile. As Stefan Millich remarks, comparing two great poet's poetry, they both created Exile in the language. When Darwish analyzed that he couldn't return to Palestine and he had to live in emigration all his life, he resettled to the "land created of words" just as Celan<sup>10</sup>. Poetry was a shelter - the land where the occupier could never penetrate. For Celan the true poetry was anti-biographical and the homeland was his poem for him. The both poets tried to escape from something but if Celan tried to forget his past, for Darwish memory was very important. If the Jew emigrant poet killed himself in 1970, Darwish managed to create alternative world with his poetry. He survived but he was destroyed mentally even in this imagined world. Millich underlines one passage from the poetry collection *سريير الغريبة*:

"I am a being that has never been, I am an idea for a poem  
That is without land nor body,  
Without son nor father.  
I am Qays Laila  
I am nothing."<sup>11</sup>

This is a self-perception by the modern poet as a subject without identity. As if he also kills himself like Celan but not in reality but "surreally".

Darwish was also influenced by Walter Benjamin (1892-1940). The Jewish philosopher thought that the reality had to be taken as it was. He believed that the violence, even to achieve one's kind aim, was unjustifiable. Benjamin criticized any kind of violence as well as Zionism. He predicted that the Israeli State would be full of unpredictable, critical and tense situations. Benjamin, as well as Hanna Arendt (1906-1975) and Gershom Scholem (1897-1982), was the representative of "cultural Zionism". Scholem called the return of the Jews to the Holy Land "utopian return". As for Arendt, she also predicted the crisis of the Israeli State. All of them thought that it was important to respect "other" side, Palestinian Arabs.

Darwish also started to receive the reality as it was. He also was afraid that violence even for justices could cause radical thoughts. He struggled but couldn't

10 Stefan Millich, „Fremd Meinem Namen und Fremd Meiner Zeit“, in: Identität, Fremdheit und Exil in der Dichtung vom Mahmud Darwish (Berlin: Schiller), 2004.

11 A. Neuwirth, Hebrew Bible and Arabic Poetry, 186.

change anything. At the end he changed his categorical tone. It took some time for him before he look at the Jewish tragedy with condolence. On the other hand, he always could understand “others”. I think it is important to represent Darwish as a poet who stood above political controversy to show up his personality, humanity and inner depth.

#### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. დარვიში, მაჰმუდ. „უნივერსალურის ადგილობრიობა“; წინასიტყვაობა ფრანგული კრებულისთვის *ჩვენ დედამიწა გვევიწროება* (გალიმარი, 2000), ფრანგულიდან თარგმნა ბ. ჩაბრაძემ, უ. „ახალი საუნჯე“ № 1, 2016, 17-19.
2. დოლიძე, ნინო. „ებრაული ორიენტალიზმიდან“ თანამედროვე კონფლიქტურ კერამდე“; გაზ. „იბერია“ 4, 28.10-11.11. 2007,10-11.
3. დოლიძე, ნინო. „მაჰმუდ დარვიშის პოეზია როგორც „კოლექტიური ხმიდან“ ინდივიდუალური ლექსისკენ განვლილი გზა“; *ადმოსავლური ფილოლოგია* – 25 2017, 10-39.
4. Mansson, Anette. *Passage to a new Wor(l)d, Exile and Reastoration in Mahmoud Darwish's Writings (1960-1995)*. Stockholm: Uppsala Universitet, 2003.
5. Milich, Stefan „Fremd Meinem Namen und Fremd Meiner Zeit“, in: *Identität, Fremdheit und Exil in der Dichtung vom Mahmud Darwisch*. Berlin: Schiller,2004.
6. Neuwirth, Angelika. “Hebrew Bible and Arabic Poetry, Reclaiming Palestine as a Homeland Made of Words: Mahmoud Darwish.” In: *Arabic Literature, Post Modern Perspectives*. Edited by Angelika Neuwirth, Andreas Pflitsch, Barbara Winkler, 171-196. London: Saqi 2004.
7. Neuwirth, Angelika. “Canons in Contact: Mahmud Darwish reading the Hebrew Bible and Arabic Poetry.” In: *Reflections on Reflections, New Eastern Writers reading Literature*, dedicated to R. Jakobi. Eds. Angelika Neuwirth, Andreas Christian Islebe, 345-373, Wiesbaden: Reichert Verlag, 2006.
8. Rabkin, Yakov, Reed, A. F. *What is modern Israel*. Chicago: University of Chicago/ Pluto Press, 2016.
9. Reiss, Tom. “Jewish Orientalism.” In: *The Orientalist*, 227-242, London: Vintage Book, 2006.
10. Raz-Krakotzkin, Amon. *Exil und Binationalizmus: Von Gershom Scholem und Hannah Arendt bis zu Edward Said und Mahmoud Darwish*. Berlin: Wissenschaftskolleg zu Berlin, 2011.
11. محمود درويش، الأعمال الكاملة، (نابلس- فلسطين: الإسرائ، 2015)
12. <https://www.youtube.com/watch?v=erzl60Dk2bM&feature>
13. <https://www.shmoop.com/death-fugue/identity-quotes-2.html>
14. <https://www.poetryfoundation.org/poetrymagazine/articles/91659/from-microoliths#.WHpMWKbOcoI.twitter>
15. <https://trafo.hypotheses.org/8299>



## თამთა ფარულავა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### ბედისწერის პრობლემისათვის

რუმის „მესნევის“ პირველი წიგნი მოგვითხრობს იგავს კაცზე, სიკვდილს რომ გაურბოდა:

*მეფე სოლომონის წინაშე ერთი შეშინებული კაცი წარსდგა და უთხრა, რომ აზრაილს გადაეყარა, რომელმაც მრისხანებით შეხედა.*

*– ახლა რა გსურს, მითხარი, – ჰკითხა სოლომონმა.*

*– მეფეო, ქარს უბრძანე, ინდოეთში გადაამაფრინოს, რათა სული გადავირჩინო, ითხოვა კაცმა.*

*სოლომონის ბრძანებით, ქარმა მართლაც გადააფრინა ინდოეთში. მეორე დღეს მეფე აზრაილს ეკითხება:*

*– იმ მუსლიმს ასე მრისხანედ რომ შეხედე, კინალამ სული განუტევაო.*

*– მრისხანებით არ შემიხედავს, – უპასუხა აზრაილმა, – გავოცდი, როცა აქ დავინახე, რადგან, უფალის ბრძანებით, დღეს მისი სული ინდოეთიდან უნდა წავიყვანოო.<sup>1</sup>*

იგავი უძველეს თეოლოგიურ-ფილოსოფიურ თემას – ადამიანის ხვედრის წინასწარ განსაზღვრის საკითხს ეხება. ერთი მხრივ, ისლამური ფატალისტური წარმოდგენა გვაფიქრებინებს, რომ ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში თუ, საერთოდ, სამყაროს ისტორიაში ყველაფერი წინასწარ განსაზღვრული და მკაცრად დადგენილია. ამ განგებულებას ვერავინ ასცდება და ვერაფერი შეცვლის. ადამიანიც უძლურია იმის წინაშე, რაც უკვე გადაწყვეტილი და დაგეგმილია მის ცხოვრებაში. ყურანში ვკითხულობთ: „რა წყალობასაც ალაჰი ადამიანებს უბოძებს, არ ეყოლება მას არავინ შემკავებელი, ხოლო რასაც შეაკავებს, არავინ ეყოლება ზეგარდმომგლენი მის შემდგომ“ (35,2)<sup>2</sup>; „არ მომხდარა მოსახდენი ქვეყანაზე და არც თქვენს სულებში, რომ არ ყოფილიყო წიგნი იმაზე უწინ, ვიდრე ჩვენ მას მოვანდენდით“ (57, 22); „ვისაც უწინამძღვრებს ალაჰი, ის ჭეშმარიტი გზით წავა, ხოლო ვისაც გზას ააცდენს, სწორედ ისინი არიან წაგებულნი“ (VII, 177); „არაფერი დაგვემართება იმის გარდა, რაც დაგვიწერა ალაჰმა“ (9, 51); „არც ერთი სული ისე არ მოკვდება, თუ არ იქნება ალაჰის ნება, ჟამი წინასწარ განსაზღვრული და დაწერილია“ (3, 139 (145)). ფიქრობენ, რომ ეს ფატალისტური ხედვა ისლამურმა ფილოსოფიამ ნაწილობრივ ისლამამდელი არაბული მსოფლალქმისაგან მიიღო მემკვიდრეობით. ძველმა არაბულმა აზროვნებამ ბედისწერის პოეტური ხატი შექმნა. აქ ბედისწერას უდიდესი ძალა აქვს და ადამიანის საქციელსა და ცხოვრების გზას სრულად განსაზღვრავს. მოგვიანებით პრეისლამურ ბედისწერას, ბრძასა და ბნელს, კიდევ უფრო ძლიერი, სამართლიანი, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოწყალე ალაჰი ჩაანაცვლებს.

მეორე მხრივ, ადამიანის ცხოვრების ფატალისტური ხედვა უფლის სამართლიანობისა და ადამიანის პიროვნული ღვაწლის იდეას აუფასურებს. VIII-IX სს.-ში ისლამურ სამყაროში ამ პრობლემის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

1 Jalalu'ddin Rumi, The Mathnawi, Book 1 (Tehran: So'ad Publisher, 1381), 104.

2 ყურანი, არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ (თბილისი: კავკასიური სახლი, 2006).

ჯაბრიტები (ბედისწერის აბსოლუტური ძალმოსილების მომხრეები, რომელნიც მიიჩნევდნენ, რომ ღმერთის მიერ ყველაფერი წინასწარაა დადგენილ-განსაზღვრული) და კადარიტები (ადამიანის თავისუფალი ნების მომხრეები).

ყურანი ცხადად წამოაჩენს იმასაც, რომ ადამიანი პასუხს აგებს საკუთარ საქციელზე: „რა სიკეთეც შეგვემოხვევა, ალაჰისგანაა და რა სიავიც დაგემართება, თვით შენგანაა“ (4: 81 (79)); „ვინც ქმნა სიავე, არაფერი მიეზღვება, გარდა ამის მსგავსისა, ხოლო ვინც ქმნა სიკეთე – მამაკაცმა თუ დედაკაცმა – და იყო მორწმუნე ... სწორედ ისინი შეველენ სამოთხეში“.. (40: 43(40). მაშასადამე, ისლამური აზროვნების მიხედვით, საშინელი სამსჯავრო, ვითარცა სამართლიანი სამსჯავრო, უპირველესად, ადამიანის თავისუფალი ნების იდეას ემყარება. ადამიანი თავისუფალია, აირჩიოს, მაშასადამე, პასუხისმგებელიც – საკუთარ საქციელზე. თვით ყურანის მოწოდება სიკეთისაკენ ფუჭი და უსაგნო იქნებოდა, რომ არა სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანის უნარი ადამიანისა.

თავისუფალი ნებისა და ფატალიზმის იდეები ისლამურ სამყაროში რომ ზოგჯერ გადაჯაჭვულიცაა ერთმანეთზე, ერთი გადმოცემა გვიცხადებს. ერთხელ თურმე მოციქულს ჰკითხეს: აქლემი დავაბათ თუ ალაჰის იმედზე დავტოვოთ? მან კი უპასუხა: დააბით და უფლის იმედს ნუ დაკარგავთო.

მიიჩნევენ, რომ ბედიწერისა და თავისუფალი ნების იდეათა გაანალიზებით სათვის მუსლიმი მისტიკოსები კვლავ ყურანის აიებში ეძებენ საფუძველს. მუსლიმთა და, განსაკუთრებით, სუფიათა რელიგიური ცნობიერება მიპყრობილია ტრანსისტორიული ფაქტისაკენ დასაბამისუწინერესი ალთქმისა, რომელიც მეშვიდე სურაშია მოთხრობილი: „და აი, შენმა უფალმა ადამის ძეთაგან, მათი ზურგებიდან ამოიყვანა მათი შთამომავალნი და მათ წინააღმდეგ ამოწმებინა. (ჰკითხა:) განა თქვენი უფალი არა ვარო?! მიუგეს: დიახ, დავამოწმებთო (7:171(172)).

მუსლიმი კომენტატორების აზრით, ყურანის სწორედ ამ ფრაგმენტში გაცხადდება ადამიანის ბედის წინასწარ განსაზღვრის დოგმატი. ისინი, რომელთაც თანხმობით უპასუხეს უფალს, მისი მორჩილი მონანი იქნებიან. სუფიები მიიჩნევენ, რომ ეს საგულისხმო დღე სიყვარულით აღვსებულ ადამიანთა მდგომარეობას გვიხატავს. ამ სიყვარულით კი ისინი სატრფოს – უფალს – მიემართებიან<sup>3</sup>.

სწორედ ეს წარმოდგენა ღმერთსა და ადამიანს შორის დასაბამისუწინარესი ალთქმისა განსაზღვრავს სუფიათა დამოკიდებულებას ბედისწერისა და თავისუფალი ნების დოგმატთა მიმართ. ადამიანმა ხომ თავისი ხვედრი, ანუ უფლის მარადიული მბრძანებლობა, თავად აირჩია, როცა ამგვარი სიყვარულით უპასუხა თავის შემქმნელს?! ის თავისუფალი იყო და არჩევანის ნება მიენიჭა. მისტიკოსი მისწრაფვის სწორედ იმ დღისაკენ, როცა მხოლოდ უფალი არსებობდა, როცა მას ჯერ კიდევ არ მიენიჭებინა ადამიანისათვის სიცოცხლე, სიყვარული და შეგნება, არ გამოეხმო კაცობრიობა არყოფნის უფსკრულიდან, რათა ბოლო ჟამს კვლავ წარმდგარიყო უფლის წინაშე.<sup>4</sup>

ჯალალ-ედ დინ რუმის „მესწვევის“ ზემოხსენებული იგავის ამბავი უმნიშვნელო სახეცვლილებით თანამედროვე ბრიტანელი მწერლის – ჯეფრი არჩერის (Jeffrey Archer) – ნოველაში მეორდება:

3 Карл В. Эрнст, Суфизм (Москва: Фаир-пресс, 2002), 72.

4 Аннемари Шиммель, Мир исламского мистицизма (Москва: Алетейа, Энигма, 2000), 27-28;

## სიკვდილის ნაამბობი

იყო ბალდადში ერთი ვაჭარი, რომელმაც მსახური გაგზავნა ბაზარში სანოვავისათვის. ცოტა ხანში გაფითრებული და აკანკალებული მსახური უკან დაბრუნდა და ვაჭარს უთხრა:

– ბატონო, ბაზარში რომ ვიყავი, ბრბოში ქალს შევეჩვენე. რომ მოვიხედე, დავინახე, ის ქალი სიკვდილი ყოფილა. მან შემომხედა და მუქარით რაღაც მანიშნა. მათხოვე შენი ცხენი, გავაქროლებ ამ ქალაქიდან და გავექცევი ჩემს ბედისწერას. სამარაში წავალ, იქ სიკვდილი ვერ მიპოვის.

ათხოვა ვაჭარმა ცხენი. მსახური ამხედრდა, დეზი ჰკრა და რამდენადაც შეეძლო, სწრაფად გააჭენა. ვაჭარი კი ბაზარში მოვიდა, დამინახა ხალხში მდგომი, მომიახლოვდა და მითხრა:

– რატომ შემიშინე მსახური ამ დილით? რატომ დაემუქრე?

– ეს მუქარა არ ყოფილა, – ვუპასუხე, – გაცოცხლა იყო. გამიკვირდა, ბალდადში რომ ვნახე, რადგან ამაღამ სამარაში ვაპირებ მასთან შეხვედრას.<sup>5</sup>

ორივე სიუჟეტი სამ მთავარ გმირს წარმოგვიდგენს; სპარსული „მესნევის“ პერსონაჟები არიან. შეშინებული კაცი, მეფე სოლომონი და სიკვდილის ანგელოზი – აზრაილი, ბრიტანული ნოველისა – მსახური, ბალდადელი ვაჭარი და ქალი, იგივე სიკვდილი. ერთ შემთხვევაში პერსონაჟი ცდილობს სიკვდილს ინდოეთში გაექცეს, მეორე შემთხვევაში – ბალდადიდან სამარაში.

აზრაილი ისლამურ და იუდაისტურ ტრადიციაში სიკვდილის ანგელოზია. იგი ბაირონის, ლერმონტოვის, ედგარ პოს თუ სხვა ავტორთა თხზულებების პერსონაჟადაც გვევლინება. რუმის „მესნევის“ ამ იგავშიც იგი მხატვრული ლოგიკის ბუნებრივ ნაწილად აღიქმება. ჯეფრი არჩერის ნოველაში ამ გმირს ქალი-სიკვდილი ჩაანაცვლებს. სიკვდილის პერსონიფიცირებაც ტრადიციული ხერხია ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ქალი-სიკვდილის მხატვრული სახეც მრავალი ეპოქისა თუ ეთნოსის ლიტერატურულ, ფოლკლორულ, ფერწერულ შემოქმედებაში გვხვდება<sup>6</sup>.

მსგავსება სხვაგანაც შეიმჩნევა: გმირთა დიალოგებში, განცდებსა თუ ფიქრებშიც კი.

მსგავსია თხზულებათა პრობლემატიკაც.

როგორც ჩანს, ბედისწერის პრობლემა მეოცე საუკუნეში კვლავ აქტუალურია და იგი კვლავ იქცა ფილოსოფიისა თუ ლიტერატურის ინტერესის საგნად. რენესანსის ეპოქის შემდეგ ადამიანი არასოდეს მდგარა ასე მკვიდრად სამყაროს ცენტრში, არასოდეს უგრძნია თავი ასე ყოვლისშემძლედ. შეიძლება სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ლიტერატურული აზრი კვლავ მიუბრუნდა ადამიანის ბედის წინასწარ განსაზღვრის პრობლემას.

არანაკლებ საინტერესოდ გვეჩვენება ამ სიუჟეტთა პოეტიკურ-ესთეტიკური თავისებურებანი XIII საუკუნის სპარსულ თუ თანამედროვე ბრიტანულ ლიტერატურაში. რუმის „მესნევის“ დიდაქტიკურ-ფილოსოფიურ სამოსელში ეს საგულისხმო ამბავი იგავურადაა გადმოცემული და ამ ჟანრის თავისებურებით ხასიათდება. აქ აზრი სახეობრივად მაგალითის სახით არის გაცხადებული. ჩვენ მიერ მოხმობილ იგავს თუმცა მონათესავე ჟანრის – არაკის ზოგი ნიშანიც აქვს,

5 Jeffrey Archer, To Cut a Long Story Short (New York: St.Martin's Paperbacks, 2013), 17.

6 Karl S. Guthke, The Gender of Death – A cultural History in Art and Literature (Cambridge: Cambridge University Press, 1999).

აქ მაინც „მონიშნული“ სათქმელი (იგავი – „სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მოსანიშნავი“<sup>7</sup>) ნაკლებ ზღაპრულ საბურველშია გახვეული. თუმცა მისი ალეგორიული სიბრძნე პრაქტიკული ცხოვრების გაკვეთილსაც გვაძლევს, იგი მაინც ახერხებს ყოფით პრობლემებზე ამაღლდეს და ფილოსოფიურ-რელიგიურ სიბრძნეს მიეახლოს.

ამ ორი თხზულების პოეტიკურ თავისებურებათა შორის სათაური საკმაოდ საგულისხმოდ გვეჩვენება. როგორც ვიცით, „სათაური მხატვრული ტექსტის აზრობრივი და ესთეტიკური ორგანიზების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია“<sup>8</sup>. ის ტექსტის კონსტრუქციული ელემენტაცაა და დამოუკიდებელი ინფორმაციული ერთეულიც. ანტიკურმა სამყარომ საერთოდ არ იცოდა სათაური. ის მოგვიანებით თხზულებათა ერთმანეთისაგან გასასხვავებლად გაჩნდა. შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით ალორძინების ეპოქაში, წიგნის ან თუნდაც მისი თავების სათაურები დაწნეხილი სიუჟეტური ინფორმაციის მატარებელი გახდა (ბოკაჩო, სერვანტესი). „მესნევის“ ჩვენ მიერ მოხმობილი იგავის სათაურში მართლაც მაქსიმალური ინფორმაციაა გატანილი. აქვეა გაცხადებული თხზულების იდეაც: „თუ როგორ შეხედა აზრაილმა ერთ კაცს, როგორ გაიქცა ის კაცი სოლომონის სასახლეში, თუ როგორ სჯობს უფლის რწმენა ადამიანის ძალისხმევას და როგორი ამაოა ეს მცდელობა“.

ჯეფრი არჩერის ნოველის სათაური „სიკვდილის ნაამბობი“ განსაკუთრებულს არაფერს გვეუბნება თხზულების ფაბულაზე; მაგრამ, იმავდროულად, სათაური სიუჟეტის, მთელი ნოველის განუყოფელი ნაწილია. მისი მოხსნით შინაარსის მთავარი ნაწილი დაიკარგება და ამბავი გაუგებარი დარჩება.

„მესნევის“ იგავში მკითხველის ყურადღება შინაარსისკენაა მიპყრობილი, თითქოს ფორმის არსებობა სრულებით გვავიწყდება. შინაარსი ორგზის მეორდება: ჯერ დაკუმშული სახით სათაურში, შემდეგ კი იგავში უფრო გაშლილად. არჩერის თანამედროვე ნოველაში შინაარსი თავად ქცეულა გამყარებულ ფორმად და ავტორი უკვე ცდილობს, ახლებური გააზრებით მიაწოდოს იგი მკითხველს. შინაარსის ნაწილი რომ მხოლოდ სათაურშია, ეს ხერხი ფორმის სრულყოფილებას ემსახურება. სიკვდილი, რომელიც მხოლოდ სათაურშია ნახსენები, მთავარი პერსონაჟია თხზულებისა. აქ ავტორი ერთ-ერთ პერსონაჟად გარდაისახება. „მესნევის“ იგავში შედარებით მკრთალია ავტორის სახეც, რომლის საპირწონედ ჯეფრი არჩერს ნოველაში ახალი პერსონაჟი, მთხრობელი, შემოჰყავს. შესაძლებელია, ეს პოეტური ხერხი მეტი დამაჯერებლობისთვისაა მოხმობილი. ნოველა ზღაპრულ სიუჟეტს გადმოსცემს, იქნებ ამიტომაც პირველი პირით გადმოცემულ ამ „დაუჯერებელ“ ამბავს თვითმხილველი – სხვა გმირებთან უშუალოდ ახლოს მყოფი გვიამბობს, შესაბამისად – უფრო „ობიექტურად“ და დამაჯერებლად. მთხრობელს „სრული თავისუფლება“ აქვს მინიჭებული და ავტორის ხმა უშუალოდ მხოლოდღა ნოველის სათაურში ისმის, მის სიტყვებად მხოლოდ ნოველის სათაური შეიძლება მივიჩნიოთ – „სიკვდილის ნაამბობი“. რუმის იგავში ამბავი მესამე პირის მიერაა გადმოცემული და თხრობის სუბიექტი და ავტორის სახე სინონიმური ცნებანია. ჯეფრი არჩერის ნოველაში კი ამბის მთხრობელი არა მხოლოდ განესხვისება ავტორის სახეს, არამედ იგი ცალკე პერსონაჟად გვევლი-

7 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (თბილისი: მერანი, 1991).

8 Сигизмунд Доминикович Кржижановский, Поэтика заглавий (Москва: Никитинские субботники, 1931), 117.

ნება, რათა დიალოგი გამართოს ავტორთან, რათა მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიური დიალოგიზაციის ფორმას გაუსვას ხაზი.

მკითხველს საგანგებო სიფხიზლე მართებს, რათა ნოველის ფინალამდე არ დაავიწყდეს, რომ მთავარი პერსონაჟი სიკვდილია, არ დაავიწყდეს იმ მომენტამდე, რომელშიც იგი სათაურის შემდეგ ხელახლა გვახსენებს თავს. ეს პოეტური ხერხი, ფორმის ვირტუოზული სახეცვლილება კვლავ შინაარსის სრულყოფისაკენაა მიმართული. აღმოსავლური იგავის მთავარ იდეას – ბედისწერას ვერსად გაექცევი – ახალი (იმავედროულად, ძველი) აზრი თუ მოწოდება ავსებს: გვახსოვდეს სიკვდილი (ნოველის გმირი და ემპირიული სინამდვილე).

ძველი აღმოსავლური ლიტერატურიდან მეოცე საუკუნის მწერლობაში გადმონაცვლებისას ზემოხსენებული ამბავი მხოლოდ ნაწილობრივ ინარჩუნებს იგავური ჟანრის ზოგიერთ თავისებურებას: ბრიტანულ ნოველაში მას არ აქვს მხატვრული პროზის აღწერითი ხასიათი, არსადაა ბუნების სურათები, მხოლოდ აუცილებელი საგნები მოიხსენება, მოქმედება აქაც „უდეკორაციოდ“ იშლება. წმინდა იგავისაგან განსხვავებით, ამ ნოველის პერსონაჟს უფრო მეტი გამომსახველობით წარმოგვიდგენს ავტორი. ის არა მხოლოდ ეთიკური არჩევანის სუბიექტად აღიქმება, როგორც ეს იგავის შემთხვევაშია, არამედ – მხატვრული დაკვირვების ობიექტადაც წარმოგვიდგება.

შეიძლება ვიფიქროთ, შუა საუკუნეებისათვის ასე დამახასიათებელი იგივეობის ესთეტიკის პრინციპი ისევ ცოცხლობს. როგორც ხუთი-ათი საუკუნის წინ, ახლაც უფრო მნიშვნელოვანია ის, როგორ იტყვი, ვიდრე ის – რას იტყვი, უფრო ზუსტად, – ახალს იტყვი თუ არა. ბრიტანელი ჯეფრი არჩერი დღეს იმავე პრობლემაზე ფიქრობს და საუბრობს, რომელზეც ძველ აღმოსავლეთში უფიქრიათ, ოღონდ, სხვა აქცენტებითა და სხვა პოეტური „სამოსით“, მაშასადამე სხვაგვარადაც.

## ON THE PROBLEM OF FATE

The paper deals with one of the ancient themes of theology and philosophy - the issue of the predetermination of human fate. The medieval oriental understanding of this problem and its interpretation in modern literature are discussed. It is regarded that fatalism is the necessary attribute of Islamic dogmatism. Quran verses (35,2; 57,22) provide basis for offering that in the history of an individual and generally of the world is everything predetermined and strictly established and nothing can change this. Fatalistic worldview was inherited by Islamic civilization from pre-Islamic Arabian thinking. Though there is the different opinion, according to which fatalistic vision of the fate devaluates the idea of Lord's justice and individual's personal merits. Problem of inevitability of the destiny was transferred from the theological-philosophical sphere into the literature as well. One of the stories of *Mašnavī-yi Ma'navī* by Jalāl al-Dīn Rūmī tells about a man attempting to escape death by moving to the far off country of India. This attempt turned out to be vain as Lord had ordered to take him from India. The idea of the story (no one can escape his destiny) seems strange for Rumi's Sufi teaching, where, generally, the primate of human free will can be sensed.

This fable repeats in the novella by modern British writer Jeffrey Archer "Death Speaks". Seemingly, the problem of the destiny became the subject of interest of the philosophy and literature again, after medieval period.

After Renaissance period a human has never stood so firmly in the center of the world, never felt so powerful, maybe this is the cause that the literary thought has returned to the problem of predetermination of human fate.

The article provides discussion of the characteristics of two different interpretations of one story, including similarities and differences. In "Mašnavī" story the reader's attention is focused on the contents, as though existence of the form is completely forgotten. Here the content repeats two times: initially in the title, in the reduced form and further in the story. In Archer's novella the content itself became solidified form and the author attempted to offer it to the reader its new understanding. Part of the content is only in the title and this serves to perfection of the form. Death that is mentioned in the title only is the main character of the novella. Here the author is transformed into one of the characters. In "Mašnavī" story the author's image is relatively pale. Jeffrey Archer has introduced a new character, he teller in his novella.

Interestingly, in the 20<sup>th</sup> century this medieval fable acquired the form characteristic for the poetics of modern literature. It is a good example of modern understanding of the identity esthetics.

**დამოწმებული ლიტერატურა - References:**

1. ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*. თბილისი: მერანი, 1991.
2. Archer, Jeffrey. *To Cut a Long Story Short*. New York: St.Martin's Paperbacks, 2013.
3. Guthke, Karl S. *The Gender of Death - A cultural History in Art and Literature*. Cambridge: Cambridge University Press, 1999.
4. Rumi, Jalalu'ddin. *The Mathnawi*, book 1. Tehran: So'ad Publisher, 1381.
5. Кржижановский, Сигизмунд Доминикович. *Поэтика заглавий*. Москва: Никитинские субботники, 1931.
6. Шиммель, Аннемари, *Мир исламского мистицизма*. Москва: Алетейа, Энигма, 2000.
7. Эрнст, Карл В. *Суфизм*. Москва: Фаир-пресс, 2002.

## ელენე ჯაველიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### ჰალიდ ზია უშაქლიგილის შემოქმედებითი აქსიოლოგიის საკითხები

ჰალიდ ზია უშაქლიგილი (1866-1945) ახალი თურქული მწერლობის გამორჩეული წარმომადგენელია. საერთოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე თურქული მწერლობა ე.წ. „შუა საუკუნეების ლიტერატურის“ ჩარჩოებში არის მოქცეული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს ტერმინი ტიპოლოგიურია ამ პერიოდის მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მწერლობისათვის. თანზიმათის ანუ თურქული რომანტიზმის ჩამოყალიბება დაკავშირებულია (1839-1876) კონსტიტუციური რეფორმების (თანზიმათის) ხანასთან. თანზიმათის მწერლობაში მოხდა განმანათლებლობის იდეებისა და რომანტიზმის ესთეტიკის უჩვეულო სინთეზი. თანზიმათელებმა შექმნეს თურქული რომანის, მოთხრობის, დრამის, კომედიის პირველი ნიმუშები.

გუზინ დინო თურქული რომანის წარმოშობის შესწავლისას აღნიშნავს, რომ ამ ჟანრის ჩასახვას თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისებები გააჩნია, რომელიც კვლევას საჭიროებს. ამას გარდა, მისი აზრით, დასავლური რომანის განვითარების ისტორიულ პროცესებსა და თურქული რომანის ჩასახვას შორის მსგავსება საერთოდ არ არის (Dino, 2008: 5). მუსტაფა ნიჰად ოზონიცი აღნიშნავს, რომ თანზიმათამდე თურქულ ლიტერატურაში რამდენიმე ტიპის მოთხრობა გვხვდება, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე მოთხრობის საფუძვლად (Özön, 1941: 196).

ახალი თურქული მწერლობის „დაჩქარებული განვითარება“ სხვადასხვა ლიტერატურათა ურთიერთკავშირისა და ზეგავლენის უნივერსალურ სიბრტყეზე იკვეთება, მოიცავს თურქულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურის პროცესების გამოვლინებებს. თანზიმათელთა შემოქმედებაში ნათლად მოჩანს ახალი თურქული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისება: ერთი მწერლის შემოქმედებაში სხვადასხვა ლიტერატურული მეთოდის გამოყენების ტენდენციები. მაგალითად, „მართალი ლიტერატურის“ ტერმინის შემოტანითა და მისი სპეციფიკური გააზრებით, ნამიქ ქემალი რომანტიზმის ფარგლებს სცილდება“ (Kaplan, 1948: 132). ნამიქ ქემალთან „ვხვდებით ისეთ ტერმინებსა და კატეგორიებს, რომლებიც რეალიზმის წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს“ (Dino, 1955: 10). თანზიმათის მეორე თაობის წარმომადგენელი სამიფაშაზადე სეზაი კმაყოფილებით აღნიშნავს „პატარა რალაცეების“ წინასიტყვაობაში (1891): დღეს რომანში აღარ გვხვდება ჩამოუყალიბებელი, ბავშვური ფორმის უცნაური ისტორიები. დღევანდელ რომანს „ლიტერატურული ანატომიის მეცნიერება“ უნდა ეწოდოს (Sezai, 1981: 1-2).

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქული მწერლობა თანამედროვე რომანის ჟანრებს ითვისებს. 1875-1900 წლებს შორის 25 წლის დროის მონაკვეთში თურქული რომანის პირველი ნიმუშები შეიქმნა. ეს საკითხები თანზიმათის ლიტერატურაზე არსებულ მრავალ კვლევაშია ასახული, შედარებულია ამ წლებში შექმნილ ევროპულ რომანებთან და თურქული რომანების უმეტესი რაოდენობა შეფასებულია როგორც სუსტი. თუმცა, დღევანდელი გადასახედი-



დან ჩანს, რომ მხოლოდ 25 წელიწადში რომანი იქცა ყველაზე მოთხოვნად ლიტერატურულ ჟანრად თურქეთში და ამ მცირე მონაკვეთში დიდი გზაა გავლილი.

თურქულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები თანზიმათის ლიტერატურის მეორე ეტაპზე 80-იანი წლების ბოლოს გვხვდება. ევროპული მოდერნიზაციის მომხრე თანზიმათის მწერლები თურქული რეალობისთვის მორგებული ლიტერატურის თარგმნით სეგრეგაციულად ცდილობდნენ ოსმალური საზოგადოებისთვის დასავლური მოდელის შეთავაზებას. ამ პერიოდის მოაზროვნე და ლიტერატორი – ბეშირ ფუადი არ იზიარებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანზიმათისეული სინკრეტიზმის გაგებას, საზოგადოების განვითარების უმაღლეს საფეხურად პოზიტივისტური აზროვნება მიაჩნდა. თანზიმათის მწერლებისგან განსხვავებით თვლიდა, რომ მთელი ოსმალური ცხოვრება უნდა შეცვლილიყო, ხოლო თანზიმათის რეფორმებს ევროპული ცივილიზაციის სრული მიღებისათვის არასაკმარისად მიიჩნევდა (Okay, 1969).

თანზიმათის მეორე თაობის მწერლის რეჯაიზადე ექრემის სატირულ რომანში „ეტლებით გატაცება“ (1896) დასავლური და აღმოსავლური – ორი ეპისტემოლოგიური სისტემის ტექსტუალური რელატივაცია გვხვდება. მწერალი ამ ორი აქსიოლოგიის თანაარსებობის იდეას ეჭვის ქვეშ აყენებს. ექრემის რომანი ორ დონეზე იკითხება. ის გვიჩვენებს: 1. ოსმალური საზოგადოების იდენტობის კრიზისის კრიტიკულ სურათს; 2. ოსმალურ საზოგადოებასა და დასავლეთის ცივილიზაციას შორის კომუნიკაციის დეფიციტს და შეუძლებლობასაც კი. ამდენად, თანზიმათელთა შეხედულებების მიმართ მკაცრი ინვექტივა უღერს. ეს გამოიხატება გმირის ფსევდო „ალაფრანგულობაში“, მის უუნარობაში გაიგოს დასავლური ტექსტები, ასევე საკუთარი ენის უცოდინარობაშიც. ორი სემიოტიკურ-კულტურული სისტემის რღვევაზე შექმნილი ამ სატირული რომანის გმირი ერთგვარად „პოსმოდერნისტული პასტიმის“ სიტუაციაშია: მუდმივად ტექსტებს კითხულობს, მაგრამ არც ფრანგულად და არც ოსმალურად ტექსტი არ ესმის. ის ვერც რეალობაში ერკვევა, მეძავი ქალი (ფრანგული რომანტიკული ლიტერატურის გავლენით) უნატიფესი არსება ჰგონია. დასავლეთისა და აღმოსავლეთის თანზიმათისეული ესთეტიკის დიქოტომიის დეკონსტრუქცია უკვე ახალ განზომილებაში გადადის (ჯაველიძე, 2013: 341-346; ჯაველიძე, 2014: 151-157).

თანზიმათის მწერლობის ლიტერატურულ ძიებათა გაგრძელება-განხორციელება წილად ხვდა მომდევნო თაობის მწერლებს, რომლებიც თურქული ლიტერატურის ისტორიაში შევიდნენ „სერვეთი ფუნუნის“ (ცოდნის საუნჯე) ლიტერატურული ჯგუფის სახელით, ამ ჯგუფში შედიოდა ჰალიდ ზია უშაქლიგილიც. სულთან აბდულ ჰამიდის ტირანიის ხანამ საშინელი კვალი დააჩნია ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებას. აბდულ ჰამიდმა დაიწყო საზოგადო მოღვაწეთა, პუბლიცისტებისა და მწერლების უმოწყალო დევნა, დაჭერა და გადასახლება. ამოქმედდა უმკაცრესი ცენზურა.

ნათელია, რომ „სერვეთი ფუნუნის“ ლიტერატურის მხატვრული მეთოდის სიღრმისეული ანალიზის გარეშე შეუძლებელია თურქული რომანის გენეზისა და შემდგომი განვითარების კვლევა. ამ პროცესს სპეციფიკური ნიშნები გააჩნია. იკვეთება ორი საკითხი: 1. დასავლური მწერლობის გავლენის სპეციფიკაში, უფრო სწორად, დასავლური ლიტერატურის ათვისების თავისებურებებში გამოიხატება. ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც ლიტერატურის დაჩქარებული განვითარების კანონზომიერება; 2. „სერვეთი ფუნუნის“ მწერლობაში რომანტიზმისა და რეალიზმის ურთიერთმოქმედებაში ვლინდება. რა თქმა უნდა, განმსაზღვრელი, მთავარი რეალიზმის განვითარებაში თვით თურქული რეალობაა. ხოლო რომან-

ტიზმის ნიშნები და ნატურალიზმის გავლენა ამ პროცესის ნაციონალური სპეციფიკის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ (Ercilasun, 1981; Kavcar, 1985; Çıkla, 2004; Kolcu, 2005: 7; Айзенштейн, 1968: 9).

თუ ცალკეული პროზაული ჟანრების განვითარებას განვიხილავთ, შესაძლებელია მნიშვნელოვანი სპეციფიკის გამოვლენა: ლიტერატურის განვითარების ყოველ ეტაპს წარმართველი ჟანრი აქვს. მართალია, თანზიმათის წიაღში იზადება ყველა ძირითადი თანამედროვე ჟანრი, მაგრამ თავად თანზიმათის წამყვანი ჟანრი დრამაა. „სერვეთი ფუნუნის“ მწერლები ორიენტირებული არიან უკვე რაფინირებულ მკითხველზე, ამ პერიოდის წამყვანი ჟანრი რომანია, რომელიც ზოლას „ექსპერიმენტული რომანის“ ნიშნებს ატარებს.

ჰალიდ ზია უშაქლიგილი „სერვეთი ფუნუნის“ ლიტერატურული ჯგუფის ყველაზე დიდი პროზაიკოსია. ჰალიდ ზია სერვეთი ფუნუნელების წიაღში აღმოცენებული ახალი ლიტერატურული მოძრაობის – „ედებიათი ჯედიდეს“ (ახალი ლიტერატურა) წევრი გახდა. მისი ნაწარმოებები ჟურნალ „სერვეთი ფუნუნში“ იბეჭდებოდა „ცისფერისა და შავის“ და „აკრძალული სიყვარულის“ გამოქვეყნების შემდეგ იგი თურქეთში საქვეყნოდ ცნობილი მწერალი გახდა. ამ რომანებში ინდივიდის ეგზისტენციის საკითხები თურქეთის რეალიების კონტექსტში არის ასახული. უშაქლიგილი თურქულ მწერლობაში რეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად იქცა.

„სერვეთი ფუნუნის“ ცნობილი წარმომადგენელი მეჰმედ რაუფი იხსენებს, რომ ყმაწვილობისას ის უამრავ ფრანგულ რომანს კითხულობდა და დაღონებული იყო თურქული ლიტერატურის დაბალი დონით. მხოლოდ ჰალიდ ზიას „ნემიდეს“ (1889) წაკითხვის შემდეგ მან ლიტერატურის სრულიად ახალი სამყარო აღმოაჩინა. ის რომანში აღწერილმა ისტორიამ, სტილმა, სიუჟეტმა, მშვენიერმა ენამ მოხიბლა, მიხვდა, რომ მისი დამოკიდებულება თურქული რომანის მიმართ შეიცვალა (Rauf, 2008:13).

„სერვეთი ფუნუნის“ მწერლების ლიტერატურული პოეტიკა საუკუნის გასაყარზე ჩამოყალიბდა. მწერლები ცდილობდნენ შეექმნათ ახალი ტიპის რომანი, რომელიც თეორიულად ფრანგული რომანის პრინციპებს ეყრდნობოდა. ოსმალურ-ისლამური რეალიების სრული იგნორირების გამო ლიტერატურის კრიტიკოსები გმობდნენ მათ ელიტარულ ესთეტიზმს და დასავლური მწერლობის მიმბაძველობას. თუმცა, ამ მწერლებმა შექმნეს უნიკალური რეალისტური წერის მანერა. საკითხი იმის შესახებ თუ როგორი ეპისტემოლოგიური ცვლილებები მოხდა ამ მწერალთა აზროვნებაში, როგორ არის გამოკვეთილი აღმოსავლეთ-დასავლეთის დილემა ისეთ მწერალთან როგორც ჰალიდ ზიაა, უაღრესად რელევანტურია.

ოსმალურ ტრადიებზე აღზრდილი თანზიმათელების პირველი თაობა ევროპული კულტურისა ლიტერატურის პოპულარიზაციას ეწეოდა, ხოლო „სერვეთი ფუნუნის“ თაობა უკვე ევროპულ მწერლობაზე იყო აღზრდილი. ჰალიდ ზია წერდა: მეჰმედ რაუფი დივანის ლიტერატურაზე უკეთ იცნობდა და იწონებდა დასავლურ მწერლობას, მუსიკასა და მხატვრობას (Uşaklıgil, 2014: 668-679). ჰუსეინ ჯაჰიდ იალჩინიცი აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი გავლენა მასზე დასავლურმა, ფრანგულმა კულტურამ იქონია. შემსედინ სამი აცხადებდა: „ჩვენ ლიტერატურაში ვითარდება პროზა, ნოველის ჟანრები, დრამა და რომანი ისე როგორც ეს ევროპულ ლიტერატურაშია“ (Berkes, 2004: 381-382).

„სერვეთი ფუნუნის“ მწერლებს აღარ აინტერესებდათ პოლიტიკა, სამოქალაქო კარიერა. მწერლები სულთან აბდულ ჰამიდის დესპოტური რეჟიმის პირო-

ბებში ნაღვლიანად შესცქეროდნენ ევროპულ დემოკრატიას. თანზიმათელთა დიდაქტიზმის როგორც სოციალური აქტივობის ინსტრუმენტის გააზრება ჩანაცვლდა ადამიანის ქცევის ანალიზით, ფსიქიკის შეცნობით. როგორც აღან რობგრიე ამბობს: „რა აერთიანებდა ყოველთვის სხვადასხვა შემოქმედს, თუ არა მოძველებული, თავს მოხვეული ფორმების უარყოფა?! სტენდალმა, ტოლტოიმ და დოსტოევსკიმ ფსიქოლოგიური ანალიზის ფენომენი გამოკვეთეს. ამ დრომდე აზროვნების ფენომენს ლიტერატურა იაზრებდა როგორც ცნობიერების მიერ რეალობის ფაქტების რეგისტრაციას. აზრი სრულად შეესაბამება ფაქტს. მწერლებმა დაინახეს და გამოხატეს, რომ სულიერი სამყარო მდინარებაშია. აზროვნების აქტში მონაწილეობს ადამიანის მთელი გამოცდილება, მასში ჩართულია ახლანდელი, წარსული და მომავალი, ანუ, ფაქტის დამოშავება მთელი ცხოვრებისეული გამოცდილების ფონზე ხდება. ამას გარდა, აზროვნების აქტში მონაწილეობს არა მარტო გონების ანალიტიკურ-სინთეზური უნარი, არამედ მეხსიერება, წარმოსახვა და ფანტაზია. ჰალიდ ზიას მხატვრული გამოსახვის კონცეპტში შედიოდა გამოცდილების მთელი ინსტრუმენტები: ანალიზი, შედარება და სინთეზი (Uşaklıgil, 1998:100).

საკუთარი, ნაციონალური მწერლობის შექმნის მოთხოვნილება, ეპიგონიზმის შიში აერთიანებს სხვადასხვა ავტორს. „სერვეთის ფუნუნის“ მწერლებისთვის ეს მთავარ პრობლემად იქცა, ისინი შეეცადნენ ადამიანის ფსიქიკის შინაგანი კონფლიქტები სიღრმისეულად შეესწავლათ. დასავლეთი და აღმოსავლეთი მათ ნაშრომებში აზროვნების ორი პოლუსის სახით არის წარმოდგენილი. ერთი მხრივ, ეს არის იდეალური დასავლეთი, რომელიც ასხივებს შემოქმედებით ორიგინალობას და, მეორე მხრივ, ეჭვი, რომ მათი შემოქმედება დასავლეთის მომბაძველობის, ტრივიალური კოპირების დონეს ვერ გასცდება.

შესაძლოა, დასავლეთი იდეალიზაცია კულმინაციას „სერვეთი ფუნუნის“ პერიოდში აღწევს, რადგან რეფორმატორთა საოცნებო: Liberté, Égalité, Fraternité-ს ნაცვლად აბდულ ჰამიდის რეჟიმი სთავაზობდა კონსერვატიზმს, რომელიც ისლამურ-ოსმალურ ღირებულებებსა და მუსლიმთა ერთიანობის ტრადიციულ პოსტულატებს ეყრდნობოდა.

„სერვეთი ფუნუნის“ მწერლებისთვის სანიმუშო მხოლოდ დასავლური მწერლობა იყო, აღმოსავლური პოეტიკა მათ არაფერს სძენდა. ამ ესთეტიკის აქსიოლოგიურ სურათს ჰალიდ ზიას „ცისფერსა და შავში“ ვხედავთ. რომანის პროტაგონისტ აჰმედ ჯემილს სურს ორიგინალური ნაწარმოები შექმნას, მაგრამ აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიცია მის შემოქმედებით ინსპირაციას ბორკავს. ამიტომ მან უნდა წაიკითხოს „ნამდვილი“ ლიტერატურა და გაიაზროს მისი განვითარება. იგი „ლიტერატურის ისტორიის გენეალოგიას“ ხაზავს. იწყებს „ილიადით“ და „ოდისეით“, შემდეგ გადადის ბერძნულ და ლათინურ ლიტერატურაზე, შუა საუკუნეების ზოგიერთ ნაშრომზე და ამთავრებს გოეთეს, შილერის, მილტონის, ბაირონის, ჰიუგოს, მიუსეს, ლამარტინის, პარნასელთა, სიმბოლისტთა, დეკადენტთა ნაწარმოებებით. ამ „გენეოლოგიას“ ჰალიდ ზია რომანის ფურცლებზე ორჯერ წარმოადგენს (Uşaklıgil, 2001: 63; 174-175).

„სერვეთი ფუნუნის“ ლიტერატურის პროგრამული ესთეტიზმის წყალობით მწერალთა ნაწარმოებები აპოლიტიკურია და სამოქალაქო აქტივობის ნიშნებს არ ატარებს. ნაწარმოების ქსოვილში ჩართული სხვადასხვა სიმბოლო და ტროპი ფიგურალურად მეტყველებს ვესტერნიზაციის საკითხზე სხვადასხვა კუთხით. „აკრძალული სიყვარულის“ ერთ-ერთი პროტაგონისტი მადმუაზელ დე კურტონი (გუვერნანტი) ოცნებობს მოხვდეს მდიდარ ოჯახში, რათა პიერ ლოტის მიერ

აღწერილი აღმოსავლეთის ბრწყინვალეობა ნახოს, გაეცნოს ტრადიციებს. ოღონდ სახლი, სადაც ის ხვდება, ისეთივეა როგორც ფრანგი არისტოკრატებისა და მდიდარი პარიზელი ბურჟუების სახლები. გაცნობილი ქალი კითხულობს: საჰიჰ, დარწმუნებული ხარ, რომ თურქულ სახლში მომიყვანე? (Uşaklıgil, 2002: 86). მწერლის ირონიულ რემარკა იმაში მდგომარეობს, რომ მაღალი საზოგადოების ცხოვრების წესი, მათი ჩაცმულობა, ანტურაჟი არ განსხვავდება ევროპულისგან. რომანის თურქი პროტაგონისტებისთვის ეგზოტიკა უკვე შორეულ აღმოსავლეთშია. ნიჰალი იცვამს იაპონურ „სტილში“, თმებში ირჭობს ჩხირებს და ხელში მარაოს იჭერს. ბეჰლული იაპონიას „უცნაურ ქვეყანას“ ეძახის (Uşaklıgil, 2002: 261).

თანამედროვე თურქული რომანის ჩამოყალიბებაში ჰალიდ ზიას წვლილი განსაკუთრებულია. ჰალიდ ზიას ექსპერიმენტული ძიებებით დაიწყო ის ცვლილებები თურქულ მწერლობაში, რომელიც სრულიად განასხვავებს მას წინა თაობის მწერლებისაგან.

ჰალიდ ზიამ 80-იან წლებში გამოაქვეყნა ნაშრომი სახელად „მოთხრობა“, სადაც გამოკვეთა რეალისტური მეთოდის უპირატესობა რომანტიზმზე. ეს შრომა მნიშვნელოვანია იმით, რომ ჰალიდ ზია არ კმაყოფილდება მხოლოდ რომანტიზმისა და რეალიზმის წარმომადგენელთა სახელებისა და ნაწარმოებების დასახელებით. ის იკვლევს რეალისტურ ნაწარმოებებს, მის მიერ თარგმნილი და წარმოდგენილი ნაწყვეტები გვიჩვენებს, თუ რაოდენ განსხვავებულია რომანტიზმისგან თანამედროვე ევროპული მწერლობა. ის განიხილავს ფლობერის რეალიზმს და მის რომანებს, წარმომადგენს ნაწყვეტებს „მადამ ბოვარიდან“, იკვლევს ემილ ზოლას „ჟერმინალს“.

ჩვენ ვხედავთ, რომ უშაქლიგილი არის მწერალი, რომელიც ფიქრობს ლიტერატურაზე, რომანის შექმნისას იყენებს თეორიულ მიდგომებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი პირველი რომანი „საბრალო“ სამოყვარულო დონეზეა შექმნილი, ის რეალისტურ ჩარჩოში შექმნილი პირველი რომანიცაა. რომანში იგრძნობა კრიტიკული მიდგომა აჰმედ მიდჰადისა და ნამიქ ქემალის რომანტიკული რომანების დიდაქტიკურ აღმზრდელობით პოზიციების მიმართ.

ჰალიდ ზია უკვე ამ პირველი რომანით ეწინააღმდეგება და უარყოფს თანზიმათის მწერლობის პოზიციას აღზარდოს, დამოძღვროს მკითხველი, ჩაუტაროს მას ზნეობის გაკვეთილი. ჰალიდ ზიას გმირები არ განისჯებიან იმისათვის, რომ ამორალურები არიან საზოგადოების თვალში. მისი გმირები საზოგადოებრივი აზრის, მასში მიღებული კანონების საწინააღმდეგოდ იქცევიან, რისკის ქვეშ აყენებენ თავიანთ ცხოვრებას და მოქმედებენ საკუთარი სურვილების მიხედვით, დგანან საზოგადოების მოთხოვნებისა და ინდივიდუალური სურვილების გასაყარზე.

პირველი ოთხი რომანი, რომელიც მწერალმა იზმირში დაწერა („საბრალო“, „ნემიდე“, „მკვდრის რვეული“, „ფერდი და კომპანია“) უმთავრესად რეალისტური ნაწარმოებებია. მიუხედავად იმისა, რომ ამ რომანებში გვხვდება მთხრობელი, რომელიც გარკვეულად განსჯის გმირებს და თავის შეხედულებებს დროდადრო გადმოგვცემს, ჰალიდ ზიას თხრობის მანერა თანდათან უმჯობესდება.

უშაქლიგილის მომდევნო რომანში „ცისფერი და შავი“ (ან „ლურჯი და შავი“, რადგან თურქულ ენაში „mavi“ ცისფერისა და ლურჯის გაგებას მოიცავს) მთხრობელი გადმოგვცემს რომანტიკული პოეტის ცხოვრებას მთლიანად პროტაგონისტის პოზიციებიდან. აქ უკვე მთხრობელი საშუალებას აძლევს მკითხველს ჩაიხედოს პროტაგონისტის შინაგანი ცხოვრების სიღმეში. „ცისფერი და შავი“ არის პირველი რეალისტური რომანის წარმატებული ნიმუში, სადაც მთხრობელი

უკანა პლანზეა და დეტალურად გადმოგვცემს გმირის შინაგან მდგომარეობას. ნარატორი ჰეტეროდირექტურია. „აკრძალული სიყვარულით“ და „დანგრეული ცხოვრებებით“ მწერალი უკვე სიმწიფეს აღწევს. რა თქმა უნდა, რეალისტური ხედვა არ არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ უშაქლიგილი თურქული მწერლობის მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა.

სხვა მიზეზი, რომლითაც უშაქლიგილი თანამედროვე რომანის ჩამომყალიბებელია არის ის, რომ მწერალი ინდივიდის ტიპიზაცია ეწევა. ბერნა მორანის აზრით, ჰალიდ ზია უშაქლიგილი დრამატული რომანის განმავითარებელია (Moran, 2002: 327). ის პრაქტიკულად პირველი თურქი მწერალია, რომელმაც დასავლური რომანის ესთეტიკა სიღრმისეულად შეისწავლა, გამოყო ინდივიდი და პირველმა გაამდიდრა რომანი ფსიქოლოგიური სიღრმით (Nevin, 2004: 180-181). ყველა მის რომანში დეკადენტიზმის კვალი და ტიპიზაციის უნარი გამოსჭვივის (Parla, 2012: 75-78). ამას გარდა, იგი ქრისტიანულ ელემენტებს „უცხო“ მტრულ კონტექსტში არ განიხილავს და თავის ნაწარმოებებში რელიგიას დიდ ადგილს არ უთმობს (Millas, 200: 19-24). მართალია, მის რომანებში ოსმალური ენის მაღალფარდოვანი სტილი გვხვდება, ის ენის გასადავების მოძრაობის მონაწილე და მომხრე იყო (Belge, 2009: 19).

თავის რომანებში მწერალი აღწერს პროტაგონისტებს, რომლებსაც საკუთარი სურვილები აქვთ და თავიანთი ინტენციების მიხედვით მოქმედებენ. მწერალი მიჰყვება მისი საყვარელი მწერლების: ფლობერის, სტენდალისა და ბალზაკის მეთოდს, ამავე დროს იგი თურქული საზოგადოებისთვის ბუნებრივ გმირებს ხატავს. მისი მგრძობიარე გმირები არიან ის თურქები, რომლებიც XIX საუკუნის დასასრულის ოსმალეთის იმპერიის თურქებს წარმოადგენენ. თუმცა, ნ. ბაქირჯიოღლუს აზრით, „ცისფერისა და შავის“ პროტაგონისტები ადგილობრივი და ნაციონალური არ არის (Bakırcıoğlu, 2004: 63). ამ რომანში სასიყვარულო ურთიერთობები სიყვარულის იდეალისტურ ინსტიტუტს ეყრდნობა, მაგრამ ცხოვრების რეალური სურათის შექმნისას სოციალური ფსიქოლოგიაც იგნორირებული არ არის (Kolcu, 2002: 102), ეს ნაწარმოები ყურადღებას კიდევ იმითაც იპრობს, რომ ის მრავალშრიანია.

„სერვეთი ფუნუნის“ წევრები ეკლექტურად იყენებდნენ რომანტიკულ და რეალისტურ ელემენტებს, რომელსაც XIX საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში გაეცნენ. თურქი ავტორების მოწაფეობა დასრულდა მაშინ, როდესაც ჰალიდ ზია უშაქლიგილმა გამოაქვეყნა თავისი რომანი „ცისფერი და შავი“ ყურნალ „სერვეთი ფუნუნის“ ფურცლებზე 1896 წელს და შეიძლება განხილულ იქნას როგორც ზღვარი, საიდანაც თანამედროვე ლიტერატურა იწყება.

„ცისფერსა და შავს“ საფუძვლად უდევს თემა წარმოსახულის და რეალურის შეპირისპირების და შეუთავსებლობისა ოსმალეთის სინამდვილეში. რომანის მხატვრული პალიტრა უაღრესად სახვითია, ეფუძნება „სერვეთი ფუნუნის“ ჯგუფის მიერ აღიარებული მხატვრული ხედვის ფერწერულობის იდეოლოგიას. ის თურქული რომანის განვითარებაში გარდამტეხ მოვლენად იქცა. ნაწარმოებში ახალგაზრდა პოეტის ამაღლებული, რომანტიკული განცდები სიმბოლურად ცისფერი ფერით არის წარმოდგენილი. ტრაგიკული მოვლენები შავბნელ უიმედობაშია გამოხატული, ეს დამანგრეველი მდგომარეობა გამოხატულია შავი ფერით. რომანს გააჩნია თანმიმდევრული თხრობითი სტრუქტურა და სიუჟეტი, უნდა ითქვას, რომ ეს არის რომანი ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. მასში მოჩანს ენის ფლობის განსაკუთრებული უნარი. მწერალმა ჩამოაყალიბა თანამედროვე პროზის მახასიათებლები. ჰალიდ ზია ამას აღწევს თავისი ინდივიდუალუ-

რი სტილით და სიმბოლოთა თხრობის სისტემაში განფენით. ეს არის პირველი ნიმუში იმისა, რომ ფრანგული რომანის უხეში მიმბაძველობიდან გამოვიდა თურქული მწერალობა და, ამ თვალსაზრისით, „ცისფერი და შავი“ ნამდვილად არის პირველი თურქული რომანი. მას აქვს ორიგინალური სიუჟეტი, რომელიც არ არის ნასესხები ფრანგული რომანიდან.

მართალია, სტილი თანმიმდევრულია, რომანში დიგლოსიაა გამოყენებული, მთხრობელის ენა განსხვავდება იმ ენისგან, რომელიც გამოყენებულია გმირის სიზმარ-ზმანებათა გადმოცემისას. ბილინგვიზმი სიუჟეტს არ ზღუდავს, პირიქით, ხაზს უსვამს რომანის სტილისტურ ფარდობითობას. ჰალით ზიას პოეტიკა ფრანგული მწერლობის ტრადიციებს ემყარება, გამოკვეთილად მოჩანს ფლობერის, ბალზაკისა და სტენდალის მხატვრული აზროვნების გავლენა მწერალზე. რობერტ ფინი „ცისფერსა და შავის“ მხატვრული სტრუქტურის მსგავსებას ბალზაკის „დაკარგულ ოცნებებთან“ ხედავს (Finn, 2003: 151).

რომანს არ გააჩნია სწორხაზოვნება და მუდმივობა, მოქმედება წარმოებს *in medias res*, ანუ თხრობა ექსპოზიციის გარეშე მიმდინარეობს, ფლეშბექით ხდება ადრეული მოვლენების ჩვენება. ანალებსის უძველესი დროიდან იყენებდნენ მწერლები, საკმარისია გავიხსენოთ ჰომეროსის „ოდისეა“; რომელიც ოდისეის მოგზაურობის ბოლო ეტაპიდან იწყება. ჰალიდ ზია თხრობაში დრამატული დაძაბულობის შექმნისათვის მოხერხებულად მოძრაობს წინ და უკან დროში, ტოვებს შუალედებს, ამით ერთგვარად ბორკავს და დაძაბულობაში ამყოფებს მკითხველს. ჰალიდ ზია იყო პირველი თურქი ავტორი, რომელმაც გამოიყენა თურქული მწერლობისთვის უცხო, თხრობის არაქრონოლოგიური მეთოდი. ეს მისი ოსტატობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია.

„ცისფერსა და შავში“ შეიძლება მწერლის პირადი ცხოვრებისა და სტამბოლის ლიტერატურული წრეების ცხოვრების დანახვა. რომანში ტრადიციული ოსმალური ღირებულებებისა და დასავლური ესთეტიკის შეჯახების ატმოსფეროა დახატული. ძველთან ბრძოლაში ახალი მარცხდება. ყოველ შემთხვევაში, რომანის გმირი „ბნელის“ წარმომადგენლებთან უთანასწორო ბრძოლას აგებს. დისკურსი ამ საკითხებში გვარწმუნებს, რომ მწერლის პესიმიზმი განპირობებულია ქვეყანაში არსებული ვითარებით და იმ პერიოდის დასავლური დეკადენტური ესთეტიზმით.

ჰალიდ ზიას რომანი „აკრძალული სიყვარული“ კიდევ ერთი ეტაპია თურქულ მწერლობაში. მწერალი ფართოდ იყენებს რეალიზმის ინსტრუმენტებს, ისეთს როგორცაა შთამომავლობითობა და დეტერმინიზმი, ასევე თვალში საცემია რომანისტიკის დაკვირვებების უნიკალობა და აღწერის დაწვრილებითობა. ჰალით ზია თავის თხრობაში აქსოვს რომანტიზმის მგრძობელობას რეალიზმისთვის ნიშანდობლივ ზედმიწევნით გააზრებულ პოზიციასთან. მწერალი მგრძობიარე, ინტროსპექტულ პერსონაჟებს ქმნის და ძალზე დაბალანსებულად.

„აკრძალული სიყვარული“ ინდივიდებს შორის გრძობითი კავშირების დამუშავების თვალსაზრისით დრამატული რომანია. ადამიანთა კარგი და ცუდი მხარეების ჩვენების თვალსაზრისით კლასიკურ რეალისტურ რომანად შეიძლება შეფასდეს. მთხრობელი-მწერალი ნაწარმოებში ყველაფრის მცოდნე და ყველაფრის მხილველია. მან იცის რაზე ფიქრობენ გულში პერსონაჟები. აქედან გამომდინარე, ნაწარმოებში ის დომინირებულ, ჰეგემონურ თვალთახედვას აყალიბებს. რომანებში ჰალიდ ზია ორი ტიპის თხრობის ტექნიკას იყენებს. ის დროდადრო გმირის ქვეცნობიერში შედის და აღწერს. მეორე მხრივ, სოციალურ კრიტიკას და სატირას ვაწყდებით.

რომანის საკვანძო საკითხი ინდივიდის თავისუფლების პრობლემა ხდება. კონსერვატული საზოგადოებრივი მოდელის დარღვევის პრობლემა ფლობერის „მადამ ბოვარისა“ და ტოლტოის „ანა კარენინაში“ ბრწყინვალედ არის დამუშავებული, როგორც ჩანს, ჰალიდ ზიამაც გვერდი ვერ აუქცია ამ თემას. თხრობა მყარი და წარმატებულია, ყველა მოვლენა ერთ შედეგთან კავშირში ვითარდება, ყალიბდება მოვლენათა ჩაკეტილი კვანძი. საერთოდ, ჰალიდ ზიას რომანების პროტაგონისტების მამოძრავებელი ძლიერი, მწველი სურვილებია. სურვილის, ნდომის ეს მოტივი მეორდება ყველა რომანში და ის მისი რომანების წარმართველი თემა ხდება. ამ ხედვით, ყველა მისი პროტაგონისტი ერთ ყალიბში ექცევა. სასიყვარულო სამკუთხედებში მოხვედრილი პროტაგონისტები თავს იკლავენ, ან სრულ პესიმიზმში ვარდებიან. სამკუთხედის მოდელი ორიგენაირია: ორი ქალი ერთი კაცი, ან ორი კაცი ერთი ქალი.

ჰალიდ ზიას რომანები ტექნიკური თვალსაზრისით ძლიერი და უნაკლოა. მისი პიროვნული პოზიციები რომანებსა და მოთხრობებში დაფარულია. რეალიზმის პრინციპები წარმატებულად აქვს გამოყენებული. გმირების შინაგანი სამყაროს გადმოცემისას მაქსიმალურად ობიექტურია. მისი გმირები აღზრდისა და გარემოცვის მიხედვით საუბრობენ. მუდმივი წუწუნი, პესიმიზმი, იმედგაცრუება, ბედნიერების ძიება და ვერმოპოვება მისი რომანების მთავარი თემაა.

ჰალიდ ზია „სერვეთი ფუნუნის“ ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე კულტურული მწერალია. ჰალიდ ზიამ გამოაქვეყნა ფრანგული, ბერძნული და ლათინური ლიტერატურის ისტორია. მას აქვს ესეები ენაზე, ლიტერატურაზე, გრამატიკაზე, მუსიკასა და მხატვრობაზე. მისთვის მწერლობა არის გამოცდილება, რომელიც ხელოვნების სხვა ფორმებთან სინთეზში არსებობს. ეს ესეები მან „ხელოვნების შესახებ“ თეორიულ ნაშრომში გამოაქვეყნა. მან იცოდა ფრანგული, ინგლისური, გერმანული, იტალიური, სპარსული და არაბული ენები. მან პირველმა თურქულ მწერლობაში პროზაული ლექსები შექმნა.

## **HALID ZIYA UŞAKLIGIL: THE CREATIVE AXIOLOGY**

Halid Ziya Uşaklıgil (1866-1945 ) is one of the most prominent representatives of the renovation movement in Turkish literature, which started in the 1860s. Because of his two vocations as a literature teacher and a writer, he has been one of the guiding lights of Turkish literature. He wrote poems, dramas and novels, dealt extensively with European literary theories and was one of the most influential, authoritative writers of his time.

Tanzimat literary pieces mark the beginning of modern Turkish literature. Its rapid progress is associated with the Western literary movements and influences. Tanzimat literature highlights the key characteristic of modern Turkish literature: employment of various techniques in the works of the same writer. From the late 19 century, the Turkish writers turned their attention to various genres of modern novel, the first instances of which appeared in 1875-1900. The distinguishing characteristic of the era in literature was the concern with intellectual content rather than esthetic values or perfection of style.

Major changes in the Turkish literature occurred in the late 1880s, the 2-stage Tanzimat period. In the satirical novel by Rezaizade Mahmud Ekrem "The Love of Carriages" (1896), we witness a textual relativization of the Western and eastern axiological systems expressed in the protagonist's inability to understand either the Western texts or the ones in the native language, for that matter. The main character of the satirical novel depicting the breakdown of the two semiotic-cultural systems finds himself in a kind of a post-modern situation: he reads all the time, but understands neither French nor Ottoman texts. As if ivory-towered, (and influenced by the French Romantic literature), he views a whore as the most refined creature. Here, the deconstruction of the East-West esthetic dichotomy of the Tanzimat period shifts to a different dimension.

The next generation writers, Halid Ziya Uşaklıgil among them, known in the history of the Turkish literature as Servet-i Fünun ("the Wealth of Knowledge") carried on the literary quest of their predecessors. What they all had in common was the fear of feeble imitation and, therefore, aspiration for the unique national literature.

Servet-i Fünun tried to delve into the conflict-torn human psyche. In their works, the West and the East are portrayed as the two poles: the ideal West radiating creative originality and their apprehension that their literary creations may be nothing short of trivial imitations. It was in the Servet-i Fünun period that the idealization of the West hit the climax. Instead of the reformer's aspired *liberté, fraternité, égalité*, the conservative governance restored during the rule of Sultan Abdul Hamid relied on the traditional Islamic - Ottoman values and the Muslim unity.

The Tanzimat and Servet-i Fünun groups who came together to create a modern Turkish literature made great strides towards this aim, but their works stopped short of being a national literature with distinctive characteristics. In spirit, it was French-oriented, in language and style it was traditional and Ottoman.



Halid Ziya Uşaklıgil is the most notable of the Servet-i Fünün group of writers. He became the leader of Edebiyat-i Cedide, (New Literature) the literary movement originating from Servet-i Fünün, with his works published in the literary magazine of the same name. In Turkey he made his name by the novels "The Blue and the Black", "The Forbidden Love" and "Broken Lives" depicting the life of an individual set in the context of Turkey of the time. We believe it is relevant to discuss the epistemological shift in the writer's thinking and the way he depicts the East-West dichotomy.

Preoccupied with the Western literature, the Servet-i Fünün writers cared but little about the oriental poetics and in terms of axiology, that's what we see in "The Blue and the Black" by Halid Ziya Uşaklıgil. Ahmed Cemil, the protagonist of the novel wishes to create an original literary piece but the oriental literary tradition stands in his way. Therefore, he must read the "genuine" literature and think over the way it evolved. Beginning with Odyssey and the Iliad, then on to the ancient Greek and Latin literature, some of the medieval literary works and finally the European writers of XIX c., he draws the genealogical tree of the Western literature presented twice in the novel.

Halid Ziya Uşaklıgil's contribution to the formation of the modern Turkish novel is special indeed, for it was his literary experiments that triggered changes in the Turkish literature, which make him so different from the previous generation novelists. In the 1880s, Halid Ziya Uşaklıgil published the essay entitled "The Story" in which he asserted advantages of Realism to Romanticism. In it, he gives an in-depth analysis of the characteristically realistic works. His translation of passages from them highlights a radical difference between the romantic and modern European literature. Discussing Flaubert's realism, Halid Ziya gives citations from "Madame Bovary" and, also, delves into "Germinal" by E. Zola.

Halid Ziya Uşaklıgil thought a lot about the theoretical aspect of literature, namely the novel. Although somewhat amateurish, his first novel "The Broken Lives" built on the realistic frame reveals the author's criticism of the romantic novels by Ahmed Midhad and Namik Kemal, their didactic approach to the readers. In his very first novel Halid Ziya Uşaklıgil rejected the Tanzimat writer's stance of lecturing, upbringing the readers, giving them a lesson of the right and wrong. Halid Ziya Uşaklıgil's characters are not admonished for being immoral in the public eye; risking ruining their lives, they challenge the public opinion and are balancing between the social requirements and individual desires.

The first four novels Halid Ziya Uşaklıgil wrote in Izmir: "The Miserable Woman", "Nemide", "The Deadman's Notebook" and "Ferdî & Co" are predominantly realistic. Although, the narrator sounds somewhat critical of the protagonists and expounds his views, the author's style gradually improves and in his next novel "The Blue and The Black" he portrays the romantic poet's life from the protagonist's standpoint solely and allows the reader to look into his inner self. "The Blue and The Black" is the first instance of a successful realistic novel in which detailing the protagonist's state of mind, the narrator, who is heterodiegetic, keeps a low profile. In "The Miserable Woman" and "Forbidden Love" Halid Ziya Uşaklıgil is definitely amateur writer. Understandingly, his realism was not the only reason that made him a notable figure in the Turkish literature.

Another reason as to why Halid Ziya Uşaklıgil is regarded the initiator of the modern novel is typing of an individual. Uşaklıgil developed a dramatic novel and was virtually the first Turkish writer to investigate the esthetics of the Western novel, single out an individual and enrich the literature with psychological elements. In all his novels decadence is traceable and they all reveal his typing

skills. The Servet-i Fünün writers' employment of the romantic and realistic elements they became familiar with in the works of the 19 c. French authors is somewhat eclectic. Meanwhile, publication in the Servet-i Fünün literary magazine of "The Blue and the Black" by Halid Ziya Uşaklıgil in 1896 marked the end of their apprenticeship and heralded the birth of the modern Turkish literature.

"The Blue and the Black" is based on the dichotomy and incompatibility of the imaginary and the real in the Ottoman world. The novel, which stands out for its artistry is a landmark in terms of the evolution of that genre in Turkey. The mood of a young poet is symbolized by blue. However, as a result of the tragic events, he is overwhelmed by the pitch darkness of despair symbolized by black. The structure and the plot of "The Blue and the Black" are consequential and that's what makes it a novel in the truest sense of the word. Owing to the style of his own and a pattern of symbols, the writer introduced the characteristics of the modern prose. This is a clear evidence of the liberation of the Turkish literature from sheer mimicry of the French novelists and in this sense the book is truly the first Turkish novel.

For all his consequential style, Halid Ziya Uşaklıgil employs diglossia: the narrator's language differs from the one used to portray the character's dreams and visions. However, instead of constraining the plot, the bilingualism emphasizes stylistic relativity of the novel. Halid Ziya Uşaklıgil's poetics originates from the French literary tradition and reveals the influence of Flaubert, Balzac and Stendhal. There is no linearity or permanency about the novel, the narrative has no exposition either. The past events are shown by flashback. In order to make the narrative more dramatic Halid Ziya Uşaklıgil employed analepsis and was the first Turkish writer to disregard chronology, just another evidence of his skills.

In "The Blue and the Black" we may discern the writer's private life and that of the Istanbul's literary circles. The novel depicts a clash between the traditional Ottoman values and the Western esthetics and the defeat of the latter. The protagonist is beaten by "the dark forces". The discourse makes it clear that it is the situation in the country and decadence of the Western esthetics that make the writer so pessimistic.

Halid Ziya Uşaklıgil's "Forbidden Love" is another landmark of the Turkish literature. Apart from the widely employed tools of Realism, such as the heredity and determinism, unique observations and detailed descriptions are noticeable. Halid Ziya Uşaklıgil combines romantic sensibility with a characteristically realistic, well thought out stance. In terms of dealing with connections between individuals, "Forbidden Love" is a dramatic novel and given the way the good and bad traits of people are shown, it may be considered a classical realistic novel. The narrator-writer has witnessed everything he relates about. He even knows what the characters think and, therefore, his views dominate. In his novels, Halid Ziya employs two types of the narrative: on the one hand, he occasionally penetrates into the protagonist's subconscious and on the other, sounds critical and vitriolic of the state of affairs.

The disintegration of the conservative social model brilliantly portrayed in Madame Bovary by G. Flaubert and L. Tolstoy's Anna Karenina, as well as freedom of the individual is the cardinal problem of Halid Ziya Uşaklıgil's novel, too. The narrative is sustainable and profound; all the developments are associated with the only consequence creating a kind of a catch twenty-two situation. All in all, the protagonists of Halid Ziya Uşaklıgil's novels are driven by the strong desire recurrent in all his writings. Caught up in a love triangle of two women and a man or two men and a woman, they either commit a suicide or fall into despair.

In terms of the techniques, Halid Ziya Uşaklıgil 's novels are immaculate. Both in the novels and stories, his personal stance is unrevealed. Being true to the principles of Realism, he accurately describes the inner selves of the characters, whose speech is determined by their upbringing and the social environment. Complaints, pessimism, disappointment, the quest and inability to find happiness form the leitmotif.

Halid Ziya Uşaklıgil, the most sophisticated of the Servet-i Fünun writers published the history of the French, Greek and Latin literature. His theoretical collection contains essays on the language, literature, grammar, music and art. To him writing was the experience existing in combination with the other arts. He mastered French, English, German, Italian, Persian and Arabic languages and was the first to introduce the blank verse.

### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. Dino, G. *Türk Romanın Doğuşu*. İstanbul: Agora Kitaplığı, 2008
2. Özön, M. N. *Son Asır Türk Edebiyatı Tarihi*. İstanbul: Maarif Matbatbaası, 1941
3. Kaplan, M. *Namık Kemal. Hayatı, Sanatı, Eserleri*. İstanbul: İbrahim Horoz Basımevi, 1948.
4. Dino, G. *Tanzimattan Sonra Edebiyatta Gerçekçiliğe Doğru*. Ankara: Türk Tarih Kurumu, 1955
5. *Sami Paşazade Sezaî'nin Hikâye - Hâtıra - Mektup ve Edebî Makaleleri*. Zeynep Kerman (ed.). İstanbul: İstanbul: Üniversitesi Edebiyat Fakültesi, 1981
6. Okay, O. Beşir Fuad. *İlk Türk Pozitivist ve Naturalisti*. İstanbul: Hareket, 1969.
7. ჯაველიძე, ე. „რეჯაიზადე ექრემის სპეციფიკურობის საკითხი.“ *თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება*, 2013
8. ჯაველიძე, ე. „რეჯაიზადე ექრემის რომანის ზოგიერთი თავისებურება.“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VIII*, 2014
9. Ercilasun, B. *Servet-i Fünunda Edebî Tenkit*. Ankara: Kültür Bakanlığı, 1981
10. Kavcar, C. *Batılılaşma Açısından Servet-i Fünun Romanı*. Ankara: Kültür ve Turizm Bakanlığı, 1985
11. Çıkla, S. *Kültür Değişmeleri ve Servet-i Fünun Romanı*. Ankara: Akçağ, 2004
12. Kolcu, A. İ. *Servet-i Fünun Edebiyatı*. Ankara: Salkımsöğüt, 2005
13. Айзенштейн, Н. А. *Из истории турецкого реализма*. Москва: Наука, 1968
14. Rauf, M. *Edebî Hatıralar*. İstanbul, Kitabevi, 2008
15. Uşaklıgil, H. Z. *Sanata Dair*. Ankara, Özgür, 2014
16. Berkes, N. *Türkiye'de Çağdaşlaşma*. İstanbul: Yapı Kredi, 2004
17. Uşaklıgil, H. Z. *Hikâye*. İstanbul: Yapı Kredi, 1998
18. Uşaklıgil, H. Z. *Mai ve Siyah*. İstanbul: Özgür, 2001
19. Uşaklıgil, H. Z. *Aşk-ı Memnu*. İstanbul: Özgür, 2002
20. Moran, B. *Türk Romanına Eleştirel Bir Bakış I*. İstanbul: İletişim Yayınları, 2002
21. Nevin, A. Q. *Türk Romanının Kökenleri ve Gelişimi*. İstanbul: Agorakitaplığı, 2004
22. Parla, J. *Türk Romanında Yazar ve Başkalaşım*. İstanbul: İletişim Yayınları, 2012

23. Millas, H. *Türk Romanı ve "Öteki" Ulusal Kimlikte Yunan İmaji*. İstanbul: Sabancı Üniversitesi, 2000
24. Belge, M. *Sanat ve Edebiyatı Yazıları*. İstanbul: İletişim Yayınları, 2009
25. Bakırcıoğlu, N. Z. *Başlangıçından Günümüze Türk Romanı*. İstanbul: Ötüken Yayınları, 2004
26. Kolcu, A. İ. *Servet-i Fünun Edebiyatı*. Erzurum: Salkımsöğüt Yayınları, 2005
27. Finn. R.P. *Türk Romanının İlk Dönem 1872-1900*. İstanbul: Agorakitaphı, 2003

**დავით თინიკაშვილი**

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**აპოკატასტასისი: აღმოსავლელი მამები ყველა დაცემულის  
ღმერთთან დაბრუნების შესახებ**

*„მანკიერებათაგან განწმენდილთ აღარ სჭირდებათ სხვაგვარი განწმენდა;  
ხოლო ამ განწმენდით განუწმენდელნი უთუოდ განიწმინდებიან ცეცხლით.“*

წმინდა გრიგოლ ნოსელი<sup>1</sup>

*„როცა სული მოსვენებას ვერ ჰპოვებს ყველა ეონის გავლის შემდეგ,  
ის დაუბრუნდება ღმერთს, რომელიც უსასრულოა. და ამგვარად... სული  
აღიდგენს თვისებებს და დასაბამებრივ სტატუსში აპოკატასტასირდება“*

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი<sup>2</sup>

*„შესაძლოა, ისინი იქ ცეცხლით მოინათლონ — ამ უკანასკნელი  
ნათლობით, რომელიც ყველაზე მტკივნეულია და ხანგრძლივი.“*

წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი<sup>3</sup>

*„გვენა აუტანელია, თუნდაც რომ მის ხანგრძლივობას  
საზღვარი ჰქონდეს: ვინ გაუძლებს მას?“*

წმინდა ისააკ ასური<sup>4</sup>

სწავლება ყველა ადამიანის სულიერი ხსნის შესახებ ეკლესიას არასოდეს დაუგმია. არ არსებობს საეკლესიო კრება, რომელმაც აპოკატასტასისი მიუღებულად, ერეტიკულად მიიჩნია. ეკლესიურმა ცნობიერებამ, გონივრული მიზეზით, ეს მოძღვრება არც უარყო და არც დაამტკიცა საყოველთაო სავალდებულო სწავლებად ანუ დოგმატად. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ აღმოსავლურ და დასავლურ საქრისტიანოში არსებობდნენ ეკლესიის დიდი მამები, რომლებიც საკმაოდ ნათლად მსჯელობდნენ ყველა რაციონალური ქმნილების (ადამიანები, დე-

1 გრიგოლ ნოსელი. დიდი კატექეტიური სიტყვა, თავი 35.9, იხ.: კოჭლამაზაშვილი, ექვთიმე. „წმ. გრიგოლ ნოსელის 'დიდი კატექეტიური სიტყვა' და მისი ძველი ქართული თარგმანი“, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი №1, 2008, 68.

2 Quaestiones et dubia, 19, ციტირ.: Ramelli, Apokatastasis, 743-4. მაქსიმეს ამ ნაშრომის კრიტიკულად დადგენილი ბერძნული ტექსტიდან აღნიშნული პასაჟი იხ.: Declerck, José. *Maximi Confessoris Quaestiones et Dubia*, CCG 10. Turnhout, 1982, 18.

3 Григорий Богослов. Слово 39-е, *Собрание Творений в двух томах*. Том 1. М., Свято-Троицкая Сергиева лавра, 1994, 543.

4 Isaac of Nineveh (Isaac the Syrian). *The Second Part*, Chapters 4-41. (Chapter 40.7). Translated by Sebastian Brock. Lovanii: Peeters 1995, 176.

მონები) ღმერთთან საბოლოო ერთობის შესაძლებლობის შესახებ, ცხადია, მათი თავისუფალი ნების მოქმედების გათვალისწინებით.

აპოკატასტასისი (ბერძნ. ἀποκατάστασις, „აღდგენა“, „დაბრუნება“) საყოველთაო აღდგენის შესახებ რელიგიურ მოძღვრებას ეწოდება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც თეოდიციის<sup>5</sup> სახელითაა ცნობილი. ვფიქრობ, ეს ორი თემა ყოველთვის ერთმანეთთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, რადგან, მხოლოდ ამის შემდეგაა უფრო გასაგები ღვთის მიერ სამყაროს იმგვარად შექმნა, რაგვარადაც ახლა ვხედავთ.

ქრისტიანული ეკლესიის ყველა წევრი, — თეოლოგი იქნება ის, თუ რიგითი მორწმუნე, — როდი თვლის, რომ საყოველთაო აპოკატასტასისის შესახებ მოძღვრება ქრისტიანული<sup>6</sup> თეოლოგიის ლეგიტიმური ნაწილია<sup>7</sup>. ამ დოქტრინის კრიტიკოსები ხშირად ახსენებენ მეხუთე მსოფლიო კრებას (იგივე 553 წლის კონსტანტინეპოლის მეორე კრება), რომელზეც თითქოს დაიგმო აპოკატასტასისი. აღნიშნული კრების სახელით ცნობილია თხუთმეტი ანათემატიზმი. პირველი მათგანი გვაუწყებს: „ვინც სულთა წინარე არსებობასა და ამასთან კავშირში მყოფ აპოკატასტასისს აღიარებს, დაე, ანათემა მას“<sup>8</sup>.

ეს კანონი არ ირიცხება მეხუთე მსოფლიო კრების იმ 14 ანათემას შორის, რომლებიც შესულია მსოფლიო კრებათა კანონების სამეცნიერო კრებულებში. იხ., მაგ., დენზინგერის, ალბერიგოს და სხვა გამოცემები. ამას თავისი მიზეზი აქვს: ისტორიულად ვერ დასტურდება, რომ ეს კონკრეტული ანათემა მეხუთე მსოფლიო კრების ოფიციალურ გადაწყვეტილებებს შორის ირიცხებოდა. ვარაუდობენ, რომ ანტიორიგენისტული ანათემები მოგვიანებით დაუმატეს დანართის სახით „სამ თავთან“ დაკავშირებულ ანათემებს, რომელთა შემუშავებაც მეხუთე მსოფლიო კრების მოწვევის მთავარი მიზანი იყო. შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ 553 წლის კრებამ საიქიო ტანჯვის დროებითობის იდეა დაგმო. უფრო მეტიც, თუნდაც რომ ვინმემ შეუძლებელი შეძლოს და დამტკიცოს ამ ანათემატიზმის მეხუთე მსოფლიო კრებისადმი კუთვნილება, ამ შემთხვევაშიც კი შეიძლებოდა იმის თქმა, რომ აღნიშნულ კრებას არ გააჩნდა საერთო საქრისტიანო ანუ ე.წ. „მსოფლიო“ კრების სტატუსი, რადგან მას თითქმის არ

5 თინიკაშვილი, დავით. „თეოდიცია: ტანჯვის პრობლემა ქრისტიანულ თეოლოგიაში“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტომი IX, 2016, 122-150.

6 სხვათა შორის, ჯოჯოხეთის არამარადიულობის შესახებ იუდაიზმიც საუბრობს. ქართულ ენაზე იხ. მაგ., სტატია: კიკნაძე, ზურაბ. „იუდაიზმი“, ჟურნ. „სოლიდარობა“ №2, 2006, 39.

7 Louth, Andrew. „Eastern Orthodox Eschatology“, in: The Oxford Handbook of Eschatology. Edited by Jerry Walls. Oxford: OUP 2007, 246.

8 Second Council of Constantinople, Session I – Extracts from the Acts, The Anathemas Against Origen. Translated by Henry Percival. From Nicene and Post-Nicene Fathers, Second Series, Vol. 14. Edited by Philip Schaff and Henry Wace. Buffalo, NY: Christian Literature Publishing Co., 1900. Revised and edited for New Advent by Kevin Knight, <http://www.newadvent.org/fathers/3812.htm> წვდომა 24.09.2018. ძველ ქართულ ენაზე შესაბამისი განჩინება იხ., „კანონი კონსტანტინეპოლის გუმბადას შინა სამეფულისა პალატისასა შეკრებილთა წმიდათა მამათანი“, კანონი №1, დიდი სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ. თბ., 1975, 370. ექვთიმე ათონელი აკრძალული წიგნების სიაში ორიგენეს ნაწერებსაც ასახელებს: „ორიგენეს მწვალებელსა მრავალი წიგნი დაეწერა და არა შეიწყნარებს ეკლესიაი“ (წიგნი, რომელი მოწერა დიდმან ეფთვიმე დიდსა ბერსა გიორგის (1005-1019 წწ.), ქართული სამართლის ძეგლები. ტომი 3: საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები, XI-XIXსს. თბ., მეცნიერება 1970, 5).

ესწრებოდნენ დასავლეთის ეკლესიის წარმომადგენლები. პაპმა ვიგილიუსმა კი შეგნებულად თქვა უარი ამ კრების აღიარებაზე, რის გამოც ის ბიზანტიის იმპერატორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი შეიქნა<sup>9</sup>: გადაასახლა და შემდეგ მუქარით დაითანხმა კრების განჩინებების აღიარებაზე.

ზოგადად, ამ კრებასთან დაკავშირებული ცნობები და წყაროები ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია. კრების აქტების თავდაპირველი ბერძნული ორიგინალი დაკარგულია. არსებობს მხოლოდ ლათინური თარგმანები, რომლებიც არაა ერთგვაროვანი. ამას გარდა, მეექვსე მსოფლიო კრებამ (680წ.) დაადასტურა, რომ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში შენახული დადგენილებები მეხუთე მსოფ. კრებისა დამახინჯებულია.<sup>10</sup>

### **ორიგენე, ორიგენიზმი და გრიგოლ ნოსელის აპოკატასტასისი**

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ხსენებული აპოკატასტასისი დაიგმო ორიგენისტულ იდეებთან მისი მჭიდრო კავშირის გამო, რომლებიც არსობრივად პაგანისტურია. ეს იდეებია: ა) ადამიანთა სულების არსებობა სხეულის წარმოქმნამდე, ე.წ. სულთა წინასწარარსებობა (პრეეგზისტენცია)<sup>11</sup>. ეკლესიის მოძღვრებით, ადამიანის სული და სხეული ერთდროულად იქმნება დედის მუცელში<sup>12</sup>. ორიგენისტული სწავლების მიხედვით, ადამიანის სულის სხეულში ყოფნა სასჯელია, რადგან სხვადასხვა სახის მატერიალური სხეულით შემოსვა გონიერი სულის დაცემის შედეგია; ბ) საყოველთაო აღდგენის დროს მხოლოდ სულის აღდგენა სხეულის გარეშე<sup>13</sup>, რადგან მატერიალურობა ცოდვით დაცემის შედეგად

9 “Constantinople, Second Council of (553)”, in: The Oxford Dictionary of the Christian Church. 3<sup>rd</sup> edition. Edited by F. Cross and E. Livingstone. Oxford: OUP 1997, 407. (სტატიის ავტორი არ აქვს მითითებული).

10 Hefele, op. cit., II, 855-860, ციტირ.: Shahan, Thomas. “Second Council of Constantinople”, The Catholic Encyclopedia, vol. IV. New York: Robert Appleton Company 2018, <http://www.newadvent.org/cathen/04308b.htm> წვდომა 24.09.2018.

11 ექვთიმე ათონელის მიერ შექმნილ თეოლოგიურ სახელმძღვანელოში “წინამძღუარი” (თავი 8: “კაცისათვის”) ამ ორიგენისტულ ცდომილებაზე შემდეგს ვკითხულობთ: “ერთბამად იქნა დაბადებული ხორცთა და შთაბერვაი სულისაი, არა თუ ერთი იგი პირველ და მეორე იგი უკანასკნელ, სიცბილისაებრ ორიგენისა, არამედ ზოგად და ერთბამად” (წმინდა ეფთვიმე მთაწმინდელი. წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნანა ჩიკვატიამ. თბ., არტანუჯი 2007, 187.

12 ჭელიძე, ედიშერ. „ეკლესიის სწავლება ადამიანთა სულების წარმოშობის შესახებ“, გული გონიერი №3, 2011, 5-121. (სტატიის მიხედვით, ქრისტიანული მოძღვრებისთვის მიუღებელია სხეულების წარმოქმნამდე სულების არსებობის იდეა, რადგან სული და სხეული ერთდროულად იქმნება. ეს ვრცელი სტატია უფრო სულის წარმოქმნის რაგვარობაზეა ფოკუსირებული: სული მშობელთა სულებისგან გაშუალებულად იქმნება თუ უშუალოდ ღვთისგან? სტატიის ავტორი ასკვნის, რომ მეხუთე მსოფლიო კრებამ გაიზიარა ნეტარი თეოდორიტეს აზრი ყოველი ადამიანის სულის უშუალოდ ღვთისგან „შთაბერვის“ შესახებ. ციტირებულია ასევე ეფესოს მესამე მსოფლიო კრების განჩინებაც, რომელიც კირილე ალექსანდრიელს განეკუთვნება და რომლის მიხედვითაც „სულის არსებობაში მშობელი არავითარ მონაწილეობას არ იღებს“ გვ. 113).

13 სხეულის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით გრიგოლ ნოსელისა და ორიგენეს მონაზრებებზე იხ. სტატია: დანიელუ, ჟან. „აპოკატასტასისი“, ევროპული კულტურის

მიიჩნევა, რომლისგანაც უნდა განთავისუფლდეს განწმენდილი სული. ტრადიციული ქრისტიანული სწავლებით, სხეულისა და სულის აღდგენა ერთდროულად მოხდება, რადგან სხეულებრიობა არ განიხილება არსობრივად ბოროტ მოცემულობად; გ) მრავალი სამყაროს არსებობა, რაც დაცემისა და კვლავ აღდგინების, უკუქცევის მრავალ ციკლს გულისხმობს.

ამრიგად, თხუთმეტ პუნქტიანი დაგმობა აპოკატასტასისის სწორედ ამ ორიგენისტულ ვერსიას მიემართებოდა და ეს გარემოება ციტირებულ კანონშიც ნათლად ჩანს: „...სულთა წინარე არსებობას და ამასთან კავშირში მყოფ აპოკატასტასისის...“ (იხ. ზემოთ).

საჭიროა ორიგენეს იდეებისა და ორიგენიზმის დიფერენცირებაც. ეკლესიას, როგორც ასეთი, უშუალოდ ორიგენეს შეხედულებები არასდროს დაუგმია. ეს ანათემატიზმები 543 წელს რეალურად იმპერატორმა იუსტინიანემ დაწერა<sup>14</sup>, რომელმაც მიზნად დაისახა პალესტინაში აქტიურად გავრცელებული<sup>15</sup> ორიგენიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. თეოლოგიური განათლების არმქონე იმპერატორმა ორიგენიზმის ფარგლებში განვითარებული იდეები ორიგენესეულად ჩათვალა.<sup>16</sup> ალექსანდრიელი ერესიარქის სახელი იმპერატორის მიერ შედგენილი წერილის სათაურშიც კი იყო მოცემული: „ბილწი ორიგენესა და მისი უწმინდური სწავლების წინააღმდეგ.“

დადგენილად ითვლება, რომ მეხუთე მსოფლიო კრებას არ შეუმუშავებია ეს თხუთმეტი ანათემატიზმი. ისინი უკვე მზად იყო 543 წლისთვის მცირე სინოდალურ შეკრებაზე<sup>17</sup> ანუ მეხუთე მსოფლიო კრების დაწყებამდე (553 წ.).<sup>18</sup> მაშინაც კი იმპერატორმა იუსტინიანემ საკუთარი ხელით დაწერილი „პირადი დოქტრინა“<sup>19</sup> წარუდგინა პატრიარქ მენასის 543 წელს, რომელიც ორიგენიზმის წინააღმდეგ ანათემების მოსამზადებლად იქნა გამოყენებული. ამრიგად, „იუსტინიანე, ეკლესიის კრებითი ორგანოს მობილიზების გარეშე, კესარო-პაპისტუ-

---

ორი საფუძველი: Vita Contemplativa და Vita Activa. რედ.: პ. პაპავა, ზ. შათირიშვილი. თბ., 2008, გვ. 163-184.

14 Denzinger, Heinrich. *Compendium of Creeds, Definitions and Declarations on Matters of Faith and Morals*. 43<sup>rd</sup> edition. Edited by Peter Hunermann. San Francisco Ignatius Press 2012, 143-144. დენზინგერის მიერ მოცემულია იუსტინიანეს ცხრა ანტი-ორიგენისტული ანათემის (543წ.) ბერძნულ-ინგლისური პარალელური ტექსტები. იუსტინიანეს მეცხრე ანათემა ნათლად და გარკვევით გამოხს იდეას სასჯელის დროებითობისა და აპოკატასტასისის შესახებ. ანათემების ელ-ვერსია იხ.: <http://www.ccel.org/ccel/schaff/npnf214.pdf> წვდომა 24.09.2018.

15 Карташев, Антон. *Вселенские Соборы*. Клин, 2004, 442.

16 Ramelli, Ilaria. *The Christian Doctrine of Apokatastasis*. A critical Assessment from the New Testament to Eriugena. Leiden: Brill 2013, 726.

17 ჭელიძე, ედიშერ. „ეკლესიის სწავლება ადამიანთა სულების წარმოშობის შესახებ“, გული გონიერი №3, 2011, 88, სქოლიო №1.

18 Уэр, Каллист. „Смеем ли мы надеяться на спасение всех? Ориген, Григорий Нисский, Исаак Ниневицкий“, Учение о Спасении в Разных Христианских Конфессиях. Сост. А. Бодров. М., ББИ 2005, 43. (ინგლისური ორიგინალი იხ.: Kallistos Ware. *“Dare We Hope for the Salvation of All? Origen, St Gregory of Nyssa and St Isaac the Syrian”*, Collected Works, Vol. I, The Inner Kingdom. Crestwood, New York: SVS Press 2001, 193-215).

19 Evdokimov, Paul. *Orthodoxy*. Translated by Jeremy Hummerstone. New York: New City Press 2011, 338. იხ. ასევე: Евдокимов, Павел. *Женщина и Спасение Мира*. Минск, 1999, 122.



რი თვითდაჯერებულობით საკუთარ თავზე იღებს დოგმატური მსჯელობებისა და საბოლოო განაჩენის გამოტანის ინიციატივას<sup>20</sup>. ეს ანათემები „შეცდომით მიეწერებოდა მენუთე მსოფლიო კრებას.“<sup>21</sup>

საინტერესოა, რომ თვით მენუთე მსოფლიო კრების აქტებში ხსენებული ანათემემატიზმები არაა მოცემული.<sup>22</sup> შემდგომში, როდესაც ისინი მენუთე მსოფლიო კრების დადგენილებებს დაერთო, ამ „ანათემემატიზმების ტექსტში ორიგენეს სახელი არ ფიგურირებს“<sup>23</sup>. შესაბამისად, ეს თხუთმეტი ანათემემატიზმი, მაგ., ნორმან ტანერის კრებულში „მსოფლიო კრებათა დადგენილებები“ არ არის შესული, რადგან, მისი მითითებით, „უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეს ხსენებული ანათემები არ ეკუთვნის ამ [მენუთე მსოფლიო] კრებას.“<sup>24</sup>

როგორც აღინიშნა, რომის პაპი ვიგილიუსიც არ ესწრებოდა ამ კრებას. იმპერატორმა იუსტინიანემ მოგვიანებით აიძულა ვიგილიუსი დაეგმო სამი თავი და ორიგენე, რომელთა ანათემირებაც სურდა მენუთე მსოფლიო კრების მეშვეობით. იმპერატორი აქტიურად მიმართავდა იძულების პოლიტიკას, რომელიც, სხვათა შორის, ყოველთვის უპრობლემოდ როდი ხორციელდებოდა. მაგ., თვით 543 წლის მცირე კრებამაც კი ერთგვარი წინააღმდეგობა გაუწია იმპერატორ იუსტინიანეს და არ გაითვალისწინა ამ უკანასკნელის სურვილი დაეგმო ორიგენეს ტრინიტარული სუბორდინიზმი.<sup>25</sup> ამრიგად, იმდროინდელმა ეპისკოპატმა აღნიშნულ ერესში ორიგენეს დადანაშაულება უსამართლოდ მიიჩნია. სხვათა შორის, ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს კიდევ, რომ ორიგენე არა სუბორდინაციის მომხრე, არამედ მისი მოწინააღმდეგე იყო.<sup>26</sup>

ორიგენეს ერეტიკულ შეხედულებებზე საუბრისას არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დიდი ალექსანდრიელი ღვთისმეტყველი მხოლოდ ჰიპოთეზის, ვარაუდის სახით, საკმაოდ თავშეკავებულად გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს, მაგ., ორიგენე წერდა: „ყოველივე ამის თაობაზე ჭეშმარიტად უდიდესი შიშითა და სიფრთხილით ვლაპარაკობთ, და უფრო მეტად ვიკვლევთ და განვიხილავთ, ვიდრე რაიმეს დანამდვილებით და განსაზღვრულად ვამტკიცებთ (საწყისების შესახებ, 1.6.1).“<sup>27</sup> ორიგენე ასევე აღნიშნავდა, რომ მრავალი რამ „ჩვენთვის დაფარულია, რაც მხოლოდ მან უწყის, ვინც ჩვენი სულების მკურნალია“ (საწყისების შესახებ, 2.10.6).<sup>28</sup>

20 Карташев, *Вселенские*, 418-9.

21 Evdokimov, *Orthodoxy*, 338.

22 Price, Richard. *The Acts of the Council of Constantinople of 553: with related texts on the Three Chapters Controversy*. 1<sup>st</sup> edition. Liverpool: Liverpool University Press 2012, 270-286.

23 Meyendorff, John. *Christ in Eastern Christian Thought*. New-York: SVS Press 1995, 51.

24 Tanner, Norman (ed.). *Decrees of the Ecumenical Councils*. Volume I: Nicea I - Lateran V. Volume II: Trent - Vatican II. Washington, D.C.: Georgetown University Press 1990, 106.

25 Meyendorff, *Christ in Eastern*, 52.

26 Ramelli, Ilaria. "Origen's Anti-Subordinationism and its Heritage in the Nicene and Cappadocian Line", *Vigiliae Christianae* 65, 2011, 21-49.

27 Origen. *On First Principles*. Vol. I. Edited and trans. by John Behr. Oxford: OUP 2017, 105.

28 Origen. *On First Principles*. Vol. II, 263.

მოგვიანებით ორიგენისტებმა რადიკალურად განავითარეს ორიგენეს იდეები, განავრცეს ისინი და დოგმატური სტატუსი მიანიჭეს მას, რაც საგანგაშო სიგნალი იყო, რადგან, როგორც გიორგი ფლოროვსკი შესანიშნავად აღნიშნავდა, „ერეტიკულია არა მხოლოდ ის, რაც ნამდვილად და პირდაპირ წინააღმდეგობაშია დოგმატურ სწავლებასთან, არამედ აგრეთვე ისიც, რომელიც ყველასათვის სავალდებულო და დოგმატურ მნიშვნელობას ითვისებს, ამკარად არ გააჩნია რა ამგვარი სტატუსი.“<sup>29</sup>

ორიგენეს ხშირად იმ მოსაზრებებსაც მიაწერდნენ, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა, მაგ., სულების პრეეგზისტენციის შესახებ. ეს ჩანს თუნდაც იმ შეკითხვაში, რომელსაც ბარსანუფი დიდს უსვამენ. შემკითხველი ნათლად აღნიშნავს, რომ ტიტესადმი პავლე მოციქულის ეპისტოლის განმარტებებში ორიგენე უარყოფდა სხეულთა შექმნამდე სულთა არსებობას. ცნობილი პატროლოგის, ალექსი სიდოროვის მითითებით, ეს გარემოება სერიოზულ საფუძველს გვაძლევს ორიგენეს ნაწერები, ამ კუთხით, ორიგენისტების მიერ „ფალსიფიცირებულად“<sup>30</sup> მივიჩნიოთ. იგივე პოზიციისაა ილარია რამელიც, რომლის აზრით ორიგენე არ გამოთქვამდა მოსაზრებებს არც სულების პრეეგზისტენციის და არც მრავალი სამყაროს არსებობის შესახებ<sup>31</sup>. ორიგენეს ასევე მიაწერდნენ იმ შეხედულებებს, რომლებიც არათუ მას არ ეკუთვნოდა, არამედ გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა კიდევ, მაგ., იდეას სულთა გადასახლების შესახებ<sup>32</sup>.

არაა გასაკვირი, რომ ორიგენე სწორედ ის მოაზროვნე აღმოჩნდა, რომლის მიერ გამოთქმული მოსაზრებების გამოყენებას, გადაკეთებას, დამახინჯებას ყველა თავისებურად ცდილობდა. ორიგენე უპრეცედენტოდ ძლიერ მოაზროვნედ ითვლებოდა, რადგან „ხშირად სვამდა ისეთ საკითხებს, რომელთა გადაჭრაც მისი ეპოქის საეკლესიო აზროვნებას არ ძალუძდა.“<sup>33</sup> მისი თეოლოგიური აზროვნების ფართო გაქანებას კი, ალბათ, ყველაზე კარგად დასავლელ თეოლოგთა ეს შეფასება გამოხატავს, რომელსაც გიორგი სქოლარიოსი გადმოგვცემს: „იქ სადაც ორიგენე კარგია, მასზე უკეთესი არავინაა და იქ, სადაც ორიგენე ცუდია, მასზე უარესი არავინაა.“<sup>34</sup> აქ ძალაუფლებურად შეიძლება ვინმეს ფრანგი კათოლიკე ფილოსოფოსის, ჟაკ მარიტენის სიტყვები გაახსენდეს: „ცდომილებაში მყოფი დიდი ფილოსოფოსი ჰგავს რიფებზე მდგარ შუქურას, მეზღვაურებს რომ მიუთითებს: ჩემგან შორს იცურეთო.“<sup>35</sup>

ორიგენეს აზრებს ამახინჯებდნენ არა მხოლოდ მომდევნო საუკუნეებში, არამედ ამგვარ მცდელობებს თავად ორიგენეს სიცოცხლეშიც მიმართავდნენ.

29 Флоровский, Георгий. „Дом отчий“, Избранные Богословские Статьи. М., 2000, 30.

30 Сидоров, Алексей. Творения Аввы Евагрия: Аскетические и Богословские Трактаты. Перевод, вступительная статья и комментарии. А. И. Сидорова. М., „Мартис“ 1994, 59.

31 Ramelli, *Apokatastasis*, 137-215.

32 Nautin, P. Origene. Sa vie et son Oeuvre. P., 1977, p. 99-153, ციტირ.: Сидоров, *Авва Евагрий*, 35.

33 Сидоров, *Авва Евагрий*, 31.

34 Chadwick, Henry. *Early Christian Thought and the Classical Tradition: Studies in Justin, Clement, and Origen*. New York: Oxford University Press 1966, 95.

35 მარიტენი, ჟაკ. „ფილოსოფოსი ქალაქში“, თარგმნა ნიკოლოზ კოპალეიშვილმა. კრებული: ჟაკ მარიტენი. ფილოსოფოსი ქალაქში. თენგიზ ირემაძე. „ფილოსოფია და მსოფლისბრძნე. თბ., ახალი საქართველოს უნივერსიტეტი 2018, 10.

მაგალითისთვის: ორიგენეს ერთი ეპისტოლედან ნეტარმა იერონიმემ და რუფინუსმა ორი მოზრდილი მონაკვეთი შემოგვინახეს. ამ ეპისტოლეში ორიგენე ჩივის, რომ სასუფეველიდან განგდებულ სულთა და დემონების გადარჩენის შესახებ მისი შეხედულებანი ვალენტინიანის ერესის მიმდევარმა, კანდიდმა დაამახინჯა. ორიგენეს კანდიდთან საჯარო დისპუტი ჰქონდა, რომელსაც სტენოგრაფიულად იწერდნენ. შემდგომში კანდიდი ახერხებს და ამ სტენოგრაფიულ ჩანაწერში ორიგენეს აზრებს თავისებურად ასწორებს და ტექსტს ამ სახით აქვეყნებს.<sup>36</sup> ნეტარი იერონიმეს სიტყვით, კანდიდი ასწავლიდა, რომ დემონი თავისი ბუნებით იყო ბოროტი და ამდენად მას ხსნის შანსიც არ ჰქონდა, რადგან თავიდანვე ასე განისაზღვრა მისი ბუნება. ორიგენე კი ამ დისკუსიაში თავისუფალ ნებაზე აპელირებდა და ამტკიცებდა, რომ კეთილი ანგელოზი თავისი ნებით და არა ბუნებრივი დეტერმინიზმის გამო გაბოროტდა. შესაბამისად, თუ დემონი თავის ნებას ისევ სიკეთისკენ მიმართავს, მაშინ დემონთა აღდგენაც შესაძლებელია პირვანდელ მდგომარეობაში. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამ პოლემიკიდან სარგებელი მაინც კანდიდმა მიიღო ორიგენესთან დისპუტის დამახინჯებული ტექსტის გავრცელებით, რამაც თავისი წვლილი შეიტანა ალექსანდრიაში „ანტიორიგენისტული განწყობების“<sup>37</sup> გავრცელების საქმეში.

სხვათა შორის, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ორიგენეს მსგავსად, წმინდა მაქსიმე აღმსარებელიც გაიმეორებს ამ ორიგენესეულ მოსაზრებას: „დემონებიც კი არ არიან ბოროტნი ბუნებით, არამედ ამგვარნი ხდებიან თავიანთი ბუნებითი ძალების არასწორი გამოყენებით.“<sup>38</sup> პირვანდელ მდგომარეობაში დემონთა აღდგენას წმინდა იოანე სინელიც უშვებდა, რომელიც წერდა: „თუკი სიამაყემ ზოგიერთი ანგელოზი ეშმაკად აქცია, მაშინ, უეჭველად, თავმდაბლობა შემძლეა ეშმაკი გადააქციოს ანგელოზად.“<sup>39</sup>

ამასთან, ვარაუდის სახით და ფრთხილად გამოთქმული ორიგენეს ზოგიერთი მცდარი მოსაზრება ნამდვილად არ იყო ექსკლუზიურად მისი. მაგ., სუბორდინაციონიზმი ტრინიტარულ სწავლებაში, რომლის მიხედვითაც მამა ღმერთი აღემატებოდა ძე ღმერთს ანუ ისინი თანასწორნი არ იყვნენ. ამგვარ მოსაზრებას მხარს უჭერდა ასევე ნიკეის კრებამდე მოღვაწე ეკლესიის მამების უმრავლესობა.<sup>40</sup> (როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, ორიგენე რეალურად სუბორდინაციის იდეას არ იზიარებდა).

იყო შემთხვევები, როდესაც ორიგენეს იმ ვარაუდებს, რომლებიც მოგვიანებით ერეტიკულად გამოცხადდა, უდიდესი წმინდა მამებიც იზიარებდნენ. მაგ., წმინდა ანტონი დიდის „ცხოვრებისა“ და „ეპისტოლეების“ კოპტური, სირიული, ძველქართული, ლათინური, არაბული და ძველბერძნული ვერსიების შეჯერების საფუძველზე მკვლევარი სამუელ რუბენსონი ასკვნის, რომ აღმოსავლური ბერმონაზვნობის ფუძემდებლის ავთენტური წერილები ორიგენეს სერიოზულ

36 Сидоров, Алексей. *“Жизненный Путь Оригена”*, Патристика: Новые Переводы, Статьи. (Ред.: М. Журинская). Нижний Новгород: Изд-во Братства во имя святого князя Александра Невского 2001, 313.

37 Сидоров, *Жизненный*, 314.

38 St. Maximus the Confessor. *On Love*, III, 5, tr. Palmer, Sherard and Ware, *The Philokalia*, vol. II, p. 84, ციტირ.: უერი, კალისტე. მართლმადიდებლობის გზა. თავი მესამე. ინგლისურიდან თარგმნა ნანა ბალთურიაძე. თბ., ნათლისმცემელი 2008, 48.

39 Иоанн Лествичник. *Лествица* 25:63. (ექვთიმე ათონელის თარგმანში ამ შინაარსის მუხლი არ იძებნება).

40 Сидоров, *Авва Евагрий*, 37.

გავლენას განიცდის. მაგალითად, ანტონი იზიარებდა ორიგენეს თვალსაზრისს „არა მხოლოდ სამყაროს შექმნის, ადამიანის დაცემისა და გადარჩენის შესახებ, არამედ ასევე წმ. წერილის მისეულ ინტერპრეტაციებსაც.“<sup>41</sup> ანტონი იზიარებდა ორიგენეს შეხედულებას სულთა პრეეგზისტენციის შესახებაც, რომლის მიხედვითაც გონიერი არსებები ანუ წმინდა ინტელექტები თავდაპირველად ერთიანნი და თანასწორნი იყვნენ ღვთის ჭვრეტაში. დაცემის ანუ ღვთისგან დაშორების შედეგად კი ისინი ერთგვარად „გაცივდნენ“ და სულებად გარდაიქმნენ, რაც სხვადასხვა ხარისხის სხეულით შემოსვას ნიშნავდა. ამგვარად შეიქმნა მატერიალური სამყარო. სამუელ რუბენსონი მიუთითებს, რომ აქ ანტონის შეხედულებებსაც ორიგენისტულ მოძღვრებასთან „პირდაპირი კავშირი“<sup>42</sup> აქვს. ანტონი, ორიგენეს მსგავსად, შესაძლებლად მიაჩნდა ასკეზის საშუალებით სხეულის ტრანსფორმირებას, რაც მას „ნაკლებად მატერიალურ და მეტად სულიერ“ მოცემულობად გარდაქმნის.<sup>43</sup>

ანტონის მიერ ორიგენესეული იდეების მიღებაზე სხვა მკვლევარი, ავგუსტინე ქესიდეიც საუბრობს. გარდა სულთა პრეეგზისტენციისა, წმინდა ანტონი ქმნილი არსებების ერთიან ბუნებაზეც მიუთითებდა მიუხედავად მათ შორის არსებული პიროვნული განსხვავებებისა. მაგალითად, ანტონის სიტყვით, „ის, ვინც მოყვასის წინაშე სცოდავს, საკუთარი თავის წინაშე სცოდავს“ (Ep. 6.63), სხვაგან აღნიშნავს, რომ ანგელოზები და დემონები „ყველა ერთისგანაა“ (Ep. 6.62; შდრ. Origen, *Prin.* 3.1.22: „არსებობს ერთი ბუნება, რომელიც ღვთისგან წარმოქმნილ ყველა სულს აერთიანებს“). ანტონის მტკიცებით, ღვთისგან დაშორების გამო ამგვარი ერთიანი ბუნების დაყოფა და დანაწევრება და გამატერიალურება ბოროტების გამარჯვებაა (Ep. 6.102-104).<sup>44</sup>

საერთო ბუნების შესახებ სწავლება რეზონირებს პავლე მოციქულის იდეებთან, რომლის მიხედვითაც ეკლესიის წევრნი ერთი სხეულის ნაწილები არიან და რომელიმე მათგანის ტკივილს სხვებიც განიცდიან, რადგან ის მთელი ორგანიზმის პრობლემაა. ამ სწავლებით, გონიერი ქმნილებები ერთი და იგივე ინტელექტუალური ბუნების მატარებლები და ერთმანეთის ორგანოები არიან. ამ მოძღვრებას უფრო ზნეობრივ-ასკეტური, ვიდრე მეტაფიზიკური თვალსაზრისით ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა (სხვათა შორის, ადამიანთა საერთო ბუნებაზე საუბრობდა გრიგოლ ნოსელიც<sup>45</sup>). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორიგენისტული (და არა ორიგენესეული) სწავლებისგან განსხვავებით, ანტონისთვის უცხო იყო ადამიანის სხეულისადმი ნეგატიური დამოკიდებულება.<sup>46</sup>

ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ანტონი ორიგენეს ყველა ვარაუდსა და დაშვებას როდი იზიარებდა. მაგ., ანტონი არ იზიარებდა იდეას დემონთა აღდგენის შესახებ, რადგან, მისი აზრით, სამყაროს დასასრული არ იქნება

41 Rubenson, Samuel. *The Letters of St. Antony: Origenist theology, Monastic Tradition and the Making of a Saint*. Lund: Lund University Press, Sweden, 1990, 186.

42 Rubenson, *Letters of Antony*, 66.

43 Rubenson, *Letters of Antony*, 71.

44 Casiday, Augustine. "All Are From One': On St. Antony the Great's Protology", *Studia Monastica* 44, 2002, 216-7.

45 Zachhuber, Johannes. *Human Nature of Gregory of Nyssa: Philosophical Background and Theological Significance*. Leiden: Brill 2014, 203-4.

46 Сидоров, Алексей. „Литературная Деятельность Преподобного Антония Великого и Его Учеников“, Сидоров, Алексей. *Святоотеческое Наследие и Церковные Древности*. Том IV, М., Сибирская Благовонница 2014, 274.

მისი დასაწყისის მსგავსი.<sup>47</sup> ქესიდეი ამის საფუძველს ანტონის მიერ ადამიანთა სხეულებრივი აღდგომის რწმენაში ხედავს. მართალია აღმდგარი სხეული გარდაქმნილია, მაგრამ ის გარდაცვლილის სხეულისგან სრულიად მოწყვეტილი და ფუნდამენტურად განსხვავებული მაინც არ იქნება.<sup>48</sup>

„მართლმადიდებლური ორიგენიზმი“ ვლინდება არა მხოლოდ ანტონის, არამედ სხვა ეგვიპტელი მოსაგრეების მაგ., პამვოს, კრონიდის და სხვების ნააზრევშიც<sup>49</sup>. არაფერს ვამბობთ იმ ცნობილი ფაქტის შესახებ, რომ კაბადოკიელი მამები ორიგენეს ნაშრომებიდან გამოკრებილი მონაკვეთებისგან ქმნიან კრებულს სახელწოდებით „მშვენიერებათმოყვარეობა“. ასკეტიკის სფეროში ორიგენეს ძლიერ გავლენას განიცდიდა აგრეთვე წმინდა პალადი ჰელენოპოლელიც. თუმცა ისეთი ორიგენისტული იდეები, რომლებიც სულთა პრეეგზისტენციის, აღდგომისა და სუბორდინაციის საკითხებს უკავშირდება, პალადისთან არ შეიმჩნევა.<sup>50</sup>

ამიტომ, ალბათ, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი, რომ მეხუთე მსოფლიო კრებამ რეალურად დაგმო არა ორიგენესეული ვარაუდები და დაშვებანი, არამედ ორიგენისტული სწავლება.

როდესაც მეხუთე მსოფლიო კრებამ ორიგენიზმი დაგმო, გრიგოლ ნოსელის აპოკატასტასურ სწავლებაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს<sup>51</sup>. არადა აპოკატასტასისის ცნება გრიგოლ ნოსელის თეოლოგიაში არა პერიფერიულ, არამედ „მთავარ ნაწილს“<sup>52</sup> წარმოადგენდა. ნოსელისეული სწავლება აპოკატასტასისზე არ იყო დასწავლული ზემოთ ხსენებული ორიგენისტულ-პაგანისტური იდეებით<sup>53</sup>. მაგ., გრიგოლი სხეულების წარმოქმნამდე სულთა არსებობას ცალსახად და მკვეთრად უარყოფდა თავის ნაშრომში „შესაქმისათვის კაცისა“, რომელშიც წერდა: „ასე იმნილება უთავბოლობა სწავლებისა იმის შესახებ, რომ სულები, როგორც თავისთავად მცხოვრებნი, უწინარესად ხორცთა შინა ცხოვრებისა შეიქმნენ და სხეულებს ბიწიერების გამო შეუერთდნენ“<sup>54</sup>. როგორც ცნობილი პატროლოგი ქუასტენი უთითებს, გრიგოლი ასევე ექსპლიციტურად უარყოფდა ორიგენისტულ სწავლებას, რომლის მიხედვითაც სხეულით შემოსვა სასჯელია სულთა სამყაროში ჩადენილი ცოდვისთვის.<sup>55</sup> ნოსელი ეპისკოპოსი ასევე უარყოფდა ორიგენისტულ იდეას, რომ აპოკატასტასისი არის არა ერთხელ და სამუდამოდ მოსახდენი მოვლენა, არამედ მხოლოდ მორიგი ფაზა რაციონალური არსებების ღვთისგან გაუცხოებისა და შემდეგ მასთან დაბრუნების უსასრუ-

47 Casiday, *All Are From One*, 220.

48 Casiday, *All Are From One*, 225.

49 Сидоров, *Авва Евагрий*, 36.

50 Katos, Demetrios. *Palladius of Helenopolis: The Origenist Advocate*. Oxford: OUP 2011, xvii+219pp. (კერძოდ, იხ. მე-5-6 თავები).

51 Alfeyev, Hilarion. „*Eschatology*“, in: *The Cambridge Companion to Orthodox Christian Theology*. Edited by Cunningham, Mary and Theokritoff, Elizabeth. Cambridge: Cambridge University Press 2008, 116.

52 Zachhuber, *Gregory of Nyssa*, 243.

53 Оксидюк, Макарий. *Эсхатология св. Григория Нисского: Историко-Догматическое Исследование*. Киев, 1914, 570, 649.

54 წმინდა გრიგოლ ნოსელი. *შესაქმისათვის კაცისა. თავი 28-ე*. სამი ქართული რედაქცია უძველესი (VIII-IX სს.), წმ. გიორგი მთაწმინდლისეული (XI ს.) და ახალი (თარგმანი გვანცა კოპლატაძისა ბერძნული ტექსტითურთ). თბ., 2010, 378.

55 Quasten, Johannes. *Patrology*. Vol. III: *The Golden Age of Greek Patristic Literature*. Utrecht-Antwerp: Spectrum Publishers 1963, 289.

ლო ციკლისა.<sup>56</sup> ამიტომაც, შესანიშნავად იცოდნენ რა კრების მამებმა გრიგოლ ნოსელის აპოკატასტასური სწავლება, ის „არ გაუიგივებიათ ორიგენიზმთან.“<sup>57</sup> უფრო მეტიც, ეკლესიამ არათუ არ დაგმო წმინდა გრიგოლ ნოსელი, რომელიც აპოკატასტასისის ყველაზე გამოკვეთილი დამცველია, არამედ ის მეექვსე მსოფლიო კრებამ „წმინდა და ნეტარ მამებს“ შორის მოიხსენია. მეშვიდე მსოფლიო კრებამ კი მას „მამათა მამაც“ კი უწოდა.<sup>58</sup>

ქვემოთ დავიმოწმებთ არა მხოლოდ გრიგოლ ნოსელის, არამედ ასევე სხვა წმინდა მამების მსგავს შეხედულებებსაც, რომლებიც ასევე არასდროს დაუგმია და განუკითხავს ეკლესიას, რადგან ეს სწავლება რეალურად „ამოზრდილია ეკლესიის ლიტურგიკული და მისტიკური გამოცდილებიდან.“<sup>59</sup>

### წმინდა წერილი

გარდაცვალებულთა სულების განწმენდის შესაძლებლობაზე საუბრისას, პირველ რიგში, საღვთო წერილის შემდეგი სამი ადგილი მივითითებ:

“ხოლო ვინ რას აშენებს ამ საძირკველზე – ოქროს, ვერცხლს, პატიოსან თვლებს, შეშას, თივას თუ ჩალას, – თითოეულის საქმე გამოძლავდება, რადგანაც ცხადყოფს დღე; ვინაიდან ცეცხლით მჟღავნდება და ცეცხლითვე გამოიცილება თითოეულის საქმე. ვისი საქმეც გაუძლებს, ის ჯილდოს მიიღებს, ხოლო ვისი საქმეც დაიწვება, ის იზარალებს, თუმცა თვითონ გადარჩება, მაგრამ ისე, როგორც ცეცხლისგან“ (1 კორ. 3:13-15).

პავლე მოციქულის მიერ ნახსენებ შეშას, თივას და ჩალას (1 კორ. 3:13-15) ორიგენე სწორედ იმ მასალად ანუ ბოროტ საქმეებად მოიაზრებს, რომლებიც ამ ცეცხლის მეშვეობით უნდა განადგურდეს (საწყისების შესახებ, 2.10.4).<sup>60</sup> ორიგენე ისაიას სიტყვებსაც იმოწმებს: „ყველანი შემოდით თქვენი ცეცხლის ალში და თქვენს გაჩაღებულ კოცონებში“ (ის. 50:11). მისი აზრით, წინასწარმეტყველი გვაუწყებს, რომ ყველა ცოდვილი სწორედ თავისი ცოდვებით წარმოქმნის ამ ცეცხლის საჭიროებას და თუკი ცოდვებისგან განწმენდილია ადამიანი, არც მტანჯველი ცეცხლის საჭიროება არსებობს. წმინდა ამბროსის აზრით კი, პავლე მოციქული აქ მათ გადარჩენაზე საუბრობს, რომელთა ცრუსწავლება, მცდარი შეხედულებანი განადგურდება, რადგან სწორედ ესაა მიზეზი ცეცხლისა. „ამრიგად, თავად გადარჩებიან, მაგრამ ცეცხლისმიერი ტანჯვის შემდეგ განწმენდისა.“<sup>61</sup>

შემდეგი ადგილი მათეს სახარებიდან დაიმოწმება: „ვინც იტყვის სიტყვას კაცისას ძის წინააღმდეგ, მიეტევება მას; მაგრამ ვინც იტყვის სიტყვას სული წმიდის წინააღმდეგ, არ მიეტევება მას, არც ამ წუთისოფლად და არც საუკუნო სოფლად“ (მათ. 12:32). წმინდა გრიგოლ დიდი გარდაცვალების შემდგომ ანუ „სა-

56 Quasten, *Patrology*, 290.

57 Алфеев, Иларион. *Мир Исаака Сирина*. М., 1998, 308.

58 Алфеев, *Мир Исаака*, 308.

59 ალფევი, ილარიონ. *სარწმუნოების საიდუმლოება: მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების შესავალი*. რუსულიდან თარგმნა ვლ. ჩხიკვაძემ. თბ., 2013, 400.

60 Origen. *On First Principles*. Volume II. Edited and trans. by John Behr. Oxford: OUP 2017, 261.

61 PL 17:200bd, ციტირ.: Одэн Томас (ред.). *Библейские комментарии отцов Церкви и других авторов I-VIII веков*. Том 7. Тверь: Герменевтика 2006, 48.

უკუნო სოფლად“ ცოდვების მიტევებას სწორედ ქრისტეს ამ სიტყვების საფუძველზე თვლიდა შესაძლებლად.<sup>62</sup>

მესამე ციტატა ძველი აღთქმიდანაა, კერძოდ, მაკაბელთა წიგნიდან: „...ამიტომაც მოიტანა მაკაბელმა მკვდართათვის გამოსასყიდი მსხვერპლი, მათ სალხინებლად“ (2 მაკაბ. 12:46).

ძირითადად, ამ სამ ბიბლიურ პასაჟზე დაყრდნობით გამოითქმებოდა საიქიოში სულის განწმენდის შესაძლებლობის შესახებ სწავლება. თუმცა საღვთო წერილი სხვა, არანაკლებ საინტერესო ადგილებსაც გვთავაზობს ამ თვალსაზრისით. პავლე მოციქული სხვა ეპისტოლეში წერს:

“არა მსურს, ძმანო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო, რათა თქვენსავე განსჯას არ დაეყრდნოთ, რომ ისრაელის სიბრძნე ნაწილობრივია, დროებითი, ვიდრე არ შემოვა წარმართთა მთელი სისავსე. და ასე მთელი ისრაელი ცხონდება, როგორც დაიწერა: მოვა სიონით მხსნელი და მოაქცევს უღმერთოებისაგან იაკობს და ეს არის ჩემი აღთქმა მათ მიმართ, როდესაც წარვხოც მათ ცოდვებს“ (რომ. 11:25-27).

ნეტარი თეოდორიტე კვირელი 11:26 მუხლის განმარტებისას წერს: „მოციქული ‘მთელს ისრაელს’ უწოდებს მორწმუნეებს, იქნებიან ისინი იუდეველები თუ წარმართები.“<sup>63</sup>

პავლე მოციქული ისრაელის განდგომაზე საუბრისას მიუთითებს, რომ „მათი დაცემისაგან არის წარმართთა ხსნა“ (რომ. 11:11), ცოტა ქვემოთ კი აგრძელებს: „ახლა ისინი [იუდეველნი] ურჩნი არიან თქვენი შეწყალებისათვის, რათა თავადაც შეწყალებულ იქნენ, რადგან ღმერთმა ყველანი ურჩობაში მოამწყვდია, რათა ყველანი შეიწყალოს“ (რომ. 11:31-32). სხვაგან პავლე ამტკიცებს, რომ მოვა დრო და „ღმერთი იქნება ყველგან და ყველაფერში“ (1 კორ. 15:28). გრიგოლ ნოსელი ამ სიტყვებს ასე განმარტავს: „ამით წმინდა წერილი გვაუწყებს ბოროტების სრულ განადგურებას, რადგან თუკი ყოველ არსებაში ღმერთი იქნება, ცხადია, რომ ამ არსებებში აღარ იქნება ბოროტება.“<sup>64</sup>

პავლე აგრეთვე ნათლად წერდა, რომ იესო ქრისტეს წინაშე ყველა „მოიდრეკს მუხლს: ზეცისანი, ქვეყანისანი და ქვესკნელისანი“ (ფილ. 2:9-10). „ღმერთმა ყველა ურჩობაში გამოამწყვდია, რათა ყველანი შეიწყალოს“ (რომ. 11:32). „როგორც ადამში კვდებიან ყოველნი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა“ (1 კორ. 15:22) და სხვა.

ზოგჯერ აღინიშნება, რომ საღვთო წერილის ამგვარი ციტატები მხოლოდ შესაძლებლობას გულისხმობს. ღმერთს ყველას ცხონება სურს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა აპოკატასტასური სწავლებით, რომ სული იმქვეყნად სწორედ თავისუფლად ნებადება ღვთაებრივ სიყვარულს, როგორც ამის შესახებ წმინდა გრიგოლ ნოსელიც წერდა. ამიტომ, წმინდა წერილის ამგვარი მოსაზრებების მხოლოდ შესაძლებლობის პერსპექტივით გაგება ჭირს. ამ მიზეზით, გასაკვირი არაა, რომ მათ ასე არც აღიქვამს ზოგიერთი მართლმადიდებელი თეოლოგი. მაგ., მიტროპოლიტი კალისტოს უერის ღრმა რწმენით „სინამდვილეში პავლე უფრო შორს მიდის,

62 PL 77, 396, ციტირ.: ალფევი, *სარწმუნოების*, 402.

63 ნეტარი თეოდორიტეს აღნიშნული სიტყვები ციტირებულია: Феофан Затворник. *Толкование на послание к Римлянам*, 11:26.

64 Флоровский, Георгий. *Восточные отцы IV-VIII веков*. М., Свято-Троицкая Сергиева Лавра, 1999, 186.

ვიდრე უბრალო შესაძლებლობაა – მოციქული მტკიცე იმედს გამოხატავს, დარწმუნებულობასაც კი. პავლე არ ამბობს ‘ალბათ, ყველა იცოცხლებს ქრისტეში’, არამედ ‘ყველა იცოცხლებს ქრისტეში.’<sup>65</sup>

საინტერესოა აგრეთვე ბიბლიის ის ადგილები, რომლებშიც ღვთის გულმონწყალების უსაზღვრობაა გამოვლენილი მის სამართლიან რისხვასთან შედარებით. როგორც ჩანს, წმინდა ისააკ ასური მსგავს მითითებებს ეყრდნობოდა, როდესაც ანალოგიურ შეხედულებებს გამოთქვამდა (იხ. ქვემოთ).

ასე მაგალითად, წმინდა წერილის უწყებით, მოსე სინას მთაზე მარტო ადის, სადაც „ჩამოვიდა უფალი ღრუბელში და დადგა იქ მასთან; და გამოაცხადა სახელი: ‘უფალი’. გაიარა უფალმა მის წინაშე და წარმოთქვა: ‘უფალი, უფალი, ღმერთი შემბრალე და მოწყალე, რისხვაში ნელი, დიდადმოწყალე და ჭემმარიტი. ანიჭებს წყალობას ათას თაობაში, შეუნდობს ბრალს, ურჯულოებას და ცოდვას, თუმცა თვალს არ დახუჭავს დამნაშავეზე: მოჰკითხავს მამათა ცოდვას შვილებს და შვილიშვილებს, მესამე და მეოთხე თაობამდე“ (გამოს. 34:5-7).

ღვთის პირით წარმოთქმულ ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ის ასიმეტრია, რომელიც უფლის რისხვისა და მისი გულმონწყალებას ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ვლინდება. გამოთქმა „ათასი თაობა“, „ათასეულები“ ბიბლიის ენაზე, რომელიც ხშირად იყენებს პოეტურ ენას, ნიშნავს უსასრულობას, უსაზღვრობას, უთვალავობას. მაგ., როცა ქრისტე შვიდჯერ სამოცდაათგზის მიტევების აუცილებლობაზე საუბრობს (მათ. 18:22), ბუნებრივია, არ გულისხმობს მხოლოდ 490-ჯერ მიტევებას. რაც შეეხება მესამე-მეოთხე თაობის ხსენებას, აქ, პირველ რიგში, ერთგვარი მინიშნებაა იმაზე, რომ სასჯელი არ იქნება სამარადისო და დაუსრულებელი. ამასთან, ეკლესიის სწავლებით მესამე და მეოთხე თაობამდე „ცოდვის მოკითხვა“ არ გულისხმობს მშობელთა ცოდვების პასუხისმგებლობის ავტომატურ გადატანას შვილებზე, რაც, ბუნებრივია, უსამართლობა იქნებოდა.<sup>66</sup>

მსგავსი ასიმეტრია ვლინდება საღვთო წერილის სხვა ადგილებიდანაც. მაგ., ფსალმუნის შემდეგ სიტყვებში: „რისხვა მისი მცირე ხანს გრძელდება, ხოლო წყალობა მთელი სიცოცხლე“ (ფსალ. 29:6). ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს აგრეთვე იერემია წინასწარმეტყველის შემდეგი სიტყვები: „უფლის მრისხანება არ შეწყდება, ვიდრე არ მიაღწევს თავის ჩანაფიქრს. უკანასკნელ დღეებში მიხვდებით ყველაფერს ცხადად“ (იერ. 23:20).

სახელდება ახალი აღთქმის სხვა ადგილებიც (მათ. 17:11, მარკ. 9:12, საქმ. 3:21), რომელთა ბერძნულ ორიგინალში სიტყვა ἀποκατάστασις იხსენიება, რომელიც არა მხოლოდ სხეულებრივი აღდგენის (ἀνάστασις), არამედ ასევე ბოროტებისგან განთავისუფლების (ἀποκατάστασις) აზრია ჩადებული.<sup>67</sup> გრიგოლ ნოსელი, ორიგენეს მსგავსად, სხეულთა აღდგენას (ἀνάστασις) აპოკატასტასისის პირველ ეტაპად განიხილავდა.<sup>68</sup>

საინტერესოა აგრეთვე ლუკა მოციქულის სიტყვები, რომ უფალი „ბედელში მოაგროვებს ხორბალს, ბზეს კი ჩაუქრობელი ცეცხლით დაწვავს“ (ლკ. 3:17). ცხადია, ჩაუქრობელი და უშრეტი ცეცხლი ღვთაებრივია, როგორც უსაწყისო და მარადიული. ბზე კი ქმნილების სულის მანკიერებებზე მიანიშნებს, რომლებიც

65 Уэп, *Смеет ли*, 40.

66 ჭელიძე, ედიშერ. „ეკლესიის მამათა სწავლება ცოდვისა და სასჯელის შესახებ“, გული გონიერი 1, 2011.

67 Ramelli, *Apokatastasis*, 17.

68 Ramelli, *Apokatastasis*, 21.



დაიწვება და ამით განადგურდება, დამთავრდება. აქ არანაირი მინიშნებაც კი არაა, რომ წვის პროცესი მარადიული და დაუსრულებელი იქნება.

საღვთო წერილი სულიერ სამყაროში სულის ცვლილების, მისი ფერისცვალების შესაძლებლობაზეც მიანიშნებს. სხვა სიტყვებით, თავისუფალი ნების მოქმედებას ფიზიკური სიკვდილის მიღმაც აქვს თავისი შედეგი. ამასთან, საუბარია არა უმნიშვნელო ცვლილებაზე, არამედ რადიკალურ ტრანსფორმაციაზე: ჯოჯოხეთში მყოფი სულის უფლის სასუფეველში დამკვიდრებაზე.

ასე მაგალითად, მოციქული პეტრე გარკვევით წერს, რომ ქრისტე თავისი აღდგომის შემდეგ ქვესკნელში ჩავიდა, სადაც ნოემდე მცხოვრებ ცოდვილ, ურჩ სულებს უქადაგადა (1 პეტ. 3:19-20). წმინდა მაქსიმე აღმსარებელი აღნიშნავდა, რომ ამ ურჩობისათვის დასჯილმა ადამიანებმა, „იმყოფებოდნენ რა ჯოჯოხეთში, შეიწყნარეს ქადაგება ღვთის შემეცნებისა და იწამეს ჯოჯოხეთში მკვდართა სახსნელად ჩასული მაცხოვარი.“<sup>69</sup> პეტრე მოციქულის სიტყვებს იგივენაირად განმარტავს წმინდა იოანე დამასკელიც:

„ზოგიერთები ამბობენ, რომ ქრისტემ ჯოჯოხეთიდან დაიხსნა მხოლოდ მორწმუნენი, ანუ წინასწარმეტყველნი, მსაჯულნი, მეფეები, ადგილობრივი მმართველნი და კიდევ ზოგიერთნი ებრაელთაგან, – ცნობილნი და არა მრავალნი. ამგვარად მოფიქრალთ ვუპასუხებთ, რომ არ არის არაფერი დაუმსახურებელი, სასწაულებრივი და უცნაური იმაში, რომ ქრისტეს მხოლოდ მორწმუნენი გადაერჩინა, რადგან, ამ შემთხვევაში, ის მხოლოდ სამართლიან მსაჯულად რჩება (...). მაგრამ, ვფიქრობ, მხოლოდ ღვთის კაცთმოყვარეობით, გადარჩენილთა შორის იყვნენ ისინიც, რომლებიც წმინდად ცხოვრობდნენ და კეთილ საქმეებს აღასრულებდნენ, მაგრამ ღვთის რწმენა არ გააჩნდათ.“<sup>70</sup>

აღარ გავაგრძელებთ რა ციტირებას, მოკლედ აღვნიშნავთ, რომ იესო ქრისტეს ქვესკნელში ჩასვლის მიზანს, შედეგს სწორედ ამგვარად წარმოგვიდგენს წმინდა მამების აბსოლუტური უმრავლესობა.<sup>71</sup>

ამ საკითხზე მართლმადიდებელი თეოლოგი, მიტროპოლიტი ილარიონ ალფევი წერს:

„ერთი მხრივ, ჯოჯოხეთში შეუძლებელია ქმედითი სინანული, შეუძლებელია ჩადენილი ბოროტი საქმეების გამოსწორება შესაბამისი კეთილი საქმეებით. თუმცა სინანული 'გონების შეცვლის' და ღირებულებათა გადაფასების აზრით, როგორც ჩანს, შესაძლებელია. ამის შესახებ მოწმობს თუნდაც ის, რომ სახარებისეულმა მდიდარმა გააცნობიერა საკუთარი მდგომარეობის საშიშროება, როგორც კი ჯოჯოხეთში მოხვდა: თუკი ამქვეყნიური ცხოვრების განმავლობაში იგი მხოლოდ მიწიერ სიკეთეებზე ზრუნავდა და ღმერთი არ ახსოვდა, ჯოჯოხეთში მოხვედრისთანავე მიხვდა, რომ გადარჩენის ერთადერთი იმედი ღმერთია (ლკ. 16, 20-31).“<sup>72</sup>

69 Максим Исповедник. *Вопросоответы к Фалассию*, Вопрос 7, Творения Максима Исповедника. Книга 2, М., “Мартис”, 1994, 44.

70 Иоанн Дамаскин. *О скончавшихся в вере*, PG 95, 257 AC; ციტირ.: Иларион Алфеев. *Христос победитель ада. Тема сошествия во ад в восточно-христианской традиции*. СПб., 2001, 325.

71 ამ საკითხზე იხ. შესანიშნავი სტატია: Десницкий, Андрей. „Что и Кому Христос Возвещал в Темнице? (интерпретации 1 Петра 3:19)“, *Альфа и Омега* № 3 (50), 2007, 72-78.

72 Алфеев, Иларион. *Христос – победитель ада. Тема сошествия во ад в восточно-христианской традиции*. СПб.: Алетейя, 2001, Эпилог.

ასევე, ეკლესიის სწავლებით, სულის საიქიო მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს ამქვეყნად დარჩენილ ახლობელთა ლოცვითა და მოწყალების საქმით<sup>73</sup>, რომელთა საშუალებით, იმავე ავტორის აზრით, ღმერთს „შეუძლია, ჯოჯოხეთიდან ამოიყვანოს ის ადამიანებიც კი, რომლებიც მიწიერ ცხოვრებაში უარყოფდნენ მას და ეწინააღმდეგებოდნენ.“<sup>74</sup>

სხვა მართლმადიდებელი მოაზროვნის, სან-ფრანცისკელი მიტროპოლიტის, იოანე შახოვსკოის აზრითაც, წმინდა წერილი, კერძოდ კი სახარებისეული იგავი მდიდრისა და ლაზარეს შესახებ სულიერ სამყაროში ფერისცვალების შესაძლებლობის იმედს იძლევა, რადგან „ამქვეყნად უმოწყალო ადამიანმა იმქვეყნიურ ტანჯვათა შორის შეიძინა ახალი, მასში მანამდე არარსებული ჰუმანური თვისებები...“<sup>75</sup>.

### ლიტურგიკული ღვთისმეტყველება

აპოკატასტასური შეხედულებები ლიტურგიკულ ტექსტებშიცაა გამოთქმული, რომლებიც „ჯოჯოხეთიდან ყველა იქ მყოფთა შესაძლო<sup>76</sup> გამოხსნაზე მიუთითებს: ‘დღეს ჯოჯოხეთი სულთქმით ჰგოდებს სიმწრით, დაიხსნა ფლობა ჩემი, რამეთუ ჰმსგავსად მოკვდავთა შევიწყნარე მხსნელი, რომლისა მიხედუა ვერ ძალმიძს, არამედ წარვსწყმედ მათცა, რომელთა ზედა ვსუფევდი, რამეთუ მაქუნდეს საუკუნითგან სულნი კაცთაგანნი და ესე (ამათ) ყოველთა აღადგინებს’ (Стихиры великой субноты: Триодъ постная. Л. 487 На оброте). ‘და რომელთა იგი ზედა ჰსუფევდი წარვჰსწყმიდენ, და რომელნიცა ჰშთამენთქნეს წარმოვსთხივნენ (ანუ გაანათავისუფლა ყველა, ვისი შთანთქმაც მანამდე შეძლო)’ (იქვე).“<sup>77</sup> დიდი შაბათის კანონში, „ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ ჯოჯოხეთის ხელმწიფება მასში მყოფთა მიმართ არ არის სამუდამო: ‘ჰმეუფებდა ჯოჯოხეთი პირველ, ნათესავსა ზედა ჩუენსა, არამედ არა დაადგრა.’“<sup>78</sup> (ეს ბოლო ფრაზა რუსულ ენაზე უფრო საინტერესოდ და ხატოვნად ჟღერს, ვიდრე ქართულ თარგმანშია: „Царствует ад, но не вечнует над родом человеческим“).

აგრეთვე წმინდა რომანოზ მელოდოსის ერთ-ერთ კონდაკში ქრისტე შემდეგი სიტყვებით მიმართავს ჯოჯოხეთს: „...არა მხოლოდ იმათ მომცემ შენ, რომლებიც აღვადგინე და ახლა გამოიმყავს, არამედ იმათაც, რომლებიც მომავალში გამოიგზავნებიან შენთან.“<sup>79</sup>

73 ალფევი, *სარწმუნოების*, 379.

74 ალფევი, *სარწმუნოების*, 402.

75 Шаховской, Иоанн. *Собрание Сочинений в Двух Томах*. том I. М., 1999, 272.

76 სიტყვა „შესაძლო“ ქართველი მთარგმნელის, ვლ. ჩხიკვაძის ჩამატებულია. წიგნის ორიგინალში ალფევი ამ სიტყვას არ იყენებს. ავტორისეულ ნააზრევში ქართველი მთარგმნელის/რედაქტორის უხეში ჩარევის, ერთგვარი „აპოკატასტასური ცენზურის“ სხვა მაგალითი იხ. ქვემოთ, „მცირე ჩანართში“.

77 ალფევი, *სარწმუნოების*, 398.

78 ალფევი, *სარწმუნოების*, 399.

79 Sources Chretiennes 128,594, ციტირ.: Алфеев, *Христос – победитель*, 310.

## საკვანძო სიტყვათა ადეკვატური შინაარსები

ამ თემაზე მსჯელობისას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკვანძო სიტყვის αἰώνιος მართებულ განსაზღვრას. სახარებაში (მათ. 18:8-9; 25:41,46) ნახსენები „მარადიული ცეცხლი“ — Πῦρ αἰώνιον [ფურ აიონიონ] და „მარადიული სასჯელი“ — κόλασις αἰώνιος [კოლასის აიონიოს] თითქოს აპოკატასტასურ სწავლებას ეწინააღმდეგება, მაგრამ „ამგვარი გამოთქმები აღნიშნავს არა მარადიულობას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ცეცხლი და მატლი ეკუთვნის არა ადამიანური გამოცდილებისთვის ნაცნობ მიწიერ სამყაროს, რომელშიც ცეცხლი შეიძლება ჩაქრეს და მატლი მოკვდეს, არამედ სხვა, αἰών სამყაროს. ზედსართავი სახელი αἰώνιος ბიბლიაში არ ნიშნავს 'მარადიულს', თუ ის არ უკავშირდება ღმერთს.“<sup>80</sup>

ამრიგად, αἰών, როგორც წესი, მიანიშნებს მიღმიერ, სულიერ სამყაროზე. შესაბამისად, ზედსართავი სახელი αἰώνιος აღნიშნავს ყოველივე იმას, რაც ტრანსცენდენტურ რეალობას მიეკუთვნება ან დასაზღვრული პერიოდისაა (ამ შემთხვევაში ის მიწიერ ცხოვრებასთან მიმართებაშიც შეიძლება გამოიყენებოდეს, მაგ., ამ ცხოვრებაში ანუ ამ αἰών-ში). პავლე მოციქული αἰώνιος-ს მომავალ ცხოვრებაზე საუბრისას იყენებს. მაგ., 2 კორ. 4:17-18 მუხლებში წერს, რომ ამ ხილულ და დროებით სამყაროში განცდილი ტანჯვის შედეგად საუკუნო დიდებას მოვიპოვებთ იმქვეყნიურ უხილავ სამყაროში. უხილავი სამყაროს აღსანიშნავად კი მოციქული სიტყვა αἰώνια-ს მოიხმარს. ახალი აღთქმის მსგავსად, ძველ აღთქმაშიც (სებუთაგინტა) αἰών ასევე ამ ქვეყანასაც მიემართება, „მაგრამ ასეთ დროს მას ყოველთვის აქვს ისეთი მსაზღვრელი, როგორცაა 'ეს αἰών', 'აწინდელი αἰών' და ა.შ. მაგ., იხ. 1 ტიმოთე 6:17 მუხლი: 'მდიდრებს ამ წუთისოფელში (αἰώνι) ამცნე'. თუ მას არ ახლავს მსაზღვრელი, მაშინ ეს ხილული ქვეყანა აღინიშნება სიტყვით κῆρυξ.“<sup>81</sup>

სხვათა შორის, სიტყვა „საუკუნო/საუკუნე“, რომელიც წმინდა წერილის ძველ ქართულ თარგმანებში გამოყენება, ნიშნავს არა მხოლოდ „მარადიულს, სამარადისოს“, არამედ ასევე „საიქიოს“ ან „სააქაოს“<sup>82</sup> მაგ., მათეს სახარების 12:32-ში ვკითხულობთ: „არა მიეტევოს მას არცა ამას საუკუნესა, არცა მერმესა.“ ეს ფრაზა ახალქართულად იქნებოდა: „არ მიეტევა მას არც ამქვეყნად, არც იმქვეყნად“ (ამგვარი მუხლების თანამედროვე ქართული თარგმანები ხშირად იმეორებს ძველქართულ სიტყვას „საუკუნე“). ლუკას სახარების 20:35 მუხლიც საყურადღებოა ამ კუთხით: „რომელნი-იგი ღირს იქმნეს საუკუნესა (αἰώνιος) მას მიმთხუევად და აღდგომასა მკუდრეთით, არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებოდიან“, რომელსაც ახალქართულად ამგვარი სახე ექნება: „ისინი, რომლებიც მომავალ ცხოვრებასა და მკვდრეთით აღდგომას ეღირსებიან...“ სხვა მაგალითი: „ძალი იგი მერმისა მის საუკუნისა (αἰώνιος)“ (ებრ. 6:5). ახალქართულად იქნებოდა: „მომავალი ცხოვრების (αἰώνιος) ძლიერება.“ კიდევ სხვა მაგალითი: „არა ხოლო თუ ამას სოფელსა (αἰώνι), არამედ მერმესაცა მას“ (ეფ. 1:21). ახალი ქართული: „არა მარტო ამ საწუთროში (αἰώνι), არამედ მომავალში.“ ქრისტიანული რწმენის სიმბოლოშიც გვაქვს ეს სიტყვა მომავალი, იმქვეყნიური ცხოვრების მნიშვნელობით: „მოველი... ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა.“

80 Ramelli, *Apokatastasis*, p. 26, 731.

81 Ramelli, *Apokatastasis*, 31-2.

82 აბულაძე, ილია. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბ., მეცნიერება 1973, 373.

ეს სიტყვა წმინდა წერილში მრავლობით რიცხვშიც გამოიყენება (მაგ., 1 კორ. 10:11; ეფ. 2:7; ეფ. 1:21), რაც გულისხმობს, რომ შეუძლებელია ის მარადიულობას ნიშნავდეს.<sup>83</sup> როგორც აღინიშნა, ის „მარადიულს“ მხოლოდ იმ დროს ნიშნავს, როცა ღმერთს, ღვთის სასუფეველს მიემართება. შესაბამისად, სახარებაში ნახსენები „αἰώνιος ცეცხლი“ (თანამედროვე ენებზე მცდარად რომ ითარგმნება, როგორც „მარადიული“) მხოლოდ იმ ცეცხლს ნიშნავს, რომელიც სულიერი სამყაროს კუთვნილებაა და არა ონტოლოგიურად მარადიულ ცეცხლს. ეს ყოველივე ბერძნულენოვანი ეკლესიის მამების უმეტესობამ შესანიშნავად იცოდა<sup>84</sup>. ვინსენტის თანახმად, სიტყვა αἰώνιος ასორმოცდაათჯერ გამოიყენება ძველი აღთქმის ტექსტში (სეპტუაგინტა) და აქედან უმრავლეს (ოთხი-მეხუთედი) შემთხვევაში ის აღნიშნავს დასაზღვრული დროის მონაკვეთს.

სახარებისეული სიტყვები „დაუძინებელი მატლისა“ და „დაუშრეტელი ცეცხლის“ შესახებ, გრიგოლ ნოსელის აზრით, არ უნდა გვესმოდეს ბუკვალურად და მატერიალური გაგებით. ამასთან ისინი მიუთითებენ არა მარადისობაზე, არამედ ტანჯვის ხარისხზე (ცეცხლი დაუშრეტელი, რომლის ჩაქრობა და შესუსტება ადამიანს არ შეუძლია).<sup>85</sup> გრიგოლი ხანგრძლივი პერიოდის აღსანიშნავად სიტყვას αἰώνιος იყენებს, ხოლო მარადისობას მოიხსენიებს სიტყვით ἀπειριος (უსაზღვრო, უსასრულო) ან ἀίδιος (მუდმივი, მარადიული).<sup>86</sup> სიტყვა αἰώνιος ზოგადად ბერძნულენოვანი მამების მიერ, როგორც წესი, გამოიყენება მომავალი ცხოვრების აღსანიშნავად, მაგრამ ჯოჯოხეთის ტანჯვასთან მიმართებით სიტყვას ἀίδιος ისინი არ იყენებდნენ. სხვათა შორის, ამ კონტექსტში ლათინური თეოლოგია მხოლოდ ერთი სიტყვით ოპერირებდა „aeternus“.<sup>87</sup> ბიბლიის ლათინურ თარგმანში „ვულგატა“ ბერძნული გამოთქმა Πῦρ αἰώνιος ნათარგმნია როგორც ignis aeternus, რაც არაზუსტია, რადგან ეს უკანასკნელი ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად „მარადიულ ცეცხლს“ ნიშნავს.<sup>88</sup>

ახალ აღთქმაში სიტყვა ἀίδιος იუდას ეპისტოლეშიც გამოიყენება (1:6 მუხლი), რომელშიც საყოველთაო სამსჯავრომდე დაცემული ანგელოზებისთვის ბორკილების დადებაზეა საუბარი». ილარია რამელი ამ შემთხვევაზე მითითებისას წერს, რომ აქ საუბარია დემონების და არა ადამიანების მარადიულ ბორკილებზე.<sup>89</sup> მართლაც, წმინდა წერილის თანახმად, ე.წ. ცეცხლის ტბა სწორედ დემონებისთვისაა შექმნილი და არა ადამიანებისთვის.

მაგრამ იუდა მოციქულის მიერ ხსენებულ კონტექსტში გამოყენებულ ამ სიტყვას მსურს დავურთო შემდეგი ჩემეული მსჯელობა: შეუძლებელია ახალი აღთქმის ამ სიტყვებში ანტიპოკატასტასური აზრი იქნეს ამოკითხული. იუდა მოციქული წერს, რომ ღმერთმა დემონები „მარადიული ბორკილებით შემოინახა წყვდიადში, რათა გაასამართლოს დიად დღეს“. თითქოს მინიშნებაა რაღაც დროებით ზომაზე, რომლის შემდეგ არ ჩანს როგორ ვითარდება პროცესი — ის

83 Vincent, Marvin. *Vincent's Word Studies in the New Testament*. Vol. IV. Peabody, MA: Hendrickson Publisher's 2009, 58.

84 Ramelli, Ilaria and David Konstan. *Terms for Eternity: Aionios and Aidios in Classical and Christian Texts*. Piscataway, NJ: Gorgias Press 2013, 237.

85 Оксияк, *Эсхатология*, 383-4.

86 Оксияк, *Эсхатология*, 386.

87 Ramelli and Konstan, *Terms*, 120.

88 Ramelli, *Apokatastasis*, 32.

89 Ramelli, *Apokatastasis*, 32.

იდუმალეებითაა მოცული. მით უმეტეს არანაირი უწყება არაა, რომ ამ გარდამტეხი მომენტის შემდეგ სხენებული „ბორკილებით“ ვინმე მარადიულად იქნება შებოჭილი. განა გამორიცხულია, რომ მარადიული ბორკილები შეიძლება მარადიულად არ ედოს ვინმეს? გარკვეული ინსტრუმენტის სიძლიერე და ექსპლუატაციის ვადა ხომ აუცილებლობით არ გულისხმობს მის გამოყენებას იგივე სიძლიერითა და მითითებული ვადით ყველა შემთხვევაში? ამრიგად, თუკი ვინმე მაინც დაიწყებს ჯოჯოხეთის მარადიულობის მტკიცებას, რატომ არ შეიძლება იმის დაშვება, რომ იქ მარადიულად არ იმყოფებოდეს განსაკუთრად მოხვედრილი სული?

ვფიქრობ, აღნიშნული ორ ტერმინი იმსახურებს სხვა აღიარებულ ლექსიკონებში გადამოწმებასაც. მაგ., ლემფის პატრისტიკულ ლექსიკონშიც სიტყვა αἰών ნიშნავს „ეოქას“, „ერას“, „ეონს“, „მარადისობას.“ იქვე დამოწმებული ილუსტრაციების მიხედვით, სიტყვა გულისხმობს „ხანგრძლივ, მაგრამ განსაზღვრულ პერიოდს“, „აწინდელ ცხოვრებას ანუ საუკუნეს“, „მომავალი ცხოვრებას ანუ საუკუნეს.“ ერთ-ერთი საილუსტრაციო წყაროს მიხედვით (Or.princ. 3.1.2, p.241.2; M.,II.300A), სიტყვა ასევე შეიძლება გულისხმობდეს მომავალი სულიერი სამყაროს საუკუნეთაგან/პერიოდთაგან (ეონთაგან) ერთ-ერთს, რომელშიც სული განწმენდის პროცესს გაივლის<sup>90</sup>. ლექსიკონის მიხედვით, αἰών შეიძლება ნიშნავდეს ასევე მარადიულსაც, ოღონდ წინდებულთან ერთად. ამასთან, იქვე წერია, რომ, ამ შემთხვევაშიც, ეს წინდებულიანი სიტყვა „აუცილებლად როდი იფარგლება იმ საგნებით, რომლებიც მარადიულია“ (...not strictly confined to things which are eternal).<sup>91</sup> როგორც უკვე აღინიშნა, წმინდა მამებთან ეს სიტყვა მხოლოდ მაშინ აღნიშნავს მარადისობას, როცა ის მიემართება ღმერთს ან ღვთის სასუფეველს და არა რაიმე ანტიღვთაებრივს.

რაც ეხება მისგან ნაწარმოებ სიტყვას αἰώνιος, კერძოდ კი მის ერთ-ერთ მნიშვნელობას: „მარადიული“ ამ შინაარსით ის გამოიყენება ღვთის ბუნებასთან, სამებასთან, ანგელოზებთან, ღვთაებრივ პრინციპებთან, ღვთის გამოცხადებასთან და სხვა კეთილი ბუნების მქონე საგნებთან/მოვლენებთან მიმართებით.<sup>92</sup> სიტყვა ასევე შეიძლება ნიშნავდეს „გაურკვეველი პერიოდით გაგრძელებას, მაგრამ არა მთლად მარადიულობის გაგებით.“<sup>93</sup> სიტყვა αἰώνιος გამოიყენებოდა აგრეთვე იმპერატორებისა და დედოფლების ტიტულატურაშიც.

ამავე პატრისტიკულ ლექსიკონში სიტყვა αἰώνιος ცალსახად განმარტებულია, როგორც „მარადიული“, „დაუსრულებელი“. არანაირ ფორმითა და ლინგვისტური ან თეოლოგიური დათქმებით ის არ გულისხმობს დროებითობას<sup>94</sup> და როგორც ილარია რამელი შენიშნავს, ბიზანტიელ მამებთან სწორედ ეს სიტყვა გამოიყენება ღმერთთან, ღვთის სასუფეველთან და არა ბოროტებასთან, ჯოჯოხეთთან მიმართებით (გარდა მოციქულის მიერ ზემოთ ნახსენები შემთხვევისას, რასაც სათანადო განმარტება დაერთო).

ამ სიტყვათა განსხვავებულ განმარტებებს არ გვაძლევს არც TLG<sup>95</sup> და არც Greek-English Lexicon. ამ უკანასკნელ ლექსიკონში საინტერესო დეტალია

90 Lampe, G.W.H. *A Patristic Greek Lexicon*. Oxford: Clarendon Press 1961, 55.

91 Lampe, *Patristic*, 56.

92 Lampe, *Patristic*, 56.

93 Lampe, *Patristic*, 57.

94 Lampe, *Patristic*, 47.

95 Stephanus, Henricus. *Thesaurus Graecae Linguae*. Parisiis 1831, 925-6, 1126-7.

ხაზგასმული: მართალია, ზოგჯერ αἴσιος ნიშნავს მარადიულსაც, მაგრამ ამ სიტყვის ამგვარი მნიშვნელობა მაინც განსხვავდება αἴσιος-ის მარადიულობის მნიშვნელობისგან<sup>96</sup>, რომელსაც აბსოლუტური ხასიათი აქვს.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი სიტყვის მნიშვნელობანი უფრო მეტად თეოლოგიურ და არა ფილოლოგიურ ქრილში წყდება: მარადისობა მხოლოდ ღმერთშია, მხოლოდ მისი თვისებაა, სუბსტანციის არმქონე ბოროტება კი ვერ იქნება მარადიული. თუ მაინცდამაინც მხოლოდ ფილოლოგიურ დონეზე განვიხილავთ ამ სიტყვებს, ამ შემთხვევაშიც კი საკმაოდ ნათელია სურათი: სიტყვა αἴσιος, პირველ რიგში, მიანიშნებს იმპერეციური სულიერი სამყაროს რეალობაზე, საიქიოზე. ასე რომ, ამ სიტყვასთან მიმართებით ოდენ მარადისობა-დროებითობის დიქტომიის სიბრტყეში ჩარჩენა მცდარია. როდესაც ქრისტე ამბობს, ცოდვილები „აიონიოს“ (იმპერეციური) ტანჯვაში წავლენ, მართლები კი „აიონიოს“ (იმპერეციური) ბედნიერების ადგილას, აქ მხოლოდ ის იგულისხმება, რომ ეს ორივე მდგომარეობა იმ სამყაროს ეკუთვნის, ხანგრძლივობაზე ყოველგვარი მითითების გარეშე. თუმცა იგულისხმება, რომ მარადიული მხოლოდ ღვთაებრივი რეალობა შეიძლება იყოს.

აიონიოს-აიდიოსის განსხვავებასთან ერთად, საინტერესოა ასევე სიტყვის κίλασις შინაარსიც (ე.წ. „მარადიული სასჯელი“; κίλασις αἴσιος). რამელის მითითებით, ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს დროიდან იყო ცნობილი, რომ სიტყვა κίλασις მიანიშნებდა იმგვარ სასჯელზე, რომელიც დასჯილის და არა დამსჯელის ინტერესებშია. ამ სიტყვით აღინიშნებოდა სასჯელი, რომელიც კეთილისმყოფელია და დადებითად მოქმედებს დასჯილზე, რადგან ეს უკანასკნელი მის შედეგად რეაბილიტირდება. მოციქულთა მიერ სწორედ ეს სიტყვა გამოიყენება. ამის საპირისპიროდ ბერძნულში არსებობდა სიტყვა τιμωρία, რომელსაც შურისმაძიებელი სასჯელის აღსანიშნად მოიხმარდნენ. ამგვარი სასჯელი დამსჯელის კმაყოფილებას იწვევდა.<sup>97</sup>

არანაკლებად საინტერესოა აგრეთვე სიტყვა გენა (γέεννα), რომელიც, მასპეროს მითითებით, ადრეულ ქრისტიანულ სამყაროში არა მარადიულ სასჯელზე, არამედ შუალედურ განმწმენდ მდგომარეობაზე მიანიშნებდა. ამისგან განსხვავებით, არსებობდა სიტყვები ადი და χασμα, რომლებიც თავად ჯოჯოხეთის აღსანიშნად გამოიყენებოდა<sup>98</sup>. ძველი აღთქმის პერიოდიდან ებრაულად ge-hinnom ეწოდებოდა იერუსალიმის გარეთ არსებულ ერთ დაბლობს, სადაც ძველთაგანვე საკუთარ შვილებს ცოცხლად წირავდნენ კერპების წინაშე. კერპთაყვანისმცემლობის მოსპობის შემდეგ ეს ადგილი მაინც მძიმე სანახავი იყო იქ დაყრილი ცხოველებისა და ადამიანების (კრიმინალების) გვამების გამო.<sup>99</sup> ამრიგად, ტოპონიმმა „გენა“ ესქატოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა და როგორც პაპიოანოუმ სათანადო ფილოლოგიური ანალიზით დაადგინა, ახალი აღთქმის ტექსტში გენის ტანჯვა ცოდვილი სხეულის დასჯას უკავშირდება.<sup>100</sup> მკვლე-

96 Liddell, Henry and Robert Scott. *A Greek-English Lexicon*. A New Edition. Oxford: Clarendon Press 1953, 45.

97 Ramelli, *Apokatastasis*, 32.

98 Maspero, Giulio. „Apokatastasis“, in: *The Brill Dictionary of Nyssa*. Edited by Lucas Francisco Mateo-Seco and Giulio Maspero, trans. Seth Cherny. Leiden: Brill 2010, 57.

99 Papaioannou, Kim. *The Geography of Hell in the Teaching of Jesus: Gehena, Hades, the Abyss, the Outer Darkness Where There is Weeping and Gnashing of Teeth*. Eugene: Pickwick 2013, 6.

100 Papaioannou, *Geography of Hell*, 24.

ვარი ბერძნული სიტყვების ბრწყინვალე გრამატიკული ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ სახარებისეული სიტყვები გენის დაუშრეტელი ცეცხლის შესახებ (მარკ. 9:44) არ გულისხმობს მარადისობას<sup>101</sup>. ცხადია, გარდა გენისა, წმინდა წერილში არსებობდა მწუხარების საიქიო „ადგილების“ აღმნიშვნელი სხვა სიტყვებიც: შეოლი, ჰადესი, გარესკნელი, წყვდიადი, უფსკრული, ტარტაროზი.

## აღმოსავლელი ეკლესიის მამები

### გრიგოლ ნოსელი

საყოველთაო ცხონების შესახებ პატრისტიკულ მემკვიდრეობაზე მსჯელობისას, რასაკვირველია, პირველ რიგში, გრიგოლ ნოსელი<sup>102</sup> სახელდება. წმინდა მამის აპოკატასტასური ციტატები მის სხადასხვა ნაშრომში მოიპოვება. ყველაზე მეტი ინტენსივობით გრიგოლი საყოველთაო გადარჩენის საკითხს შემდეგ ორ თხზულებაში განიხილავს *De anima et resurrection*<sup>103</sup> და *In illud: Tunc et Ipse Filius*.<sup>104</sup> ამ უკანასკნელ ნაშრომში, მაგ., წმინდანი სრულიად გარკვევით წერს, რომ „არცერთი არსება არ დარჩება ცხონებულთა მიღმა“<sup>105</sup>. სხვა ადგილას წმინდა გრიგოლი მოციქულის სიტყვებს ეყრდნობა, რომლის თანახმად დადგება დრო და ღმერთი „ყველაფერში ყველაფერი“ იქნება. წმინდა მამა თითქოს მათ პასუხობს, რომელნიც მომავალში შეიძლება ცდუნების წინაშე აღმოჩენილიყვნენ და მოციქულის სიტყვები ისააკ ასურის მიერ გრიგოლის გარდაცვალებიდან ორი საუკუნის შემდეგ გამოთქმული ცნობილი აზრის საფუძველზე განემარტათ, რომ ღმერთი ყველგანაა, მათ შორის ჯოჯოხეთშიც, სადაც ცოდვილთათვის სწორედ ღვთის სიყვარული იქცევა ტანჯვად. მაგრამ ნოსელი მოაზროვნე ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას არ ტოვებს, როცა აზუსტებს: „ღმერთი ‘ყველგან და

101 Papaioannou, *Geography of Hell*, 33.

102 გრიგოლ ნოსელის აპოკატასტასისის შესახებ მოხსენებით წარვდექი 2010 წლის 2 ივნისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ქრისტიანული კაზადოკია და კავკასია“ მოხსენების სათაურით: „დაგმობილია თუ არა ეკლესიის მიერ გრიგოლ ნოსელისეული აპოკატასტასისი?“. მოხარული ვარ, რომ მოგვიანებით, ამ საკითხით დაინტერესებულმა მაგისტრანტმა, ნინო დათაშვილმა 2015 წელს, გრიგოლ ნოსელის აპოკატასტასურ შეხედულებების კვლევას (ძველი ქართული თარგმანების მიხედვით) მიუძღვნა სამაგისტრო ნაშრომი: დათაშვილი, ნინო. აპოკატასტასისის თეორია გრიგოლ ნოსელის თხზულებებსა და მათ ქართულ თარგმანებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული სამაგისტრო ნაშრომი. სამეცნიერო ხელმძღვანელი სრული პროფესორი თამაზ კოჭლამაზაშვილი თბ., 2015, 68გვ. ელ-ვერსია: <http://eprints.iliauni.edu.ge/3353/>

103 Gregory of Nyssa. *On the Soul and the Resurrection*. Translated by Catharine P. Roth. Crestwood, NY: SVS Press, 1993, 130p.

104 ქართულად გრიგოლ ნოსელის აღნიშნულ ტექსტს ეწოდება „განმარტებაი სიტყვისაი მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“, რომელიც გამოსცა პროფესორმა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა. იხ.: წმინდა გრიგოლ ნოსელი. ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმინდა დავით აღმაშენებლის ეკლესიის გამოცემა. თბ., 2002, 32გვ. სამწუხაროდ, ტექსტის მთარგმნელი არცერთ ხელნაწერში არაა მითითებული.

105 Gregory of Nyssa. *In illud*, 21 Downing, ციტირ.: Ramelli, *Apokatastasis*, 376.

ყველაფერში იქნება მხოლოდ მაშინ, როცა არცერთ არსებაში აღარ იქნება შე-  
საძლებელი ბოროტების რაიმე კვალის აღმოჩენა.<sup>106</sup>

გრიგოლის ნაშრომი „სულისა და აღდგომის შესახებ“<sup>107</sup> მაკრინასთან დი-  
ალოგია, რომელსაც ლეიტმოტივად გასდევს საყოველთაო აღდგენის თემა. ამ  
ნაშრომის მეშვიდე პარაგრაფში ნათქვამია, რომ ღმერთმა თავისი სიბრძნით ისე  
მოაწყო, რომ სიკეთეს გამოაცალკეებს ბოროტებისგან, რათა პირველის მეშვე-  
ობით ყოველი არსება ნეტართა კრებულს აზიაროს და რომ ჯოჯოხეთის „აგონია  
ყოველ ინდივიდში არსებული ბოროტების ოდენობის მიხედვით გაიზომება.“<sup>108</sup>

სხვაგან გრიგოლი წერს:

„როგორც განსაწმენდელი ცეცხლით ნადგურდება უვარგისი მატერია, ზუს-  
ტად ასევე აუცილებელია, რომ სულმა, რომელიც ბიწიერებას შეერთო, დაჰყოს  
ცეცხლში იქამდე, ვიდრე სრულიად არ აღმოფხვრის მასში ცეცხლი შეძენილ  
ბიწს, უწმინდურებასა და უვარგისობას.“<sup>109</sup>

გრიგოლ ნოსელის სხვა მოსაზრება:

„...როდესაც ბოროტების ბუნება არაყოფიერში აორთქლდება და ამგვარად  
სრულიად განქარდება ყოფიერებიდან, მაშინ ღვთაებრივი და წმინდა ბუნება  
საკუთარ წიაღში შემოიკრებს ყველა რაციონალურ არსებას და ვერანაირი ბო-  
როტება ვერ გაეკარება ღვთის უსასრულო სამეფოს. როდესაც ქმნილ არსებებში  
ფესვგადგმული ყველანაირი ბოროტება აღმოიფხვრება, როგორც გაუფუჭებული  
ნივთიერება იბუგება ცეცხლით, მაშინ ყოველივე, რაც ყოფიერებაში ღვთის ნე-  
ბითაა შემოსული, დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას, რომელიც ჯერ კი-  
დეც არ იყო ბოროტებასთან შეზავებული.“<sup>110</sup>

აპოკატასტასური სწავლების თვალსაზრისით, ნოსელი ეპისკოპოსი ადამი-  
ანის ბუნების შესახებ იმდენად საინტერესოდ წერს თავის ტრაქტატში „შესაქ-  
მისათვის კაცისა“ (21-ე თავი), რომ ამ ნაშრომიდანაც შესაბამისი ციტატა უნდა  
იქნეს დამოწმებული:

„ბოროტება იმდენად ძლიერი არაა, რომ სიკეთის ძალას აღემატოს. არც ჩვე-  
ნი ბუნების უგუნურებაა უკეთესი და უფრო საიმედო ღმრთის სიბრძნეზე, რად-  
გან შეუძლებელია, რომ მოქცევადი და ცვალებადი იმაზე, ვინც მარადის იგივეა  
და კეთილსა შინა განმტკიცებული, უფრო ძლიერი და მტკიცე იყოს. საღმრთო  
განზრახვა ყველგან და ყოველთვის უცვალებელია, ხოლო ცვალებადობა ჩვე-  
ნი ბუნებისა მტკიცე არც ბოროტებასა შინა რჩება (...) უკეთუ იგი (კაცობრივი

106 Gregory of Nyssa. *In illud*, 17 Downing, ციტირ.: Ramelli, *Apokatastasis*, 377.

107 ექვთიმე ათონელის ძველ ქართულ თარგმანში წმინდა გრიგოლის ეს ნაშრომი სხვაგ-  
ვარადაა დასათარგმნებული. იხ.: გრიგოლ ნოსელი. ძიებანი სულისათვის დისა თვისისა  
მაკრინას თანა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005 წლისათვის: ნათლის-  
მცემლის წელიწდეული. თბ., 2004, გვ. 166-197. ტექსტი გამოცემულია პროფესორ  
ექვთიმე კოჭლამაზაშვილის მიერ. სამწუხაროდ, წმინდა ექვთიმემ ამ ნაშრომიდანაც  
ამოიღო აპოკატასტასური ადგილები, მსგავსად მის მიერვე თარგმნილი გრიგოლ ნო-  
სელის „ღიღი კატექეტიური სიტყვისა“ და სხვა ნაშრომებისა (იხ. ქვემოთ).

108 Patrologia Graeca, ed. Migne 46.100; Nicene and Post-Nicene Fathers, 2<sup>nd</sup> series, vol.  
5, p. 451, ციტირ.: Trumbower, Jeffrey. *Rescue for the Dead: The Posthumous Salva-  
tion of Non-Christians in Early Christianity*. Oxford, New York: Oxford University  
Press, USA 2001, 122.

109 PG 46, 97C-100A, ციტირ.: ალფვევი, *სარწმუნოების*, 403.

110 Gregory of Nyssa, *tunc et ipse* GNO III/2, (13,22-14,7), ციტირ.: Zachhuber, *Gregory of  
Nyssa*, 209.



ბუნება) საწინააღმდეგოსაკენ მიიღრია, როცა ბოროტების სარბიელს დაასრულებს და ბოროტების უკიდურეს ზღვარს მიაღწევს, მარადიული მოძრაობა სწრაფვისა, ბუნებიდან გამომდინარე, ვერ იპოვნის რა ვერანაირ ღონეს დადგომისა და ასპარეზიც ბოროტებისა გარბენილი იქნება, მოძრაობის აუცილებლობით სიკეთისაკენ მიაქცევს. რადგანაც ბოროტების წინსვლა არა უსაზღვროა, არამედ უცილობელი საზღვრებითაა შემოსაზღვრული, შესაბამისად, ბოროტების ამ ზღვარს მემკვიდრედ სიკეთე მოსდევს.<sup>111</sup>

ამავე ნაშრომის ბერძნული დედნის 26-ე თავის მეოთხე ქვეთავში, – რომელიც ქართველ მთარგმნელს, ექვთიმე ათონელს მთლიანად გამოტოვებული აქვს, რადგან მას ორიგენისტულ გავლენას უკავშირებდა, – გრიგოლ ნოსელი ჯოჯოხეთის არამარადიულობისა და ყველა არსების (დემონების ჩათვლით) განწმენდაზე საუბრობს.

გრიგოლ ნოსელისთვის სიკეთე, სათნოება, ღვთაებრივი რეალობა უსასრულოა, უსაზღვროა, რომელიც მხოლოდ საპირისპიროს (სიბნელე, ბოროტება, სიკვდილი, ხრწნა) შემოსვლით შეიძლება დაისაზღვროს. ამით კი ირღვევა, ასე ვთქვათ, ღვთის უსაზღვრო სამეფოს სუვენერობა, მთლიანობა, სრულყოფილება. „სრულყოფილება კი თავისთავად გულისხმობს, რომ იგი არ შეიწყნარებს საპირისპიროს.“<sup>112</sup> გრიგოლის აზრით, დადგება დრო, როდესაც სულს მოყირჭდება ბოროტება და ამის გამო იგი თავის ნებას სიკეთისკენ მიმართავს, რადგან ღვთის ქმნილების ბუნებაში. გრიგოლ ნოსელი ასევე ეყრდნობოდა ფსალმუნის 36:10 მუხლს (“კიდევ ცოტა და აღარ იქნება ბოროტი; დაუკვირდები მის ადგილს და აღარ იქნება იგი”), როდესაც აცხადებდა, რომ ცოდვა განადგურდება და ამიტომ მისგან გამომდინარე ტანჯვაც შეწყდება.<sup>113</sup>

გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიური ღვთისმეტყველების განხილვისას, კიპრიანე კერნი წერს: „ეს პროცესი მომავალი განმწმენდი ცეცხლისა, გრიგოლის შეხედულებით, წარმოადგენს ღვთისაკენ ადამიანის ნების თავისუფალი მობრუნების აქტს... ცეცხლი ადამიანისათვის განმწმენდელი ხდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი გულწრფელად მოინდომებს ცოდვასთან განშორებას.“<sup>114</sup>

მართლმადიდებელი თეოლოგი, გიორგი ფლოროვსკი კი წმინდა გრიგოლის ანალოგიურ მოსაზრებაზე შემდეგს აღნიშნავს: „ეს არ არის რაღაც გარეგნული და ძალადობრივი პროცესი. ჯოჯოხეთის მკურნალობაშიც ნარჩუნდება ადამიანის თავისუფალი ნება: ცეცხლით სინანული აღიძვრება (...) სიკვდილის საზღვრის მიღმა იფანტება ცოდვის სიცრუე და ჭეშმარიტების სიცხადე სულის შემძვრელია, რაც სულის მოქცევას იწვევს, სუსტდება ბოროტი ნების ჯიუტობა.“<sup>115</sup>

111 გრიგოლ ნოსელი, *შესაქმისათვის კაცისა*, 354; გრიგოლ ნოსელის ამ ნაშრომის ძველი ქართული თარგმანი ძველ ხელნაწერთა მიხედვით საუკეთესოდ არის დადგენილი ექვთიმე (თამაზ) კოჭლამაზაშვილის მიერ. იხ.: კოჭლამაზაშვილი, ექვთიმე. *„გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებისა ‘დაბადებისათვის კაცისა’“*; ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი №2, 2009, 54-235 (ზემოთ ციტირებული სიტყვები ხსენებულ ძველქართულ თარგმანში იხ.: გვ. 176-7).

112 აფციაური, თამარ. *„უსასრულობის იდეა გრიგოლ ნოსელის ‘მოსეს ცხოვრების’ მიხედვით (საკითხის კვლევის ისტორია)“*; ANAΘEΣIΣ: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის საიუბილეოდ. რედ.: რ. გორდენიანი. თბ., ლოგოსი 1999, 43.

113 Оксийук, *Эсхатология*, 384.

114 Керн, Киприан. *Антропология Григория Паламы*. М., 1996, 165.

115 Флоровский, *Восточные*, 178.

ამრიგად, ბოროტის არჩევა გამოწვეულია უმეცრებით, ცოდნის ნაკლებობით. ამიტომ ამგვარი არჩევანი რეალურად არც არის თავისუფალი არჩევანი. სრული ცოდნის პირობებში ადამიანი არ იხრება ბოროტებისკენ, რადგან ნათლად აღიქვამს მის ბუნებას. ასე აკავშირებს გრიგოლი თავისუფალი ნების პრინციპსა და ღმერთთან აუცილებელი დაბრუნების იდეას.

ამ კონტექსტში ასევე უნდა იქნეს მოხსენიებულნი ის მკვლევარებიც, რომლებიც აპოკატასტასურ სწავლებაში თავისუფალი ნების ფაქტორს გამორიცხავენ. იოანე მეინდორფი ბოლო ჟამის შესახებ გრიგოლ ნოსელის სწავლებაზე მსჯელობისას, აღნიშნავდა, რომ აპოკატასტასისი „თავისი არსით, თავისუფლების კონცეფციას ეწინააღმდეგება.“<sup>116</sup> სამწუხაროდ, ავტორი არავითარ დიფერენცირებას არ გვთავაზობს ორიგენესეულ, ორიგენისტულ და ნოსელისეულ აპოკატასტასისებს შორის, აცხადებს რა, რომ თუკი არსებობს თავისუფალი ნება, მაშინ ჯოჯოხეთის მარადიულობაც რეალურია მათთვის, რომლებიც ჯიუტად არ აირჩევენ ღმერთთან ერთობას. თავის სხვა ნაშრომში მეინდორფი იგივეს იმეორებს: „ძირითადი მიზეზი, რის გამოც აპოკატასტასისი შეუთავსებლად ჩაითვა-ლა ადამიანის საბოლოო ხვედრის ქრისტიანულ გაგებასთან, ის იყო, რომ ორიგენეს იდეა გულისხმობდა ადამიანის თავისუფლების რადიკალურ შეზღუდვას.“<sup>117</sup>

მაგრამ არაორიგენისტული აპოკატასტასისისადმი ამგვარი არაფოკუსირებული მიდგომა ვერ გამოხატავს მის მთავარ არსს, რომელიც სწორედ რაციონალური ქმნილების მიერ საკუთარი ნების თავისუფალ ცვლილებას გულისხმობს. ეკლესიის ის მამები, რომლებიც აპოკატასტასურ შეხედულებებს გამოთქვამდნენ, გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ თავისუფალი ნების გაუთვალისწინებლობას, მის გამორიცხვას ყველა არსების ღმერთთან დაბრუნების პროცესში.<sup>118</sup> შეუძლებელია სულის გაუცნობიერებელი, ავტომატური ან იძულებითი ტრანსფორმაცია. მაგ., მაქსიმე აღმსარებელი სწორედ ამგვარ აპოკატასტასურ ავტომატიზმს ეწინააღმდეგებოდა, რომელიც ორიგენიზმისთვის (არა ორიგენესთვის) იყო დამახასიათებელი.<sup>119</sup> იხილეთ ასევე გრიგოლ ნოსელისა და სხვა მამების ანალოგიური მოსაზრებანი.

გრიგოლ ნოსელისეული აპოკატასტასისის განსხვავებულობა ორიგენისტულისგან არა მხოლოდ თავისუფალ ნებაზე გადის. როგორც აღინიშნა, გრიგოლი არ იზიარებდა მოსაზრებას სულების წინასწარარსებობის შესახებ. მისთვის ასევე უცხო იყო, მაგ., ორიგენისტული იდეა ღვთის ძალის შემოსაზღვრულობისა და, შესაბამისად, მისი წვდომადობის შესახებ „ინტელექტუალური გზით.“<sup>120</sup> ასევე ნოსელი მოაზროვნე არ იზიარებდა ორიგენეს იდეას სულიერი დაცემის შედეგად მისი მატერიალური სხეულით შემოსვასთან დაკავშირებით.<sup>121</sup>

116 მეინდორფი, იოანე. *წმინდა მამათა ღვთისმეტყველების შესავალი*. ნაწილი მეორე. რუსულიდან თარგმნა როლანდ-რომილე ჩხეიძემ. თბ., 2017, 103.

117 Мейендорф, Иоанн. *Византийское Богословие*. Минск, 2001, 314.

118 Sachs, John. "Apokatastasis in Patristic Theology", *Theological Studies*, 54:4, 1993, 640.

119 Amb. 42.1329AB, Ramelli, *Apokatastasis*, 745-6.

120 ავციანური, თამარ. *გრიგოლ ნოსელის "მოსეს ცხოვრება" და მისი ძველი ქართული თარგმანი*. 10.01.2004. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2004, 16.

121 Ludlow, Morwenna. *Universal Salvation: Eschatology in the Thought of Gregory of Nyssa and Karl Rahner*. Oxford, N. Y.: Oxford University Press 2000, 37.

გრიგოლ ნოსელი თავის სხვა ფუნდამენტურ ნაშრომში, „დიდ კატექეტურ სიტყვაშიც“ გამოთქვამდა აპოკატასტასურ მოსაზრებებს, კერძოდ, მე-8, 25-ე და 35-ე თავებში. წმინდანი გვაუწყებს, რომ „...თუ სული (ამქვეყნად) განუკურნებელი დარჩება, მკურნალობა მას მომავალ ცხოვრებაში განეკუთვნება“ (თავი VIII)<sup>122</sup>. ცოტა ქვემოთ წერს: „...ჩვენი სულების ყველა (არაბუნებრივი) წანაზარდი, რომლებიც ვნებებთან თანაზიარობით გამკვრივებულა, განკითხვის ჟამს მოიკვეთება და განიგდება მკურნალის გამოუთქმელი სიბრძნითა და ძლიერებით.“<sup>123</sup> აგრეთვე ოცდამეექვსე თავში აღნიშნავს, რომ ღვთაებრივი ენერგია ცეცხლივით მოქმედებს, რომელიც კეთილი საწყისისგან გამოყოფილ ბოროტებას წვავს და ანადგურებს, რაც მტკივნეულია, აგონიისმიერია.

35-ე თავში კი გრიგოლი არანაკლებ ცხად მსჯელობას გვთავაზობს:

„ნათლისღების საბანელში მეორედ შობის გარეშე შეუძლებელია აღდგომა ადამიანისა, ანუ აღდგენა ნეტარი და საღმრთო მდგომარეობისა (ἀποκατάστασις), რომელიც განშორებულია ყოველგვარი მწუხარებისგან. რამეთუ ყველა მათგანი, ვინც აღდგომით კვლავ უბრუნდება არსებობას, როდი შედის იმავე ნეტარ ცხოვრებაში; არამედ დიდი შუალედია განწმენდილთა და სიწმინდის მოქენთა [მსაჭიროებელთა, დ.თ.] შორის. ვინც ამ ცხოვრებაში განიწმინდა ნათლისღების საბანელით, ისინი მივლენ შესაფერის ადგილას; განწმენდილს უვნებელობა მიენიჭება, და რომ უვნებელობა ნეტარებაა — საექვო არ არის. მაგრამ რომელ კაცშიც განძინდნენ [დამძიმდნენ, გაუარესდნენ, დ.თ.] ვნებები და არ მომხდარა არავითარი განწმენდა სიბილწისა, არც საიდუმლოებრივი წყლით, არც საღმრთო ძალის მოწოდებით, არც სინანულისმიერი გამოსწორებით, მათთვის უექველია ამის შესაფერისი მდგომარეობა. ხოლო მინარევებით შებილწული ოქროსათვის შესაფერისია ბრძმედი, რათა მასში შერეული მანკიერების აღხოცვით, მისი ბუნება წმიდად იქნეს დაცული. და რადგანაც ცეცხლსა და წყალში რაღაც განწმენდელი ძალაა, ამიტომაც საიდუმლოებრივი წყლით მანკიერებათაგან განწმენდილთ აღარ სჭირდებათ სხვაგვარი განწმენდა; ხოლო ამ განწმენდით განუწმენდელნი უთუოდ განიწმინდებიან ცეცხლით.“<sup>124</sup>

საინტერესოა გრიგოლის ამ ფუნდამენტური ნაშრომის ძველი ქართული თარგმანის თავისებურება. სამწუხაროდ, ექვთიმე მთაწმინდელისეულ თარგმანში, გრიგოლის დიდი კატექეტური სიტყვის ორიგინალის მერვე თავის მე-6-7 ქვეთავები, რომლებიც აპოკატასტასური შინაარსისაა, საერთოდ ამოღებულია. ტექსტის მკვლევრის, ექვთიმე კოჭლამაზაშვილის მითითებით, ამ ადგილას ექვთიმე ათონელს „სანაცვლოდ თავისი აზრები ჩაურთავს, რაც სრულიად საწინააღმდეგო შინაარსისა.“<sup>125</sup> ექვთიმე ათონელს გრიგოლ ნოსელის სხვა ნაშრომებიდანაც ამოუღია აპოკატასტასური ადგილები. ესენი თხზულებებია: „მამაო

122 გრიგოლ ნოსელი. დიდი კატექეტური სიტყვა, თავი მე-8, იხ.: კოჭლამაზაშვილი, დიდი კატექეტური, 58.

123 გრიგოლ ნოსელი. დიდი კატექეტური სიტყვა, თავი მე-8, იხ.: კოჭლამაზაშვილი, დიდი კატექეტური, 59. (წმინდანის მსგავს მონაკვეთებს ციტირებდა ფრანგი მართლმ. თეოლოგი, ოლივიე კლემანცი თავის ცნობილ ნაშრომში: Clément, Olivier. *The Roots of Christian Mysticism*. Translated by Theodore Berkeley. London: New City Press 1995, 304.

124 გრიგოლ ნოსელი. დიდი კატექეტური სიტყვა, თავი 35-ე, იხ.: კოჭლამაზაშვილი, დიდი კატექეტური, 68.

125 კოჭლამაზაშვილი, დიდი კატექეტური, 58.

ჩვენოს განმარტება“ (იკვლია ეკატერინე ქირიამ<sup>126</sup>) და „მოსეს ცხოვრება“ (იკვლია თამარ აფციანური<sup>127</sup>) და ზემოთ სათანადო სქოლიოში ხსენებული ტრაქტატი „სულისა და აღდგომის შესახებ“.

საინტერესოა, რომ ქართული თეოლოგიური ლიტერატურის ისტორიაში გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, როცა ისეთი ქართველი მთარგმნელი, როგორც იოანე პეტრიწია, ნემესიოს ემესელის ანტიორიგენისტულ მოსაზრებას არბილებს, ცვლის, შეიძლება ითქვას, „ორიგენისტებს“ მაგ., თუკი ნემესიოსი გადაჭრით წერს, რომ დემონების სასჯელი მარადიულია, რადგან არ მათ მონიანის, იოანე პეტრიწი თარგმნისას ცვლის ამ აზრს პირობითობის შემოტანით და წერს, რომ თუ დემონები არ შეინანებენ, მხოლოდ მაშინ იქნება სასჯელი გამარადიულებული. ამრიგად, პეტრიწი, ნემესიოსისგან განსხვავებით, „დაცემულ ანგელოზებს უტოვებს გამოსწორების სივრცეს.“<sup>128</sup>

საინტერესოა, რომ თბილისის სასულიერო აკადემიის პატროლოგიისა და დოგმატიკის კათედრის გამგე, პროფესორი ედიშერ ჭელიძე თავის ერთ პოლემიკურ წერილში უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ თითქოს გრიგოლ ნოსელის ხსენებულ დიდ კატექეტურ სიტყვაში აპოკატასტასური პასაჟი „სხვათა მიერ იქნა ჩართული.“ ამ აზრის განსამტკიცებლად პატივცემული პროფესორი იქვე წერს: „საგულისხმოა, რომ წმ. გრიგოლის ის შრომა, სადაც ბერძნული ტექსტი ცთომილებებს ავლენს, კერძოდ: „დიდი სამოძღვრო ქადაგება“, ძველ ქართულადაც არის თარგმნილი, მაგრამ ეს თარგმანი ცთომილი ჩანართების ნიშანწყალსაც კი არ შეიცავს.“<sup>129</sup>

როგორც ჩანს, ავტორს იმის წარმოჩენა სურს, რომ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შესრულებული ძველი ქართული თარგმანი სწორედ ისეთი სახისაა, როგორადაც უნდა დაწერილიყო უშუალოდ გრიგოლ ნოსელის მიერ. თუმცა ექვთიმე ათონელის თარგმნის სტილსა და მეთოდზე (კლება-მატება) სიტყვას არ ამბობს. ქართულ ფილოლოგიაში დადგენილია, რომ ექვთიმე მთაწმინდელმა გულმოდგინედ გაწმინდა აპოკატასტასური მოსაზრებებისგან არა მხოლოდ გრიგოლ ნოსელის „დიდი კატექეტური სიტყვა“, არამედ მისი სხვა ტექსტებიც, მაგ., „მამაო ჩვენოს განმარტება“ და „მოსეს ცხოვრება“, როგორც უკვე აღინიშნა.

[მცირე ჩანართი: ტრადიციული განმარტებით, ექვთიმე ათონელი ითვალისწინებდა იმდროინდელი ქართული რელიგიური ცნობიერების უმწიფრობას და ცდილობდა ამგვარი „დამაბრკოლებელი“ სწავლებები გადაესხვაფერებინა ან მთლიანად ამოეღო. სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართ-

126 გრიგოლ ნოსელი. *სწავლაი ლოცვისაი და თარგმანებაი „მამო ჩუენოსისაი“*. ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ეკატერინე ქირიამ. თბ., 2006, 53-62.

127 აფციანური, თამარ. *გრიგოლ ნოსელის მოსეს ცხოვრება და მისი ძველი ქართული თარგმანი*. სადოქტორო დისერტაცია. სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინა დოლიძე. თბ., ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზანტინისტიკა-ნეოელისტიკა, 2004.

128 გიგინეიშვილი, ლევან. *„ნემესიოს ემესელის ‘ბუნებისათვის კაცისას’ ერთი პასაჟის იოანე პეტრიწისეული თარგმანი: ორიგენესეული აპოკატასტასისის შესაძლო თეორია პეტრიწთან“*, ბიზანტინოლოგია საქართველოში – 2. რედ.: ნ. მახარაძე, მ. გიორგაძე. თბ., 2009, გვ. 163.

129 ჭელიძე, ედიშერ. *“‘გაქუს-ლა რაიმე სიტყუად?’ (საპასუხო წერილი არქიმანდრიტ ლაზარე აბაშიძეს)“*, გაზეთი “თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია” №8 1999, 6.

ველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თეოლოგიური სივრცე არა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში არ იყო მზად აპოკატასტასური სწავლების სწორი გააზრებისთვის, არამედ ის დღესაც, ოცდამეერთე საუკუნეშიც კატეგორიულად მიუღებელია, რომელიც პრიმიტიულად დაიყვანება ორიგენისტულ ერესამდე. შესაბამისად, მსგავს იდეებს ჩვენში თითქმის ყოველთვის მძაფრად უარყოფითი შეფასებები ახლდა. პირად საუბრებსა და ამბიონიდან წარმოთქმულ ქადაგებებზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთ დოკუმენტირებულ მაგალითს დავასახელებდი: 2006 წელს ე.წ. „მართლმადიდებელი ლიბერალების“ მიერ დაარსებულ ჟურნალში „არჩევანი“ ვმუშაობდი, რომელშიც გაგრძელებებით იბეჭდებოდა ინგლისელი თეოლოგის, მიტროპოლიტ კალისტოს უერის წიგნის „მართლმადიდებლობის გზა“ ქართული თარგმანი. ტექსტის ერთ ნაწილში ავტორი ცხადად გამოთქვამს აპოკატასტასურ აზრს, რომელიც ასეთი სახისაა: „ანგელოზთა ნაწილი ურყევი დარჩა ღვთის მორჩილებაში, დანარჩენებმა კი უარყვეს ღმერთი. ამ 'ცათა შინა ბრძოლასთან' (აპოკ. 12:7) დაკავშირებით წმინდა წერილში მხოლოდ ფარული მოწმობაა. დეტალურად არ არის ნათქვამი თუ რა მოხდა. უფრო ნაკლები ვიცი ღვთის გეგმის შესახებ ამ სფეროში (დედანი: „ნოეტურ სფეროში“, დ.თ.) შესაძლო შერიგებაზე, როგორ მოხდება, თუ მოხდება, დროთა განმავლობაში ბოროტის გამოხსნა. იქნებ, როგორც ეს იობის წიგნის პირველ თავშია, ბოროტი არც ისე ბნელია, როგორც ჩვეულებრივ წარმოსახავენ ხოლმე. მიწიერი არსებობის ამ ეტაპზე სატანა ჩვენი მტერია, მაგრამ მას ასევე აქვს პირდაპირი ურთიერთობა ღმერთთანაც, რის შესახებაც საერთოდ არაფერი ვიცი“<sup>130</sup>. რასაკვირველია, ჟურნალის რედაქცია, რომელიც სკრუპულოზურად ამოწმებდა ყველა გამოსაქვეყნებელ ტექსტს, არ დაუშვებდა ამგვარი იდეების რაიმეგვარ გადაკეთებას, მით უმეტეს, ამოღებას. მოგვიანებით, როცა მთარგმნელმა წიგნად გამოსცა თავისი თარგმანი, აღმოვაჩინე, რომ ეს „აპოკატასტასური“ სტერიქონები უბრალოდ ამოგდებულა.<sup>131</sup> როგორც ჩანს, წიგნის „ღვთისმოშიშმა“ რედაქტორმა, რომლის სახელიც არაა ნახსენები, ნამეტანი მკრეხელობად მიიჩნია ეს სტერიქონები და ჩათვალა, რომ უფლება აქვს მსოფლიოში აღიარებულ მართლმადიდებელ თეოლოგს ასე ბარბაროსულად დაუჩიხოს აზრები].

### **მაქსიმე აღმსარებელი**

მართალია, წმინდა მაქსიმე აღმსარებელი (+662) არ ყოფილა აპოკატასტასისის ისეთივე ენერგიული მქადაგებელი, როგორც წმინდა გრიგოლ ნოსელი, თუმცა, როგორც პატროლოგი ბრაიან დილი შენიშნავს, მაქსიმე „აღიარებს გრიგოლ ნოსელის ხედვას ადამიანის სულისა და სხეულის აღდგენის შესახებ თავდაპირველ მდგომარეობაში, როგორც ლეგიტიმურ ქრისტიანულ იმედს“<sup>132</sup> ენდრიუ ლაუთიც მიუთითებს, რომ ყველას გადარჩენის შესახებ იდეას მაქსიმეც

130 უერი, კალისტე. „მართლმადიდებლობის გზა“ (ინგლისურიდან თარგმნა ნანა ბალათურიამ), არჩევანი №7-8, 2006, 33.

131 უერი, კალისტე. *მართლმადიდებლობის გზა*. ინგლისურიდან თარგმნა ნანა ბალათურიამ. თბ., გამომც. „ნათლისმცემელი“ 2008, 62. (თავი 3, ქვეთავი: „ბოროტება, ადამიანის ტანჯვა და ცოდვით დაცემა“).

132 Quaestiones et Dubia 19 [I,13], Corpus Christianorum, Series Graeca (CCG) 10.17f, ციტირ.: Daley, Brian. *The Hope of the Early Church: A Handbook of Patristic Eschatology* Cambridge University Press 1991, 202.

იზიარებდა.<sup>133</sup> სხვა მართლმადიდებელი თეოლოგი, ანდრეას ანდრეოპულოსიც შენიშნავდა, მაქსიმეს აზრით, საბოლოოდ ყველა სული აღდგება ისევე, როგორც მათი სხეულები.<sup>134</sup>

ცნობილია, რომ წმინდა მამა თავშეკავებულად გამოთქვამდა ამ თვალსაზრისს, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, შესაძლოა, მანამდე იუსტინიანეს (+565) მიერ ორიგენიზმის, კერძოდ, ჯოჯოხეთის არამარადიულობის იდეის წინააღმდეგ რადიკალური გალაშქრება იყო, რის შემდეგაც, ბუნებრივია, რომ ამ ბიზანტიელ მამას მიზანშეწონილად არ ჩაეთვალა ამ იდეის დაჟინებული ქადაგება. ამიტომაც, წმინდა მაქსიმე მაქსიმალურად ფრთხილობდა<sup>135</sup>, რადგან საშიშად<sup>136</sup> მიაჩნდა ამ თემაზე ვრცელი დისკუსია. ალბათ, ამავე მიზეზით წერდა ხოლმე ის მესამე პირში. მაქსიმე თალასესადმი შეკითხვებში სამ ადგილას საუბრობს საყოველთაო აღდგენაზე (Quaestiones ad Thalassium, prol; Q.Thal.21; Q.Thal.43), სადაც ასევე აღნიშნავს, რომ არსებობს „უფრო უკეთესი და დაფარული [იდუმალი] ახსნა, რომელიც დამარხულია მისტიკოსთა გონებაში და ჩვენც მოწიწებითი დუმილი გვმართებს ამ საიდუმლოსადმი.“<sup>137</sup>

ზოგადად, მაქსიმეს ნაწერებისთვის დამახასიათებელია აზრის ბუნდოვანი გამოთქმები, რთული ტერმინოლოგია, სიტყვებით გადატვირთვა. ამას სხვა საეკლესიო მამებიც ამჩნევდნენ. მაგ., ფოტიოსის შეფასებით, მაქსიმე არ ცდილობდა აზრების გარკვევით გამოთქმას და მკითხველთა სმენის დატკობას, თუმცა მისი ღრმად ქრისტიანული აზროვნება ამგვარი ნაწერებიდანაც ცხადად შესაგრძნობი იყო<sup>138</sup>. მიუხედავად მაქსიმეს ბუნდოვანი სტილისა, მაინც შესაძლებელია მისი ნაშრომებიდან რამდენიმე მოსაზრებაზე მითითება, რომლებშიც არაორაზროვნად ირეკლება აპოკატასტასური პოზიცია.

მაქსიმე შემდეგნაირად განმარტავდა პავლე მოციქულის სიტყვებს განმწმენდი ცეცხლის შესახებ (1 კორ. 3:13-15): „ცოდვილებში მათი საქმეები დაიწვევა და მათ სინდისში მთელი ცოდნა ამოიწვევა ამ ცეცხლით, რომელიც მათ ცოდვათაგან განწმენდს, იხსნის რა მათ პიროვნებას. ამავე დროს მათ დასჯის იმის გამო, რომ მანამდე სიკეთეში უნაყოფონი იყვნენ.“<sup>139</sup>

მაქსიმე სხვა ადგილას წერს: „ხორციელი საუკუნე, რომელშიც ახლა ვიმყოფებით... ქმედითობის თვისებით გამოირჩევა (της του ποιειν ειςιν ιδιότητος);

133 Louth, *Eschatology*, 245.

134 Andreopoulos, Andreas. "Eschatology in Maximus the Confessor", in: *The Oxford Handbook of Maximus The Confessor*. Edited by P. Allen and B. Neil. Oxford: OUP 2015, 331.

135 Ramelli, *Apokatastasis*, 742.

136 Sherwood, Polycarp. *The Earlier Ambigua of Saint Maximus the Confessor and his Refutation of Origenism*. Roma: Herder 1955, 222.

137 Andreopoulos, *Eschatology in Maximus*, 330.

138 Bibliothecae Codices 192, PG 103, 645 B-C, ციტირ.: ოთხმეზური, თამარ. *მაქსიმე აღმსარებლის Ambiguorum Liber ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*. თბ., 2016, 67.

139 Quaestiones et Dubia 73, PG 90, 815 C7-818 A3; შდრ. ღვათაბრივი განმწმენდი ცეცხლის "ზნეობრივი" განმარტება: Princ. 2,10, 4-8, ციტირ.: Brian E. Daley. *Αποκαταστάσις и «благое молчание» в эсхатологии св. Максима Исповедника*, p. 9 of 33, [http://www.myriobiblos.gr/texts/russian/daley\\_maxim.html](http://www.myriobiblos.gr/texts/russian/daley_maxim.html) წვდომა: 24.09.2018. სტატიის ორიგინალი: Daley, Brian. "Apokatastasis and 'Honorable Silence' in the Eschatology of Maximus the Confessor", in: *Maximus Confessor*. Edited by F. Heinzer and C. Schönborn. Fribourg 1982, 309-339.

ხოლო სულიერი საუკუნე, რომელიც ამ ცხოვრების შემდგომ იწყება, გულისხმობს ტანჯვისმიერ აღდგენას (της του πάσχειν εις εν μεταποίησας).<sup>140</sup>

სხვა მნიშვნელოვანი პასაჟი მაქსიმეს მემკვიდრეობიდან შემდეგია:

„სამ კვალადგებას [აპოკატასტასისს] იცნობს ეკლესია. პირველია თითოეულის სათნობათა მიხედვით, როცა კვალადმოეგება სათნობათა აღსრულების შესაბამისად; მეორეა, მთელი ფიზიკურების აღდგომისას, უხრწნადობისა და უკვდავების კვალადგება; მესამე, რომელსაც გრიგოლ ნოსელი გამოთქვამდა, განეკუთვნება ცოდვით დაცემული სულიერი ძალების კვლავ აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში. როგორც საყოველთაო აღდგომისას ყველა ადამიანის ბუნება დაიბრუნებს ხორციელ უხრწნელებას და ამ დროს იმედით მოველით, ასევე სულის დაზიანებული თვისებანი, ეონთა<sup>141</sup> მონაცვლეობის შემდეგ დაკარგავს ბოროტების [κακία] მეხსიერებას, რაც მასში არსებობდა. ამგვარად, როცა სული მოსვენებას ვერ ჰპოვებს ყველა ეონის გავლის შემდეგ, ის დაუბრუნდება ღმერთს, რომელიც უსასრულოა. და ამგვარად, სიკეთის ცოდნით, — და არა აუცილებლად სიკეთეებში მონაწილეობით, — სული აღიდგენს თვისებებს და დასაბამებრივ სტატუსში აპოკატასტასირდება [εις το άρχαίον άποκαταστήναι].“<sup>142</sup>

მაქსიმეს ეს აზრი აშკარად გრიგოლ ნოსელის მოსაზრებას ეხმიანება, რომელიც გამოთქმულია ნაშრომში „შესაქმისათვის კაცისა“; 21-ე თავი:

„...როცა [სული] ბოროტების სარბიელს დაასრულებს და ბოროტების უკიდურეს ზღვარს მიაღწევს, მარადიული მოძრაობა სწრაფვისა, ბუნებიდან გამომდინარე, ვერ იპოვნის რა ვერანაირ ღონეს დადგომისა და ასპარეზიც ბოროტებისა გარბენილი იქნება, მოძრაობის აუცილებლობით სიკეთისაკენ მიაქცევს. რადგანაც ბოროტების წინსვლა არა უსაზღვროა, არამედ უცილობელი საზღვრებითაა შემოსაზღვრული“ (სრული ციტატა იხ. ზემოთ).

მაქსიმე ფაქტიურად იმეორებს გრიგოლის აზრს, რომელსაც არანაირად, არცერთი კუთხით არ აკრიტიკებს, განსხვავებით ბარსანუფი დიდისგან, რომელიც გრიგოლის აპოკატასტასისს არა მხოლოდ ახსენებს, არამედ იმავდროულად გმობს კიდევ მას (იხ. ქვემოთ). უფრო მეტიც, მაქსიმე ორიგენესეულ აპოკატასტასურ იდეებსაც კი არ აკრიტიკებს. არადა სხვა ორიგენისტული იდეებისადმი გამოკვეთილად ნეგატიურ პოზიციას ავლენს, მაგ., სულთა პრეეგზისტენციის შესახებ მოსაზრებისადმი.<sup>143</sup>

როგორც აღინიშნა, მაქსიმე ცდილობდა თამამად არ ესაუბრა აპოკატასტასისზე, რადგან კარგად ახსოვდა იმპერატორ იუსტინიანეს ანტიოპოკატასტასური ისტერია. ცხადია ბიზანტიელ ღვთისმეტყველს, რომელიც იმპერატორის თვალსაწიერში ადვილად შესამჩნევი ადგილი ეჭირა, გონივრული შიში ჰქონდა. ამიტომ, თითქოს ბუნებრივი იქნებოდა ამ შიშის გამო საიმპერატორო „თეოლოგიური პოლიტიკისთვის“ რალაცნაირად მაინც ანგარიში გაეწია და თუნდაც

140 Maximus the Confessor. *Quaestiones ad Thalassium* 22 (PG 90, 320, C 7-13), ციტირ.: Daley, *Anokamacmacuc*, იქვე.

141 ეონი — აღნიშნავს დროის პერიოდს, სამყაროს ან ისტორიის ხანას (პიეტრო პეტროზილო. ქრისტიანობის ლექსიკონი. იტალიურიდან თარგმნა მარიკა სააკაშვილმა. თბ., 2011, 81).

142 *Quaestiones et dubia*, 19, ციტირ.: Ramelli, *Apokatastasis*, 743-4. მაქსიმეს ამ ნაშრომის კრიტიკულად დადგენილი ბერძნული ტექსტიდან აღნიშნული პასაჟი იხ.: Declerck, José. *Maximi Confessoris Quaestiones et Dubia*, CCG 10. Turnhout, 1982, 18.

143 Sherwood, *Earlier Ambigua*, 205.

მსუბუქად გაეკრიტიკებინა გრიგოლ ნოსელის ან მით უმეტეს ორიგენესული აპოკატასტასისი. მაგრამ წმინდა მამა არც ერთს აკეთებს და არც მორეს. ეს არანაკლებ მამაცობას მოითხოვდა მისი მხრიდან, ვიდრე აპოკატასტასური აზრების დაწურული, მოკლე, მაგრამ ნათელ გამოთქმა იყო.

როცა მაქსიმე წერს, სული აპოკატასტასირდება სიკეთის ცოდნით და არა აუცილებლად სიკეთეებში თანამონაწილეობით, ანდრეოპულოსი შენიშნავს, რომ ამ სიკეთეებში (ἀγαθία) მეტწილად ღვთაებრივი სიკეთეები, ენერგიები იგულისხმება, რის გამოც ზოგჯერ ფიქრობენ, რომ მაქსიმეს აზრით, გარდაუვლად ყველა როდი აღდგება. ამ სიკეთეების ცოდნის შემდეგ სულმა თავისუფალი ნებით უნდა აირჩიოს ღმერთთან დაბრუნება. ცხადია, ყველას ცხონება „ონტოლოგიური აუცილებლობა“ არ არის, მაგრამ ის „რაციონალურ შედეგად“ მიიჩნევა. მკვლევრის მითითებით, სწორედ ამ აზრს გამოთქვამდა მაქსიმე სხვა ადგილას:

„[ადამიანის გნომური<sup>144</sup> ნება შეიცვლება] მომავალში მოსახდენი ზოგადი ცვლილებისა და აღდგენის გამო, ეონთა დასასრულს, ჩვენი მხსნელი ღვთის წყალობით საყოველთაოდ განახლდება მთელი კაცობრიობა.“<sup>145</sup>

მაქსიმე ნაშრომში *Ambigua*<sup>146</sup> წერდა, რომ დადგება დრო, როცა ღმერთი იქნება „ყველაფერი ყველაფერში“ (1 კორ. 15:28), რის შემდეგაც „არცერთი ქმნილება არ იმოქმედებს ღვთისგან დამოუკიდებლად და არცერთი მათგანი არ მოაკლდება ღმერთთან ზიარებას და სწორედ ამ თანაზიარობის გამო ვართ და გვეწოდება ღმერთები, ღვთის შვილები, სხეული და წევრი ღვთისა.“<sup>147</sup>

საინტერესოა, რომ მაქსიმეს აზრით, სულთა განწმენდას ითვალისწინებს აგრეთვე თვით პროცესი საყოველთაო სამსჯავროსი (οἱ τοὶ ἐν τῷ δικαστηρίῳ τῆς κρίσεως ἐρχονται καὶ αὐτοὶ διὰ τῶν ἀγαθῶν καὶ φαύλων πράξεων ἀντεξέτασσεως οἰοῦνται πύρισμα εἶπερ ἢ τῶν ἀγαθῶν πλάστει ἐπιβαρήσει, καθίρουνται τῆς κολάσεως).<sup>148</sup> სხვა ადგილას მაქსიმე სულის განწმენდას ცეცხლის მოქმედებასთან აკავშირებს, გულისხმობს რა 1 კორ. 2:13 და მომდევნო მუხლებს.<sup>149</sup>

როდესაც მაქსიმეს აპოკატასტასისის შესახებ ეკითხებიან, ის ახსენებს ამ სწავლების სამ ვერსიას, რომელიც ეკლესიამ „იცის“ ანუ აღიარებს. მაქსიმე მათ შორის ასახელებს გრიგოლ ნოსელის ვერსიასაც. პატროლოგების მიერ დადგე-

144 მაქსიმეს თეოლოგიაში გნომური ნება განსხვავდება ბუნებითი ნებისგან. პირველი ყალიბდება ადამიანის სურვილებით, მიდრეკილებებით, გადაწყვეტილებებით. წმინდა მამის აზრით, იესო ქრისტეს, როგორც განხორციელებულ ძე ღმერთს, არ გააჩნდა გნომური ნება.

145 Maximos the Confessor: Expositio in Psalm 59, PG 90, 857 A4-15, ციტირ.: Andreopoulos, Andreas. "Eschatology and final restoration (apokatastasis) in Origen, Gregory of Nyssa and Maximos the Confessor", in: Theandros: An Online Journal of Orthodox Christian Theology and Philosophy, vol. 1, No. 3, Spring 2004, 4.

146 მაქსიმეს აღნიშნული ნაშრომის ძველი ქართული თარგმანების ხელნაწერთა მიმოხილვა იხ.: თამარ ოთხმეჭური. *მაქსიმე აღმსარებლის Ambiguum Liber ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*. თბ., 2016, 53-66. იხ. ასევე: *მაქსიმე აღმსარებლის Ambigua ad Iohannem ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, მრავალთავი 18, 1999, 236-252.

147 Maximos the Confessor. *Ambiguum* 7.1092C, in: On Difficulties in the Church Fathers. The Ambigua. Vol. 1. Edited and translated by Nicholas Constas. Cambridge, MA: Harvard University Press 2014, 121. (აღნიშნულ გამოცემაში წარმოდგენილია ბერძნული ტექსტი ინგლისური თარგმანით).

148 Quaestiones et dubia, I,10: CCG 10.142f, ციტირ.: Daley, *Hope*, 202.

149 Quaestiones et dubia, 159 [I,74]: CCG 10.110f, ციტირ.: Daley, *Hope*, 202.



ნილია, რომ მაქსიმე აღმსარებელი აპოკატასტასის შესახებ ორიგენეს მოძღვრებასაც კი არ აკრიტიკებდა.<sup>150</sup> ამ გარემოებაზე ქრისტიანული აპოკატასტასის ცნობილი მკვლევარი, ილარია რამელიც მიუთითებს: ორიგენისტული თეორიების კრიტიკისას მაქსიმე საერთოდ არ ენება ორიგენესეულ აპოკატასტასისს.<sup>151</sup>

### ისააკ ასური (ნინევილი)

აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემდეგი წმინდანი, რომელიც ჯოჯოხეთის განმწმენდელ და დასრულებად ტანჯვაზე საუბრობს, მეშვიდე საუკუნის დიდი მისტიკოსი, წმინდა ისააკ ასურელია, რომელსაც მხოლოდ ხუთი თვის მანძილზე ეკავა ქალაქ ნინევიის (მოსული) საეპისკოპოსო კათედრა. როგორც მისი ბიოგრაფი წერს, მხოლოდ ღმერთმა იცის რატომ მიატოვა თავისი ეპარქია ისააკმა<sup>152</sup>, რის შემდეგაც ის ერაცის მთებში ერთი მონასტრის მახლობლად სახლდება.

წმინდა ისააკის ზოგიერთი მთავარი მოსაზრება ამგვარია:

„გენაში ტანჯულნი სიყვარულის მათრახით იგვემებიან! და როგორი მწარეა და მტანჯველი ეს სიყვარულის გვემა! ვინაიდან გრძნობენ რა, რომ შესცოდეს სიყვარულის წინაშე, ამის გამო უდიდეს ტანჯვას განიცდიან (...) სიყვარული თავისი ძალით ორგვარად მოქმედებს: იგი ტანჯავს ცოდვილებს... და სიხარულს ანიჭებს მათ, ვინც თავისი ვალი აღასრულა. ვფიქრობ, გვენის ტანჯვა არის სინანული.“<sup>153</sup>

სხვა პასაჟი:

„რას წარმოადგენს გენა ქრისტეს აღდგომის მადლის წინაშე, როდესაც აღგვადგენს ჯოჯოხეთიდან, როცა 'ხრწნადი შეიმოსავს უხრწნელებას' (1 კორ. 15:54) და ჯოჯოხეთში დაცემულს დიდებაში აღადგენს? მოდიოთ, განსჯის შემძლებელნი და განცვიფრდით! რომელი გონიერი არ განკვირდება ღირსეულად ჩვენი შემოქმედის გულმოწყალებით? ცოდვილებიც მიიღებენ თავის მისაგებელს და სამართლიანი მისაგებლის ნაცვლად, აღდგომით აჯილდოვებს მათ; რჯულის დამრღვეველი ხრწნადი სხეულების ნაცვლად, უხრწნელების სრულყოფილი დიდებით შემოსავს მათ. უფლის ეს წყალობა, რომლითაც ცოდვილი ცხოვრების შემდეგ აღვდგებით, უფრო დიდია, ვიდრე ის წყალობა, რომლითაც მან არარსებობიდან არსებობაში მოგვიყვანა (სიტყვა ოთხმოცდამეათე).“<sup>154</sup>

კიდევ სხვა:

„გულმოწყალება და მართლმსაჯულება ერთ სულში — ეს იგივეა, როცა ადამიანი ერთ სახლში თავყვანს სცემს ღმერთსაც და კერპებსაც. გულმოწყალება შეუთავსებელია მართლმსაჯულებასთან, რომელიც არის სწორი საზომის დაცვა, რადგან თითოეულს იმას მიაგებს, რისი ღირსიცაა და მიგების დროს არ უშვებს გადახრას არც ერთ მხარეს ან მიკერძოებას. ხოლო გულმოწყალება კი არის მადლით აღძრული მწუხარება და იგი ყველასკენ თანაგრძნობით იხრება: ვინც ბოროტების ღირსია, მას არ მიაგებს ბოროტებით და ვინც სიკეთის ღირსია, მას

150 Daley, *Apokatastasis*, იქვე.

151 Ramelli, *Apokatastasis*, 740.

152 Brock, Sebastian. *The Wisdom of Saint Isaac the Syrian*. Oxford: SLG Press 1999, iv.

153 Исаак Сирий. *Слова Подвижнические*. Слово 18. М., Издательство Сретенского Монастыря 2002, 78-9.

154 Исаак Сирий. *Слова Подвижнические*, Слово 90, 395.

უფრო მეტად აღავსებს სიკეთით (...) როგორც ქვიშის მარცვალ ვერ ინარჩუნებს წონასწორობას დიდი წონის ოქროს წინაშე, ასევე ღვთის მართლმსაჯულების მოთხოვნები ვერ ინარჩუნებს წონასწორობას ღვთის მოწყალების წინაშე.“<sup>155</sup>

სებასტიან ბროკის მიერ აღმოჩენილი ისააკ ასურის ჰომილიების მეორე ტომი, ე.წ. „Second Part“, რომელიც 1995 წელს გამოქვეყნდა, სამ ადგილს შეიცავს სიკვდილის შემდგომ მდგომარეობასა და კაცობრიობის საბოლოო ხვედრზე (ესენია 39, 40 და 41-ე თავები).

39-ე ჰომილიაში წმინდანი გვაუწყებს, რომ „გულმოწყალე ღმერთს იმისთვის არ შეუქმნია რაციონალური არსებები, რომ ისინი უმოწყალოდ გაწიროს დაუსრულებელი სასჯელისთვის.“<sup>156</sup>

წმინდა ისააკი არ ფიქრობდა, რომ რაღაც ახალ და მანამდე უცნობ მოსაზრებებს გამოთქვამდა, რომელსაც „ჩვენი წინამორბედი მართლმადიდებელი მამები არ ასწავლიდნენ.“<sup>157</sup> მისი მტკიცებით, ამგვარი ხედვა ეკლესიის ტრადიციის ნაწილია, რომელსაც სხვებიც იზიარებდნენ და მაგალითისთვის ასახელებდა „კურთხეულ განმმარტებელს“; თეოდორე მოფსუეტელს. ისააკი ასევე ხშირად ახსენებს და ეყრდნობა დიოდორე ტარსელსაც.<sup>158</sup>

წმინდა ისააკი იზიარებდა თეოდორე მოფსუეტელის მოსაზრებას, რომ ტანჯვა დასრულებადია: „...ვინაიდან ქრისტე არასდროს იტყოდა, ‘ვერ გამოხვალ იქიდან [საპყრობილიდან], ვიდრე უკანასკნელ კოდრატს არ გადაიხდი’ (მათ. 5:26; ლუკ. 12:59), თუ არ იქნებოდა შესაძლებელი ცოდვის ტყვეობისგან განთავისუფლება სათანადო ტანჯვის შემდეგ. არც იმას იტყოდა ქრისტე, რომ ვიღაც ‘მაგრად იგვემება’ და ვიღაც ‘ნაკლებად იგვემება’ (ლუკ. 12:47-8), თუკი სასჯელს, რომელიც ცოდვების შესაბამისად იზომება, საბოლოოდ დასასრული არ ექნება.“<sup>159</sup>

დემონთა გადარჩენის შესახებ ისააკი მტკიცებით ფორმაში საუბრობს:

„ნათელია, რომ ღმერთს არ მიუტოვებია დაცემულნი იმ მომენტიდან, როცა დაეცნენ და რომ დემონები არ დარჩებიან თავის დემონურ მდგომარეობაში და ცოდვილებიც არ შეინარჩუნებენ თავის ცოდვილ მდგომარეობას. ამის ნაცვლად ღმერთი აპირებს მათ შემოყვანას საერთო სრულყოფილების მდგომარეობაში

155 Исаак Сирий. *Слова Подвижнические*, Слово 89, 384-5.

156 Isaac of Nineveh (Isaac the Syrian). *The Second Part*, Chapters 4-41. (Chapter 39.6). Translated by Sebastian Brock. Lovanii: Peeters 1995, 165. არსებობს ისააკის ამ მეორე ნაწილის/ტომის რუსული თარგმანიც, რომელიც სებასტიან ბროკთან თანამშრომლობით განხორციელდა: Исаак Сирий. *О Божественных Тайнах и о Духовной Жизни*. Новооткрытие тексты. 3-е изд., испр. и доп. Перевод с сирийского И. Алфеева. СПб., Изд Олега Абышко 2006, 336с.

157 Isaac, *II Part*, (Chap. 39.7), 165.

158 ცხადია, ისააკ ასური (სირიელი) თეოდორე მოფსუეტელის, დიოდორე ტარსელისა და ევაგრე პონტოელის ციტატებს თავისი ჰომილიების პირველ ნაწილშიც/ტომშიც იყენებს, მაგრამ ვინაიდან ის უმთავრესად ბერძნული თარგმანითაა გავრცელებული, ამიტომ ამ ციტატების ავტორებად „უკეთესი რეპუტაციის“ მქონე კირილე ალექსანდრიელი, გრიგოლ ნაზიანზელი ან იოანე ოქროპირი სახელდება. ისააკის ჰომილიების მეორე ნაწილი კი არასოდეს თარგმნილა სირიულიდან ბერძნულად. ამ ვითარებას თავისი მიზეზი აქვს: აღმოსავლეთის ეკლესია, რომლის წევრიც იყო ისააკი, არ იღებდა მონაწილეობას ბიზანტიის იმპერატორის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებებში. მესუთე მსოფლიო კრებაზე (553წ.) თეოდორესა და ევაგრეს ზოგიერთი ნაშრომი დაიგმო. აღმოსავლეთის ეკლესიაში კი ევაგრე, დიოდორე და თეოდორე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

159 Isaac, *II Part*, (Chap. 39.8), 167.

საკუთარ არსებასთან მიმართებით — იმ მდგომარეობაში, როგორშიც ნათლის ანგელოზები არიან ახლა.<sup>160</sup>

ამავე მე-40 ჰომილიის შემდეგ პარაგრაფში კი წმინდანი უფრო გაბედულ აზრს გამოთქვამს, ოღონდ უკვე ვარაუდის ფორმით: „შესაძლოა, დემონებმა იმაზე უფრო მეტი სრულყოფილება მოიპოვეთ, ვიდრე ახლა აქვთ ნათლის ანგელოზებს.“<sup>161</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ჯოჯოხეთის ტანჯვა დაბოლოებადია, ის მაინც მძიმეა, საშინელია. ისააკ ასური სიტყვით, „გენა აუტანელია, თუნდაც რომ მის ხანგრძლივობას საზღვარი ჰქონდეს: ვინ გაუძლებს მას?“<sup>162</sup>. იგივეს იმეორებს წმინდა მამა 41-ე ჰომილიის დასაწყისში.

ისააკ ასური დარწმუნებულია, რომ „ადამიანთა უმრავლესობა ცათა სასუფეველში შევა გენის გამოცდილების გარეშე. (...) ვინაიდან ღვთის წმინდა ბუნება იმდენად კეთილი და მოწყალეა, რომ ის გამუდმებით ცდილობს თუნდაც უმცირესი მიზეზის პოვნას ჩვენი გამართლებისთვის.“<sup>163</sup>

ალბათ, წმინდა ისააკის არანაკლებ საინტერესო მოსაზრება ამგვარია:

“ცოდვა, გენია და სიკვდილი ღმერთთან საერთოდ არ არსებობს, რადგან ისინი წარმოადგენენ მოქმედებას და არა არსს. ცოდვა არის თავისუფალი ნების ნაყოფი. იყო დრო, როცა ცოდვა არ არსებობდა, და დადგება დრო როცა ის შეწყვეტს არსებობას. გენია არის ცოდვის ნაყოფი. რაღაც მომენტში მან დაიწყო არსებობა, მაგრამ მისი დასასრული უცნობია... სიკვდილი მხოლოდ მოკლე ხნით იბატონებს ბუნებაზე; შემდეგ ის სრულიად გაუქმდება.“<sup>164</sup>

### **ბასილი დიდი (კესარიელი)**

წმინდა ბასილი კესარიელის ესქატოლოგიური სწავლება განვითარებული სახით არ არის მოცემული. შესაბამისად, ის აპოკატასტასის გამოკვეთილი მქადაგებელიც ვერ იქნებოდა, როგორც გრიგოლ ნოსელი ან თუნდაც ისააკ ასური. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასთან ამგვარი მოსაზრებანი მაინც იძებნება, რომლებიც ესქატოლოგიური უნივერსალიზმის მოწინააღმდეგე ქრისტიანებისთვის შესაძლოა ბოლომდე დამაჯერებელი არ იყოს. თუმცა ამგვარი ციტატების წარმოდგენა მაინც აუცილებლად მიმაჩნია. ამ მხრივ, წმინდა მამის ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვები შემდეგია, რომელსაც ისაიას 9:7 მუხლის განმარტებისას წერს:

„სოლომონის მშვიდობა დასაზღვრული იყო წლების გარკვეული რაოდენობით, ხოლო ღვთის მიერ მონიჭებული მშვიდობა მარადიულია, რადგან უსასრულოა და უსაზღვრო. ვინაიდან ყველა დაემორჩილება მას [πάντα γὰρ ὑποταγίσεται αὐτῷ], და ყველა აღიარებს ღვთის ძალაუფლებას. და როცა „ღმერთი იქნება ყვე-

160 Isaac, *II Part*, (Chap. 40.4), 175.

161 Isaac, *II Part*, (Chap. 40.5), 175.

162 Isaac, *II Part*, (Chap. 40.7), 176.

163 Isaac, *II Part*, (Chap. 40.12), 177.

164 იხ. სირიული ორიგინალის 26-ე სიტყვა: Mar Isaacus Ninevita. *De perfectione religiosa*. Ed. Paul Bedjan. Leipzig, 1909, 189, ციტირ.: ალფევეი, *სარწმუნოების*, 399. (ინფორმაციისთვის: 1909 წელს პირველად გამოიცა ისააკ ასურის ჰომილიების პირველი ნაწილის/ტომის დედანი სირიულ ენაზე. 1995 წელს კი სებასტიან ბროკმა სირიული დედანის ინგლისური თარგმანი გამოსცა).

ლაფერი ყველაფერში“ (1 კორ. 15:28), *მეამბოხე განდგომილთა დამშვიდების შემდეგ* [καθησυχασθέντων τών θορυβούντων ταῖς ἀποστασῖαις], მაშინ ყველა აღიდებს ღმერთს მშვიდობიანი [ნებაყოფლობითი, დ.თ.] თანხმობით.<sup>165</sup>

ბასილი ისაიას 8:22 მუხლს განმარტებისას წერს:

„არ იქნება ადამიანთა მოდგმა უმეცრების ტყვე სამუდამოდ, არამედ ისინი, რომლებიც ჭეშმარიტებას ეძიებენ ამ უმეცრებისგან თავის დასაღწევად და ევენება მისი აღმოჩენისთვის, პირისპირ იხილავენ მას და მიიღებენ ცოდნის სრულყოფას მაშინ, როდესაც მოვა დრო ყველა(ფრი)ს აპოკატასტასისისა [καίρις τῆς τῶν ὅλων ἀποκαταστάσεως]. ვინაიდან ამას ნიშნავს სიტყვები 'გარკვეულ დრომდე'“<sup>166</sup>

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ თარგმანებში ამ მუხლს სექტუაგინტაში მოცემული ბოლო ორი სიტყვა („გარკვეულ დრომდე“) აკლია, რომელიც აშკარად აპოკატასტასური შინაარსისაა. აღნიშნულ მუხლს მთლიანობაში ასეთი სახე აქვს [ციტატა, ბოლო ორი სიტყვის გარდა, ქართულენოვანი ბიბლიის 2015 წლის ახალი გადამუშავებულ გამოცემიდანაა]: „დახედავენ მიწას და, აჰა, უბედურება, სიბნელე და ტკივილის წყვილიადა ყველგან და უკუნეთში განიდევნებიან გარკვეულ დრომდე“ [ἔως καιρὸς]. საბედნიეროდ, ისაიას წიგნის ძველ ქართულ თარგმანში (მცხეთური ხელნაწერი) ეს ორი სიტყვა შენარჩუნებულია: „ვიდრე ჟამამდე“

ბასილის ციტატის მთავარი ბირთვი ბოლო ფრაზაა: „როდესაც მოვა დრო ყველა(ფრი)ს აპოკატასტასისისა“, რომლიდანაც საცნაურდება, რომ ბასილი აღიარებს უნივერსალურ აღდგენას. ამ ბოლო ფრაზით წმინდა ბასილი თითქოს საქმე მოციქულთას წიგნიდან შემდეგი სიტყვების პერიფრაზს აკეთებს: „ყველაფრის აღდგენის ჟამამდე“, ბერძნ. „ἄρῳνον ἀποκαταστάσειο πάντων“ (საქ. 3:21). ასევე საყურადღებოა, რომ წმინდა ბასილი იყენებს არა სიტყვას „ანასტასის“, არამედ „აპოკატასტასისს“. როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველი სხეულებრივ აღდგენაზე მიანიშნებს, მეორე კი ზნეობრივ, სულიერ განახლებაზე.

შესაძლოა, მკითხველმა იფიქროს, რომ წმინდა მამის აზრით, იმქვეყნად „ცოდნის სრულყოფას“ მხოლოდ ისინი მიიღებენ, რომლებიც ამქვეყნად ეძიებენ ჭეშმარიტებას, რაც თანმდევ სინანულსაც გულისხმობს და რომ ბასილი არაფერს ამბობს ყველა სულის მიერ გარდაუვლად მონანიების შესახებ. მაგრამ ბასილი ამ ადგილას არანაირად არ მიანიშნებს ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებებს შორის არსებულ ზღვარზე. აპოკატასტასური სწავლებით კი ადამიანი შეიძლება ევნოს, დაიტანჯოს და მეტანოია განიცადოს როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად. ბასილის ამ აზრს გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიური შეხედულებაც ეხმიანება, რომლის თანახმად, საიქიოში სრული ცოდნის პირობებში (ამქვეყნიური ნაწილობრივი ცოდნისგან განსხვავებით, 1 კორ. 13:9) ანუ უმეცრების გაფანტვის შედეგად, ყველა მიიღებს და აღიარებს ამ სრულ ჭეშმარიტ ცოდნას თავისი თავისუფალი ნებით. თუკი ბასილი დიდი შეუძლებლად მიიჩნევდა ფიზიკური გარდაცვალების შემდგომ სულის ცვლილებას, ფერისცვალებას, გარდაქმნას, მაშინ ის აუცილებლად აღნიშნავდა სწორედ ამავე ადგილას ამ მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რადგან უშუალოდ ამ საკითხზე საუბრობს. ბასილს ისევე მკაფიოდ უნდა განეცხადებინა ამის შესახებ, როგორც სხვა მამები აკეთებდნენ

165 Enarrationes in Isaiam 9.226, PG 30:513b., ციტირ.: Ramelli, Ilaria. "Basil and Apokatastasis: New Findings", Journal of Early Christian History, 4:2, 2014, 124.

166 Enarrationes in Isaiam, 8.222, PG 30:505a, ციტირ.: Ramelli, Apokatastasis, 371.

ამას ანუ გასაგებად და ცალსახად უთითებდნენ, რომ ადამიანისთვის სინანული და ცოდვების მიტევება მხოლოდ ამქვეყნად და არა იმქვეყნადაა შესაძლებელი.

ამ კონტექსტში ბასილის გამოთქმა „ისინი, რომლებიც“ უნდა გულისხმობდეს იმ სულებს, რომლებიც სხვებზე უფრო მეტ ცოდნას ანუ ღმერთთან ზიარებას, ნეტარებას მიიღებენ, რადგან, ქრისტეს სიტყვით, „მრავალი სავანა“ ღვთის სასუფეველში (ინ. 14:2), რაც მდგომარეობათა ხარისხობრივ სხვაობებს ნიშნავს. სიტყვა „სრული ცოდნა“ ვფიქრობ, აქ პირობითად უნდა გვესმოდეს, რადგან გრიგოლ ნოსელის მითითებით, შექმნილი არსებისთვის შეუძლებელია სრული ანუ დასრულებული ცოდნის, სიბრძნის მიღება საიქიოში, რომლის შემდეგ ზრდა-განვითარება შეუძლებელია, რადგან იმქვეყნად სრულყოფა, სულიერი წინსვლა მუდმივია და არასდროს სრულდება, რასაც წმინდა გრიგოლი „ეპექტაზისის“ (ბერძნ. „წინგაწვდომა“)<sup>167</sup> ცნებით გამოხატავდა. გრიგოლის მტკიცებით, სულიერი სრულყოფა არასდროს დამთავრდება და არ გახდება სტატიკური მდგომარეობა, რადგან ის მარადიულად მზარდია. სულიერ დაწინაურებას არ შეიძლება ჰქონდეს საზღვარი, რადგან ამ სრულყოფის წყარო — ღმერთი ამოუწურავია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბასილი სიტყვას „აიდიოს“ რაც ცალსახად „მარადიულს“ ნიშნავს, არ იყენებს იმქვეყნიურ ცეცხლთან და ტანჯვასთან დაკავშირებით.

ბასილი დიდის სხვა ციტატა ისაიას წიგნის 9:19 მუხლის განმარტებისას, რომელსაც ასევე იმოწმებენ, ამგვარია:

„...შემდეგ წინასწარმეტყველი ამატებს, რომ ‘გადაიბუგა ქვეყანა ცაბაოთ უფლის წყრომისგან და ცეცხლის კერძად იქცა ხალხი’ (ისაია 9:19), რითიც გვიჩვენებს, რომ მიწიერი ეძლევა განმწმენდელ ცეცხლს სულის სასარგებლოდ (*τὰ γῆϊνα τὰ πυρὶ τῶ κολαστικῶ παραδίδωται, ἐπὶ εὐεργεσίᾳ τῆς ψυχῆς*), როგორც ამას თავად ქრისტე აცხადებს, მთქმელი: ‘ცეცხლში გაეხვევა ეს ქვეყანა და სხვა რა

167 ეპექტაზისის და ზოგადად გრიგოლის სწავლებაზე განდმრთობის შესახებ იხ.: *მშენიერებათმოყვარეობა*. ტომი პირველი, ნაკვეთი პირველი. ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ელიშერ ჭელიძემ. თბ., ალილო 2013, სქოლიო 493, გვ. 484-499. (იგივე წიგნის წინა გამოცემაში იხ.: სათნოებათმოყვარეობა. ტომი პირველი, ნაკვეთი პირველი. თბ., 2006, სქოლიო 493, გვ. 402-416). ამ საკითხზე იხ. შემდეგი უცხოენოვანი ნაშრომები: J. Warren Smith. "Becoming Men, Not Stones: *Epektasis* in Gregory of Nyssa's *Homilies on the Song of Songs*", in: Gregory of Nyssa: IN Canticum Cantorum. Proceedings of the 13<sup>th</sup> International Colloquium on Gregory of Nyssa (Rome, 17-20 September 2014). Leiden: Brill 2018, p. 340-54; Lucas Francisco Mateo-Seco. "*Epektasis*", in: The Brill Dictionary of Nyssa. Edited by Lucas Francisco Mateo-Seco and Giulio Maspero, trans. Seth Cherny. Leiden: Brill 2010, 263-7; Balthasar, Hans Urs Von. *Presence and Thought: Essay on the Religious Philosophy of Gregory of Nyssa*. Translated by Mark Sebanc. San Francisco: Ignatius Press 1995, 194p.; Daniélou, Jean. *Platonisme et Théologie Mystique. Essai sur la doctrine spirituelle de Saint Grégoire de Nysse*. Théologie 2. Paris: Aubier 1944, 309-326; Völker, Walter. *Gregor Von Nyssa als Mysiker*. Wiesbaden: Franz Steiner Verlag 1955; Jaeger, W. *Gregor von Nyssa's Lehre vom Heiligen Geist*. Ed. H. Dörries. Leiden: E. J. Brill 1966; Blowers, Paul. "*Maximus the Confessor, Gregory of Nyssa, and the Concept of 'Perpetual Progress'*", *Vigiliae Christianae*, vol. 46, Iss. 2, 1992, 151-171; Geljon, Albert-Kees. "*Divine Infinity in Gregory of Nyssa and Philo of Alexandria*", *Vigiliae Christianae*, vol. 59, Iss. 2, 2005, 152-177; Robb-Dover, Kristina. "*Gregory of Nyssa's 'Perpetual Progress'*", *Theology Today*, Vol. 65, Iss. 2, 2008, 213-225; Ferguson, Everett. "*God's Infinity and Man's Mutability: Perpetual Progress according to Gregory of Nyssa*", *Greek Orthodox Theological Review* 18, 1973, 59-78; Sferlea, Olividu. "*On the Interpretation of the Theory of Perpetual Progress (epektasis): taking into account the the testimony of Eastern Monastic Tradition*", *Revue d'histoire ecclésiastique*, vol. 109, Iss. 3-4, 2014, 564-587 და სხვა.

მსურს, გარდა იმისა, რომ ახლავე დაინთოს' (ლკ. 12:49). და 'იქნება ხალხი, როგორც ცეცხლისგან დამწვარი კაცი'. მაგრამ გვემუქრება არა განადგურებით, არამედ მიუთითებს განწმენდაზე (*κάθαρσις*), მოციქულის თქმისამებრ: 'მისი საქმე დაიწვება, ხოლო თვითონ გადარჩება, მაგრამ ისე, როგორც ცეცხლისაგან' (1 კორ. 3:15).<sup>168</sup>

ამ პასაჟამდე ბასილი მიწიერ ვენებებში დაფლულ ხალხზე საუბრობს, რომელთა მიერ აღიარებული ცოდვები ემსგავსება ხმელ ბალახს, რომელსაც განწმენდელი ცეცხლი შთანთქავს. ცხადია აქ, ბასილი ექსპლიციტურად არ საუბრობს ესქატოლოგიურ პროცესებზე, როგორც გრიგოლ ნოსელი, მაგრამ თვალში საცემია ცოდვების ცეცხლით განწმენდის ანალოგიის სისტემატური ხსენება. ამასთან, საგულისხმოა აქვე მის მიერ პავლე მოციქულის იმ სიტყვების დამოწმება საიქიოში ცეცხლით გადარჩენის შესახებ, რომელიც უმთავრეს საფუძვლად მიიჩნეოდა აპოკატასტასისის მხარდამჭერი წმინდა მამების მიერ. ბასილი აქ ცეცხლით ანუ ტანჯვით განწმენდის შესაძლებლობის ერთგვარ მექანიზმზე მიუთითებს.

ისაიას განმარტებათა წიგნის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ბასილისადმი კუთვნილება 1721 წელს საეჭვოდ მიიჩნია ტექსტის მთარგმნელმა ჟ. გარნიემ. მეოცე საუკუნის ბოლომდე ეს ნაშრომი უავტოროდ მიიჩნეოდა. თუმცა უახლესმა ტექსტოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ის ნამდვილად ბასილი კესარიელს ეკუთვნის.<sup>169</sup> არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ პატრისტიკულ ეპოქაში ეს ტექსტი ბასილის დაწერილად მიაჩნდათ მაქსიმე აღმსარებელს, იოანე დამასკელს, სვიმეონ ლოგოთეტს და სხვებს.<sup>170</sup>

აღსანიშნავია აგრეთვე ბასილის მიერ დემონთა ბუნების დახასიათება, რომელიც ეკლესიის სხვა მამების (ასევე ორიგენეს) მოსაზრებას ეთანხმება: „მზაკვარია ეშმაკი, მაგრამ ეს მზაკვრობა მომდინარეობს მისი თავისუფალი ნებიდან და არა მისი ბუნებიდან, რომელიც არ არის სიკეთის საწინააღმდეგო.“<sup>171</sup> თავისუფალი ნება კი თავისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება შეიცვალოს.

აპოკატასტასისის კონტექსტში ხშირად უთითებენ ბასილის ერთ შეხედულებას, რომელიც შეუთავსებელია ამ სწავლებასთან. მაგ., ფრანგი მართლმადიდებელი თეოლოგი, ჟან-კლოდ ლარშე ანმოვანებს რა პოპულარულ არგუმენტს ქრისტეს მიერ ერთდღიანად სიციყვის αἰώνιος გამოყენებაზე როგორც ჯოჯოხეთის ტანჯვასთან, ისე სასუფევლისეულ ნეტარებასთან მიმართებით, ბასილი დიდის შემდეგ მოსაზრებას იმოწმებს: „თუკი ოდესმე დასრულდება მარადიული ტანჯვა, მაშინ უეჭველად, მარადიულ ცხოვრებასაც უნდა ჰქონდეს დასასრული და თუკი არ ვფიქრობთ, რომ მარადიული ცხოვრება დასრულდება, მაშინ რის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ მარადიული ტანჯვა დაბოლოებადია, როცა ორი-

168 Enarrationes in Isaiam 9.231, PG 30:521c., ციტირ.: Ramelli, *Apokatastasis*, 364. (ინგლისური თარგმანი იხ.: St. Basil the Great. *Commentary on the Prophet Isaiah*. Translated into English by Nikolai Lipatov. Mandelbachtal: Edition cicero 2001, 282).

169 Липатов, Николай. "Вопрос об Авторстве 'Толкования на Пророка Исайю', сохранившегося под именем свт. Василия Великого", Вестник ПСТГУ, №1:1 (33) 2011, 69-84.

170 Ramelli, *Basil*, 121.

171 იხ. ბასილი კესარიელის წერილი: თქმული წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისი, ვითარმედ „არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთაი“, კრებულში: ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. თბ., მეცნიერება 1983.

ვე შემთხვევაში ერთიდაიგივე სიტყვა *αἰώνιος* გამოიყენება? ნათქვამია: 'წავლენ ისინი საუკუნო (*αἰώνιος*) სატანჯველში, ხოლო მართალნი საუკუნო (*αἰώνιος*) სიცოცხლეში' (მათ. 25:46).<sup>172</sup>

როგორც ვხედავთ, ეს პრობლემური პასაჟი, რომელიც ბასილის მიერ კითხვა-პასუხის სახით თავისი ბერებისთვის დაწერილ „განწესებებში“ მოიპოვება (*Regulae*, 267, PG 31,1264,30-1265,47), მიუთითებს, რომ ვინაიდან ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ერთიდაიგივე სიტყვა *αἰώνιος*, მაშინ ის აუცილებლად მარადისობას უნდა ნიშნავდეს, რადგან თუ ის დროებითობას გულისხმობს, მაშინ ჯოჯოხეთის ტანჯვაც და სამოთხისეული ნეტარებაც დასრულებადი გამოდის. მონაკვეთში გამოთქმული ეს შეხედულება ისე შორს მიდის, რომ ვინც ამ აზრს არ იზიარებს, ეშმაკის მიმდევრებად არიან გამოცხადებულნი.

როგორც პატროლოგიურ მეცნიერებაში დადგენილია, გრიგოლ ნოსელი-სა და ორიგენეს დარად, ბასილი დიდიც ნათლად აცნობიერებდა განსხვავებას *αἰώνιος*-სა და *ἀίδιος*-ს შორის, არასოდეს იყენებდა რა *ἀίδιος*-ს ჯოჯოხეთის სასჯელთან მიმართებით<sup>173</sup>. ბასილი კესარიელის მიერ ხსენებული ტერმინების მართებული გამოყენების შემთხვევები ლეგიტიმურ ეჭვებს წარმოშობს ამ მონაკვეთის ბასილისეულობასთან დაკავშირებით, რადგან სახეზეა აშკარა წინააღმდეგობრიობა და არათანმიმდევრულობა.

ილარია რამელის აზრით, ეს გარემოება შეიძლება რამდენიმენაირად აიხსნას: 1) პედაგოგიური სტრატეგია: ორიგენეს მსგავსად, ბასილიც ფიქრობდა, რომ სულიერად უმწიფარ ადამიანებზე ღვთის სიყვარულზე მეტად ჯოჯოხეთის მარადიული სასჯელი უფრო დადებითად მოქმედებდა ზნეობრივი ცხოვრების წარმართვის თვალსაზრისით. ამიტომ, ბასილს შეეძლო „მსხვერპლად შეეწირა ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური თანმიმდევრულობა“ პასტორალური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. 2) ინტერპოლაცია: ლოგიკურია ასევე იმის დაშვებაც, რომ ეს მონაკვეთი სხვის მიერაა ჩამატებული, რომელსაც ბასილი დიდის ავტორიტეტის გამოყენება სურდა მით უფრო, რომ მეოთხე საუკუნეშიც აქტუალური იყო ანტიორიგენისტული პოლემიკა. ამასთან, ისეთი სტრუქტურის მქონე თხზულებაში, როგორცაა კითხვა-პასუხი ანუ ერთმანეთთან ორგანული კავშირის არმქონე მონაკვეთებისგან შემდგარი ტექსტი, ძალიან ადვილად შეიძლება ამგვარი ჩამატებები. ამის კარგი მაგალითია ნაშრომი სახელწოდებით „ამფილოქე“, რომელიც ფოტიოსს მიეწერება. მის პროლოგში აღნიშნულია, რომ თხზულება შეიცავს სამას კითხვა-პასუხს, მაგრამ ტექსტის ხელნაწერებში უფრო მეტ კითხვა-პასუხებია წარმოდგენილი და ამასთან, სხვადასხვა რაოდენობით. სხვათა შორის, მრავალი ასეთი ინტერპოლაციაა გამოვლენილი ბასილის ნაშრომში *moralia*, რომელიც ასევე ბერებისთვის დაიწერა და როგორც პანაიოტის ცამალიკოსი მიუთითებს, ამგვარ ჩამატებებს შეიცავს ბასილის ნაშრომი *Regulae brevius tractatae*.<sup>174</sup>

საბოლოოდ, ავტორი უფრო მეორე ვერსიისკენ იხრება (ინტერპოლაცია)<sup>175</sup>, რადგან, — რომ არაფერი ითქვას ზემოთ ხსენებულ ლინგვისტურ წინააღმდე-

172 Василий Великий. *Правила, кратко изложенные в вопросах и ответах*, вопрос 267 [т. 2, с.223-319], ციტირ.: Ларше, Жан-Клод. *Жизнь После Смерти согласно Православной Традиции*. Перевод с французского. М., Издательство Сретенского Монастыря 2017, 329.

173 Ramelli, *Apokatastasis*, 350.

174 Ramelli, *Apokatastasis*, 353-4.

175 Ramelli, *Basil*, 133.

გობრიობაზე, — მკვლევარს ძნელად წარმოსადგენად მიაჩნია, რომ ბასილი კესარიელს ეშმაკისგან შთაგონებული ეწოდებინა საკუთარი ღვიძლი ძმისთვის (წმინდა გრიგოლ ნოსელი) და დისთვის (წმინდა მაკრინე), ასევე უახლოესი მეგობრისთვის, გრიგოლ ნაზიანზელისთვის, რადგან ისინიც გამოთქვამდნენ მოსაზრებებს ჯოჯოხეთის არამარადიულობის იდეის შესახებ და ეს, ცხადია, შესანიშნავად იცოდა ბასილი კესარიელმა.

### გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი)

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი), გრიგოლ ნოსელისგან განსხვავებით, მტკიცებითი ფორმით არ გამოთქვამდა ყველას ცხონების იდეას, თუმცა ამგვარი პერსპექტივა მისთვის სავსებით რეალური შესაძლებლობაა. თავის ოცდამეცხრამეტე სიტყვაში გრიგოლ ნაზიანზელი შემდეგს აცხადებს:

„ამრიგად, თუ მათ სურთ, დაე, გამოჰყვენ ჩვენსა და ქრისტეს გზას; თუ არ სურთ, მაშინ თავისი გზით იარონ; *შესაძლოა, ისინი იქ ცეცხლით მოინათლონ — ამ უკანასკნელი ნათლობით, რომელიც ყველაზე მტკივნეულია და ხანგრძლივი, რომელიც გამხმარი ბალახივით შთანთქავს ნივთიერებას და ანადგურებს ყოველგვარი ცოდვის სიმსუბუქეს. ჩვენ კი ახლა მივაგოთ პატივი ქრისტეს ნათლობას...<sup>176</sup>*

მართალია, სხვაგან იგივე მამა აღნიშნავდა, რომ იცის ასევე ჯოჯოხეთის იმგვარი ცეცხლი, რომელიც „უკვდავყოფილია“ (διασώζων) ცოდვილებისთვის, შესაბამისად, არა განმწმენდელი, არამედ დამსჯელი<sup>177</sup>. მაგრამ იქვე ნაზიანზელი ღვთისმეტყველი ამ პროცესის უფრო მეტად „კაცთმოყვარეობითი“ გაგების საჭიროებაზე უთითებდა. ნათელია, რომ აქ მას მხედველობაში ჰქონდა სხვა კაბადოკიელი მამის, თავის უახლოესი მეგობრის, გრიგოლ ნოსელის სწავლება აპოკატასტასის შესახებ.

ოცდამეათე სიტყვაში წმინდა მამა არაორაზროვნად აღიარებს ყველა გონიერი ქმნილების განღმერთობის ანუ აპოკატასტასის შესაძლებლობას:

„აპოკატასტასის (ἀποκατάστασις) დროს ღმერთი იქნება ყველაფერი ყველაფერში..., როცა ჩვენ, რომლებიც ახლა ან საერთოდ არ ვატარებთ საკუთარ თავში ღმერთს ან მცირედით ვართ მასთან ზიარებულნი ვნებათა გამო, *ყოვლითურთ*

176 Григорий Богослов. Слово 39, *Собрание творений в двух томах*. Том 1, Свято-Троицкая Сергиева лавра, 1994, 543. წმინდა გრიგოლის ამ უაღრესად საინტერესო სიტყვებს არც ილარიონ ალფევი ტოვებს უყურადღებოდ და მათ სწორედ აპოკატასტასურ კონტექსტში იმოწმებს: Алфеев, Иларион. Жизнь и Учение св. Григория Богослова. Изд. 2-е СПб., 2001, 393. ასევე კათოლიკე თეოლოგი, იოანე საჩსიცი აპოკატასტასური მნიშვნელობით იმოწმებს გრიგოლის ამ სიტყვებს: Oration 39.19 (PG 36.357C7-9), in: John Sachs. "Apocatastasis in Patristic Theology", *Theological Studies* 54, 1993, 631. ცეცხლით ნათლისღების შესახებ გიორგი ფლოროვსკი წერდა: „რასაკვირველია, განსაკუთრებულ და კერძო შემთხვევებში 'გარეგნული ქმედება' (ფორმა) შესაძლოა კიდევ გაუქმდეს – ასეთია მოწამებრივი ნათლისღება სისხლით, ან ე. წ. *Baptisma flaminis* (ნათლისცემა ცეცხლით), მაგრამ ასეთი რამ დასაშვებია მხოლოდ *in casu necessitatis* (აუცილებლობის შემთხვევაში)“ (იხ. მისი წერილი „ეკლესიათა საზღვრების შესახებ“ კრებულში: ეკლესიის საზღვრები: მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა. რედ.: თამარ გრძელიძე. თბ., კვირიონი, 2000, 1-14).

177 Григорий Богослов. Слово 40, ციტირ.: Алфеев, Иларион. *Жизнь и Учение св. Григория Богослова*. Изд. 2-е СПб., 2001, 394.



ღვთის მსგავსნი გავხდებით, როცა საკუთარ წიაღში მხოლოდ ღმერთი გვეყოლება და სხვა არაფერი. აი, სრულყოფილება, რომლისკენაც მივმართებით.<sup>178</sup>

საინტერესოა, აგრეთვე მეოთხე სიტყვაში გრიგოლის მსჯელობა ღვთის პროვიდენციაზე: „...სამყაროს მმართველი ჩვენზე ბრძენია და თავისი ქმნილება იქითკენ მიჰყავს, საითკენაც და როგორი გზითაც მას ესათნოება, ყოველგვარი ეჭვის გარეშე – სრულყოფილებისა და განკურნებისკენ, თუმცა მკურნალობის მიმღებნი ნაწყენდებიან ხოლმე“<sup>179</sup>. სხვათა შორის, ამ სიტყვებს ეხმიანება იოანე ოქროპირის შემდეგი აზრიც: „ღმერთი ხშირად სიკეთეს ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ გვიკეთებს და უფრო ხშირად ჩვენს შეუტყობინებლად“<sup>180</sup>.

ამრიგად, გრიგოლ ნაზიანზელი კატეგორიულად არ უარყოფს ტანჯვის მარადიულობას, თუმცა არც აპოკატასტასისის გამორიცხავს, სრულიად რეალურად ესახებოდა რა ყველას საბოლოო ცხონების შესაძლებლობაც.

### **იოანე სინელი, მეთოდი პატარელი, რომანოზ მელოდოსი**

წმინდა იოანე სინელი ყველას ცხონების რეალურ შესაძლებლობას აღიარებდა, თუმცა ცხონებულთა შორის ერთმანეთისგან განარჩევდა სულიერებაში დაწინაურებულებს (უვნებობას მიღწეულთ) და ე.წ. ღვთის სათნოყოფელებს: „შეუძლებელია ყველამ მიაღწიოს უვნებობას, მაგრამ ცხონება და ღვთის სათნოყოფა ყველას შეუძლია.“<sup>181</sup> ასევე საინტერესოა ამავე მეუღაბნოე მამის მსჯელობა დაცემული ანგელოზების შესახებ: „თუკი სიამაყემ ზოგიერთი ანგელოზი ეშმაკად აქცია, მაშინ, უეჭველად, თავმდაბლობა შემძლეა ეშმაკი გადააქციოს ანგელოზად. ასე რომ, სასო არ წარიკვეთონ დაცემულებმა“<sup>182</sup>.

მცირე აზიაში მოღვაწე წმინდა მეთოდი პატარელს ეკუთვნის ასევე შემდეგი სიტყვები: „საჭიროა ველოდოთ, რომ ქმნილება დაიტანჯება ცეცხლში, როგორც სიკვდილისთვის განწირული, მაგრამ არა დასაღუპად, არამედ აღსადგენად“<sup>183</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წმინდა რომანოზ მელოდოსის ერთ-ერთ კონდაკში ქრისტე შემდეგი სიტყვებით მიმართავს ჯოჯოხეთს: „...არა მხოლოდ იმათ

178 Григорий Богослов. Слово 30, ციტირ.: Алфеев, Григорий Богослов, 395. ნაზიანზელი წმინდანის ამ სიტყვებს საჩსიც ციტირებს (Oration 30.6 (PG 36.112B7-9), in: John Sachs. "Apocatastasis in Patristic Theology", *Theological Studies* 54, 1993, 631).

179 Григорий Богослов. *Собрание*, 82.

180 Иоанн Златоуст. *Толкование на матфея*, Беседа 25,4. М., 1993, 324.

181 იოანე სინელი. *კლემაქსი, ანუ კიბე*. თავი 26:83. ექვთიმე ათონელის თარგმანი თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო ტ. ცომაიამ. თბ., ახალი ივირონი 2008, 243. იოანე კლემაქსის იგივე სიტყვები აპოკატასტასისის კონტექსტშია ციტირებული კლემანის ნაშრომშიც: John Climacus. *The Ladder of Divine Ascent*, 26<sup>th</sup> step, 54(65), in: Clément, Olivier. *The Roots of Christian Mysticism*. Translated by Theodore Berkeley. London: New City Press 1995, 304.

182 John Climacus. *The Ladder of Divine Ascent*. Step 25. Translation by C. Luibheid and N. Russell. London: SPCK 1982, 227. (რუსულ თარგმანში მუხლის ნუმერაციაა: Лествица 25:63. ექვთიმე ათონელის ძველქართულ თარგმანში ამ შინაარსის მუხლი ამოჭრილია წმინდა ექვთიმეს მიერ. იხ. ტატიანა ცომაიას მიერ ახალ ქართულ ენაზე გადმოღებული ექვთიმეს ძველი ქართული თარგმანი).

183 Мефодий Патарский. *О воскресении мертвых (против оригена)*, Полное собрание творений. СПб., 1877, 205, ციტირ.: ალფევი, *სარწმუნოების*, 412.

მომცემ შენ, რომლებიც აღვადგინე და ახლა გამომყავს, არამედ იმათაც, რომლებიც მომავალში გამოიგზავნებიან შენთან<sup>184</sup>.

იოანე ოქროპირი წინასწარმეტყველ ებეკიელის სიტყვებზე დაფუძნებით საინტერესო აზრს გამოთქვამდა: „თუნდაც რომ მხოლოდ მეთერთმეტე საათზე დაიწყო შრომა, ღმერთი მაინც მოგცემს სრულ საზღაურს. 'თუმცა არაფერი გაქვს ისეთი, რის გამოც შენი ცხონება შეიძლება, იტყვის უფალი, მაგრამ მე ამას გავაკეთებ ჩემით, რათა არ შეიბღალოს ჩემი სახელი'“ (შდრ. ებეკ. 36:22).<sup>185</sup>

ცხადია, დასავლელი წმინდა მამებიც აღიარებდნენ საიქიო განწმენდის იდეას. მაგ., წმინდა ამბროსი მედიოლანელს მიაჩნდა, რომ ჯოჯოხეთში ცოდვილი „გაივლის ცეცხლის სატანჯველს, რათა ცეცხლით განწმენდილი, გადარჩეს და არ ეწამოს განუწყვეტილად.“<sup>186</sup> მაგრამ წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ აღმოსავლელი მამების ნააზრევს ეძღვნება.

### **მამათა საწინააღმდეგო მოსაზრების შესახებ**

ზემოთ გავეცანით ეკლესიის წმინდა მამების სრულიად ნათელ და არაორაზროვან მოსაზრებებს ფიზიკური სიკვდილის შემდეგ ადამიანის განწმენდის ანუ სულიერ სხნასთან დაკავშირებული იმედის, შესაძლებლობის შესახებ. ბუნებრივია, არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებებიც, რომლებიც გამოთქმულია სხვა (და ზოგჯერ იგივე) წმინდა მამების მიერ. მათ ნაწერებში თავისუფლად შეგვიძლია ამოვიკითხოთ შეხედულებები, რომლებითაც უარიყოფება ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სულის ცვლილება, განწმენდა და ღმერთთან დაბრუნება. მოიპოვება კატეგორიული განაცხადები, რომ ჯოჯოხეთის ტანჯვა მარადიულია, რომ თუ მიწიერ ცხოვრებაში ვერ მოასწრო ადამიანმა სინანული, საიქიოში მისი სულის გამოსწორებას და გარდაქმნას შანსიც კი არ აქვს.

მაგ., ცეცხლით ნათლობას ახსენებდა იოანე დამასკელიც:

„...ითქმის, რომ ცეცხლით ნათელსცემს ქრისტე, რადგან ცეცხლოვანი ენების სახით გადმოღვარა მან წმინდა მოციქულებზე მაღლი სულისა, როგორც ამბობს თვით უფალი: 'იოანემ ნათელსცა წყლით, ხოლო თქვენ ნათელ-იღებთ სულიწმინდით და ცეცხლით ამ რამდენიმე დღის შემდეგ' (საქ. 1:5). ანდა ეს ითქმის იმ დამსჯელობითი ნათლისღების გამო, რაც სამერმისო ცეცხლით მოხდება.“<sup>187</sup>

მაგრამ ცოტა ქვემოთ, ნათლობის ბოლო სახეობაზე საუბრისას, დამასკელი ღვთისმეტყველი წერს: „მერვე, უკანასკნელი, არის არა მაცხოვრებელი, არამედ ბოროტების აღმომფხვრელი (რადგან ბოროტება და ცოდვა ასპარეზზე აღარ იქნება), მაგრამ – მტანჯველი დაუსრულებლად (κλιμαίον δε ατελευτητα)“ შეიძლება აქ გაჩნდეს ლეგიტიმური შეკითხვები ამ მოსაზრების არათანმიმდევრულობასთან დაკავშირებით. მაგ., როგორ შეიძლება სასჯელი იყოს ბოროტების აღმომფ-

184 Sources Chretiennes 128,594, ციტირ.: Алфеев, Иларион. *Христос – победитель ада. Тема сошествия во ад в восточно-христианской традиции*. СПб.: Алетейя, 2001, 430с.

185 Иоанн Златоуст. Толкование на Матфея евангелиста, Беседа 3:5.

186 PL 17, 200, ციტირ.: ალფეევი, *სარწმუნოების*, 402.

187 იოანე დამასკელი. *მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა*. თავი 82: „რწმენისა და ნათლისღების შესახებ“ ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბ., სასულიერო აკადემიის გამომცემლობა 2000, 166-169.

ხერელი და იმავდროულად არა მაცხოვრებელი? განა ბოროტების აღმოფხვრა ანუ განადგურება-გაქრობა ავტომატურად არ გულისხმობს კეთილი საწყისის საყოველთაო გავრცელებას? ან რას ნიშნავს ბოროტებისგან განწმენდის მუდმივი, დაუსრულებელი პროცესი?

შეიძლება სხვა ანტიპოკატასტასური აზრების დამოწმებაც, მაგრამ, საინტერესო ისაა, რომ იმავდროულად ეკლესიის მამები აღიარებენ გარდაცვლილის სულისთვის აღსრულებული ლოცვებისა და მოწყალების საქმეების ეფექტურობას ანუ დადებით გავლენას საიქიოში მყოფ სულზე, რაც ცალსახად სულის მდგომარეობის ცვლილებას ნიშნავს და ეს ცვლილება არა მხოლოდ უმნიშვნელო (მაგ., ტანჯვის შემსუბუქება), არამედ რადიკალურიც შეიძლება იყოს (ჯოჯოხეთიდან ბედნიერების ადგილას „გადასვლა“).

ეკლესიის მამათა ნაწერებში საწინააღმდეგო მოსაზრებათა არსებობა ვერ ჩაითვლება ანტი-აპოკატასტასურ არგუმენტად, რადგან ხშირად ისინი სხვა საკითხებზე გამოთქვამდნენ განსხვავებულ თუ წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს. როგორც წესი, ეს საკითხები არადოგმატურ სფეროს განეკუთვნება. თუმცა არსებობდა გამონაკლისებიც. აპოკატასტასისის შესახებ სწავლება კი ეკლესიას არც არასდროს უარუყვია და არც დოგმატის რანგში აუყვანია. ამრიგად, განსხვავებული და წინააღმდეგობრივი იდეები ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა ფაქტორებით განპირობებულ გარემოებებს, რომელთა გათვალისწინებით უხდებოდათ საეკლესიო მოღვაწეებს ამა თუ იმ შეხედულების გამოთქმა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დანიშნულებას, ისტორიულ და ტექსტურალურ კონტექსტს, ასევე ადრესატ(ებ)ს, რომელთათვისაც გამოითქმებოდა შეხედულებები. ხშირად ეკლესიის მამათა მოსაზრებები ან ქმედებანი პედაგოგიური და იკონომიური ხასიათისაა. შეუძლებელია სხვაგვარად განმარტება ტანჯვის მარადიულობის საკითხზე მამათა ნაწილის ხსენებული პოზიციისა, რადგან, როგორც ისააკ ასური წერდა, სწავლება იმის შესახებ, რომ ღვთის მიერ შექმნილი წესრიგი მარადიულ ტანჯვას ითვალისწინებს, „ინფანტილური აზროვნებაა“ (სირიულად: *sabrut tar ita*).<sup>188</sup>

რასაკვირველია, წმინდა წერილში გამოყენებული სიტყვა *αἰώνιος* გრიგოლ ნოსელისთვისაც არა მარადიულობაზე, არამედ მხოლოდ საიქიოს რეალობაზე მიანიშნებდა. როგორც ილარია რამელი ამტკიცებს, სწორედ „ამ მნიშვნელოვანი ლინგვისტური თავისებურების სწორად ვერ აღქმის გამო მერვე საუკუნეში გერმანე კონსტანტინეპოლელი დარწმუნებული იყო, რომ გრიგოლ ნოსელს ეს სიტყვა მარადიულობის მნიშვნელობით უნდა გაეგო. მაგრამ ვინაიდან იმავდროულად ნოსელის ნაშრომებში აშკარა აპოკატასტასურ სწავლებას ამჩნევდა და ვერ ხსნიდა ამ წინააღმდეგობას, იფიქრა, რომ გრიგოლის ხელნაწერებში სათანადო ადგილები ორიგენისტებმა ჩაამატეს.“<sup>189</sup>

ცნობილი პატროლოგის, ქუასტენის სიტყვით, გრიგოლ ნოსელის თავყანისმცემლები მისი ორთოდოქსული რეპუტაციის „გადასარჩენად“ შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ აპოკატასტასური აზრები მის ნაწერებში ერეტიკოსი ორიგენისტების მიერ იყო ჩამატებული. პირველი ასეთი მცდელობის მოთავე მერვე საუკუნეში მოღვაწე კონსტანტინეპოლის პატრიარქი გერმანეა, რომელსაც შემდეგ ფოტიოსიც ახსენებს. მაგრამ პატროლოგის ცალსახა განაჩენით, ინ-

188 Isaac of Nineveh (Isaac the Syrian). *The Second Part*, Chapters 4-41. Chapter 39.2. Translated by Sebastian Brock. Lovanii: Peeters 1995, 163.

189 ap. Photius, *Bibl. Cod. 233*, ციტირ.: Ramelli, *Apokatastasis*, 410.

ტერპოლაციის შესახებ „ჰიპოთეზა არ არის დასაბუთებელი“<sup>190</sup>. მოგვიანებით, ფოტიოს პატრიარქი თავის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომში, სახელწოდებით „ბიბლიოთეკა“, გერმანეს დაკარგული ნაშრომიდან ციტირებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც გრიგოლ ნოსელის ნაწერები „სუფთა იყო ორიგენისტული ლაქებისგან“<sup>191</sup>

ასევე ცნობილია, რომ წმინდა ბარსანუფი დიდიც (ლაზელი) „გაოგნებული“<sup>192</sup> იყო იმ ფაქტით, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი, გრიგოლ ნოსელი აპოკატასტასისს უჭერდა მხარს. ბარსანუფის პასუხის მიხედვით (კითხვა 610), ზოგჯერ წმინდანები „ახალ სწავლებასაც“ გადმოსცემენ ზეციდან შთაგონებული, მაგრამ იმ მოსაზრებებსაც ინარჩუნებენ, „რაც წინამორბედი მასწავლებლებისაგან მიიღეს, ანუ არასწორ სწავლებას. შემდგომში, როცა წარემატნენ და სულიერი მოძღვრები შეიქნენ, არ ილოცეს ღვთისადმი, რათა უფალს წინამორბედთა მოძღვრების შესახებ გამოეცხადებინა, სულიწმინდისგან იყო თუ არა შთაგონებული მათი სწავლება“<sup>193</sup> გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბარსანუფისა და იოანეს წერილები ახალბედა მოსაგრისადმია მიმართული, რომლისთვისაც ამგვარი მჭვრეტელობითი საკითხებით „ნაადრევი გატაცება შეიძლება დამღუპველი ყოფილიყო“<sup>194</sup>

### სინოდისკონი და იოანე იტალოსის დაგმობა

ნაშრომის დასაწყისშივე ვახსენეთ, რომ არ არსებობს საყოველთაოდ გაზიარებული საეკლესიო კრება, რომელზეც ტანჯვის დასრულებადობის იდეა ანათემირებული და განვიხილეთ 543 წლის ადგილობრივი კრების მიერ ორიგენისტული აპოკატასტასისის დაგმობის საკითხი. საეკლესიო კრებების კონტექსტში ასევე აღსანიშნია 1082 წლის კონსტანტინეპოლის ადგილობრივი კრება, რომელმაც იტალიური წარმოშობის ცნობილ ფილოსოფოსის, იოანე იტალოსის წინააღმდეგ 11 ანათემატიზმი გამოაცხადა. ამ შემთხვევაშიც, წარმართულ იდეებთან კავშირშია დაგმობილი ჯოჯოხეთის ტანჯვის დროებითობის იდეაც. აღნიშნული ანტიიტალოსური ანათემები დაემატა ე.წ. „მართლმადიდებლობის სინოდისკონის“ ტექსტს, რომელიც ყოველ წელს დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს იკითხებოდა და რომელიც ერთგვარ ანტიერეტიკულ შეჯამებას წარმოადგენდა, გმობდა რა ხატმებრძოლობასა და სხვა ძველ ერესებს.

1082 წლის ამ კრებისთვის საერთო მართლმადიდებლურ სტატუსის მინიჭების ცდუნება არსებობს იმ მიზეზით, რომ ამ ანტიიტალოსური ანათემებით გავრცობილი სინოდისკონის ტექსტი თითქოს ყველა ეკლესიაში იკითხება ყოველ წელს მეთერთმეტე საუკუნიდან დღემდე. ამ ცდუნების ლოგიკით, თუ ადგილობრივი კრების გადაწყვეტილებას სხვა ყველა ადგილობრივი ეკლესია იზიარებს (რეცეფცია), მაშინ ის ნორმატიული ხდება ყველა მორწმუნისათვის და მისი უარ-

190 Quasten, Johannes. *Patrology*. Vol. III: The Golden Age of Greek Patristic Literature. Utrecht-Antwerp: Spectrum Publishers 1963, 290.

191 Ramelli, *Apokatastasis*, 410. სქოლიო 305.

192 Ramelli, *Apokatastasis*, 410.

193 Варсануфий Великий и Иоанн Пророк. *Руководство к Духовной Жизни в Ответах на Вопросы Учеников*. Перевод с Греческого. (Вопрос 610). М., Сибирская Благозвонница 2013, 527.

194 Сидоров, *Авва Евагриј*, 60.

ყოფა ან იგნორირება ერესად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითისთვის, შეიძლება ბოდა მოყვანილიყო შეუქმნელი ენერგიების დოქტრინის შემთხვევა, რომელიც ასევე კონსტანტინეპოლის ადგილობრივმა კრებამ მიიღო და არა მსოფლიო კრებამ, მაგრამ მიიჩნევა, რომ ეს დოქტრინა ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ გაიზიარა. მაგრამ ანტი-იტალიოსური ანათემების შემცველი სინოდიკონი არასოდეს სარგებლობდა საერთო მართლმადიდებლური აღიარებით.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომის კონტექსტში იოანე იტალოსისადმი წარმოთქმული ანათემების მეათე პუნქტია ფოკუსში, რომელშიც დაგმობილია „ფუჭი ბერძნული მოძღვრებანი“ და იქვე ნახსენებია სულთა პრეეგზისტენცია, სამყაროს არაფრისგან შექმნის უარყოფა, ტანჯვის დასრულებადობა ანუ ქმნილების კვლავადგენა, რომელიც, ანათემის ავტორთა აზრით, გულისხმობს აგრეთვე ზეციური სასუფევლის დროებითობასა და განქარვებადობას. შემდეგ მტკიცებით ფორმავია ნათქვამი, რომ ამის საპირისპიროდ ჯოჯოხეთის სასჯელიც დაუსრულებელია და უფლის სასუფეველიც მარადიული და ვინც ამ აზრს არ იზიარებს, ანათემას გადაეცემა (ანათემის ბერძნული ორიგინალის ბოლო სტრიქონებია: ...ὅτι και ἡ κόλασις ἀτελεύτητος και ἡ βασιλεία ἀΐδιος, διὰ δὲ τῶν τοιούτων λόγων ἑαυτοὺς τε ἀπολλύουσι καὶ ἑτέροις αἰώνιας καταδίκης Προξένοις γενομένοις, ἀνάθεμα)<sup>195</sup>.

როგორც აღინიშნა, ანტიიტალიოსური ანათემებით გამდიდრებული სინოდიკონი არ იყო აღიარებული აღმოსავლეთის ყველა ეკლესიის მიერ. უფრო მეტიც, თვით ბიზანტიის იმპერატორის დაქვემდებარებაში არსებული ყველა ეკლესიის მიერაც როდი იქნა გაზიარებული, რადგან ის თარგმნილიც კი არაა ყველა ქრისტიანული ეკლესიის ენაზე, არათუ ლიტურგიკულ ციკლში ჩართული. შესაბამისად, კონსტანტინეპოლის კრებების დადგენილებათა კრიტიკულ გამოცემაში ამ ბერძნულენოვანი სინოდიკონის მხოლოდ ბულგარული, სერბული, რუსული და ძველქართული თარგმანებია წარმოდგენილი<sup>196</sup>. შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ ეს სინოდიკონი ყველა სამოციქულო ტრადიციის ეკლესიამ მიიღო, თარგმნა და ჩართო თავის ღვთისმსახურებაში. არ არსებობს ისტორიული ცნობები, რომ ამ კონკრეტულ სინოდიკონს ყველა მართლმადიდებელი ეკლესია კითხულობდა ე.წ. მართლმადიდებლობის ზეიმის კვირას.

რა ვითარება იყო ქართულ ეკლესიაში? არსებობს სინოდიკონის ორი ძველი ქართული თარგმანი. იოანე იტალოსისადმი გამოცხადებულ ანათემებს არცერთი მათგანი არ შეიცავს. ერთი ნათარგმნია ექვთიმე მთაწმინდლის მიერ (ტექსტი შეიქმნა მე-10 ს.-ის ბოლოს. ხელნაწერები: მე-11 და მე-14 საუკუნისა)<sup>197</sup>. მეორე

195 Concilium Constantinopolitanum, 1082, in: Alberigo, Conciliorum, pp. 82-3. ბერძნული ტექსტის ელ-ვერსია: <http://www.symbole.gr/chrtoms/dogma/1174-fides22> [წვდომა: 12.09.2018]. ანტი-იტალიოსური ანათემების რუსული თარგმანი იხ.: Паламарчук, Петр (сост.). *Анафема: История и XX век*. М.: Сретенский монастырь, 1998, 136-141. (ამ რუსულენოვან გამოცემაში საკმაოდ ტენდენციურადაა აღწერილი იოანე იტალოსის პიროვნება და მასთან დაკავშირებული ისტორიული პერიპეტები).

196 Alberigo, Giuseppe et al. (ed.). *Conciliorum Oecumenicorum Generaliumque Decreta*. Editio Critica. Vol. IV/1: The Great Councils of the Orthodox Churches. Decisions and Synodika. From Constantinople 861 to Constantinople 1872. Turnhout: Brepols Publishers 2016, p. 377-518.

197 ექვთიმე მთაწმინდელი. „ძველისწერაი სარწმუნოებისაი, რომელი აღწერს წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლეს შეკრებულთა, წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათვის, რომელ-ესე წარიკითხვის სოფია წმიდას პირველსა კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა“, გი-

კი არსენ იყალთოელის მიერ (ტექსტი შეიქმნა მე-11-12 სს-ების მიჯნაზე. ხელნაწერი: მე-13 საუკუნისა).<sup>198</sup>

ექვთიმე მთაწმინდელის მცირე სჯულისკანონი, რომელშიც ეს სინოდიკონია შეტანილი, არაუგვიანეს 1005 წლამდე შეიქმნა. შესაბამისად, 1082 წელს იტალოსისადმი საბოლოოდ გაფორმებულ ანათემებს ექვთიმე ვერ შეიტანდა თავის თარგმანში, მაგრამ მოგვიანო საუკუნეების ხელნაწერებშიც არ ჩანს რაიმე ჩამატება იტალოსისადმი გამოცხადებული ანათემებისა. გარდა ამისა, არ არსებობს ცნობები, რომ ანტიიტალოსურ ანათემებს საქართველოს ეკლესიის ღვთისმსახურებისას კითხულობდნენ.

ზოგადად სინოდიკონის კითხვა ღვთისმსახურებისას საქართველოს ეკლესიაში მალევე უნდა შეწყვეტილიყო, რადგან ტექსტის ხელნაწერი საკმაოდ მწირი რაოდენობით შემორჩა. ამასთან, საუბარია სინოდიკონის თავდაპირველ ვერსიაზე, რომელიც არ შეიცავდა ანტიიტალოსურ ანათემებს. ხშირად გამოყენებული ლიტურგიკული წიგნები ასეულობითაა, ეს ტექსტი კი სულ 18 ხელნაწერშია. ამ ძეგლის ორი ძველქართული თარგმანი არსებობს და ორივე გამოცემულია, როგორც აღინიშნა. თანამედროვე საქართველოს ეკლესიაში მართლმადიდებლობის ზეიმის კვირას იკითხება მხოლოდ სვინაქსარი და არა სინოდიკონი, რომელსაც რუსები კითხულობდნენ ცარიზმის ეპოქაში, შემდეგ მათაც შეწყვიტეს.

გარდა იმისა, რომ ანტიიტალოსური ანათემების შემცველ სინოდიკონს საერთო მართლმადიდებლური აღიარება არ აქვს და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია განხილვადი თემისთვის, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამ ფილოსოფოსის განკითხვის საქმეში ბიზანტიის იმპერატორის სურვილისა და მისი გადამწყვეტი წვლილის შესახებაც, რაც უდაოა, თუ მოცემულ ისტორიულ ვითარებას ობიექტურად შევისწავლით. მსგავსად იუსტინიანეს მიერ ორიგენიზმის დევნისა, იოანე იტალოსის დაგმობაშიც განმსაზღვრელი როლი ითამაშა „პოლიტიკურმა მოტივაციამ“<sup>199</sup> ამ შემთხვევაში, იმპერატორ ალექსი I კომნენოსს (1081-1118) ჰქონდა პირადი ანტიპათია იტალოსისეული ჰუმანიტური მსოფლმხედველობისადმი. ფილოსოფოსის აზროვნება, იმპერატორის აზრით, საშიში იყო, რადგან ის „ძირს უთხრიდა ორთოდოქსიას“<sup>200</sup> საკუთარი გადაწყვეტილებისთვის მეტი წონის მისანიჭებლად იტალოსის დაგმობა საერო ხელისუფალმა მართლმადიდებლობის ზეიმის კვირას დაუკავშირა<sup>201</sup>. ამ დღეს იკითხებოდა სინოდიკონი, რომლითაც, იმპერატორ ალექსი კომნენოსის მმართველობამდე, მხოლოდ ხატმებრძოლობაზე და სხვა ძველ ერესებზე გამარჯვებას აღნიშნავდნენ. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად, იტალოსის საქმის წმინდად თეოლოგიური ხასიათისა,

---

უნაშვილი, ელგუჯა (რედ.). *მცირე სჯულისკანონი*. თბ., მეცნიერება 1972, 124-133. ამ ძეგლისწერის ძველი ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ასევე 2016 წელს ალბერტოს კრიტიკულ გამოცემაში: *Alberigo, Conciliorum, p. 405-425*.

198 კოჭლამაზაშვილი, ექვთიმე და ელგუჯა გიუნაშვილი (რედ.). *ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა*. XIII საუკუნის ხელნაწერის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა. თბ., გამოცემა შიომღვიმის მონასტრისა 2005, 292გვ.

199 Angold, Michael. *Church and Society in Byzantium under the Comneni, 1081-1261*. New York: Cambridge University Press 1995, 50.

200 Angold, *Church*, 50.

201 Angold, *Church*, 51.

იმპერატორი ალექსი ნათლად მიუთითებდა პატრიარქს, რომ მისი ფუნქცია „იმპერატორის ბრძანების შესრულება იყო“.<sup>202</sup>

გარდა იმპერატორის პირადი ანტიპათიისა ფილოსოფოსის მოსაზრებები-სადმი, მისი განდევნა სხვა არარელიგიურმა გარემოებებმაც განაპირობა. მაგ., ერთ-ერთი წინა იმპერატორი, მიქაელ დუკა (1067-1078) ნორმანებთან დაახლო-ებას ესწრაფვოდა, რაც ალექსი კომნენოსის დროს საფრთხედ იქნა მიჩნეული<sup>203</sup>. ნორმანებთან დამეგობრების პროცესის აქტიური მონაწილე იყო იოანე იტა-ლოსიც. სამხრეთ იტალიაში დაბადებული ფილოსოფოსი (ამიტომაც უწოდებდ-ნენ მას იტალოსს) 1042 წელს სიცილიელებთან ერთად ბიზანტიის წინააღმდეგ იბრძოდა.<sup>204</sup> ესეც ყველას კარგად ახსოვდა. ასევე იოანე იტალოსს არისტოკრა-ტული ჩამომავლობის ჰუმანიტა წრეებში უწევდა მოღვაწეობა. ყველა ეს გა-რემოება ამძაფრებდა იმპერატორის ეჭვებსა და შიშებს იტალოსის პიროვნებას-თან დაკავშირებით, რომელშიც თავისი „ჯერ კიდევ მოწყვლადი რეჟიმისთვის“<sup>205</sup> საფრთხეს ხედავდა.

იოანე იტალოსი ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის მიქაელ ფსელოსის მოწაფე იყო, რომელთან ერთადაც სახელი გაითქვა ანტიკური კულტურის პო-პულარიზაციით. ფსელოსისა და იტალოსის მოწაფეები ეპისკოპოსები და საიმ-პერატორო კარზე მაღალჩინოსნებიც კი ხდებოდნენ. მეთერთმეტე საუკუნეში, ზოგადად ბიზანტიური კულტურის ელინიზაცია საკმაოდ ძლიერი იყო.<sup>206</sup>

სანამ ფილოსოფოსს იმპერატორის კარზე გამოიძახებდნენ, ის პატრიარქ ევსტრატის გარიდასს გაუგზავნეს. იოანე დარწმუნებული იყო, რომ მას საპატ-რიარქო რეზიდენციაში გაამართლებდნენ, რადგან „თავად პატრიარქი კეთი-ლად განწყობილიყო იტალოსისადმი“<sup>207</sup> პატრიარქის რეზიდენციაში მიმდინარე სხდომის დროს იტალოსის შეპყრობის მიზნით იმპერატორის წარმომადგენლები იჭრებიან დარბაზში, მაგრამ ფილოსოფოსი გაქცევას ახერხებს.

ამგვარად, როგორც ენგოლდი წერს, „უმოწყალოდ დაშინებული“<sup>208</sup> პატ-რიარქი ევსტრატის იმპერატორს უთმობს იტალოსის საქმის განხილვას. ამ უკანასკნელს ბრალი ედებოდა ეკლესიაში ელინური სიბრძნის შემოტანაში. იმ-პერატორი პატრიარქსა და მის ეპისკოპატს ამჯერად იტალოსის მოწაფეების

202 Clucas, Lowell. *The Trial of John Italos and the Crisis of Intellectual Values in Byzantium in the Eleventh Century*. München: Institut für Byzantinistik, Neugriechische Philologie und Byzantinische Kunstgeschichte der Universität 1981, 57.

203 Angold, *Church*, 50.

204 Бирюков, Д. (сост.). *Книга Еретиков: Антология*. СПб., Амфора, 2011, 345. (ბირიუკოვის ამ ნაშრომში პალამარჩუკის ზემოთ დამოწმებულ აღწერასთან შედარებით უფრო დაბალანსებულადაა წარმოდგენილი იოანე იტალოსთან დაკავშირებული რე-ალიები. ასევე მოტანილია, როგორც ანა კომნენოსის თხრობა, რომელშიც უფრო ნე-გატიურადაა დახასიათებული იტალოსის პიროვნება, ისე მიქაელ ფსელოსის თხრობა, რომელშიც ფილოსოფოსის ღირსებებია წარმოჩენილი).

205 Angold, *Church*, 50.

206 Бирюков, *Книга*, 346.

207 იოანე იტალოსისადმი პატრიარქის მხარდაჭერის მოწმობისთვის: Anna Comnena V, IX 5-6: 2656 (ed. Bonn); II, 39-40 (ed. Leib); Gouillard, "Le Procès officiel de Jean l'Italien", 142-5; cf. J. Gouillard, "Une lettre de (Jean) l'Italien au patriarche de Constantinople, TM 9, 1985, 175-9, ციტირ.: Angold, *Church*, 52.

208 Angold, *Church*, 52.

შენედულებათა გამოკვლევას ავალებს. ყველა, ვინც იმპერატორის კრიტიკას დაიწყებდა იტალოსის საქმის გამო, ანათემას ექვემდებარებოდა.

ამგვარი იყო ხსენებული ფილოსოფოსის დევნასთან დაკავშირებული კონკრეტული ისტორიული კონტექსტი და გარეგანი ვითარება. რაც შეეხება იოანე იტალოსის შეხედულებებს, ფილოსოფოსის შემოქმედების კლასიკოსი მკვლევარების, პ. ჯოანოუსა და ჯ. გულიარის მტკიცებით, ისინი რეალურად არ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ კოსმოლოგიას. კრების ანტიიტალოსური ანათემების ტექსტში კი იოანე იტალოსის სახელი სათაურშივეა გატანილი (Τὰ τοῦ Ἰταλοῦ κειφάλαια). მაგ., იტალოსი არ უარყოფდა სამყაროს არაფრისგან შექმნას და ამ ქმნილებაში ყველა მოვლენას ღვთის ნებაზე დამოკიდებულად მოიაზრებდა.<sup>209</sup> იოანე ასევე უარყოფდა სულების ტრანსმიგრაციისა (მეტეფსიქოზი) და ტანჯვის არამარადიულობის შესახებ იდეებს.<sup>210</sup> სამართლიანი ბრალდება გადმოიცემოდა მხოლოდ პირველ ანათემატიზმში, რომელიც ქრისტეს ორი ბუნების შესახებ იტალოსის დიალექტიკურ მსჯელობებს ეხებოდა; ასევე მეექვსე ანათემატიზმში სასწაულებზე და მეცხრე ანათემატიზმში, რომელშიც დამოწმებულია იტალოსის აზრი, რომ აღდგომის შემდგომ, საყოველთაო სამსჯავროზე ადამიანს არ ექნება იგივე სხეული, როგორც მიწიერი ცხოვრებისას ჰქონდა. აქვე უნდა ითქვას, რომ იოანე იტალოსმა აღიარა თავისი მცდარი აზრები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ეკლესიის სწავლებასთან.

ქართველი მკვლევრის, ნათელა კეჭაყმაძის აზრით, იტალოსი სამყაროს მარადიულად არსებობის შესახებ ანტიქრისტიანულ იდეას იზიარებდა<sup>211</sup>. მაგრამ ლოუელ კლუკასი აღნიშნავს<sup>212</sup>, რომ კეჭაყმაძე არ იმორწმებს ჯოანოუს ნაშრომს, რომელშიც დადგენილია, რომ იტალოსს არ გააჩნდა მსგავსი აზრი და რომ ის არ უარყოფდა ღვთის მიერ სამყაროს შექმნადობას.<sup>213</sup>

ამასთან, იოანე იტალოსის წინააღმდეგ შეთითხნილ ანათემებში შინაგანი წინააღმდეგობაც შეინიშნება. მაგ., ერთ-ერთ ანათემაში ფილოსოფოსს ბრალი ედება მეტეფსიქოზის (სულთა გადასახლების) და იმავდროულად სულის განადგურების, გაქრობის შესახებ იდეების ქადაგებაში. ეს ანათემა არა მხოლოდ თვითწინააღმდეგობრივია, არამედ რთულია მისი შეთავსება და ორგანული მისადაგება აპოკატასტასისის ბრალდების შემცველი ანათემისთვისაც.<sup>214</sup>

209 Joannou, Perikles. *Christliche Metaphysik in Byzanz: I. die Illuminationslehre des Michael Psellos und Johannes Italos* (Studia patristica et Byzantina, 3, Ettal 1956, 44, ციტირ.: Clucas, *Trial*, 53.

210 Gouillard, J. “*Le Synodikon de l’Orthodoxie, édition et commentaire*”, *Travaux Mémoires*, 2, 1967, 196, ციტირ.: Clucas, *Trial*, 53. იხ. ასევე კლუკასის ნაშრომში გვ. 159-60.

211 Кечакмадзе, Н. “*Из Историй Общественной Мысли Византии в XI в.*”, *Византийский Временник* 29 (54), 1968, 170-76.

212 Clucas, *Trial*, p. 148.

213 იოანე იტალოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ქართულ ენაზე იხ., მაგ., შემდეგი გამოცემები: კეჭაყმაძე, ნათელა. *იოანე იტალოსის შემოქმედება*. თბ., მეცნიერება 1970, 183გვ.; იოანე იტალოსი. *თხზულებანი*. ბერძნული ტექსტი ვარიანტებითა და შენიშვნებით ქვეყნდება გრიგოლ წერეთლის მასალების მიხედვით ნათელა კეჭალმაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ., მეცნიერება 1966.

214 Шукин, Т. А. “*Эсхатология Иоанна Итала*”, *Вестник Русской Христианской Гуманитарной Академии*, том 11, Выпуск 4, 2010, 117. (უზრნალის ელ-ვერსია იხ.: <http://www.rhga.ru/upload/iblock/3d6/3d6bbd448f48ed3b09230ca82e1dd85b.pdf> [წვდომა 17.09.2018].



იოანე იტალოსისადმი გამოცხადებულ ანათემებზე და სინოდისკონზე მსჯელობისას, ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომისთვის უფრო მნიშვნელოვანია ტანჯვის დროებითობის იდეის უარყოფის საერთო-მართლმადიდებლური სტატუსის არარსებობა, ვიდრე ამ იდეის იტალოსისადმი კუთვნილების საკითხი. მაგრამ ცრუ-ბრალდებებისა და მათი ურთიერთწინააღმდეგობრიობის შესახებ გარემოებანი აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, რადგან ისინი დამატებითი მოწმობებია 1082 წლის ამ ე.წ. „საეკლესიო კრების“ (სინამდვილეში კი იმპერატორის სამსჯავროს) კეთილსინდისიერებასთან, ადეკვატურობასთან და ვალიდურობასთან დაკავშირებით.

იოანე იტალოსი არ დაუგმია არცერთ სინოდს და საეკლესიო ორგანოს. ის განიკითხა მხოლოდ საიმპერატორო კარის სასამართლომ, რომელიც „იმპერატორმა გამართა და თავადვე გაუძღვა.“<sup>215</sup> ამ მოაზროვნის შემოქმედების, ალბათ, ყველაზე ავტორიტეტული მკვლევრის, კლუკასის აზრით, სრულიად ნათელია, რომ იმპერატორის ძალაუფლებამ განაპირობა იოანე იტალოსის გასამართლების დაწყებაც, გეგმაც, ფორმატიც და შედეგიც.<sup>216</sup>

საკითხის განხილვის მეტი სიღმისთვის შესაძლებელია შემდეგი შეპასუებების გათვალისწინებაც, რომ იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა იტალოსის დასაგმობად თითქოს ეკლესიაში უკვე არსებული უკამათო და მყარადმიჩნეული სწავლება გამოიყენა და რომ ფილოსოფოსის უსამართლო განკითხვა იმაზე კი არ მეტყველებს, რომ ეკლესია არ იზიარებდა მანამდე სასჯელის მარადიულობის სწავლებას, არამედ პირიქით, რადგან ეს სწავლება მყარად და აქსიომატურად მიჩნეულიყო, სწორედ ამიტომ გამოიყენა ეს სიმყარე იმპერატორმა იტალოსის წინააღმდეგ.

ერთი შეზღვევით დამაჯერებელი მოსაზრებაა, მაგრამ პრობლემას ის გარემოება ქმნის, რომ არსაიდან არ ჩანს, რომ ტანჯვის მარადიულობის სწავლება მანამდე საყოველთაოდ გაზიარებული იყო ყველა ეკლესიაში. მაგ., იტალოსს აგრეთვე ადანაშაულებდნენ ხატმებრძოლობაში, რაც მანამდე ნამდვილად დაიგმო მეშვიდე მსოფლიო კებაზე, ხატთაყვანისმცემლობა კი დოგმატად გამოცხადდა. მაგრამ, ამისგან განსხვავებით, საიქიო ტანჯვის მარადიულობა არცერთ მსოფლიო კრებას არ განუსაზღვრავს ოროსად ანუ დოგმატურ დადგენილებად. 543 წლის ადგილობრივი კრებასთან დაკავშირებულ მაქინაციებს უკვე შევხვით.

ამ მხრივ, არც 1082 წლის შემდგომი ვითარება იძლევა განსხვავებულ სურათს: ანტი-იტალოსურ ანათემებში დამტკიცებულ ტანჯვის მარადიულობის იდეას რომ საყოველთაო სავალდებულო ხასიათი მინიჭებოდა, ის აუცილებლად ყველა ეკლესიაში უნდა აღიარებულიყო, რაც ხსენებული ანათემების თარგმნასა და შემდეგ ლიტურგიკულ ციკლში აუცილებელ ჩართვას გულისხმობს, რადგან სინოდისკონი ყოველ წელს იკითხებოდა განსაზღვრულ დღეს. მაგრამ ვხედავთ საპირისპირო სურათს: ანტიიტალოსური ანათემების შემცველი სინოდისკონი, როგორც მინიმუმ, ეკლესიათა უმეტესობაში არ იკითხებოდა და არც ახლა იკითხება. არადა, თუ ამა თუ იმ სწავლებას დოგმატური დადგენილების სტატუსი აქვს მინიჭებული, მაშინ ყველა ეკლესია ვალდებულია ის გაიზიაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში (და ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს ეს გაუზიარებლობა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით ხდებოდა), მოცემული ეკლესია საკუთარ თავს ერეტიკულად აქცევს.

215 Clucas, *Trial*, p. 45-6.

216 Clucas, *Trial*, p. 55.

წარმოდგენილი შეპასუხების განხილვა-გაბათილებებისას აუცილებლად უნდა მიეთითოს მეორე გადაულახავ პრობლემაზე, რაც იმპერატორის ზეწოლას უკავშირდება. როგორც ზემოთ გაირკვა, რეალურად ეს იყო საიმპერიო სასამართლო და არა საეკლესიო კრება. 1082 წლის კრების მეათე ანათემაში მოცემულია ზოგადი სახის განცხადება, რომ ძველი და ახალი აღთქმის სწავლებით, ტანჯვა დაუსრულებელია, თუმცა არანაირი მოწმობა და წყარო, წინა საეკლესიო კრება ან რაიმე სახის კონსენსუსი ან თუნდაც ციტატა არაა დამოწმებული. ეს ბუნებრივია, როცა იტალოსის საქმეზე საუბარი: იმპერიის პოლიტიკურ მტრად მიჩნეული ფილოსოფოსის წინააღმდეგ იმპერატორ ალექსი კომნენოს სურდა და შეეძლო კიდევ „თეოლოგიური შეხედულებები“ გაესაღებინა ეკლესიის სწავლებად ამგვარი ზოგადი ფრაზებით და მას ხელს ვერავინ შეუშლიდა, პატრიარქი ევსტრათი ჩათვლით, რომელიც, როგორც ენგოლდი წერს, იმპერატორს „უმოწყალოდ დაშინებული“ ჰყავდა. ცხადია, ალექსი კომნენოსს ძალიან სურდა მის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას საეკლესიო ლეგიტიმურობა ჰქონოდა, მაგრამ თავისთავად ეს სურვილი არ ნიშნავს, რომ მას ეს ლეგიტიმურობა ან რაიმე თეოლოგიური წონა მართლაც ჰქონდა. ცნობილია, რომ თეოლოგიურ საკითხების საკრებო გადაწყვეტაში ჩარევის მაგალითები ბიზანტიის ისტორიაში საკმაოდ ხშირი იყო, თუმცა ყოველთვის როდი ახერხებდნენ იმპერატორები თავისი გაეტანათ. ამრიგად, მსგავს მცდელობებს რომ პერმანენტულად ჰქონდა ადგილი უზენაესი საერო ხელისუფლის მხრიდან, ეს ნაკლებად საკამათოა. მაგ., სახელგანთქმული იმპერატორი იუსტინიანეც „თეოლოგობდა“ 543 წლის ადგილობრივ კრებაზე, როცა საკუთარი ინიციატივით შეადგინა ანტი-ორიგენისტული ანათემატიზმები, მათ შორის, ტანჯვის დასრულებადობის წინააღმდეგ.

საინტერესოა, რატომ ებრძოდნენ იმპერატორები (იუსტინიანე, ალექსი) და ასევე პრო-სახელისუფლებო ორიენტაციის ზოგიერთი მაღალი იერარქიის წარმომადგენელი ასე გააფთრებით ჯოჯოხეთის დასრულებადობის იდეას? ცხადია, ამ ბრძოლას ვერ ექნებოდა წმინდად თეოლოგიური მოტივაცია და დასაბუთება. მას უფრო სოციოპოლიტიკური მიზეზები შეიძლებოდა ჰქონოდა. როგორც მ. ლუდლოუ ერთ ადგილას სწორად შენიშნავს, საბოლოოდ ყველას გადარჩენის იდეა საფრთხედ მიიჩნეოდა „ეკლესიის ავტორიტეტისა“ და „სოციალური სტაბილურობისთვის“<sup>217</sup>.

სეფიანთა და მოსკოვის სახელმწიფოებს შორის ადრეც არსებობდა გარკვეული კავშირი და დაახლოების მცდელობა. ჯერ კიდევ 1521 წელს მოსკოვის დიდმთავარ ვასილი III-სთან (1505-1533) ირანის შაჰის ისმაილ I-ის (1501-1524) ელჩობა ჩავიდა ზარბაზნებისა და აბჯრების შესაძენად და ოსტატთა დასაქირავებლად. 1552 წელს, დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად, მოსკოვში მეფე ივანე IV-ის კარზე იმყოფებოდა შაჰ თამაზ I-ის (1524-1576) ელჩობა სეიდ მოჰამედის მეთაურობით.<sup>13</sup> 1562 წელს კი მოსკოვში, რუსთა მეფის კარზე, ირანის შაჰის ელჩს შეხვდა ინგლისის სავაჭრო აგენტი ენტონ ჯენკინსონი და მასთან ერთად იმგზავრა ასტრახანამდე.<sup>14</sup>

სამწუხაროდ, არ შემონახულა ჰადი ბეგის მოსკოვში ჩასვლის თარიღი და მეფე თევდორესთან (1584-1598) აუდიენციის ზუსტი დეტალები. XX საუკუნის რუსი მკვლევარ-ისტორიკოსი პ. პ. ბუშევი, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ ჰადი ბეგი მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა 1587-1588 წლებში, მას შემდეგ, რაც მოსკოვში ცნობა მიიღეს, რომ საქართველოში გამოგზავნილი რუსი ელჩები როდიონ ბირკინი და პეტრე პივოვი 1587 წლის 26 აგვისტოს კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ თავისთან მიიღო.<sup>15</sup> იმავე პ. პ. ბუშევის ნაშრომში ერთ-ერთ დოკუმენტზე დაყრდნობით მოხმობილია ს. ა. ბელოკუროვის ციტატა: „ოთხმოცდათექვსმეტ წელს მივიდა ხელმწიფესთან... თევდორე ივანეს ძესთან... ყიზილბაშთა შაჰ ხოდაბანდესგან... შიკრიკი ანდი ბეგი...“ რაც შეეხება ამ დოკუმენტში აღნიშნულ რიცხვს - 96, პ. პ. ბუშევი, თავის ნაშრომში განმარტავს, რომ ეს უნდა ყოფილიყო 7096 წელი, რომელიც ძველრუსული კალენდრით იწყება 1587 წლის 1 სექტემბერს და მთავრდება 31 აგვისტოს.<sup>16</sup>

ოსმალეთთან ომის გამო გამოუვალ სიტუაციაში მყოფი ირანის შაჰი მოსკოვის სახელმწიფოს მეფეს დახმარებას ჰადი ბეგის პირით სთხოვდა. მართალია, მეფე თევდორეს კარზე ჰადი ბეგი პატივით მიიღეს, მაგრამ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის გარანტია ვერ მისცეს. მოსკოვის სახელმწიფოს მთავრობას იმ დროს არ შეეძლო ფართომასშტაბიანი ომის წარმოება, ამიტომ რუსმა პოლიტიკოსებმა ჰადი ბეგს მხოლოდ სიტყვიერი თანხმობა განუცხადეს ირანთან სამხედ-

11 Михаил Сергеевич Иванов. *Очерк истории Ирана* (Москва: Госполитиздат, 1952), 63-64.

12 Петр Павлович Бушев. *История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг.* (Москва: Издательство "Наука", 1976), 57.

13 Бушев. *История посольств*, 36, 39-40.

14 *Английские путешественники в Московском государстве*, 201-202.

15 Бушев. *История посольств*. 58. Михаил Александрович Полиевктов, *Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу* (Тифлис: Напечатано по распоряжению Академии Наук СССР, 1935), 21-23.

16 Бушев. *История посольств*, 58.

რო კავშირზე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მომავლისთვის გადადეს. აღსანიშნავია, რომ ირანის შაჰი მოჰამედ ხოდაბანდერუსთა მეფე თევდორეს, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, კასპიის ზღვის ორ მნიშვნელოვან-სტრატეგიულ საპორტო ქალაქს: ბაქოსა და დარუბანდს სთავაზობდა, რომლებიც იმ დროს ოსმალთა ხელში იყო. შაჰი იმ შემთხვევაშიც უთმობდა რუსთა მეფეს ზემონახსენებ ქალაქებს, თუ მას რუსთა ჯარის დაუნმარებლად მარტო ირანის ჯარი გაათავისუფლებდა.<sup>17</sup>

ბაქო და დარუბანდი, რომელთაც დიდი ხნის ისტორია აქვთ, ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ უმთავრეს პორტებად იყო აღიარებული. ქ. დარუბანდი (დერბენდი, დერბენტი) იმ დროს წარმოადგენდა ძირითად სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს. მას, ასევე ეკისრებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას შორის დამაკავშირებელი კარიბჭის ფუნქცია, რომელსაც იცავდა სასანიანთა პერიოდის დროს აშენებული დიდი და მტკიცე კედელი და ციხესიმაგრე ნარინ-ყალა.<sup>18</sup> XVI საუკუნეში ირანში მიმავალი ინგლისელთა სავაჭრო ექსპედიციის წევრებიც კი მოუხიბლავს ამციხის ნაგებობას. ამ ექსპედიციის წევრები: ენტონ ჯენკინსონი და ქრისტოფერ ბეროუ თავიანთ წერილებში მას თეთრი ქვით ნაშენ მტკიცე ციხედ მოიხსენიებენ, რომლის კედლები მაღალი და სქელი იყო.<sup>19</sup>

რაც შეეხება ქ. ბაქოს, პირველად ის V საუკუნის წყაროებში მოიხსენიება. ის IX საუკუნეში შირვანშაჰთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა, რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევარში, ერთხანს ამ სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი იყო. იქ უკვე მაშინ მოიპოვებდნენ ნავთობს. XII-XV საუკუნეებში ბაქოდან ნავთობი გაჰქონდათ აღმოსავლეთის ქვეყნებში.<sup>20</sup> კავკასიასა და ირანში ინგლისელთა სავაჭრო ექსპედიციის წევრი ჯეფრი დეკეტი, რომელმაც 1573 წელს ბაქოში იმოგზაურა, თავის წერილში იხსენიებს მიწიდან ამოსულ შავი ფერის „ზეთს“, რომელსაც მოსახლეობა გასანათებლად იყენებდა. მისივე ინფორმაციით, ამ „ზეთის“ შესაძენად ხალხი მრავალი კუთხიდან მოდიოდა.<sup>21</sup> 1538 წელს სეფიანთა ირანის ჯარის მიერ შირვანის დაპყრობის შემდეგ, 1540 წელს ბაქო და 1547 წელს დარუბანდი ყიზილბაშთა გავლენის სფეროში მოექცა.<sup>22</sup> 1578-1590 წლების ოსმალეთ-ირანის განახლებული ომის დასაწყისში, კერძოდ, 1578 წლის შემოდგომაზე, ეს ქალაქები ოსმალთა ხელში აღმოჩნდა.<sup>23</sup>

შირვან-აზერბაიჯანის დიდი ნაწილის დაპყრობის შემდეგ, ოსმალთა სარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ ქ. შემახაში მოაწყო ოსმალთა სამხედრო მეთაურე-

17 Бушев. *История посольств*, 63. გელაშვილი. *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან*, 185-186.

18 И. А. Гусейнов и другие редакторы. *История Азербайджана*, том I (Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, 1958), 82-83. Мария Васильевна Фехнер. *Торговля Русского государства со странами Востока в XVI веке* (Москва: Издание Государственного Исторического музея, 1952), 29.

19 *Английские путешественники в Московском государстве*, 202, 279.

20 *Английские путешественники в Московском государстве*, 133, 211, 243. Фехнер. *Торговля Русского государства со странами Востока*, 29.

21 *Английские путешественники в Московском государстве*, 260-261.

22 Гусейнов и другие редакторы. *История Азербайджана*. 232. Октай Абдулкерим оглы Эфендиев. *Азербайджанское государство Сефевидов в XVI веке* (Баку: Издательство “ЭЛМ”, 1981), 85.

23 სვანიძე, *თურქეთის ისტორია*, 155.

ბის თათბირი. ოსმალებმა იქ თავისი წესები შემოიღეს, მათ ქვეყანა აღწერეს და 1578 წლის 5 ოქტომბერს შირვანის საბეგლარბეგო დაარსეს, რომლის მმართველად მათ ოსმან ფაშაოზდემიროღლუ დანიშნეს. შირვანის საბეგლარბეგო შემახასა და დარუბანდის ეიალეთებად (ვილაიათებად) იყოფოდა, რომლებიც, თავის მხრივ, სანჯაყებად იყო დაყოფილი. ბაქო და დარუბანდი შირვანის საბეგლარბეგოში შედიოდა: ბაქოს შემახას ეიალეთში ერთ-ერთი სანჯაყის სტატუსი ჰქონდა, ხოლო დარუბანდი თვით იყო ეიალეთი, რომელიც რამდენიმე სანჯაყად იყოფოდა.<sup>24</sup> ოსმან ფაშამ, ოსმალეთის სულთნის მომხრე დაღესტნელებთან სიახლოვის გამო, თავის რეზიდენციად ქ. დარუბანდი აირჩია.<sup>25</sup> ლალა მუსტაფა ფაშამ ოსმან ფაშას დაუტოვა 14 ათასი მეომარი, 3 ათასი იენიჩარი, 60 ზარბაზანი, 180 ზანდუკი იარაღის მარაგი, 6 თვის სანოვანე და თვითონ ერზრუმისაკენ გაემართა.<sup>26</sup> ოსმან ფაშაც მალევე ჩაერთო ირანელების წინააღმდეგ ბრძოლებაში.

1578 წლის მეორე ნახევარში ადგილობრივი შირვანელი მოსახლეობის ნაწილი ყიზილბაშებს დაუკავშირდა და მათთან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა. ამ ბრძოლებში ირანელებმა თითქმის მთელი შირვანი გაათავისუფლეს ოსმალებისგან. ამ უკანასკნელთა ხელში მხოლოდ ბაქო და დარუბანდი დარჩა. ალყაშემორტყმულ შემახადან თავდახსნილმა შირვანის ბეგლარბეგმა, ოსმან ფაშა ოზდემიროღლუმ, 1579 წლის 7 იანვარს, სწორედ დარუბანდისკენ დაიხია და იქ ჰპოვა თავშესაფარი. მიუხედავად ამ წარმატებისა, ყიზილბაშებმა მაინც ვერ მოიკიდეს ფეხი შირვანში. მოკავშირე დაღესტნელთა დახმარებით, ოსმალები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ ირანელთა სამხედრო ნაწილებს და დიდ ზიანს აყენებდნენ მათ.<sup>27</sup>

ოსმალეთის მთავრობაც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა გამაგრებულ ქალაქებში მყოფ თვისტომ მეომრებს და მათ ფულსა და სხვა საჭირო ნივთებს აწვდიდა. ამ ფაქტის დამადასტურებელ წყაროდ „ინგლისელ მოგზაურთა“ წიგნში დაცული ცნობაც გამოდგება. კერძოდ, კავკასიასა და ირანში ინგლისელთასავაჭრო ექსპედიციის წევრი ქრისტოფერ ბეროუ, რომელიც 1580 წელს ქ. დარუბანდში იმყოფებოდა, თავის ერთ-ერთ წერილში აღწერს, რომ თვითმხილველი შეიქნა იმისა, თუ როგორ მიიტანა ქ. დარუბანდში ორასი კაცისგან შემდგარმა რაზმმა ოსმალთა მეომრებისათვის განკუთვნილი ჯამაგირი. გახარებული ოსმან ფაშა მათ 3-4 მილის მანძილზე გაეგება, რადგან უხელფასობის გამო, ჯარში უკვე არეულობა იყო დაწყებული.<sup>28</sup>

24 სვანიძე, *ოსმალეთის ისტორია*, 208. სვანიძე, *თურქეთის ისტორია*, 155. Эфендиев. *Азербайджанское государство Сефевидов*, 153-155. მიხეილ სვანიძე (რედაქტორი). *საერთაშორისო ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე)* (თბილისი: „ნეკერი“, 2008), 243, 310, 322, 341-342.

25 Эфендиев. *Азербайджанское государство Сефевидов*, 156.

26 სვანიძე. *საერთაშორისო ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთში*, 244. სვანიძე და შარუმაშვილი. *ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება*, 232.

27 Эфендиев. *Азербайджанское государство Сефевидов*, 157-162. სვანიძე. *საერთაშორისო ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთში*, 244, 311-312, 342.

28 *Английские путешественники в Московском государстве*, 176.



მოგვიანებით, ოსმალებმა, კასპიის ზღვის უსაფრთხოების მიზნით, „კასპიის საკაპიტანო“ დააარსეს. აზოვის (აზაკის) სანჯაყბეგი მეჰმედ ფაშა 1579 წლის 27 აგვისტოს „დერბენდის ბეგლარბეგად“ და „კასპიის ზღვის კაპიტნად“ დანიშნეს.<sup>29</sup>

ლივონიის ომის დასრულების შემდეგ (1583), მოსკოვის სახელმწიფოს შესაძლებლობა მიეცა, საგარეო პოლიტიკა გაეაქტიურებინა აღმოსავლეთში, სადაც მისი მოწინააღმდეგე ოსმალეთის იმპერია იყო. ირანი კი რუსთათვის სერიოზული მოწინააღმდეგე აღარ აღიქმებოდა. პირიქით, საერთო მტრის - ოსმალეთის - წინააღმდეგ ამ სახელმწიფოთა დაახლოებაც კი ხდებოდა. გასათვალისწინებელია, რომ მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ინტერესებიც ერთმანეთს ემთხვეოდა: ზემონახსენებ სავაჭრო-სანაოსნო მაგისტრალის გამოყენების შედეგად, ოსმალეთს შეუწყდებოდა ის მნიშვნელოვანი შემოსავალი, რასაც ბაჟები იძლეოდა სპარსულ აბრეშუმზე. მისი უდიდესი ნაწილი კი სწორედ ოსმალეთის ტერიტორიის ტრანზიტით გადიოდა ალექსანდრე და დამასკოში.<sup>30</sup>

XVI საუკუნის 80-იან წლებში კვლავ განახლდა დიპლომატიური ურთიერთობები მოსკოვის სახელმწიფოსა და კახეთის სამეფოს შორის. იმ წლებში მოსკოვის სახელმწიფოს მთავრობამ ჩრილოეთ კავკასიაში ციხესიმაგრეები ააგო და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა.<sup>31</sup> რუსთა ამ ქმედებით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იყვნენ ოსმალეთის სულთანს და მისი მოკავშირეები - ყირიმის ხანი და დაღესტნის შამხალი. ამიტომ ირანის ელჩის გამოჩენას რუსთა სახელმწიფოს მესვეურები, რომლებიც ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირეს მანამდე ევროპაში უშედეგოდ ეძებდნენ, კეთილგანწყობით შეხვდნენ.

ალსანიშნავია, რომ ასტრახან-მოსკოვის გზაზე ჰადი ბეგის ელჩობამ ყაჩაღთა თავდასხმა განიცადა. მათ ყაჩაღებმა ნივთები წაართვეს, რომელთა შორის ირანის შაჰისგან რუსთა მეფესთან გაგზავნილი ნივთებიც იყო. როცა ეს ამბავი მეფე თევდორემ შეიტყო, ბრძანა ჰადი ბეგისა და მისი ამაღლის წევრებისათვის მატერიალური დანაკარგი ოცდაათმაგად აენაზღაურებინათ და დამნაშავენი სასტიკად დაესაჯათ.<sup>32</sup> ვფიქრობთ, ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას მოსკოვის სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა.

რუსთა სახელმწიფოს მესვეურთათვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა შაჰის ეს შემოთავაზება. დარუბანდის დაუფლებით ირანის სახელმწიფოს ხომ პირდაპირი გზა ეხსნებოდა საქართველოსკენ. ვფიქრობთ, სწორედ ამ უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე პუნქტების თავის გავლენის

29 სვანიძე. *საერთაშორისო ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთში*, 244. სვანიძე და შარუმაშვილი. *ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება*, 232.

30 კარლო კუცია. *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVIII სს.* (თბილისი: „მეცნიერება“, 1976), 40. გელაშვილი. *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან*, 113-114.

31 ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 18-27. ვალერიან გაბაშვილი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI-XVII სს.). *ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს საკითხები, სტატიების კრებული*, ტ. I (თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2016), 31-34. Екатерина Николаевна Кушева. *Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв.* (Москва: Издательство Академии Наук СССР, 1963), 261, 269.

32 Бушев. *История посольств*, 60-61.

სფეროში მოქცევის პერსპექტივამ დააჩქარა მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართ აღებული საგარეო პოლიტიკური კურსი უფრო მეტად გაეაქტიურებინათ. ბოიართა სათათბიროს გადაწყვეტილებით, 1588 წლის გაზაფხულზე, მოსკოვიდან ირანში გაიგზავნა საპასუხო ელჩობა, ბორის გრიგორის ძე ვასილჩიკოვის მეთაურობით. მოსკოვის ამ ელჩობის მთავარი მიზანი იყო ირანის შაჰის მიერ მოსკოვის სახელმწიფოსთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრებისა და ბაქოსა და დარუბანდის დათმობის შესახებ მოცემული წინადადების დაზუსტება. მათ გაჰყვა სამშობლოში ჰადი ბეგიც.<sup>33</sup>

1587 წელს ირანში სამხედრო გადატრიალება მოხდა. მოჰამად ხოდაბანდე სამეფო ტახტიდან ჩამოაგდეს და ირანის შაჰი გახდა მისივე ვაჟი აბას I (1587-1629).<sup>34</sup> ახალგაზრდა შაჰის მთავარი ამოცანა იმ დროს ოსმალეთთან დაზავება იყო. რუსთა ზემონახსენები ელჩობა, როდესაც 1588 წლის სექტემბერში ირანში ჩავიდა, იმ დროს ირანსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. შაჰ აბასმა ბ. გ. ვასილჩიკოვი მხოლოდ შვიდი თვის შეფერხების შემდეგ მიიღო. აუდიენცია 1589 წლის 9 აპრილს ქ. ყაზვინში შედგა. საუბარში ირანის შაჰმა მოსკოვის სახელმწიფოსთან პოლიტიკური კავშირის გაფორმებისგან თავი შეიკავა, მაგრამ მასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაგრძელება საჭიროდ მიიჩნია და სამშობლოში დაბრუნებულ ბ. გ. ვასილჩიკოვს თავისი ელჩები: ბუთაქ ბეგი და ჰადი ბეგი გააყოლა. რაც შეეხება ბაქოსა და დარუბანდის საკითხს, ირანის ახალგაზრდა შაჰმა მოხერხებულად შეცვალა თავისი მამის მიერ თევდორე მეფისთვის მიცემული წინადადება და ელჩებს მოსკოვში გაატანა სულ სხვა პროექტი, რომლის თანახმადაც რუსთა ჯარს ბაქოსა და დარუბანდისთვის უნდა შეეტია, ხოლო ირანის ჯარი შირვანს დალაშქრავდა. გამარჯვების შემთხვევაში მოსკოვის სახელმწიფო კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე გაბატონდებოდა, ირანი კი – სამხრეთ-აღმოსავლეთზე. გამოდიოდა, რომ რუსებს თავიანთი ძალით უნდა აეღოთ ბაქო და დარუბანდი.<sup>35</sup>

მეფე თევდორემ ბუთაქ ბეგი და ჰადი ბეგი მოსკოვში 1590 წლის 10 მაისს მიიღო. ელჩებს მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკური წრეების სხვა წარმომადგენლებთანაც ჰქონდათ აუდიენცია: 10 მაისს ბორის თევდორე ძე გოდუნოვთან (ის იყო მეფე თევდორეს ცოლის, ირინას ძმა, რომელიც 1587 წლიდან, ფაქტობრივად, განაგებდა სახელმწიფოს), 22 მაისს სხვადასხვა პოლიტიკოსთან და გავლენიან ხალხთან.<sup>36</sup>

მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში ირანელი ელჩების ჩატანილი წინადადება -რუსეთის ძალებით ბაქოსა და დარუბანდის აღების შესახებ - მიუღებელი აღმოჩნდა. იმ დროს მოსკოვის სახელმწიფო შევედეთთან ომში იყო ჩაბმული და ყირიმის ხანთანაც გამწვავებული ჰქონდა ურთიერთობა. ბაქოსა და დარუბანდზე შეტევის დაწყება, ფაქტობრივად, ოსმალეთთან ომში ჩაბმას მოასწავებდა, რისი ძალაც მას აღარ შესწევდა. ამასთან, ცნობილი გახდა ირანსა და ოსმალეთს

33 ტივაძე. *ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში*, 182. Бушев. *История посольств*, 71-72.

34 Михаил Сергеевич Иванов (Отв. редактор). *История Ирана* (Москва: Издательство МГУ, 1977), 176.

35 ტივაძე. *ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში*, 183-185. Бушев. *История посольств*, 106-113.

36 Бушев. *История посольств*, 113-116, 122, 128-134.

შორის ელჩობების გაცვლა-გამოცვლის ინფორმაცია. ისიც უწყოდნენ, რომ ამ მოლაპარაკებების შედეგად ოსმალეთის სულთანს მთელ სამხრეთ კავკასიაზე გაბატონება სურდა, ირანის შაჰს კი მხოლოდ რამდენიმე ქალაქს უთმობდა. თუ მათ შორის საზავო მოლაპარაკება ამ პირობით გაფორმდებოდა, ადვილი შესაძლებელი იყო ბაქო და დარუბანდი კვლავ ოსმალთა ხელში დარჩენილიყო. ასეთ სიტუაციაში მოსკოვისა და სეფიანთა სახელმწიფოებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი აზრს კარგავდა, მოსკოვის სახელმწიფო ხომ სწორედ ამ ქალაქების მიღების მიზნით ამყარებდა ირანთან პოლიტიკურ კავშირს. ამიტომ მოსკოვის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა ირანის მხარეს, დარუბანდისა და ბაქოს მიღების საფასურად, მათთვის სამხედრო დახმარების გაწევა, იარაღის მიყიდვა და ოსმალეთის მოწინააღმდეგე ევროპის ქვეყნებთან მისი დაკავშირება შესთავაზეს.<sup>37</sup>

ამ ამბებიდან მალე, 1590 წლის 21 მარტს, ქ. სტამბოლში ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ბაქო და დარუბანდი კვლავ ოსმალეთს დარჩა.<sup>38</sup> რაც შეეხება ირანელთა ელჩებს, ისინი სამშობლოში იმავე წლის 29 ივნისს დაბრუნდნენ. მოსკოვის სახელმწიფოს მხარემ, მათ ირანში საპასუხო ელჩობა აღარ გააყოლა. ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, მან მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა ირანში საპასუხო ელჩობა გაეგზავნა.<sup>39</sup>

მომდევნი საუკუნეებში ირანისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ბაქოსა და დარუბანდის საკითხი კვლავ აქტუალურ თემად რჩებოდა. ირან-ოსმალეთის 1603-1618 წლების ომის მსვლელობის დროს, კერძოდ, 1607 წლის ზაფხულში, ბაქო და დარუბანდი სეფიანთა ირანის ხელში აღმოჩნდა. XVII საუკუნის ოსმალთა მოგზაურისა და მემკვიდრის ევლია ჩელების ცნობით ბაქოს ნავთობი ირანის შაჰის სალაროს დიდ შემოსავალს აძლევდა, კერძოდ, წელიწადში - 7 ათას თუმანს.<sup>40</sup>

XVIII საუკუნის დასაწყისში ირანი პოლიტიკურად და ეკონომიკურად უკან წავიდა. ქვეყანაში ქაოსმა და განუკითხაობამ დაისადგურა. ასევე, ირანის მრავალ რეგიონში აჯანყებებმა იფეთქა. ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში ავღანელები გაძლიერდნენ, რომლებმაც 1709 წელს აჯანყება მოაწყვეს და ირანისაგან, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა მოიპოვეს. 1720 წელს ისინი ირანს შეესივნენ, 1722 წელს აიღეს დედაქალაქი ისფაჰანი, რის შედეგადაც შეწყდა სეფიანთა დინასტიის ბატონობა ირანში.

ირანში პოლიტიკური სიტუაციის გართულებით ისარგებლა ოსმალეთმა და რუსეთმა, რომლებმაც ირანის გარკვეული ტერიტორია დაიკავეს. ოსმალეთმა ამ ქვეყნის დასავლეთი ნაწილი დაიპყრო. რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა (1689-1725) კიკასპისპირეთში სამხედრო ექსპედიცია მოაწყო. ამ დროს, რუსეთის ჯარმა, სხვა ქალაქებთან ერთად, 1722 წლის 23 აგვისტოს დაიკავა ქ. დარუ-

37 ტივაძე. *ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში*, 185-186.

38 სვანიძე. *თურქეთის ისტორია*, 174. სვანიძე, *ოსმალეთის ისტორია*. 232. Эфендиев. *Азербайджанское государство Сефевидов*, 200-201.

39 Бушев. *История посольств*, 138-142.

40 Эвлия Челеби. *Книга путешествия, (сейахатнаме)*. третий выпуск. Земли Закавказья и сопредельных областей Малой Азии и Ирана. Составитель и ответственный редактор А. Д. Желтиаков (Москва: Издательство "Наука", 1983), 119.

ბანდი და 1723 წლის 26 ივლისს – ქ. ბაქო.<sup>41</sup> შაჰ სულთან-ჰუსეინის (1694-1722) ვაჟი თამაზ II (1729-1732), რომელიც ავღანელების მიერ დაუმორჩილებელ ოლქებში: გილანში, მაზანდარანში და სამხრეთ აზერბაიჯანში ნომინალურად იყო ცნობილი - ირანის კანონიერ შაჰად, საკმაოდ პასიურად იქცეოდა. ამ უკანასკნელმა, რომელიც ქ. არდებილში იყო გამაგრებული, ავღანელების გასადევნად და დასახმარებლად, რუსეთის იმპერატორს მიმართა. მოსალაპარაკებლად მან რუსეთში გაგზავნა გამოცდილი დიპლომატი ისმაილ ბეგი. 1723 წლის 23 სექტემბერს სანქტ-პეტერბურგში დაიდო საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და ირანს შორის. ამ დოკუმენტის მიხედვით, იმპერატორი პეტრე I დახმარებას ჰპირდებოდა შაჰ თამაზ I-ს ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში და შაჰის ტახტის განმტკიცების საქმეში. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი ცნობდა რუსეთის კუთვნილებად ბაქოსა და დარუბანდს, კასპიის ზღვის სანაპიროზე მიმდებარე ტერიტორიებითურთ და უთმობდა მას ირანის კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე პროვინციებს – გილანს, მაზანდარანსა და ასტრახადს.<sup>42</sup>

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა - ირანის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა სარდალი ნადერი (მომავალი ნადერ შაჰი), რომელმაც ბრძოლის სასწორი ირანის სასარგებლოდ შეატრიალა და ირანელ ხალხს განმათავისუფლებლად მოეცლინა. მან მალე მოიპოვა შაჰ თამაზ II-ის ნდობა და 1726 წელს ნადერი, ირანის შაჰის მოწვევით, მის სამსახურში შევიდა. 1729 წელს ნადერმა მიიღო „თამაზ ყული ხანის“ ტიტული. მან ბრძოლით დაამარცხა ავღანელები და ოსმალები და ირანიდან გარეკა ისინი.<sup>43</sup> 1729 წელს ნადერის ჯარებმა ისფაჰანი დაიკავეს, სადაც თამაზ II ოფიციალურად ეკურთხა ირანის შაჰად. რუსეთის მიმართ ნადერმა კი დიპლომატია გამოიყენა: 1732 წლის 1 თებერვლის რეშთისა და 1735 წლის 21 მარტის განჯის საზავო ხელშეკრულებებით, მან რუსები განდევნა ირანის კასპიისპირა რეგიონიდან. სწორედ, 1735 წელს განჯაში დადებული საზავო ხელშეკრულებით, ბაქო და დარუბანდი კვლავ ირანის ხელში აღმოჩნდა.<sup>44</sup>

ნადერ შაჰის (1736-1747) სიკვდილის შემდეგ, ირანის იმპერიაში საკმაოდ მძიმე სიტუაცია შეიქმნა: ქვეყანა ქაოსმა და განუკითხაობამ მოიცვა, ნადერ შაჰის ჯარი დაიშალა, სამეფო დინასტიისა თუ სხვადასხვა ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის.<sup>45</sup> ქვეყანაში შექმნილი ამ

41 Гаджиали Даниялович Даниялов. (Главный редактор). *История Дагестана*. т. I (Москва: Издательство “Наука”, 1967), 347. Гусейнов и другиередакторы. *История Азербайджана*, 301-304.

42 დავით კაციტაძე. *ირანის ისტორია. III-XVIII საუკუნეები* (თბილისი: ჰოროსი XXI, 2009), 479-480. სვანიძე. *თურქეთის ისტორია*, 241. Гусейнов и др. *История Азербайджана*, 305.

43 კაციტაძე. *ირანის ისტორია*, 484-488. Марианна Рубеновна Арунова и Клара Зармайровна Ашрафян. *Государство Надир-шаха Афшара* (Москва: Издательство Восточной Литературы, 1958), 58-63. Laurence Lockhart. *Nadir Shah. A Critical study, based mainly upon Contemporary Sources*. (London: Luzac, 1938), 46-51, 85-89.

44 Петр Григорьевич Бутков. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год*. часть первая (СПб.: Типография Императорской Академии Наук, 1869). 130-133. Трофим Павлович Юзefович. *Договоры России с Востоком. Политические и Торговые* (СПб.: Типография О. И. Бакста, 1869), 194-208.

45 მოჰამედ ქაზემ, მერვი. *ალამარაიე ნადერი, ჯელდე სევომ. თეჰრან, 1358* (სპარსულ ენაზე), 1191-1199. რეზაშაბანი. *თარიხე ეჯთემაიე ირან დარ ასრე აფშარიე, ჯელდე*

არეულობით ისარგებლეს ირანის იმპერიაში შემავალი სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების მეთაურებმა, რომლებმაც თავიანთი ტერიტორიებიდან ირანელი მმართველები განდევნეს, ხელისუფლების სათავეში მოექცნენ და დაარსეს პატარ-პატარა სამფლობელოები.<sup>46</sup> სწორედ იმდროს შეიქმნა ბაქოსა და დარუბანდის დამოუკიდებელი სახანოები, რომლებიც XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში ყუბის სახანოს შემადგენლობაში მოექცნენ. ყუბის ხანის წარმატებაში დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ დარუბანდის მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ადგილობრივი ხანის, მუჰამედ ჰუსეინის (1747-1759) მკაცრი მმართველობის გამო. 1759 წელს ყუბის მფლობელ ფათჰალი ხანმა (1758-1789), ისარგებლა რა დარუბანდის მოსახლეობის ამ უკმაყოფილებით, დაუკავშირდა ზოგიერთ დაღესტნელ მმართველს და მათი დახმარებით, დარუბანდის წინააღმდეგ, მოქმედება დაიწყო. მისმა ჯარმა მცირე ხანში დაიკავა დარუბანდის სახანოს გარკვეული ტერიტორია, ხოლო თვით ქ. დარუბანდს კი ალყა შემოარტყა. მართალია, ქალაქს მაღალი კედლები იცავდა, რაც უძნელებდა მტერს იქ შეჭრას, მაგრამ მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი ყუბის ხანის მხარეზე გადავიდა, რამაც გაუადვილა ამ უკანასკნელს ქ. დარუბანდის აღება, რომელიც ორთვიანი ალყის შემდეგ გახდა შესაძლებელი. იმავე 1759 წელს, ფათჰალი ხანმა ტახტიდან ჩამოაგდო მუჰამედ ჰუსეინ ხანი და მისი ტიტული მიითვისა.<sup>47</sup> შემდგომში, დარუბანდს ფათჰალი ხანის შვილები: აჰმედ ხანი (1789-1791), შეიხ-ალი ხანი (1791-1799 და 1802-1806) და ჰასან ხანი (1799-1802) განაგებდნენ. დარუბანდმა 1799 წელს, რამდენიმე წლით მოიპოვა დამოუკიდებლობა, როდესაც შეიხ-ალი ხანის პოლიტიკით უკმაყოფილო დარუბანდის მოსახლეობა აჯანყდა, შეიხ-ალი ხანი გადააყენა და დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1799 წლის მაისში, დარუბანდის მოსახლეობამ ფათჰალი ხანის უმცროსი ვაჟი, ჰასანი აირჩია ხანად, მაგრამ ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, დარუბანდის ხანი კვლავ შეიხ-ალი გახდა და მან დარუბანდის სახანო ყუბის სახანოს შეუერთა. XVIII საუკუნის 60-იანი წლებში, ფათჰალი ხანმა დაამარცხა ბაქოს მმართველი, მირზა მუჰამედ ხანი (1748-1767) და ბაქოს სახანოც დაიქვემდებარა.<sup>48</sup>

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, იმპერატორ ეკატერინე II-ის (1762-1796) ზეობის დროს, მომძლავრებულმა რუსეთმა კვლავ გამოიჩინა დიდი ინტერესი კავკასიის მიმართ. რუსეთის საიმპერატორო კარის სურვილი იყო კავკასიაში გაბატონება. რუსეთის ამ სურვილის განხორციელებას კავკასიელ მმართველთა უმეტესობაც უწყობდა ხელს. ირანისა და ოსმალეთისაგან განცდილ აგრესიათა და მათგან მოსალოდნელი საფრთხის გამო, ისინი რუსეთთან კავშირისაკენ მიიწრაფოდნენ. XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსეთს შანსი გაუჩნდა ყუბის სახანო, მათ შორის ბაქო და დარუბანდი, თავის განმგებლობაში მოექცია.

ყუბის სახანოს გაძლიერებამ ძლიერ შეაშფოთა აზერბაიჯანის ხანები და დაღესტნელი მმართველები. ფათჰალი ხანის წინააღმდეგ მათ შექმნეს კოალიცია, ყარაყაიტიანის უცმიის, ემირ ჰამზას მეთაურობით. 1774 წელს, ყუბის სახა-

ავვალ. თეჰრან, 1369 (სპარსულ ენაზე), 122-137. Lockhart. Nadir Shah. A Critical study, based mainly upon Contemporary Sources, 263.

46 Гусейнов и др. *История Азербайджана*, 334-335.

47 Гусейнов и др. *История Азербайджана*, 341. Даниялов. (Главный редактор). *История Дагестана*. т I, 375.

48 Гусейнов и др. *История Азербайджана*, 341-342.

ნოს თავს დაესხა ამ კოალიციის ძალები. მათ დაამარცხეს ყუბის სახანოს ჯარი, დაიკავეს ქალაქები: ყუბა და შემახა, ხოლო ქ. დარუბანდს ალყა შემოარტყეს, რომელიც ათი თვე გაგრძელდა. ქალაქში შიმშილმა და გაჭირვებამ დაისადგურა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ფათჰალი ხანმა, ყიზლარში მდგარ რუსთა სამხედრო შენაერთთან დანმარებისა და მფარველობის სათხოვნელად, ელჩობა გააგზავნა. რუსეთის საიმპერატორო კარმა მიიღო გადაწყვეტილება, ფათჰალი ხანის დასახმარებლად ჯარი გაეგზავნა. 1775 წლის მარტში, რუსეთის ჯარი, გენერალ ი. ფ. დე მედემის მეთაურობით, ქ. დარუბანდს მიუახლოვდა. ამით ისარგებლა ფათჰალი ხანმა, რომელმაც დაამარცხა და განდევნა ემირ ჰამზას სამხედრო ძალები. ყუბის ხანმა იმპერატორ ეკატერინე II-ს ქ. დარუბანდის კარიბჭის გასაღები გაუგზავნა და რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა. ფათჰალი ხანის მოწვევით, რუსთა ჯარი ქ. დარუბანდში შევიდა. იმპერატორი ეკატერინე II მოერიდა ირანთან და ოსმალეთთან შესაძლო გართულებებს და ყუბის ხანს, თავის მფარველობაში შესვლაზე, უარი განუცხადა.<sup>49</sup>

XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, კავკასიის ხალხს საფრთხე დაემუქრა ირანის ახალი მბრძანებლის, ალა მაჰმად ხანის (1794-1796 წლებში ირანის გამგებელი, 1796-1797 წლებში ირანის შაჰი) მხრიდან. 1795 წლის სექტემბერში თბილისის ალების შემდეგ, ირანის მბრძანებელმა, იმავე წლის ნოემბერში ჯარი გაგზავნა შირვანის დასაკავებლად, ხოლო დაღესტნის მოსახლეობას მორჩილებისკენ მოუწოდა. ამით შემოფოთებული დაღესტნელი მმართველები შეიკრიბნენ და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დანმარება რუსეთისათვის ეთხოვათ.<sup>50</sup> რუსეთის მხარემ დაღესტნელთა ეს წინადადება მიიღო და მათ დასახმარებლად 1796 წლის გაზაფხულზე, გენერალ ვ. ა. ზუბოვის მეთაურობით, ჯარი გამოგზავნა. ალა მაჰმად ხანი რუსებთან პირდაპირ შეტაკებას მოერიდა და უკან, ირანში დაბრუნდა. რუსთა ჯარი, როდესაც ქ. დარუბანდს მიუახლოვდა, დარუბანდის სახანოს მაშინდელმა მმართველმა, ირანის ორიენტაციის მქონე, შეიხ ალი ხანმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა უშედეგოდ. რუსებმა 10 მაისს დაიკავეს ქ. დარუბანდი. მალევე, ქ. ბაქოც მათ ხელში აღმოჩნდა.<sup>51</sup> მაგრამ 1796 წლის მიწურულს ვითარება შეიცვალა. რუსეთის ახალმა იმპერატორმა პავლე I-მა (1796-1801) შეცვალა რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსი და იმავე წლის დეკემბერში სამხრეთ კავკასიიდან საკუთარი ჯარი გაიწვია. ამის შემდეგ, ირანმა კვლავ შეუტია ბაქოს. ამიტომ, ბაქოს სახანოს იმდროინდელმა მმართველმა, ჰუსეინ ყული ხანმა (1792-1806) 1803 წელს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შესახებ, მაგრამ ირანის ორიენტაციის მომხრე ჯგუფის ზეგავლენით, მალე უკვე ირანს სთხოვა მან დანმარება. 1804-1813 წლების ირან-რუსეთის ომის დროს, რუსთა ჯარმა 1806 წლის 21 ივლისს

49 Даниялов. (Главный редактор). *История Дагестана*, т. I. 376-381. Гусейнов и др. *История Азербайджана*, 346-347.

50 ზურაბ შარაშენიძე. *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში* (თბილისი: „მეცნიერება“, 1970), 176-177. Гаджиали Даниялович Даниялов (Главный редактор). *История Дагестана*, т. II (Москва: “Наука”, 1968), 9-10.

51 Гусейнов и редакторы. *История Азербайджана*. 377. Даниялов (Главный редактор). *История Дагестана*. т. II. 10-12. შარაშენიძე. *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში*. 187-188.

დაიკავა დარუბანდი, ხოლო იმავე წლის 3 ოქტომბერს -ბაქო.<sup>52</sup> ამ ქვეყნებს შორის დადებული 1813 წლის 24 ოქტომბრის გულისტანის საზავო ხელშეკრულებით, ეს ქალაქები, თავიანთი სახანოებით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა,<sup>53</sup> რაც დაადასტურა რუსეთ-ირანის 1828 წლის 22 თებერვლის თურქ-მანჩაის საზავო ხელშეკრულებამ.<sup>54</sup>

---

52 Даниялов (Главный редактор). *История Дагестана*. т II, 19.

53 Юзефович. *Договоры России с Востоком*. 208-214. Даниялов (Главный редактор). *История Дагестана*. т II, 27. გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი. *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.- XXI ს.-ის დასაწყისი)* (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011), 19. რევაზ გაჩეჩილაძე. *ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა* (თბილისი: შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2011), 195.

54 Юзефович. *Договоры России с Востоком*, 214-227. გიორგი სანიკიძე და სხვები, *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან*. 21. გაჩეჩილაძე. *ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა*, 195.

## **ISSUE OF BAKU AND DERBENT IN IRANIAN-RUSSIAN RELATIONS**

The presented article narrates about relations that Safavid Iran and the State of Moscow (Russia) had with Baku and Derbent (Derbend, Daruband), the two Pre-Caspian cities of crucial importance. These cities used to play an important role in foreign policy of the mentioned countries starting from the second half of 16th century up to the beginning of the XIX century.

For many decades both Ottoman Empire and Safavid Iran were trying to dominate in the Caucasus. This region has frequently become the center of their confrontation. In the XVI century Ottoman-Iran confrontation proceeded in transient success. The strengthened State of Moscow (Russia) unveiled the same interests starting the 16th century. The gate to the Caspian Sea was the key challenge of Moscow's foreign policy. For the purpose of resolving this problem, the State of Moscow conquered Kazan in 1552 and Astrakhan in 1556. The gate to the Caspian Sea was of crucial importance for the State of Moscow (Russia), because it could easier and better expand trading relations with eastern countries. Starting the middle period of the 16th century, the Volga-Astrakhan-Caspian navigation-trading route became of crucial importance. Competition of these three strong countries for the Caucasus and, especially, for its eastern part, sharpened further.

In 1578 Ottoman Empire unleashed war against Safavid Iran (Ottoman-Iran war in 1578-1590). The key reason of this war was to conquer the Caucasus and to take over the Volga-Astrakhan-Caspian navigation-trading route. It should be noted that at the beginning of the Iran-Ottoman war the State of Moscow remained as an ordinary supervisor, while the ongoing war and, especially, its outcomes outlined new tasks and challenges.

Initially, Osman Empire took advantage South Caucasus and attacked even the territory of Iran. Having conquered the most part of Shirvan-in the mentioned war. Ottoman Empire succeeded in the Azerbaijan, Ottomans started establishing their own regulations. They carried out census in the country on October 5, 1578 and established the Beylerbeylik of Shirvan.

The Beylerbeylik of Shirvan.was divided in Eyalets (Vilayets) of Shemakha and Derbent, which were also subdivided in Sanjaks. Baku and Derbent, were also united in the Beylerbeylik of Shirvan: Baku had the status of one of the Sanjaks of Eyalet of Shemakha, while Derbent was Eyalet in itself and it was subdivided in several Sanjaks.

After these changes, the Ottoman-Iran war proceeded in transient success. Complicated situation made the Iranian rulers to seek a new ally. They decided to make a use of the negative attitude that the State of Moscow had against Ottoman Empire and to ally with Moscow. In 1586 Iran sent an ambassador's delegation at the head of Hadi Beg. Initially, officials of the State of Moscow were trying to find allies against Ottoman Empire in Europe, but in vain. Therefore, representatives of the Russian State met the Iranian Ambassador with great benevolence. Shah of Iran Mohammad Khodābandeh (1578-1587) asked Russian King Feodor (1584-1598) for assistance against Ottoman Empire. In exchange, the Shah of Iran offered two strategically important cities at the Caspian Sea -



Baku and Derbent. These cities were conquered by Ottoman Empire in 1578. The Shah pledged to concede the mentioned cities to Russia even if Iran would manage to liberate them alone without participation of Russian army.

Representatives of the State of Moscow found this offer attractive. By taking control on Derbent, Russia could pave a direct way to Georgia. We believe these very perspectives for subduing these cities of huge economic and political importance inspired political circles of the State of Moscow to activate the foreign policy course to the East and South. Under the decision of Council of Boyars, in 1588, an ambassador's delegation was sent from Moscow to Iran at the head of Boris Grigorievich Vassilchikov. Key objective of this delegation was to specify Iran-Russia plans for allying against Ottoman Empire and the promise of Iran for transmitting Baku and Derbent to Russia.

Coup d'etat took place in Iran in 1587. Mohammad Khodābandeh was overthrown and his son Abbas I was crowned as Shah of Iran (1587-1629). Key objective of the young Shah was to conclude a peace agreement with Ottoman Empire. Therefore, he abstained from allying with Moscow, but decided to continue diplomatic ties with Russia and referred his ambassadors Butaq Beg and Hadi Beg to Russia jointly with B. G. Vassilchikov, who was returning to Moscow.

As to Baku and Derbent, the young Shah of Iran masterfully revised the offer made by his father to Russian King Feodor and sent an absolutely another project jointly with the ambassadors. According to this project, Russian Army was to attack Baku and Derbent, while Iran would fight against Shirvan. In case of victory, the State of Moscow would dominate on northern coastline of the Caspian Sea, while Iran would control the southeast coastline. This signified Russia was to conquer Baku and Derbent itself.

Political circles in Moscow found this new offer about capturing Baku and Derbent by Russia unacceptable. In that period the State of Moscow was fighting against Sweden and had complicated relations with Crimean Khanate. Attacking Baku and Derbent would trigger a new war with Ottoman Empire and Russia could not fulfill this mission. Moreover, information was obtained that Iran and Ottoman Empire had exchanged ambassadors.

Shortly after these developments, on March 21, 1590 in Istanbul Iran and Ottoman Empire concluded a peace agreement, under which Baku and Derbent were maintained by Ottoman Empire.

In the next centuries Baku and Derbent maintained relevance in relations between Iran and Russia. During the 1603-1618 war between Iran and Ottoman Empire, Baku and Derbent were captured by Safavid Iran. According to Evliya Çelebi, Ottoman traveler and chronicler of the 17th century, the Shah treasury used to receive much revenue from Baku oil (7000 Toman a year). During the military expedition by Russian Emperor Peter I (1689-1725) in the Pre-Caspian Region, Russian army occupied the city of Derbent on August 23, 1722 and the city of Baku on July 26, 1723. Under the September 23, 1723 peace agreement between Russia and Iran signed in St. Petersburg, Baku and Derbent were transmitted to Russia, but under the March 21, 1735 peace agreement signed in Ganja, Baku and Derbent were returned to Safavid Iran.

After death of Nader Shah (1736-1747), the situation in Iran worsened: the country sank into chaos and arbitrariness. Nader Shah's army was dissolved, the Royal Dynasty and various feudal groups started fight for leadership. Leaders of various political units of Iran made use of the growing disorder in the country and expelled Iranian governors from their territories, took over the power and established small domains. In that period independent Khanates of Baku and Der-

bent were also established, which in 1750-60ies were captured by Fath 'Ali Khan (1758-1789), strengthened Governor of Quba.

In the second half of the XVIII century, under the ruling of Emperor Catherine II (1762-1796), strengthened Russia showed growing interest towards the Caucasus. The Russian Imperial Court aimed at taking roots in the Caucasus.

The most part of the rulers in the Caucasus also supported an implementation of these plans of Russia. Because of aggression from Iran and Ottoman Empire and expected threats, they strived for allying with Russia. In the 1770ies Russia got the opportunity of taking control over Quban Khanate, including Baku and Derbent.

Azerbaijani Khans and Dagestan rulers were confused by strengthening Khanate of Quba. They set up a coalition and attacked Khanate of Quba in 1774. Quba Khan applied to the Russian Emperor for assistance and patronage.

Despite Russian army helped Fath 'Ali Khan in 1755, Russian Empire avoided expected complications with Iran and Ottoman Empire and rejected Quba Khan's proposal for taking its Khanate under patronage

In the 1790ies, Iran's new ruler Agha Mohammad Khan (ruler of Iran in 1794-1796, Shah of Iran in 1796-1797) brought new threats. Dagestan rulers applied to Russia for assistance and they received consent.

In 1796 Russian army occupied Baku and Derbent Shortly, new Emperor of Russia Pavel I (1796-1801) revised foreign policy course and in December 1796 withdrew army from the South Caucasus. During the 1804-1813 war between Russia and Iran, Russian army occupied Baku and Derbent. Under the Gulistan peace agreement that these Parties signed on October 24, 1813, these cities were transmitted to Russian Empire and this agreement was reaffirmed by the Turkmanchai peace agreement that Russia and Iran signed on February 22, 1828.

The work discusses sources and scientific literature in various languages. Based on comparison of all materials, we have made our own conclusions and inferences.

#### **დამოწმებული ლიტერატურა - References:**

1. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვეთი I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, 1944.
2. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. დონდუა, ვარლამ. დუმბაძე, მამია. მელიქიშვილი, გიორგი. მესხია, შოთა. რატიანი, პროკოფი. *საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე)*. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1958.
3. გაბაშვილი, ვალერიან. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI-XVII სს.). *ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს საკითხები, სტატიების კრებული*, ტ. I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2016.
4. გაჩეჩილაძე, რევაზ. *ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა*. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2011.

5. გელაშვილი, ნანა. *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.)*. თბილისი: „მეცნიერება“, 1995.
6. იბრაჰიმ ფერევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი: „მეცნიერება“, 1964.
7. კაციტაძე, დავით. *ირანის ისტორია. III-XVIII საუკუნეები*. თბ.: ჰოროსი XXI, 2009.
8. კუცია, კარლო. *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVIII სს*. თბილისი: „მეცნიერება“, 1976.
9. მოჰამედ ქაზემ, მერვი. *ალამარაიე ნადერი, ჯელდე სევომ*. თეჰრან, 1358 (სპარსულ ენაზე).
10. სანიკიძე, გიორგი. *ალასანია, გიული. გელოვანი, ნანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.- XXI ს.-ის დასაწყისი)*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.
11. სვანიძე, მიხეილ (რედაქტორი). *საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე)*. თბილისი: „ნეკერი“, 2008.
12. სვანიძე, მიხეილ. *თურქეთის ისტორია (1299-2000)*. თბილისი: „არტანუჯი“, 2007.
13. სვანიძე, მიხეილ. *ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.)*. თბილისი: „არტანუჯი“, 1999.
14. სვანიძე, მიხეილ. *საქართველოს-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს*. თბილისი: „მეცნიერება“, 1971.
15. სვანიძე, მიხეილ. შარუმაშვილი, რუსუდან. *ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება და ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა 1578-1579 წლებში. პერსპექტივა-XXI. №IX (2)*. თბილისი: „ნეკერი“, 2008.
16. ტივაძე, თამარ. *ირანთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. თსუ-ს შრომები*, 113. ისტორიულ მეცნიერებათა სერია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1965.
17. შაბანი, რეზა. *თარიხე ეჯთემაიე ირან დარ ასრე აფშარიე, ჯელდე ავვალ*. თეჰრან, 1369 (სპარსულ ენაზე).
18. შარაშენიძე, ზურაბ. *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში*. თბილისი: „მეცნიერება“, 1970.
19. ცინცაძე, იასე. *რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968.
20. *Английские путешественники в Московском государстве в XVI веке*, Ответственный редактор Рубинштейн, Н. Л. Технический редактор Прохорова, О. С. Перевод с английского Готье, Ю.В. Введение Новицкого, Г. Ленинград: Типография ОГИЗа РСФСР треста “Полиграфкнига” “Печатный Двор” им. А. М. Горького, 1937.
21. Арунова, Марианна Рубеновна. Ашрафян, Клара Зармайровна. *Государство Надир-шаха Афшара*. Москва: Издательство Восточной Литературы, 1958.
22. Броневский, Семен Михайлович. *Историческая выписка о сношениях России с Персией, Грузией и вообще с горскими народами*,

- в Кавказе обитающими, со времен Ивана Васильевича донныне. Подготовка текста к изданию, предисловие, примечания, словарь малоизвестных слов, указатели. Павловой И. К. Санкт-Петербург: РАН. Санкт-Петербургское Востоковедение, 1996.
23. Бутков, Петр Григорьевич. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год.* часть первая. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук, 1869.
  24. Бушев, Петр Павлович. *История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг.* Москва: "Наука", 1976.
  25. Гусейнов, И.А. Сумбат-заде, А.С. Гулиева, А.Н. Токаржевский, Е.А. (Редакторы). *История Азербайджана*, том I. Баку: Издательство АН Азербайджанской ССР, 1958.
  26. Даниялов, Гаджиали Даниялович. (Главный редактор). *История Дагестана*, т I. Москва: "Наука", 1967.
  27. Даниялов, Гаджиали Даниялович. (Главный редактор). *История Дагестана*, т II. Москва: "Наука", 1968
  28. Иванов, Михаил Сергеевич. (Ответственный Редактор). *История Ирана.* Москва: Издательство МГУ, 1977.
  29. Иванов, Михаил Сергеевич. *Очерк истории Ирана.* Москва: Госполитиздат, 1952.
  30. Кушева, Екатерина Николаевна. *Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв.* Москва: Издательство Академии Наук СССР, 1963.
  31. Полиевктов, Михаил Александрович. *Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу.* Тифлис: Напечатано по распоряжению Академии Наук СССР, 1935.
  32. Смирнов, Николай Александрович. *Россия и Турция в XVI-XVII вв.* т. 1. Ученые записки МГУ, выпуск 94. Москва: Издательство МГУ, 1946.
  33. Тихомиров, Михаил Николаевич. *Российское государство XV-XVII веков.* Москва: "Наука", 1973.
  34. Фехнер, Мария Васильевна. *Торговля Русского государства со странами Востока в XVI веке.* Москва: Издание Государственного Исторического музея, 1952.
  35. Челеби, Эвлия. *Книга путешествия (сейахатнаме).* третий выпуск. Земли Закавказья и сопредельных областей Малой Азии и Ирана. Составитель ответственный редактор Желтиаков, А. Д. Москва: "Наука", 1983.
  36. Эфендиев, Октай Абдулкерим оглы. *Азербайджанское государство Сефевидов в XVI веке.* Баку: Издательство "ЭЛМ", 1981.
  37. Юзефович, Трофим Павлович. *Договоры России с Востоком. Политические и Торговые.* Санкт-Петербург: Типография О. И. Бакста, 1869.
  38. Lockhart, Laurence. *Nadir Shah. A Critical study, based mainly upon Contemporary Sources.* London: Luzac, 1938.

## ირაკლი თოფურიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### დაუდ ფაშას ურთიერთობა ერაყის ბაბანიანთა ქურთულ გვართან (1817-1823 წწ.)

XVIII-XIX საუკუნეებში ბაბანიანთა ძლიერ ქურთულ გვარს დიდი ზეგავლენა ჰქონდა ერაყის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაზე. როგორც ერთ-ერთი უძლიერესი ქურთული გვარის წარმომადგენლები, ბაბანიანები ზოგჯერ მამლუქთა ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ზოგჯერ კი პირიქით, ამ საყრდენების მორყევას ცდილობდნენ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ბაბანიანთა და საერთოდ ქურთული ელემენტის გაძლიერება ხსენებულ საუკუნეებში უნერგავდა მათ რწმენას საკუთარ ძალებში და ბალდადისაგან მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევის სურვილს უღვივებდა. მიუხედავად ამისა, ერაყის მამლუქთა წრიდან გამოსული მმართველები, უკანასკნელი მამლუქი ფაშა დაუდი და მისი წინამორბედი, ხან ხმლის ძალით, ხანაც პოლიტიკური ინტრიგების წყალობით, ახერხებდნენ შედარებით მორჩილებაში ყოლოდათ ქურთული ტომები და მათი ლიდერები ბაბანიანთა გვარის წარმომადგენლების სახით.

XIX საუკუნის დასაწყისში ბაბანიანთა გვარის ლიდერმა, აბდ ალ-რაჰიმანმა მრავალგზის სცადა ზემოხსენებული მიზნის განხორციელება, თუმცა მისი მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა მამლუქთა სიძლიერის გამო. ამისდა მიუხედავად აბდ არ-რაჰიმანის ძალაუფლებამ თავის მწვერვალს მიაღწია, როდესაც მისი უშუალო დახმარებით ბალდადის ვალის თანამდებობა მამლუქთა წრიდან გამოსულმა, ქართული წარმომავლობის აბდ ალ-ლაჰ ფაშამ ჩაიგდო ხელში 1810 წელს.<sup>1</sup>

რაც შეეხება ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას, სტამბოლში დიდად არ მოწონდათ აბდ არ-რაჰიმანის გაძლიერების ფაქტი, გამოძინარე იმ რეალობიდან, რომ ქურთთა ლიდერი დიდი სიმპათიით იყო განწყობილი სპარსეთის მიმართ და ამავდროულად ცდილობდა ბალდადისაგან სრული დამოუკიდებლობისათვის მიეღწია, პირდაპირ დაქვემდებარებოდა სტამბოლს და თავისი სტატუსით ბალდადის მმართველს გათანაბრებოდა. მაგრამ ამ მცდელობამაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი, როდესაც მამლუქთა ძალებმა დაუდ ეფენდის ხელმძღვანელობით გაერთიანებული ქურთული ლაშქარი დაამარცხეს 1812 წელს ქიფრის ბრძოლაში. ამისდა მიუხედავად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ აბდ არ-რაჰიმანის ზეობა ითვლება ბაბანიანთა გვარის მაქსიმალური სიძლიერის პერიოდად, როდესაც მან შეძლო მინიმუმამდე დაეყვანა მამლუქთა და სპარსთა გავლენა ერაყის ქურთისტანში.

1813 წელს აბდ არ-რაჰიმანის გარდაცვალების შემდეგ, სულეიმანიეს მმართველის თანამდებობა მისმა ვაჟმა, მაჰმუდ ბაბანიმ დაიკავა<sup>2</sup>, რომელიც სპარსი

1 Abd al-Aziz Sulaiman Nawar, Daud Pasha Wali Baghdad, (al-Kahira: Dar al-Kutab al-Arabi lil-Tiba'a Wa an-Nashr, 1968), 112.

2 Stephen Hemsley Longrigg, Four Centuries of Modern Iraq (Beirut: Librarie du Liban, 1968), 233.

უფლისწულისა და ქერმანშაჰის მმართველის მოჰამედ ალი მირზას<sup>3</sup> პირდაპირი მხარდაჭერით სარგებლობდა. ბაღდადის ვალი საიდ ფაშამ (1813–1816 წწ.) მაშინვე შეუტია მაჰმუდს მისი პროსპარსული განწყობის გამო და მიზანსაც მიაღწია – 1815 წელს დაუდ ეფენდის ძალისხმევით ქურთულ-სპარსული კოალიცია ფორმალურად დაიშალა. თუმცაღა, უკვე 1817 წელს, ანუ მას შემდეგ რაც დაუდ ეფენდიმ ბაღდადის ვალის თანამდებობა დაიკავა, აღმოჩნდა, რომ მაჰმუდი კვლავ განაგრძობდა სპარს უფლისწულთან საიდუმლო ურთიერთობებს, მისი მფარველობით სარგებლობდა და იღებდა ფინანსურ დახმარებას. ამ გარემოებამ უკიდურესად დაძაბა ურთიერთობები დაუდსა და მაჰმუდს შორის, რაც სამხედრო შეტაკებაში და სპარსეთთან ომში გადაიზარდა 1818 წელს.<sup>4</sup>

ამ დროს სპარსეთი წარმატებულ ნაბიჯებს დგამდა ახალი სამხედრო სისტემის დანერგვის საქმეში. სპარსეთის მეფისწულეები მოჰამედ ალი მირზა და მისი ძმა აბას მირზა<sup>5</sup> თავიანთი ქვეყნის შესაძლებლობებისა და პირობების გათვალისწინებით, რეგულარული ჯარის შექმნას ცდილობდნენ და ამის წინაპირობა უკვე სახეზე იყო – ორივეს თავის დაქვემდებარებაში ჰყავდა ქვეითთა რეგულარული ნაწილები და არტილერია. ამავდროულად შაჰის შვილებს შორის ქვეყნის პროვინციების გადანაწილებამ გააძლიერა სპარსეთის მიერ მეზობელი ერაყის დაპყრობის სურვილი. ერაყის ქურთისტანი და ბაღდადი იყო ის მიმართულება, რომლისაკენაც უნდა დაძრულიყო მოჰამედ ალი მირზა, თუ მოისურვებდა თავისი სამფლობელოების გაფართოებას. მარტო აბას მირზას დროშის ქვეშ 10,640 რეგულარული მეზრძოლი იდგა. საერთო ჯამში სპარსეთს შეეძლო 300,000 მეზრძოლის გამოყვანა, როგორც რეგულარული, ისე არარეგულარული შენაერთებიდან. ეს ჯარი სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ სპარსეთს დაეპყრო არა მარტო ქურთისტანი, არამედ მთელი ერაყი.<sup>6</sup>

3 მოჰამედ ალი მირზა დოვლათშაჰი 1798–1806 წლებში ყაზვინს, ხოლო 1806 წლიდან გარდაცვალებამდე (1821 წ.), კი ხუზისტანს, ქერმანშაჰს და მთიან ქურთისტანს განაგებდა. ცხოვრობდა ქერმანშაჰში. მისი დედა, ზიბაჩეჰჰრ-ხანუმი, მარი ბროსეს აზრით, რასაც სპარსი ისტორიკოსი ნაფისიცი იზიარებს, ქართველი ტყვე, გვარად წიქარიშვილი უნდა ყოფილიყო (გ. შარაშენიძე, ირანის შიდაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX ს. დასაწყისში, (თბილისი, 1984), 36). ყაჯართა დინასტიის დამარსებლის, ალა მაჰმად ხანის სიტყვიერი ანდერძით, სპარსეთის ტახტის მემკვიდრე მხოლოდ ყაჯართა ტომის დავალუს გვარისა გვარის ქალისაგან უნდა ყოფილიყო შობილი. ამიტომ, ალა მაჰმად ხანმა, თავის ძმის შვილს, ბაბა ხანს, იუხარი ბაშის ოჯახის წარმომადგენელი, ფათჰ ალი ხან დავალუს ყაჯარის ქალიშვილი, ასე ხანუმი შეირთო ცოლად. იგი ფათჰ ალი შაჰის მთავარი ცოლი, მოჰამედ ალი მირზას ძმის, აბას მირზას დედა იყო.

4 ირაკლი თოფურიძე, მამლუქთა ეპოქა ერაყში, (თბილისი: „პოროსი XXI“; 2015), 145-150.

5 ფათჰ ალი შაჰმა თავისი მეოთხე ვაჟი, აბას მირზა, 11 წლის ასაკში, 1799 წელს დანიშნა სტრატეგიული მნიშვნელობის პროვინციის, აზერბაიჯანის მმართველად. მისი წოდება იყო ნაიბ–ოს სალთანე, ანუ მეფის ნაცვალი, რადგან მას უცხოელებთან თავისი მამის სახელით უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები. მისი გავლენა აზერბაიჯანის საზღვრებს არ სცილდებოდა. შაჰმა აბას მირზა ტახტის მემკვიდრედ – ვალიაჰდად, რუსეთისა და ინგლისის გავლენით მხოლოდ 1832 წელს, ამ მეფისწულის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაასახელა (ირინე ნაჭყებია, „მირ დაუდ ზადურ მელიქ შაჰნაზარი და მისი ცნობები სპარსეთის შესახებ.“ ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI (2013/2014): 165).

6 თოფურიძე, მამლუქთა ეპოქა, 146-147.

დაუდ ფაშას მმართველობის პირველ წლებში ქურთული ძალები საკმაოდ დიდ საშიშროებას წარმოადგენდნენ ბაღდადის ვალისთვის, რადგანაც მისი ხელისუფლება ჯერ არ იყო საკმაოდ მყარი. ეს საფრთხე არა მარტო ქურთულ-სპარსული სამხედრო ძალისაგან გამომდინარეობდა, არამედ სტამბოლიდანაც, სადაც მაჰმუდ ბაბანი თავისი აგენტების მეშვეობით ცენტრალურ ხელისუფლებას დაუდ ფაშას უნარობაში არწმუნებდა. ამ პერიოდში დაუდ ფაშას ხელისუფლება მართლაც საკმაოდ სუსტი იყო. ბაღდადის ვალის არ გააჩნდა საშუალება ქურთულ-სპარსულ საფრთხეს რაიმე სხვა გზით შეეწინააღმდეგებოდა, გარდა მისი წინამორბედების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, რაც გამოიხატებოდა რამდენიმე სტრატეგიული ქურთული პუნქტის, ისეთი როგორცაა ქოის, ერბილის და ალთუნ ქობრის ხელში ჩაგდება, ანდა ბაბანიანთა გვარის რომელიმე წარჩინებული წარმომადგენლის საკუთარ მხარეზე გადმოხიზებით<sup>7</sup>.

ორივე ამ სამხედრო და პოლიტიკური გეგმის განსახორციელებლად შესაბამისი საფუძველი არსებობდა – დაუდს ყავდა ერთგული მამულეების სამხედრო შენაერთები და ამავდროულად ბაბანიანთა გვარის წარჩინებული წარმომადგენლები მზად იყვნენ ელაღლათ მაჰმუდისათვის სულეიმანიეს გამგებლის თანამდებობის ხელში ჩაგდების მიზნით. დაუდ ფაშამ მართლაც იპოვა ბაბანიანთა გვარში პოტენციური მოკავშირეები აბდ ალ-ლაჰ ბაბანის სახით და მაჰმუდის ღვიძლი ძმა ჰასან ბექი, რომელსაც ქურთთა ლიდერი სპარსეთის უფლისწულ მოჰამედ ალი მირზასთან ქერმანშაჰში მძევლის სახით უპირებდა გაგზავნას. მაგრამ ომის მსვლელობის ქურთთა სასარგებლოდ შემოტრიალებამ აიძულა დაუდ ფაშა ხელი აეღო თავის განზრახვაზე, მან სცნო მაჰმუდ ბაბანი სულეიმანიეს მმართველად, მის ძმას ჰასან ბექს სამართავად ქურთული ქოი და ჰარირი დაუმტკიცა და ბაღდადში მიიწვია.

ამ გამარჯვების შემდეგ მაჰმუდმა, იგრძნო რა ძალა, მოსთხოვა დაუდ ფაშას დაებრუნებინა მისი ძმა ჰასან ბექი და მისთვისთვის გადაეცა ერბილი და ალთუნ ქობრი. ამ მიზნით ქურთთა ლიდერმა 1820 წლის მაისის მიწურულს-ივნისის დასაწყისში დაუდ ფაშასთან ბაღდადში დედამისი მიავლინა მოლაპარაკებების გასამართად<sup>8</sup>. არსებული ვითარება თანამშრომლობისაკენ უბიძგებდა ბაღდადსა და სულეიმანიეს მზარდი სპარსული საფრთხის წინააღმდეგ. ამას ემატებოდა ის გარემოება, რომ მაჰმუდის კარზე სულეიმანიეში სპარსი წარგზავნილი ბაკირ ხანი იმყოფებოდა, რომელიც მოითხოვდა 30,000 სპარსული თუმნის გადახდას მოჰამედ ალი მირზას სასარგებლოდ, რაც მაჰმუდ ბაბანისათვის საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენდა და მის შესაძლებლობებს აღემატებოდა.<sup>9</sup> ამკარად ჩანდა, რომ სპარს უფლისწულს განზრახული ჰქონდა მუდმივად ჩარეულიყო ქურთისტანის მმართველის დანიშნვის საქმეში. აქედან გამომდინარე, ორმხრივმა ინტერესმა დააახლოვა მაჰმუდი და დაუდი – ქურთთა ლიდერს სჭირდებოდა დაუდ ფაშა, რათა თავი დაეხსნა მოჰამედ ალი მირზასაგან, ხოლო ბაღდადის ვალის სჭირდებოდა მაჰმუდ ბაბანი, რათა ჩრდილოეთ ერაყში სპარსეთის გავლენა საბოლოოდ მოესპო. ორივე გამგებელი მშვენივრად ხვდებოდა სპარსეთის წინააღმდეგ საერთო პოზიციის გამოუმუშავების აუცილებლობას და ზუსტად ეს ფაქტი იქცა მოლაპარაკებების ძირითად თემად, რომლებიც გაიმართა დაუდ ფაშასა და მაჰმუდის დედას შორის 1820 წლის მაის-ივნისში ბაღდადში. მოლაპა-

7 Abbas al-Azzawi, *Tarikh Iraq Baina Ihtilalain*, vol.6, (Baghdad: 1954), 251.

8 Ala' Musa Kadhim Nawras, *Huqm al-Mamaliq Fi al-Iraq* (Baghdad: 1975), 167.

9 Nawar, Daud Pasha, 126.

რაკებები წარმატებით დასრულდა, დაუდმა მაჰმუდ ბაბანის მისი ძმა ჰასან ბექი დაუბრუნა, ასევე ქურთთა ლიდერს გადაეცა მისი ახლო ნათესავი აბდ ალ-ლაჰ ბაბანი, რომელიც მაჰმუდის ყველაზე რეალურ ოპონენტად მოისაზრებოდა სულეიმანიეს გამგებლის თანამდებობაზე. ბაღდადში ბრიტანელი სავაჭრო აგენტის, კლაუდიუს ჯეიმს რიჩის ცნობით, მაჰმუდ ბაბანიმ მისი ნათესავი შეიწყალა და სამართავად ერაცის ქურთისტანის სუკეთესო რეგიონები გადასცა.<sup>10</sup>

უეჭველია, რომ მაჰმუდის ეს ნაბიჯი შორსმომავალი გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. ქურთთა ლიდერს ახლა მამლუქთა ძალები ედგნენ გვერდში და მაჰმუდმა გადაწყვიტა ბოლო მოელო ბაბანიანთა გვარში არსებულ განხეთქილებისათვის და ერთი დროის ქვეშ დაეყენებინა გვარის წარჩინებულები სპარსეთის მზარდი ზეგავლენის წინააღმდეგ. მან ქერმანშაჰიდან გამოიწვია თავისი ახლო ნათესავები და ბაღდადის თანხმობით მალალი თანამდებობები დაურიგა ქურთისტანში. გარდა ამისა შეიქმნა არაფორმალური ტრიუმვირატი, რომელიც შედიოდა თვით მაჰმუდი, ბიძამისი აბდ ალ-ლაჰ ფაშა და ოსმან ბაბანი, რომლებსაც ყველა სასიცოცხლო საკითხის გადაწყვეტა იმდროინდელი ბაღდადელი სწავლულის შეიხ ხალის ალ-ნაკშაბანდის რჩევების საფუძველზე უნდა მოეხდინათ.<sup>11</sup>

მოჰამად ალი მირზა მშვენივრად ხვდებოდა, რომ მას ქურთისტანი ხელიდან ეცლებოდა. ამიტომ მან დაპატიჟა ტრიუმვირატის წევრი აბდ ალ-ლაჰ ფაშა ქერმანშაჰში, სადაც იგი მაჰმუდის მაგივრად სულეიმანიეს გამგებლად უნდა დაენიშნა. დაუდ ფაშას მზვერავებმა მიიღეს ეს ინფორმაცია და ბაღდადის ვალიმ მაჰმუდს აცნობა შესაძლო ღალატის შესახებ. ინფორმაციის დადასტურების შემდეგ აბდ ალ-ლაჰ ფაშა დაპატიმრებულ იქნა მაჰმუდის მიერ, თუმცა მოგვიანებით იგი გაათავისუფლეს მისი ღვიძლი ძმის მძევლად აყვანის სანაცვლოდ, რასად დაუდ ფაშა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. აბდ ალ-ლაჰ ფაშამ ისარგებლა ამ გარემოებით და ქერმანშაჰში გაიქცა. ამგვარად სპარსმა უფლისწულმა მიაღწია იმას, რომ ბაბანიანთა გვარის შიგნით დაპირისპირება და განხეთქილება შენარჩუნებულიყო.<sup>12</sup>

ეს დაპირისპირება მთელ ქურთთთანს მოედო, რეგიონი ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის ჯარების საბრძოლო არენად იქცა. ამას დაემატა 1821 წელს ქურთისტანში გავრცელებული ქოლერის ეპიდემია, რომელმაც მოსახლეობის დიდი ნაწილი შეიწირა, რასაც, შესაბამისად სულეიმანიეს გამგებლის სამხედრო ძალის დასუსტება მოჰყვა. ამავდროულად სპარსეთი განაგძობდა თავისი გავლენის ზრდას რეგიონში და ბაბანიანთა გვარის თავის მოკავშირეებს გამუდმებით ეხმარებოდა როგორც ეკონომიურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.

არსებულმა მდგომარეობამ აიძულა დაუდ ფაშა სამხედრო ძალას დაყრდნობოდა. მან უბრძანა თავის ქაჰიას, ქართული წარმომავლობის ყოფილ მამლუქს აჰმად ბექს შეტევა განეხორციელებინა ქირქუქზე და შემდეგ სულეიმანიეზე გასულიყო. მოახლოებულ მამლუქებს მაჰმუდ ბაბანიმ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სპარსეთს შეაფარა თავი. არსებობს მოსაზრება, რომ დაუდს სულეიმანიეს გამგებლობა აჰმად ბექისათვის უნდა გადაეცა, რაც საბოლოოდ გააერთიანებდა ერაცს დაუდ ფაშას ძალაუფლების ქვეშ. თუმცაღა, სულეიმანიეს გამგებლად უცხო ელემენტის დანიშნვა დიდ სიძნელებს შეუქმნიდა აჰმად ბექს. ამას მშვე-

10 C. J. Rich, *Narrative of a Residence in Koordistan*, vol.1, (London: 1835), 104.

11 Rich, *Narrative of a Residence*, 103.

12 Nawar, *Daud Pasha*, 127.



ნივრად ხვდებოდა დაუდი და თავისი წინამორბედების ტრადიციულ მეთოდს მიჰყვა – სულეიმანიეს გამგებლად აბდ ალ-ლაჰ ბაბანი დანიშნა.<sup>13</sup>

ამ გაუთავებელი სამხედრო მოქმედებების შედეგად ბაბანიანთა ხელისუფლება სულეიმანიეში საგრძობლად დასუსტდა, რითაც მყისვე ისარგებლა კიდევ ერთი წარჩინებული ქურთული გვარის, სორანის წარმომადგენელმა მუჰამად ფაშა ალ-რევანდუზიმ.<sup>14</sup> ეს გვარი უკვე დიდი ხნის განმავლობაში ისწრაფვოდა ჩაენაცვლებინა ბაბანიანთა მმართველობა ერაყის ქურთისტანში. თავად დაუდი ფაშაც თანდათანობით ალ-რევანდუზისაკენ იხრებოდა, რადგანაც ხედავდა იმას, რომ მუჰამად ფაშა სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სპარსეთის გავლენას რეგიონში, დასუსტებულ ბაბანიანებს, რომლებმაც არაერთხელ გადასცეს ქურთისტანი სპარსებს და თვით ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებასაც. მუჰამად ფაშამ დაიწყო თავისი გავლენის გაფართოება ქურთისტანში და სულ მცირე ხანში დაიკავა სურჯაქი, ხოშნა, ჰარირი და რანია. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი რაიონი ბაბანიანთა პირდაპირ დაქვემდებარებაში იყო. მუჰამად ფაშას ამბიციები მიღწეულზე არ შეჩერებულა – მას განზრახული ჰქონდა ხელში ჩაეგდო ერაყის მთელი ქურთისტანი.<sup>15</sup>

დაუდი ფაშას პოლიტიკა ქურთისტანის მიმართ ძალიან ჰგავდა სტამბოლის პოლიტიკას მასთან მიმართებაში. იმ პერიოდში დაუდი შულს აგდებდა ქურთ მმართველებს შორის, რითაც ასუსტებდა მათ. ასევე იქცოდა ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლება ბაღდადში დაუდი ფაშას მოწინააღმდეგეთა მხარდაჭერის გზით. ბაღდადის ვალის პოლიტიკის შედეგი გახდა ის, რომ დაუდის წაქეზებითა და მხარდაჭერით ალ-რევანდუზის მმართველმა მაჰმუდი ფაშა ბაბანის შეუტია, თუმცა დამარცხდა მასთან ბრძოლაში – მაჰმუდი სპარსები დაუდგნენ გვერდზე. ამ გარემოებამ უკიდურესად დაძაბა ურთიერთობები ოსმალეთის იმპერიასა და სპარსეთს შორის. რეგიონში შენარჩუნდა სტატუს კვო, დაუდი განაგრძობდა ქურთ მმართველთა შორის შულსის ჩაგდების პოლიტიკას, სპარსეთი კვლავ აძლიერებდა თავის გავლენას ქურთისტანში, ხოლო სტამბულში დარწმუნდნენ, რომ დაუდი ფაშა მისი მმართველობის პირველ წლებში უძლური აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერიისათვის დაექვემდებარებინა ქურთისტანი და გაეწმინდა იგი სპარსთა ძალებისაგან.

დაუდი ფაშას ხელისუფლება იმ პერიოდში ძალზე ახალგაზრდა იყო და მხოლოდ ძალებს იკრებდა. ბაღდადის ვალის იმ პერიოდში არ გააჩნდა საკმარისი სამხედრო ძალა, რათა ხმლის გამოყენებით დაექვემდებარებინა ქურთისტანი. ამას ემატებოდა სპარსეთის ძალების განლაგება ქურთისტანში და თვით რეგიონის მთაგორიანი რელიეფი, რაც დაუდი ფაშას ძალზე გაუძნელებდა სამხედრო მოქმედებების წარმოებას. ასეთი ვითარება გრძელდებოდა XIX-ს-ს მეორე ნახევრამდე, ანუ იმ პერიოდამდე, როდესაც სპარსეთმა და ოსმალეთის იმპერიამ საბოლოოდ არ განსაზღვრეს სახელმწიფო საზღვრები 1850 წელს. მანამდე კი ქურთისტანი პრაქტიკულად ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულად ითვლებოდა ერაყის საფაშოში.

13 Muhammad Amin Zaki, Ta'rikh as-Sulaimania, (Baghdad: 1951), 155.

14 Ja'far al-Khayat, Suwar min Ta'rikh al-Iraq, vol.1 (Beirut: 1961), 20. ალ-რევანდუზი (არ-რევანდუზი, არ-რავანდუზი), ქალაქი ერაყის ქურთისტანში ირანისა და თურქეთის საზღვართან, ქერბილიდან ჩრდილოეთით 123 კმ-ს დაშორებით.

15 Nawar, Daud Pasha, 130.

**DAUD PASHA'S RELATIONS WITH BABAN KURDISH FAMILY  
(1817–1823)**

During 18th-19th centuries Baban strong Kurdish family had a extremely big influence on the internal and foreign policy of Iraq. As members of the one of the strongest and famous Kurdish family, Babans sometimes were backbone of the Mamluks' power and sometimes in opposite, were their enemies to achieve their political interests. The strengthening of Baban's and other Kurdish families during abovementioned period made them to belief in Kurdish forces and to achieve the maximum independence from Baghdad. Nevertheless, the rulers of Iraq from Mamluk's circle, the last Mamluk ruler Daud Pasha and his predecessors, managed to partially subordinate the Kurdish tribes and their leaders, especially Baban family, using the military power or the political intrigues.

At the beginning of 19th century, the representative of Baban family 'Abd ar-Rahman took the power in the Kurdistan. The central government of the Ottoman Empire was displeased by the strengthening of 'Abd ar-Rahman proceeding from his sympathy towards Iran, willing of the independence from Baghdad, direct dependence to Istanbul and ambitions to have the equal status with ruler of Baghdad.

At the beginning of the Daud Pasha's ruling period the Kurdish forces considered as a big threat to the Vali of Baghdad, because his power was not quite strong yet. The source of this threat was not the Kurdish-Persian military power only, but also Istanbul, where the new Babanian leader, Mahmud was informing the Central Government of the Empire about the inability of Daud Pasha. As it was mentioned above, the power of the ruler of Baghdad was quite weak at the time and he has not any possibility to resist the Kurdish-Persian threat, except using the traditional methods of his predecessors by turning any of outstanding members of the Baban family to his side.

Situation in the Kurdistan tensed which lead to the war with Iran on 1818 and the conflict continued several years with the different kind of tensions. As a result of this endless military clashes the power of Baban family weakened in Suleimaniye and this situation was immediately used by the representative of another famous Kurdish Sorani family - Muhammad Pasha ar-Rawanduzi. This family tried during a lot of time to replace the Babanian rule in the Kurdistan of Iraq. Even Daud Pasha gradually supported ar-Rawanduzi, because it was clear, that Muhammad Pasha was against the growing Persian influence in the region, the weakened Babans who handed several times Kurdistan to Persia and even was against the Central Government of the Ottoman Empire. Muhammad Pasha started expanding his influence in Kurdistan and in a short time captured several strategic points, after that he declared ambitions to capture all Iraq.

The policy of Daud Pasha towards Kurdistan was the similar to the policy of Istanbul towards him. At that time conflicts inspirations between the members of the famous Kurdish families and as a result their weakness, was the top point of Daud Pasha during his first years of the power. The same steps were taken by the Central Government of the Ottoman Empire against Daud Pasha by supporting of his enemies in Baghdad. As a result of Daud Pasha's policy and his encouraging

and supporting, the ruler of ar-Rawanduz attacked Mahmud Pasha Baban, but was defeated in the battle with him – Mahmud Pasha found the strong supporters – Persians. This conflict extremely tensed the relations between the Ottoman Empire and the Persia. The status quo was maintained in the region, Daud Pasha continued his policy towards Kurdish leaders, the Persian influence was still growing, and the Central Government understood that Daud Pasha during his first years of the power was unable to subordinate Kurdistan to the Empire and clean it from Persians.

At that time the power of Daud Pasha was very young. Vali of Baghdad did not have sufficient military power in order to subject Kurdistan using the sword. In addition there were Persian units deployed and one more problem was mountainous relief of the region, which could hardly have caused Daud Pasha to conduct military actions. This kind of situation lasted until the second half of XIX century, when Persia and the Ottoman Empire finally marked the state borders on 1850.

#### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. თოფურდიე, ირაკლი. *მამლუქთა ეპოქა ერაყში*. თბილისი: „ჰოროსი XXI“; 2015.
2. ნაჭყებია, ირინე. მირ დაუდ ზადურ მელიქ შაჰნაზარი და მისი ცნობები სპარსეთის შესახებ. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XV-XVI (2013/2014).
3. შარაშენიძე, გ. *ირანის შიდაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX ს. დასაწყისში*. თბილისი, 1984.
4. Longrigg, Stephen Hemsley. *Four Centuries of Modern Iraq*. Beirut: Librarie du Liban, 1968.
5. Rich, C.J. *Narrative of a Residence in Koordistan*, vol.1. London, 1835.
6. Ja'far, al-Khayat. *Suwar min Ta'rikh al-Iraq*, vol.1. Beirut, 1961 (არაბულ ენაზე).
7. Abbas, al-Azzawi. *Tarikh Iraq Baina Ihtilalain*, vol.6. Baghdad, 1954 (არაბულ ენაზე).
8. Abd al-Aziz Sulaiman, Nawar. *Daud Pasha Wali Baghdad*. al-Kahira: Dar al-Kutab al-Arabi lil-Tiba'a Wa an-Nashr, 1968 (არაბულ ენაზე).
9. Ala' Musa Kadhim, Nawras. *Huqm al-Mamaliq Fi al-Iraq*. Baghdad, 1975. (არაბულ ენაზე).
10. Muhammad Amin, Zaki. *Ta'rikh as-Sulaimania*. Baghdad, 1951. (არაბულ ენაზე).

## ჯაბა მესხიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### რამდენიმე ცნობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ 1918-1921 წლების იაპონურ პრესაში

1918 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოს ისტორიაში. საუკუნეზე მეტი ხნის რუსული ანექსიის შემდეგ საქართველომ აღიდგინა უსამართლოდ და უკანონოდ დაკარგული თავისუფლება.

1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს, შემდგომ წლებში კი იმერეთის სამეფოს და სხვა ქართული სამთავროების დაპყრობის შედეგად მსოფლიო რუკაზე საქართველო გაუჩინარდა, ამიტომ როდესაც 1918 წელს აღდგა ისტორიული სამართლიანობა მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის არც საქართველოს სახელი და არც მის შესახებ რაიმე ფაქტები არ იყო ცნობილი. გამონაკლისს არც შორეულ აღმოსავლეთში მდებარე იაპონია არ წარმოადგენდა.

კვლევის მიზანი არის იმდროინდელ იაპონურ პრესაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა. აღნიშნული კი იმ დროინდელი იაპონიის გავლენიან და მსხვილ ტირაჟიან გაზეთებს „ასაკი შიმბუნი“ და „იომიური შიმბუნი“ ეყრდნობა.

იაპონურ პრესის ყურადღების ქვეშ საქართველო ძირითადად რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მოექცა. ერთ-ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც საკითხზე მუშაობისას აღმოჩნდა საქართველოს დასახელება იყო, ამიტომ ვიდრე კვლევის ძირითად ნაწილზე გადავალთ ამ საკითხსაც შევეხები.

1917 წელს რუსეთის რევოლუციის შემდეგ რუსეთის იმპერია დაიშალა და საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სწორედ ამ პერიოდში ხდება საქართველო მსოფლიოსათვის ცნობილი. ამიტომ, გარკვეულწილად იაპონური გაზეთების ყურადღებაც მიიქცია. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე ქვეყნის დასახელება მათთვის ერთგვარ პრობლემად იქცა, არათუ თითოეული გაზეთი იყენებდა სხვადასხვა სახელწოდებას, არამედ ხანდახან ერთსა და იმავე სტატიაშიც კი იცვლებოდა ქვეყნის დასახელება. კვლევის მიმდინარეობისას ქვეყნის სახელდების 14 ვარიანტი შემხვდა. სტატიაში თითოეულ მათგანს შევეხები და შემოგთავაზებთ. თუმცა, მცირე პრობლემა წარმოიქმნება იაპონური ენის სტრუქტურასთან დაკავშირებით კერძოდ, იაპონურში „ჯი“ მარცვალი იწერება ორგვარი ასო-ნიშნით, მაგრამ გამოთქმ თითქმის იგივეა, იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ საქართველოს ტოპონიმის წერისას გამოყენებული სიტყვების განსხვავებები „ジ“-ს ქართულ წაკითხვისას გამოვიყენებ „ჯი“-ს, ხოლო „チ“-ს წაკითხვისას „ძის“.

იაპონურ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების უმეტესობაში საქართველოს ტოპონიმი ინგლისური სახელწოდებიდან „ჯეორჯია-დან“ არის ნაწარმოები. კვლევისას ორჯერ წავაწყდი რუსული დასახელებიდან „გრუზია-დან“ ნაწარ-

მოებ „*グルジア* - გურუჯა“<sup>1</sup> და „გრუზინიდან“ ნაწარმოებ „*グルジン* - გურუჯინ“<sup>2</sup> ვარიანტებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსული დასახელება „გრუზია“ „ასაპი შიმბუნმაც“ და „იომიური შიმბუნმაც“ გამოიყენა. სამაგიეროდ, სავარაუდოდ, გერმანული „გეორგიან-დან“ ნაწარმოები დასახელება „*ゲオルギア* - „გეორუჯია“ მხოლოდ „იომიური შიმბუნში“ გვხვდება.<sup>3</sup>

რაც შეეხება სხვა დანარჩენ ვერსიებს, რომელიც ინგლისური ენიდან არის ნაწარმოები შემდეგია;

- ジオルヂヤ* - ჯიორუძა<sup>4</sup>
- ジョルジア* - ჯორუჯია<sup>5</sup>
- ジョルヂヤ* - ჯორუჯა<sup>6</sup>
- チオルチア* - ძიორუძია<sup>7</sup>
- チョルチア* - ძორუძია<sup>8</sup>
- ジョールヂヤ* - ჯოორუჯა<sup>9</sup>
- チョーチア* - ძოოძია<sup>10</sup>
- ジョールヂヤ* - ჯოორუჯა<sup>11</sup>
- ジョージア* - ჯოოჯია<sup>12</sup>
- ゼオルヂヤ* - ძეორუძა<sup>13</sup>
- ゲオルチア* - გეორუძია<sup>14</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოფიციალური ტოპონიმი იაპონიაში 21-ე საუკუნეშიც შეიცვალა. 2015 წლამდე იაპონიაში საქართველოს ქვეყნის ოფიციალური სახელწოდება იყო გურუჯია, რომელიც ნაწარმოები იყო რუსული დასახელებიდან გრუზია. საქართველოს მთავრობის თხოვნის შედეგად 2015 წლის აპრილში ქვეყნის სახელი შეიცვალა ჯოოჯია-თი, რომლის საფუძველი იყო ქვეყნის ინგლისური დასახელება ჯორჯია.<sup>15</sup>

---

1 „ასაპი შიმბუნში“ 1920 წელი, 28 ნოემბერი, 3.  
 2 „ასაპი შიმბუნში“ 1919 წელი, 22 აპრილი, 3.  
 3 „იომიური შიმბუნში“ 1921 წელი, 18 სექტემბერი, 3.  
 4 „ასაპი შიმბუნში“ 1924 წელი, 19 სექტემბერი, 3.  
 5 „ასაპი შიმბუნში“ 1922 წელი, 22 მაისი, 3.  
 6 „ასაპი შიმბუნში“ 1921 წელი, 1 თებერვალი, 4.  
 7 „ასაპი შიმბუნში“ 1921 წელი, 25 თებერვალი, 3.  
 8 „ასაპი შიმბუნში“ 1920 წელი, 27 მაისი, 2.  
 9 „ასაპი შიმბუნში“ 1922 წელი, 12 აპრილი, 2.  
 10 „ასაპი შიმბუნში“ 1920 წელი. 14 იანვარი, 2.  
 11 „ასაპი შიმბუნში“ 1920 წელი, 11 დეკემბერი, 3.  
 12 „იომიური შიმბუნში“ 1921 წელი, 1 თებერვალი, 3.  
 13 „ასაპი შიმბუნში“ 1918 წელი, 15 ივნისი, 2.  
 14 „ასაპი შიმბუნში“ 1918 წელი, 22 აგვისტო, 3.  
 15 国名呼称の変更 [https://www.mofa.go.jp/mofaj/press/release/press4\\_002048.html](https://www.mofa.go.jp/mofaj/press/release/press4_002048.html) ქვეყნის დასახელების ცვლილება, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.

„ასაპი შიმბუნში“ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ინფორმაცია პირველად 1918 წლის 15 ივნისს გამოქვეყნდა. სტატია კოპენჰაგენიდან მიღებულ ტელეგრამაზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ტრანსკავკასიური სახელმწიფო დაიშალა და საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა (აღსანიშნავია, რომ იქ არაფერი ეწერა სომხეთსა და აზერბაიჯანზე). სტატიაში საქართველოს შესახებ არაფერი არ წერია<sup>16</sup>. ზოგადად საქართველოს შესახებ მცირე სტატიები მეტ-ნაკლები სიხშირით ქვეყნდებოდა, მაგრამ ამ კვლევაში საქართველოს შესახებ ინფორმაციული სახის სტატიების გაცნობით შემოვიფარგლებით.

საქართველოს შესახებ შედარებით დაწვრილებითი ინფორმაცია 1918 წლის 22 აგვისტოს „ასაპი შიმბუნის“ ნომერში ჩნდება. გაზეთი, შვეიცარიაში მყოფ კორესპოდენტზე დაყრდნობით მეტადრე ფუნდამენტურ ინფორმაციას იძლევა კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე, კერძოდ, თუ როგორ დაიშალა ტრანსკავკასიური სახელმწიფო და რას წარმოადგენდნენ იქ მაცხოვრებელი ერები. გაზეთში დაიწერა, რომ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ მას გამოეყო პოლონეთი, ფინეთი, ბელორუსია, ბესარაბია და ა.შ. მათ შორის იყო კავკასიის რესპუბლიკა, რომელსაც დიდ ყურადღებას არც ევროპაში აქცევდნენ, ხოლო შორეული აღმოსავლეთში კი ტერიტორიული დაშორების გამო საერთოდ არ იცნობდნენ. შემდეგომში გაზეთი იუწყება, რომ თბილისიდან მიღებული ტელეგრამის მიხედვით „კავკასიის პარლამენტი თურქეთის მთავრობის მოთხოვნით დაიშალა“; გაზეთი ვვარაუდობს, რომ როგორც ჩანს თურქეთი, კავკასიის რესპუბლიკას, როგორც ერთიან ქვეყნად არ ცნობს და ამიტომ საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა რესპუბლიკები შექმნეს.

ამის შემდეგ გაზეთი აგრძელებს თხრობას: რუსეთის რევოლუციის შემდეგ კავკასიამ მალევე გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მანამდე კი კერენსკის კაბინეტის პერიოდში დროებითი მთავრობა ჩამოყალიბდა, იმავე წლის ნოემბრის დასაწყისში კი კავკასიელებმა დამოუკიდებლობისკენ იწყეს სწრაფვა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, სომხეთის ფრონტიდან რუსული ჯარების გაყვანა გადაწყდა, თუმცა კავკასიელებმა უპირველეს ყოვლისა რუსული ჯარის იარაღი ხელთ იგდეს, სომხებმა კი თავისთავად არ დატოვეს ფრონტის ხაზი და დაიწყეს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასობაში, კი კავკასიის სამ ქვეყანაში ლენინის მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა, ამიტომ 1918 წლის 2 იანვარს კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება გარდაუვალ მოვლენად რჩებოდა.

სტატია კავკასიის რესპუბლიკის მცირე აღწერით გრძელდება, სადაც საქართველოზე არის საუბარი. რესპუბლიკას სამხრეთით სომხეთის ველები და არაქსის მდინარე ესაზღვრება, აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, დასავლეთით შავი ზღვა და ჩრდილოეთით კი კავკასიონის ქედი აკრავს. ახალ რესპუბლიკაში სამი ძირითადი და ერთმანეთისგან განსხვავებული ერი ცხოვრობს. მათ შორის უმთავრესი საქართველოა, დაახლოებით 2 მილიონიანი მოსახლეობით, ისინი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სახლობენ, რომელსაც საქართველოს უწოდებენ. მომდევნო სახელმწიფოდ აზერბაიჯანი განიხილება, რომლის მოსახლეობა 2 მილიონ 500 ათასს შეადგენს, ხოლო მესამე კი სომხეთია, სადაც მოსახლეობს 2 მილიონი ადამიანი. გარდა ამ სამი ერისა, ქვეყანაში სახლობენ თურქები, რუსები, ქურთები, ბერძნები და სხვა ეროვნების ხალხი, ყველა ერთად კი ჯამში 7 მილიონ 200 ათასი მოსახლეს ადგენს

16 „ასაპი შიმბუნის“ 1918 წელი, 15 ივნისი, 2.

სტატიკაში არა არის განმარტებული, კავკასიის რესპუბლიკაში საქართველოს უპირატესობის მიზეზი. მოსახლეობის რიცხოვნობის მხრივ საქართველო ჩამოუვარდებოდა აზერბაიჯანს. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში განსამზღვრელი ფაქტორი მაინც დედაქალაქის თბილისში განთავსება იყო.

სტატიკაში ასევე აღწერილი იყო კავკასიის მთავრობის სტრუქტურა: კავკასიის მთავრობა 10 მინისტრით იყო წარმოდგენილი, რომლებიც დაკომპლექტებული იყვნენ ქართველებით, სომხებით, აზერბაიჯანელებითა და რუსებით. თბილისი წარმოადგენდა რესპუბლიკის დედაქალაქს. გარდა ამისა, სამ ძირითად ერს ჰქონდა საკუთარი პარლამენტი. ქართველებისა და სომხების პარლამენტი თბილისში იყო განთავსებული, ხოლო აზერბაიჯანელებისა კი ბაქოში<sup>17</sup>.

ტრანსკავკასიური რესპუბლიკის განხილვა გაზეთმა 1918 წლის 23 აგვისტოს ნომერში განაგრძო. გაზეთი წერდა, რომ კავკასიაში წარმომავლობისა და ისტორიის ნიშნით ქართველები და სომხები უძველესი მაცხოვრებელი ერები არიან, ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ცხოვრობდნენ ისინი კავკასიაში. ეს ორი ერი ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული, წარმოადგენდნენ მონათესავე ერებს, საერთო რელიგიით, ეროვნული საფუძველით, რომელიც არიულ რასასთან არის დაკავშირებული და საერთო ენებით, რომელიც ინდოევროპულ ენათა რიგს განეკუთვნება.

XVIII საუკუნის მიწურულამდე ქართველები რამდენიმე მცირე დამოუკიდებელ ქვეყანას ფლობდნენ. აღნიშნულ პერიოდში ისინი თურქებისა და სპარსებისგან შეტევასა და განადგურებას განიცდიდნენ, ამან განაპირობა რუსეთისადმი დაცვის თხოვნით მიმართვა, სწორედ ამის შემდეგ მთლიანი კავკასია თანდათან მოექცა რუსეთის ტერიტორიის ფარგლებში. ეს უკანასკნელი კი მრავალწლიანი მმართველობის პერიოდში მკაცრი და სასტიკი მეთოდებით მართავდა კავკასიას. ყველაფრის მიუხედავად, რეგიონში ცივილიზაციურ განვითარებას ხელი მაინც ეწყო.

ქართველები და სომხები ძირითადად სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობას მისდევდნენ, თუმცა სულ რამდენიმე ქარხანა-ფაბრიკები გააჩნდათ, ხოლო აზერბაიჯანელები (სტატიკაში აზერბაიჯანელები თათრების სახელით არიან მოხსენიებული) კი სოფლის მეურნეობას, ვაჭრობასა და მეცხოველეობას მისდევდნენ. სტატიკაში აღნიშნულია, რომ რუსეთის მმართველობის ქვეშ განსაკუთრებით აზერბაიჯანელებმა განიცადეს დიდი პროგრესი, როგორც განათლების, ასევე კულტურული განვითარების კუთხით.

კავკასიის რესპუბლიკის დაარსების დღიდან, ქვეყანა ბევრი საშინაო თუ საგარეო სირთულეების წინაშე დადგა. შიდა სასაკითხებიდან აღსანიშნავია უწყსრიგობა, ეკონომიკაში პრობლემები და კაპიტალის ნაკლებობა. საგარეო მუქარას კი მტრების შემოტევები წარმოადგენდნენ შეტევები<sup>18</sup>.

როგორც ვხედავთ საქართველოს შესახებ მეტნაკლებად სწორი ცნობები გააჩნიათ გაზეთში, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვან შეცდომას მაინც უშვებს რედაქცია. მაგალითად, საქართველოს და სომხეთს ახლო მონათესავე ერად მიიჩნევენ, რომლებსაც არიულ რასასთან აქვთ ფესვები, ხოლო ენა ინდოევროპული ენების ჯგუფს განეკუთვნება. მოგეხსენებათ ქართველები არ არიან არც სომხების მონათესავე ერი, არც არიულ რასასთან არ აქვთ კავშირი, ხოლო ქართული ენა არ განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ჯგუფს.

17 „ასაპი შიმბუნი“ 1918 წელი, 22 აგვისტო, 4.

18 „ასაპი შიმბუნი“ 1918 წელი, 23 აგვისტო, 4.

საქართველოს შესახებ მცირე, მაგრამ საკმაოდ სწორ ცნობებს „ასაჰი შიმბუნი“ 1921 წლის 19 და 20 მარტს აქვეყნებს. გაზეთი ორი სტატიით გამოეხმაურა იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოს, ესტონეთისა და ლატვიის დამოუკიდებლობის ოფიციალურად აღიარებას. იაპონიის მთავრობამ ზემოთხსენებული სამი ქვეყნის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული განცხადება 1921 წლის 14 მარტს გააკეთა. სტატიების მიზანი იყო მკითხველისთვის მიეწოდებინა ცნობები ახლად აღიარებული ქვეყნების შესახებ.

სტატიაში მოკლედ არის მოთხრობილი, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველომ, ესტონეთმა და ლატვიამ ერთა თვითგამორკვევით ისარგებლეს და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. არც ერთი ქვეყანა არ მიეკუთვნება სლავური წარმოშობის ერებს, არც ბერძნულ რელიგიას მისდევენ და რუსეთისგან განსხვავებით, მიწათმოქმედებასთან შედარებით ვაჭრობა უფრო მეტად აქვთ განვითარებული. ამგვარ შესავალს თითოეული ქვეყნის აღწერა მოსდევს. სამართლიანად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჟურნალისტი საქართველოს შესახებ მეტ-წილად სიმართლეს წერს და საკითხის ირგვლივ კომპეტენტურობას ავლენს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართველები დიდი წარღვნის პერიოდში ბიბლიური პატრიარქის ნოეს შვილიშვილის პირდაპირ შთამომავლად მიიჩნევენ თავს და ამით ძალიან ამაყოფენ. საქართველოს კი ყველაზე ლამაზი ხალხის ქვეყნად მიიჩნევენ, აქვთ პატრიოტიზმის უდიდესი გრძობა. საქართველოს მთიანეთმა რუსეთის შეტევებს 50 წელი გაუძლო და მხოლოდ 1859 წელს მოახერხა რუსეთმა მისი დაპყრობა. ქართველები რუსებისგან სრულიად განსხვავდებიან, როგორც ეროვნული წარმომავლობით, ასევე ისტორიით, რელიგიითა და ხასიათით. საქართველომ მაინც შესძლო რუსეთისგან გამოყოფა და დამოუკიდებლობისგამოცხადება რაც შეეება დემოგრაფიასა და ტერიტორიას, საქართველოს მოსახლეობას 3 მილიონი ადამიანი შეადგენს, ფართობი კი 60 000 კვადრატული კილომეტრია. დედაქალაქში თბილისში კი 350 000 ადამიანი ცხოვრობს.<sup>19</sup>

ჩემი გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჟურნალისტს ჰქონდა ინფორმაცია ნაკლებად ცნობილი ისტორიული ფაქტის შესახებ. კერძოდ, ის რომ, 1859 წელს სვანეთის დაპყრობით დასრულდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია. ჟურნალისტი კი სწორედ ამ ფაქტის შესახებ წერს. ასევე ყურადსაღები იყო ის, რომ ჟურნალისტი საუბრობს ქართველებისა და ბიბლიური ნოეს კავშირის შესახებ. ყველასთვის ცნობილია, რომ ერთ-ერთი გავრცელებული თეორიის მიხედვით ქართველები იაფეტის შთამომავლებად მიიჩნევიან.

სტატიაში ყველა ღირსებასთან ერთად, მცირედი შეცდომაც ფიქსირდება. კერძოდ აღნიშნულია, რომ რუსებისგან განსხვავებით ქართველები, ესტონელები და ლატვიელები არ მიეკუთვნებიან ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რაც რაღა თქმა უნდა, არასწორია, რადგან ქართველები და რუსებიც მართლმადიდებლები არიან (შენიშვნა: იაპონელები მართლმადიდებლურ ეკლესიას ხშირად ბერძნულ მართლმადიდებლობას უწოდებდნენ).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ იმ ქართველების შესახებ ინფორმაციები სიმცირის მიუხედავად, საკმაოდ კარგად არის ინტერპრეტირებული. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ დროინდელ მსოფლიოში საქართველოს შესახებ ცნობები არც თუ ისე ადვილად მოსაპოვებელი იყო, ამასთან საქართველოს, საქართველოს ისტორიის და კულტურის, ეთნოსის და ა.შ. შესახებ

19 „ასაჰი შიმბუნი“ 1921 წელი, 20 მარტი, 6.



არც ფუნდამენტური კვლევები ჯერ კიდევ არ იყო წარმოებული, რაც არსებობდა უცხოურ ენაზე ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი.

იაპონურ გაზეთებს საქართველოს შესახებ მხოლოდ ეს სტატიები არ ჰქონდათ გამოქვეყნებული, საქართველოს შესახებ სხვა სტატიებიც გვხვდება, რომლებიც ძირითადად რუსეთთან დაკავშირებულ პრობლემებთან მიმართებაში წერდნენ, მაგრამ ეს უკვე მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს.

**Jaba Meskhishvili**

G.Tsereteli Institute of Oriental Studies

## **REPORTS ABOUT THE FIRST REPUBLIC OF GEORGIA IN THE JAPANESE PRESS IN 1918-1921**

In 1918, after refurbishing historical justice and restoring independence, most of the countries did not know even the name of Georgia and facts about Georgia. The exception was not Japan situated in the Far East.

The aim of the research is reviewing the information regarding the first Republic of Georgia published in those times Japanese press. The study leans on the authoritative and vast circulation newspapers such as "Asahi Shimbun" and "Yomiuri Shimbun" (both newspapers were daily Newspaper).

During the research apart from the main purpose, I faced an interesting circumstance, particularly there was no one definition of Georgia's name in Japan, papers were using 14 various alternatives. Supposedly, two of them were derived from Russian names "Грузия (Gruzia) - Guruja" or "Gruzin - Gurujin". One of them was from German "Georgien - Georugia". For the rest 11 versions, apparently the basis lays from the English term "Georgia".

The news about Georgia was more or less publishing in those times Japanese press. Essentially it was regarding Georgia's foreign politics and relations with the neighbor countries. Concretely about the Georgian facts, articles about Georgia were quite seldom. "Asahi Shimbun" was distinguishing. All facts about Georgia are met in this newspaper. The short information about history, geography, population and etc. about Georgia was printing in this broadsheet.

It should be said that the facts were not too informative and some mistakes are noticed, for example it is said that Georgians and Armenians are congenial nations and Georgian language was included into the Indo-European languages' family. But except for this there were correct facts that are underwhelming. For instance, they knew that Russia finished occupying Georgia in 1859, as the main part of Georgia was already annexed in 1801-1811 and until 1859; the Principality of Svaneti was staying unimpaired. Thus the period of 1801-1811 is considered as the seizure period of Georgia by Russia. It is significant that in their article Georgians consider themselves as the descendants of Noah.

In general, the data collected by "Asahi Shimbun" about Georgia should be assessed positively, as there was a lack of information about Georgia in that time; furthermore there were not many researches about the ethnos, history, etc. of Georgia.

## ირინე ნაჭყებია, გიორგი სანიკიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურების თვალით დანახული თბილისი (XIX საუკუნის მეორე ნახევარი–XX საუკუნის დასაწყისი)<sup>1</sup>

წინამდებარე სტატიით გრძელდება მე-19 საუკუნის შესახებ ფრანგი ავტორების თხზულებათა თარგმანი და შესწავლა. პირველ რიგში, უნდა აღნიშნოს ევროპელ მოგზაურთა თხზულებებში გამოკვეთილი საერთო თვალსაზრისი – მე-19 საუკუნის მანძილზე თბილისი თანდათანობით იძენდა ევროპული ქალაქის იერსახეს. ეს ეხებოდა საქალაქო ცხოვრებას არაერთ ასპექტს – სოციალურს, ეკონომიკურსა თუ კულტურულს. მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ქალაქი – აღმოსავლური, ადგილობრივი და დასავლური ტრადიციების შერწყმით ევროპელ მოგზაურთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

თუ საუკუნის პირველ ნახევარში ფრანგი ავტორები ძირითადად ეკონომიკური საკითხებით, საქართველოს ტერიტორიის სავაჭრო სატრანზიტო გზად გამოყენებით იყვნენ დაინტერესებულნი, საუკუნის მეორე ნახევარში მდგომარეობა იცვლება: ფრანგები, ეკონომიკური ასპექტების გარდა, დიდ ყურადღებას აქცევენ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის მულტიეთნიკურ და მულტოკონფესიურ ხასიათს, თბილისის მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებას, ცვლილებებს ქალაქის არქიტექტურაში, ევროპული კულტურის ზეგავლენას და ასევე კავშირებს აღმოსავლეთთან (უპირველესად სპარსეთთან).

\*\*\*

კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულ გენერალ ალექსანდრე ბარიატინსკის<sup>2</sup> მმართველობის პერიოდში (1856-1863), საქართველოში იმოგზაურეს ფრანგმა მხატვარმა ფარამონ ბლანშარმა<sup>3</sup> (1857), შვეიცარიელმა ხელოვნებათმცოდნემ

1 ამ სტატიის პირველი ნაწილი იხ.: ირინე ნაჭყებია, გიორგი სანიკიძე, ფრანგი მოგზაურების ცნობები თბილისის შესახებ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2017, 274-312.

2 ალექსანდრე ბარიატინსკი (1815-1879) – თავადი, რუსი ფელდმარშალი (1859), 1835 წლიდან კავკასიის ომების აქტიური მონაწილე. 1856-1863 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი.

3 ანრი პიერ ლეონ ფარამონ ბლანშარი (Henri Pierre Léon Pharamond Blanchard) (1805-1873) – ფრანგი მხატვარი, ლითოგრაფი, მწერალი და ილუსტრატორი. 1856 წელს იგი მხატვრად მიიწვიეს იმპერატორ ალექსანდრე II-ს კორონაციასზე. ბლანშარმა იმპერატორის ოჯახთან ერთად იმოგზაურა ვოლგაზე. ამ მოგზაურობის დროს აკვარელით შესრულებული სურათები მან იმპერატორიცას მიართვა. წინამდებარე თხზულებაში მოცემულია ბლანშარის შთაბეჭდილებები კავკასიაში მოგზაურობის შესახებ.

ფლორიან ჟილმა<sup>4</sup> (1858), ალექსანდრე დიუმამ მხატვარ ჟან-პიერ მუანესთან<sup>5</sup> ერთად (1858 წლის დეკემბერი-1859 წლის მარტი) და 1860 წელს ფრანგმა პოეტმა ანრი კანტელმა.<sup>6</sup>

ფარამონ ბლანშარი საქართველოში ახლად დანიშნულ მეფისნაცვალთან, გენერალ ბარიატინსკის მიწვევით და მასთან ერთად ჩავიდა. იგი საგანგებოდ არ აღწერს თბილისის იერსახეს, მაგრამ გვაწვდის ცნობებს თბილისის მოსახლეობის მიერ „ნამესნიკისთვის“ გამართული დახვედრის შესახებ, რასაც იგი „ჭეშმარიტად ტრიუმფალურს“ და „ევროპული და აღმოსავლური ზარ-ზეიმის ნარევს“ უწოდებს. თბილისის ქუჩები სხვადასხვა ეროვნების ხალხით იყო სავსე, სახლების გადმოკიდებული აივნები და ბრტყელი სახურავები ლამაზი ქართველი ქალებითა და ბავშვებით იყო სავსე; ბლანშარის აზრით, ეს სანახაობა ორი ბრწყინვალე მხატვარის – დეკანისა<sup>7</sup> და მარილას<sup>8</sup> – „ფუნჯის ღირსი იყო“. მეფისნაცვლის სასახლის წინ მდებარე მოედანი და მიმდებარე ქუჩები საღამოსაც სავსე იყო ხალხით, რომელთაც ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ, მეფისნაცვლისთვის ბედნიერად ჩამოსვლის მისალოცად თბილისის ამქრები მუსიკითა და შემართული აღმებით მივიდნენ, მისი გამოჩენისას ვაშა დასძახეს და ხმამაღალი მუსიკის თანხლებით წარმოსადგემა ხელოსნებმა *ლეზინკა* იცეკვეს. ეს სცენები ასახულია ბლანშარის ნახატებზე – „თავად ბარიატინსკის შესვლა თბილისში“ და „ლეზინკა“. ბლანშარი დაესწრო ბარიატინსკის საპატივსაცემოდ თავადაზნაურობის მიერ გიმნაზიის შენობაში გამართულ მეჯლისს და თავად ბარიატინსკის მიერ წმინდა გიორგის დღესასწაულზე სასახლის ბაღში ამ ორდენის მქონე ყველა რაინდის, დაახლოებით შვიდასი კაცის – გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების მიღებას.<sup>9</sup>

ფლორიან ჟილის შეფასებით, ტფილისის შენობების იერსახე და თვითონ ქალაქი ერთდროულად იყო აზიაც და ევროპაც. ჟან-პიერ მუანეს თქმით, „მხატვრისთვის ტფილისი ჭეშმარიტი საოცრება“ იყო. ანრი კანტელი თბილისს აზიისა და ევროპის შესაყარს და მტკვრზე „ზანტად მოკალათებულ ქალაქს“ უწოდებს, სადაც ირეოდა ოცი რელიგია, ოცი სხვადასხვა ეროვნების ხალხი და მოგზაურების გასაოცებლად თუ გასახარებლად, ყველაზე საინტერესო კონტრასტებიც ამ ქალაქში იყო თავმოყრილი. ძველ ქალაქს შენარჩუნებული ჰქონდა აღმოსავლური იერსახე. ეს იყო ხეობის სიღრმეში „მტკვარი ზღვასავით შრიალით მიაგო-

4 ფლორიან ჟილი (Florian Gille) (1801-1864) – ხელოვნებათმცოდნე, ისტორიკოსი, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მემკვიდრეს – მომავალ იმპერატორ ალექსანდრე II-ს ფრანგულ ენას და გეოგრაფიას, ხოლო იმპერატორის ქალიშვილებს – პრინცესებს მარიას, ოლგასა და ალექსანდრას – ისტორიას ასწავლიდა.

5 ჟან-პიერ მუანე (Jean Pierre Moynet) (1819-1876) – ფრანგი მხატვარი, დეკორატიული და ლითოგრაფი. რუსეთსა და კავკასიაში მოგზაურობის დროს დახატა მრავალი ჟანრული სცენა და პეიზაჟი.

6 ანრი კანტელი (1825-1878), პოლ ბოდლერის ერთ-ერთი პირველი მიმდევარი.

7 ალექსანდრ-გაბრიელ დეკანი (Alexandre-Gabriel Decamps) (1803-1860) – ფრანგი მხატვარი. მისი ნამუშევრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია ლუვრისა და კონდეს (შანტი) მუზეუმებში.

8 ჟორჟ-ანტუან-პროსპერ მარილია (Antoine-George-Prosper Marilhat) (1811-1847) – ფრანგი ორიენტალისტი-მხატვრების ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი.

9 Pharamon Blanchard, “Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)” Le Tour Du Monde, II (1860): 114-118.

რებდა ვერცხლისფერ ლენტს“, მტკვრის ციცაბო ნაპირებზე და მთის ბორცვებზე სართულებად შეფენილი, ერთმანეთზე ჩამოკიდებული, თითქოს კლდეს მოჭიდებული სახლები, ბაღების მწვანე მასივები, ბაზარი, წვეტიანი კვიპაროსებისა და ეკლესიების მწვანე თუ მოოქროვილი მოელვარე გუმბათები, მამა დავითის მთა, რომელზეც არწივის ბუდესავით ეკიდა თითქმის ნანგრევებად ქცეული და მომლოცველთათვის ძვირფასი ძველი ეკლესია. ბაზრის უბანში მდებარე სიონის ძველი საკათედრო ტაძრის შიდა თაღები ფლორიან ჟილს ვენეციის წმინდა მარკოზის ტაძარს ახსენებდა. მტკვრისკენ მიმავალი დაკლაკნილი ქუჩების ორივე მხარეს მდებარე ფარდულეებში ხელოსნები თვითონ ამზადებდნენ და თვითონვე ყიდდნენ თავიანთ ნაწარმს. მტკვრისკენ დაშვებასთან ერთად პროფესიები თანდათან იცვლებოდა და ისე იყოფოდა ხელობებად, როგორც შუა საუკუნეებში. მეიარაღეებს გამოფენილი ჰქონდათ შაშკები და ხანჯლები, პისტოლეტები და თოფები, რომლებიც ბიზანტიური სტილის ორნამენტებით, შესანიშნავად ნამუშევარი და გემოვნებიანი სევადით იყო მორთული. მეტად სასიამოვნო სანახავი იყო ხილის გამყიდველების ფარდულეები, სადაც მეტად ეფექტურად ჩანდა ფოთლებში გირლიანდებად აკინძული ხილი. ხოლო ავლაბრისა და ისნის გარეუბნებთან კვირაობით გამართულ ბაზრობაზე ნანახი ნივთებით აღტაცებული მუანე წერს: „რა ძვირფასი ნივთებია! რამდენი ატელიეს მორთვა შეიძლება ამ ორიგინალური განძით! სამწუხაროა, რომ ყველაფერს ვერ წავიღებთ.“

ძველი ქალაქის გვერდით აღმოცენებულ ახალ, ევროპული იერისახის ქალაქში იყო გრძელი პროსპექტი, დიდი მოედნები, ლამაზი ქუჩები, ერთმანეთისგან დაცილებული ელევანტური სახლები, მდიდრული მაღაზიები და არისტოკრატიული სახლები. მადათოვის ძველ მოედანთან, რომელსაც ალექსანდრე II-ს (1856-1881) სახელი დაერქვა, მისვლა თავად მიხეილ ვორონცოვის მმართველობის დროს მტკვარზე აშენებული ხიდით იყო შესაძლებელი. ჟან-პიერ მუანე აღნიშნავს, რომ თბილისში ახლად გახსნილი იყო ფრანგული სასტუმრო (l'Hôtel Français)<sup>10</sup>, მაგრამ იგი, ალექსანდრე დიუმა და მათი თარჯიმანი მოსკოველი სტუდენტი, კალინო, თეატრის მოედანზე მდებარე მდიდარი ქართველის, ივანე ზუბალოვის შესანიშნავ სასახლეში დაასახლეს, სადაც მათ განკარგულებაში ორი საწოლი და ერთი დიდი სასტუმრო ოთახი იყო. რამდენიმე თვით მათზე ადრე ჩამოსული ფლორიან ჟილი კი მეფისნაცვლის საგანგებო კანცელარიის მოხელეს, მელიქ-ბეგლიაროვის<sup>11</sup> სახლში დააბინავეს. თბილისის ევროპული იერსახის მიუხედავად, ქალაქში არ იყო გაზის განათება და წყალგაყვანილობა<sup>12</sup>.

10 ადრეულ თბილისურ სასტუმროებს შორის ყველაზე სტაბილურად წარმატებული აღმოჩნდა 1858 წელს ერივანსკის მოედანზე, ოლქის შტაბის გვერდით, სუმბათაშვილების სახლში გახსნილი „კავკაზი“, „Hôtel du Caucase“, რომელიც თეატრის მოედანზე ერთ ფრანგს, გიიომს გაეხსნა (დავით ხოშტარია, თბილისი. ძველი სასტუმროები. თბილისი: არტანუჯი, 2011, 35).

11 გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს შამირ მელიქ-ბეგლიაროვმა სამსახური სპარსული ენის თარჯიმანი იყო. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომში პორუჩიკის წოდებით, 1827 წელს კაპიტნის, ხოლო 1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში გამოჩენილი მამაცობისთვის ვიცე-პოლკოვნიკის, 1847 წელს კი კავალერიის პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. 1850 წელს გადადგა სამსახურიდან გენერალ-მაიორის წოდებით.

12 Floriant Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée, ouvrage enrichi de trente vignettes dessinées d'après nature, et d'une carte dressée au dépôt topographique de la guerre à St. Pétersbourg* (Paris, Gide, Libraire-Editeur, 1859), 261-263, 274; Jean-Pierre

ფრანგმა და ფრანკოფონმა მოგზაურებმა XIX საუკუნის სადაწყისში საგანგებოდ გამოარჩიეს ბანიან სახურავიანი სახლები, სადაც ქართველები ნახევარცხოვრებას ატარებდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი სახლები მხოლოდ ძველ უბნებში იყო შენარჩუნებული. ზაფხულში სიცხის გამო თბილისის მოსახლეობა მთელი დღით სახლში იკეტებოდა, ქალაქი საღამოს იღვიძებდა, აივნები და სახლების ბრტყელი სახურავები, რასაც ფლორიან ჟილი ნეაპოლის საჰაერო დარბაზებს (*salons aériens*) ადარებს, ხალხით ივსებოდა და ახალი თბილისი თითქოს ჯადოსნური კვერთხის დაქნევაზე ჩნდებოდა. იქ ოჯახის წევრები და მათი მეგობრები იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, ყოველი მხრიდან ისმოდა სიმღერისა და მუსიკის ხმა და ლამაზი ქართველი ქალები დაირის თანხლებით ლეზგიანკას (*lesghienne*) ცეკვავდნენ. ეს იყო სალონი, სადაც ლიკლამას ცნობით, ლამაზი ქართველი ქალები თავიანთ თავყვანისმცემლებს უნიშნავდნენ შეხვედრებს.<sup>13</sup>

ფლორიან ჟილის ცნობით, თბილისში ნელ-ნელა ქრებოდა და საძებნელი იყო ძველი სახლების ქვედა სართულის ნახევრად მიწური დარბაზები, სადაც, ესპანური შიდა ეზოს (*du patio espagnol*) მსგავსად, ხალხი ზაფხულის დიდი სიცხის დროს სიგრილეში აფარებდა თავს. შვეიცარიელი ხელოვნებათმცოდნე ასე აღწერს ამ შენობას: „მეტად სქელ კედელში მხოლოდ ერთი კარია დატანებული, ოთახში სინათლე ორ რიგად გამოჭრილი თალიანი ფანჯრებიდან შედის, იატაკის ნაცვლად ქვის ლამაზი ფილებია; ფანჯრებზე დიდი ორიგინალობით გაკეთებული ხის გისოსები ოთახების მხარეს იხსნება; ნიშებზე ფარდებია ჩამოფარებული, ავეჯად გრძელი, ხის სვეტზე მოოქროვილი ლურსმნებით დაჭედებული, დიდ გემოვნებით მოჩუქურთმებული განიერი ტახტებია. – ეს არი ქვეშარიტი გალია სახლის სიღრმეში, რომელსაც შიდა კარი აქვს; სიგრილის შესანარჩუნებლად ის მიწის დონეზეა, მაგრამ იმგვარად, რომ ორი სართული დაიკავოს და იქ ბევრი ჰაერი შენარჩუნდეს. ის მთელი ოჯახის შიდა თავშესაფარი, შეკრების ცენტრია. – აი რას უწოდებენ ტფილისში დარბაზს (*darbazi*), რომლის ეკვივალენტია სპარსული დორბესთე (*dorbeste*). ამ ქვეყანაში სადაც ზაფხულში დიდი სიცხეები იცის, ეს ერთერთი საუკეთესად მოწყობილი რამაა.“<sup>14</sup>

ფრანგმა და ფრანკოფონმა მოგზაურებმა თბილისის ახალ, ევროპულ-რუსულ ნაწილშიც გამოარჩიეს ისეთი შენობები, რომელთა ექსტერიერი ევროპული, ინტერიერი კი აზიური იყო.

ფლორიან ჟილმა ახალი თბილისის შუაგულში, მის სრულიად ევროპულ ბულვარებზე აღმოაჩინა აზიური ელემენტების თვალსაჩინოდ ბრწყინვალე მოწმობა. ეს სახლი, რომელსაც ჟილი სასახლეს უწოდებს, ეკუთვნოდა ტფილისელი

---

Moyner, "Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir. De Bakou à Tiflis 1859 (Inédit)" Texte et dessins de M. Moyner. *Le Tour du monde*, I (1860): 318-320, 324; Alexandre Dumas, *Le Caucase: journal de voyages et romans* (Paris: Librairie théâtrale, 1859), 403; Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 276; Henri Cantel, "Héraklés, scènes de la vie géorgienne." *Revue des deux mondes*, 46 (1863): 455.

13 SHAD, n°1486, 1M, fol. 31-33; Bélanger, *Voyage aux Indes*, II, 56; Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 274; Moyner, "Voyage à la la mer Caspienne", 324; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 422-423.

14 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 274.

ვაჭრების თავს – მდიდარ ბურჟუა არშაკუნის.<sup>15</sup> მოგზაურის ცნობით, არშაკუნის ქონება სალიანის თევზჭერით ეშოვნა, მას ჰყავდა ცოლი, მაგრამ უშვილო იყო. ჟილის აღწერით, ამ შენობის ექსტერიერი უფრო ევროპული, მაგრამ ინტერიერი თურქული და სპარსული გემოვნების ორნამენტების სიმდიდრის მიხედვით ნამდვილი აზია იყო. ამ სახლში იყო ზამთრისა და ზაფხულის ბაღები, ტერასები, შადრევნები, ლამაზი მცენარეები, ფანჩატურები, გალერეები, მისაღები, საკონცერტო და სხვა დარბაზები, ოთახები, კაბინეტები, აბანოები, მოჩუქურთმებული ხე, სარკის ფასეტებით<sup>16</sup> დაფარული კედლები, ქერი და ნიშები. ამ შენობის ორმოცდაათამდე დიდი და პატარა ოთახი მორთული იყო სპარსული ხალიჩებით, შალებით და ქსოვილების ელვარე ფერებით. ხელოვნებათმცოდნეს აზრით, სპარსეთის მმართველ შაჰსაც<sup>17</sup> კი არ ექნებოდა ასეთი ლამაზი საცხოვრებელი. მოგზაურის შეფასებით, ასეთი სასახლე ევროპაში უეჭველად მეტად ძვირი ეღირებოდა. მაგრამ თბილისში, სადაც ევროპული საქონელი უძვირესი, მაგრამ აზიური კვლავ იაფი იყო, ამ სასახლის პატრონმა, თითქმის ექსკლუზიურად, კარგად მოიფიქრა კავკასიაში მყოფი უამრავი თურქი და სპარსელი კვალიფიციური ხელოსნის შედარებით მინიმალურ თანხად დაქირავება. ადგილზე მიღებული ცნობის თანახმად, სომეხმა მილიონერმა ამ სასახლეში 400,000 რუბლი გადაიხადა (1,600,000 ფრანკი). ჟილის შეფასებით, არშაკუნის ამ ახირებაში დიდი ფუფუნება და კარგი გემოვნება ჩანდა.<sup>18</sup> ლიკლამა ა ნეიპოლტი აგრეთვე აღწერს *გოლოვინსკის ბულვარზე* მდებარე ამ შენობას და მას სასახლეს უწოდებს, რომელიც ფუფუნებით უეჭველად ეჯიბრებოდა თუ არ აღემატებოდა კიდევ თვით მეფისნაცვლის, დიდი მთავრის, მიხეილის, რეზიდენციას. ლიკლამა ა ნეიპოლტი არშაკუნის ნაბობს<sup>19</sup> უწოდებს და ასევე აღნიშნავს, რომ ამ თავადური ახირების საშუალება მას შამაიას (*schahmaia*) ანუ „თევზების მეფით“ ვაჭრობამ მისცა.<sup>20</sup>

ფლორიან ჟილის შემდეგი ცნობა ეხება ისეთ დაწესებულებას, რომელიც შინაარსით ევროპული იყო, მაგრამ მისი ინტერიერის ორნამენტებში აზიური ელემენტები იკვეთებოდა. ასეთი იყო თბილისის პირველი თეატრის დარბაზი, სადაც მას თავი აზიაში ეგონა და რომელიც სულტანსაც კი დააკმაყოფილებდა.<sup>21</sup>

15 ვარდან არშაკუნის სასახლე XIX საუკუნის 50-იან წლების ბოლოს აშენდა არქიტექტორ გრიგორი ივანოვის პროექტით. 1869-1886 წლებში ამ სახლში „საარტისტო წრე“ იყო, 1922 წლიდან კი მასში სამხატვრო აკადემია ფუნქციონირებს. ვარდან ასტვაცატრიან არშაკუნი 1858-1860 წლებში ტფილისის მერი იყო.

16 ფასეტი – რაიმე ნივთის, მაგ. სარკის, ირიბად ჩამოხრილი, დაცერებული გვერდითი წახნაგი.

17 იგულისხმება ფათჰ-ალი შაჰის შვილთაშვილი, ნასერ ად-დინ შაჰი (1848-1896).

18 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 267-269.

19 ნაბობი – ინდოეთის იმ პროვინციების მმართველთა ტიტული, რომლებიც ჩამოსცილდნენ დიდ მოგოლების იმპერიას.

20 Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 421-423.

21 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 267. თბილისის პირველი თეატრის მშენებლობა კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის თაოსნობით 1847 წელს დაიწყო. შენობის პროექტი იტალიელ არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის, გაფორმება კი გრიგორი გაგარინს ეკუთვნოდა. თეატრის მშენებლობა 1851 წელს დასრულდა. შენობა 1874 წელს დაიწვა.

ამ თეატრის გახსნას მიეძღვნა 1851 წლის 23 ოქტომბერს გაზეთ – „L’Illustration, Journal Universel“-ში<sup>22</sup> დაბეჭდილი თბილისში საფრანგეთის მეორე კლასის კონსულის, ედმონ დე ბარესის წერილი სათაურით – „მავრიტანული სტილის თეატრი, შექმნილი და განხორციელებული ტფილისში თავად გრიგორი გაგარინის მიერ“. წერილს ერთვის ორი ილუსტრაცია – ერთზე ასახულია 1851 წლის 12 აპრილს თეატრის გახსნასთან დაკავშირებით გამართული მეჯლისი, მეორეზე წარმოდგენილია თეატრის მთავარი დარბაზი. ფრანგი კონსული დაწვრილებით აღწერს შენობის ინტერიერს, რომელსაც „ათას ერთი ღამის“ მომხიბვლელ სურათს ადარებს.<sup>23</sup> ამ თეატრს ასევე აღტაცებით აღწერენ ჟან-პიერ მუანე და ალექსანდრე დიუმა.<sup>24</sup> ეს უკანასკნელი წერს: „არსად მინახავს ჩემს ცხოვრებაში თბილისის თეატრის მსგავსი დარბაზი. ვერც წარმოვიდგენ უფრო მშვენიერს, ვიდრე ამ თეატრის დარბაზის არქიტექტურას და დეკორს.“<sup>25</sup> ლიკლა-მა ა ნიეჰოლტი ამ თეატრს თბილისის ყველაზე მნიშვნელოვან არქიტექტურულ ნაგებობას უწოდებდა<sup>26</sup>. თბილისში 1872 წელს მყოფი ბარონი მაქს ფონ ტიელ-მანი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ თეატრის დარბაზი მეტად მოხდენილი იყო.<sup>27</sup>

ფლორიან ჟილის ცნობით, თბილისში საკმაოდ აქტიური იყო ინტელექტუალური ცხოვრება. იგი აღნიშნავს სამხედრო ტოპოგრაფიული საცავის სექციაში დაცულ შესანიშნავ რუკებს, რომლებიც მეფისნაცვლის – მიხეილ ვორონცოვის, ბრძანებით დიდ და საშუალო მასშტაბში იყო დაბეჭდილი და კავკასიის ყველა მხარეს მოიცავდა. თბილისის გეოგრაფიულ სექციაში მომზადებული შრომები ქვეყნდებოდა. ლამაზ შენობაში განთავსებული იყო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავდა ტიპოგრაფიას, სადაც ბეჭდავდნენ „კავკაზს“ (*Gazette du Caucase*) და „კავკასიის კალენდარს“ (*le Calendrier du Caucase - (Kavkazskii Kalendar)*).<sup>28</sup> „კავკასიის კალენდარში“ მოცემული იყო საინტერესო ცნობები კავკასიის ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, აგრეთვე ზოგიერთი მეცნიერისა და მწერლის ნაშრომები, მათ შორის მოსკოვის უნივერსიტეტის

- 
- 22 1851 წელს გაზეთ „კავკაზში“ (N29) დაიბეჭდა თეატრის დირექტორის, ვლადიმერ სოლოგუბის წერილი.
- 23 Edmond de Barrère. Salle de spectacle dans le style mauresque, conçue et exécutée par le prince Grégoire Gagarine, à Tiflis (Géorgie). – L’Illustration, Journal Universel, 23 octobre, N 18, 1851, 261-262.
- 24 Moynet, Voyage à la la mer Caspienne, I, 119; Dumas, Le Caucase, 143.
- 25 Alexandre Dumas, Le Caucase, 274.
- 26 Lycklama A Nijeholt, Voyage en Russie, 393, 444-445.
- 27 Max Franz Guido von Thielmann, Le Caucase, la Perse, et la Turquie d’Asie. Souvenirs de voyage. D’après la relation de M. le baron de Thielmann par le Baron Ernouf. Ouvrage enrichi d’une carte et de vingt gravures (Paris, E. Plon et Cie, 1876), 176.
- 28 ყოველკვირეული გაზეთი „Кавказ“ გამოდიოდა თბილისში, 1846-1851 წლებში – კვირაში ორჯერ, 1846-1918 წლებში – კვირაში სამჯერ, 1877-1919 წლებში – ყოველდღე. „Кавказский Календарь“ – კავკასიური კალენდარი 1845-1917 წლებში ყოველწლიურად გამოიცემოდა თბილისში. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საცნობარო პერიოდული გამოცემა რევოლუციამდელ კავკასიაში. შეიცავდა კავკასიის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის ამსახველ მასალებს. კავკასიური კალენდრის ერთ-ერთი პირველი რედაქტორი იყო ადოლფ ბერჟე. ეს ორივე ბეჭდვითი ორგანო მიხეილ ვორონცოვის მმართველობის დროს დაარსდა.

კურსდამთავრებულის, ადოლფ ბერჟესიცი<sup>29</sup>, რომელიც ბიბლიოთეკის დირექცი-  
ასა და მეფისნაცვლის კანცელარიაში მსახურობდა.

სასწავლო დაწესებულებებიდან ყილი გამოყოფს მარშალ პასკევიჩის მიერ  
დაარსებულ თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტს, რომლის დირექტო-  
რი ქალბატონი კნიფერი (Knipherr) იყო. სასწავლებელი ქალაქის ზედა ნაწილში,  
ჯანსაღი ჰავით გამორჩეულ ადგილზე მდებარეობდა და ის წმ. დავითის მონასტ-  
რიდან მოჩანდა. სასწავლებელში საკვებ პროდუქტებს ჰიგიენის სრული დაცვით  
უდგებოდნენ, საწოლი ოთახები ფართო იყო და კარგად ნიავედებოდა; საკლასო  
ოთახები, მასწავლებლების შერჩევა და ყოველივე სხვა კარგად იყო ერთმანეთ-  
თან შერწყმული. ეს ინსტიტუტი, რომელშიც ტრანსკავკასიელი 150 კეთილშობი-  
ლი ქალიშვილი სწავლობდა, იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნას<sup>30</sup> პატ-  
რონაჟის ქვეშ იყო<sup>31</sup>.

მოგზაურები თბილისის ქუჩების საინტერესო სურათებს წარმოგიდგენენ.  
ფარამონ ბლანშარი თავად ბარიატინსკის შესახვედრად ქუჩებში გამოსული  
სხვადასხვა ეროვნების დიდძალი ხალხის სამოსის მიხედვით აღწერს. იქ იყვნენ  
მომხიბლავი თავსაკრავებითა და კაშკაშა ფერის კაბებში გამოწყობილი ქართვე-  
ლი და სომეხი ქრისტიანი ქალები, ერთმანეთში ირეოდა თათრული, ქართული  
და სომხური ფაფახები<sup>32</sup>, კავკასიელებისა და ცხენოსანი კაზაკების ბეშმეთები<sup>33</sup>  
და ბურკები<sup>34</sup>, სპარსული წოწოლა ქუდები, რუსი ვაჭრების ნაციონალური კარ-  
ტუზი და ხიფთანი, ალის მიმდევრების<sup>35</sup> გრძელი სამოსი და ბაქოსკენ მოსალო-  
ცად მიმავალი პარსის<sup>36</sup> ბრტყელი ჩალმა. ამ ბრბოში აქა-იქ ჩანდნენ ქურთები  
და თურქები. მუანე და დიუმაც მონუსხული იყვნენ თეატრის მოედანზე ნანა-  
ხი ათასფერი სამოსით. იქ იყვნენ დიდი სენიორების გამომეტყველების მქონე  
სპარსელები, სომხები და ქართველები; მეგრულ კაცებს მოხდენილად ეკეთათ  
ყაბალახი, თეთრ დიდ ქსოვილში გახვეული ქართველი ქალები, თათრები, ლე-  
კები, ქურთები და რუსები, ამ შეუდარებელ სურათს ასრულებდნენ ჭრელ ძონ-  
ძებში გახვეული მათხოვრები, რომლებიც თავიანთ სიღარიბეშიც კი თვალწარ-  
მტაცები იყვნენ. ანრი კანტელი თბილისის ქუჩებში ნანახ ეპიზოდებს აღწერს:  
უღელში შებმული ოთხი კამეჩი ზანტად მიათრევდა საცოდავ ურემს, რომელზეც  
თათრების თუ ქართველების მთელი ოჯახი იყო მოკალათებული; ხელში გრძელ  
შუბიანი კაზაკების ცხენები მტვრის კორიანტელს აყენებდნენ; ჰაერს აპობდა  
ბერძნების სამგლოვიარო პროცესიის მოთქმა; ძონძებში გახვეული მათხოვარი  
ქალი გაძვალტყავებულ ხელს იწვდიდა; გლეხი მღვდელს ხელზე ჰკოცნიდა, ის

29 ადოლფ ბერჟე (1828-1886) – ფრანგული წარმომავლობის რუსი ისტორიკოსი-აღმო-  
სავლეთმცოდნე, არქეოგრაფი, არქეოლოგი, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის  
თავმჯდომარე 1864-1886 წლებში.

30 ალექსანდრა ფიოდოროვნა (1798-1860) – რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ I-ის  
მეუღლე. რუსეთის იმპერატრიცა 1825-1855 წლებში.

31 Gille, Lettres sur le Caucase et la Crimée, 271-272.

32 ფაფახი – ჩალმის ფორმის ბეწვის ქუდი (ბლანშარის შენიშვნა).

33 ბურკა – მჭიდრო და წყალგაუმტარი ქსოვილის მოსასხამი (ბლანშარის შენიშვნა).

34 ბეშმეთი – წელში ვიწრო რედინგოტი, რომლის გულზეც ორივე მხარეს დამაგრებუ-  
ლია სამასრეები; მას ჩერქეზსკასაც უწოდებენ (ბლანშარის შენიშვნა).

35 იგულისხმება შიიტები.

36 ირანული წარმომავლობის ზოროასტრელები.



კი მას ლოცავდა; რუსი ჯარისკაცი ეკლესიის წინ პირჯვარს იწერდა და მუხლს იყრიდა; თეთრ ქსოვილში გახვეული საწყალი ფეხშიშველი ქართველი ქალი ეკლესიაში მიდიოდა აღთქმის აღსასრულებლად; ზარმაცი გამყიდველი კარის წინ იჯდა, გამვლელებს უყურებდა და კრიალოსნის მსხვილ მარცვლებს ითვლიდა; სომხები, რომლებსაც დღის სიცხე არ აშინებდათ, შეწუხებულები, აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდნენ, წინა დღის მოგებას ითვლიდნენ და იმ დოყლაპიებზე ფიქრობდნენ, ხვალ რომ მოატყუებდნენ. მზის ჩასვლისას ტფილისის აივნები სავსე იყო ქალებით, ტერასებს ამშვენებენ ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც დაირის თანხლებით ცეკვავდნენ. ყველა მხრიდან სიმღერა და მუსიკა ისმოდა. საჯარო ბალები სავსე იყო ეტლებით, ცხენოსნებითა და ფეხით მოსიარულეებით, რომლებიც ერთმანეთს ესალმებოდნენ და საუბრობდნენ. წყვილები შარბათის, ლიმონათის, ჩაისა თუ ხილის წვენის დასალევად სხდებოდნენ.<sup>37</sup>

ალექსანდრე დიუმას მოგზაურობის შედეგად შეიქმნა მისი ცნობილი თხზულება „კავკასია“. თბილისი მისი მოგზაურობის მთავარი სამიზნე და საბოლოო პუნქტი იყო. დიუმას თხზულება იმდროინდელი ეპოქის აღმისთვის მართლაც გამორჩეული წყაროა და სხვა მოგზაურობის ნაშრომებისგან განსხვავებით, მართლაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება. დიუმა კარგად იყო მომზადებული მოგზაურობისთვის და ზედმიწევნით სრულად შეისწავლა იმ დროს ევროპაში არსებული ლიტერატურა საქართველოს შესახებ. ამ წყაროებზე დაყრდნობით, ის ვრცლად საუბრობს საქართველოს ისტორიაზე. დიუმა დაწვრილებით აღწერს კავკასიის ხალხების ტრადიციებს, მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, იმდროინდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას.

დიუმა აღწერს თბილისში მოღვაწე მეფისნაცვლების ერთმოლოვის, ვორინცოვის, პასკევიჩის, ნიედჰარტის საქმიანობას. ყურადღებას აქცევს ქართველი პრინციპის მოღვაწეობას, კაზაკებს, შამილის აჯანყებას. თბილისში გარკვეული პერიოდის მანძილზე დიუმა ცხოვრობდა საფრანგეთის კონსულის, ფინოს სახლში. დიუმა წერს, რომ თბილისში ცხოვრების პერიოდი შემოქმედებითი თვალსაზრისით მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ხანა იყო.

დიუმას მახვილ თვალს არ გამოპარვია ის ცვლილებები რომლებიც შეეხო როგორც საკუთრივ ქალაქს, ისე მის მცხოვრებთ. დიუმას შთაბეჭდილებები ეზმიანება გამბასა და კლაპროთის ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის წყალობით, ეს პატარა ქალაქი, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობდა, თანდათანობით მართლაც შეიძლებოდა გამხდარიყო ჭეშმარიტად ევროპული ქალაქი.

დიუმას თბილისში სტუმრობის დროს აქ არსებობდა მცირე, ფრანგულენოვანი თემი, რომელიც 153 ადამიანს ითვლიდა. დიუმა წერს: „ვინც თბილისს მხოლოდ გამბასა და კლაპროთის ჩანაწერებით იცნობს, ვერ წარმოიდგენს, როდესაც აქ მოხვდება, რომ ეს იგივე ქალაქია, რომელსაც ეს ორი მოგზაური აღწერს.“<sup>38</sup> „როდესაც თბილისში მოვდიოდი, ველოდი, რომ დამხვდებოდა.“ ის ამატებს: „თბილისში ჩამოსვლამდე ვფიქრობდი, რომ ვიხილავდი ნახევრადველურ დაბას. მაგრამ ჩანს, რომ შევცდი. ფრანგული კოლონიის წყალობით, რომელიც ძირითადად შედგება პარიზელი მკერავებისა და მოდისტებისგან, ქართველ ქალბატო-

37 Blanchard, Voyage de Tiflis à Stavropol, 114-115; Moynet, Voyage à la mer Caspienne, 318; Cantel, Héraklés, scènes de la vie géorgienne, 455; 2. Le Prince Domenti, 707-708.

38 Dumas, Le Caucase, 500.

ნები სულ ორიოდ კვირის დაგვიანებით ითავისებენ იტალიური თეატრისა და განდის ბულვარის მოდის სამყაროს.<sup>39</sup> დიუმა ასევე წერს თბილისის შემოგარენში არსებული გერმანული სოფლის შესახებ.

დიუმა ასევე აღწერს მეჯლისის მთავარმმართველ ბარიატინსკის რეზიდენციაში, ბაზრებს, ქარვასლებს, ქალაქის მცხოვრებთა სხვადასხვა ტიპაჟებს. ის დიდად მოხიბლულია ქართველი ქალების სილამაზით.

დიუმას თხზულება იუმორითაცაა გაზავებული. ის აღწერს, თუ როგორც დააჯილდოვეს *საუკეთესო მსმელის სიგელით*. ის ყურადღებას აქცევს ქართულ სუფრას, აქაც არ ღალატობს იუმორის გრძნობა და წერს, რომ „ჩვეულებრივი მსმელები ქართულ სუფრაზე ხუთ ან ექვს ბოთლ ღვინოს სვამენ, ზოგჯერ კი ათს ან თორმეტსაც. იშვიათობას არ წარმოადგენს, როდესაც მამაკაცი სუფრაზე თხუთმეტ ბოთლ ღვინოს სვამს. ღმერთმა ქართველებს ისეთი ღვინო უწყალობა, რომელიც გონებას არ დაგაკარგვინებს.“

\*\*\*

კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის<sup>40</sup>, მმართველობის დროს საქართველოში იმოგზაურეს: 1865-1866 წლებში ჰოლანდიელმა არისტოკრატმა, ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნიეჰოლტმა, 1879 წელს ელზასელმა მრეწველმა, ალფრედ კეშლენ (კოხლინ)-შვარცმა და 1881 წელს ცნობილმა ფრანგმა მწერალმა, ჟურნალისტმა, არქეოლოგმა და ფოტოგრაფმა, ჟანა/ჯეინ პაულა დიელაფუამ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მოგზაურ ფრანკოფონთა შორის, ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნიეჰოლტმა<sup>41</sup> ყველაზე მეტი დრო, ექვსი თვე გაატარა საქართველოში. მოგზაური დეტალურად აღწერს თბილისს და სხვა მოგზაურებისგან განსხვავებით, მას ხუთ მთავარ უბნად ჰყოფს. მტკვრის მარცხენა ნაპირზე იგი გამოჰყოფს ორ – ქალაქის განსაკუთრებით ქართული იერსახის უძველეს უბანს, ავლაბარს, და გერმანულ კოლონიას<sup>42</sup>, რომელიც შედგებოდა პატარა ბალებით გარშემორტყმული სახლების ორი რიგისგან და ებჯინებოდა მუშტაიდისკენ<sup>43</sup>, რომელსაც მოგზაური *ტფილისის ელისეს მინდვრებს*

39 Ibid.

40 მიხეილ რომანოვი (1832-1909) – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე ვაჟი. გენერალ-ფელდციეჰმეისტერი (1852), გენერალ-ფელდმარშალი (1878), სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1863-1881), კავკასიის მეფისნაცვლი 1862-1881 წლებში.

41 ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნიეჰოლტი (1837-1900) – ფრიზიელი არისტოკრატი, მაღალი წრის წარმომადგენელი, ავანტიურისტი და მწერალი, ითვლება პირველ ჰოლანდილ აღმოსავლეთმცოდნედ.

42 ლიკლამა ა ნიეჰოლტი გულისხმობს გერმანელებით დასახლებულ *ახალ-ტფილისს*, რომელიც მდებარეობდა დღევანდელ აღმაშენებლის პროსპექტზე და კუკიაზე, და *ალექსანდერ-დორფს* – იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელობის კოლონიას მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელი დიდუბის ადგილზე.

43 ავტორი გულისხმობს „მუშტაიდის“ ბაღს. „აჟა მირ ფათაჰი იყო თავრიზის მოჯთაჰედი.“\* 1828 წელს რუსეთ-სპარსეთის მეორე ომის დროს ის დაეხმარა რუსებს თავრიზის დამორჩილებაში, რის შემდეგაც თბილისში გადმოსახლდა და რუსეთის ხელისუფლებისგან საჩუქრად მიიღო მიწის დიდი ნაკვეთი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, იმდროინდელი ქალაქის გარეთ. ნაბოძებ მიწაზე მან გააშენა ბაღი, რომელიც 1853 წელს ხაზინის საკუთრებაში გადავიდა და საზოგადოებრივი გახდა. XIX საუკუნის მანძილზე ეს

უწოდებს, მიმავალ გზას. მის უკან მდებარეობდა იპოდრომი, სადაც ეწყობოდა რუსების და ქართველების ხმაურიანი შეჯიბრებები.

დანარჩენი სამი უბანი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. მათგან პირველი, ქართველებით, თათრებითა და სპარსელებით დასახლებული უბანი ორიგინალური დუქნებითა და თითმყოფადი ხასიათით, მტკვრიდან ერივანსკის მოედნამდე გრძელდებოდა. იქ იყო თათრული მეჩეთები, ეკლესია, ბაზარი, სპარსული ქარვასლა, აბანოები, ნარიყალას შესანიშნავი ნანგრევები, კალად წოდებული შიდა ქალაქი, მის პირდაპირ მდებარე ძველი ქართული ციხესიმაგრე მეტეხი და მეტეხის ეკლესია. თბილისში ჩასული მოგზაურისთვის ყველაზე დიდი ხიბლი სწორედ თბილისის აზიური იერსახიდან გადარჩენილი ეს ელემენტები იყო.

მეორე, თითქმის მთლიანად რუსულ უბანში, სოლოლაკში, საკუთარი სახლები, სასტუმროები და საქართველოს უკანასკნელი მეფეების მემკვიდრე ბატონიშვილის სასახლე მდებარეობდა. იქ ცხოვრობდნენ სპარსეთისა და საფრანგეთის კონსულები. ამ უბანში ცხოვრობდა ფარმაცევტი შმიტი. ამ უბანსაც ევროპული იერსახე ჰქონდა, მაგრამ შენობებისა და მოსახლეობის შემადგენლობის მიხედვით, იქ კვლავ იყო შენარჩუნებული აზიური ელემენტები. ფლორიან უილის მსგავსად, ლიკლამა ა ნიეჰოლტიც აღნიშნავდა, რომ თბილისის ძველი სახლები, რომელთა განლაგება კარგად იყო დაგეგმილი სიციხისგან თავის შესაფარებლად, ნელ-ნელა ქრებოდა. თბილისის ქართული და სომხური მოსახლეობის ევროპულ ყაიდაზე აშენებულ სახლებში უკვე ჩანდა „ევროპული სული“, მაგრამ ისინი მაინც ინარჩუნებდნენ განსხვავებულ იერს – მზისგან თავის შესაფარებლად ყოველ სართულს გარშემო აკრავდა შუშაბანდი. აღსანიშნავია, რომ ლიკლამა ა ნიეჰოლტიც ბინა სწორედ „სოლოლაკის დიდი ქუჩის“ კუთხის სახლში იქირავა, რომელიც დიდი ბაზრიდან და ერივანსკის მოედნიდან იწყებდა. სახლის პატრონი თავადის ქალი სუმბათოვი<sup>44</sup> დახასიათებულია როგორც მსუქანი, ნაკლებად თავაზიანი, იმაზე უფრო მეტად ანჩხლი და ხარბი, ვიდრე ეს ასე წარჩინებულ ქალს, თუნდაც სომეხს, შეეფერებოდა. მოგზაურის რჩეული ადგილი კი სწორედ შუშაბანდი იყო, სადაც იგი დღის საუკეთესო საათებს, განსაკუთრებით კი საღამოებს ატარებდა ერივანსკის ლამაზ მოედანზე ფეხით მოსიარულეების, ცხენოსნებისა და ეტლების ცქერაში. მისი თქმით, ძველი და ახალი ქალაქების საზღვარზე მდებარე ეს სახლი სიმბოლური იყო, რადგან როგორც საკუთრივ ქალაქი, ის აზიასა და ევროპას წარმოადგენდა და როგორც შიგნიდან, ისე გარედან, ქართულიც იყო და ევროპულიც.

მესამე, ანუ ევროპული უბანი, მოიცავდა ერივანსკის მოედანს და ქალაქის მთავარ, გოლოვინის პროსპექტს. ეს უბანი არ გამოირჩეოდა ორიგინალურობით

---

ბალი თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი და გასართობი ადგილი იყო. ის დღესაც არსებობს და ხალხში ცნობილია „მუშტაიდის“ (დამახინჯებული მოჯთაჰედი) სახელწოდებით. (საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ. თბილისი: არტანუჯი, 2016, 45). 1853 წლიდან ბალი სახაზინო საკუთრება გახდა. აქ სისტემატურად ეწყობოდა სახალხო სერინობები, გამოფენები, სპექტაკლები.

\*შიტი ღვთისმეტყველ-სამართლისმცოდნე, მაღალი რანგის სასულიერო პირი.

44 ლიკლამა ა ნიეჰოლტი სახლის პატრონს რუსული ფორმის მიხედვით პრინცესა სუმბათოვად მოიხსენიებს, თუმცა სუმბათაშვილები ქართველი თავადები იყვნენ. შეიძლება ეს სუმბათაშვილზე გათხოვილი სომეხი ქალი იყო.

და უფრო სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის ახალ უბნებს ჰგავდა რუსეთის სტანდარტული, სწორი, მაგრამ ცივი არქიტექტურით; თუ არა ვერანდების ან ჩარდახის მსგავსად დახურული აივნები სახლის ყოველი სართულის გარშემო, ადამიანი იფიქრებდა, ამ ორი ქალაქიდან ერთ-ერთში იმყოფებოდა. მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილის რეზიდენცია რუსეთის ორივე დედაქალაქის უამრავი სასახლიდან არც ერთს არ ჰგავდა. ინტერიერი ნახევრად აზიურად და ნახევრად ევროპულად, დიდი ფუფუნებით იყო მორთული. განსაკუთრებით ლამაზი, ნამდვილი მარგალიტი, პატარა სპარსული დარბაზი იყო, დამშვენებული უიშვიათესი ავეჯით, შესანიშნავი ხალიჩებითა და უძვირფასესი ქსოვილებით.<sup>45</sup> ამ სასახლის ექსტერიერს გამოარჩევდა კოლონადებიანი არაჩვეულებრივი გალერეა პირველ სართულზე, ხედით ერევნის მოედანზე და ბულვარზე. რუსეთის პრესტიჟის შესანარჩუნებლად, მეფისნაცვალს ჰყავდა თავისი კარი ადგილობრივი და განსაკუთრებით მეზობლების – თურქების, სპარსელებისა და კასპიისპირეთში მცხოვრები ხალხების დასახლად.

გოლოვინის პროსპექტზე იყო განლაგებული თბილისის მთელი სამოქალაქო, სამხედრო და სასამართლო ადმინისტრაციის ცენტრი, დიდი არმიის მთავარი შტაბ-ბინა და რამდენიმე სამხედრო დაწესებულება, გენერლების სახლები, შესანიშნავად მოვლილი კადეტების სასწავლებელი და ვრცელი ყაზარმები საჯარისო ნაწილებისათვის. გოლოვინის ბულვარის ბაღებით გარშემორტყმული სასტუმროებისა<sup>46</sup> და სახლების ქვედა სართულზე უამრავი ფარდული და რამდენიმე დიდი მაღაზია ფრანგებს, რუსებს, გერმანელებს, იტალიელებსა და ბერძნებს ეკუთვნოდათ და ზოგიერთი მათგანი კარგად მარაგდებოდა ევროპული ფუფუნების საგნებით. თბილისის ფრანგული კოლონიის წარმომადგენლები წარმატებით ვაჭრობდნენ პარიზული საქონლით, მათ შორის იყვნენ აბრეშუმით მოვაჭრეები, იუველირები, მკერავები, დალაქები და განსაკუთრებით კი მოდისტიკები<sup>47</sup>. ყველაზე დიდ მაღაზიებს შორის აღსანიშნავი იყო მადამ დელსოლმის (Delsolmes) მოდური საქონლისა და ვიურტემბერგელი გლუზერის (Glaser) ძვირფასი კავეულის მაღაზიები. წიგნების დიდ გერმანულ და მუსიკალურ მაღაზიებში მოგზაურმა შეიძინა შარდენის თხზულების ათი ტომი და იქირავა პიანინო.

45 მაქს ფონ ტიელმანის ცნობით, რომელმაც საქართველოში 1872 წელს იმოგზაურა, გუბერნატორის სასახლე ლამაზი იყო, მაგრამ არა მონუმენტური, აღსანიშნავი კი მისი ინტერიერი იყო, კერძოდ, სარკეებით დამშვენებული დიდი დარბაზი სპარსულ სტილში; სხვა ოთახი ლამაზი ხალიჩებითა და ნაალაფვევი იარაღით იყო მორთული, დიდი მთავრის კაბინეტის პანოს კავკასიის შესანიშნავი რელიეფური რუკა იკავებდა. სასახლის უკან იყო კარგად გაშენებული, გულმოდგინედ მოვლილი და მორწყული ბაღი (Thielmann, Le Caucase, la Perse, 175-176).

46 ყველაზე კომფორტულ სასტუმროდ, რომლის პატრონი ფრანგი იყო, ლიკლამა ა ნი-ეპოლტი „ევროპას“ (l'Hôtel d'Europe) ასახელებს, სადაც ბინის დაქირავებამდე იყო გაჩერებული.

დავით ხოშტარიას გამოკვლევის თანახმად, ერივანსკის მოედანზე მდებარე სასტუმრო „იტალიას“ (l'hôtel d'Italie) 1864 წელს სახელი შეეცვალა და დაერქვა „ევროპა“ (l'hôtel d'Europe). მას იტალიელი ნაპოლეონ სიენი და ფრანგი არსენ ბარბერონი მართავდნენ (დ. ხოშტარია, თბილისი. ძველი სასტუმროები, 31-32).

47 მოდისტიკა (ფრ. Modiste) – ძირითადად ქალის ქუდების, აგრეთვე კაბებისა და თეთრეულის ოსტატი ქალი.

თბილისში გამწესებული იყო სახელმწიფო მრჩეველი, რომელიც მეთაურობდა კავკასიის საგანმამათლებლო მიმართულებას. თბილისში ევროპელებისა და ადგილობრივი მაღალი საზოგადოების ოჯახების შვილებისთვის იყო ისეთი სასწავლებლები, სადაც მათ შესაფერისი განათლების მიღება შეეძლოთ, ძალიან კარგად იყო მოვლილი კადეტების სასწავლებელიც.

თბილისში იყო რამდენიმე სახაზინო ბაღი. აბანოების უკან, ბორცვის ფერდობზე მდებარეობდა ბოტანიკური ბაღი – მეფის შესანიშნავი, დატერასებული ბაღი, საიდანაც ქალაქის შესანიშნავი ხედი იშლებოდა. მეფისნაცვლის სასახლის წინ იყო დიდი სახაზინო ბაღი, სადაც ორკესტრი ზოგჯერ ევროპულ საოპერო არიებს თუ საცეკვაო მელოდიებს უკრავდა და ბუფეტი-კიოსკი პატარა მაგიდებით, სადაც ჩაის თუ სხვადასხვა გამაგრილებელ სასმელებს ჰყიდდნენ. გერმანული კოლონიის პატარა პარკში ზოგჯერ ორკესტრი უკრავდა. მაღალი საზოგადოება (*le beau monde*) ყოველდღე სეირნობდა გოლოვინსკის (*Galavinsky*) გამზირზე. ისე, როგორც რომელიმე ევროპულ ქალაქში, თბილისში ბევრი ეტლი იყო, მეფისნაცვალს შესანიშნავი, რუს მოხელეებსა და ძველი ადგილობრივი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს ლამაზი ეკიპაჟები ჰყავდათ. სხვების განკარგულებაში იყო დასაქირავებელი, საკმაოდ ელეგანტური ეტლები.

ქალაქის ძირძველი მოსახლეობის – ქართველებისა და სომხების გვერდით, ძველ ქალაქში თათრები და სპარსელებიც ცხოვრობენ, თბილისის ქუჩებში შეხვდებოდნენ ქურთებს, ნოღაელებს, ყაზარდოელებს, ოსებს, ლეკებს და იმ ჩერქეზებს, რომლებიც რუსეთის ჯარში მსახურობდნენ. თბილისში მრავლად იყვნენ ევროპელებიც. მათ უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ. სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვთან შედარებით თბილისში შეუდარებლად იაფი იყო ცხოვრება და ამიტომ ყველა დონის მოხელე თბილისში ითხოვდა სამსახურს. ქალაქში იყო რამდენიმე პოლონელი და გერმანელი მღვდელი.

მოგზაურის აზრით, უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში თბილისში ჩატარებული ყველა სამუშაო შესრულებული იყო სამი ყველაზე გამოჩენილი მმართველის – ერმოლოვის, ვორონცოვისა და ბარიატინსკის – ენერგიული ძალისხმევით, რომელთაც სამართლიანად უნდა დამატებოდა კავკასიის იმჟამინდელი მმართველი, დიდი მთავარი მიხეილი. თბილისი მეტად ორიგინალური ხასიათის ქალაქი იყო, რომლის გადაკეთებითაც რუსები იყვნენ დაკავებულები, ის ორი ცივილიზაციის გადაკვეთის წერტილი ხდებოდა და ყოველ დღე ვითარდებოდა. მისი თქმით, შარდენი და კლაპროთი იმჟამინდელ თბილისს ველარც კი იცნობდნენ.<sup>48</sup>

ელზასელმა მეწარმემ, ალფრედ კემლენ-შვარცმა<sup>49</sup>, საქართველოში ლიკლამა ა ნიეჰოლტის მოგზაურობიდან 13 წლის შემდეგ, 1879 წელს, იმოგზაურა.

48 Tingo Martinus Lycklama A Nijeholt, Voyage en Russie, au Caucase et en Perse exécuté pendant les années 1866, 1867 et 1868 (Paris-Amsterdam: Arthus Bertrand, C. L. Van Langenhuisen, 1872), I, 252-257, 267-271, 349-353, 365, 373, 387-394, 412-414, 422-423, 439-441, 446.

49 ალფრედ კემლენ-შვარცი (1829-1895) – ფრანგი მრეწველი და პოლიტიკური მოღვაწე. 1887-1888 წლებში პარიზის VIII რაიონის მერი, 1888-1889 წლებში – დეპუტატი საფრანგეთის ჩრდილოეთიდან. იბრძოდა პრესის თავისუფლებისთვის. 1879 წელს იგი რუსეთის და კასპიისპირეთის გავლის ბაქოდან ჩავიდა თბილისში. თბილისიდან მან ფოსტების გენერალურ დირექტორთან, გენერალ პაპარიგოპულოსთან, ერთად მატარებლით იმგზავრა ქუთაისამდე, იქიდან კი ბორჯომის გავლით თბილისში დაბრუნდა. თბილისიდან ევროპისკენ იგი სამხედრო გზით, ეტლით გაემგზავრა.

კემლენ-შვარცი თბილისს ორ, რუსულ და ძველ ქალაქად ჰყოფდა, რომლებიც ერთმანეთს ორი რკინის და გენერალ ვორონცოვის<sup>50</sup> მიერ აშენებული ერთი ქვის ხიდით<sup>51</sup>, უკავშირდებოდა. ამ ხიდის მახლობლად მდებარე მოედანზე იდგა გენერალ ვორონცოვის ძეგლი.<sup>52</sup> მოგზაურის შეფასებით, კავკასიის ძველ გენერალ-გუბერნატორებს შორის ყველაზე ჭკვიანი სწორედ ვორონცოვი იყო, რომელმაც ქვეყანაში საუკეთესო მოგონებები დატოვა და ხალხი მასზე დიდი პატივისცემით საუბრობდა.

მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე რუსული ქალაქი მოგზაურისთვის საინტერესო არ იყო, ხოლო არქიტექტურული თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეული შენობა – დიდ მთავრის მიხეილის სასახლე, ლიკლამა ა ნიეჰოლტის შეფასებისგან განსხვავებით, არაფერ საგანგებოს არ წარმოადგენდა. კემლენ-შვარცი აღნიშნავს, რომ ქალაქში, რომლის მთავრობამაც ყოველივე შესაძლებელი გააკეთა, რათა ის ჭეშმარიტ დედაქალაქად ექცია, მოგზაური სრულიად ევროპულ ცივილიზაციას გადააწყდებოდა – ახალ ქალაქში ფართო ტროტუარებიანი ქუჩები კარგად გაყვანილი და გაზით განათებული იყო. მაგრამ ფრანგი მრეწველი სრულიად გაკვირვებული დარჩა თბილისში შადრევნების არარსებობით. ის ასევე ხაზს უსვამს, რომ ქუჩაში წყლის დაღვევას ვერ შეძლებდით, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი უზრუნველყოფილი იყო წყლით და ადვილი იქნებოდა მის დასაგროვებლად ზედა უბანში რეზერვუარის აშენება. თბილისში წყალი კვლავ ცხენებით დაჰქონდათ და ხშირად ჩანდა მტკვრის პირას ჩამწკრივებული ოცდაათი-ორმოცი საცოდავი ცხოველი, რომლებსაც კაცები წყლით სავსე ტყავის ტიკებს ჰკიდებდნენ. წყლის თბილისის ყველა უბანში მისატანად ისინი დაკლანოილ ბილიკებზე მთელი დღე ამ მძიმე ტვირთით მიდი-მოდიოდნენ. ზოგ ადგილას მტკვარზე ჩანდა ერთმანეთზე მიმდგარი ტიკები, რომლებსაც გვერდებზე დიდი

50 მიხეილ ვორონცოვი 1844-1854 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვალი.

51 მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის დავალებით არქიტექტორმა ჯოვანი სკუდიერიმ შეადგინა ხიდის ახალი პროექტი. ნაგებობა ორი, დიდი და მცირე ხიდებისაგან შედგებოდა მტკვრის ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტზე. მშენებლობა 1848 წელს დაიწყო, თუმცა რამდენიმეჯერ შეფერხდა: იცვლებოდნენ მოიჯარადრეები, 1849 წელს მდინარემ წაიღო ხის ხიდი, 1851 წელს ტაძრის მშენებლობისას დაიღუპა არქიტექტორი სკუდიერი. სკუდიერის გარდაცვალების შემდეგ დიდი ხიდის პროექტი გადაამუშავა ინჟინერმა ს. ბლიკსმა, რომელმაც ხის მალეები აგურის კამარებით შეცვალა. მშენებლობას სათავეში ჩაუდგა ქართველი ინჟინერი ვახტანგ ბაგრატიონ-მუხრანსკი (1817-1892). მიხეილის დიდი ხიდი საზეიმოდ 1853 წელს აპრილში მიქაელ მთავარანგელოზის ხსენების დღეს გაიხსნა და იკურთხა.

52 მიხეილ ვორონცოვის ძეგლი შეუკვეთეს სამხატვრო აკადემიის პროფესორს, ნიკოლაი პიმენოვს (1812-1864), მაგრამ იგი გარდაიცვალა და ძეგლი დაამთავრა მისმა მოწაფემ, მხატვარმა ვიჩესლავ კრეიგანმა. ძეგლი ჩამოასხეს პეტერბურგში და თბილისში 1866 წელს ჩამოიტანეს. ალექსანდრე II-მ ამ ძეგლისთვის 3,000 რუბლი გადაიხადა. წარწერა: “Князю Михаилу Семеновичу Воронцову. 1845 — 1854.” ძეგლის გარშემო იყო ჯაჭვის ზღუდე და იდგა ქვემეხები. “Открытие памятника в Тифлифе Светлейшему князю Михаилу Семеновичу Воронцову 25 марта 1867 г.” Тифлиф. Напечатано в типографии главного управления наместника кавказского 1867 г. Автор, извештный тифлифский журналист, фотрудник газеты “Кавказ” Николай Львович Дункель-Веллинг (1850-1860 гг.); Н. Cammartin. “Caucase. – Inauguration, à Tiflis, de la statue du prince Woronzoff” Le monde illustré, 1867, N 527, 18 Mai, 300, 302. მიხეილ ვორონცოვის ძეგლის შესახებ იხ. Hubertus F. Jahn, “The Bronze Viceroy: Mikhail Vorontsov’s Statue and Russian Imperial Representation in the South Caucasus in the Mid-19th Century”. Russian History 41 (2014), pp. 163-180.

ბორბლები ჰქონდა – ეს ორიგინალური და თვალწარმტაცი ადგილობრივი წისქვილები იყო.

კემლენ-შვარცმა, ექიმ შარლ-ჟიულ ტეიულის მსგავსად, ყურადღება მიაქცია თბილისში მიმდინარე მშენებლობებს. ქალაქში ძირითადად ერთსართულიანი სახლები იდგა, აშენებდნენ სამ და ოთხ სართულიან სახლებსაც, ყველა სახლს ჰქონდა შუშაბანდი და ბანი. მაგრამ ეს მშენებლობა ნელა მიმდინარეობდა და მას არც დიდი მასშტაბი ჰქონდა, რაც მოგზაურის აზრით მეტად სასიხარულო იყო, თორემ ასე ლამაზი, თვალწარმტაცი და ტურისტებისთვის მიმზიდველი ძველი ქალაქი მალე დაკარგავდა მისთვის დამახასიათებელ ორიგინალურობას.<sup>53</sup>

1881 წლის მარტში თბილისში ჩამოსული ფრანგი არქეოლოგის, ჟანა დიელაფუას აზრით, თბილისს – სპარსეთის ძველ დედაქალაქს<sup>54</sup>, გარეგნულად დაკარგული ჰქონდა თავისი ორიგინალური ხასიათი. ხოლო რუსეთის იმპერიის სამხრეთი პროვინციების გენერალ-გუბერნატორის ოფიციალურ რეზიდენციად გახდომისა და იქ მრავალრიცხოვანი გარნიზონების ჩააყენების შემდეგ, ქალაქში ძალდატანებითი რუსიფიკაცია მიმდინარეობდა, თუ, რა თქმა უნდა, ეს ნებით არ ხდებოდა. იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ განიერი და კარგად მოკირწყლული ქუჩები, ძვირადღირებული სახლები, თითქმის კარგად მოვლილი ბაღები, დიდი მთავრისა და მისი გენერლების სასახლეები, მონუმენტური შესახედაობის მუზეუმი<sup>55</sup> და უამრავი ყაზარმა მას ოფიციალური დედაქალაქის იერს სძენდა. მკვიდრი მოსახლეობის ნახვა კი, რომლის დახვეწილობა და ელევანტურობა სადავოდ არ ხდის ქართველი ქალების სილამაზის სამართლიან სახელს, მხოლოდ ბაზრებსა და მდაბიოთა უბნებში იყო შესაძლებელი.

ჟანა დიელაფუასა და მისი მეუღლის თბილისში ჩასვლას დაემთხვა ალექსანდრე II-ს (1818-1881) მკვლევლობა.<sup>56</sup> მოგზაურის ცნობით, ამ ვითარებაში ტელეგრაფის საშუალებით იმპერიის ერთი ბოლოდან მეორეში გაიცა ბრძანება უცხოელებზე თვალთვალის დაწესების, მათთვის პასპორტების ჩამორთმევის და ქალაქიდან გასვლის დროებითი აკრძალვის შესახებ. მოგზაურის თქმით, ეს დისკომფორტი მათ მეფის დაკრძალვის საპატივცემულო ცერემონიისა და ახალი მეფის<sup>57</sup> საზეიმო გამოცხადების სანახაობამ აუნაზღაურა. იგი წერს: „ქუჩებში და კაფეებში შეკრებილი ოფიცრებისა და თავზარდაცემული მოხელეების ჯგუფები სხვადასხვაგვარად ყვებოდნენ ამ დანაშაულის დეტალებს, ინდიფერენტული ხალხი კი თავის ყოველდღიურ საქმიანობას აგრძელებდა. სამხედრო ალუმის დროს დაუსრულებელი პროცესია მეტად იმპოზანტური იყო მხრებამდე თმებით, ოქროს ტიარებსა და მანტიებში გამოწყობილი, ჯვრებით ხელში მღვდლების მსვლელობის გამო! გენერლები სახარებას ჰკოცნიდნენ, ფიცს დებდნენ და სასულიერო პირების შემდეგ ჯარისკაცებისგან იღებდნენ ერთგულების ფიცს; ამ

53 Alfred Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase: Volga, Caspienne, Caucase* (Paris, J. Hetzel & Cie Editeurs, 1881), 252-259, 267-272, 284-285.

54 ჟანა დიელაფუას ამ ცნობაში საქართველოს მიმართ ევროპელი მოგზაურების სტერეოტიპული გავლენა იგრძნობა.

55 იგულისხმება კავკასიის მუზეუმი, რომელიც 1852-1919 წლებში მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

56 ალექსანდრე II (1818-1881) – ნიკოლოზ I-ის ვაჟი, რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წლებში. 1881 წლის 1 (13) მარტს იგი ორგანიზაცია „ხალხის ნების“ წევრებმა მოკლეს.

57 ალექსანდრე III (1845-1894) – რუსეთის იმპერატორი 1881-1894 წლებში, ალექსანდრე II-ს ვაჟი.

დროს ისმოდა გუნდის ჰარმონიული გალობა, რომლის საიდუმლო, ერთადერთ-მა, მხოლოდ რუსულმა ეკლესიამ იცის.

მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“

ამ ცერემონიიდან რვა დღის შემდეგ მოგზაურებისთვის ქალაქის კარიბჭეები გახსნეს, მატარებლები და დილიჟანები კი თავიანთ ჩვეულ განრიგს დაუბრუნდნენ, უანა დიელაფუა და მისი მეუღლე კი ერევნის გზით ირანისკენ გაემგზავრნენ.<sup>58</sup>

\*\*\*

კავკასიის მთავარმართებლის ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის მმართველობის (1882-1890)<sup>59</sup> დროს 1882, 1888 და 1889 წლებში, თბილისში იმყოფებოდნენ: ბელგიელი სტუდენტი ერნესტ ორსოლი, ფრანგი მოგზაური და ჟურნალისტი ჟიულ-ნაპოლეონ ნეი და ცნობილი ფრანგი ბოტანიკოსების ოჯახის წევრი, 20 წლის ფრანგი სტუდენტი ოგიუსტ ლეკუენ დე ვილმორენი (Auguste Lecoin de Vilmorin).

ერნესტ ორსოლის თქმით, ტრანსკავკასიის<sup>60</sup> დედაქალაქი თბილისი კონტრასტების ქალაქი იყო. ახალი რუსული ქალაქი სანკტ-პეტერბურგს ან მოსკოვს ჰგავდა, ძველ ქართულ და სპარსულ უბნებში კი წმინდა აზიური იერსახე უცვლელად იყო შენარჩუნებული. უკვე გავეროპელებული ერევნის<sup>61</sup> მოედანი ნეიტრალური სივრცეს წარმოადგენდა აღმოსავლურ და რუსულ ქალაქებს, წარსულის თბილისსა და მომავლის თბილისს შორის. ახალ ქალაქში კარგად მოკირწყლული ფართო ქუჩები იყო, არისტოკრატიულ უბნებს კი მოვლილი სკვერები ახალისებდა. მაღაზიების უმეტესობა ფრანგებს ეკუთვნოდათ და *Perspective-Neusky*-სა<sup>62</sup> და *Bolshaya Sadovaya*-ს<sup>63</sup> მაღაზიებს ეჯიბრებოდნენ. თბილისის ცენტრში მდებარე სამი მთავარი სასტუმროს პატრონები ფრანგები იყვნენ. ერევნის მოედანზე ყველაზე ცნობილი სასტუმრო „ევროპა“ (*l'hôtel de Europe*) თბილისში ფრანგე-

58 Jane Dieulafoy, *La Perse, la Chaldée et la Susiane*, par Mme Jane Dieulafoy, Ghevalier de la Légion d'honneur, officier d'Académie, relation du voyage (Paris: Librairie Hachette et Cie, 1887), 10-11.

59 ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი (1820-1893) – კავალერიის გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე, შამილთან და ოსმალეთთან ომების მონაწილე, კავკასიის მთავარმართებელი 1882-1890 წლებში.

60 ტერმინი „ტრანსკავკასია“ (ამიერკავკასია) რუსული „ზაკავკაზიე“-დან მოდის და ნიშნავს კავკასიონის ქედს მიღმა არსებულს, ანუ რუსეთის ხედავს ასახავს. დღეს ფართოდ გამოიყენება ტერმინი სამხრეთ კავკასია.

61 1828 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა კავკასიის მთავარმართებლად და კავკასიაში მოქმედი რუსეთის ჯარის მთავარსარდლად დანიშნა გენერალმა ივანე პარკევიჩი, რომელმაც 1828 წელს ერევნის ციხესიმაგრე აიღო და მიენიჭა ერევნის გრაფის პასკევიჩ-ერივანსკის წოდება. გამარჯვებულ გენერლისთვის თბილისის მოსახლეობის მიერ სადღესასწაულო შეხვედრის ადგილს, სადაც დღეს თავისუფლების მოედანია, პასკევიჩ-ერივანსკის მოედანი ეწოდა. სახელწოდება „ერივანსკის“ „ერევნით“ შეცვლა შეცდომაა, რასაც ყველა მოგზაური უშვებს.

62 ავტორი გულისხმობს სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ პირველ და ცნობილ გამზირს.

63 იგულისხმება 1816 წელს მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთით დიდი მიწაყრილის ადგილზე გაშენებული ბაღები, ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი (М. И. Вофтышев, *Москва: вфе улицы, площади, бульвары, переулки. Москва: Алгоритм, Экфмо*, 2010, 497-498, 688).



ბისა და გერმანელების შეხვედრის ადგილი იყო. იქ ისინი გამბრინუსის<sup>64</sup> თაყვანისცემის გამო თავიანთ ნაციონალურ ურთიერთწყენას ივიწყებდნენ.<sup>65</sup> ყველაზე კომფორტული აპარტამენტებით და მაღალი ფასებით სასტუმრო „კავკაზი“ (*l'hôtel du Caucase*)<sup>66</sup> გამოირჩეოდა. მისი პატრონი, დელალანდი, უფრო ექტორის სახელით იყო ცნობილი. მოშორებით მდებარე სასტუმრო „ლონდონი“ (*l'hôtel de Londres*) ტურისტებისათვის უფრო სასიამოვნო ადგილი იყო მახლობლად მდებარე სკვერისა და ბაღის სივრცის გამო, რომელიც ტერასებად ეშვებოდა მტკვრისკენ. ის მაღალი საზოგადოების რუსებისა და ქართველების სასტუმროდ მიიჩნეოდა და თბილისის ერთგვარი Café Anglais<sup>67</sup> იყო; მისი პატრონები, ცოლ-ქმარი ლე კონტები, ყველაზე მოკრძალებული ტურისტების მიმართაც მეტად ყურადღებიანები იყვნენ. ორსოლის ცნობით, თბილისში ძალიან უყვარდათ აზიური სტილი: არისტოკრატიულ კლუბ „კრუჟოკს“<sup>68</sup>, გოლოვინსკის პროსპექტზეც ჰქონდა დიდი ხელგაშლილობით სპარსული გემოვნებით, სურათებით, ოქროს ვარაყით, მოზაიკით და სარკის ფასეტებით მორთული სასტუმრო, რაც მას „ათას ერთ ღამეში“ აღწერილი ზღაპრული სასახლეების იერს აძლევდა, ხოლო „სობრანიეს“<sup>69</sup> – სომხების კლუბის დარბაზში კვირაში რამდენჯერმე უკრავდა საცეკვაო მუსიკა. სასტუმრო „ლონდონიდან“ რამდენიმე ნაბიჯზე, ე.წ. ვორონცოვის დიდი ხიდი ქალაქს ვიურტემბურგელებით დასახლებულ გარეუბანთან აკავშირებდა. ევროპის ბალი გერმანული კოლონიის ცენტრამდე ვრცელდებოდა და ზაფხულში საღამოობით იქ ან კოსტუმირებული მეჯლისები იმართებოდა, ან ოთხი თუ ხუთი მუსიკოსისგან შემდგარი აზიური ორკესტრი ქართულ და რუსულ სიმღერებს უკრავდა. გერმანული კოლონიისა და ქალაქის უკიდურეს საზღვარზე მდებარე თბილისის ბულონის ტყე – მუშტაიდი, ნაკადულებით დასერილი

- 64 გამბრინუსი (ლათ. Gamberinus) – ლეგენდარული მეფე, რომელიც ლუდის ხარშვის გამოგონებლად ითვლება.
- 65 საფრანგეთ-პრუსიის ომში (19.07.1870-10.05.1871) გერმანიის გამარჯვებას გერმანიის გაერთიანება, ნაპოლეონ III-ს ტახტიდან ჩამოგდება და საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის დაარსება მოჰყვა. კონტრიბუციის სახით, გერმანიამ მიითვისა მთელი ელზასი და ლოტარინგია, რომელიც პირველ მსოფლიო ომის შემდეგ, 1918 წელს კვლავ საფრანგეთს დაუბრუნდა.
- 66 სასტუმრო „კავკაზი“ ერივანსკის მოედანზე 1858 წელს გახსნა ერთმა ფრანგმა, ვინმე გიომმა. 1865 წელს სუმბათაშვილების სახლში მირზოვევებმა შეიძინეს და სასტუმრო იჯარით მისცეს ფრანგ მარიუს მარტენს. ამ დროიდან სასტუმროს ოფიციალურად ეწოდებოდა l'Hôtel du Caucase, Place d'Erivan. Maison Mirsoieff, tenu par Marius Martin (დ. ხომტარია, თბილისი, 35-37).
- 67 ფრანგული რესტორანი Café Anglais 1822 წელს გაიხსნა პარიზში, Opéra Comique-ის მახლობლად. მეორე იმპერიის დროს (1852-1870) ის ყველაზე ბრწყინვალე და პოპულარული ევროპული კაფე იყო. დაიხურა 1913 წელს.
- 68 ორსოლი უზუსტობას უშვებს, როგორც ჩანს მას ქუჩები აერია, რადგან „კრუჟოკი“ (Groushok) გოლოვინის პროსპექტზე არ მდებარეობდა. 1869-1886 წლებში ის განთავსებული იყო ვარდან არშაკუნის სასახლეში, რომელიც XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს აშენდა არქიტექტორ გრიგორი ივანოვის პროექტით და აღმოსავლური ფუფუნებით იყო მორთული. ჩანს, ორსოლი ამ შენობას გულისხმობს „დიდი ხელგაშლილობით მთლიანად სპარსული გემოვნებით“ მორთულ სასტუმროში. 1922 წლიდან ამ შენობაში სამხატვრო აკადემია ფუნქციონირებს. ეს შენობა კარგად არის აღწერილი ფლორიან ჟილის თხზულებაში.
- 69 სობრანიეში (*Sobranie*) ავტორი გულისხმობს გოლოვინის პროსპექტზე მდებარე სომხურ კლუბს.

ლამაზი პარკი, მაღალი საზოგადოების – ელეგანტური ქალბატონებისა და ბატონების – რჩეული სასაღებრო ადგილი იყო პარიზის ბოლო მოდისა და ცხენების უზადო აღკაზმულობის დემონსტრირებისთვის.

ორსოლის აზრით, მოსახლეობის მიხედვით თბილისი სამი განსხვავებული – რუსული, კოლონიის და აზიური – ქალაქისგან შედგებოდა. რუსულ ქალაქში რუსი მოხელეები, სამხედრო პირები და ვაჭრები, კოლონიაში – თბილისში მცხოვრები გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, ბერძნები და ინგლისელები, აზიურ ქალაქში – ქართველები, სომხები, სპარსელები და თათრები ცხოვრობდნენ. ეს მეტად განსხვავებული მოსახლეობა ერთმანეთში ნაკლებად იყო შერეული.

თუ რუსი მოხელეებისა და ოფიცრებისთვის სასიამოვნო ახალ ტფილისის ევროპული ქალაქი იყო, ტურისტებს სხვა რამ იზიდავდა – მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ძველი ქართული ქალაქი ავლაბარი, ბაზარი, ნარიყალას დანგრეული ციხესიმაგრე და ძველი ეკლესია მეტეხი, მტკვრის ციცაბო ნაპირებზე დაქანებული ქუჩების ლაბირინთი უცვლელად შენარჩუნებული საუკუნეების წინანდელი აზიური იერსახით, ერთიმეორეზე მიდგმული მონაცრისფრო ბანიანი სახლები, ბაზრის შორიახლო ცოტა ხნის წინ აშენებული ქარვასლა, ფირუზისფერი ფაიფურის ფირფიტებით დაფარული შიიტური მეჩეთი მინარეთით, სიონის საკათედრო ტაძარი – და არა ევროპის იმიტაცია. თბილისი ის ერთ-ერთი ქალაქი იყო, სადაც მხატვარს რამდენიმე თვით, ტურისტს კი რამდენიმე კვირით შეეძლო დარჩენა – ერთი დახატავდა, მეორე – დაათვალიერებდა.

ორსოლის ცნობიდან ჩანს, რომ ირანში სამოგზაუროდ ევროპელები დრავდნენ ქირაობდნენ, რასაც შემდეგ, 1905 წელს, ფრანგი ჟურნალისტი, კლოდ ანეც, აღნიშნავს. ორსოლის მიერ დაქირავებული იტალიელი დრავდანი, ჟერომ რეალინი, რომელმაც იცოდა ფრანგული, რუსული, თურქული, სომხური, ქართული, სპარსული და თათრული, დახასიათებულია მეტად პატიოსან და მცოდნე კაცად; მის შესახებ საქებარი წერილები გამოქვეყნებული იყო *Times*-ში მისივე კორესპონდენტის, ფორბის, მიერ; ის ასევე დადებითად იყო მოხსენიებული ინგლისელი ოფიცრის, ვალენტინ ბარკერის თხზულებაში.<sup>70</sup> ორსოლის ცნობებიდან ირკვევა, რომ თბილისიდან ირანში მიმავალი ტურისტები თბილისში იძენდნენ ზოგიერთ ნივთს და საკვებს.<sup>71</sup>

ორსოლი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თბილისის მოსახლეობის ეთნიკურ და კონფესიურ სიჭრელეს. ის საინტერესო ცნობებს გვაწვდის რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სპარსეთის ქვეშევრდომების შესახებ. სოციალური თვალსაზრისით, მათ შორის ყველაზე დაწინაურებულები იყვნენ მათ მოჰყვებოდნენ ხელოსნები და დაქირავებული მუშახელი: ორსოლი თბილისში მცხოვრები სპარსელების შესახებ: ამ სპარსელების უმეტესობა ვაჭარია და ისინი გამოირჩევიან თავიანთი გამჭრიახობით. უნდა გავიზიაროთ შეხედულება, რომ 'საჭიროა ორი ებრაელი ერთი სომხის გასაცურებლად, ერთი სპარსელის გაცურებას კი ორი სომეხი სჭირდება.'<sup>72</sup>

70 Valentine Baker. *Clouds in the East: travels and adventures on the Perso-Turkoman frontier*. London, Chatto & Windus, 1876, 23.

71 Ernest Orsolle, *Le Caucase et la Perse. Ouvrage accompagné d'une carte et d'un plan* (Paris: Plon, Nourrit et Cie, 1885), 40-50.

72 *Ibid*, 43.

ნაპოლეონ ნეის შთაბეჭდილება თბილისის შესახებ რკინიგზის სადგურიდან იწყება. „სადგური. სასტუმრო. მატარებელი სადგურში დადგა... როგორია ეს მონუმენტური, გაზით განათებული სადგური?... რა უნდათ ჩემი ბარგისკენ წამოსულ უცნობ ენაზე მოლაპარაკე კაცებს, რომლებიც სასტუმროში ჩემს წასაყვანად გამოგზავნილმა, შესანიშნავი ფრანგულით მოლაპარაკე დრაგომანმა მოულოდნელად გასწი-გამოსწია? ის სასტუმრო „კავკაზის“ დრაგომანია... ტფილისის სადგური, ისე, როგორც რუსეთის თითქმის ყველა სადგური, ქალაქიდან შორსაა... ეტლი სასტუმრო „კავკაზთან“ გაჩერდა. ჩვენ წებოვან ტალახში გადმოვედთ და ვლოცავდი ბოტებს – ძვირფას საჩუქარს, რასაც მონრეალის მუნიციპალიტეტის ხელგაშლილობას უნდა ვუმაღლოდე, როდესაც ისე წვიმს ტფილისში, როგორც დღეს... სასტუმროში შესვლამდე, როდესაც მეეტლეს ფულს ვუბდიდი, ტრამვაიმ<sup>73</sup> გაიარა!... და აზიაში ამ პირველ შთაბეჭდილებით წავედი დასაძინებლად: ტრამვაი ტფილისში, ძველ სპარსულ ქალაქში, ძველ ქართულ ციხესიმაგრეში... აი პროგრესი!“

სხვა მოგზაურების მსგავსად ნეიც აღნიშნავს, რომ თბილისის ახალი ქალაქის იერსახე არაფრით განსხვავდებოდა პირველი რანგის ევროპული ქალაქებისგან. თუ ლიკლამა ა ნიეჰოლტი ძირითადად გოლოვინის პროსპექტის მაღაზიებს ახსენებს, ნეი აღნიშნავს მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე უამრავ რუსულ, ბერძნულ და სომხურ მაღაზიას, აგრეთვე გერმანულ ლუდხანას, სადაც რუსები, სომხები და ქართველებიც კი დადიოდნენ. ევროპის ბაღში კარგ ამინდში ოპერეტებს წარმოადგენდნენ, იქვე იმართებოდა ფრანგული და გერმანული კოლონიების დღესასწაულები და მონაცვლეობით ისმოდა „მარსელიეზა“<sup>74</sup> ან „რაინის გუშაგები“<sup>75</sup> საინტერესოა მისი შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ტფილისელ გერმანელებს“ მათზე მცირერიცხოვანი ფრანგული კოლონიის მიმართ არ ჰქონდათ ქედმაღლური დამოკიდებულება, რის გამოც ზოგიერთ ქვეყანაში გერმანელებს კიცხავდნენ – ნაპოლეონ ნეი გულისხმობს საფრანგეთ-პრუსიის ომში (1870-1871) ფრანგების დამარცხებას. ეს ცნობა მიუთითებს თბილისში დამკვიდრებულ ტოლერანტულ დამოკიდებულებას სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებს შორის.

აღმოსავლეთის მიმართ ნაპოლეონ ნეის გამოკვეთილი დამოკიდებულება ჩანს მისი ლირიკული პასაჟიდან – „ვაჭრის ბნელ ფარდულში გაფურჩქნული პო-

73 თბილისში ელექტროტრამვაის წინაპარი, ცხენების წევაზე მომუშავე სარკინიგზო ტრანსპორტი, ე.წ. „კონკა“ 1883 წელს გამოჩნდა. მისი პირველი ხაზი მიხეილის გამზირზე გადიოდა და ერთმანეთთან აკავშირებდა ვორონცოვის მოედანსა და რკინიგზის ვაგზალს. მარშრუტი მალევე გააგრძელეს ერივანსკის მოედანამდე, ხოლო 1904 წელს ხაზი გაიყვანეს კირხეს ქუჩაზე (ახლანდელი მარჯანიშვილის მოედანი). Елена Орагвелидзе, Такой ли уж лишний для города трамвай?// “Вечерний Тбилифи”, № 129, 16-17.XI, 2004.

74 „მარსელიეზა“ (Marseillaise) – ფრანგული რევოლუციური სიმღერა, შეიქმნა 1792 წელს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს; შემდეგ ის საფრანგეთის ეროვნულ ჰიმნად იქცა, სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის სამხედრო ინჟინერს, რუჟე დე ლილს (1760-1836).

75 „რაინის გუშაგები“ (Die Wacht am Rhein) – გერმანული პატრიოტული სიმღერა; შეიქმნა 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს. სიმღერის ტექსტი 1840 წელს დაწერა შვეიცარელმა პოეტმა და ფილოლოგმა მაქს შტეკენბურგერმა, მუსიკა ეკუთვნის იოჰან იაკობ მენდელსონს.

ეზიის ყვავილი“: იგი დიდ სიმპათიას გამოხატავს სპარსელი ვაჭრების – „აზიის ფრანგების“ მიმართ, რომელთაც წინ უეჭველად ნატიფად მოხატული „ათას ერთი ღამის“ სპარსული ზღაპრები ედოთ და მას კითხულობდნენ, განსხვავებით სომეხი და თურქი ვაჭრებისგან, რომლებიც დავთრებში იყვნენ ჩაფლულები.

აღფრედ კემლენ-შვარცის მსგავსად, ნეი მეტად დადებითად აფასებს სასტუმრო „კავკაზს“, სადაც ყურადღებას არ იმუშრებდნენ თანამემამულეებისთვის და არც მაღალი ფასებით ჰგავდა ბათუმისას. მაგრამ მოგზაური „სამშინელ ტავერნას“ უწოდებს სასტუმრო „კავკაზის“ წინ მდებარე „აღმოსავლურ“ რესტორანს, შესანიშნავი იუმორით აღწერს იქაურ რუსულ სამზარეულოს და თბილისში სამოგზაუროდ მიმავალ პირებს იქ მისვლას არ ურჩევს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნაპოლეონ ნეის მეტად დაწვრილებითი ცნობები თბილისის კავკასიის მუზეუმის<sup>76</sup> შესახებ, რომელსაც იგი „ამიერკავკასიის ერთ-ერთ საოცრებას“ უწოდებს. მოგზაური ჩამოთვლის მუზეუმში ნანახ ექსპონატებს – სამოსს, იარაღს, საყოფაცხოვრებო ნივთებს – მუსიკალურ საკრავებს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, კალის ძველ ჭურჭელს, საქსოვი ხის დაზგებს, აღწერს კედლის ფერწერას. სკრუპულოზური სიზუსტით შესრულებულ კავკასიის სხვადასხვა ხალხის ნატურალური სიმაღლის, აგრეთვე ცხოველებისა და ფრინველების ცვილის მეტად რეალისტურად შესრულებული ფიგურები მას გრევიინის<sup>77</sup> მუზეუმს აგონებდა. როგორც ჩანს, ისინი იმდენად ეფექტური იყო, რომ ნეის აზრით ისინი „უკან მოიტოვებდნენ კონსტანტინოპოლის იანიჩარების მუზეუმს“, რაც საკმაოდ მაღალი შეფასებაა.<sup>78</sup>

ახალგაზრდა ფრანგი სტუდენტი ოგიუსტ ლეკუენ დე ვილმორენი ყურადღებას თბილისის გასართობ ადგილებს უთმობს. ერივანსკის მოედნიდან მუშტა-იდამდე, რომელსაც ლიკლამა ა ნიეჰოლტის მსგავსად, ისიც *ტვილისის ელისეს მინდვრებს* უწოდებს, მისასვლელად ბელგიელი რადლეს მიერ დამონტაჟებული პატარა ტრამვაით ოცი წუთი დასჭირდა. ბალში იყო კაფე-რესტორანი, სამხედრო ორკესტრი საცეკვაო მუსიკას უკრავდა; ქართველები, თათრები, სომხები და სპარსელები მუსიკის ხმაზე თავიანთი ქვეყნის ცეკვებს ასრულებდნენ. მუშტა-იდისკენ მიმავალი განიერი ბულვარის ორივე მხარეს მდებარე ბაღების უმეტესი

76 კავკასიის მუზეუმი 1852-1919 წლებში მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ის, როგორც კომპლექსური სამზარეთმცოდნეო დაწესებულება, დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან მწერალ ვლადიმერ სოლოგუბის ინიციატივით. მის შექმნაში მონაწილეობდნენ ადოლფ ბერჟე, ი. ბარტოლომეი, ნიკოლოზ ხანიკოვი, ალექსანდრე ნიკოლაი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი და რაფიელ ერისთავები და სხვ. 1853 წელს კავკასიის მუზეუმის დირექციის თავმჯდომარე იყო ა. ნიკოლაი, ზედამხედველი – ა. ბერჟე. 1855 წლის სექტემბერში გაიხსნა პირველი გამოფენა. 1864 წელს კავკასიის მუზეუმი დაიხურა და აღდგენილ იქნა 1865 წელს გუსტავ რადეს (1831-1903) – რუსეთში მოღვაწე გერმანელი ბუნებისმეტყველის, მოგზაურის, გეოგრაფის, ნატურალისტისა და ეთნოგრაფის, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტის – ინიციატივით (გ. ჟორდანი, კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბილისი, 1951).

77 მადამ ტიუსოს ლონდონის ცვილის ფიგურების მუზეუმის მსგავსი მუზეუმი პარიზში 1882 წელს გაიხსნა. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი დირექტორი იყო აღფრედ გრევენი (1827-1892) – ფრანგი მოქანდაკე, კარიკატურისტი და თეატრალური კოსტიუმების მხატვარი.

78 Napoléon Ney, En Asie Central à la vapeur. Preface de Pierre Véron, dessins de Dick de Longlay, avec deux cartes (Paris: Garnier Frères – Editeurs, 1888), 119-124.

ნაწილი კლუბებს ჰქონდათ დაქირავებული ან შესყიდული. ზოგში კაფეშანტანი იყო, ორ კლუბში კი განსაკუთრებით ბევრი ხალხი დადიოდა. ერთში ყოველდღე რუსულ ენაზე წარმოადგენდნენ ვოდვეილს „Madam Angot“<sup>79</sup>, მეორეში, რომელიც ფრანგ ბარბერონს ეკუთვნოდა, კვირაში სამჯერ ეწყობოდა კოსტუმირებული მეჯლისი, რომელსაც რუსები „მასკარადს“ („mascarade“) უწოდებდნენ. 1889 წლის 14 ივლისს ვილმორენი სწორედ ბარბერონის ბაღში დაესწრო საზეიმო ბანკეტს, რომელსაც სამოცზე მეტი ადამიანი იყო შეკრებილი. საფრანგეთის უმნიშვნელოვანეს დღესასწაულზე ჯერ რუსეთის ცარის სადღევრძელო შეისვა, შემდეგ კი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის. სამხედრო ორკესტრი გარემოების მიხედვით უკრავდა რუსეთის ნაციონალურ ჰიმნს, მარსელიეზას ან ბარბასონს<sup>80</sup>. ეს სამი ადგილი – მუშტაიდი, თეატრი და მასკარადი სავსე იყო ოფიცრებითა და მოხელეებით.

მტკრის გასწვრივ ქართული, თათრული, სომხური და სპარსული რესტორნები იყო განლაგებული. ერთ-ერთი რესტორანში, ფანჩატურში მდგარ კოჭლ მაგიდასთან მოკალათებული ფრანგი სტუდენტის მიერ რუსულ ენაზე შედგენილ მენიუში ალაღბებზე მითითებული კერძები აღმოჩნდა კიტრი, მარილი და ქათამი. იგი იუმორით აღწერს, რომ „საცოდავი ქათამი“ მის თვალწინ დაიჭირეს, მოკლეს, რამდენიმე წუთში გაპუტეს, ფართოპირიანი დანით გამოშიგნეს და ცალი ფეხით დაიჭირეს გაღვივებულ ნაკვერჩხალზე, შემდეგ კი მას ეს ქათამი ლანგრით მიუტანეს ალაგ-ალაგ სისხლიანი, ალაგ-ალაგ კი დამწვარი. მისი თქმით, ამ სპექტაკლმა მას ქამის მადა დააკარგინა. სასტუმრო „კავკაზში“ კი, სადაც იგი იყო გაჩერებული, უთხრეს, რომ ეს იყო „ვანშამი ქართულად“.

დე ვილმორენი განსაკუთრებით აღნიშნავს ერივანსკის მოედნიდან მტკვრის სანაპიროსკენ მიმავალ პატარა, სპარსელებით დასახლებული ქუჩას, სადაც სხვადასხვა ფარდულებში ჩანდა თუ როგორ მუშაობდნენ ხელოსნები. მათ შორის იგი გამოჰყოფს ერთი სპარსელის, გვარად კაფაროვის (Kaffaroff), ფარდულს, რომელსაც სხვათაგან განსხვავებით, „ვეროპული ვიტრინა“ და ხალიჩებისა და საინტერესო საქონლის დიდი არჩევანი ჰქონდა. ისევე, როგორც ნაპოლეონ ნებისა და ორსოლის თხზულებაში, აქაც თბილისში მუსლიმური აღმოსავლეთის ძიებაა, თუმცა კაფაროვი შეიძლება სომეხი ყოფილიყო.<sup>81</sup>

XIX საუკუნის მიწურულს თბილისში ჩამოსული ფრანგი მწერლის, გასტონ სანრეფიუს თქმით, თბილისი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში

79 „Madame Angot“ – ოპერეტა სამ მოქმედებად, პირველად 1872 წელს დადგეს დაიდგა ბრიუსელში, Fantaisies-Parisiennes-ში, 1873 წელს კი პარიზში, Folies-Dramatiques-ში. ვოდვეილის ავტორია ანტუან-ფრანსუა ევი, მაიოდ წოდებული (Antoine-François Ève dit Maïllo), კომპოზიტორი – შარლ ლეკოკი (Charles Lecocq), ლიბრეტოს ავტორები არიან – კლერვილი (Clairville), პოლ სიროდენი (Paul Siraudin) და ვიქტორ კონინგი (Victor Koning).

80 ბელგის ჰიმნის, la Barbançonne, ტექსტი 1830 წლის სექტემბერში დაწერა ახალგაზრდა ფრანგმა რევოლუციონერმა ჟენევალმა (ნამდვილი სახელია ლუი ალექსანდრ დეშე), ბრიუსელის თეატრის (Théâtre de la Monnaie) მსახიობმა. იმავე წლის სექტემბერში თეატრის დირიჟორმა ფრანსუა ვან კამპენგაუტმა ამ ტექსტზე მუსიკა დაწერა. 1860 წელს ჰიმნს ოფიციალური სტატუსი მიენიჭა. ამჟამად ჰიმნში დატოვებულია ჟენევალის ტექსტის მხოლოდ პირველი სტროფი, დანარჩენი ტექსტი ეკუთვნის შარლ როფსს.

81 Auguste Lecoïn de Vilmorin. De Paris a Bombay par la Perse. Illustrations d'après les photographies rapportées par auteur. (Paris: Libraire de Firmin-Didot et Cie imprimeurs de l'Institut, 1895), 21-25.

სრულიად უმნიშვნელო სოფელი იყო, უცნაური შემთხვევის წყალობით V საუკუნეში საქართველოს დედაქალაქი გახდა და თბილისის დაარსების ლეგენდის შემდეგ ინტერპრეტაციას გვაძლევს: „ქრონიკა გადმოგვცემს, რომ ერთ დღეს მეფე ვახტანგ გორგასალი ანუ „მგელ-ლომი“<sup>82</sup> მცხეთის მახლობლად, თავის ამაღასთან – სენიორებთან და პრინცებთან ერთად ნადირობდა და მხარში დაჭრილ ირემს დაედევნა. საცოდავ ცხოველს უეჭველად მოკლავდნენ, მაგრამ ის გადაეშვა ცხელ წყალში, რომელიც მთებიდან მდულარე მოედინებოდა. მეფის მონადირე ნადავლის დასაჭერად გაიქცა, მაგრამ წყალში ამ სასიკეთო ჩავარდნის გამო უეცრად გაჯანსაღებული ცხოველი დიდი სისწრაფით გაიქცა და მაშინვე ბურქნარში გაუჩინარდა. ამ ფენომენით მეტად გაოცებულმა მეფემ გადაწყვიტა დაეარსებინა თავისი დედაქალაქი – „ტბილიზი ქალაქი“ (*Tbilizi Kalaki*) ანუ „თბილი ქალაქი“ (*Ville chaude*). თერმული წყლის მაგიურ ძალას უცნობი და ჩაკარგული ღარიბი დასახლებებისათვის სიმდიდრე და კეთილდღეობა უნდა მოეტანა“.

სანრეფიუ ნარიყალას რაინდებისა და დევგმირების ძველ ციხესიმაგრეს უწოდებს, რომლის ნანგრევები სპარსული ლეგენდის მეომრის გიგანტური მუზარადივით იყო აღმართული კლდის თავზე და ზევიდან დაჰყურებდა „მგელ-ლომის“ ქალაქს. მზით განათებული ქართული და სომხური ეკლესიების მწვანე, მოვერცხლილი და მოოქროვილი გუმბათები ზევიდან ძვირფასი ზოდებისაგან გამოჭედილ ლამაზს ჯავშნებს ჰგავდა, შენობების მწვანე, ვარდისფერ და ცისფერ სახურავები – არლეკინის<sup>83</sup> უზარმაზარ მოსასხამს, ქალაქი – ოქროს დიდს ველს, სადაც თითქოს შემთხვევით იყო გაფანტული პორფირის, იასპისა და მარმარილოს ბლოკები. ბოტანიკური ბალის როდოდენდრონისა და აზალიის ძლიერი ბურქებიდან ყვავილები კენჭებში მორაკრაკე გამჭვირვალე მდინარისკენ იხრებოდნენ და სიმწვანეში, როგორც დიორამაში<sup>84</sup> ისე ჩანდა საქართველოს ტალღოვანი ვაკეები.

თბილისი უზარმაზარი ქარვასლის მსგავსი საგანგებო სტილის ქალაქი იყო, სადაც შეხვდებოდი ზრდილ ევროპელებს და ბარბაროს აზიელებს. მოგზაური ქალაქს ორ უზნად ჰყოფს: ცივილიზებულ, ევროპულ-რუსულ უბანში ფართო ბულვარები, ოფიციალური ნაგებობები, თავად ვორონცოვის ქვის განიერი ხიდი, საიმპერიო თეატრი, ყაზარმები, ალექსანდრეს ბაღი და გენერალ-გუბერნატორის სასახლე იყო. მეორე, აზიური უბნის ჭუჭყიანი, დაკლაკნილი ქუჩების ლაბირინთები, ხვეული კიბეები და მტკვრის ნაპირებისკენ გადმოხრილი მორყეული ქოხები გაცილებით უფრო თვალწარმტაცი სანახავი იყო. დაბალი ტრამვაის მჭიდრო ხმაურიან ბრბოში აზიის ყველა კილოზე ლაპარაკობდნენ.

ნაპოლეონ ნეის შთაბეჭდილებისგან განსხვავებით, სანრეფიუს აზრით კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიულ დარბაზში წარმოდგენილ ცვილის უსიცოცხლო

82 ვახტანგ გორგასალს „მგელ-ლომად“ („loup-lion“) იულიუს კლაპროთი მოიხსენიებს (J. Klaproth, Voyage au Mont Caucase et en Géorgie par M. Jules Klaproth, professeur royal des langues et de la littérature asiatique et membre du conseil de la Société asiatique de t. I-II Paris, 1823, II, 2).

83 იტალიური ხალხური კომედიის, ე.წ. „ნიღბების კომედიის“ ტრადიციული პერსონაჟი, ტაკიმასხარა მსახური, რომელსაც სხვადასხვა ფერის ნაჭრებისაგან შეკერილი ტანისამოსი აცვია და უკეთია შავი ნახევარნიღაბი.

84 დიორამა – გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი, რომელიც საგანგებო განათების შედეგად მოცულობის მქონედ ჩანს.

ფიგურებს არაფერი ჰქონდა საერთო გრევენის<sup>85</sup> მხატვრულ კომპოზიციებთან და უფრო ლონდონის ტიუსოს<sup>86</sup> გალერეის მარიონეტების (pupazzi) დაცინვას ჰგავდა. ფრანგი მწერალი მათ ბურლესკურ<sup>87</sup> კარიკატურებს უწოდებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ კავკასიის ფლორა და ფაუნა კარგად იყო წარმოდგენილი, ხოლო ფიგურების განიერი სამოსის ნაკეცების სილამაზე თავისებურ ხასიათს ანიჭებდა გლენისა თუ მხედრის სილუეტს.

მწერალი ბედნიერ საათებს უწოდებს თბილისის ვიწრო ქუჩებში ხეტიანს და პატარა ფარდულებში უცნაურად ნამუშევარ სამკაულებში, ძვირფას იარაღში, მოციმციმე ქსოვილებში, ფანტასტიკურ ნახატებიან ნაქარგებსა და „სიმდიდრის ამ გროვამი წვრილმანის ქექვას. მჭედლის სახელოსნოს იგი „გამოქვაბულის ჰალუცინაციას“ უწოდებს, სადაც „ჯოჯოხეთის სიღრმეში ციკლოპები განუწყვეტილად ურტყამდნენ ჩაქუჩს.“ ორსოლის მსგავსად, ფრანგი პოეტიც წერს, რომ ყოველი ფარდული დასახატი ტილო იყო და ასე აღწერს მას: „ყოველივე ეს არის ფერადი, სიცოცხლით და სინათლით სავსე; ყოველი ფარდული დახვეწილი ჟანრის სურათია – შელახულ ხალიჩაზე დაუდევრად წამოწოლი ვაჭარი, რომელიც ზანტად ეწევა გრძელ ჩიბუხს კიფით<sup>88</sup>, იქვეა მისი სხვადასხვა საქონლის ჭრელი გამოფენა, სადაც ბრწყინავს ხანჯლის პირი და თოფის ბრინჯაო – აღმოსავლური დეკორის საგანგებო ფერი, ასე ინტენსიური და ასე რეალური, დაბოლოს ეს განსაკუთრებული შუქი

არც თეთრი და არც სპილენძის ფერი,

მაგრამ „რაც ოქროს ჰგავს“

მზის სხივში

რასაც „აღმოსავლეთის სინათლეს“ უწოდებენ.<sup>89</sup>

ამ პასაჟიდანაც ჩანს, რომ თბილისში სანრეფიუც მუსლიმურ აღმოსავლეთს ეძებდა.

XIX საუკუნის მიწურულს თბილისის ქუჩები კვლავ მოუწესრიგებელი იყო, რასაც მოწმობს „მგელ-ლომის“ ქალაქიდან მოგზაურის თავსხმაში გამგზავრების ეპიზოდი: „სალამოს კვლავ გაწვიმდა... არასოდეს მიცურავია ტალახის ისეთ

85 მაღამ ტიუსოს ლონდონის ცვილის ფიგურების მუზეუმის მსგავსი მუზეუმი პარიზში 1882 წელს გაიხსნა. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი დირექტორი იყო ალფრედ გრევენი (1827-1892) – ფრანგი მოქანდაკე, კარიკატურისტი და თეატრალური კოსტიუმების მხატვარი.

86 იგულისხმება მარი ტიუსოს (1761-1850) მიერ 1835 წელს ლონდონში გახსნილი ცვილის ფიგურების გამოფენა.

87 ბურლესკი – კომიკური, პაროდული პოეზიის ჟანრი.

88 თუთუნისა და ჰაშიშის ნარევი.

89 “Tu n'es point blanche ni cuivrée:

Mais il semble qu'on t'a dorée

Avec un rayon de soleil.” (Œuvres de Victor Hugo: Poésie, Volume 2, Paris, J. Hetzel et Cie Edition, 1869, 449).

“Ni blanche ni cuivrée

mais qu'on dirait dorée”

avec un rayon de soleil

qu'on appelle “lumière d'Orient” სანრეფიუ ამ სტიქონები წერისას ვიქტორ ჰიუგოს (1802-1885) მიერ მე-19 საუკუნის 20-იან წლებში საბერძნეთის ოსმალეთისაგან განმათავისუფლებელი ომისადმი მიძღვნილი პოემის “Les Orientales” მეთერთმეტე ლექსის “La Sultane Favorite” სტიქონების იდეით სარგებლობს და მას თავისი ინტერპრეტაციით გადმოსცემს.

ოკეანეში, როგორც სასტუმროდან სადგურამდე. ეს აღარ იყო ქუჩა, ეს იყო საში-  
ნელი კლოაკა, რომელშიც ეტლები ღერძამდე ეფლობოდა...<sup>90</sup>

ყურადსაღებია ლე ბარონ დე ბაის თხზულება თბილისის შესახებ, რომელშიც  
ის ქალაქის ისტორიის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს. ის აღწერს თბილისის ეთნო-  
კონფესიური მოსახლეობის შემადგენლობას; არაერთ საინტერესო ინფორმაციას  
იძლევა თბილისის უბნებისა და არქიტექტურული ძეგლების შესახებ; ფასული  
მისი ცნობები თბილისის მუზეუმის არექოლოგიური და ეთნოგრაფიული მასა-  
ლების შესახებ. ყურადსაღებია, რომ ლე ბაი სინანულს გამოთქვამს იმის გამო,  
რომ ქართველები თანდათანობით ივიწყებენ თავიანთ ტრადიციულ და განუმე-  
ორებელ ტანისამოსს და ევროპულ ტანსაცმელს ანიჭებენ უპირატესობას.

მეტად ფასეული და საინტერესოა ლე ბარონ დე ბაის ცნობები თბილისში  
ისლამისა და მუსლიმების შესახებ. ფრანგი მოგზაურის თანახმად, თბილისის სუ-  
ნიტების წინაძლოლი ამიერკავკასიის მუფთის წოდებას ატარებდა. ყურადსაღე-  
ბია დე ბაის ცნობა შიიტთა ლიდერის, ახუნდ-ზადეს შესახებ, რომლითაც ერთი  
მხრივ დასტურდება, რომ ეს უკანსაკნელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა  
ქალაქის მოსახლეობაში, მეორე მხრივ კი ჩანს ძლიერი ირანული გავლენა. დე ბაი  
წერს: „მეტად საინტერესო გამოდგა ვიზიტი ამიერკავკასიის შიიტთა სულიერ  
ლიდერ შაიხ ალ-ისლამთან. მისი სახელია ახუნდ-ზადე. ის თათრული აზერბა-  
იჯანიდანაა და დაახლოებით 60 წლისაა. ის ელიზავეტპოლში სპარუსლენოვანი  
მოლას ოჯახში დაიბადა. ის თანამდებობას კავკასიის გამგებლებს უნდა უმაღ-  
ლოდეს; ის შეიძლება ჩინოვნიკადაც ჩაითვალოს, ამასთანავე ის იყენებს თავის  
ძლიერ ზეგავლენას თანამორწმუნეებზე. მებლირებული სახლებიდან მისი საშუ-  
ალო შემოსავალი შეადგენს თორმეტი ათას რუბლს, რაც იხარჯება მის ტაძარსა  
და ქველმოქმედებაზე. შიიტთა ლიდერისა და ბატონ ველიჩკოს (მან წარმადგინა  
შიიტთა ლიდერთან) თანხლებით, ვეწვიე მუსლიმურ სასაფლაოს (Gabristan)...  
მაჩვენეს რამდენიმე ყველაზე ძველი აკლდამა. ერთ-ერთ მათგანს მოჭიქული  
გუბათი ამშვენებდა. მის ქვეშ განისვენებდა სეიედი, მუამადის შთამომავალი. მავ-  
ზოლუმის წინ მიწა სისხლისგან წითელი იყო. ცხვარი შეეწირათ წმინდა ადამი-  
ანის მოსახსენიებლად. ეს ჩვეულება ფართოდაა გავრცელებული, ისე როგორც  
სანთლების ანთება საფლავებზე“<sup>91</sup>

კავკასიის მეფისნაცვლის, ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მმართველობის  
დროს (1905-1915), 1905 წლის აპრილში რევოლუციურ თბილისს თავის თანამგ-  
ზავრებთან ერთად<sup>92</sup> ეწვია ცნობილი ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი კლოდ  
ანე. მისი ცნობით, ქალაქი არ იყო მოქცეული ისეთ ალყაში, როგორც ბათუმი,

90 Gaston Sansrefus, De Paris à Tiflis. Impressions de route. Préface de C. Fuster. Dessins de H. Bertaux (Paris: Imprimerie Clamaron-Graff, 1897), 417-420, 424-425, 428-434.

91 Le Baron de Baye, Tiflis. Souvenirs d'une mission, Paris: Nilsson, 1900, 9.

92 კლოდ ანეს თანამგზავრები იყვნენ: ვლახეთის ყოფილი გოსპოდარის ვაჟი, ცნობილი  
ავიატორი და სპორტსმენი – პრინცი გეორგ-ვალენტინ ბიბესკო, მისი მეუღლე – პრინ-  
ცესა მარტა ბიბესკო – პარიზის მაღალი საზოგადოების თვალსაჩინო ქალბატონი, მო-  
ქანდაკე, მუსიკოსი, მწერალი, შემდგომში საფრანგეთის აკადემიის, მარსელ პრუსტის  
პრემიის მფლობელი წიგნისთვის „Les Huit Paradis“; ვლახეთის გოსპოდართა ოჯახის  
წევრი, პრინცი ემანუელ ბიბესკო; რუმინეთის საკანონმდებლო ორგანოს წევრი მიჰაი  
ფერეკიდი და მისი მისი მეუღლე, მარია; ლეონ ლეონიდა – რუმინელი სპორტსმენი.  
მოგზაურებს ახლდათ სამი მექანიკოსი – შვეიცარელი კელერი, ფრანგი ეჟენი და რუ-  
მინელი გიორგი.



ქუთაისი და გორი, მაგრამ ქუჩებში კაზაკების პატრული დადიოდა, სასტუმროები – დახურული, ტრამვაები – ცარიელი, ქალაქის ნახევარი, მათ შორის სასტუმროს მომსახურე პერსონალი, გაფიცული იყო. ამ გაფიცვას ჟურნალისტი პოლიტიკურს უწოდებს და შინამოსამსახურეების მოთხოვნებსაც გვაცნობს. იგი წერს: „მე ვნახე შინამოსამსახურეების მოთხოვნები; მათ სურთ სამუშაო საათების შემცირება, ჯანმრთელი საკვები, სამედიცინო მომსახურება ავადმყოფობის შემთხვევაში, თავაზიანი მოპყრობა და ის, რომ ვერ შესძლონ მათი განთავისუფლება უსაფუძვლოდ. მსოფლიოში არსად, ამერიკაშიც კი, სადაც შინამოსამსახურეებს ჩვენც რომ არ ვიცით ისეთი მოთხოვნები აქვთ, მსახურებს ამდენით არ უზრუნველყოფენ.“

სასტუმრო „ლონდონში“, სადაც კლოდ ანესა და მისი თანამგზავრების გარდა სხვა არავინ იყო, მზარეულის მოვალეობას სასტუმროს პატრონი, მოახლის საქმეს კი მისი დედა და და ასრულებდნენ.<sup>93</sup> ამას გარდა, მოგზაურებს ემსახურებოდნენ ჯარისკაცები, მათ შორის ერთი ოდესაში დაბადებული გერმანელი იყო და „პოლიგლოტი“ ჯარისკაცის სასტუმროზე მიმავრება ჟურნალისტიმა გუბერნატორის „დელიკატურ ყურადღებას“ მიაწერა.

თბილისს, „საქართველოს თვალწარმტაც დედაქალაქს“, კლოდ ანე არ ჰყოფს ევროპულ-რუსულ თუ აზიურ ქალაქად, მაგრამ აღნიშნავს თბილისის ერთმანეთზე მიდგმულ სახლებს, სომხურ და სპარსულ ბაზრებს, ძველ ტაძარს, ახალი უბნების დიდ ბულვარს, გუბერნატორისა და ქალაქის ბაღებს. სხვა მოგზაურებისგან განსხვავებით, ყურადღებას ამახვილებს მაღლობზე, რკინიგზის სადგურის უკან აღმოცენებულ ახალ, ქართველი მუშების უბანზე, რომელშიც ნაძალადევი უნდა იგულისხმებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ მსახურები გაფიცულები იყვნენ, ანე და მისი თანამგზავრები ქალაქში სადილობდნენ, ვახშობდნენ და ქართულ მასპინძლობას ეცნობოდნენ. სარეკომენდაციო წერილების ადრესატმა „თავაზიანმა ტფილისელებმა“, რომელთა ვინაობას კლოდ ანე არ ასახელებს, მოგზაურები მეტად გულთბილად მიიღეს. ამ კონტექსტში საინტერესოა ანეს შემდეგი ლირიკული პასაჟი. იგი წერს: „სასტუმროს პატრონებმა შესანიშნავი ზეიმი მოგვიწყეს შემოგარენის ერთ-ერთ ბაღში, სადაც ზაფხულობით ტფილისელები საღამოს გასატარებლად და მუსიკის მოსასმენად დადიან. ჩვენთვის ადგილობრივ ცეკვებს შეასრულებენ. ჩვენ მდინარის ნაპირზე მდებარე ბაღში მივედით. და რა მდგომარეობაშია ავტობები? ღერძებამდე ტალახში!“

მტკვრის ნაპირზე მდებარე, ყოველი მხრიდან ღია პავილიონში მოკვალათ-დით.

მდინარე ჩვენს უკან მიედინება; ნესტიანი მიწის სინოტივე იგრძნობა; შემდეგ იწყება წვიმა. აკანკალებულებს, შორიდან გვესმის ფლეიტის, კლარნეტისა და დაირის ხმა; მოიტანეს კერძები – პატარა გემრიელი კალმახები, სიზილალა, ქათამი და ტფილისში ამას ჰქვია ჩაიზე დაპატიჟება. სავალი გზის ნაპირებში, სადაც შავი, ოქროსფერი და მელანქოლიური ირისები ყვავის, ჩვენთვის ცეკვავს ორი ჩერქები; ახალგაზრდა გოგონა ნიცმუზე მესაუბრება; წვიმს, სასიკვდილო

93 დავით ხოშტარიას ცნობაზე დაყრდნობით, 1893-1914 წლებში სასტუმრო „ლონდონის“ მმართველები იყვნენ ცოლ-ქმარი რიხტერები. იოჰან პენრიხ რიხტერის გარდაცვალების შემდეგ კი, 1893-1914 წლებში, სასტუმროს მართავდა მისი ქვრივი, კატარინა (დ. ხოშტარია, თბილისი, 51). როგორც კლოდ ანეტის ცნობიდან ჩანს, სასტუმროს მართვაში მას ეხმარებოდნენ ვაჟი და ქალიშვილი.

სინოტივია; გულის განმგმირავი ფლეიტა რითმულ ტირილს სიბნელეში აგრძელებს.

შამპანურის შემდეგ ერთ-ერთი თანამეინანე კაზაკების ცოცხალ და გრაციოზულ ცეკვას ასრულებს.

უკანა გზაზე ავტომობილები უსახელოდ დაიღუპებიან ტფილისის ტალახში.“

რადგან თბილისში ტრანსპორტი არ მოძრაობდა, მოგზაურებმა ფეხით მოიარეს ბოტანიკური ბაღი, მუზეუმი, ქარვასლა და ბაზარი. ბაზრის „ერთადერთ სიმდიდრედ“ დასახელებულია კავკასიური, დალესტნური, კასპიისპირეთის, სამარყანდული, ბუხარული, ავღანური, სპარსული (თავრიზული) და თურქული ხალიჩები. ქალაქში არსებული დაძაბული ვითარების მიუხედავად, მოგზაურები ორჯერ იყვნენ გოლოვინის პროსპექტზე მდებარე დიდ თეატრში.<sup>94</sup> კლოდ ანე წერს: „ტფილისი. – ბოლო დღეები კავკასიაში. თეატრები გახსნილია. ამისთვის მადლობა ვუთხრათ რევოლუციონერთა კომიტეტებს. დიდ თეატრში, რომელიც დიდი და შესანიშნავი შენობაა, ვნახეთ “Coquin de Printemps”, ოპერეტად არანჟირებული სტრაუსის მიერ<sup>95</sup> და შარლ გუნოს ოპერა „საფო“<sup>96</sup>, სადაც თამაშობდა რუს რეჟანად<sup>97</sup> წოდებული იავორსკაია<sup>98</sup>, იგივე პრინცესა ბარიატინსკი.“<sup>99</sup>

თხზულებაში დიდი ადგილი ეთმობა ირანისკენ მიმავალი მარშრუტის შერჩევას, რომელიც რამდენჯერმე შეიცვალა გადაუღებელი წვიმის გამო.

1909 წლის ივნისში თბილისში ჩამოსული ფრანგი ჰერცოგინია, ერმინი დე როან-შაბო (Herminie de Rohan-Chabot) და მისი ქალიშვილი პრინცესა მარი მიურა, სალომე და აშილ მიურას უფროსი ვაჟის, ლუსიენის, მეუღლე, სასტუმრო „ორიენტი“ (*l'hôtel d'Orient*)<sup>100</sup> დააბინავეს, საიდანაც ფუნიკულორი<sup>101</sup> ჩანდა.

94 არქიტექტორი ვიქტორ შრეტერის (1839-1901) პროექტით თეატრის მშენებლობა დაიწყო 1880 წელს და 16 წლის მანძილზე გაგრძელდა, მის მშენებლობას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ პაულ შტერნი, ალბერტ ზალცმანი და ალექსანდრე შიმკევიჩი. 1896 წლის 3 ნოემბერს გაიხსნა მიხაილ გლინკას ოპერით „ივან სისანინი“.

95 ოპერეტა „Coquin de Printemps“ („გაზაფხულის სიო“, იოსებ შტრაუსის (1827-1870) ცნობილ მელიოდებზე მისი გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ, პირველად 1903 წელს დაიდგა ვენაში. მას საფუძვლად დაედო ადოლფ ჰაიმესა და ჟორჟ დიუვალის ამავე სახელწოდების ვოდევილი, ლიბრეტო ეკუთვნით კარლ ლინდაუსა და იულიუს ვილგელმს.

96 იგულისხმება ფრანგი მწერლის, ალფონს დოდეს (1840-1897) რომანი, „საფო“ (1884).

97 გაბრიელ რეჟანი (Réjane, 1856-1820) – ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალი.

98 ლილია იაროვსკაია (1871-1921), ცნობილი რუსი მსახიობი. რუსი პუბლიცისტის, დრამატურგისა და მწერლის, თავად ვლადიმერ ბარიატინსკის (1874-1941) მეუღლე.

99 Claude Anet. Les Roses d'Ispahan – La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase. A la princesse Georges Valentin Bibesco et à Madame Michel Charles Phérékyde je dédie respectueusement le récit d'un voyage dont elles ont partagé avec moi, et ennobli, les émotions. Paris, Société d'Édition et de Publication, Librairie Félix Juven, 1907, 105.

100 სასტუმრო „ორიენტი“ (*l'hôtel d'Orient*) 1895 წლის აპრილში გაიხსნა (ხოშტარია, თბილისი, 60).

101 1900-იან წლებში შემუშავდა „ზედა თბილისის“ „ქვედა თბილისთან“ დაკავშირების შესაძლებლობა თბილისის ტრამვაის ქსელის მფლობელმა ბელგიურმა კომპანიამ წარმოადგინა. ბელგიელი ინჟინრის ალფონს რობის ინიციატივით, ახალი უბანი ძველ ქალაქს სამთო ტრამვაით – ფუნიკულიორით უნდა დაკავშირებოდა. მისი მშენებლობა 1903 წლის სექტემბერს დაიწყო და 1905 წლის 27 მარტს გაიხსნა.

იმუამად თბილისში წესრიგი აღდგენილი იყო და სავსებით მშვიდად შეიძლება და მგზავრობა როგორც კავკასიაში, ისე ჩრდილოეთიდან სამხრეთში და აღმოსავლეთიდან დასავლეთში. თავისი სიძის ცნობებზე დაყრდნობით, მოგზაური თბილისში 1905 წლის ნოემბერში მიმდინარე მოვლენებს ეხება, რომელთა თანახმად ქალაქში მიმდინარე ბრძოლებისა და ტერორის დროს მრავალი სახლი გადაიწვა, ლუსიენმა კი სასტუმრო „ორიენტი“ საფრანგეთის საკონსულოდ აქცია და „თავისი თანამემამულეები იქ ეროვნული დროშის დაცვის ქვეშ მოაქცია.“<sup>102</sup>

ფრანგი ქალბატონი თბილისის მომაჯადოებელ დედაქალაქს, კავკასიის მარგალიტს და წარმტაცი ბუნებით გარშემორტყმულ არწივის ბუდეს უწოდებს. მოგზაურის ყურადღება მიიპყრო ყვავილებით მორთულმა სახლების მოჩუქურთმებულმა აივნებმა, აყვავებულმა ბაღებმა, ძვირფასი ქაშანურით მოპირკეთებულმა ორბელიანის აბანოებმა<sup>103</sup>, კავკასიის მუზეუმში ნანახმა ექსპონატებმა, შესანიშნავმა ბოტანიკურმა ბაღმა უიშვიათესი მცენარეებით და და სპარსული ციხესიმაგრეიდან – ნარიყალადან გადაშლილმა ხედმა.

ახალი ქალაქში აღნიშნავს ფართო ქუჩებს, ძალიან სუფთა ტროტუარებს, კარგად ნაგებ ხიდებს, გერმანული უბნის დიდ ცენტრალურ ავთიქსს, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის წამალი იყიდებოდა. თბილისში „დიდ მოდაში იყო“ დღეში რამდენჯერმე ფენსაცმლის გაპრიალება და აბანოში მასაჟის ხშირად გაკეთება. მდიდრული მალაზიები ელევანტურობით ეჯიბრებოდნენ la rue de la Paix-ს<sup>104</sup> მალაზიებს.

აღმოსავლური უბნის მოედნებზე, ვიწრო ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე ერთმანეთში ირეოდნენ თათრები გადაპარსული თავებით ქამარში გარჭობილი ხანჯლებით, დაუდევრად ჩაცმული სომხები, ყველა ჯურის შეიარაღებული მთიელი, ძლიერ დატვირთული მებარგულები, აზიის საზღვრებიდან მოსული სხვადასხვა აღმოსავლელები, საქონლით მძიმედ დატვირთული ცხენები, ჯორები და ვირები. ადამიანების და პირუტყვების ეს ხმაურიანი ერთობა ოსტატურად მოძრაობდა და ამ უბანს სრულიად არაჩვეულებრივ სიცოცხლეს ანიჭებდა.

მოგზაური თბილისის კულტურული დაწესებულებებიდან ასახელებს ახალ აშენებულ და კარგად მოწყობილ თეატრებს, რაც ლამაზ ეფექტს ქმნიდა. „იმპერიალში“ („Impérial“)<sup>105</sup> სპექტაკლებს რუსულ, „ნაციონალში“ („National“)<sup>106</sup> კი ქართულ ენაზე წარმოადგენდნენ.

პოეტი მოგზაური საგანგებო ყურადღებას უთმობს ქართული ლიტერატურას. იგი ასახელებს შავთელს, ჩახრუხაძეს, ხონელს, შოთა რუსთაველს, გრიგოლ

102 „Nous partons avec lui pour l'hôtel d'Orient qu'il avait transformé pendant l'émeute en consulat de France, mettant ainsi tous ses compatriotes sous la protection du drapeau national.“

103 XVII-XIX საუკუნეებში თბილისში იყო ერეკლეს, ბებუთას, მელიქის, მეითრის (სუმბათოვის), გოგილოს, ორბელიანთა, თბილელის, მირზოვეის, ხოჯას, „გრილი“ (შითევის), „ჭრელი“ და სხვა აბანოები. დღემდე შემორჩენილი აბანოების უმეტესი ნაწილი XVII-XVIII საუკუნეებში ირანული არქიტექტურის გავლენით აშენდა და ბოტანიკური ბაღის აღმართის დასაწყისშია თავმოყრილი. ორბელიანის აბანოს „ჭრელ აბანოსაც“ უწოდებდნენ.

104 La rue de la Paix – მოდური სავაჭრო ქუჩა პარიზის ცენტრში.

105 „იმპერიალში“ იგულისხმება დღევანდელ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

106 „ნაციონალში“ იგულისხმება დღევანდელი შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი.

ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გიორგი ერისთავს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, დიმიტრი თუმანიშვილს, ერეკლე II-ს ქალიშვილებს – ბატონიშვილებს მარიამსა და ქეთევანს, „პოპულარულ შანსონიეს“ – საიათნოვას და აკაკი წერეთელს. მოგზაურს თხზულებაში მთარგმნელის თუ მთარგმნელების დაუსახელებლად მოჰყავს შემდეგი პოემებისა და ლექსების თარგმანები: ალექსანდრე ილია ჭავჭავაძის – *Crépuscule dans la vallée d'Alasan?* სოლომონ ლიონიძის – „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარებისა ღირსისა“ (*Sur la morte de Héraclius II*, 1798) რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ – *La pays natale des Chewurzen*; აკაკი წერეთლის – *A l'Amour*.

ფრანგი ჰეპტოგინია აღნიშნავს თავისი *კუზინას*, ქალიშვილობაში ნიკოლაის<sup>107</sup> სტუმართმოყვარე სასახლეში დიდი ზეიმის გამართვას კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფი ვორონცოვის, საპატივცემულოდ, სადაც „ტფილისის მთელი მაღალი საზოგადოება“ შეკრიბილიყო.<sup>108</sup>

### **ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურების თვალთ დანახული თბილისის ბაზრები XIX საუკუნის XIX საუკუნის მეორე ნახევარში**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის ბაზრებს ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურებიც აღწერენ. ნაპოლეონ ნეის თქმით, მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთში ჩასული მოგზაური ახალ ადგილზე მოხვდებოდა და ფოსტაშიც აიღებდა თავის წერილებს, მისი პირველი აზრი „ბაზარში წასვლა“ იყო იმ იმედით, რომ იქ რაიმე საოცარ ნივთს – ხალიჩას, იარაღს, სამშვენისს ან სამკაულს – რაღაც ისეთს აღმოაჩენდა, რაც სხვა მყიდველს გამორჩენოდა. ამ გრძნობას იგი სიახლეების სანახავად პარიზელი ქალბატონების *Bon-Marché*-ში<sup>109</sup> სიარულს ადარებდა, საიდანაც ისინი დატვირთულები ბრუნდებოდნენ. იგივე იყო აღმოსავლეთის ბაზარი ევროპელი ტურისტისთვის. ტფილისის ბაზარი არ ჰგავდა კონსტანტინოპოლის ცნობილ ბეზესტანს<sup>110</sup> თავისი საგანგებო უზნებით, შიდა ეზოებით, მაღაზიებით, საწყობებით, გზაჯვარედინებზე ზეთით განათებული მრგვალი გუმბათებით, ფერად მინებში შემოჭრილი სინათლით, დახურული გალერეებითა და ფარდულებით, სადაც მყიდველს ქაფქაფა ყავას სთავაზობდნენ, ტფილისის ბაზარს არც დამასკოს ბაზრის მდიდრული არქიტექტურა, არც კაიროს ბაზრების მნიშვნელობა და მრავალფეროვნება ახასიათებდა. ის არც თალიანი გალერეებით ჰგავდა სპარსული ბაზრების უმრავლესობას და მიუხედავად ამისა, მოგზაურისთვის ის არანაკლებ საინტერესო იყო.<sup>111</sup>

107 ჰერცოგინია დე როანი გულისხმობს მარიამს (1859-1919) – ბარონ ალექსანდრე ნიკოლაისა (1821-1899) და სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაის (1833-1862) ქალიშვილს, გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძის (1847-1918) მეუღლეს.

108 Herminie de Rohan-Chabot, *Les Dévoilées du Caucase; Notes de Voyage. A Son Altesse, La Princesse Salomé Murat qui m'a fait ouvrir avec une grace sans pareille les portes de son modestes lignes merveilleux Caucase, je dédie ces* (Original work published 1910) Paris, S.d. 60, 63-64, 66-68, 70.

109 Bon-Marché – პარიზის უნივერსალი, აშენდა 1852 წელს, შენობა დააპროექტა გუსტავ ეიფელმა.

110 Bézestan – ცნობილი ბაზარი კონსტანტინოპოლში.

111 Ney, *En Asie Central à la vapeur*, 125.

XIX საუკუნის მიწურულს თბილისის ბაზრებში თითქოს არაფერი შეცვლილიყო: სპარსეთისა და ინდოეთის საქონლით დატვირთული ასი აქლემისაგან შემდგარი ქარავნის დაუსრულებელი მსვლელობა მძიმედ მიიწევდა წინ, მათი ზანზალაკები კი მონოტონურად და ყრუდ ჟღერდა, საინტერესო სანახავი იყო ჭრელ კოსტიუმებში გამოწყობილი, კუმტ გამომეტყველებიანი სპარსელი, თათარი თუ ქურთი გამყოლები. ამ ქარავნებს ყოველ წელს ჩამოჰქონდათ ბამბის ათასობით ფუთა, რომლებიც შემდეგ დიდი ურმებით ან სხვა ქარავნებით ფოთში გადაჰქონდათ, შემდეგ კი შავი ზღვით ევროპაში გაჰქონდათ. ქარვასლების პატარა, ბნელ, ვიწრო ფარდულებში დიდი რაოდენობით შემოტანილი საქონლის მაგალითზე აზიური წარმოების საქონლის შესწავლა იყო შესაძლებელი.<sup>112</sup>

XIX საუკუნის მეორე თბილისის ბაზრებში არ იყო ლარივით გაჭიმული რიგები, მზისგან თავის შესაფარებლად ყველგან „რალაც ჩვრები“ ჰქონდათ ჩამოფარებული და იქ უწესრიგობა სუფევდა. გზები იხერგებოდა ირანიდან მოსული აქლემების გრძელი ქარავნით, კახური ღვინით გაბერილტიკებიანი სავსე ურმებით, მტკვრის წყლით დატვირთული ცხენებით, რომლებიც გზის გაკვალვას და მოძრაობას ცდილობენ, ამას ემატებოდნენ საქონლის ხელით და წყლის ზურგით დამტარებლები, რომლებიც ყველას ეჯახებოდნენ და ბაზრის ვიწრო ქუჩებს ხერგავდნენ. ბაზარში ერთმანეთში ირეონენ თვალწარმტაც სამოსში გამოწყობილი ყველა ეროვნების შებურული თუ თავშიშველი ქალები, „კავკასიის ვაჭრობის მეფეებად“ წოდებული სომხები ბრტყელი ქუდებითა და მოკლე ჩამოკანწიალებულ სახელოებიანი ხიფთებით; ზოგი მათგანი უკვე ევროპულ სამოსში იყო გამოწყობილი; ჩერქეზკაში გამოწვეპილი ქართველები მხიარული სახეებით; მაღალი და გამხდარი სპარსელები – ერთნი მდიდრულ ეროვნულ კოსტიუმებში თავზე გრძელი ასტრახანული წოწოლა ქუდებით, სხვები ახალი ხელთათმანებითა და უკანასკნელი პარიზული პეწით შემოსილები, ბეშმეთებში ჩაცმული თათრები წითელი წვერითა და კრაველის კონუსის ფორმის უზარმაზარი ფაფახებით, ოსები და მთიელები შავი თექის ქუდებით, ლეკები არწივისებრი პროფილით, ძველი შვაბიური კოსტიუმების ერთგული ვიურტენბერგელები, რუსი მოხელები უნიფორმებში და ევროპულ სამოქალაქო კოსტიუმებში, კაზაკები და რუსი ჯარისკაცები, ფუსტანელიანი<sup>113</sup> ალბანელები, ბერძენი მათხოვრები, ფართოშარვლიანი თურქები თუ თურქმანები ტრანსკავკასიის სტეპებიდან. საუბრობდნენ ქართულად, სპარსულად, თურქულად, გერმანულად, ებრაელები – ესპანურად, რუსულად და ვინ იცის კიდევ რა ენებზე. მზის ამოსვლიდან დაღამებამდე, გარდა შესვენებისა დღის ყველაზე ცხელ მონაკვეთში, საქმიანი ხალხი აჩქარებული ნაბიჯით, ვილაც ნელა, სხვანი მნიშვნელოვანი პერსონაჟებივით დარბაისლურად და ზანტად მიდი-მოდიოდა. იქ იყო მოზღვავებული ბრბოს მოძრაობა, ენით აუწერელი ხმაური, ყვირილი, ღმუილი, სხვადასხვა სუნი, თაკარა მზე და დამაბრმავებელი მტვერი, რადგან მორწყვაზე არავინ არ ფიქრობდა. ამ დავიდარაბაში ყველა ერთმანეთს ეჯახებოდა, ხელებს იქნევდა და მთელი ეს ჭრელი, მოძრავი, ხმაურიანი ბრბო ხელს უწყობდა იმ აღმაფრთოვანებელ შთაბეჭდილებას და

112 Pharamon Blanchard, Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858). Le Tour Du Monde. Paris. 1860, II, 114; Lycklama A Nijeholt, Voyage en Russie, 353-354; Henri Cantel. Le Prince Doment, scènes de la vie géorgienne. Revue des Deux Mondes T.40, 1862, 707. Pharamon Blanchard, Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858). Le Tour Du Monde. Paris. 1860, II, 114-115.

113 ფუსტანელა – ქვედა ბოლო, ზოგიერთი ბალკანელი ხალხების ტრადიციული ჩასაცმელი.

ხიბლს, რასაც ტურისტები განიცდიდა თბილისში. ამ სანახაობით აღფრთოვანებული ერნესტ ორსოლი წერდა, რომ ყოველი ფარდული შეიძლება ყოფილიყო ჟანრული ტილოს სიუჟეტი და თუ ოდესმე უნანია, რომ მხატვარი არ იყო, მხოლოდ ტფილისის ბაზრებში ხეტიალის დროს მიღებული შთაბეჭდილებების გამო.<sup>114</sup>

კემლენ-შვარცი ტფილისის ბაზრის ცხოვრების რამდენიმე საინტერესო მომენტს ეხება. მისი თქმით, ბაზარში ორიგინალური მეთოდით აცხობდნენ პურს; აღნიშნავს, რომ ამგვარი ღუმელები საფრანგეთში არ ჰქონდათ და დეტალურად აღწერს ამ პროცესს. მისი სხვა ცნობა „გადასატან ფარდულებს“ ეხება, რასაც მეტად ხატოვნად აღწერს: „ბაზარი ლაბირინთს წარმოადგენს; იქ იხლართები პატარა ქუჩებში, კიბეებზე, მოსახვევებში, ეზოებში და თითქოს ყოველივე ეს საკმარისი არ არის, გზაზე ყველგან გადასატანი ფარდულებია; ეს სახელწოდება დაერქვათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ვირებივით არიან დატვირთულები და ყველაფერს ყიდიან; ძირითადად ეს ჰერაკლესავით ჩამოსხმული ლამაზი ჭაბუკები იყვნენ. ერთ მხარეს მათ მოსასხამი, მეორეზე კი ნახევრად შეხსნილი ქსოვილები, კისერზე მძივები, ჰალსტუხები, ნახევარი დუჟინი ლენტი, ქამარში გარჭობილი ხანჯლები, პისტოლეტები, დანები; ამას დაუმატეთ მხარზე გადაკიდებული რამდენიმე თოფი, მკლავებზე კი ყოველივე, რისი დამაგრებაც შეიძლება და სავსე ხელები. ასეთები არიან ეს კავკასიელი დამტარებლები, რომლებიც ყიდიან ყველაფერს, დაწყებული საპნის ნაჭრით თუ ოდეკოლონით, ნემსებითა და ძაფებით, დამთავრებული ჟაპის<sup>115</sup> დასაქოქი საათებით, ძველი ლაგმით, რევოლვერით, მუსლიმური კრიალოსნით, ფაფახებით, ვინ იცის კიდევ რითი... და მათ ყოველ ნაბიჯზე ხვდები:“ ბაზარში ერთ-ერთი სეირნობის დროს ფრანგ მრეწველს საკმაოდ მოულოდნელი სიურპრიზი ელოდა, როდესაც ერთმა ახალგაზრდა სპარსელმა სუფთა გერმანულით მიმართა: Was wollen sie Kauffen mein Herr? – რა გსურთ იყიდოთ, ბატონო? ათი ნაბიჯის დაცილებით კი მეორემ იგივე ფრანგულად ჰკითხა. ყველივე ამ სანახაობით აღტაცებული კემლენ-შვარცი წერდა: „რა შესანიშნავი ტიპაჟებია! რა ფერებია! მზად ხარ იყვირო – მომეცით პალიტრა! ღვთის გულისათვის, პალიტრა! მაგრამ რა ვქნათ? ყოველივე ეს ძალიან ლამაზია ტილოზე გადასატანად. განცვიფრებული, დაბრმავებული, მოჯადოებული ხარ.“<sup>116</sup>

ის, რაშიც კვლავ სახელგანთქმულები იყვნენ თბილისელი ხელოსნები, ეს მოსევადებული ვერცხლი იყო. მეტად პრიმიტიული ხელსაწყოებით შეიარაღებული ეს „კავკასიელი მხატვრები“ ვერცხლს და ფოლადს დახვეწილი გემოვნებით და წუნდაუდებელი ფორმებით ასევადებდნენ. ეს იყო ხანჯლის ქარქაში, ქილები, ოქრომკედით ან ვერცხლის ძაფებით მორთულ ქამრები, ტანისამოსისათვის ნაბდების ბალთები, რომლებსაც „კავკასიურს“ (travaille du Caucase) უწოდებდნენ.

114 Lieutenant Pichon, La Géorgie, Service historique de l'Armée de Terre (SHAD). Perse 1807-1857, 1M, n°1673, cahier 43, fol. 10; Adolphe Joanne, Voyage en Orient par Adolphe Joanne. Ixelles lez Bruxelles, Delevingne et Calleqaert, 1850. t. I, 200; Ivan Golovin, The Caucasus by Ivan Golovin (London: Trübner & Co., 1854), 113; Gille, Lettres sur le Caucase et la Crimée, 263-265, 281; Lycklama A Nijeholt, Voyage en Russie, 353-354, 439; Ernouf, Le Caucase, la Perse, 176-178; Koechlin-Schwartz, Un touriste au Caucase, 256; Orsolle, Le Caucase et la Perse, 43-44.

115 ფედერიკ ჟაპი (Japy) 1771 წელს საათების სახელოსნო გახსნა ბოკურში, ბურგუნდი-აში. XIX საუკუნეში „ქმები ჟაპების“ ფირმა თავიანთი ნაწარმით შევეიცარიის საათების დიდი სახლების უმრავლესობას ამარაგებდა.

116 Koechlin-Schwartz, Un touriste au Caucase, 256, 261-267.

დებდნენ. რუსი ვაჭრები მოსკოვის უხარისხო საქონლის გაყიდვას ცდილობდნენ. სხვა ვაჭრები გაჩერებულები იყვნენ საბაჟოებზე, რადგან მათ საქონელს მეტად მაღალ ბაჟს ადებდნენ. ზოგიერთი ფრანგი ვაჭარი ალაღებდებოდა ცდილობდა ტფილისში ფრანგული საქონლის, ძირითადად ქალების ფუფუნების საგნების ჩატანას.<sup>117</sup> ნატიფი სამშვენისების, აბრეშუმისა და ქსოვილების მოყვარულებს სწორედ ბაზარში უნდა მოიკრიბათ მთელი თავისი ვაჟკაცობა, რომ ცდუნებისთვის გაეძლოთ – აქ იყო ნუხასა და შემახას ფარჩა, ოქროს ინსკრუსტაცია სპილოს ძვალზე ყაზიყუმუხიდან<sup>118</sup>, ზარნიშიანი ხანჯლები ყუბაჩიდან, ვერცხლის მოსევადებული სალტებიანი თოფები და პისტოლეტები შურადან, ცისფრად მოელვარე იატაკანები დალესტნიდან, ერევნის პროვინციის ქურთი ქალების მოქსოვილი ხალიჩები, იშვიათი და ძვირფასი ნივთები სპარსეთიდან, თურქეთიდან, თურქესტანიდან და ბუხარისა თუ ჰერათის შორეული სამეფოებიდანაც კი, რაც რუბლების დასამჩატებელი და საოცარი ნივთებით გამდიდრების საშუალება იყო.<sup>119</sup>

გამორჩეულ ყურადღებას იქცევს ფლორიან ჟილის ცნობა იმის შესახებ, რომ ტფილისი აღმოსავლეთის ნუმისმატიკური საბადო იყო. იგი წერს: „საქართველოში და ზოგადად ამიერკავკასიაში ამდენი ხალხის მოძრაობამ და სავაჭრო ურთიერთობებმა დატოვა ნიშნები, რომლებიც მოვლენების უკუღმართობამ იქვე დაიმარხა. ამგვარად, მიწა ანტიკური, თითქმის ყველა აღმოსავლური დინასტიისა და შუა საუკუნეების ევროპული მონეტების საცავად იქცა. იქ ნახავ ვენეციური მატაპანებს<sup>120</sup>, ვენეციური ცეხინებს, ფერდინანდარაგონელისა და ისაბელა კასტილიელის<sup>121</sup> გამოსახულებებიან ოქროს მონეტებს.

ამ ჩამარხული მონეტების საცავს დროდადრო სამიწათმოქმედო სამუშაოებისა და საინჟინრო საქმიანობისას აწყდებიან. ხშირად შეხვდები ე. წ. პატარა მონეტას – „კოლხურს“, ოქროს ბიზანტიურ მონეტებს და ჰერაკლესა<sup>122</sup> და მისი მემკვიდრეების ვერცხლის მონეტებს, რომლებიც ასე იშვიათია ევროპულ კოლექციებში; შემდეგ, მრავლადაა ხალიფებისა და კონიელი სელჯუკების<sup>123</sup>

117 Jean-Pierre Moynet. Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir. De Bakou à Tiflis 1859 (Inédit. – Texte et dessins de M. Moynet). *Le Tour du monde*, vol. I, 1860, 322 ; Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 263-265, 281; Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 264; Ney, *En Asie Central à la vapeur*, 124-127; Sansrefus, *De Paris à Tiflis*, 429, 432; Adolphe Joanne, *Voyage en Orient par Adolphe Joanne. Ixelles lez Bruxelles, Delevingne et Calleqaert*, 1850. t. I, 200.

118 ყაზიყუმუხის სახანო მდებარეობდა კავკასიონის სამხრეთი ფერდობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, დალესტნის მახლობლად.

119 Orsolle, *Le Caucase et la Perse*, 44-45; Sansrefus, *De Paris à Tiflis*, 428-429.

120 მატაპანი (matapans) – ვენეციური გროში, პირველი იტალიური მონეტა, რომელიც მოჭრეს დაახლოებით 1202 წელს ვენეციის დოჟის, ენრიკო დანდოლოს მმართველობის დროს.

121 ფერდინანდ II (1452-1516) — არაგონის (1479-1516), სიცილიისა (1468-1516) და ნეაპოლის (1504-1516) მეფე, ასევე ვალენსიის, სარდინიის, ნავარის, ბარსელონის გრაფი. იგი ასევე იყო კასტილიისა და ლეონის სამეფოს მეფე. ისაბელ I კასტილიელი (1451-1504) – კასტილიის დედოფალი 1474 წლიდან, 1469 წელს ცოლად გაჰყვა ფერდინანდ II არაგონელს. მათ „კათოლიკე მეფეებადაც“ მოიხსენიებდნენ.

122 ჰერაკლე I (575-641), ბიზანტიის იმპერატორი 610-641 წლებში, ჰერაკლიდების დინასტიის დამაარსებელი.

123 რუმის, იგივე კონიის სასულთნო (1077-1307).

დირჰამები<sup>124</sup>, აგრეთვე ზოგიერთი სპარსული ფელსი<sup>125</sup>, ჰულაგუიანების<sup>126</sup>, ჯალაირიანების<sup>127</sup>, ყარა-ყოიუნლუს<sup>128</sup>, აყ-ყოიუნლუსა<sup>129</sup> და სპარსული მონეტები. ოსმალური მონეტები უფრო ნაკლებადაა.

აქ ხშირად გვხვდება ისეთი ქართული მონეტები, როგორცაა დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, დედოფალ თამარისა და მის ქალიშვილის, რუსუდანის, სპილენძისა და აგრეთვე ვერცხლის მონეტები და სხვ. საპირისპიროდ, ორი დავითის, დემეტრე II-ს და განსაკუთრებით კი ვახტანგ III-ს<sup>130</sup> მონეტები უკიდურესად იშვიათია.

ძნელი ასახსნელია XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისის პოლონური ვერცხლის მონეტების სიუხვეა, რომელსაც აქ შეხვდები.“

ფლორიან ჟილის ამ ცნობების გამო კონსულტაციისთვის მივმართეთ ნუმიზმატიკის დარგში მოღვაწე ჩვენს კოლეგას, ისტორიის დოქტორს, ირაკლი ფაღავას. შესაბამის ლიტერატურაზე დაყრდნობით<sup>131</sup>, მისი აზრით ფლორიან ჟილის ცნობები ძირითადად შეესაბამებოდა სიმართლეს, მაგრამ მკვლევარმა ისიც აღნიშნა, რომ აყ-ყოიუნლუს და ყარა-ყოიუნლუს დროინდელი მონეტებისგან განსხვავებით, დემეტრე II-ს მონეტები იშვიათობას არ წარმოადგენდა, ხოლო ინფორმაცია ვენეციური მატაპანებისა და არაგონ-კასტილიის ოქრო მონეტების შესახებ გარკვეულწილად პირველწყაროდაც შეიძლება მივიჩნიოთ, რაც მეტ ღირებულებას სძენს ავტორის ცნობებს.

მოგზაურთა აზრით, ტფილისის ბაზარში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი იყო აბრეშუმის ქსოვილები და ხალიჩები. ჟან-პიერ მუანეს ცნობით, სპარ-

---

124 შუა საუკუნეებში გავრცელებული არაბული ვერცხლის ფული.

125 ფელსი – არაბული სიტყვაა და ნიშნავს სპილენძის მონეტას.

126 ჰულაგუიანები (ილხანები) – მონღოლური დინასტია. ჩინგის ხანის შვილიშვილის, ჰულაგუს შთამომავლები, რომლებიც XIII-XIV საუკუნეებში მართავდა ირანსა და მიმდებარე ტერიტორიებს.

127 ჯალაირიანები – სულტნების დინასტია (1340-1410 წწ.) წინა აზიაში, რომელიც წარმოსდგა ჯალაირის მონღოლური ტომიდან.

128 ყარა-ყოიუნლუ (თურქ. შავბატკნიანები), თურქული მოდგმის მომთაბარე ტომების გაერთიანება აზერბაიჯანსა და დასავლეთ ირანში (1410-1468); სახელწოდება უკავშირდება მათ დროშაზე გამოსახულ შავ ცხვარს.

129 აყ-ყოიუნლუ (თეთრბატკნიანები) – თურქული მოდგმის მომთაბარე ტომების გაერთიანება მდინარე ტიგროსის ზემოწელში XIV-XV საუკუნეებში (დიარბექირსა და სივასს შორის).

130 დემეტრე I – საქართველოს მეფე 1125-1156 წწ.; გიორგი III საქართველოს მეფე 1156 წლიდან; თამარ მეფე საქართველოს მონარქი 1184 წლიდან; რუსუდანი – საქართველოს მეფე 1223-1245 წწ.; დავით VII გიორგის ძე საქართველოს მეფე 1247-1270 წწ.; დავით VI რუსუდანის ძე – საქართველოს მეფე 1245 (1247)-1293 წწ.; დემეტრე (დიმიტრი) II, თავდადებული – საქართველოს მეფე 1270-1289 წწ.; ვახტანგ III – საქართველოს მეფე 1298 ან 1299 და 1302-1308 წწ.

131 E. A. Пахомов: 1. Монетные клады Азербайджана и других републик, краев и областей Кавказа. Выпук 08, Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, Баку, 1959; 2. Монетные клады Азербайджана и других републик, краев и областей Кавказа. Выпук 09, Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, Баку, 1966; რევზ ქებულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. თბილისი: მეცნიერება, 1971; Джалаганиа И. Из ифтории монетного дела Грузии XIII века. Тбилифи, Издательство Академии Наук Грузинской ССР. 1958. С. 73-75.



სელები დახელოვნებულები იყვნენ ხალიჩაზე ფერების იმგვარად განლაგებით, რომ თვალი არ დაღლილიყო. ყვავილების გამოსაყვანად მათთვის საკმარისი იყო საფუძველში ერთი ან ორი ტონის დელიკატურად დადება. ისინი ფრანგებივით არ უყურებდნენ, თუ რა გამოვიდოდა ხალიჩიდან შუქ-ჩრდილების კონტრასტით, პირველ რიგში ისინი ძირითად ეფექტს ეძებდნენ. ამ აზრს იზიარებდა გერმანელი დიპლომატი, ტიელმანიც, მაგრამ მისი ცნობით, ხალიჩების ყიდვა რუსული უზნის მაღაზიებში სჯობდა, რადგან საქონელი იქ უკეთესად იყო შერჩეული და მყიდველი ნაკლებად შეცდებოდა საქონლის ხარისხსა ან ფასში. სპარსული და შემახური აბრეშუმის ქსოვილების გვერდით იყიდებოდა კოეხლინ-ბაუმგარტნერისა<sup>132</sup> მოჩითული ბამბის ქსოვილები და შალეული მოსკოვიდან. ფრანგი ნეგოციანტი აზარდი პარიზის Bon Marché-სათვის თბილისში ყიდულობდა ხალიჩებს, მაგრამ მოსაწონი პარიზულ ფასზე ძვირი იყო.

1905 წლის რევოლუციის დროს, აპრილში თბილისში ჩამოსული ფრანგი ჟურნალისტი, კლოდ ანე გაფიცული ქალაქის ბაზრის ერთადერთ სიმდიდრედ კავკასიურ, დაღესტნურ, ტრანსკასპიისპიურ, სამარყანდულ, ბუხარულ, ავღანურ, სპარსულ, განსაკუთრებით თავრიზულ, ხალიჩებს ასახელებს, რომლებიც ძვირი არ ღირდა, ზოგიერთი კი შესანიშნავი იყო. ერმინი დე როანის ცნობით, 1909 წლის ივნისში თბილისის აღმოსავლური უბანის ბაზარში გაშლილი იყო ფუფუნების ნივთები – ლამაზი ხალიჩები, ფირუზები, მინანქრიანი და ფილიგრანული სამკაულები, ქსოვილები, ვუალები, შარფები, ძველი და თანამედროვე იარაღი. სპარსელები მედიდურად ისხდნენ თავიანთი ფარდულების წინ და მშვიდად ეწეოდნენ. ეს ფარდულები ძლიერ განსხვავდებოდა ბულვარზე მდებარე მდიდრული მაღაზიებისგან. მაგრამ მოგზაურს ეს ფარდულები უფრო იზიდავდა. იგი გულდაწყვეტით წერდა, რომ ყარსის რკინიგზის ხაზის გახსნის შემდეგ<sup>133</sup>, ტფილისში აქლემები აღარ მოჰყავდათ, რაც მეტად სამწუხარო იყო, რადგან თავშესაქცევი იქნებოდა იმის ნახვა, თუ როგორ წვებოდნენ აქლემები ტვირთის მოსახსნელად თავიანთი პატრონების ფარდულების წინ.<sup>134</sup>

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურები საკმაოდ დეტალურად აღწერენ ტფილისის ბაზრებს, იქ წარმოდგენილ საქონელს და უინტერესო არ არის იმ ცნობების მოყვანა, თუ რა შეიძინეს მათ მიერვე ასე საგანგებოდ აღწერილ ბაზრებში. ფლორიან ჟილმა ბაზარში შეიძინა კარგი იარაღი – ყამა და შაშკა, ყაბარდოული და ჩეჩნური პირებით.<sup>135</sup> ფრანგმა მხატვარმა, მუანემ და ალექსანდრე დიუმამ ბაზარში იყიდეს ძალიან თბილი და ლამაზია ხორასნული ქეჩის ხალიჩები შალის ფერადი ჩანართებით. მუანეს თქმით, ამგვარი ქსოვა საფრანგეთში უცნობი იყო. ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნიეპოლტმა თბილისში თავისი კოლექციისთვის შეიძინა რამდენიმე უმაღლესი

132 კეხლინ-ბაუმგარტნერის (Kœchlin-Baumgartner) ტექსტილის საწარმო დაარსდა XIX საუკუნის დასაწყისში, 1806-1807 წლებში, გერმანიაში, ბადენ-ვიურტემბერგში, ქალაქ ლორაჰში.

133 თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზი 1899-1901 წლებში გაიხსნა.

134 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 263-265, 281; Moynet, *Voyage à la mer Caspienne*, 322. Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 353-354, Baron Ernouf, *Le Caucase, la Perse, et la Turquie d'Asie*, 179-181; Kœchlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 265-266; Orsolle, *Le Caucase et la Perse*, 45; Anet: *Les Roses d'Ispahan*, 89-90, 107; Rohan, *Les Dévoilées du Caucase*, 67-68.

135 Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée*, 263-265, 281.

წრთობის მქონე ორიგინალური ფორმის იარაღი. ოგიუსტ დე ვილმორენმა, თბილისის ძველ უბანში ირანელი ხალიჩებით მოვაჭრის, კაფაროვის, ფარდულთან გავლისას თავი ვერ შეიკავა და საკმაოდ ბევრი სამშვენისი და საინტერესო ნივთები იყიდა.<sup>136</sup>

1882 წელს ტფილისიდან ირანში მიმავალმა ერნესტ ორსოლმა, დრაგომან ჟერომის დახმარებით, მაღაზიებსა და ბაზრებში პირველი აუცილებლობის საგნები შეიძინა: სამზარეულოს პატარა ქურა, გადასატანი საწოლი, შაქარი, ჩაი, კონსერვები, პური, კახური ღვინით სავსე ტიკი, სამგზავროდ კარგად შერჩეული აფთიაქი, რამდენიმე ბოთლი კონიაკი წყლის გასაზავებლად და პატრონებით სავსე ყუთი. შუა აზიაში მიმავალმა ნეიმ ტფილისიდან გასვლამდე მოიმარაგა სხვადასხვა კონსერვები: მოშუშული საქონლის ხორცი, ხბოს შემწვარი ხორცი, ზღვის თინუსი, foie gras<sup>137</sup>, შაქარი და ერთი კილოგრამი შესანიშნავი ჩაი. იგი წერს: „მოგვიანებით როგორ გავიხარე ამ პროვიზიის შექმნით, რაც მეტად ძვირფასი აღმოჩნდა ყარა-ყუმის უდაბნოში.“ ნეი რეკლამას უწევდა „ხელოვანი ფრანგი კონდიტერის“; დიუფურის ნახელავ გემრიელ და ორიგინალური არომატის მქონე ნამცხვარს – „ტრანსკასპიურს“; რომელიც მან პარიზში ჩაიტანა და რომელიც შესანიშნავად ინახებოდა რამდენიმე კვირის განმავლობაში, ხოლო რადგან კავკასიის ღვინოები ვერ იტანდნენ გადატანას, ამ მიზეზის გამო მან პარიზში წასაღებად ღვინო არ შეიძინა, როგორც მას ეს თავიდან სურდა. ირანში წასაღებად კლოდ ანემ და მისმა თანამგზავრებმა თბილისში შეიძინეს სავსე საწოლები, ორი მარმიტი, ორი ქვაბი, თორმეტი თევზი და დანა-ჩანგალი, ქურჭლის გასაწმენდი ტილოები და ხელსახოცები. საკვები – სოსისები, შაშხი, სარდინების, ხბოს ხორცის, ბოსტნეულის კონსერვები, პაშტეტი, ყველი, მშრალი ბისკვიტები, მურაბები, კომპოტები, მარილი, შაქარი, ჩაი, შოკოლადი, ლიმონი.<sup>138</sup> საინტერესო ფაქტია, რომ რევოლუციური კომიტეტების აქტიურობისა და ნახევრად გაფიცული ქალაქის პირობებში თბილისის რესტორნებსა და მაღაზიებში მაინც შესაძლებელი იყო ამგვარი დელიკატესების შექმნა.

## კახური ღვინო

XIX საუკუნეში საქართველოში ჩამოსული ყველა ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაური საგანგებოდ ეხება ქართული ღვინის საკითხს. ჟაკ-ფრანსუა გამბას ცნობით, ფრანგი მეცნიერი, გრაფი შაპტალი<sup>139</sup>, რომლის ნაშრომი ვენახისა და ღვინის წარმოების შესახებ იმჟამად საქართველოშიც იყო ცნობილი, საქართველოს მიიჩნევდა იმ ქვეყნად, სადაც პირველი ვენახი გაზარდეს. მოგზაურები კი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში, სადაც ხელსაყრელი ჰავა და ნიადაგი იყო, ვაზი კარგად ხარობდა, ხეობები და ბორცვები მთლიანად მცოცავი ვენა-

136 Moynet, Voyage à la la mer Caspienne I, 322; Lycklama A Nijeholt, Voyage en Russie, 353-354; Vilmorin, De Paris a Bombay, 26.

137 Pâté de foie gras – ნასუქი ბატის ან იხვის ღვიძლის პაშტეტი.

138 Orsolle, Le Caucase et la Perse, 51; Ney, En Asie Central à la vapeur, 139, 144; Anet Les Roses d'Ispahan, 89-90, 107.

139 ჟან-ანტუან შაპტალი, გრაფი შანტელუ (1756-1832) – ფრანგი ქიმიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, 1800-1804 წლებში საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, პეტერბურგის აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი. 1799 წელს გამოცემული მისი ნაშრომით “Vin”, მეღვინეები მაშინვე ძლიერ დაინტერესდნენ.

ხით იყო დაფარული, კახეთს კი საქართველოს ყველაზე დიდ ვენახს უწოდებდნენ. მუსლიმების შემოსევების შედეგად განადგურებული ვენახების ფართობი XIX საუკუნეში იზრდებოდა. გარკვეული წინსვლის მიუხედავად, ექიმი შარლ ტეიული შენიშნავს, რომ, 1840 წელს თბილისის მიდამოები ნაკლებად იყო დამუშავებული და იგი იმასაც აღნიშნავს, რომ კავკასიის სოფლებში აკლდათ მიწათმოქმედებისათვის საჭირო იარაღების დამამზადებელი მარჯვე ხელოსნები; თბილისიდან დაცილებული მეურნეობების უმეტეს ნაწილში არ ჰქონდათ ეფექტური საშუალებები მიწის დასამუშავებლად და სოფლის მეურნეობაში ყველაზე საჭირო ჭურჭელი. გუთანს ორი კაცი მიათრევდა, ხვნის პროცესი ნელა და ცუდად მიმდინარეობდა და მას ხუთი წყვილი ხარის ძალა სჭირდებოდა. ფრედერიკა ფრეიგანგის ცნობით, ყაზბეგის – მთის ღვინო საკმაოდ კარგი იყო და ოდნავ მადერას ჰგავდა. პოლკოვნიკი როტიე აღნიშნავს, რომ წერეთლის სამფლობელოში დაწურული ღვინო ძალიან კარგი იყო და სამხრეთ საფრანგეთის ღვინოებს ჰგავდა, მაგრამ ალკოჰოლის ნაკლები შემცველობა ჰქონდა. მორის კოცებუს თქმით, კახური რბილი და მსუბუქი ღვინო ძალიან ჰგავდა კარგ ფრანგულ ღვინოებს. კახეთის ვენახებიდან ჟაკ-ფრანსუა გამბა გამოყოფდა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ვენახებს წინანდალსა და მუკუზანში. იქ მოწეული ყურძნის ღვინო ცნობილი იყო თავისი ხარისხით და პირველი ადგილი ეჭირა საქართველოს ღვინოებს შორის. გამბას აზრით მუკუზნის ღვინო ძალიან ჰგავდა მედოკს<sup>140</sup> და თავს არ ატიკებდა. თავადი ჭავჭავაძე კი დიდ ყურადღებით ეკიდებოდა ვენახის მოვლას და ღვინის წარმოებას, რაზეც იყო დამოკიდებული მისი შემოსავალი. თავის მამულში მევენახეობისა და მეღვინეობის გასაუმჯობესებლად მას დახმარებას უწევდა ბურგუნდიელი მეღვინე ლე რუ. ასევე კარგი იყო თელავის ოლქის სოფელ კონდოლში გაშენებული მთავრობის კუთვნილი და თავად ივანე აფხაზის ვენახებიც. ყველაზე ცნობილი სამარკო ღვინოები ეკუთვნით თავადებს ჭავჭავაძესა და ბებუთოვს. საუკეთესო მარანი გენერალ ვანჰოვერს ჰქონდა, მისი საუკეთესო ხარისხის ღვინოები პორტვინსა<sup>141</sup> და მადერასას<sup>142</sup> ჰგავდა და უფრო არომატული იყო. ზოგი მოგზაურის აზრით, ბოთლებში შენახული რამდენიმე წლიანი თბილისის თეთრი ღვინოები ძლიერ ჰგავდა სოტერნულ ღვინოებს.<sup>143</sup> დიუბუა დე მონპერეს შეფასებით კახური ღვინოები თავისი ფერით ძალიან ჰგავს ბურგუნდიის ღვინოებს, ისინი არ იყო ისეთი მშრალი და მწკლარტე, როგორც ბორდოს ღვინოები და მეტად დადებითად აფასებდა ბარონი როზენის კახურ და მისთვის სამეგრელოდან გამოგზავნილ ღვინოებს, აგრეთვე გერმანელი კოლონისტების მიერ დიდ კასრებში წარმოებულ „ჯანმრთელი და საკმაოდ სასიამოვნო“ ღვინოებს, რომლებსაც არ ჰქონდა გუდრონისა გემო, მაგრამ ამ ღვინოს თბილისში არ ეტანებოდნენ, რადგან ქართველებს თავიანთი გუდრონის გემოიანი ღვინო ერჩიათ, თუმცა მოგზაური იმასაც აღნიშნავს, რომ ამის მიზეზი უფრო მაღალი ფასიც იყო. შარლ ბესი გორის მიდამოებში კაპუცინი

140 მედოკი – მეღვინეობის ცნობილი კერა ბორდოს რეგიონში.

141 პორტვინი – ტკბილი, შემავარებული ღვინო პორტუგალიის ჩრდილოეთიდან. სახელწოდება მიიღო მდინარე დორუს ნაპირზე მდებარე ქალაქ პორტუს, ღვინით ვაჭრობის ცენტრის, მიხედვით.

142 მადერა – ერთგვარი მაგარი ღვინო პორტუგალიის კუნძულ მადეირას სახელის მიხედვით.

143 სოტერნი ტკბილი ფრანგული ღვინოა, რომელსაც ბორდოს ვენახების ერთ-ერთ ქვედანაყოფში, სოტერნში, აწარმოებენ.

ბერის მიერ მოწეული ყურძნით დაწურულ ღვინოს შესანიშნავს უწოდებს. გრაფი სიუზანეს ცნობით კახური ღვინო კავკასიის მთელ გუბერნიაში იყო ცნობილი და რუსები მას ბურგუნდიულ ღვინოს ადარებდნენ. გრაფის აზრით, ის უფრო მსუბუქი და ნაკლებად მათრობელია იყო. ლიკლამა ა ნიეჰოლტი გამოჰყოფს ორი ღვინოს: მაგარი და ძლიერ შეფერილი წითელი ღვინო მას ოდნავ აგონებდა ბურგუნდიის ღვინოებს. თეთრი ღვინოებიდან ყველაზე დაფასებული იყო ოქროს ღვინო (vin d'or), რომელსაც ეს სახელწოდება ქარვის ფერის გამო ჰქონდა. კახური ღვინო მისი აზრით მადერას თუ მარსალას<sup>144</sup> ჰგავს, თუმცა ნაკლებად თბილი და ნაკლებად მაგარი იყო. ნეის ცნობით კახური სასიამოვნო სასმელი, კარგი ფერის, ტკბილი, მსუბუქი და ადგილობრივი მიწის სურნელით გაჟღენთილი იყო, რაც ღვინოს განსაკუთრებულ ბუკეტს ანიჭებდა და საფრანგეთიდან შორს მყოფისთვის ბედნიერება იყო შესანიშნავი ღვინის დაღვევა, რაც მას ასვენებდა გერმანული ლუდისაგან, რადგან ცენტრალურ ევროპაში მგზავრობის დროს იძულებული იყო დაეღია უსახელო და ამასთან ძალიან ძვირი ნაყენები. კემლინ-შვარცის აზრით, ყველაზე უბრალო ღვინო ის იყო, რომელიც ინარჩუნებდა ფერს. ძალიან გემრიელი იყო წითელი ღვინო ველური ვაზის მარცვლებით და თეთრი ღვინო გახუხული პურით. საუკეთესო ღვინოდ იგი კახურ წითელს მიიჩნევდა, რომლის 1 ლიტრი 1879 წელს დაახლოებით 15 კაპეიკი ღირდა, რაც არ იყო ძვირი. მოგზაურების აზრით, კახურ ღვინოს ჰქონდა ორი ძვირფასი თვისება: პირველი, როდესაც ის ფალსიფიცირებული არ იყო, არ ათრობდა, არ იწვევდა თავის ტკივილს და ფატალურ შედეგს, რაც დასავლეთში აღინიშნებოდა ღვინის უზომო სმის შემდეგ. მეორე – არჩენდა პოდაგრას, რაც შემოწმებული და დაადასტურებული იყო პიატიგორსკელი ექიმის, კონრადის, მიერ. საინტერესოა ცნობა იმის შესახებაც, რომ საქართველოს მოსახლეობას, სხვა ქვეყნების მოსახლეობისგან განსხვავებით, ნაკლებად ემართებოდა პოდაგრა<sup>145</sup>.

ღვინის შესანახ ჭურჭელს, ქვევრს, გამბა თიხის დიდ დოქს (jarres), დიუბუა დე მონპერე კი ამფორას უწოდებს, ფლორიან ჟილი მას თავისი სახელწოდებით აღნიშნავს – ქვევრი (*kwéwri*), მას დიდი ზომის კადოსს ადარებს<sup>146</sup> და ქვეყნის ერთ-ერთ საოცრებას უწოდებს. ფრანგი მრეწველი ალფრედ კემლინ-შვარცი აღნიშნავდა, რომ კავკასიაში ისე არ აყენებდნენ ღვინოს, როგორც ევროპაში. სხვადასხვა ცნობებით ქვევრი 10,000 ბოთლს ან 100 ჰექტოლიტრს<sup>147</sup> – 10,000 ლიტრს იტევდა. მოსავლიან წელიწადში თავად ჭავჭავაძეს სხვადასხვა ვენა-

144 მარსალა – სადესერტო ღვინო, აწარმოებენ სიცილიაში.

145 Freygangs, *Lettres sur le Caucase et la Géorgie*, 65; Kotzebuë, *Relation d'un voyage en Perse*, 50; Rottier, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, 114-116; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 79, 82, 89-90; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 70, 79; Dubois de Montpéroux, *Voyage autour du Caucase*, III, 247-250; Besse, *Voyage en Crimée au Caucase*, en Géorgie, 354; Suzannet, "Les Provinces du Caucase sous la domination russe. La Géorgie", 59; Gille, *Lettres sur le Caucase*, 272-274; Moynet, *Voyage à la mer Caspienne*, 319; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 435-436; Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 262-264; Ney, *En Asie Central à la vapeur*, 138.

146 ლეგენდის თანახმად, ჰერაკლეს მხრებზე შემოგდებული ტახის დანახვაზე შეშინებული ევრისტოესი ჭურჭელში დაიმალა. ეს სცენა ასახულია ძველი სტილის ამფორაზე: – მიკენის მეფე მასში ნახევრადაა ჩაფლული და იქიდან მისი ხელები და ძლიერ შეშინებული თავი ჩანს. ასეთ ჭურჭელს საბერძნეთში კადოსი ეწოდება.

147 1 ჰექტოლიტრი = 100 ლიტრს

ხებიდან 30,000 თუნგამდე (1 თუნგი დაახლოებით 3-3,5 ლ-ს ტოლი იყო) ღვინის მიღება შეეძლო. ბელანუეს ცნობით, კახეთში ყოველ წელს 1,5 მლნ ვედრო<sup>148</sup> ღვინოს წურავდნენ და დაახლოებით 100,000 ვედრო არაყს ხდიდნენ. ერთი ვედროში ჩადიოდა 13,3 პარიზული პინტა ჩადიოდა. ერთ ვედრო კი 12,6 ლიტრს იტევდა<sup>149</sup> და ქართველები მთლიანად ითვისებდნენ ამ სასმელებს. გრაფი სუზენას ცნობით, 1840 წელს კახეთში დაახლოებით 3 მლნ ვედრო ღვინოს წურავდნენ, მაგრამ ღვინის დიდი რაოდენობით სმისა და მისი ცუდად შენახვის გამო, ორწლიან ღვინოს კახეთშიც კი ვერ მოძებნდი. XIX საუკუნის 60-იან წლებში კახეთში 40-50 მლნ ბოთლს ანუ 50,000 ჰექტოლიტრზე მეტ აწარმოებდნენ. XX საუკუნის პირველ წლებში ქართული და ტრანსკავკასიური ღვინით ვაჭრობის ცენტრი თბილისში იყო, რომლის რაოდენობა წლიურად დაახლოებით 20 მლნ ვედროს შეადგენდა.

საქართველოში არ იყენებდნენ არც კასრებს და არც ბოთლებს. მთელი ღვინო კამეჩის, ძროხის, ღორის და თხის ტიკებით (outres) გადაჰქონდათ. კამეჩის, ძროხისა და ღორის ტიკებში ჩასხმული ღვინო უფრო მისაღები იყო და ნაკლებად უსიამოვნო გემო ჰქონდა, ვიდრე თხის ტყავში ჩასხმულს. ტყავის მთლიანად შესანარჩუნებლად ცხოველებს განსაკუთრებული წესით კლავდნენ, შიგნით მოქცეულ ბეწვს გულმოდგინედ უსვამდნენ ბაქოს შავ ნავთს, რაც ცუდად მოქმედებდა ღვინოზე და მას პირველივე დღეებიდანვე გუდრონის უსიამოვნო გემოს აძლევდა. თბილისის ღვინის ბაზარში, მეღვინეების მალაზიესა და სარდაფები ჩალაგებული ტიკები ოთხი გრძელი ფეხით, წყალში დამხრჩვალ ცხოველის გვამებს ჰგავდა. ზოგი უცხოელისთვის ის მეტად უსიამოვნო სანახავი იყო, ზოგის აზრით კი ისინი ორგინალურ ეფექტს ქმნიდნენ.

ქართველებისთვის ისევე, როგორც ყველა სხვა ცივილიზებულ ქვეყანაში, უცხო არ არის ღვინის ფალსიფიცირება. ღვინოს შესაბამის ფერმენტაციას არ უკეთებენ, ის მუავდებოდა როდესაც ჭურჭლიდან იღებდნენ და ტიკებში ასხამდნენ. კახელებს, ისევე, როგორც ყველა აზიელს, ხარისხს რაოდენობა ერჩევნათ და ისე რწყავდნენ ვენახებს, რომ ღვინო მალე მუავდებოდა. ისინი არ იცავდნენ ყურძნის ასორტიმენტს და მცირე ყურადღებას აქცევდნენ მისი ფერმენტაციის პროცესს.

საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, ღვინის მოხმარება უზარმაზარი იყო და მისი 4/5 კახეთიდან შეჰქონდათ. ხელოსნით დაწყებული თავადით დამთავრებული ქართველის ჩვეულებრივი რაციონი ერთი თუნგი იყო. ღვინის მიმართ გამოთქმული კროტიკული შენიშვნების მიუხედავად, თბილისში იყიდებოდა კარგი ღვინო და ის საკმაოდ იაფიც იყო. 1 თუნგი (3-3,5 ლ) საუკეთესო ქართული ღვინო მხოლოდ ერთი აბაზი ანუ (80 სანტიმი – 1 ფრანკი), ერთი ბოთლი სუსტი და საშუალო ღვინო 1 სუმდე (დაახლოებით 5 სანტიმი, ფრანკის 1/5-ს) ღირდა და მასში ტრანსპორტირებისა და გამყიდველის მოგების ფასიც შედიოდა. გენერლები და წარჩინებულები კი თუნგის მეოთხედ საუკეთესო ღვინოში 1 აბაზს (20 სუ) იხდიდნენ, საუკეთესო ხარისხის ღვინო კი დაახლოებით 2 აბაზამდე (1 ფრანკი 60 სანტიმი) ღირდა.

148 ერთი ვედრო მოიცავს 13 პარიზულ პინტა ნახევარს. 1 პარიზული პინტა დაახლოებით 952,146 მლია.

149 ამ ციფრების თანახმად კახეთში დაახლოებით 19,000,000 ლიტრს ღვინოს აყენებდნენ და 1,200,000 ლიტრ არაყს ხდიდნენ.

მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ რუსეთში კახური ღვინის პოპულარიზაციას ძირითადად მისი ტრანსპორტირების სირთულე უშლიდა ხელს. მათი აზრით, როდესაც კახეთში ქვევრებს და ტიკებს სარდაფებით, კასრებითა და ბოთლებით ჩაანაცვლებენ, ღვინის დასაყენებლად კი ევროპაში მიღებულ პროცესებს შეითვისებდნენ, საქართველოდან ღვინის ექსპორტის დაწყებასაც შესძლებდნენ.

მოგზაურებმა ყურადღება მიაქცის ღვინის სასმელ ჭურჭელსაც. პოლკოვნიკ როტიეს ცნობით, თავად წერეთლის მსახური სტუმრებს უზარმაზარი დოქიდან უსხამდა ღვინოს ვერცხლის დიდ კოვზში (აზარფეშა), საიდანაც ყველა თავისი რიგის მიხედვით სვამდა, მისი და თავადის ცოლი კი ორივე ერთი ბრტყელი, პატერას<sup>150</sup> მსგავსი თასიდან სვამდნენ. ჟან-შარლ დე ბესმა გენერალ სტრეკალოვის მიერ ნაჩუქარი ჯიხვის რქა, რომელშიც დაახლოებით ერთი ლიტრი ღვინო ჩადიოდა, კარგად გააპრიალებინა ქართველ ხელოსანს, ორივე მხრიდან ვერცხლში ჩაასმევინა და პეშტის საბუნებისმეტყველო მუზეუმს გაუგზავნა. ფლორიან ჟილი აღნიშნავს რომ შეძლებულ ხალხს ვერცხლის აზარფეშები და კულები ჰქონდათ. აზარფეშა საინტერესო ორნამენტებით იყო მორთული, კულაზე კი ნადირობის სცენები იყო გამოსახული. მუანე აღწერს ერთ ქართულ სადილს, რომელსაც ალექსანდრე დიუმასთან ერთად დაესწრო, სადაც ყველა სტუმარი ღვინოს რიგ-რიგობით სვამდა ერთი ყანწიდან. პოლ დე ვილენევი აღნიშნავს, რომ ღვინის სმა საქართველოში ღირსების საქმედ მიიჩნეოდა, მამაკაცები ამას ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ და ეს უნარი საშუალო ასაკში ჰქონდათ შენარჩუნებული<sup>151</sup>.

**ბაზილ ტაიროვის ცნობები ქართული მეღვინეობის შესახებ.** 1888 წელს კავკასიის მევენახეობის შესახებ ბაზილ ტაიროვის მიერ მონპელიეში გამოცემულ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ბოლო დროს უცხოელების ყურადღება კავკასიის ბუნებრივმა სიმდიდრეებმა მიიზიდა. განსაკუთრებული ინტერესი დაეთმო მეღვინეობას, რომლის სამშობლოდ, სომეხი ეროვნების ტაიროვი, სომხეთს ასახელებს. მისივე ცნობით, ზოგადად კავკასიის მეღვინეობა იმჟამად ნაკლებად აკმაყოფილებდა არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ევროპის მოთხოვნილებებსაც, რადგან ვენახები ფილოქსერით და სხვა გაურკვეველი ავადმყოფობებით (cryptogamiques) იყო დაავადებული. ამასთან, კავკასიის ღვინოების ექსპორტი იმჟამად კვლავ მეტად შეზღუდული იყო ტრანსპორტირების სირთულისა და ბაზრის მოთხოვნილებების არცოდნის გამო. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში აღსანიშნავი პროგრესული ნაბიჯი იყო მეღვინეობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესასწავლად უცხოეთში, მონპელიეს სასოფლო სამეურნეო სკოლაში სასწავლებლად ახალგაზრდების გაგზავნა. მეღვინეობის განვითარების მიზნით, პეტერბურგის ოლქების (domaine) სამინისტროში კომისიის მიერ შემუშავებული იყო შემდეგი გეგმა: 1. მევენახეობის სხვადასხვა რეგიონებში თანამედროვე სარდაფების დაარსება ღვინის შესანახად და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო სამუშაოს ჩატარება; 2. სანერგეების შექმნა ვაზის კალმებისა და ფესვების გასამრავლებლად; 3. კრედიტის გამოყოფა მეღვინეების დასახმარებლად; 4. არდადეგების დროს ამ სადგურებში კურსების დაარსება სოფლის სკოლების

150 პატერა – ფართო და ბრტყელი რიტუალი ჭურჭელი, რომელსაც უძველეს დროში, განსაკუთრებით ძველ რომში, ღმერთებისათვის ღვინის შესაწირად იყენებდნენ.

151 Gamba, Voyage, II, 82-83; Bélanger, Voyage, II, 78-81; Besse, Voyage, 337-338, 354. Dubois de Montpéreux, Voyage, III, 247-250; Gille, Lettres, 272-274; Moynet, Voyage, 319-120; Villeneuve, La Géorgie, 43-44.

მასწავლებლების მოსამზადებლად, რათა ვაზის გახარებისა და მეღვინეობის შესახებ მიღებული ცოდნა შემდგომ თავიანთი მოსწავლეებისთვის გადაეცათ; 5. მეღვინეობისთვის საჭირო საწყობების მოწყობა მანქანების, აპარატების, ხელსაწყოების, ინსტრუმენტების შესანახად; 6. სისხლის სამართლის ზომების მიღება ღვინის ფალსიფიცირებისა და იმიტაციის წინააღმდეგ; 7. მეღვინეობის ლაბორატორიის დაარსება; 8. ღვინის ექსპორტის მოგვარება.

ამ ზომების მიღებით რუსეთის მთავრობა იმედოვნებდა იმ რუტინის აღმოჩენას, რომელიც ასე დიდხანს აფერხებდა მეღვინეობას და მისი ევროპული ქვეყნების სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანას. აუცილებლად ხაზგასასმელი იყო შემდეგი მომენტები: 1. ღვინის წარმოების მანიპულაციების პრიმიტიულობა, ღვინის შენახვის უცოდინარობა; 2. ინერცია, უინიციატივობა და ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა ღვინის შენახვის თვალსაზრისით, რაც მათ მის სწარფად და იაფად გაყიდვას აიძულებდა; 3. საკომუნიკაციო გზების უქონლობა, რაც ართულებდა საქმიან ურთიერთობებს და სხვ. მევენახეებს მუდმივ სირთულეებს უქმნიდა კავკასიაში გავრცელებული ვენახის ავადმყოფობა. ფილოქსერამ (*phylloxera*) და *Oidium Tuckeri*-მა (ოიდიუმი – ნაცარი), რაც დიდს ზარალს იწვევდა.

XIX საუკუნის მიწურულში, თბილისის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაბეჯითებული მოთხოვნის მიუხედავად, მეღვინეების უმრავლესობა არ იყენებდა გოგირდს. ყურძენს შიშველი ფეხებით წურავდნენ ხის, თიხის ან ქვის ანტიკური ფორმის ქურჭელში. მასში ხშირად მხოლოდ ყურძენის დაწურულ წვეს აგროვებდნენ და შიგ დაუწურავად ყრიდნენ ჭაჭას, მაგრამ დიდი მეურნეობები და ნეგოციანტები უკვე იწყებდნენ კასრების გამოყენებას. ჩენჩობითა და ლერწმებით ფერმენტირებული წითელი და თეთრი ღვინო იმავე წელს იყიდებოდა. ძველი ღვინოები კვლავ ძალიან იშვიათი იყო, რადგან არ ინახებოდა. მეტ-ნაკლებად მცოდნე დიდი მეურნეობებისა და ნეგოციანტების ღვინის გარდა, ღვინო არ იყო დაწმენდილი, ის კვლავ კამეჩის ან ხარის შიგნიდან ფისით დაფარული ტიკებით ურმები გადაჰქონდათ, მთიან რეგიონებში კი ცხენს ან ვირს ჰკიდებდნენ.

კავკასიის ღვინოების ექსპორტი, მის წარმოებასთან შედარებით, უმნიშვნელო იყო. მას ძირითადად ადგილზე მოიხმარდნენ, სადაც ღვინის სმის ჩვევა ჰქონდათ. კახეთის ყველაზე ცნობილი და საუკეთესო ვენახები იყო წინანდალში, კარდანახში, ყვარელში და სხვ. შემდეგ ქართლის ღვინო მოდიოდა. მეორე ადგილზე იყო ელიზავეტპოლის გუბერნია, ერევანი, ერმიადინი და ქუთაისის რეგიონი – გურია, სამეგრელო, იმერეთი; მესამე ადგილზე – სტავროპოლისა და ბაქოს გუბერნიები, შავი და კასპიის ზღვების მიდამოები, ყუბანი, თერგი და სხვ. ღვინის ფასი ხარისხის მიხედვით მეტად მერყეობდა ერთი ჰექტოლიტრი – 3-დან 40 და უფრო მეტ რუბლს შორის (1888 წლის კურსით 6 ფრანკიდან 50-86 ფრანკამდე) მერყეობდა. კავკასიის ვენახებს ეჭირა 115,000 ჰა, წლიურად დაახლოებით 1,500,000 ჰექტოლიტრ ღვინოს აწარმოებდნენ.

ბებილ ტაიროვი კახური ღვინის შემდეგ დაასიათებას გვაძლევს: „წითელი ღვინოები. – ძლიერ მწკლარტე, ძელგი, მსუბუქი სიტკბო. ეს დეფექტი გამოწვეული იყო ძალიან სწრაფი დამწიფებით და მეტად ხანგრძლივი დუღილით (6-10 დღე საკმარისი იქნებოდა); სიმწკლარტის მოცილება შესაძლებელი იქნებოდა ყურძენის მარცვლების მოცილებით და სწრაფი დუღილით. ოდნავ მოყავისფრო წითელი ფერი უეჭველად უფრო მკვეთრი და წითელი იქნებოდა ნაკლებად მწიფე და უფრო მწკლარტე ყურძენით. გადამწიფებული ყურძენის დაწურვის შემთხ-

ვევაში შესაძლებელი იქნებოდა ღვინის მჟავის დამატება პროპორციით – 1 გრამი 1 ლიტრ ღვინოზე. თეთრი ღვინო. – ძლიერ მწკლარტე, ლამაზი ფერის, მაგრამ იმჟამად ძნელად გასაყიდი, გამოკვეთილი არომატი და ალკოჰოლი. ეს ღვინოები მეტად მოიგებდა, ისინი რომ მზადდებოდეს საფრანგეთის თეთრი ღვინოების მსგავსად დულილის გარეშე, ახლად გამოწურული წვენი ფერმენტაციით, ჩენ-ჩოსა და მტევნის (raffe) მოცილებით<sup>152</sup>“

### თბილისის აბანოები

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ფრანგი თუ ფრანკოფონი მოგზაურები თბილისის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად თბილისის ძველი უბანის ვიწრო ქუჩების ლაბირინთში, მდინარე წავკისის მტკვართან შერთვის ადგილას მდებარე გოგირდის აბანოებს გამოჰყოფენ. ეს წყაროები ბუნებრივად გამოდიოდა მთის ფერდობებიდან, წყლის ტემპერატურა 14 გრადუსიდან 60 გრადუსამდე მერყეობდა და პიატიგორსკის წყაროების ტემპერატურაზე უფრო მაღალი იყო. მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ ეს წყალი მეტად უებარი საშუალება იყო კანის დაავადებების, რევმატიზმისა და ჭრილობების სამკურნალოდ. ტინკო მარტინუს ლიკლამა ა ნიეჰოლტს თხზულებაში მოჰყავს ამ თბილი წყლის შესახებ ხალხისგან გაგებული ლეგენდაც. იგი წერს: „ამბობენ, რომ ერთ მწყემსს ჩვევად ჰქონდა თავისი ფარის ამ ადგილას ძოვება. მან შეამჩნია, რომ მუნით დაავადებული ცხვრები განიკურნენ ამ საძოვარზე, დასერილზე ნაკადულებით, რომელშიც ცხოველები მუდამ ჩადიოდნენ. როდესაც მწყემსმა ამ დაკვირვების შესახებ თქვა, ეს ამბავი გამოიკვლიეს და მალე დაადგინეს წყლის სამკურნალო ძალა. ამ ადგილზე აბანოები დააარსეს, სადაც ბევრი ხალხი დადიოდა“<sup>153</sup>.

ფრედერიკა ფონ ფრეიგანგის ცნობით, 1811 წელს ტფილისის შემოგარენში ათიოდე აბანო იყო და დაწვრილებით აღწერს კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულებში მოწყობილ აბაზანებში ბანაობის პროცესს. იგი და სხვა ავტორებიც აღნიშნავენ, რომ თბილისელ ქალებს ძლიერ უყვარდათ აბანოში სიარული, ხოლო მაღალი წარმოშობის ქალები იქ კვირაში ერთხელ მთელ დღეს, ზოგჯერ ღამესაც კი ატარებდნენ. ისინი იქ ვახშმობდნენ, იღებავენ ფრჩხილებს, თმებს, სახეს და იტანჯებოდნენ წარბების ერთმანეთზე გადაბმით, რადგან ფერუმარილის გარეშე ქალის საჯაროდ გამოჩენა უზრდელობად მიიჩნეოდა. თბილისელი ქალები აბანოში თავიანთი პირადი და მეზობლების სკანდალური ამბების მოსაყოლადაც დადიოდნენ, იქვე ხლართავდნენ ინტრიგებს და აბანოს ნაწილსაც კი ქირაობდნენ თავიანთი რჩეულის მისაღებად.<sup>154</sup>

152 Basil Tairoff, *La culture de la vigne et les vins du Caucase*, Montpellier, Aux Bureau du Progrès Agricole et Viticole. 1887, 1-4, 8.

153 Klaproth, *Voyage au Mont Caucase et en Géorgie*, II, 5-6; SHAT: 1M n°1673, doc. 4/52, fol. 1; 1M n°1486, doc. 13, fol. 31; Rottier, *Itinéraire de Tiflis à Constantinople*, 105; Freygangs, *Lettres sur le Caucase et la Géorgie*, 119; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 180; Dubois de Montpéroux, *Voyage autour du Caucase*, 240; Suzannet, *Les provinces du Caucase*, 57; Moynet, *Voyage à la mer*, 323-324; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, 387.

154 Freygangs, *Lettres sur le Caucase*, 117-120; Gamba, *Voyage dans la Russie méridionale*, II, 180; Dubois de Montpéroux, III, 173-17; Bélanger, *Voyage aux Indes Orientales*, II, 41, 51.



1. ბაზარისა და კაკისადმი – კახეთის სამეფოს მსხვილი ურბანული ცენტრებისადმი, რომელიც სეფიანური (და ოსმალური) ყაიდის საფასესაც უშვებდა – მიძღვნილი სტატიები (Album, 2001: plate 39; Акопян, Алексанян, 2015: 147-170; Bennett, 2013: 223-230; Gabashvili, Paghava, Gogava, 2015: 16-17; Goron, 2003a: 28-33; Goron, 2003b: 17-19; Goron, 2004: 35-40; Paghava, 2013: 22-23; Paghava, Bennett, 2015: 25-26; Paghava, Gabashvili, 2015: 20-21; ფაღავა, 2012: 128-129; Пагава, Туркия, 2013: 105-112; ფაღავა, გოგავა, 2015: 271-280, 345; Paghava, 2016a: 42-44; Paghava, Hasanov, 2016: 23-27; Alexanyan, Yanov, 2018: 21-29; Gogava, 2018: 29-31; Paghava, 2016b: 117-139; Paghava, In print a; Paghava, In print b);

1. ოდიშის სამთავროს ზარაფხანის – «დადიანის» აღმოჩენისა და კვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომები (Пагава, 2013: 125-142; Akopyan, 2016: 9-11; Paghava, 2018: 115-1162);
2. ქართლის სამეფოს დედაქალაქში, თბილისში მოჭრილი სეფიანური ვერცხლის ფულის ტიპოლოგიის დამაზუსტებელი შრომა (Paghava, Turkia, Bennett, 2007: 19-25);
3. ქართლის სამეფოს დედაქალაქის, თბილისის შავი (სპილენძის) ფულის ტიპოლოგიის დაზუსტება-შევსებისადმი და ჰერალდიკური შინაარ-

1 სამხედრო-პოლიტიკურ აქტივობას ეწეოდნენ ისმაილის წინაპარი წინამორბედებიც; თუმცა, მათ მეტ-ნაკლებად მყარი სახელმწიფოს შექმნა ვერ მოახერხეს.

2 ამ თემაზე ირაკლი ფაღავა მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომსაც ამზადებს.

სის ანალიზისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები (Paghava, Turkia, 2006: 8-10; Gogava, 2014: 11-13; ფალავა, 2017ა: 10-12; ფალავა, 2017ბ: 90-97; Paghava, 2017: 243-255; ჭანიშვილი, 2017: 235-244<sup>3</sup>).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული აღმოჩენებისა, ქართულ-სეფიანური ნუმისმატიკური ურთიერთქმედების საკითხები სრულად ამოწურულად, ცხადია, ჯერაც ვერ ჩაითვლება. ჩვენი მცირედი ნაშრომის მიზანი სწორედ რომ სამეცნიერო მიმოქცევაში სრულიად ახალი და უნიკალური სამონეტო ძეგლის შემოღებაა – ვგულისხმობთ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში თბილისში მოჭრილ სეფიანურ თუ სეფიანური ყაიდის ვერცხლის მონეტას, რომლის ანალიზსაც ეძღვნება ეს სტატია.

### სამონეტო მასალის განხილვა

საკვლევი მონეტა (სურ. 1) ამჟამად საქართველოში ინახება, კერძო კოლექციაში. მისი აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია. მოწოდებული (ჩანს, სარწმუნო) ცნობებით, ლითონის ეს საფასე ირანში იპოვეს, შემდეგ კი, რამდენიმე წლის წინ, სომხეთის გავლით, საქართველოში მოხდა.

მიუხედავად საკმაოდ სქელი მუქი-მწვანე ნადებისა, მონეტა კარგი ვერცხლისგან მოჭრილის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც, საზოგადოდ, ტიპური იყო სეფიანური და პოსტ-სეფიანური საფასისთვის (Matthee, Floor, Clawson, 2013: 34-35). მისი წონაა 4.55 გ, კვეთა 19.5-23 მმ, სიქების ორიენტაცია – 10 სთ-ზე. მოვიყვანთ ზედწერილებს:

**შუბლი:** ცენტრალურ სივრცეში სეფიანი შაჰის, მოჰამად ხუდაბანდეს სახელის შემცველი ფორმულა – მე-2 ტიპის, რაბინო დი ბორგომალეს მიხედვით (di Borgomale, 1945: 31, №2):

غلام امام محمد مهدي عليه وآبابة السلام سلطان ابو المظفر محمد آدشاه

რომლის ქვევითაც მოჭრის ადგილისა და თარიღის მაწიყებელი ფორმულაა  
ضرب تفسلس [تفليس] 986

ირგვლივ, ზედწერილის ფრაგმენტები; საფიქრებელია, ასევე შაჰის განმადიდებელი ფორმულის ნაწილი.

**ზურგი:** ცენტრში რწმენის სიმბოლოს შიიტური ვარიანტია

لا اله الا الله محمد رسول الله على ولي الله

ირგვლივ, 12 იმამის სახელი

უნდა აღინიშნოს, რომ მოჭრის ადგილი – თბილისი – შეცდომით წერია. თითქოს, გამოტოვებულია სინ-ის შემადგენელი ერთ-ერთი გლიფი (≠ არ უნდა იყოს გამოტოვებული, ვინაიდან ლამ-ის მომდევნო სიმბოლო / წამოწეული გლიფი მომდევნოებთან შედარებით აშკარად წამოწეულია; ამრიგად, ≠ გამოცალკევებულია – ს-სგან). მიუხედავად ამისა, تفسلس – კომპლექსი იმდენად სპეციფიურია, რომ ეჭვიც არ გვეპარება, მოჭრის ადგილად მიუთითეს სწორედ ქართლის სამეფოს დედაქალაქი – تفليس).

აქვე აღვნიშნავთ, რომ მონეტაზე მითითებული თარიღი – ჰ. 986 წელი შესაბამება ქრისტეშობით 1578/9 წელს. მონეტის გამოშვების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, ისევე როგორც ამ წელს თბილისში სეფიანური საფასის გამოშვების ისტორიულ მნიშვნელობას ქვემოთ მივუბრუნდებით.

3 ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომ XVIII საუკუნის I მეოთხედში ქართლში ბისტიც იჭრებოდა.

მონეტის წონაა 4.55 გ; ანუ, ჩვენს წინაშეა მოჰამმად ხოდაბანდეს ერთმისხლიანი მონეტა, ნომინალით ორი შაჰი, იგივე ე.წ. მუჰამმადი – იჭრებოდა ოზმით 1 თუმანი = 2400 მუხუდოს, ნორმატიული წონით 4.61 გ (Album, 2011: 278).

მონეტა ზედწერილებისა და დიზაინის მიხედვით მიეკუთვნება შაჰ მოჰამმად ხოდაბანდეს ტიპ A-ს, რომელიც იჭრებოდა ჰ. 985-986 წლებში (Album, 2011: 278). ცნობილია სამხრეთ კავკასიისა და რეგიონის სხვა ქალაქებშიც – ერევანში, განჯაში, შამაჰისა და თაბრიზში მოჭრილი იმავე ტიპის მონეტები, რომელიც ჰ. 985 და 986 წწ. არის დათარიღებული (მოჰამმად ხოდაბანდე ტახტზე სწორედ ჰ. 985 წელს ავიდა) (სურ. 2-5).

### **აღმოჩენის ისტორიული მნიშვნელობა**

ვეცდებით გავაანალიზოთ და წარმოვადგინოთ ჩვენი ნუმისმატიკური აღმოჩენის ზოგად-ისტორიული მნიშვნელობაც.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალაღმოჩენილი, ჰ. 986 წლით (986/7) მონეტა 27 წლით აძველებს თბილისში, ანუ, ქართლის სამეფოში, სეფიანი შაჰის სახელით მონეტის მოჭრას. აქამდე, თბილისის ზარაფხანის მიერ გამოშვებულ ყველაზე ადრეულ ირანული ყაიდის საფასედ ჰ. 1013 წლით (1604/5) დათარიღებული მონეტა მიიჩნეოდა (Кутелия, 1979: 27, 33).

ამასთან, ჰ. 1013 წლის მონეტა შაჰ 'აბბას I-ის სახელით მოიჭრა, ახალაღმოჩენილი უნიკალური მონეტა კი მისი წინამორბედისა და მამის, მოჰამმად ხოდაბანდეს სახელს ატარებს. მოვიყვანოთ ვრცელ ციტატას ნანა გელაშვილის შესანიშნავი ნაშრომიდან, რომელიც XVI საუკუნეში საქართველოსა და ყიზილბაშების ურთიერთობას შეეხება: „მთელი XVI საუკუნის განმავლობაში ქართლის სამეფო თავდაუზოგავად იბრძოდა უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ და მხოლოდ XVII საუკუნის დამდეგისთვის გახდა იძულებული, რომ ეცნო თავისი ვასალური დამოკიდებულება ირანზე. სწორედ ამ დამოკიდებულების ნივთიერი გამოხატულება იყო თბილისის ზარაფხანის მიერ ირანული ყაიდის ვერცხლის ფულის გამოშვება. ყველაზე ადრინდელი პერიოდის ამგვარი ფული დათარიღებულია ჰიჯრის 1013 წლით (1604/05 წლით)“ (გელაშვილი, 1995: 97; Cf. Кутелия, 1979: 109). როგორც ვხედავთ, თუ ნუმისმატიკური კრიტერიუმით (ანუ, თბილისში სეფიანი შაჰის სახელით მონეტის მოჭრა) ვიხელმძღვანელებთ, ქართლის სამეფომ ვასალური დამოკიდებულება ირანზე უკვე 1578 წლისთვის იცნო. თუმცა, ჩემი აზრით, ირანულ მონეტაზე მოჭრის ადგილად თბილისის მითითება ავტომატურად სულაც არ ნიშნავს, რომ ქართლის სამეფო სეფიანთა ვასალია; ალტერნატიულად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უბრალოდ თბილისში სეფიანური გარნიზონის დისლოკაციას, სამეფოს დედაქალაქის სეფიანთა მიერ ოკუპაციას ნიშნავს, მაშინ როდესაც ქართლის სამეფო შეიძლება სულაც არ იყოს დამორჩილებული და ყიზილბაშურ აგრესიასთან ბრძოლას განაგრძობდეს (როგორც ეს, დავუშვათ, სვიმონ მეფის დროს ხდებოდა). ვთვლით, რომ თბილისში სეფიანური მონეტის გამოშვება ამ ქალაქის სეფიანებისადმი დაქვემდებარებას მოწმობს, მაგრამ სრულიად ქართლის სამეფოზე ამ მდგომარეობის ინტერპოლირება სათუთაა. ამასთან, აღნიშნული დაქვემდებარება შეიძლება გულისხმობდეს, ან არ გულისხმობდეს თბილისში სეფიანური / ყიზილბაშური გარნიზონის განთავსებას.

მიუხედავად ამგვარი, რამდენადმე შეზღუდული ინტერპრეტაციისა, ჰ. 1578 წელს თუნდაც თბილისის (სრულიად ქართლის სამეფოს?) სეფიანებისადმი მორ-

ჩილების ფაქტი, რომელიც ახლა ნუმისმატიკურად არის დადასტურებული, საკმაოდ საინტერესოდ გვეჩვენება.

მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია სრულიად ქართლის სამეფოში თუ არა, უშუალოდ თბილისში მაინც სეფიანთა ბატონობის ქრონოლოგიის დასაზუსტებლად. რამდენადაც ვიცით, ყიზილბაშებიდან თბილისი პირველმა შაჰთამაზ I-მა დაიკავა, 1541 წელს (მუნში, 1969: 15-16; გელაშვილი, 1995: 86). შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ 1541-1578/9 წლებში თბილისში სეფიანური გარნიზონი უწყვეტად იდგა? ამის ვარაუდი დასაშვებია, მაგრამ მტკიცება არა, ვინაიდან, ჯერჯერობით მაინც, არ ვიცნობთ ჰ. 986 წლამდე თბილისში მოჭრილ არც ერთ სეფიანური ყაიდის მონეტას.

თუმცა კი, გვაქვს ისქანდერ მუნშის ცნობა საქართველოს შაჰთამაზ I-ის მიერ დამორჩილების შესახებ: «შვიდი საქართველოდან კახეთმა, ქართლმა, მესხეთმა ... .. ქედზე მორჩილების უღელი დაიდგეს. იმათმა მმართველებმა ქვეშევრდობა იკისრეს, იმ დიდებული ბატონის [შაჰთამაზის] ხელიდან მიიღეს ძალაუფლება, ხარაჯისა და ჯიზიას გადახდა დაივალეს, ხუტბა იმ სახელოვანი და მალაღადგილოვანი ბატონის სახელზე აღავლინეს და ფულიც იმის სახელით დაამშვენეს» (მუნში, 1969: 14). სამცხე-საათაბაგოს მონეტები დღემდე არ არის აღმოჩენილი (არსებობდა?), კახეთის სამეფოს ყველაზე ადრეული მონეტა, რომელიც ჯერჯერობით არის აღმოჩენილი (ვერ გამოვრიცხავთ, რომ ახალი აღმოჩენები სხვა სურათს დაგვიხატავს) დათარიღებულია ჰიჯრის 960 წლით (1552/3) და თამაზ I-ის სახელს ატარებს. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ქართლის სამეფოშიც (ე.ი. თბილისში) სეფიანური ყაიდის მონეტა ზემოთ აღწერილ სამონეტო ტიპზე უფრო ადრეც გამოდიოდა.

\*\*\*

მონეტაზე მითითებული თარიღი თავისთავადაც საინტერესოა. ჰიჯრის 986 წელი ორიენტალისტთა და ქართველოლოგთათვის ერთი რიგითი თარიღი არაა. სწორედ ამ წელს ოსმალებმა წამოიწყეს მორიგი ოსმალურ-სეფიანური ომი – დაიწყო ლალა მუსტაფა ფაშას ცნობილი ლაშქრობა. ჰიჯრის 986 წელი დაიწყო 1578 წლის 10 მარტს და დასრულდა 1579 წლის 27 თებერვალს. მაგრამ ვიცით, რომ მუსტაფა ფაშა (სამზრეთ-დასავლეთ) საქართველოში 1578 წლის აგვისტოში შემოიჭრა, თბილისი კი, უბრძოლველად, უკვე ამავე წლის 24 აგვისტოს დაიკავა. ამრიგად, შესაძლებელი ხდება დავაზუსტოთ დროის ის შუალედი, როდესაც შეიძლება განხორციელებულიყო თბილისში სეფიანი შაჰის სახელით (ამ) მონეტის ემისია; ესაა 1578 წლის 10 მარტი – 24 აგვისტო, ანუ, დაახლოებით 5.5 თვე. ამ პერიოდში ქართლი ნომინალურად დაუდ-ხანისადმი იყო დაქვემდებარებული.

მაგრამ ახალაღმოჩენილ ქართულ-სეფიანურ მონეტაზე მუსტაფა ფაშას შემოჭრის წლის მითითება შეიძლება შემთხვევითი, უფრო სწორედ კი, რიგითი მოვლენა არ იყოს; მით უფრო, რომ ამაზე ადრინდელი და თბილისში მოჭრილი სეფიანური თუ სეფიანური ყაიდის მონეტები ჩვენთვის უცნობია – დღევანდელი მონაცემებით, არ გვაქვს სერია სეფიანური მონეტებისა, რომელთა ემისიაც თბილისში ოსმალთა შემოჭრამდე საგულისხმოდ ადრე დაიწყებოდა და 1578 წლის I ნახევარშიც გაგრძელდებოდა. ამრიგად, ძალაუფლებურად იბადება კითხვა, მაინც-დამაინც ოსმალების შემოჭრის წელს თბილისში სეფიანური მონეტის გამოშვება (პირველად XVI საუკუნეში?) ომისთვის სეფიანთა სამზადისს ხომ არ უნდა და-

ვუკავშიროთ? ან, უფრო, უკვე დაწყებული ომის პირობებში თბილისში სეფიანური გარნიზონის ჩაყენებასა თუ გაძლიერებას? ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია, რომ მოჰამად ხოდაბანდეს სეფიანთა სახელმწიფოს სათავეში ჰ. 985 წელს (1578) მოექცა, და ვიცნობთ სწორედ მისი ზეობის ამ პირველი წლით დათარიღებულ მონეტებს, რომელიც კავკასიისა და მიმდებარე რეგიონის სხვა ზარაფხანებში მოიჭრა. თუ ოდესმე აღმოჩნდება თბილისურ-სეფიანური მონეტა, ჰ. 985 წლით დათარიღებული, დავასკვნით, რომ ზემოთ აღწერილი მონეტა ლალა მუსტაფა ფაშას შემოჭრას არ უკავშირდება. იქამდე კი მაინც სწორედ ამ აზრისკენ ვიხრებით.

\*\*\*

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ჯერჯერობით უნიკალური ცალით წარმოდგენილი ახალი სამონეტო ტიპი, რომელიც ჰიჯრის 986 წლით არის დათარიღებული და მოჰამად ხოდაბანდეს სახელით თბილისშია მოჭრილი, ბუნებრივია, ქართულ (და, ასევე, სეფიანურ) ნუმისმატიკურ ისტორიასაც ავსებს, მაგრამ, რაც მთავარია, XVI საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიის საკვლევად საგულისხმო პირველწყაროდაც წარმოგვიდგება.

## **Irakli Paghava**

G. Tsereteli Institute for Oriental Studies

### **1578: A YEAR WHEN THE SAFAVID COINAGE WAS STRUCK IN TIFLIS, AND LALA MUSTAFA PASHA INVADED GEORGIA**

This brief article is devoted to the previously unpublished Safavid coin type, represented by the so far unique specimen. This is the AH 986 (1578/9) 2-shahi / muhammadi silver coin bearing the mint name Tiflis and the name of Mohammad Khudabandah, the Safavid shah (4.55 g, 19.5-23 mm, die axis at 10 o'clock, type A according to S. Album).

It is extremely remarkable that the coin hitherto thought to be the earliest one minted in Tiflis, the capital of the Kingdom of Kartli in Georgia, bore the date AH 1013 ('abbasi of Shah 'Abbas I). Evidently, the coin-minting activity in the name of the Safavids had been initiated in Tiflis much earlier. In contrast to the paradigm of the contemporary Georgian historiography, this is the numismatic testimony to the Safavid suzerainty imposed upon the Kingdom of Kartli already by 1570s; alternatively, it could be interpreted as a material legacy of Safavid troops garrisoned in Tiflis (which *may* or *may not* be equated with the servitude of the local Georgian king). Judging by the coin alone, it would be impossible to conclude, whether this coin type was issued by Georgian authorities acknowledg-



ing the Safavid suzerainty, or by Safavid occupants themselves. In one of the earlier works we had an opportunity to demonstrate that the currency in the name of the Safavid overlord had been issued in the neighbouring Georgian Kingdom of Kakheti already in AH 960 (1552/3); therefore, once cannot exclude that minting of the Safavid-type currency had been initiated in the Kingdom of Kartli at approximately the same time.

AH 986 is an extremely remarkable date, as it was exactly in 1578 that Lala Mustafa Pasha invaded Georgia / Safavid dominions, when the Ottoman Empire made a decision to attack the Safavids once again. AH 986 started on 10 March 1578, whereas Mustafa Pasha invaded Georgia in August of the same year, and already occupied Tiflis, abandoned by the Safavids and their supporters. This coin type could be minted only within that time span (approximately 5.5 months). It might not have been a mere coincidence, that the only Tiflis Safavid coin type of the 16<sup>th</sup> century that we know was issued exactly in the year when the Ottomans invaded Georgia. Could it be a result of the Safavids strengthening their garrison in Tiflis, or, perhaps, deploying it there on the eve of the upcoming war and Ottoman invasion?

The unique coin reviewed by means of this article has seemingly not only purely numismatic, but also somewhat more general historical significance. Hopefully, new discoveries would clarify further the (numismatic) relations between Georgia and the Safavids.

#### **დამოწმებული ლიტერატურა - References:**

##### **წყაროები და ისტორიოგრაფია ქართულ ენაზე**

1. გელაშვილი, ნანა. *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს)*. თბილისი: მეცნიერება, 1995.
2. *ისტანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*. სპარსული ტექსტი ქართულილ თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1969.
3. ფალავა, ირაკლი. „ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმისმატიკური მონაცემების მიხედვით“ *კონსტანტინე ფალავა 90*. რედ. ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე. 128-144. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012.
4. ფალავა, ირაკლი. „სეფიანებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან – კახეთის ქალაქი ბაზარი (ზაგემი) XVII-XVIII საუკუნეებში (ნუმისმატიკური და წერილობითი მონაცემებით)“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VII* (2012): 191-199.
5. ფალავა, ირაკლი. „XVII-XIX სს. თბილისის სპილენძის მონეტების იკონოგრაფიის ჰერალდიკური ასპექტები“ *თბილისი და თანამედროვე საქალაქო*

- ჰერალდიკა. კონფერენციის თეზისები. წყალტუბო, 12-14 მაისი, 2017, 10-12.
6. ფაღავა, ირაკლი. „ჰერალდიკური იკონოგრაფია XVII-XIX სს-ის თბილისის სპილენძის მონეტებზე“. *ჰეროლდი* 6 (2017), 90-97.
  7. ფაღავა, ირაკლი, გოგავა გიორგი. „კახეთის სამეფოში გამოშვებული ოსმალური მონეტები“. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო IX* (2015): 271-280, 345.
  8. ჭანიშვილი, ევგენი. „ქართლის ბაგრატიონან ხელმწიფეთა და გამგებელთა სამონეტო ემისიები და მათი სახესხვაობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი)“. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები* 2 (21) (2017), 235-244.
  9. ჭილაშვილი, ლევანი. *კახეთის ქალაქები*. თბილისი: მეცნიერება, 1980.

### **წყაროები და ისტორიოგრაფია ენებზე ლათინური გრაფიკით**

1. Akopyan, Alexander. "More about the Very Rare Georgian Coins from Megrelia with the Mintname Dādiyān", *JONS*, 226 (2016), 9-11.
2. Album, Stephen. *Checklist of Islamic Coins*. 3<sup>rd</sup> Edition. Santa Rosa, 2011.
3. Album, Stephen. *Sylloge of Islamic Coins in the Ashmolean Volume 9 Iran after the Mongol Invasion*. Ashmolean Museum Oxford: Chameleon, 2001.
4. Alexanyan, David, Yanov Dmitriy. "New Data about the Ottoman Minting in South Caucasian Region in the End of 16<sup>th</sup>-Beginning of 17<sup>th</sup> C." *Journal of Oriental Numismatic Society* 230 (2018), 21-29.
5. Bennett, Kirk. *A Catalog of Georgian Coins*. 2013.
6. Borgomale, di Hyacinth Louis Rabino. *Coins, Medals, and Seals of the Shahs of Iran, 1500-1941*. 1945. Dallas, 1973.
7. Gabashvili Goga, Paghava, Irakli, Gogava Giorgi. "A Low-Weight Copper Coin with Geometrical Design Struck at Zagemi (in Eastern Georgia)". *Journal of Oriental Numismatic Society* 222 (2015), 16-17.
8. Gogava, Giorgi. "The First Record on Countermarking the Silver Coins in the Kingdom of Kakheti". *Journal of Oriental Numismatic Society* 230 (2018), 29-31.
9. Gogava, Giorgi, "A Newly Discovered Copper Coin Bearing the Name "Safi", *Journal of Oriental Numismatic Society* #218 (2014), 11-13.
10. Goron, Stan. "The Coinage of Safavid ruler, 'Abbas II up to AH 1060". *Oriental Numismatic Society Newsletter* 177 (2003), 17-19.
11. Goron, Stan. "The Coinage of Safavid ruler, 'Abbas II up to AH 1060 - Part II". *Oriental Numismatic Society Newsletter* 178 (2004), 35-40.
12. Goron, Stan. "The Coinage of Safi I (AH 1038-1052)". *Oriental Numismatic Society Newsletter* 176 (2003), 28-33.
13. Matthee Rudi, Floor Willem, Clawson Patrick. *The Monetary History of Iran. From the Safavids to the Qajars*. London / New York: I.B. Tauris, 2013.
14. Paghava, Irakli. "Chronicler's Note on Minting Ottoman Coins in Kakheti (Eastern Georgia)". *Journal of Oriental Numismatic Society* 215 (2013), 22-23.

15. Paghava, Irakli. "The Georgian City of Bazari (Zagam) According to Numismatic Data". *Al XVI-lea Simpozion de Numismatică. Programul și Rezumatetele Comunicărilor*. Chișinău, 22-23 septembrie 2016. Chișinău: Muzeul Național de Istorie a Moldovei (2016): 42-44.
16. Paghava, Irakli. "Kākhetābād, New Georgian-Safavid Mint". In print (*Journal of the Oriental Numismatic Society*).
17. Paghava, Irakli. "K'ak'i, Georgian Urban Center: The Numismatic History". In print.
18. Paghava, Irakli. "K'ak'i (Kākhed, Kākhetābād): One More Georgian Coin-Minting Urban Center". *Pro Georgia*, 26 (2016): 117-139.
19. Paghava, Irakli. "Minting Safavid Currency on the Black Sea Shore: Georgian Principality of Odishi between the Ottomans and Safavids". *The Association for the Study of Persianate Societies. 8<sup>th</sup> Biennial Convention. March 15-18, 2018. Tbilisi, Georgia. Iliia State University, G. Tsereteli Institute of Oriental Studies. Program and Abstracts*, 115-116.
20. Paghava, Irakli. "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti". *Iranian Numismatic Studies. A Volume in Honor of Stephen Album*. Editor: Mostafa Fahfoury. 2017, 243-255.
21. Paghava, Irakli, Bennett Kirk. "The Earliest Date for the Kingdom of K'akheti Silver Issues of the 16<sup>th</sup> Century". *Journal of Oriental Numismatic Society* 225 (Autumn 2015). P. 25-26.
22. Paghava Irakli, Gabashvili Goga. "Silver Coinage Issued at "Kākhed" in the Kingdom of K'akheti (Georgia): When and Where Was This Mint Operating?" *Journal of Oriental Numismatic Society* 223 (2015), 20-21.
23. Paghava Irakli, Hasanov Samir. "A Hoard of Zagem Silver Coins of Muḥammad Khudābandah Discovered in the Republic of Azerbaijan". *Journal of Oriental Numismatic Society* 228 (2016): 23-27.
24. Paghava, Irakli, Turkia Severiane. "Another autonomous copper coin bearing the name of Safi". *Journal of Oriental Numismatic Society*, #189, 2006. P. 8-10.
25. Paghava, Irakli, Turkia Severiane, Bennett Kirk. "Major Varieties of the Type D 3rd Standard Coins of Sultan Husayn Issued in Tiflis and at other Mints". *Journal of Oriental Numismatic Society*, #191, Spring 2007. P. 19-25.

### **წყაროები და ისტორიოგრაფია რუსულ ენაზე**

1. Акопян, Александр, Алексанян Давид. "Гянджинский клад и медный чекан Кахетинского царства". *Эпиграфика Востока XXXI* (2015), 147-170.
2. Кутелия, Тинатин. *Грузия и Сефевидский Иран* (по данным нумизматики). Тбилиси: Мецниереба, 1979.
3. Пагава, Иракли. "Чеканка сефевидской монеты в восточном Причерноморье". *Восточная нумизматика в Украине*. Часть III. Улус Джучи, Крымское ханство и сопредельные государства в XIII-XVIII вв. Сборник Публикаций. Под ред. Константина Хромова. Киев, 2013. С. 125-142.

4. Пагава Иракли, Туркия Севериане. "Новые данные о чеканке сефевидской монеты в царстве Кахети (Грузия)". *Расмир: Восточная нумизматика, 1-я международная конференция, 29-31 июля 2011 г.*, ред. И. Пагава, В. Безпалько, 105-112. Одесса: ТДМ, 2013.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

## ნიკო ქელბაქიანი

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

### საბჭოთა-ირანული ურთიერთობები: თუდეს საქმე

#### შესავალი

1983 წლის თებერვალში ლალატისა და საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს ირანის თუდეს პარტიის ასობით წევრი, მათ შორის პარტიის ლიდერებიც. გარდა ამისა, მალევე დააპატიმრეს თუდეს პარტიის გულშემატიკივრები სამხედროებს შორისაც, რომელთა შორისაც იყვნენ როგორც მაღალი რანგის ოფიცრები, ასევე დაბალი რანგის ოფიცრები, სერჟანტები და რიგითები. თუდეს პარტია<sup>1</sup>, რომელსაც ხშირად ირანის კომუნისტურ პარტიადაც მოიხსენიებენ, 1941 წელს დაარსდა და იმ დროისთვის ერთ-ერთი უძველესი მოქმედი პარტია იყო. 1979 წლის რევოლუციის შემდეგ პარტია აქტიურად უჭერდა მხარს აიათოლა ხომეინის და ახალ მთავრობას, ხოლო მათ მოწინააღმდეგეებს სასტიკად გმობდა და ზოგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ რეჟიმთანაც თანამშრომლობდა. თუმცა ამ თანამშრომლობამ თუდეს წევრები რეპრესიებისგან ვერ იხსნა. ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მხოლოდ დაპატიმრებებითაც არ შემოფარგლულა. იმავე წლის პირველ მაისს პარტიის ლიდერები მოულოდნელად ტელევიზიით გამოვიდნენ, აღიარეს „ლალატი“ დაგმეს მარქსიზმი და ხალხს ისლამური რესპუბლიკის მხარდაჭერისკენ მოუწოდეს. „ტელეალიარებები“ მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდა და თუდეს პარტიაც საბოლოოდ განადგურდა.

სტატიის მიზანია, თუდეს ჯაშუშობის სკანდალი საბჭოთა-ირანული ურთიერთობების ქრილში განიხილოს. ისლამისტურ მთავრობას საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პოსტულატად „არც აღმოსავლეთი, არც დასავლეთი“ ჰქონდა გამოცხადებული და ორივე ზესახელმწიფოს სატანურად მოიხსენიებდა. თუმცა მაშინ როცა ისლამური რესპუბლიკის ანტიამერიკანიზმი ბევრად უფრო აშკარა იყო, განსაკუთრებით საელჩოს კრიზისის შემდეგ, საბჭოთა კავშირი ოფიციალურ რიტორიკაში ნაკლებად ილანძღებოდა. ასეთი „ჯაშუშური ქსელის“ გამოვლენამ კი საბჭოთა-ირანული ურთიერთობებს სერიოზული დარტყმა მიყენა. მიუხედავად ამისა, განსხვავებით ირანულ-ამერიკული ურთიერთობებისგან ირანს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობები არ შეუწყვეტია: ეკონომიკური კავშირები შენარჩუნდა, ხოლო მალევე პოლიტიკური თანამშრომლობაც აღდგა.

1979 წლის რევოლუციის შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის ყველაზე რთული კრიზისის ანალიზი საჭირო იმის დასადგენად, თუ რა მიზეზები ჰქონდა ირანულ რეჟიმს თუდეს პარტიის რეპრესიისას და რა გავლენა ჰქონდა ამას სსრკ-სთან ურთიერთობაზე. პირველი თავი განიხილავს საბჭოთა დაზვერვის მაშინდელ მდგომარეობას ირანში. მიუხედავად იმისა, რომ „კა-გე-ბე“ (სსრკ-ის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი) ირანში მოქმედებდა, საბჭოთა დაზვერვამ ამ წლებში მრავალი მარცხი განიცადა. შესაბამისად, საბჭოთა კავშირისთვის პოზიციების დაკარგვის შემდეგ უფრო იოლი აღმოჩნდა ახალი სტატუს-კვოს აღიარება.

1 სპარს. სახალხო (მასების) პარტია.

შემდეგი თავი შეისწავლის თავად თუდეს პარტიას და მის რეალურ გავლენას პოსტრევოლუციურ ირანში. საბჭოთა-ირანული ურთიერთობების კონტექსტში ასევე აღსანიშნავია, რომ თუდეს პარტიას მოსკოვთან საკმაოდ მჭიდრო კავშირები ჰქონდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად დიდი ისტორიისა, პოსტრევოლუციურ ირანში თუდეს დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა. თუმცა საგულისხმოა ის კავშირები, რომლებიც მათ არმიასა და სახელმწიფო ორგანოებში ჰქონდათ.

მორიგი თავი ახალჩამოყალიბებული ისლამური რესპუბლიკის საბჭოთა კავშირისადმი ოფიციალურ დამოკიდებულებაზე იმსჯელებს. აიათოლა ხომეინის საგარეო პოლიტიკურ დოქტრინად „არც აღმოსავლეთი, არც დასავლეთი“ ჰქონდა გამოცხადებული, თუმცა ოფიციალურ რიტორიკაში, რა თქმა უნდა, მკვეთრი ანტიამერიკანიზმი უფრო იგრძნობოდა, მაშინ როცა ჩრდილოელ მეზობელთან ეკონომიკური თანამშრომლობა გრძელდებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც ამერიკას, ირანული რეჟიმი საბჭოთა კავშირსაც შიდა პოლიტიკური ბრძოლისთვის იყენებდა, ამ შემთხვევაში მემარცხენე პარტიებისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ, რაც კარგად გამოჩნდა თუდეს ჯაშუშობის სკანდალის დროს. ამიტომაც ყურადსაღებია სწორედ ის „ტელეალიარებები“, რომლებშიც ქვეყნის ცნობილი მარქსისტები მარქსიზმს გამოხდენ და ცნობდნენ ისლამის აღმატებას კომუნიზმზე.

შემდეგი თავი გამოიკვლევს რეპრესიებისთვის შერჩეულ დროს და უპასუხებს კითხვას, რატომ არ მოხდა ეს 1983 წლამდე. ერთ-ერთი მოვლენა, რომელიც ამ რეპრესიებს წინ უძღოდა, ირანში „კა-გე-ბეს“ აგენტის გაქცევა იყო, რომელიც დიდ ბრიტანეთს ჩაჰბარდა. თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი საბჭოთა კავშირის მიერ ერაყში ირანული ინტერვენციის კრიტიკა იყო, რომელიც თუდეს პარტიამაც გაახმოვანა. სწორედ ამიტომაც თუდეს ლიდერთა „ტელეალიარებებს“ არმიაში თუდეს მხარდამჭერთა სამხედრო ტრიბუნალები იყო, რათა შეიარაღებულ ძალებში ერაყში ინტერვენციისადმი ოდნავი წინააღმდეგობაც გამქრალიყო.

საბოლოოდ, უკანასკნელი თავი განიხილავს სკანდალსა და მის შედეგებს. თუდეს პარტიის განადგურებამ დაასრულა ირანის ისლამისტური რეჟიმის ძალაუფლების სრული კონსოლიდაცია, რომელმაც მას გარკვეული უსაფრთხოები განცდა მოუტანა. მეორე მხრივ, სსრკ თავად კრიზისსა და გარდამავალ პერიოდში იყო. გარდა ამისა, სხვა პრეცედენტებიც არსებობდა, როდესაც მოსკოვი ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის მოკავშირე ოპოზიციური პარტიების რეპრესიებს ნაკლებად აპროტესტებდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ თუდეს პარტიის განადგურებამ, ფაქტობრივად, ორ ქვეყანას შორის გამაღიზიანებელი ფაქტორი გამოთიშა და მიუხედავად დროებით ურთიერთობების გაყინვისა, მალევეამან საბჭოთა-ირანული ურთიერთობების ნორმალიზაციას შეუწყო ხელი.

### **წყაროების მიმოხილვა**

ეს სტატია დაფუძნებულია სხვადასხვა პირველად თუ მეორეულ წყაროებზე, რომლებიც, უმეტესად, საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ირანში საბჭოთა დაზვერვის შესაფასებლად ეს სტატია დამატებით იყენებს ზოგიერთი მონაწილე პიროვნების მოგონებებს. ამის ძირითადი მიზეზი საბჭოთა და ირანული

არქივების ნაკლები ხელმისაწვდომობაა. რა თქმა უნდა, მოგონებები ნაკლებად სანდო წყაროებია, თუმცა ამ წყაროებიდან ამოღებული ფაქტები გადამოწმებულია სხვა გამოცემებშიც. ამასთანავე, წარმოდგენილი მოგონებები სხვადასხვა სადაზვერვო სამსახურში მომუშავე პირებს ეკუთვნით.

ერთ-ერთი მოგონებების წიგნი ვლადიმირ კუზიჩკინის დაწერილია<sup>2</sup>, რომელიც საბჭოთა ვიცეკონსული და „კა-გე-ბეს“ თეირანის რეზიდენტურის არალეგალური ხაზის უფროსი იყო. იგი 1982 წლის ივნისში თეირანიდან თურქეთში გაქცა და ბრიტანულ სპეცსამსახურებს ჩაბარდა, რაც თუდეს სკანდალის ერთ-ერთ წინამორბედად ითვლება. იგი საბჭოთა საელჩოში რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც მუშაობდა და, მიუხედავად საკუთარი გაქცევის ორგანიზების ბუნდოვანი აღწერისა, თავად მისი მოგონებები საკმაოდ ორგანიზებული და ქრონოლოგიურად დალაგებულია და აღწერს საბჭოთა საელჩოსა და „კა-გე-ბეს“ ყოველდღიურ ცხოვრებას, თუდეს პარტიასთან და სხვა პოლიტიკურ ფიგურებთან კავშირებს და პოლიტიკურ მოვლენებში მონაწილეობას რევოლუციის დროს.

„კა-გე-ბეს“ თეირანის რეზიდენტურიდან მორიგი მოგონებები ეკუთვნის კუზიჩკინის უფროსს, ლეონიდ შებარშინს<sup>3</sup>, რომელიც კა-გე-ბეს რეზიდენტად მსახურობდა, სანამ სკანდალის დროს 18 გადაცემულ დიპლომატს შორის არ მოჰყვებოდა. გარდა ამისა, 1988-91 წლებში იგი „კა-გე-ბეს“ პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) უფროსი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი კუზიჩკინს ყოველ ჯერზე აუგად მოიხსენიებს, მისი მოგონებები ძირითადად ადასტურებს კუზიჩკინის მონაყოლს. თუმცა მისი მოგონებები არაორგანიზებულია და უფრო მეტად შთაბეჭდილებების კრებულია. ამასთანავე გასათვალისწინებელია კა-გე-ბეს კიდევ ერთი „მოლაღატის“ ვასილი მიტროხინის არქივი<sup>4</sup>. მიტროხინი პირველ მთავარ სამმართველოში მთავარ არქივისტად მუშაობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბრიტანეთს ჩაბარდა და თავისი შეგროვებული უზარმაზარი არქივი ბრიტანეთის სპეცსამსახურებს გადასცა.

რაც შეეხება ირანულ მხარეს, მოჰამად მოჰამადი რეიშაჰრის მოგონებები<sup>5</sup> საბჭოთა კავშირისადმი ირანულ პოზიციასა და თუდეს საქმის მოტივებს აჩვენებს. რეიშაჰრი ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველი უშიშროების მინისტრი გახდა მას მერე, რაც თუდეს წევრებისა და მათი სამხედრო მხარდამჭერების სასამართლოებს უხელმძღვანელა. მისი მოგონებების სამტომეული აღწერს რევოლუციური ირანის ყველა იმ საქმეს, რომელშიც იგი იყო ჩართული: 1980 წლის ნოჟეს გადატრიალების მცდელობა, „ყოთბზადეს შეთქმულება“, თუდეს საქმე და ირან-კონტრას სკანდალის ფარგლებში მეჰდი ჰაშემის დაპატიმრება და დაკითხვა. თუმცა ამ შემთხვევაში მისი მოგონებები საბჭოთა კავშირისა და ირანის „მოლაღატე“ მემარცხენეების შესახებ ისტორიის ლექციების სახეს იღებს. თუმცა რეიშაჰრის პირადი ჩართულობის გამო მისი მოგონებები თუდეს საქმის გამო-საკვლევად ნამდვილად საინტერესოა.

2 Vladimir Kuzichkin, Inside the KGB: Myth and Reality / Vladimir Kuzichkin; translated by Thomas B. Beattie; introduction by Frederick Forsyth (London: Deutsch, 1990).

3 Leonid Shebarshin, Ruka Moskvu / Leonid Shebarshin (Dia sluzhebного pol'zovaniia) (Moskva: Izd-vo "ĖKSMO", 2002).

4 Christopher M. Andrew and Vasili Mitrokhin, The world was going our way: The KGB and the battle for the Third World (New York: Basic Books, 2005).

5 Muhammad Muhammadī Ray'shahri, Khatirahha. Vol.2 (Tihran: Markaz-I asnad-I Islami, 1383).

გარდა ამისა, ეს სტატია ეყრდნობა იმ ისტორიკოსთა კვლევებს, რომლებსაც შესწავლილი აქვთ ირანული მემარცხენეობის ისტორია მე-20 საუკუნეში, რა თქმა უნდა, თუდეს პარტიის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტატია რევოლუციურ ირანს ეხება, წინა ათწლეულების უგულვებელყოფა არ შეიძლება, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინა თუდეს პარტიასა და მისი წევრების ხანგრძლივ კარიერაზე. ამ ისტორიკოსებისგან აუცილებელია სამის გამოყოფა: ზაბიჰი<sup>6</sup>, აბრაჰამიანი<sup>7</sup> და შაქერი<sup>8</sup>. ზაბიჰის<sup>9</sup> სხვადასხვა თავი აქვს გამოყოფილი სხვადასხვა მემარცხენე ჯგუფისთვის, მათ შორის თუდეს პარტიისთვისაც, და შეისწავლის მათ მოწყობას, გავლენას და, რაც მთავარია, საბჭოთა კავშირებს. აბრაჰამიანი<sup>10</sup> დეტალურად აღწერს თუდეს რეპრესიებსა და აღიარებებს 1983-84 წლებში. იგი აკრიტიკებს მრავალ პოლიტიკოსსა და აკადემიკოსს, მათ შორის ზაბიჰსაც, თუდეს წევრების წამებისადმი ნაკლები ყურადღებისა და აღიარებების „კა-გე-ბესთან“ კავშირის უტყუარი მტკიცებულებად გამოყენების გამო<sup>11</sup>. რაც შეეხება შაქერის<sup>12</sup>, იგი სხვებთან ერთად ამ ორსაც აკრიტიკებს ზოგადად ირანული მემარცხენეობის ისტორიოგრაფიის კრიტიკის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ მისი წიგნის სათაურია „მემარცხენეობა ირანში 1941-1957 წლებში“, სათაური ცოტათი დამაბნეველია, რადგან იგი შემდგომ მოვლენებსაც განიხილავს. იგი ორივე ზემოხსენებულ ავტორს აკრიტიკებს<sup>13</sup> ერთი და იმავე თუდეს ისტორიის გამეორებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ზაბიჰი და აბრაჰამიანი ერთმანეთისგან იდეოლოგიურად მკვეთრად განხვავდებიან. გარდა ამისა, იგი ბევრ ავტორს, მათ შორის აბრაჰამიანსაც, ადანაშაულებს მცდარი ფაქტების გამოყენებასა და თუდესადმი სიმპათიებში<sup>14</sup>. თუმცა კი საინტერესოა, მიუხედავად შაქერის კრიტიკისა, ყველა აქ ნახსენები და სტატიაში გამოყენებული სხვა წყაროების ავტორებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ თუდეს პარტია მკვეთრად პროსაბჭოთა და კომუნისტური პარტია იყო.

გარდა ამისა, სხვადასხვა წყაროა გამოყენებული ახალშექმნილი ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკისა და საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების შესასწავლად. მათგან აღსანიშნავია პარკერი<sup>15</sup>, რომელიც დაწვრილებით აღწერს ირანის ისლამური რესპუბლიკის ურთიერთობებს საბჭოთა კავშირთან (1991 წლის შემდეგ კი რუსეთის ფედერაციასთან) და მოიხმობს მის მიერ ჩაწერილ ინტერვიუებს მრავალ პოლიტიკურ ფიგურასთან. ამასთანავე, ამ სტატიაში

6 Sepehr Zabih, *The Left in contemporary Iran: Ideology, organisation and the Soviet connection* (London: Stanford, Calif.: Croom Helm; Hoover Institution Press, 1986).

7 Ervand Abrahamian, *Tortured confessions: Prisons and public recantations in modern Iran* (Berkeley, CA: University of California Press, 1999).

8 Cosroe Chaqueri, *The Left in Iran, 1941-1957* (London: Pontypool [Wales]: Socialist Platform Ltd.; Merlin Press, 2011).

9 Zabih, *The Left in contemporary Iran*.

10 Abrahamian, *Tortured Confessions*.

11 Ibid, 187.

12 Chaqueri, *The Left in Iran*.

13 Ibid, 253.

14 Ibid.

15 John W. Parker, *Persian dreams: Moscow and Tehran since the fall of the Shah* (Washington D.C.: Potomac Books, 2009).



გამოყენებულია მაშინდელი მეჯლისის სპიკერის, ირანის მე-4 პრეზიდენტისა და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირის, აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის პარასკევის ქადაგებათა კრებული<sup>16</sup>, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და ირანული მემარცხენე ჯგუფების შესახებ მაშინდელ განცხადებებს შეიცავს. ეს ქადაგებები ჩაწერილია თუდეს სკანდალამდე სულ რამდენიმე თვით ადრე (ერთ-ერთ ქადაგებაში რაფსანჯანი ახსენებს ბრეჟნევის გასვენებას, რომელიც „იმ კვირაში“<sup>17</sup> იყო<sup>18</sup>). ეს და ყველა სხვა წყარო ემსახურება იმ მიზანს, რომ შეიქმნას თუდეს საქმის სრული სურათი საბჭოთა-ირანული ურთიერთობების ქრილში.

### საბჭოთა დაზვერვა ირანში

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის დროს საბჭოთა დაზვერვა ირანში მუშაობდა, იმდენად ეფექტური არ იყო, რომ მოვლენებზე სერიოზული გავლენა მოეხდინა. ამასთანავე, ეს გავლენაც ძალზედ მცირე იყო იმასთან შედარებით, თუ რა გავლენა ჰქონდა რუსეთის იმპერიას ან სსრკ-ს საუკუნის პირველ ნახევარში. შაჰ მოჰამად რეზა ფეჰლევის მმართველობისას საბჭოთა კავშირის მიზანი ირანთან ნორმალური და სტაბილური ურთიერთობის დამყარება იყო და ფაქტობრივად ამას მიაღწია კიდევაც, მიუხედავად იმისა, რომ შაჰის ირანი ამერიკის მოკავშირე იყო. კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები იმდენად განვითარდა, რომ რევოლუციის შემდეგ „საბჭოელ ირანის ექსპერტებს შაჰის დროის ნოსტალგია ჰქონდათ“<sup>19</sup>. რა თქმა უნდა, ირანის რევოლუცია, რომელიც მკვეთრად ანტიამერიკული რიტორიკით ხასიათდებოდა, თეირანის საბჭოთა ბლოკში მიზიდვის შესაძლებლობად ჩანდა. თუმცა მოსკოვმა ვერ მოახერხა არეულობა თავისთვის გამოეყენებინა. „კა-გე-ბემ“ კი მოახერხა რამდენიმე პოლიტიკური ფიგურის დისკრედიტაცია, თუმცა ეს ვერანაირ კონკურენციას უწევდა რეჟიმის ოპოზიციასთან ბრძოლის მასშტაბებს<sup>20</sup>. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის საელჩოსგან განსხვავებით საბჭოთა საელჩო უფრო მყარად იდგა თეირანში, საბჭოთა დაზვერვის ჩავარდნას ჩავარდნა მოჰყვებოდა, რომლებიც „კა-გე-ბეს“ თეირანის რეზიდენტურის არალეგალთა ხაზის უფროსის, ვლადიმირ კუზნიკინის გაქცევითა და პროსაბჭოთა თუდეს პარტიის რეპრესიებით დასრულდა.

ამ ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი მსოკოვში ირანის რევოლუციის არასწორი შეფასება იყო. „კა-გე-ბეს“ თეირანის რეზიდენტი ლეონიდ შებარშინი თავის მემუარში საბჭოთა ლიდერებსა და ცენტრს, განსაკუთრებით კი „კა-გე-ბეს“ უფროსს იური ანდროპოვს ირანზე არასწორი შეხედულებების გამო აკრიტიკებს<sup>21</sup>. თუმცა არასწორი შეხედულებები თვითონ საბჭოთა საელჩოშიც იყო გავრცელებული<sup>22</sup>.

16 Akbar ' . Hāshimī Rafsanjānī, *Dastāvurd 'hā-yi inqilāb-i islāmī-i Īrān* (Tihrān: Intishārāt-i Farhang-i Inqilāb-i Islāmī, 1983).

17 ლეონიდ ბრეჟნევის გასვენება 1982 წლის ნოემბერში იყო.

18 Hāshimī Rafsanjānī, *Dastāvurd 'hā-yi inqilāb-i islāmī-i Īrān*, 142.

19 Parker, *Persian dreams*, 4.

20 Andrew, *The world was going our way*, 186.

21 Shebarshin, *Ruka Moskvu*, 148.

22 Parker, *Persian dreams*, 8.

თავად კუზიჩკინი საკუთარ მემუარში, რომ ხომეინის სახელი მათთვის არაფერს ნიშნავდა და იგი უბრალოდ „აიათოლა სახელად ხომეინი“<sup>23</sup> იყო. ენდრიუს აზრით, აიათოლა ხომეინის სათანადოდ არ აფასებდნენ როგორც „კა-გე-ბეში“; ისევე ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში არა სადაზვერვო ინფორმაციის ნაკლებობის გამო, არამედ თავსაც არ იწუხებდნენ, რომ მისი სახელდახელოდ კასეტებზე გავრცელებული ქადაგებები შეესწავლათ<sup>24</sup>.

მიუხედავად ამისა, ირანში „კა-გე-ბეს“ პრობლემები რევოლუციამდე დაიწყო. კუზიჩკინის თქმით, „კა-გე-ბეს“ რეზიდენტურა 1977 წლის მერე ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა<sup>25</sup>, მას შემდეგ, რაც შაჰის საიდუმლო სამსახურმა სავაქმა „კა-გე-ბეს“ მთავარი ინფორმანტი გენერალი აჰმად მოყარები დაიჭირა. იგი სავაქმა „კა-გე-ბეს“ აგენტებთან საიდუმლო შეხვედრისას აიყვანეს. თუკი კუზიჩკინს ვენდობით, მსგავსი დონის ინფორმანტი „კა-გე-ბეს“ ირანში სხვა არ ჰყოლია<sup>26</sup>. თუმცა საბჭოთა დაზვერვისთვის უფრო ძლიერი დარტყმა ის აღმოჩნდა, რომ მოყარების გამოვლენის მიზეზი ვერ დაადგინეს. საბოლოო დასკვნის მიხედვით, სავარუდოდ, მოყარები საიდუმლო შეხვედრების სიხშირემ გაყიდა<sup>27</sup>. თუმცა გენერალი მანუჩეჰრ ჰაშემიმ, სავაქის მე-8 სამმართველოს უფროსმა, მოგვიანებით გამოააშკარავა, რომ ამ შეხვედრებზე მათ საბჭოთა საელჩოში სავაქის აგენტმა მიაწოდა - კულტურის ატაშემ სახელად ალიოვმა (Aliof)<sup>28</sup>. ამავე „ალიოვს“ ახსენებს საკუთარ მემუარებში რეიშაჰრიც<sup>29</sup>.

თუმცა ეს ისტორია 1977 წელს არ დასრულებულა. ამ ამბის გამოძიებამ უკვე რევოლუციის პერიოდში „კა-გე-ბე“ კიდევ ერთ ჩავარდნამდე მიიყვანა. სავაქი ჯერ კიდევ რევოლუციამდე გაუქმდა<sup>30</sup>, ხოლო რევოლუციის დროს მისი შტაბბინა ბრბომ დაარბია<sup>31</sup>. „კა-გე-ბეს“ რეზიდენტურამაც ამოისუნთქა და ჩათვალა, რომ ირანული სპეცსამსახურები მათ აღარ უთვალთვალებდნენ. ამიტომაც როდესაც რევოლუციიდან რამდენიმე თვეში მათ მოჯაჰედების ორგანიზაციიდან დაუკავშირდნენ და გადასცეს, რომ მოყარების საქმე მათს ხელში იყო, „კა-გე-ბეს“ რეზიდენტურამ პირდაპირ საელჩოს ტელეფონი გამოიყენა შეხვედრის დასანიშნად<sup>32</sup>. თუმცა როდესაც „კა-გე-ბეს“ აგენტი ფისენკო მოჯაჰედების აღმასრულებელი კომიტეტის წევრ მოჰამად-რეზა საადათისთან შეხვედრაზე მივიდა, ყოფილი სავაქის აგენტების ხაფანგში ამოყო თავი<sup>33</sup>. საადათი გაასამართ-

23 Kuzichkin, Inside the KGB, 223.

24 Andrew, The world was going our way, 182.

25 Kuzichkin, Inside the KGB, 281.

26 Kuzichkin, Inside the KGB.

27 Andrew, The world was going our way, 179.

28 Abbas Milani, Eminent Persians: The men and women who made modern Iran, 1941-1979. Vol 1 (Syracuse, N.Y.: London: Syracuse University Press; Eurospan [distributor], 2008), 462.

29 Muḥammadī Ray'shahrī, Khatirahha, 37.

30 Shaul Bakhash, The reign of the ayatollahs: Iran and the Islamic Revolution (Rev. ed.) (New York: Basic Books, 1990), 17.

31 Milani, Eminent Persians, 467.

32 Ibid, 467.

33 Kuzichkin, Inside the KGB, 268.

ლეს და საბოლოოდ სიკვდილით დასაჯეს<sup>34</sup>. ამ სპეცოპერაციის ყოფილი სავაქის თანამშრომლებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ახალი ხელისუფლებისთვისაც გამო-სადევი ხალხი იყვნენ.

რაც მთავარია, ასეთი ჩავარდნები საბჭოთა საელჩოს ადამიანურ რესურსს უკარგავდა. „კა-გე-ბეს“ გამოაშკარავებულ აგენტებს მაშინვე ქვეყნის დატოვება უხდებოდათ. შესაბამისად, ამ მიზნით ირანის ახალი ხელისუფლება დიპლომა-ტების წინააღმდეგ პირდაპირი შეტევის სტრატეგიას იყენებდა. მაგალითად, თე-ირანის რეზიდენტურის არალეგალური ხაზის უფროსი ვლადიმირ გოლოვანოვი 1980 წელს დაიჭირეს და ქვეყნიდან გააძევეს, რასაც მის პოსტზე კუზიჩკინის დაწინაურება მოჰყვა<sup>35</sup>. შებარშინი თვლიდა, რომ გოლოვანოვი სწორედ „მოლა-ლატე“ კუზიჩკინის დასაწინაურებლად გააგდეს<sup>36</sup>. თუმცა მაშინ სწორედ კუზიჩ-კინს ენდობოდა იგი ყველაზე მეტად და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მას ბრი-ტანეთის საიდუმლო სადაზვერვო სამსახურთან კავშირები ექნებოდა და 1982 წლის ივნისში ჩაბარდებოდა კიდეც<sup>37</sup>. თვითონ კუზიჩკინი ბუნდოვნად აღწერს, თუ როგორ მოიპოვა ბრიტანული პასპორტი მაიკლ როდის სახელით და მის გაქ-ცევას საბჭოთა კავშირისადმი გულის აცრუებით ამართლებს<sup>38</sup>. ყოველ შემთხ-ვევაში, ბრიტანულმა დაზვერვამ კუზიჩკინის მოწოდებული სახელები, სავარა-უდოდ, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მეშვეობით ისლამურ რესპუბლიკას გადასცა<sup>39</sup>. თანაც, სწორედ კუზიჩკინს ჰქონდა პირდაპირი კავში-რი თუდესთან<sup>40</sup>. 1983 წლის თებერვალში თუდეს წევრების დაპატიმრებასთან ერთად ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ 18 საბჭოთა დიპლომატი, შებარშინის ჩათვლით, ქვეყნიდან გააძევა.

თუმცა, როგორც უკვე ითქვა, გარკვეულ წარმატებებს საბჭოთა დაზვერვა მაინც აღწევდა ზოგიერთი ფიგურის დისკრედიტაციის კუთხით. ამის ნათელი მაგალითია სადევ ყოთბზადეს დისკრედიტაცია, რომელიც აიათოლა ხომეინის ერთ-ერთი ყველაზე ახლო პირი იყო საფრანგეთში გადასახლებისას და 1980 წელს ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტსაც იკავებ-და. ყოთბზადე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კრიტიკოსი იყო ირანში: მან მკაცრად დაგმო საბჭოთა ინტერვენცია ავღანეთში, შეამცირა საბ-ჭოთა დიპლომატების რიცხვი, თუდეს პარტიას „რუსეთის აგენტებს“ უწოდებდა, ხოლო საბჭოთა კავშირის ხსენებისას კი აიათოლა ხომეინის ნათქვამს იმოწმებ-და, რომ საბჭოთა კავშირიც სატანური ზესახელმწიფო იყო<sup>41</sup>. ყოთბზადეს კამპა-ნიის საპასუხოდ კა-გე-ბემ მისი დისკრედიტაციის გეგმა დასახა, რომელიც მისი მოხსნის შემდეგაც გაგრძელდა. მათ წერილი გააყალბეს, თითქოს ყოთბზადეს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოდან სწერდნენ<sup>42</sup>. სადევ ყოთბზადე 1982

34 Milani, *Eminent Persians*, 467

35 Kuzichkin, *Inside the KGB*, 346.

36 Shebarshin, *Ruka Moskvu*, 148.

37 Andrew, *The world was going our way*, 186.

38 Kuzichkin, *Inside the KGB*.

39 Parker, *Persian dreams*, 16.

40 Kuzichkin, *Inside the KGB*; Parker, *Persian dreams*.

41 Martin Sicker, *The bear and the lion: Soviet imperialism and Iran* (New York: Praeger, 1988), 115.

42 Andrew, *The world was going our way*; Kuzichkin, *Inside the KGB*.

წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულებისთვის, რომლის მონაწილედაც ასევე დასახელდა დიდი აიათოლა ქაზემ შარიათმადარიც<sup>43</sup>. „კა-გე-ბეს“ სამიზნე შარიათმადარიც იყო<sup>44</sup>, თუმცა პირველ რიგში, იგი აიათოლა ხომეინის მეტოქე იყო. კუზიჩკინსეჭვი ეპარება, რომ „კა-გე-ბემ“ რაიმე გადამწყვეტი როლი შეასრულა ყოთბზადეს მოშორებაში<sup>45</sup>. მართლაც, უმეტეს ლიბერალ და ზომიერ პოლიტიკოსებს, ძველი ხომეინისტების ჩათვლით, მთავრობა ისედაც ერჩოდა და „კა-გე-ბეს“ ხელშეწყობის გარეშეც ებრძოდა მათ.

თუმცა, მიუხედავად მოვლენების მიმდინარეობაზე მცირე გავლენისა, საბჭოთა მიზნები სრულად ჩავარდნილად არ უნდა იქნეს განხილული. კუზიჩკინის თქმით, „ირანის თავისივე წვენიში იხარშებოდა“<sup>46</sup>. ქვეყანაში რევოლუციური არეულობა სუფევდა, რასაც თან ერწყთან ომი ახლავდა. ერთი მხრივ, თეირანი მოსკოვისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა, და მეორე მხრივ, რაც მთავარია, ირანი მკვეთრად ანტიამერიკული გახდა, რაც ცივი ომის კონტექსტში საბჭოთა კავშირისთვის მომგებიანი იყო. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ არალეგალური აგენტებისა და თუდეს შეგროვილი ინფორმაცია განსაკუთრებით გამოსადეგი არ ყოფილა „კა-გე-ბესთვის“<sup>47</sup>, ირანი ამერიკულ ორბიტას 1979 წლის რევოლუციამ ისედაც ჩამოაშორა, რაც მოსკოვისთვის უკვე საკმაოდ ხელსაყრელი იყო.

### თუდეს პარტია

ამასთანავე, საჭიროა დადგინდეს, რამდენად დამოკიდებული იყო თუდეს პარტია მოსკოვსა და მის ინტერესებზე. პარტიის ისტორიის შესწავლისას კი შეიძლება ითქვას, რომ თუდეს პარტია თავისი ისტორიის განმავლობაში ძირითადად პროსაბჭოთა პარტია იყო. ოფიციალურად მას კომუნისტური პარტია არ ერქვა, არამედ მასების პარტია. თვითონ პარტიაშიც იყო კამათი იმის შესახებ, თუდეს თავიდანვე კომუნისტური პარტია იყო თუ შემდეგ იქცა კომუნისტურად<sup>48</sup>. თუდეს პარტია 1941 წელს დაარსდა მოკავშირეების მიერ რეზა შაჰის ჩამოგდების შემდეგ. დამფუძნებელი წევრები იყვნენ მარქსისტი ინტელექტუალები, აქტივისტები, ყოფილი ირანის კომუნისტური პარტიის წევრები, ზოგიერთი მათგანი რეზა შაჰის დროს ციხეშიც იჯდა<sup>49</sup>. შაქერის აზრით, თუდეს პირდაპირ საბჭოთა ძალების მიერ შეიქმნა და აკრიტიკებს სხვა ავტორებს ამ ამბის მიჩქმალვაში<sup>50</sup>. თუმცა აბრაჰამიანიც, რომელსაც შაქერის გაკრიტიკებულ ისტორიკოსებს შორისაა, ასევე აღნიშნავს, რომ თუდეს პოპულარობის დაკარგვა სწორედ იმან გამოიწვია, რომ პარტია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა მოთხოვნებს ნავთობის კონცესიებზე დიდად არ შეწინააღმდეგებია<sup>51</sup>. გარდა ამისა, თუდეს

43 Bakhsh, The reign of the ayatollahs, 223.

44 Andrew, The world was going our way, 186.

45 Kuzichkin, Inside the KGB, 303.

46 Ibid, 372.

47 Ibid.

48 Chaqueri, The Left in Iran, 195.

49 Abrahamian, Tortured Confessions.

50 Chaqueri, The Left in Iran, 218.

51 Abrahamian, Tortured Confessions, 82.

პარტიამ დიდი მარცხი განიცადა 1953 წლის გადატრიალების დროს: პარტიას სახელი გაუტყდა მოსადეყისადმი არასაკმარისი მხარდაჭერის გამო, ხოლო შემდეგ უკვე მოჰამად რეზა შაჰის რეპრესიებმა დააზარალა<sup>52</sup>. შაქერი თუდეს მიერ მოსადეყის კრიტიკას, როდესაც მას ამერიკის მარიონეტს უწოდებდნენ, საბჭოთა დირექტივებს უკავშირებს<sup>53</sup>. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, პირდაპირ საბჭოთა დავალებით შეიქმნა თუ არა თუდეს პარტია, იგი ხშირად ახმოვანებდა საბჭოთა ინტერესებს და მუდმივად იყო აღქმული, როგორც პრო-საბჭოთა პარტია.

მიუხედავად ამისა, ირანის რევოლუციამ პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნების ახალი შესაძლებლობა გააჩინა. თუდემ აიათოლა ხომეინისა და მისი ისლამისტური მთავრობის აქტიური მხარდაჭერის სტრატეგია არჩია. თანაც, მაშინ ეს საბჭოთა ინტერესებსაც ემთხვეოდა. თუდეს ისლამისტური მთავრობისადმი მხარდაჭერას იმით ამართლებდა, რომ ეს ჩვეულებრივი კი არა, რევოლუციური მთავრობა იყო, რომელიც აკეთებდა ყველაფერს, რასაც ანტიიმპერიალისტური მემარცხენე პარტია გააკეთებდა<sup>54</sup>. მართლაც, „ანტიამერიკანიზმი რევოლუციური რეტორიკისა და იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი იყო“<sup>55</sup>, შესაბამისად, რევოლუცია მოსკოვისთვის მისაღები იყო, თუნდაც თეირანი საბჭოთა ბლოკში არ გადასულიყო. თეორიულად კი, თუდეს ამ რევოლუციას პირველ ნაბიჯად განიხილავდა სოციალისტური რევოლუციისკენ<sup>56</sup>. ამგვარად, შემდეგ რევოლუციამდე ისლამისტური რეჟიმის მხარდაჭერა ტაქტიკურად გამართლებული იყო. ამიტომაც რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე ირაჯ ისქანდარი, რომელიც მანამდე აიათოლა ხომეინის აკრიტიკებდა, გაათავისუფლეს პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობიდან და ნურედინ ქიანურით ჩაანაცვლეს, რომელიც ამავე დროს შეიხ ფაზლოლა ნურის შვილიშვილი იყო. შეიხ ფაზლოლა ნური კონსტიტუციური რევოლუციის პერიოდის ცნობილი სასულიერო პირი იყო, რომელიც სიკვდილით დასაჯეს კონსტიტუციონალისტებმა 1977 წელს<sup>57</sup>, ისლამურმა რესპუბლიკამ კი სხვა სასულიერო პირებთან ერთად ირანის ისტორიაში მისი როლის ხაზგასმა დაიწყო<sup>58</sup>. თუდეს პარტიამ 1979 წლის აპრილის რეფერენდუმშიც მიიღო მონაწილეობა და მხარი დაუჭირა ისლამური რესპუბლიკის გამოცხადებას<sup>59</sup>. ამასთანავე, თუდემ დაიწყო რეჟიმის მოწინააღმდეგე ლიბერა-

52 Maziar Behrooz, "The Iranian revolution and the legacy of the guerilla movement," in *Reformers and revolutionaries in modern Iran: New perspectives on the Iranian left*, ed. University of London. School of Oriental and African Studies and Stephanie Cronin (London; New York: Routledge; Curzon, 2004), 194.

53 Chaqueri, *The Left in Iran*, 220.

54 Zabih, *The Left in contemporary Iran*, 27.

55 Bakhsh, *The reign of the ayatollahs*, 237.

56 Milani, *Eminent Persians*, 192.

57 Aryeh Yodfat, *The Soviet Union and revolutionary Iran* (London: Croom Helm, 1984), 56.

58 Ervand Abrahamian, *A history of modern Iran* (Cambridge: Cambridge University Press, 2008), 177.

59 Ali Mirsepassi, "The tragedy of the Iranian Left," in *Reformers and revolutionaries in modern Iran: New perspectives on the Iranian left*, ed. University of London. School of Oriental and African Studies and Stephanie Cronin (London; New York: Routledge; Curzon, 2004).

ლური, ზომიერი თუ მემარცხენე ძალების აქტიური კრიტიკა. მილანის აზრით, თუდეს გადმოსახედიდან, ისლამისტ ფუნდამენტალისტებს დანარჩენი ძალების განდევნის შემდეგ მათთან კოალიციის შეკვრა მოუწევდათ ან გამოცდილების ნაკლებობის გამო ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდებოდნენ<sup>60</sup>.

ის საჭიროება, რომ თუდეს თავი მთავარ მემარცხენე ძალად დაემკვიდრებინა, გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ეს პოზიცია პარტიას უკვე დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა. 1960-იან წლებიდან მოყოლებული მოსკოვმა შაჰთან ურთიერთობების ნორმალიზაციის მიზნით ოპოზიციისადმი მხარდაჭერა შეასუსტა<sup>61</sup>, რის გამოც პროსაბჭოთა თუდემ ბევრი მემარცხენის მხარდაჭერა დაკარგა<sup>62</sup>. 1970-იან წლებში ყველაზე გავლენიანი მემარცხენე ძალა ისლამისტურ-მარქსისტული იდეოლოგიის მქონე ირანის ხალხის მოჯაჰედების ორგანიზაცია გახდა, რომელიც შემდეგ ისლამისტურ მთავრობას სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდა 1981 წლის ქუჩის ბრძოლებში. კიდევ ერთი გასამხედროებული ორგანიზაცია, რომელიც იდეოლოგიურად უფრო ახლოს იყო თუდეს მარქსიზმ-ლენინიზმთან, ირანის ხალხის ფედაების ორგანიზაცია იყო, რომელიც არ იყო ასოცირებული საბჭოთა კავშირთან და თუდებზე ბევრად მრავალრიცხოვანი იყო<sup>63</sup>. ფედაები თუდეს მოსკოვის ხაზის ბრძოლად მორჩილებას აბრალებდნენ და რადგანაც თუდეს ქუჩის ბრძოლებში მონაწილეობას არ იღებდა, თუდეს ნაცვლად სწორედ ფედაები გახდნენ „ნამდვილი მარქსისტ-ლენინისტური რევოლუციური ძალა“<sup>64</sup>. შესაბამისად, თუდემ თავისი პასიურობის კომპენსაციისთვის ყველაზე რადიკალური პოზიცია შეარჩია და ახალი რეჟიმის მხარდამჭერი მთავარი მარქსისტული ძალა გახდა. მალევე პოსტრევოლუციური გაყოფის შემდეგ 1980 წელს ფედაებმა (უმრავლესობა) იგივე პოზიცია აირჩიეს, მაშინ როცა ფედაები (უმცირესობა) მოჯაჰედებთან და სხვა მემარცხენე ჯგუფებთან ერთად ქუჩის ბრძოლებში ჩაერთნენ<sup>65</sup>. ამასთანავე, თუდეს პარტიისა და მისი წევრების ასაკიც სხვა მარქსისტულ პარტიებს აღემატებოდა. თუდეს ლიდერები გამოჩენილი აკადემიკოსები და მწერლები იყვნენ, რომლებიც თავიანთი ნაწერებით ირანში მარქსიზმის მთავარი განმმარტებლები იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის შემდეგ თუდეს ირანის პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნდა.

გარდა ამისა, თუდეს პარტიას სხვა ამოცანებიც ჰქონდა. პირველ რიგში, ერთ-ერთი ამოცანა სხვა მეტოქე მემარცხენე ძალების მოშორება იყო. ასე რომ, თუდეს არა მხოლოდ გამოხდა მოჯაჰედებს, ფედაებს (უმცირესობა) და რეჟიმთან მეზობლ სხვა მემარცხენე ძალებს, არამედ სავარაუდოდ, ისლამურ რესპუბლიკურ პარტიასთანაც თანამშრომლობდა და მათ საიდუმლო მისამართებს აწვდიდა<sup>66</sup>.

60 Milani, *Eminent Persians*, 192.

61 Yodfat, *The Soviet Union and revolutionary Iran*.

62 Zabih, *The Left in contemporary Iran*, 17.

63 Mirsepassi, "The tragedy of the Iranian Left."

64 Zabih, *The Left in contemporary Iran*, 131.

65 Mirsepassi, "The tragedy of the Iranian Left," 238.

66 Zabih, *The Left in contemporary Iran*; Aleksey M. Vasiliev, *Rossii na Blizhnem i Srednem Vostoke: Ot messianstva k pragmatizmu* (Moscow: "Nauka", 1993); Mohsen M. Milani, *The making of Iran's Islamic revolution: From monarchy to Islamic republic* (2nd. Ed.) (Boulder: Westview Press, 1994); Salekh M. Aliev, *Istori Irana-XX vek* (Moskva: IV RAN: Kraft+, 2004).

მოჯაჰედთა ლიდერი მასუდ რაჯავი თუდეს „ხომეინის აგენტებს“ უწოდებდა, რომლებიც უყოყმანოდ გადასცემდნენ მოჯაჰედების სახელებს მთავრობას<sup>67</sup>. რეიშაჰრიც წერს, რომ თუდეს ისლამურ რევოლუციურ სასამართლოებთან კავშირები ჰქონდათ სწორედ საიდუმლო ინფორმაციების გაზიარების გამო<sup>68</sup>. მორიგი ამოცანა ახალ მთავრობაში, სამინისტროებში, რევოლუციურ გუშაგთა კორპუსსა და არმიაში საკუთარი ქსელის შექმნა იყო. თუდეს საკმაოდ დიდი ქსელი ჰქონდა იმპერიულ არმიაში 1940-50-იან წლებში<sup>69</sup> და რევოლუციის შემდეგაც მოახერხეს გარკვეული მოკავშირეთა ქსელის შექმნა არმიაში, რომელსაც რეიშაჰრი დასავლელ თუ აღმოსავლელ იმპერიალისტთა იმედად მოიხსენიებს<sup>70</sup>. გარდა ამისა, თუდემ სავარაუდოდ საკუთარი საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია „ნავიდიც“ შეინარჩუნა<sup>71</sup>. რეიშაჰრის აზრით, მსგავსი მასშტაბის კავშირები მოჯაჰედებს ან ფედაებს რომ ჰქონოდათ, ამას მაშინვე გამოიყენებდნენ, თუდეს კი ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. ყოველ შემთხვევაში, თუდეს პარტია 1982 წლის ბოლოს იმ იშვიათ პოლიტიკურ პარტიებში შედიოდა, რომლებიც ირანში ჯერ კიდევ ლეგალურად მოქმედებდნენ.

მიუხედავად ამისა, თუდეს გავლენა მაინც შეზღუდული იყო. პირველ რიგში, თუდეს რეჟიმის სიმპათია არ მოუპოვებია. მიუხედავად, მათ მიერ მთავრობის დაცვისა და რეპრესიების გამართლებისა, არჩევნები თუდესთვის წარმატებული არ აღმოჩნდა. მიუხედავად, ზოგიერთ უბანზე ისლამური რესპუბლიკური პარტიის კანდიდატების მხარდაჭერისა, მმართველ პარტიას ვალი არ დაუბრუნებია<sup>72</sup>. მთავრობისთვის ისინი მაინც საბჭოთა აგენტებად ითვლებოდნენ<sup>73</sup>. მათი გაზეთებიც 1983 წლამდეც უკვე აკრძალული იყო<sup>74</sup>. მეორე რიგში, მიუხედავად იმისა, რომ თუდეს არმიაში მრავალმხრივი კავშირები ჰქონდა, თვითონ არმია უკვე უთმობდა საკუთარ პოზიციებს ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს, რომელიც ქვეყნის მთავარი შეიარაღებული ძალები ხდებოდა. რეიშაჰრის თქმით, ისლამური რესპუბლიკის კონტრდაზვერვა „რწმენის ძალასა და ისლამური ღირებულებებისადმი პასუხისმგებლობაზე“ იყო დაფუძნებული და ამის გამყარებლად ის ფაქტი მოჰყავს, რომ თუდემ მხოლოდ 7 ადამიანის გადაბირება შეძლო ისლამურ რესპუბლიკურ პარტიაში, გუშაგთა კორპუსსა და ისლამურ რევოლუციურ კომიტეტებში, მაშინ როცა თუდეს მხარდამჭერები, ძირითადად, შაჰის პერიოდში არსებულ ინსტიტუტებში მოიპოვებოდა<sup>75</sup>. საბოლოოდ, რაც მთავარია, თუდეს პოზიცია დიდხანს ვეღარ დააკმაყოფილებდა ირანისა და საბჭოთა მთავრობებს ერთდროულად. ავღანეთში საბჭოთა ინტერვენცია ერთ-ერთი საკითხი იყო, რომელსაც თუდეს მხარს უჭერდა, ხოლო ისლამური რესპუბლი-

67 Yodfat, *The Soviet Union and revolutionary Iran*, 123.

68 Ray'shahrī, *Khatirahha*, 28.

69 Behrooz, "The Iranian revolution and the legacy of the guerilla movement," 196.

70 Ray'shahrī, *Khatirahha*, 27.

71 Zabih, *The Left in contemporary Iran*; Milani, *The making of Iran's Islamic revolution*; Ray'shahrī, *Khatirahha*.

72 Zabih, *The Left in contemporary Iran*, 37.

73 Ray'shahrī, *Khatirahha*.

74 Sicker, *The bear and the lion*; Aliev, *Istori Irana*.

75 Ray'shahrī, *Khatirahha*, 80.

კა აკრიტიკებდა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი უთანხმოება მაინც 1982 წელს ომის გაგრძელებისა და ერაყში შეჭრის გადაწყვეტილებას ეხებოდა.

### **ირანის ისლამური რესპუბლიკის ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან**

თუდეს რეპრესიების განსახილავად საჭიროა ირანის ისლამური რესპუბლიკის ურთიერთობების გარკვევა საბჭოთა კავშირთან. ცივი ომის გადმოსახედიდან, პროამერიკული ქვეყნის მკვეთრად ანტიამერიკულად ქცევა მოსკოვისთვის მომგებელი იყო. თუმცა რევოლუციურ წლებში თანმიმდევრული ხაზის დადგენა ურთიერთობებში რთულია, რადგან ირანში ვითარება სწრაფად იცვლებოდა. ამასთანავე, აუცილებელია გავითვალისწინოთ რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი სლოგანი: „არც აღმოსავლეთი, არც დასავლეთი, მხოლოდ ისლამური რესპუბლიკა“, რომელიც ქვეყნის მიუმხრობლობასა და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აღნიშნავდა. ბეჰრუზი ირანის საგარეო პოლიტიკას სამ ნაწილად ჰყოფს: ლიბერალური (1979-81), იზოლაციონისტური (1981-84) და პრაგმატული (1984-ის შემდეგ)<sup>76</sup>. თუდეს საქმეც იზოლაციონისტურ პერიოდში ხვდება, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელობა საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობას ხაზს უსვამდა. ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, შემდეგ კი პრაგმატისტთა ლიდერი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი საკუთარ ქადაგებებში „არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთის“ პოლიტიკას აღწერდა, როგორც უჩვეულოს სხვა რევოლუციებთან შედარებით, რადგან სხვა ქვეყნებში რევოლუციის შემდეგ ახალი რეჟიმები ერთი ბლოკიდან მეორეში გადადიოდნენ და ზოგჯერ მუსლიმებიც კი მარქსიზმს მისდევდნენ, რომ კომუნისტებისგან მხარდაჭერა მიეღოთ, ხოლო ისლამური რესპუბლიკა კი „რეალურად დამოუკიდებელი და ხალხისგან მხარდაჭერილი“ იყო<sup>77</sup>.

თუმცა „არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთის“ პოლიტიკას ხელი არ შეუშლია ირანისთვის პრაგმატული ურთიერთობები ჰქონოდა საბჭოთა კავშირთან და შეერთებულ შტატებთანაც კი (ირან-კონტრას საქმის შემთხვევაში). ამავდროულად ისლამური რესპუბლიკის რიტორიკა ამერიკულ და საბჭოთა იმპერიალიზმებს ერთმანეთთან ათანაბრებდა<sup>78</sup>. რეიშაჰრის მემუარ-ლექციებში ვკითხულობთ, რომ იგი კრემლის პოლიტიკას „მილიტარიზმს მარქსიზმის საფარველის ქვეშ“ უწოდებდა უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და ავღანეთის მაგალითების მოხმობით და ამას ლენინის „მაკიაველისტური პოლიტიკის“ გაგრძელებად მიიჩნევდა, რადგან მათ გადატრიალებები ჯერ კიდევ „ოქტომბრის გადატრიალებიდან“ სჩვეოდათ<sup>79</sup>. თუმცა 1982 წელს რაფსანჯანი თავის ქადაგებაში განმარტავდა, რომ „განვითარების ამ დონეზე ირანი სრულად იზოლირებული ვერ იქნებოდა“<sup>80</sup>. იგი ამით პასუხობდა კრიტიკას ბრეჟნევის გასვე-

76 Behrooz, “Trends in the Foreign Policy of the Islamic Republic of Iran, 1979-1988,” in *Neither East nor West: Iran, the Soviet Union, and the United States*, ed. Nikkie R. Keddie and Mark J. Gasiorowski (New Haven: Yale University Press, 1990), 14.

77 Hāshimī Rafsanjānī, *Dastāvurd’ hā-yi inqilāb-i islāmī-i Īrān*, 95.

78 Behrooz, “Trends in the Foreign Policy of the Islamic Republic of Iran, 1979-1988,” 15.

79 Ray’shahrī, *Khatirahha*, 57.

80 Hāshimī Rafsanjānī, *Dastāvurd’ hā-yi inqilāb-i islāmī-i Īrān*, 144.



ნებაში ირანული დელეგაციის დასწრების შესახებ. თვითონ ასეთი კრიტიკის არსებობა და რაფსანჯანის პასუხი იმას მოწმობს, რომ საგარეო პოლიტიკას დიდი გავლენა ჰქონდა ირანის შიგნით. რაფსანჯანი კი აღნიშნავდა, რომ მემარცხენეები დასავლეთთან კავშირებს აპროტესტებენ, მაგრამ არა აღმოსავლეთთან, მემარჯვენეები კი - პირიქით<sup>81</sup>. თუმცა უნდა ითქვას, რომ თვითონ ისლამისტური ხელისუფლება საგარეო პოლიტიკას კარგად იყენებდა შიდა პოლიტიკური ამოცანებისთვის.

რეალურად, შეერთებული შტატების მსგავსად, საბჭოთა კავშირიც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იდეოლოგიურ ომში პოსტრევოლუციურ ირანში. თუკი ამერიკის სახელს იყენებდნენ ლიბერალებისა და ზომიერებისთვის „ამერიკის აგენტობის“ დასაბრალებლად და აშშ-ის საელჩოდან დოკუმენტები კონკრეტული პირების დისკრედიტაციისთვის გამოიყენებოდა<sup>82</sup>, საბჭოთა კავშირს მემარცხენეების მოსკოვთან კავშირის დასაბრალებლად იყენებდნენ. თუმცა არც ამერიკას ივიწყებდნენ მემარცხენეებთან ბრძოლისას. რაფსანჯანი ირანელ მემარცხენეებს „ამერიკული სტილის“ მემარცხენეებს უწოდებდა<sup>83</sup>. გარდა ამისა, მისი თქმით, როცა საჭირო იყო, ამერიკელები და რუსები ერთად მოქმედებდნენ ისლამური რესპუბლიკისთვის ძირის გამოსათხრელად<sup>84</sup>. ამასთანავე, საბჭოთა კავშირი დაფუძნებული იყო მეტოქე იდეოლოგიაზე - მარქსიზმზე, ხოლო თავად საბჭოთა კავშირი გაცხადებულად ათეისტური სახელმწიფო იყო. თუმცა აიათოლა ხომეინის პოლიტიკურ ისლამს გარკვეული მსგავსებები ჰქონდა მარქსიზმთან. ორივე გარკვეული ტიპის უტოპიის აშენებას ცდილობდა და, რაც მთავარია, ორივე ანტიიმპერიალისტური იყო. ირანის რევოლუცია ითვლებოდა „ჩაგრულთა აჯანყებად მჩაგვრელთა წინააღმდეგ“<sup>85</sup>. მილანისხვა მსგავსებებს შორის ასახელებს ისტორიის მესიანისტურ გაგებას, „სამართლიანი ომისა“ და „რევოლუციური ძალადობისადმი“ რწმენას და მოწამეთა კულტის არსებობას<sup>86</sup>. ასე რომ, ისლამური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ხატს იყენებდა მეტოქე იდეოლოგიის დასამარცხებლად და ისლამური იდენტობის აღმატების დასამტკიცებლად.

რა თქმა უნდა, ამ ხატის ძირითადი გამოყენება მემარცხენეებისთვის საბჭოთა აგენტობის დაბრალება იყო. ჯერ კიდევ კულტურულ რევოლუციამდე და უნივერსიტეტების დახურვამდე 1981 წელს აიათოლა ხომეინი აკრიტიკებდა „დასავლურ უნივერსიტეტებს, რომლებიც სტუდენტებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ინტერესებისთვის ზრდიდნენ“<sup>87</sup>. თუდეს რეპრესიებამდე თვეებით ადრე რაფსანჯანი მოუწოდებდა ირანელ კომუნისტებს საკუთარი დამოუკიდებლობა დაემტკიცებინათ, თორემ „ხალხი მათ რუსების დამქაშებად ჩათვლიდა“<sup>88</sup>. თუდეს პარტია ამ კუთხით ყველაზე იოლი სამიზნე იყო, რადგან იგი ისედაც

81 Ibid, 142.

82 Bakhash, *The reign of the ayatollahs*; Abrahamian, *A history of modern Iran*.

83 Hāshimī Rafsanjānī, *Dastāvurd'hā-yi inqilāb-i islāmī-i Īrān*, 107.

84 Ibid, 111.

85 Arshin Adib-Moghaddam, *Iran in world politics: The question of the Islamic republic* (New York; London: Columbia University Press; Hurst & Company, 2008).

86 Milani, *Eminent Persians*, 278.

87 Bakhash, *The reign of the ayatollahs*, 122.

88 Hāshimī Rafsanjānī, *Dastāvurd'hā-yi inqilāb-i islāmī-i Īrān*, 102.

პროსაბჭოთა პარტიად ითვლებოდა ყოველგვარი საჯარო აღიარებების გარეშე. მაგალითად, რეიშაჰრი თუდეს ორპირობას ისლამური რესპუბლიკის მხარდაჭერაში იმით ამხელდა, რომ ისინი მარქსისტები არიან, მაშასადამე, ათეისტებიც<sup>89</sup>. რაფსანჯანიც საკუთარ ქადაგებაში ამბობდა, რომ „კომუნისტებს ღმერთი არ სწამთ, შესაბამისად, ვერ „ველაიათ-ე ფაყიჰს“<sup>90</sup> ვერ მიიღებენ, თუნდაც ამას ამბობდნენ, რადგან „ველაიათ-ე ფაყიჰის“ აღიარება ღვთისა და წინასწარმეტყველის აღიარებასაც ნიშნავს“<sup>91</sup>.

გარდა ამისა, თუდეს აღიარებებიც კარგად აჩვენებს ისლამისტური ხელი-სუფლების დამოკიდებულებას მარქსიზმისადმი, თუდეს პარტიისა და საბჭოთა კავშირისადმი. განა ვინ უკეთესად დაგმობდა მარქსიზმს, როგორც ირანისთვის შეუსაბამო იდეოლოგიას, თუ არა თავად ქვეყნის უმნიშვნელოვანესი და გამორჩეული მარქსისტები? თუდეს პარტია ყველაზე გამოცდილ მემარცხენე პარტიად ითვლებოდა, რომელშიც შედიოდნენ გამოჩენილი მწერლები, აკადემიკოსები და შაჰის პერიოდის დისიდენტები<sup>92</sup>. საჯარო აღიარებები დაიწყო პარტიის ლიდერი ნურედინ ქიანურისა და ცნობილი მწერლის ბეჰაზინის გამოსვლით და ერთი წლის შემდეგ დასრულდა პარტიის მთავარი თეორეტიკოსის ეჰსან თაბარის გამოსვლით, რომელსაც გამოცემული ჰქონდა მრავალი წიგნი მარქსიზმზე, ირანის ისტორიაზე, სპარსულ ლიტერატურასა და ისლამურ ფილოსოფიაზე<sup>93</sup>. მთავრობამ ტელეაღიარებების დაწყების თარიღი 1 მაისი, მშრომელთა საერთაშორისო დღე, სავარაუდოდ, განზრახ შეარჩია<sup>94</sup>. ეს ტელეაღიარებები მოიცავდა მრავალი მაგიდის დისკუსიებს პარტიის სხვა წევრებთანაც. გარდა ქვეყნის ღალატისა და „კა-გე-ბეს“ სასარგებლოდ ჯაშუშობის აღიარებისა, ისინი ლექციებს კითხულობდნენ პარტიის ისტორიაზე, თუ როგორ ცდებოდნენ ათწლეულების განმავლობაში, აღიარებდნენ ისლამური ფილოსოფიის უმჯობესობას მარქსიზმზე და ახალგაზრდებს მოუწოდებდნენ, მათი შეცდომები არ გაემეორებინათ<sup>95</sup>. ასე რომ, ისლამურმა რესპუბლიკამ მარქსიზმი ქვეყნის მთავარი მარქსისტების პირით დაგმო.

ასეთი ნაბიჯი კი შეიძლება ირანის მთავრობის სიფრთხილედ იყოს განხილული, რადგან მას არ სურდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების სრულად გაწყვეტა. ურთიერთობები სრულად არც გაწყვეტილა. 1983 წელსვე საბჭოთა პოლიტიკაში იგრძნობოდა როგორც მტრობა ირანისადმი, ისე თანამშრომლობის სურვილი<sup>96</sup>. საბჭოთა რეაქცია შემდეგ თავებში იქნება განხილული, მაგრამ მეორე მხრივაც, ისლამურ რესპუბლიკასაც სურდა ჩრდილოელ მეზობელთან პრაგმატული თანამშრომლობა. რაფსანჯანისაუბრობდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის აუცილებლობაზე, რადგანაც მათ საერთო საზღვარი აკავშირებდათ<sup>97</sup>. თუმცა ეს არ გულისხმობდა არანაირ კომპრომისს ძალაუფლების კონსოლი-

89 Ray'shahri, Khatirahha, 54.

90 ისლამური სამართალმცოდნის მმართველობა - აიათოლა ხომეინის თეორია

91 Hāshimī Rafsanjānī, Dastāvurd 'hā-yi inqilāb-i islāmī-i Īrān, 83.

92 Abrahamian, Tortured Confessions, 178.

93 Ibid.

94 Zabih, The Left in contemporary Iran; Abrahamian, Tortured Confessions.

95 Abrahamian, Tortured Confessions.

96 Zabih, The Left in contemporary Iran, 23.

97 Hāshimī Rafsanjānī, Dastāvurd 'hā-yi inqilāb-i islāmī-i Īrān, 144.

დაციის გზაზე. აშშ-ის საელჩოზე თავდასხმის მსგავსად, რომელმაც აჩვენა, რომ ახალი სახელმწიფო იდენტობა აგრესიული იყო და სტატუს-კვოს რღვევას ითვალისწინებდა<sup>98</sup>, ასევე თუდეს პარტიაზე თავდასხმამ შეცვალა სტატუს-კვო მოსკოვთან ურთიერთობებში. ამით განადგურდა პროსაბჭოთა პოლიტიკური ძალა, რომელიც ოთხი ათწლეულის განმავლობაში არსებობდა და საერთაშორისო დონეზე ირანი საბჭოთა კავშირთან მიმართებით აამაღლა, რადგან მოსკოვი ირანის შიდა პოლიტიკაში ვეღარ ჩაერეოდა.

### **თუდეს საქმისთვის შერჩეული დრო**

პასუხი უნდა გაეცეს ასევე კითხვას, თუ რატომ იწყნარებდა ირანის რევოლუციური მთავრობა თუდეს პარტიას, თუ მათი „ცრუ მხარდაჭერა“<sup>99</sup> ისლამური რესპუბლიკისადმი ასეთი ცხადი იყო? 1982 წელს რამდენიმე მოვლენა უშუალოდ უსწრებდა წინ თუდეს საქმეს: კუზიჩკინის გაქცევა და ირანის უარი, დაესრულებინა ირან-ერაყის ომი, რომელსაც მოჰყვა ირანის ინტერვენცია ერაყში რევოლუციის ექსპორტის მიზნით. ომის გაგრძელება და საბჭოთა ინტერვენცია ავღანეთში იყო ორი უმთავრესი საკითხი, რომლებშიც ირანის მთავრობისა და თუდეს პარტიის პოზიციები განსხვავდებოდა. თუმცა ამ საკითხებს შორის ერთი დიდი სხვაობა იყო: ავღანეთის შემთხვევაში ირანის მთავრობა აკრიტიკებდა საბჭოთა კავშირს, თუდეს კი იცავდა ინტერვენციას<sup>100</sup>, ხოლო ერაყში ინტერვენციის შემთხვევაში კი ირანის მთავრობა თავად იყო კრიტიკის ობიექტი. ამასთანავე, აქტიური კრიტიკის, საბჭოთა საელჩოზე ავღანელი ლტოლვილების თავდასხმისა და ავღანეთში ანტისაბჭოთა მეზობელებისათვის გარკვეული დახმარების მიწოდების<sup>101</sup> მიუხედავად, ირანი არ ჩართულა ისე აქტიურად ავღანეთის ომში, როგორც კონფლიქტის სხვა მონაწილეები, რადგან მთელი ყურადღება ირან-ერაყის ომისკენ იყო მიმართული<sup>102</sup>. გარდა ამისა, ეს ომი, რომელსაც ირანში „თავსომოხვეული ომი“ ან „წმინდა თავდაცვის ომი“ ეწოდებოდა, ისლამური რესპუბლიკის იდენტობის დიდი ნაწილი გახდა. იგი ისლამური რევოლუციის გაგრძელებად იყო გამოცხადებული, ხოლო ისეთი სლოგანების აღსრულება, როგორებიც იყო „ომი გამარჯვებამდე“ და „იერუსალიმისკენ გზა ბაღდადზე გადის“; ისლამური რევოლუციის ყოვლისშემძლეობას დაამტკიცებდა<sup>103</sup>. მაშასადამე, ომის გაგრძელების ყველანაირი კრიტიკა მთავრობისთვის მიუღებელი იყო.

სწორედ ამიტომაც თუდეს მხარდამჭერთა სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც 1983 წლის დეკემბერსა და 1984 წლის იანვარში გაიმართა, თუდეს საქმის განუყოფელი ნაწილია. რევოლუციის შემდეგ არმია ნელ-ნელა კარგავდა საკუთარ პოზიციებს რევოლუციის გუშაგების სასარგებლოდ. ეს განსაკუთრებით კარგად

98 Adib-Moghaddam, *Iran in world politics*, 62.

99 Milani, *The making of Iran's Islamic revolution*; Ray'shahrī, *Khatirahha*.

100 Yodfat, *The Soviet Union and revolutionary Iran*; Sicker, *The bear and the lion*; Parker, *Persian dreams*.

101 Sicker, *The bear and the lion*; Bakhsh, *The reign of the ayatollahs*; Kuzichkin, *Inside the KGB*.

102 Parker, *Persian dreams*, 24.

103 Abrahamian, *A history of modern Iran*; Adib-Moghaddam, *Iran in world politics*; Ray Takeyh, *Guardians of the revolution: Iran and the world in the age of the Ayatollahs* (New York; Oxford: Oxford University Press, 2009).

გამორჩა აბოლ-ჰასან ბანი-სადრის ოპოზიციური პრეზიდენტობის დროს, როდესაც იგი, სანამ იმპრინენტით გადააყენებდნენ, ქვეყნის რეალური მმართველებისგან განსხვავებითარმის ანიჭებდა უპირატესობას<sup>104</sup>. არმია რევოლუციამდე არსებული ინსტიტუტი იყო და სხვადასხვა პოლიტიკური სიმპათია არსებობდა, მათ შორის მემარცხენე ტენდენციებიც<sup>105</sup>, მაშინ როდესაც რევოლუციის გუშაგები ისლამური რევოლუციისადმი თავდადებით გამოიჩინებოდნენ. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალზე გასამართლებული 101 ოფიცრისგან, რომლებიც ომშიც იბრძოდნენ და ზოგიერთი მათგანი დაჯილდოებულიც იყო<sup>106</sup>, გარკვეული წინააღმდეგობა შეიძლება ყოფილიყო ომის გაგრძელებისადმი. ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა პოლკოვნიკმა აზარფარმაც „ალიარა ლალატი“ რადგან ომის გაგრძელებაზე განსხვავებული აზრი ჰქონდა<sup>107</sup>. თუმცა მათ ტელეალიარებებს ისე კარგად არ ჩაუვლიათ, როგორც თუდეს ლიდერების ტელეგამოსვლებს. მსჯავრდებული სამხედროები უარყოფდნენ ჯაშუშობას და რამე საიდუმლო ინფორმაციის გაცემას, ზოგიერთი მათგანი კი, მათ შორის მსჯავრდებულთაგან ყველაზე გამოჩენილი, ადმირალი ბაჰრამ აფზალი, აცხადებდა, რომ მათი სიმპათიები თუდესადმი არც არასოდეს ყოფილა დამალული<sup>108</sup>. თუმცა აშკარაა, რომ ირანის ხელმძღვანელობა ამ ტრიბუნალებით აჩვენა, რომ არ შეიწყნარებდა ომის გაგრძელებისადმი არანაირ წინააღმდეგობას, და თუნდაც ისეთი გამოჩენილი ოფიცრები, როგორც ადმირალი აფზალი იყო, შეიძლებოდა სიკვდილით დასჯილიყვნენ ოპოზიციასთან კავშირის გამო.

მორიგი მოვლენა, რომელიც თუდეს საქმეს წინ უძღოდა, როგორც უკვე ითქვა, კუზიჩკინის გაქცევა იყო. იოდფათის თქმით, კუზიჩკინის ინფორმაციებმა თუდეს ქსელზე ირანის მთავრობა შეაშფოთა<sup>109</sup>. თავად კუზიჩკინი უარყოფს თავის ბრალს, რადგან „თუდეს ბედი ისედაც გადაწყვეტილი იყო“<sup>110</sup>. საინტერესოა, რომ ისინიც კი, ვინც მას „მოლაღატეს“ უწოდებენ<sup>111</sup>, და სხვებიც<sup>112</sup> მის ამ მოსაზრებას იზიარებენ. ზაბიჰის აზრით, თვითონ თუდეს პარტიაც გრძნობდა მოახლოებულ ალსასრულს<sup>113</sup>. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს მოსაზრებები პოსტფაქტუმ არის დაწერილი.

შესაბამისად, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა კუზიჩკინის ინფორმაციებს რამე გავლენა, საჭიროა, შემოწმდეს სახელები და სამხილები, რომლებიც საქმის განხილვისას იყო წარდგენილი. პირველ რიგში, თუდეს წევრების მოძებნა და დაჭერა კუზიჩკინის გარეშეც არ გაჭირდებოდა, რადგან პარტიის კადრების სახელები და მისამართები საჯარო იყო<sup>114</sup>. გარდა ამისა, ოფიცერთა შორისაც

104 Bakhsh, *The reign of the ayatollahs*; Takeyh, *Guardians of the revolution*.

105 Nikola Schahgaldian and Gina Barkhordarian, *The Iranian military under the Islamic Republic* (Santa Monica, CA: RAND, 1987), 45.

106 Abrahamian, *Tortured Confessions*, 199.

107 Ibid, 202.

108 Ibid.

109 Yodfat, *The Soviet Union and revolutionary Iran*, 132.

110 Kuzichkin, *Inside the KGB*, 356.

111 Shebarshin, *Ruka Moskvu*; Aliev, *Istori Irana*.

112 Parker, *Persian dreams*.

113 Zabih, *The Left in contemporary Iran*, 25.

114 Mirsepassi, "The tragedy of the Iranian Left," 240.

ბევრს თუდეს მიმართ სიმპათიები არ დაუმალავს<sup>115</sup>. მეტიც, საქმეების განხილვისას სამხილთა სიმცირე იყო, თუმცა რეიშაჰრი ამტკიცებდა, რომ ზოგიერთ საიდუმლო დოკუმენტს ღია სასამართლოზე ვერ გაიტანდნენ<sup>116</sup>. მიუხედავად ამისა, ბრალმდებლებს დიდად არ სჭირდებოდათ სამხილები, რადგან მსჯავრდებულები თვითონ აღიარებდნენ ღალატს. კუზიჩკინის ინფორმაციებიდან გამომდინებლად შეიძლება იარაღის სამალავების შესახებ ცნობები გამოეყენებინათ. კუზიჩკინი აღწერს იარაღის დამალვის ფაქტებს<sup>117</sup>, ქიანურიმ შემდეგ აღიარა იარაღის სამალავების არსებობა<sup>118</sup>, ხოლო რეიშაჰრი არ აკონკრეტებს, როგორ იპოვეს ეს სამალავები<sup>119</sup>. გარდა ამისა, კუზიჩკინს შეიძლებოდა გაეთქვა თუდეს დაფარული კავშირები სამთავრობო სამსახურებში. მაგალითად, რეიშაჰრი ჰყვება „თუდეს აგენტის“ ამბავს, სახელად საზავარის, რომელიც ისლამური რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო და პრემიერმინისტრის აპარატში მუშაობდა<sup>120</sup>. რაც შეეხება ჯაშუშობას, გაურკვეველია, რამდენად საიდუმლო ინფორმაციას გადასცემდა თუდე „კა-გე-ბეს.“ როგორც ოფიცრები აცხადებდნენ ტრიბუნალზე, რაც კი მათ თუდეს წევრებისთვის ნათქვამი ჰქონდათ, ყველაფერი საჯარო ინფორმაცია იყო<sup>121</sup>. კუზიჩკინი ამტკიცებს, რომ ქიანურის წერილებში მხოლოდ პოლიტიკური მიმოხილვები ეწერა<sup>122</sup>, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს წერილები მას ებარა და უცნობია, რა ეწერა იქ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ კუზიჩკინის გაქცევას შეიძლება მთავრობის გადაწყვეტილებაზე განსაკუთრებულად არ უმოქმედია, მაგრამ შესაძლოა მისი ცნობები ირანულმა დაზვერვამ დამატებით მასალად გამოიყენა.

ბოლო წუთამდე თუდეს პარტია ისლამისტური მთავრობის თავგამოდებული მხარდამჭერი იყო, თუმცა ძალაუფლების კონსოლიდაციის შემდეგ მთავრობას თუდეს მხარდამჭერა აღარ სჭირდებოდა. თუდეს ლეგალურად არსებობის ერთ-ერთი მიზეზი მემარცხენე ძალების გათიშვა იყო<sup>123</sup>. თუმცა 1982 წლის ბოლოს ძალაუფლებისთვის ბრძოლა დასრულებული იყო: მცირე სამოქალაქო ომი მოჯაჰედების, ფედაების (უმცირესობა) და სხვების წინააღმდეგ მოგებული იყო და თუდესა და ფედაების (უმრავლესობა) ჯერიც დადგა<sup>124</sup>. მთავრობასაც შეეძლო სხვა ოპოზიციური პარტიების იმედი ჰქონოდა, რომ ისინი არ დაიცავდნენ იმ პარტიას, რომლებიც მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა მთავრობას. მართლაც, მრავალ პოლიტიკურ ფიგურას და ორგანიზაციას, მოჯაჰედებისა და ფედაების (უმცირესობა) ჩათვლით, თუდეს რეპრესიები დიდად არ უჯავრიათ<sup>125</sup>. მაშასადამე, მებრძოლი მემარცხენე ძალების დამარცხების შემდეგ იდეოლოგიური მემარცხენე ძალებიც დამარცხდნენ. ისლამური რესპუბლიკისთვის თუდეს

115 Abrahamian, Tortured Confessions.

116 Ibid, 203.

117 Kuzichkin, Inside the KGB.

118 Abrahamian, Tortured Confessions.

119 Ray'shahrī, Khatirahha.

120 Ibid, 74.

121 Abrahamian, Tortured Confessions.

122 Kuzichkin, Inside the KGB, 289.

123 Milani, Eminent Persians, 192.

124 Mirsepassi, "The tragedy of the Iranian Left," 240.

125 Abrahamian, Tortured Confessions, 187.

საქმის ყველა ძირითადი ამოცანა შესრულებული იყო და ერთადერთი საჭირობო-როტო საკითხი მხოლოდ საბჭოთა რეაქცია რჩებოდა.

### თუდეს საქმის შედეგები

ისლამურმა რესპუბლიკამ თუდეს რეპრესიებით საბჭოთა კავშირთან კონფრონტაციული ნაბიჯი გადადგა და მოსკოვის საპასუხო ნაბიჯს ელოდა, რომელიც შეიძლება სახიფათო ყოფილიყო. რეიშაჰრი ზოგიერთი ოფიციალური პირის პოზიციას აღწერს, რომლებიც დარდობდნენ, რომ არასაკმარისი სამხილებით თუდეს წევრების გასამართლება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობებს დაანგრევდა<sup>126</sup>. ამასთანავე, გარდა იმისა, რომ სასამართლო განხილვები ირანული მარქსიზმის დაგმობას ემსახურებოდა, ისინი საბჭოთა კავშირზეც პირდაპირი შეტევა იყო, რადგანაც ირანმა გააძევა საბჭოთა დიპლომატები, ხოლო ტრიბუნალების დროს კედელი მორთული იყო აიათოლა ხომეინის სიტყვებით: „ამერიკა ბრიტანეთზე უარესია; ბრიტანეთი ამერიკაზე უარესია; საბჭოთა კავშირი კი ორივეზე უარესია“<sup>127</sup>. თუმცა ირანის მთავრობას ძალაუფლებაც უკვე კონსოლიდირებული ჰქონდა და ერაყული არმიაც ირანიდან განდევნილი იყო, შესაბამისად, საბჭოთა პასუხი ისლამური რესპუბლიკის არსებობას საფრთხეს ნაკლებად შეუქმნიდა. ირანისთვის მოსალოდნელი იყო მკაცრი დიპლომატიური პასუხი და ომში ერაყისთვის მეტი მხარდაჭერა, რაც უკვე მომხდარი იყო, როდესაც საბჭოთა კავშირმა ბალდადისთვის იარაღის მიწოდება განაახლა 1982 წლის ბოლოს<sup>128</sup>. რა თქმა უნდა, მოსკოვმა უარყო ყოველგვარი ჯაშუშობის ბრალდება და ურთიერთობები ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაეშვა, თუმცა რეაქცია მაინც იმდენად მკაცრი არ ყოფილა, რამდენადაც მოსალოდნელი იყო. საბჭოთა კავშირს ირანთან ეკონომიკური თანამშრომლობა ბოლომდე არ შეუწყვეტია და არც თუდეს რეპრესიებზე საუბრობდა დიდი ინტენსიურობით<sup>129</sup>. გარდა ამისა, ურთიერთობები მალევე გამოცოცხლდა, განსაკუთრებით კი 1985-86 წლების ოფიციალური ვიზიტების შემდეგ, რომლებიც დაგვირგვინდა მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ომის დასრულების შემდეგ, სანამ სსრკ დაიშლებოდა<sup>130</sup>. ფაქტობრივად, თუდეს პარტიის განადგურებამ საბჭოთა-ირანულ ურთიერთობებს გამაღიზიანებელი ფაქტორი მოაშორა.

ასეთ რეაქციას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, საბჭოთა კავშირი თვითონ იყო კრიზისში. 1982-85 წლებში სსრკ-ის სამი მეთაური გარდაიცვალა. ბრეჟნევის, ანდროპოვის და ჩერნენკოს, ასევე პოლიტიბიუროს სხვა წევრების სიბერე და ავადმყოფობები ქვეყნის კრიზისსა და სტაგნაციას კარგად გამოხატავდა<sup>131</sup>. საერთაშორისო ასპარეზზეც მოსკოვი კარგად არ გამოიყურებოდა. 1983 წელს საბჭოთა კავშირი ავღანეთში იყო გაჭედილი, დასავლეთთან ურთიერთობები გაყინული იყო და მოსკოვი ითვლებოდა პოლონეთში სამხედრო

126 Ray'shahrī, Khatirahha, 87.

127 Abrahamian, Tortured Confessions, 199.

128 Yodfat, The Soviet Union and revolutionary Iran, 135.

129 Bakhsh, The reign of the ayatollahs; Parker, Persian dreams.

130 Parker, Persian dreams.

131 Andrew, The world was going our way, 474.

გადატრიალებით მოსული ხელისუფლების მფარველად<sup>132</sup>. საბოლოოდ, ეს კრიზისი 1985 წელს ხელისუფლებაში მიხაილ გორბაჩოვის მოსვლით დაგვირგვინდა, რომელმაც დასავლეთთან ურთიერთობის დათბობა დაიწყო.

მეორე რიგში, გორბაჩოვის ერთ-ერთი ყველაზე ახლო პირისა და „პერსექტროიკის“ მხარდამჭერის ალექსანდრ იაკოვლევის თქმით, ჯერ კიდევ გორბაჩოვამდე მოსკოვი უკვე თავს არიდებდა რადიკალური მემარცხენე პარტიების მხარდაჭერისგან იმ ქვეყნებში, რომლის ხელისუფლებებთანაც მოსკოვს თანამშრომლობა სურდა<sup>133</sup>. ასეთი პრეცედენტი იყო ერაყში, სადაც საბჭოთა კავშირმა სადამ ჰუსეინთან რამდენიმე შეთანხმებას მოაწერა ხელი, მიუხედავად იმისა, რომ ჰუსეინმა ერაყის კომუნისტური პარტია გაანადგურა<sup>134</sup>. მსგავსი პრეცედენტი იყო თვითონ ირანშიც, როდესაც მოსკოვმა თითქმის მიატოვა თუდეს პარტია შაჰთან ურთიერთობების დასაბრუნებლად<sup>135</sup>, თუმცა, რა თქმა უნდა, პარტიას კვლავაც ჰქონდა გარკვეული მხარდაჭერა კრემლისგან.

თუმცა, განსხვავებით ამ შემთხვევისა, თუდეს პარტია 1983 წლის მერე სრულიად გამოუსადეგარი იყო. პირველ რიგში, პარტიისგან არც იყო რეალური სტრუქტურა დარჩენილი მხარდასაჭერად. შაჰის პერიოდის მსგავსად, პარტიამ მოქმედება დევნილობაში განაგრძო, თუმცა ამჯერად თუდემ აღდგენა ვლარ მოახერხა, მით უმეტეს, როდესაც პარტიის ლიდერთა უმეტესობამ საკუთარი საქმიანობა დაგმო. გარდა ამისა, თუდეს პარტია ყოველთვის ძალიან იერარქიული იყო, მაშასადამე, ხელმძღვანელობის დაჭერა პარტიის ჩამოშლას გულისხმობდა. რაც არ უნდა ირონიული იყოს, თუდეს პარტიიდან ერთ-ერთი გადარჩენილი სწორედ მისი ყოფილი ლიდერი ირაჯ ისქანდარი იყო, რომელიც თუდეს მიერ აიათოლა ხომეინის მხარდაჭერას არ ემხრობოდა და ირანის პოლიტიკაშიც არ ჩართულა<sup>136</sup>. თუმცა იგი 1985 წელს გარდაიცვალა და როგორც შექერი ამბობს, „ირონიულია, რომ თუდეს პარტია დაიშალა არა საბჭოთა კავშირთან ერთად, არამედ ისქანდარის სიკვდილის შემდეგ, როცა ის წევრები, რომლებსაც გარკვეული დემოკრატიული იდეალები შერჩენილი ჰქონდათ, პარტიას გამოეყვნენ“<sup>137</sup>. მანამდე კი დევნილობაში მყოფი პარტია თვითკრიტიკის ნაცვლად ძველ სტალინისტურ ინტერპრეტაციებს დაუბრუნდა<sup>138</sup>. ირანში ციხიდან შინა პატიმრობაში გადაყვანილ ქიანურის მისი 1991-93 წლების ინტერვიუების შეფასებისას აბრაჰამიანი „გამოუსწორებელ სტალინისტს“ უწოდებს<sup>139</sup>. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მოსკოვში რეფორმებისა, თუდეს პარტიაში არანაირი რეფორმა არ მომხდარა.

ასე რომ, შედარებით რბილი საბჭოთა პასუხი ზემოთქმული არგუმენტებით შეიძლება შეჯამდეს: მოსკოვს ერჩივნა ეთანამშრომლა უკვე სტაბილურ რეჟიმთან, ვიდრე თუდეს აღორძინებას დალოდებოდა. პარკერის თქმით, მოსკოვის

132 Parker, *Persian dreams*, 18.

133 Parker, *Persian dreams*, 17.

134 Sicker, *The bear and the lion*, 119.

135 Yodfat, *The Soviet Union and revolutionary Iran*, 30.

136 Abrahamian, *Tortured Confessions*, 180.

137 Chaqueri, *The Left in Iran*, 221.

138 Zabih, *The Left in contemporary Iran*, 199.

139 Abrahamian, *Tortured Confessions*, 224.

მიზანი არ იყო, რომ სსრკ-სა და ისლამურ რესპუბლიკას ახლო მოკავშირეობა ჰქონოდათ, არამედ - გონივრული მეზობლობა<sup>140</sup>, თანაც, ირანი იმდენად ანტისაბჭოთა არ იყო, რამდენადაც ანტიამერიკული. გარდა ამისა, გორბაჩოვის ახალი პოლიტიკა ყოფილ ოპონენტებთან დაახლოებას გულისხმობდა, შეამცირა დაძაბულობა დასავლეთთან და ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის პირობა დადო. როდესაც საბჭოთა-ირანული ურთიერთობები გამოცოცხლდა, რაფსან-ჯანი გააქტიურებულ თანამშრომლობას იმით ხსნიდა, რომ ირანმა კი არა, საბჭოთა კავშირმა შეცვალა პოზიცია<sup>141</sup>. აიათოლა ხომეინიმაც შეაქო გორბაჩოვი რეფორმებისა და „კომუნიზმის დასრულებისთვის“ 1989 წლის წერილში, რომელშიც იგი საბჭოთა ლიდერს ისლამური ფილოსოფიის შესწავლას ურჩევდა<sup>142</sup>. ამასთანავე, ირანმაც მოაწერა ხელი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ორივე სადავო საკითხი - ირან-ერაყის ომი და ავღანეთის ომი - ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად მოგვარებული იყო. მაშასადამე, თუდეს პარტია აღარ იყო გამალიზიანებელი ფაქტორი საბჭოთა-ირანულ ურთიერთობებში, რამაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელი შეუწყო ორი ქვეყნის თანამშრომლობის გააქტიურებას.

---

140 Parker, Persian dreams, 19.

141 Ibid, 29.

142 Ibid, 29.



**Niko Kelbakiani**

Iv. Jabvakhishvili Tbilisi State University

## **IRANIAN RELATIONS WITH THE SOVIET UNION: THE CASE OF TUDEH PARTY**

In February 1983 hundreds of members of the Tudeh Party of Iran, frequently referred as Iranian communist party, were arrested on suspicion of treason and espionage in favour of the Soviet Union. Arrests included the leading members of the Central Committee of the party. Further arrests of the Tudeh sympathisers were made among the military: from prominent officers to the lower-ranking officers, sergeants, and technicians. The Tudeh Party had been one of the longest active parties in Iran, established in 1941. Since the 1979 Revolution, it had been staunchly supporting Ayatollah Khomeini and the new regime. The Tudeh leaders had been vigorously attacking other groups fighting with the regime and the party had been collaborating with the regime against them. Nevertheless, it did not stop the rulers of the Islamic Republic of Iran to start a crackdown on the Tudeh Party and eliminate one of the last forces of opposition. Furthermore, the destruction of the party did not end with the arrests. On the May Day of the same year the renowned leaders of the Tudeh Party, who had been in the Party for the decades, appeared on television to denounce Marxism and embrace Islam. They confessed their 'treason' and called for the support of the regime. The television recantations continued in the following months and destruction of the party with the history of more than four decades achieved success.

The aim of this research is to explore this incident - Tudeh espionage scandal in regard to the Soviet-Iranian relations. The new Iranian regime, which was consolidating its power after the 1979 Revolution, had proclaimed its 'Neither East, nor West' policy and had proclaimed both superpowers of the Cold War to be satanic. While tenacious anti-Americanism of the Islamic Republic was much more evident, especially after the US embassy takeover in November 1979, the Soviet Union enjoyed relatively better position in the official rhetoric up until this scandal. While the US embassy was referred as a 'den of spies', in case of the Soviets, the whole Tudeh Party with their military links were declared to be Soviet agents. Accusations of having a large spy network against a neighbouring country brought Soviet-Iranian relations to the lowest level. The Islamic Republic also expelled 18 diplomats from Iran in the wake of scandal. Nevertheless, unlike US-Iranian relations, Iran did not eradicate relations with the Soviet Union completely. The economic cooperation between the two states did not stop and it also resulted in improvement of relations in the following years. The aim of this research is to find out the incentives and goals of the Iranian regime in dealing with the Tudeh Party and its impact on the relations with the Soviet Union.

Analysis of the worst crisis between the two countries after the Revolution is crucial in understanding development of the Soviet-Iranian relations. How did the two states manage to resume their relations after the ideological crackdown of the pro-Soviet Marxist party by the Islamic regime? This research explores this incident in several chapters. Firstly, the real scope of the Soviet espionage in Iran at the time is investigated in this research, as it was the main accusation by the Islamic Republic against the Soviets. It seems that the Soviet espionage was not very effective in exercising much influence on the events in Iran. Even though

the KGB (State Security Committee - Russian acronym) was present in Iran, Iranian counter-intelligence was also actively working to undermine their activities. Therefore, it would be easier for the Soviets to acknowledge the new status-quo in the relations amidst these failures, which had been firmly established by the new Iranian regime using revolutionary turmoil.

Secondly, the Tudeh Party itself and its influence in post-revolutionary Iran is examined in this paper. With reference to the Soviet-Iranian relations, it is also significant, on what degree the Tudeh Party was subservient to the Soviet Union. Despite the differences about the party's real nature, many authors agree that the Tudeh Party had always been a pro-Soviet party. Furthermore, notwithstanding its long history, the party did not exercise much popularity in post-revolutionary Iran. However, its links among the military and other official organs should not be discarded.

Thirdly, this paper discusses the official attitude of the new Iranian regime towards the Soviet Union. Ayatollah Khomeini had declared 'Neither East, nor West' policy, however, the regime's fierce anti-Americanism was more present in the official rhetoric, while pragmatic economic cooperation with the northern neighbour persisted. Nevertheless, like the United States, the Iranian regime used the Soviet Union in the internal politics to deal with the leftist parties and leftist ideology and the Tudeh espionage scandal is a good example of it. It is significant that the arrests were followed by the television trials and recantations, so that country's famous Marxists would confess 'treason' themselves and recognise superiority of Islam over Communism.

Subsequently, this research examines the timing of the crackdown and answer the question, why the Islamic regime had tolerated the Tudeh Party till 1983. The arrests were subsequent to the defection of a KGB agent in Iran to the UK. However, even more prominent reason to suppress the Tudeh Party was the Soviet criticism of the Iranian invasion into Iraq, which was reiterated by the Tudeh Party as well. That is why Tudeh's recantations were followed by the military trials of their sympathisers to further consolidate influence in military and suppress any opposition to the invasion in Iraq.

Finally, this paper discusses the impact of the scandal and its consequences. The destruction of the Tudeh Party led to the final consolidation of power of the Iranian regime, which brought a sense of security to it. On the other side, the Soviet Union was also in crisis and transitional period. Furthermore, there had been other precedents, when Moscow opted for normalisation of relations with the stable regime and abandon its client opposition parties. This research will finally conclude that even though it was the lowest point of the relations between the two states, in fact, elimination of the Tudeh Party as the major irritant between two countries contributed to the further normalisation of the Soviet-Iranian relations.

This research is based on multiple sources - various primary and secondary material mostly available in the public domain. Primarily, in order to address the issues of the Soviet espionage in Iran this research uses the memoirs and accounts of the actors involved in the intelligence and counter-intelligence activities of that period. This is also due to lack of official declassified documents from the KGB and the limited access of the author to the Soviet and Iranian archives. Clearly, memoirs do not qualify as the most trustworthy sources. Nevertheless, these memoirs and accounts belong to the agents and defectors of the different intelligence services, who obviously did not work for each other. Therefore, all of these accounts will be fact-checked to avoid any falsification attempts.

One of these memoirs belongs to Vladimir Kuzichkin, the Soviet vice-consul and the head of N Line (illegal support department) of the KGB Residency in the Tehran embassy of the USSR, whose defection to the UK in June 1982 is widely regarded as one of the precursors of the Tudeh espionage scandal. He had served in the Soviet embassy before and after the revolution and notwithstanding his vague descriptions of his own defection, his accounts are very organised and chronological, describing the activities of the Soviet embassy staff and KGB officers, communication with the Tudeh Party and other political figures, and their participation in the political events in revolutionary Iran.

Other memoirs supplementing the activities of the KGB Residency in Iran belong to Kuzichkin's boss Leonid Shebarshin, who served as the KGB Resident in Iran and was one of 18 expelled diplomats following the scandal. He also served as the head of the First Chief Directorate (Foreign Intelligence) of the KGB in 1988-1991, the latest years of the USSR. His accounts frequently verify Kuzichkin's narrative, even though he did not definitely wish him well in his memoirs. However, his memoirs are not very chronological and mostly narrate his impressions rather than facts. Finally, archive of another KGB defector Vasili Mitrokhin could be used for explanation of some KGB activities. Mitrokhin served as the senior archivist in the First Chief Directorate, who defected to the UK in the wake of the fall of the Soviet Union and brought 'the most complete and excessive intelligence' to Britain. Meanwhile, it is a useful guide for the structure and history of the KGB as well.

On the Iranian side, memoirs of Mohammad Mohammadi Reyshahri contribute to the understanding of Iranian position towards the Soviets and its incentives during the Tudeh espionage scandal. Reyshahri was the founder of Ministry of Intelligence of the Islamic Republic, after he oversaw the trials of the Tudeh members and their military sympathisers. Three volumes of his memoirs describe most of the crises of revolutionary Iran, in which he was involved: 1980 Nozheh coup attempt, Qotbzadeh conspiracy, Tudeh espionage scandal, and his interrogations of Mehdi Hashemi, in scope of the Iran-Contra Affair. However, in this case, his memoirs are mostly historical lectures about the Soviet Union and 'treacherous' leftist parties in Iran rather than evidence-based incriminations.

Furthermore, this paper refers to the works of the historians dealing with Iranian leftist groups in twentieth century, obviously including the Tudeh Party. Even though this research focuses on revolutionary Iran, events from previous decades could not be ignored due to their influence on the Tudeh Party and long careers of its members in Iranian politics. Three authors could be highlighted among these works: Zabih, Abrahamian, and Chaqueri. Zabih dedicates different chapters to various leftist groups, including the Tudeh Party, examines their organisation, influences, and most importantly, Soviet connections. Abrahamian extensively elaborates Tudeh's suppression and recantations in 1983-1984 in his work and thoroughly provides details of this incident. Among other politicians and academics, he also criticizes Zabih for downgrading torture and treating confessions of the Tudeh leaders as a proof of their links with the KGB. Subsequently, Chaqueri strongly criticises both of them in the scope of his criticism of historiography of the Iranian left. Although according to the title of his book - 'The Left in Iran 1941-1957' - his work should not have been regarded in this research, the title could be deemed rather misleading, as Chaqueri discusses further developments as well. Furthermore, Chaqueri criticises both abovementioned authors, despite being ideologically at odds, for repeating the same Tudeh

story. His discussion goes further to criticise both authors for using misleading facts, and specifically Abrahamian, for his sympathies for Tudeh. Interestingly, all these authors, and even Abrahamian despite Chaqueri's criticism, do not hesitate to declare the Tudeh Party as ardently pro-Soviet and communist party.

Moreover, further works on the foreign policy of the early Islamic Republic and its relations with the Soviet Union are employed in this paper. Parker is worth mentioning, as he extensively elaborates the Iranian relations with the Soviet Union (and Russian Federation after 1991) since the Iranian Revolution and provides more insights in the relations with the interviews with various political figures. In addition, collection of Akbar Hashemi Rafsanjani's Friday sermons are also helpful to understand perspectives of the Islamic regime on the Soviet Union. These sermons were made just months before the Tudeh espionage scandal, as Rafsanjani mentions Brezhnev's funeral in November 1982 happening in 'that week'.

Therefore, this paper is based on the analysis of collected primary and secondary sources to observe positions and opinion of those involved in the Soviet-Iranian relations that time with the reference of the facts and events of Tudeh espionage scandal. Through this observation this paper draws conclusions about the Iranian incentives and objectives in this scandal and its effect on the Soviet-Iranian relations.

#### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. Abrahamian, Ervand. *A history of modern Iran*. Cambridge: Cambridge University Press, 2008.
2. Abrahamian, Ervand. *Tortured confessions: Prisons and public recantations in modern Iran*. Berkeley, CA: University of California Press, 1999.
3. Adib-Moghaddam, Arshin. *Iran in world politics: The question of the Islamic republic*. New York; London: Columbia University Press; Hurst & Company, 2008.
4. Aliev, Salekh M. *Istoriā Īrana--XX vek*. Moskva: IV RAN: Kraft+, 2004.
5. Andrew, Christopher M. and Mitrokhin, Vasili. *The world was going our way: The KGB and the battle for the Third World*. New York: Basic Books, 2005.
6. Bakhash, Shaul. *The reign of the ayatollahs: Iran and the Islamic Revolution* (Rev. ed.). New York: Basic Books, 1990.
7. Behrooz, Maziar. "The Iranian revolution and the legacy of the guerilla movement." In *Reformers and revolutionaries in modern Iran: New perspectives on the Iranian left*, edited by University of London. School of Oriental and African Studies and Stephanie Cronin. London; New York: RoutledgeCurzon, 2004.
8. Behrooz, Maziar. "Trends in the Foreign Policy of the Islamic Republic of Iran, 1979-1988." In *Neither East nor West: Iran, the Soviet Union, and the United States*, edited by Nikkie R. Keddie and Mark J. Gasiorowski. New Haven: Yale University Press, 1990.

9. Chaqueri, Cosroe. *The Left in Iran, 1941-1957*. London: Pontypool [Wales]: Socialist Platform Ltd.; Merlin Press, 2011.
10. Hāshimī Rafsanjānī, 'Alī Akbar. *Dastāvurd'hā-yi inqilāb-i islāmī-i Īrān*. Tihrān: Intishārāt-i Farhang-i Inqilāb-i Islāmī, 1983.
11. Kuzichkin, Vladimir. *Inside the KGB: Myth and reality / Vladimir Kuzichkin*; translated by Thomas B. Beattie; introduction by Frederick Forsyth. London: Deutsch, 1990.
12. Milani, Abbas. *Eminent Persians: The men and women who made modern Iran, 1941-1979*. Vol. 1. Syracuse, N.Y.: London: Syracuse University Press; Eurospan [distributor], 2008.
13. Milani, Mohsen M. *The making of Iran's Islamic revolution: From monarchy to Islamic republic* (2nd. Ed.). Boulder: Westview Press, 1994.
14. Mirsepassi, Ali. "The tragedy of the Iranian Left." In *Reformers and revolutionaries in modern Iran: New perspectives on the Iranian left*, edited by University of London. School of Oriental and African Studies and Stephanie Cronin. London; New York: RoutledgeCurzon, 2004.
15. Muḥammadī Ray'shahrī, M. *Khatirahha*. Vol. 2. Tihran: Markaz-i asnad-i Islami, 1383.
16. Parker, John W. *Persian dreams: Moscow and Tehran since the fall of the Shah*. Washington D.C.: Potomac Books, 2009.
17. Schahgaldian, Nikola and Barkhordarian, Gina. *The Iranian military under the Islamic Republic*. Santa Monica, CA: RAND, 1987.
18. Shebarshin, Leonid. *Ruka Moskvyy / Leonid Shebarshin*. (Dliā`sluzhebnogo pol'zovaniā ). Moskva: Izd-vo "ĖKSMO", 2002.
19. Sicker, Martin. *The bear and the lion: Soviet imperialism and Iran*. New York: Praeger, 1988.
20. Takeyh, Ray. *Guardians of the revolution: Iran and the world in the age of the Ayatollahs*. New York; Oxford: Oxford University Press, 2009.
21. Vasiliev, Aleksey M. *Rossiiā na Blizhnem i Srednem Vostoke: Ot messianstva k pragmatizmu*. Moscow: "Nauka", 1993.
22. Yodfat, Aryeh Y. *The Soviet Union and revolutionary Iran*. London: Croom Helm, 1984.
23. Zabih, Sepehr. *The Left in contemporary Iran: Ideology, organisation and the Soviet connection*. London: Stanford, Calif.: Croom Helm; Hoover Institution Press, 1986.

## ნინო ჯაველიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო წლები

გიორგი სააკაძის მოღვაწეობის არსი და მიზანდასახულობა დღემდე იწვევს მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას. მეტიც, მისი საქმიანობის შესახებ არსებობს ორი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული, საპირისპირო თვალსაზრისი. სხვადასხვაენოვან (ქართული, სომხური, ოსმალური, სპარსული, რუსული, დასავლეთევროპული და სხვ.) წყაროებში მრავლად მოიპოვება საკითხის ამსახველი მასალა, რაც პრობლემის გარკვევისთვის სრულად გათვალისწინებული ჯერაც არ არის. ამ მასალის ანალიზი გარკვეულწილად დაგვიხმარება, რათა შევაფასოთ გ. სააკაძის, როგორც მოღვაწის მნიშვნელობა ქართველი ერის განვითარების ისტორიისთვის.

მოურავმა გიორგი სააკაძემ, იმავე „მაურალ ხანმა“, როგორც მას ოსმალთა მატთანები (იბრაჰიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები, მუსტაფა ნაიმა, მეჰმედ სოლაქ-ზადე და სხვ.) მოიხსენიებენ, ოსმალეთის იმპერიაში თავისი ცხოვრების მხოლოდ უკანასკნელი 2 წელი (1627-1629) დაჰყო. თუმცა მიუხედავად ამისა, მის ხანმოკლე საქმიანობას ოსმალთა ავტორები ხატოვნად და დაწვრილებით მოგვითხრობენ და ნათელს ჰყვენენ მეჰმედ ფაშას ცხოვრებასა და აღსასრულს (მეჰმედი მას ოსმალეთში შეარქვეს ისლამის სუნიტური მიმდინარეობის აღიარების შემდეგ).<sup>1</sup>

ვიდრე ოსმალეთში გადახვეწილი გ. სააკაძის ცხოვრებას განვიხილავდეთ, მოკლედ უნდა გავიხსენოთ მისი ირანიდან საქართველოში დაბრუნების დროინდელი მოვლენები. სპარსულ წყაროებში გ. სააკაძეს, სანამ იგი საქართველოში დაბრუნდებოდა, დადებითად მოიხსენიებენ და აღმატებული ეპითეტებითაც ამკობენ. ასე მაგ., ისქანდერ მუნში მის შესახებ წერს, რომ „შაჰის სამსახურში აღზევებულსა და პატივცემულს თიული და ოლქი ჰქონდა ბოძებული და ხელმწიფის ლხინში მონაწილე [შაჰის] დაახლოებულ და ნდობით აღჭურვილ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა.“<sup>2</sup> თუმცა ამგვარი საქებარი სიტყვებიდანაც ჩანს, რომ „აღზევებისა და ბატონობის“ მოსურნე მოურავს შაჰის კარზე ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ. იმავე ისქანდერ მუნშის თხზულებაში ვკითხულობთ: „მოურავ-ბეგი მუსლიმანად აცხადებდა თავს და ერთგულ, სანდო ადამიანად იყო მიჩნეული.“<sup>3</sup> მემატთანე მტკიცებითი ფორმით, პირდაპირ არ წერს, რომ იგი გამუსლიმებული და სანდო ადამიანი იყო, რაც, ვფიქრობთ, იმის მანიშნებელია, რომ შაჰის კარზე გ. სააკაძეს არცთუ ძლიერ სწყალობდნენ. ასეთი დამოკიდებულება მოურავისადმი ჩანს პორტუგალიელი ბერი ამბროზიო დუშ ანჟუშის ნაამბობიდან, ვინც თავად შეესწრო შაჰ-აბასისა და გ. სააკაძის შეხვედრას იმ დროს, როდესაც შაჰს აცნობეს ქეთევან დედოფლის მოკვდინების ამბავი. აი, რას იუწყება ბერი ამბროზიო: „ერთი ქართველი, სახელად მოურავ-ბეგი, შაჰის კარზე ყველაზე მნიშვნელოვან-

1 Mehmed Süreyyâ, Sicill-i Osmanî, Yahud Tezkire-i Meşâhir-i Osmâniyye, Istanbul, 1993, cilt IV, kısım I, 180.

2 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ (სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურძემ), თბილისი, 1969, 121.

3 ისქანდერ მუნშის ცნობები..., 115.

ნი კაცი იყო და შაჰი მას არასდროს იცილებდა. როცა შირაზიდან დაბრუნებულ-მა მსაჯულებმა შაჰს ქეთევან დედოფლის ამბავი მოახსენეს, შაჰი მოურავ-ბეგს მიუბრუნდა და უთხრა: „დიახ, ის ქალბატონი მოკვდა თავისი რწმენისთვის და არა შენ“-ო და სილა გააწნა.“<sup>4</sup> აქვე ერთიც უნდა აღვნიშნოთ, მართალია, ბერი ამბროზიო იქვე დასძენს, რომ გ. სააკაძე ყველაზე მნიშვნელოვანი კაცი იყო, მაგრამ სინამდვილეში მოურავი შაჰის კარზე არ გახლდათ ის დიდმოხელე, ვინც თავისი მდგომარეობით და აღმატებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა. შორს რომ არ წავიდეთ, წარმოშობით სომეხი ყარჩილა-ხანი არანაკლები პატივით (თუ მეტიც არა) სარგებლობდა და იგი „უწმინდეს ნოსს დაახლოვებულთა“ (ანუ შაჰთან დაახლოებული) ჯგუფში იმყოფებოდა, ირანის მთელი ლაშქრის სპასალარის ხარისხი რომ ჰქონდა მინიჭებული.

1625 წელს შაჰ-აბასმა ირანის ლაშქარი სწორედ ამ ყარჩილა-ხანის სარდლობით საქართველოსკენ გამოგზავნა, რათა „სიმონ ხანისა (სიმონ II) და ისა-ხან ყორჩიბაშის ქალიშვილის ქორწილი გადაეხადათ.“ სინამდვილეში ამ ლაშქრობის მიზანი იყო ძირშივე ჩაეხშოთ იმერეთისა და კახეთის შესაძლო ერთობლივი გამოსვლა ირანელთა წინააღმდეგ, რის შესახებაც მათ ცნობები მისდიოდათ. ამ ლაშქრობის აღწერიდანაც ირკვევა, რომ ყარჩილა-ხანისთვის „ამხანაგად“ გაყოლებული გ. სააკაძისადმი, მისი პატივმოყვარეობისა და სხვა თვისებების გამო, შაჰი ნდობით არ იყო განმსჭვალული. მართლაც, ეს უნდობლობა ირანელთა ჯარის საქართველოში შემოსვლისთანავე გამოჩნდა. როდესაც დამპყრობელმა გადაწყვიტა გაელაშქრა კახეთის დასახმარებლად შეკრებილ იმერთა წინააღმდეგ, ამ სამხედრო ექსპედიციას გ. სააკაძე, იმ საბაბით, რომ „ერთი ეროვნებისა და სარწმუნოების იყვნენ“ ჩამოაცილეს და მეტიც, მას და მის ხალხს იარაღი აჰყარეს და ლაზიებისთვის გადააცემინეს.<sup>5</sup> ამ დამოკიდებულებით აიხსნება ის ფაქტიც, რომ შაჰ-აბასმა ყარჩილა-ხანს აახლა საიდუმლო წერილი, რომელშიც გ. სააკაძის მოკვლას ბრძანებდა. არვინ უწყის, როგორ მოიტყეოდა გ. სააკაძე, ეს საიდუმლო წერილი შემთხვევით რომ არ მოეხელთებინა, დაინდობდა თუ არა იგი თვისტომთ, რომელთა დასამორჩილებლად ირანელთა მრავალათასიან ჯარს გამოჰყვა, თუ, პირიქით, სათავეში ჩაუდგებოდა იმერეთ-კახეთის გაერთიანებულ ლაშქარს და დამპყრობელს კუდიტ ქვას ასროლინებდა. მაგრამ წყაროში დაცული ცნობების საფუძველზე ერთი რამ ნამდვილად შეიძლება ითქვას – შაჰის კარზე ჩინებულად ესმოდათ, თუ რა მიზნის მიღწევას ლამობდა „ქართლში ბატონობის და აღზევების სურვილით“ შეპყრობილი მოურავი.<sup>6</sup> სურვილი აღზევებისა გ. სააკაძეს, ჩანს, იმდენად ჰქონდა მოძალებული, რომ თავად იგი პატივმოყვარეობისა და ძალაუფლებისკენ სწრაფვას ყველაფერს შესწირავდა, მათ შორის საკუთარი ოჯახის წევრებსაც. ამასთან დაკავშირებით მეტად საგულის-ხმოა ერთი ეპიზოდი ზურაბ ერისთავს თავსდამტყდარი ამბებიდან. როდესაც მარტყოფის ომამდე მისთვის ცნობილი გახდა გ. სააკაძის განზრახვა აჯანყების თაობაზე, ზურაბმა თავის სიძეს უსაყვედურა, თუ ირანიდან გამომგზავრებამდე რატომ არ გაენდო მას, რათა თავისი ცოლი იქ არ დაეტოვებინა მძევლად და მოსალოდნელი შეურაცხყოფის გამო არ შერცხვენილიყო. ამის პასუხად მოურავი ზ.

4 რ. გულბენკიანი, ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ (თარგმნეს ფრანგულიდან ი. ტაბალუამ, ც. ბიბლიეშივილი), თბილისი, 1987, 45.

5 ისქანდერ მუნშის ცნობები..., 22.

6 იქვე, 122.

ერისთავს თავმოყვარეობის შელახვის „საკმარათა“, ანუ სანაცვლოდ სთავაზობს ლუარსაბ მეფესთან დამოყვრებას.<sup>7</sup> ამგვარი შეთავაზების შემდეგ არავითარი ეჭვი აღარ რჩება, რომ გ. სააკაძე არც თავის შვილს „სთმობდა ქვეყნისთვის“ და არც ზურაბ ერისთავს მოუწოდებდა გულწრფელად, რომ თავისი ოჯახი „საქართველოსთვის დაეთმო“.

საგულისხმოა, თუ როგორ ოსტატურად აბამს შინ მობრუნებული მოურავი ზაკვის ქსელს, რაც ცხადლივ მოწმობს მის მოხერხებულობასა და ალლო-უნარს. მას მერე, რაც დარწმუნდა, რომ შაჰისგან განწირული იყო, თავის გადარჩენის მიზნით შესაშური გეგმა განახორციელა. საქმე ისაა, რომ იმ ხანად ქართლის სამეფოში არ არსებობდა წინაპირობა, რომ მოსახლეობა აჯანყებულიყო. ქართლს „ხელმწიფე (შაჰ-აბასი) დიდი წყალობის თვალთ უცქერდა“ და აქ შედარებით სიმშვიდე იყო დასადგურებული. გ. სააკაძემ გადაწყვიტა ქართლში მღელვარება გამოეწვია. ისქანდერ მუნშის თქმით, მან შაჰ-აბასის შემონათვალიდან „ტყუილი სიტყვებითა და ფუჭი შემაცდენელი წინადადებებით“ შეაშინა ქართლელნი, რომლებმაც სააკაძის ტყუილი სიმართლედ ცნეს, რადგანაც იცოდნენ, რომ იგი მიღებული იყო შაჰის კარზე და ენდნენ და დაიჯერეს მისი ნათქვამი. ოსმალო მემატიანე მუსტაფა ნაიმა ამ ამბის შესახებ საუბრისას განმარტავს, რომ ქართველებმა თავდაპირველად არ დაიჯერეს, იმდენად წარმოუდგენლად მოსჩვენებიათ მოურავის ნაამბობი. გ. სააკაძემაც არ დაახანა, თავისი ჯარი შემოიკრიბა და ირანელთა ლაშქრის უკან მყოფი თვალყურს ადევნებდა მოვლენებს. მან „ფხიზლად და ფრთხილად“ უყურა, თუ როგორ დახოცეს ყიზილბაშებმა კახეთის ხეობებიდან გამოსული 400 ქართველი, და ამ ამბის შემტყობ ქართველ მეომრებს უკვე ადვილად შეუთანხმდა.<sup>8</sup>

გ. სააკაძემ, ვიდრე ყარჩილა-ხანის ბანაკში შეიჭრებოდა, კიდევ ერთი რამ მოიმოქმედა. იმისათვის, რათა დაექსაქსა ირანელთა ძალები, მან ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოღლი და შაჰ-აბასის მიერ კახეთის გამგებლად შერჩეული, განჯის ხანი ფეიქარ-ხან იგირმი დორთი „საქმეზე დანიშნა“ და ქართველთა სიმაგრეებისკენ გაგზავნა, ანუ ძირითად ძალას ისინი მოაცილა და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა ყარჩილა-ხანის კარვისკენ. გ. სააკაძე ამჯერადაც იმავე ხერხს მიმართავს, რაც ქართლელებთან გამოიყენა. მან ირანის სპასალარს აუწყა, თითქოსდა „ქართლელები“ აჯანყდნენ და მეფე თეიმურაზიც საბრძოლველად მოეშურებოდა. ყარჩილა-ხანმაც დაუჯერა მოურავს, რადგანაც ვერც მას წარმოედგინა, რომ გ. სააკაძის საქმეს, ვისი „ერთ-ერთი ვაჟი სახლობით და ნათესავეებით ირანში იმყოფებოდა მძევლად, ლალატის სუნი ექნებოდა.“<sup>9</sup> ერთი სიტყვით, გ. სააკაძემ ჩინებულად მოაქცია თავისი გავლენის ქვეშ ყველანი და ქართლელები და ირანის სპასალარი თუ ამირები ურთიერთს წაჰკიდა. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას მან შესწირა 400 ქართველის სიცოცხლე, რომელთა ამოხოცვას ყარჩილა-ხანის ზურგს ამოფარებული ადევნებდა თვალს. გ. სააკაძის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მისი თანმიმდევრული ქმედებები საქვეყნო საქმისკენ რომ ყოფილიყო მიმართული, მისი ჩანაფიქრი შეიძლებოდა ახსნილიყო საერო მიზნების განხორციელების სურვილით და მსხვერპლად გაღებული 400

7 არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული მწერლობა, თბილისი, 1989, 444.

8 ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, 262.

9 ისქანდერ მუნშის ცნობები..., 124.



ქართველის სიკვდილსაც, როგორც ომის დროს ხდება, გამართლება ექნებოდა. მაგრამ მარტყოფის ომის შემდგომ მოურავის მოღვაწეობა ნათელყოფს, რომ იგი უპირველესად ძალაუფლების მოპოვებისა და აღზევების სურვილით იყო შეპყრობილი და საქვეყნო საქმე მისი საზრუნავი არ გახლდათ. ამგვარად წარმოჩინდა გ. სააკაძის ქმედებები უშუალოდ მარტყოფის ომამდე ქართული, ოსმალური და სპარსული წყაროების მონაცემთა მიხედვით.

1625 წლის ივლისის დასაწყისში გამართული მარტყოფის ომი მოგებულა და ქართველები ყიზილბაშებს ციხე-სიმაგრეებიდან სდევნიან, მათ დარჩათ მთელი ის ნადავლი, გაქცეულმა დამპყრობელმა რომ დატოვა. ისქანდერ მუნში არაერთგზის აღნიშნავს ამ ფაქტს. ასე მაგ.: „ყიზილბაშების მთელი ბანაკი დარბეულ და გაძარცვულ იქნა, ქართველებს ხელში აურაცხელი და განუზომელი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ“ – წერს იგი მარტყოფის ბრძოლის აღწერისას. ანდა, ხორნაბუჯიდან ფეიქარ-ხანის გაქცევისა და ამ ციხის დაუფლების შემდგომ ნათქვამია, რომ: „[მოურავმა და ქართველთა ჯარმა] მრავალი ქონება და იარაღ-მოწყობილობა, ურიცხვი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ხელში ჩაიგდეს და მუსლიმანთა მრავალი ქალი და ბავშვი ტყვედ წაიყვანეს... ყორღან-ყუჯის ციხეს მრავალი მისი ქონებით, რომლის რიცხვში ორმოცდაათი ხარვალი აბრეშუმი შედიოდა, ქართველები დაეპატრონენ“ და ბოლოს, ქ. განჯის შესახებ, სადაც ქართველთა ჯარი შევიდა, მემათიანე იუწყება შემდეგს: „მან [მოურავმა] ეს ქალაქი დაარბია და გაძარცვა და უსაზღვროდ ბევრი ქონება და იარაღ-მოწყობილობა ხელში ჩაიგდო, იქიდანაც წამოიყვანეს ტყვედ მუსლიმანთა ქალები და ბავშვები.“<sup>10</sup> როგორც ვხედავთ, მარტყოფის ომიდან მარაბდის ბრძოლამდე ქართველთა ლაშქარმა არაერთი ციხე-სიმაგრე დაიბრუნა, ყარაბაღსა და განჯაში ილაშქრა და იგი მართლაც დაეუფლა აურაცხელ ნადავლსა და ქონებას. საზგასასმელია, რომ, წესისამებრ, ნადავლი თუ ნაალაფარი სამეფო ხაზინის საკუთრება ხდებოდა და შემდგომ საზღაურად ურიგდებოდათ მოლაშქრეებს. თუმცა ამჯერად, მიუხედავად იმისა, რომ მარტყოფის აჯანყებიდან მალევე თეიმურაზ I ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ აკურთხეს<sup>11</sup>, ყიზილბაშთაგან დარჩენილი ნადავლის მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ სრული არა) გ. სააკაძის ხელში აღმოჩნდა, რაც ზემოთხსენებული ცნობებიდან ცხადდება. ამას გარდა, ეს ფაქტი დასტურდება სხვა ეპიზოდებითაც. მართალია, „არჩილიანის“ მიხედვით ისე ჩანს, თითქოს გ. სააკაძეს გონიოს მყოფი თეიმურაზ I-სთვის აღუთქვამს, რომ მთელ ნადავლს მას გადასცემდა (ჩვენ მოგართვათ სალარო და საჭურჭლენი, თქვენ კი გასცი“<sup>12</sup>), მაგრამ მუსტაფა ნაიმასა და ისქანდერ მუნშის ცნობებიდან ირკვევა, რომ ავლა-დიდებას თავად მოურავი განაგებდა. ასე, მაგ.: ოსმალთა მემათიანე ნაიმა წერს, რომ თეიმურაზ I-ის ქართლ-კახეთის ტახტზე ასვლის შემდგომ გ. სააკაძემ მას „ყიზილბაშთა ნადავლიდან რამდენიმე ცხენი და ძვირფასი ნივთები გაუგზავნა და ძღვნად მიართვა.“<sup>13</sup> ამას გარდა, გ. სააკაძემ მოხელთებული ქონებიდან საჩუქრები თავისი დესპანების მეშვეობით დიდგვებირ ჰაპიზ

10 იქვე, 25.

11 არჩილი, გაბაასება ..., 447; ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამშვენებული ისტორიის გაგრძელება, ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბილისი, 1981, 51.

12 არჩილი, გაბაასება..., 447.

13 შენგელია, დასახ. ნაშრ., 264.

ფაშასაც გაუგზავნა. ამის თაობაზე ისქანდერ მუნში წერს: „არამზადა მოურავმა ერთგულება განუცხადა ოსმალეთის სულთანს და... სარდალს ძღვენი და საჩუქარი მიართვა იმ ძვირფასი საქონლიდან, რომელიც ხელში ჩაიგდო დავლად.“<sup>14</sup> გ. სააკაძე რომ მრავლად ფლობდა მოხვეჭილ სიმდიდრეს, ეს ჩანს ი. ტფილელის „დიდმოურავიანიდანაც“. პოემაში ნათქვამია, რომ ბაზალეთის ომის შემდგომ სამცხეში გადასულმა მოურავმა იქ შენახული მთელი თავისი ქონება ოსმალეთში წაიღო: „რაც მქონდა მუნ დებული, საქონელნი, ბარგნი ჩემნი, არ დავჰკარგენ კიდებულნი.“<sup>15</sup> როგორც ვხედავთ, გ. სააკაძე მეფის დარად იქცევა და სახაზინო ქონებას საკუთარი ნება-სურვილით განკარგავს.

ქართულ და ოსმალურ წყაროებში წარმორჩენილია, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ზემოხსენებული ელჩობა და რას მოითხოვდა გ. სააკაძე ოსმალთა დიდგვებთან. იბრაჰიმ ფეჩევის, ქათიბ ჩელებისა და მუსტაფა ნაიმას თქმით, მოურავი ჯარს ითხოვდა ქართლ-კახეთის ციხე-სიმაგრეების და „განჯა, ყარაბალი, შირვანი და არდებილის, მეშჰედის მხარეების“ ყიზილბაშთაგან გათავისუფლებას.<sup>16</sup> ვახუშტი ბატონიშვილიც ეხმიანება ელჩობის ფაქტს და იუწყება, რომ მას შემდეგ, რაც „მოურავმა განამაგრნა ციხენი კიკანათბერი, ალისა, სურამისა, კეხვისა და წარვიდა სამცხეს, იხილა ასპინძა მოცული ყიზილბაშთა... და აოტნა ყიზილბაშნი, დახოცა ხერთვისისა და „რომელნიმე ციხეთა სამცხისათა“ ირანელი მეციხოვნეები, „წარავლინა წინაშე ხონთქრისა ქავთარიშვილი გიორგი და მოითხოვნა სპანი მისნი, რათა დაიპყრას მან იგინი.“<sup>17</sup> ე.ი. გ. სააკაძე სულთნისგან ითხოვს ოსმალთა ჯარს, რათა შემოიყვანოს საქართველოში და იანიჩრები ჩააყენოს იმ ციხე-სიმაგრეებში, სადაც უწინ ირანელები იდგნენ. აქედან ჩანს, რომ მას საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებისათვის ოსმალთა დახმარება სჭირდება. ეს კი ნიშნავს, რომ გ. სააკაძე უცხო ძალას (ოსმალეთს) სთავაზობს ქართლ-კახეთის ტერიტორიის დაკავებას, ოღონდაც ირანელთა მოსალოდნელ სადამსჯელო ექსპედიციებს გადაურჩეს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მარტყოფის ომის შემდგომ უნდა მოეგვარებინათ გ. სააკაძესა და აჯანყებულ ქართველებს, გახლავთ სამეფო ტახტის დაკავების ფაქტი, საიდანაც გ. სააკაძის პატივმოყვარეობა და „ორბუნებოვნება“ კვლავაც წარმორჩინდება. აჯანყების შემდეგ თეიმურაზ I ქართლ-კახეთის მეფედ აღიარეს. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა მისი ელჩის, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ნამბობი, რომელიც შემონახულია 1628 წელს იტალიურად შედგენილ ერთ რელაციაში. ტექსტში წერია, რომ „მოურავმა არ ინება მეფობა, როგორც ეს ხალხს სურდა და ამბობდა, რომ სამეფოს უნდა ჰყავდეს კანონიერი მეფე“-ო და თავად მოუწოდა თეიმურაზ I-ს, დაბრუნებულიყო სამეფოში. არჩილ მეფესაც ისე აქვს წარმორჩენილი, რომ გ. სააკაძემ თეიმურაზ I მოიხმო ქართლ-კახეთის მეფედ. თუმცა მუსტაფა ნაიმა ამის თაობაზე განსხვავებულ ცნობას გვაწვდის. მისი თქმით, თეიმურაზ I-მა თავად გადაწყვიტა კახეთში დაბრუნება. იგი თავისი

14 ისქანდერ მუნშის ცნობები, 126.

15 იოსებ თბილელი, „დიდმოურავიანი“, ქართული მწერლობა, თბილისი, 1989, 668.

16 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბილისი, 1964, 83; ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბილისი, 1978, 28; ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები..., 257.

17 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973, 434.

მომხრეებით ჩამოდის კახეთში, აღადგენს სატახტო ქალაქ ზაგემს და სამეფო ტახტს იკავებს. მხოლოდ ამის შემდგომ უგზავნის მას გ. სააკაძე მორჩილების წერილს. აი, რა წერია წყაროში: [თეიმურაზ I-მა] შეკრიბა თავისი ხელქვეითები, თავისი სატახტო ქალაქი ზაგემი აღადგინა და სამეფო ტახტზე დაჯდა... [მოურავმა] დაწერა წერილი და მოწიწებით მორჩილება გამოუცხადა.<sup>18</sup> თუკი მოვლენათა მსვლელობას გავითვალისწინებთ, ვფიქრობთ, უპირატესობა ოსმალო მემკვიდრის ცნობას უნდა მივანიჭოთ, რადგანაც მემკვიდრე იუწყება, რომ გ. სააკაძეს თავად განუზრახავს ქართლში გამეფება. ნიკიფორე ირბახის სიტყვებიდანაც ჩანს, რომ იგი ეჭვის თვალით უყურებს მოურავის მიერ თეიმურაზ I-ის მეფედ მოწვევას და იუწყება, თუ როგორ გავრცელდა აზრი, თითქოსდა გ. სააკაძე ამით მახეს უგებდა მეფეს, რათა იგი მოეკლა და ქვეყანას დაპატრონებოდა.<sup>19</sup> მოურავის არაგულწრფელობას ხედავს მის საქციელში მუსტაფა ნაიმაც, ვინც ამბობს, რომ: „იგი შორსმჭვრეტელი ვინმე იყო, თეიმურაზს... მოწიწებით მორჩილება გამოუცხადა. ამავე დროს ისიც გაითვალისწინა, რომ თეიმურაზი არ აპატიებდა და განზრახ თეიმურაზ-ხანს დაუტკბა.“<sup>20</sup> მუსტაფა ნაიმას შემონახული აქვს ცნობა უცნობი სპარსული წყაროდან, რომელიც ნათელყოფს, თუ რა უპატიებელი საქციელი ჰქონდა გ. სააკაძეს მეფის წინაშე ჩადენილი. ირკვევა, რომ მარტყოფში გამარჯვებულმა მოურავმა, რომელიც დიდებითა და პატივით იყო მოსილი, „დამოუკიდებლობისა და საქართველოს შაჰობის პრეტენზია გამოაცხადა და ფული მოაჭრევინა ასეთი წარწერით: „მონა სიწმინდისა მეფისა მოურავ-შაჰი“<sup>21</sup>(სიწმინდის მეფეს შიიტები IV ხალიფა ალის უწოდებდნენ). ე.ი. მოურავი საკუთარ თავს მოიაზრებდა ქართლ-კახეთის მეფედ და იმდენად იყო შეპყრობილი ამ სურვილით, რომ შიიტებისთვის დამახასიათებელი წარწერიანი ფულიც კი მოაჭრევინა. გ. სააკაძის მიერ საკუთარი ფულის მოჭრის ფაქტი, რომელზეც სპარსული წარწერა იყო ამოტვიფრული, დაუჯერებელი არ გახლავთ და სავსებით შესაძლებელი იყო ტექნიკური თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ ამგვარი პრაქტიკის ტრადიცია საუკუნეების წინ იღებდა სათავეს და ჯერ კიდევ XIII - IV სს-დან მოყოლებული საქართველოს ზარაფხანებში (თბილისი, დმანისი, ახალციხე, ანისი) მონეტები იჭრებოდა მუსლიმური ზედწერილებით. ვფიქრობთ, არც გ. სააკაძის დროს უნდა ყოფილიყო შეუძლებელი სპარსულ-შიიტურ წარწერიანი მონეტების მოჭრა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ზემოთ ნახსენებ ფაქტს გ. სააკაძის „შაჰობის“ მოწადინებისა. თუმცა, როგორც ჩანს, მის სურვილს, მიზეზეთა გამო, ხორცშესხმა არ ეწერა და იგი იძულებული გამხდარა, თეიმურაზ I-ის მეფობას დათანხმებოდა. ერთ-ერთ და უმთავრეს მიზეზად შეიძლება დასახელდეს სულთნის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. ისქანდერ მუნშის თქმით, ოსმალეთის სარდალმა გამოგზავნა სიგელები მოურავის ქართლში და თეიმურაზის კახეთში ბატონობის თაობაზე.<sup>22</sup> ე.ი. მოურავს უნდა გაეთვალისწინებინა სულთნის ნება-სურვილი და დაჰყოლოდა მას. მაგრამ გ. სააკაძე თეიმურაზ I-ის დაბრუნების და ქართლ-კახეთში გამეფების დროსაც აგრძელებდა ფარულ ბრძოლას მის წინააღმდეგ. ასე მაგ., იგი ქართლში თეიმურაზ I-ის დაუკითხავად არიგებდა მაღალ „სახელოებს“, ამასთან, ჯერ იყო და ქართლის ტახ-

18 ნ. შენგელია, მუსტაფა ნაიმას ცნობები..., 264.

19 თ. ნატროშვილი, მაშრიყით მალრიბამდე, თბილისი, 1978, 186.

20 ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., 64.

21 იქვე, 263.

22 ისქანდერ მუნშის ცნობები..., 126.

ტის მემკვიდრედ ქაიხოსრო ბატონიშვილი წამოსწია, რომელიც მის მომხრეთა წევრთაგანი იყო. შემდგომ გადაწყვიტა, რომ ქართლში გიორგი იმერეთის მეფის ძე ალექსანდრე გაემეფებინა, რაც გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს დაშლას ნიშნავდა. ე.ი. მის პატივმოყვარობასა და ძალაუფლებისაკენ სწრაფვას ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს არსებობა ეწირებოდა. მართლაც, მოურავისა და „მის მოკიდებულ კაცთა“ ქმედებების შედეგად მარტყოფში გამარჯვებული და მარაბდის ომში დამარცხებული, მაგრამ შეუდრეკელი და გაუტყეხელი ქართველები ბოლოს ისეთი ვითარების წინაშე აღმოჩნდნენ, რომ ძმათამკვლელი ბაზალეთის ომი გარდაუვალი აღმოჩნდა.

ბაზალეთის ომში დამარცხებული გ. სააკაძე საქართველოს საბოლოოდ ტოვებს და ოსმალეთს მიაშურებს. 1627 წელს იგი უკვე ანატოლიაშია. ეს ის უამბია, როცა სულთანი ლაშქარს აგზავნის არზრუმის ამბოხებული ფაშას დასამორჩილებლად. 1627 და 1628 წელს არზრუმის წინააღმდეგ ორჯერ მოეწყო ლაშქრობა და ოსმალურ წყაროებში აღნიშნულია, რომ ორივე ამ სამხედრო ექსპედიციაში გ. სააკაძე აქტიურად მონაწილეობდა. დავიწყით იმით, რომ ოსმალეთში ჩასვლისთანავე გ. სააკაძე ეახლა მთავარსარდალ ჰალილ ფაშას, ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილი განუცხადა და მის ჯარს შეუერთდა.

ქათიბ ჩელების თქმით, 1627 წლის სექტემბრის თვეს ჰალილ ფაშა ილიჯადან დაიძრა და არზრუმის სამხრეთ მხარეში, ბაიანდერეში დასცა ბანაკი. აფხაზ-ფაშას ბრძანებით არზრუმის ციხის კარი ჩაკეტეს, ზარბაზნები კარვების ირგვლივ დააყენეს, ჯარი გამოიყვანეს და დაიწყო ბრძოლა. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ, რადგანაც ჰალილ-ფაშას ციხის ასაღებად ქვემეხები არ ჰქონდა, მეაღყეები დროდადრო მოტანილი ზარბაზნებით იბრძოდნენ. „კაცი წავიდა თორთუმის ციხიდან რამდენიმე ბაღემეზის (შორსმსროლელი, დიდი ზარბაზანი) გადმოსატანად. წყაროში არაფერია ნათქვამი, თუ ვის უნდა მოეტანა ეს ზარბაზნები და, საერთოდ, მოიტანეს თუ არა. შემდეგ, ქათიბ ჩელები განაგრძობს, რომ 15 ოქტომბერს სულთნის ბანაკში მისულა მოურავ-ხანი, რომლის „მოსვლით ჯარი გაძლიერდა, გამხიარულდა“ და სწორედ იმ დროს ადლიედან ორი ქვემეხი მოვიდა. თუმცა სამი ქვემეხის ერთი ადგილიდან სროლით ციხეს ვერაფერი დააკლეს და მიწის თხრას შეუდგნენ.<sup>23</sup> მემატთანე არ ასახელებს ზარბაზნების მომტანის ვინაობას, ოღონდაც მისი ნათქვამით იმის თაობაზე, რომ სააკაძის მოსვლით სულთნის ჯარი „გაძლიერდა და გამხიარულდა“, უნდა იგულისხმებოდეს, რომ ჯარი არა მოურავის ხილვის, არამედ მის მიერ მოტანილი ზარბაზნების გამო „გაძლიერდა“. მართლაც, მემატთანე მეჰმედ სოლაქ-ზადეს თანახმად, მოურავს, რომელსაც იგი „საქართველოს ერთ-ერთ სახელოვან ამირ მალრულ“-ს უწოდებს, თან ზარბაზნებიც მოუტანია.<sup>24</sup> ამ ფაქტს მუსტაფა ნაიმაჯ ადასტურებს. იგი წერს, რომ „საქართველოს მამაცი და სახელოვანი მმართველი“ ოსმალეთის ლაშქარში მოვიდა... მისი ჩამოსვლით ლაშქარი ერთგვარად გაძლიერდა და გამხნევედა. თან ჩამოიტანა ერთი ზარბაზანიც. ოლთის ციხიდანაც ორი ზარბაზანი მოიტანეს და დაიწყეს სალაშქროდ მზადება.“<sup>25</sup> ამრიგად, ოსმალური წყაროების მიხედვით გ. სააკაძეს არზრუმში აფხაზ-ფაშას დასამარცხებლად მიუტანია ზარბაზანი და ამით ფრიად გაუმხნევებია მეაღყე იანიჩრები. როგორც ზემოთ ვთქვით, ჰალილ-ფაშამ 1627

23 ქათიბ ჩელების ცნობები, 232.

24 იქვე, 83.

25 ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისი, 1974, 83.

წელს მაინც ვერ შეძლო ციხე-სიმაგრის აღება, რასაც მისი დიდგვებრიობიდან გადაყენება მოჰყვა. მის ნაცვლად დანიშნული ჰუსრევ-ფაშა 1628 წლის სექტემბერში ხელმეორედ არტყამს ალყას არზრუმს. ქათიბ ჩელები ჩამოთვლის მათ, ვინც მთავარსარდლის ჯარში იმყოფებოდნენ: რუმელიის ბეგლარბეგი ჰასან ფაშა, სულთნის იანიჩართა ალა, აჰმედ ფაშა, მოურავი და მეჰმედ ხანი.<sup>26</sup> ე.ი. გ. სააკაძე ამ მეორე ექსპედიციაშიც მონაწილეობს. ნიშანდობლივია, რომ მეაღყეებს უკვე 13 ქვემეხი ჰქონიათ და ამჯერად აფხაზ-ფაშა დაუმარცხებიათ, იგი მთავარსარდალს ნებდება. აქვე უნდა ითქვას, რომ არზრუმის ციხის ორწლიანი დაღამქერის დროს გ. სააკაძე იყო ის, ვინც პირველმა მიაშველა სულთნის ჯარს ზარბაზანი. ამიტომაც არ მიგვაჩნია გადაჭარბებულად ნათქვამი ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა იმის თაობაზე, რომ იანიჩართაგან არზრუმზე გაღამქერების დროს „მოურავი და ქართველნი ნამეტნავად კარგად იყვნენ.“<sup>27</sup> გ. სააკაძის ამგვარი თავგამოდება იმისთვის, რათა მეჰმედ ფაშა აფხაზი დაემარცხებინათ, უპირველესად, უნდა აიხსნას მისი მოწადინებით თავი გამოეჩინა დიდგვებრიის წინაშე და მისი და სულთნის კეთილგანწყობა მოეპოვებინა. თუმცა, აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ შესაძლოა მოურავის დაუცხრომელი სურვილი პირადი განწყობითაც ყოფილიყო გამოწვეული. საქმე ისაა, რომ აფხაზ-ფაშას წლების განმავლობაში ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეფე თეიმურაზ I-თან და ამ ახლობლობის შესახებ ცნობები დასავლეთევროპულ წყაროებში მოიპოვება კიდევაც. კერძოდ, გრაფი დე ვილიელას მიერ ფილიპე IV-სადმი წარდგენილ, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის წერილში ნათქვამია, რომ: „მეფე [თეიმურაზ I] ასევე დაკავშირებულია დიდი ბატონის [სულთნის] წინააღმდეგ ამბოხებულ ამბასა ფაშასთან [აფხაზ-ფაშა]. ეს ფაშა ქართველია, წარმოშობით იბერიიდან. ქრისტიანობის და ხსენებული მეფის დიდი მეგობარია, ამიტომ მის ლაშქარში ბევრი ქრისტიანი ჯარისკაცია“<sup>28</sup> იმავეს ვკითხულობთ ბერძენი ბერის კონსტანტინეს მიერ, სავარაუდოდ, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის დახმარებით შედგენილ ცნობებშიც, სადაც თეიმურაზ I-ის შესახებ წერია: „იბერიის მეფე ასევე დაკავშირებულია დიდი ბატონის წინააღმდეგ ამბოხებულ ამბასა ბახასთან. ეს ბახა ქართველია, წარმოშობით იბერიიდან.“<sup>29</sup> როგორც ვხედავთ, თეიმურაზ I და აფხაზ-ფაშა არა მხოლოდ ახლობლობდნენ, არამედ საქმიანობითაც იყვნენ დაკავშირებულნი და ერთმანეთს ეხმარებოდნენ კიდევ. ამდენად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ გ. სააკაძე ამ შემთხვევაში იმიტომაც იყო მონდომებული თავი გამოეჩინა სადრაზამის წინაშე, რომ მისთვის აფხაზ-ფაშა პიროვნულადაც მიუღებელი და საფრთხილო კაცი გახლდათ.

თუმცა გ. სააკაძის მოღვაწეობა ოსმალეთში მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და სულ რაღაც ორ წელიწადში, 1629 წლის 3 ოქტომბერს მას, მის ვაჟიშვილსა და უახლოეს თანამებრძოლებს სიკვდილით სჯიან. XVII ს-ის არაერთი ოსმალ მემატიანე მოგვითხრობს გ. სააკაძის ოსმალეთში ხანმოკლე ყოფნისა და აღსასრულის შესახებ (ქათიბ-ჩელები, აჰმედ ჰასან ზადე, მეჰმედ სოლაქ-ზადე, ჰუსეინ ვეჯიჰი, ჰეზარფენ ჰუსეინ ეფენდი, მუნეჯიმ ბაში და სხვ.), თუმცა ყველა მათგანის ნაშრომზე, სამწუხაროდ ხელი არ მიგვიწვდება. აქ მოვიხმობთ ქართულ სამეც-

26 ქათიბ ჩელების ცნობები, 232

27 ს. კაკაბაძე, გორგი სააკაძის აღსასრული, „მნათობი“, 1942, №4, 130.

28 ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბილისი, 2011, 233.

29 ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბილისი, 1986, ტ. II, 50.

ნიერო ლიტერატურაში ცნობილი ქათიბ ჩელებისა და მუსტაფა ნაიმას ცნობებს მოურავის უკანასკნელი დღეების თაობაზე.

ქათიბ ჩელები მოკლედ გადმოცემს, რომ მას შემდეგ, რაც გ. სააკაძეს ყარამანის ვილაიეთი უბოძეს, იგი აქ „დაუკავშირდა ზოგიერთ ავაზაკს და მათ მიერ ჩადენილი ჩაგვრა და უწესრიგობა მას დაბრალდა“. ამის გამო მოურავი გაუფრთხილებიათ, რომ ჰუსრევ-ფაშა სისხლისმოყვარული სადრაზამი იყო, რის გამოც იგი შეწუხებული და სხვაგან – მალათიისკენ წასულა: „მაგრამ მას საიდუმლოდ თვალყურს ადევნებდნენ და ზორ-ფაშას მასთან კაცი გაუგზავნია ბრძანებით. მოურავმა იცოდა, რომ ვერარას გააწყობდა, დამორჩილდა ბრძანებას და „ის, მისი შვილი და ქვეშევრდომები (40-50 კაცი) შებოჭილები 3 ოქტომბერს ალექოში მიიყვანეს, სადაც ყველა მათგანს თავი მოჰკვეთეს.“<sup>30</sup> ქათიბ ჩელების „ფეხლექედან“ დამოწმებულ ამ ცნობებს უფრო განავრცობს მუსტაფა ნაიმა. მისი თქმით, იანიჩრების მიერ არზრუმის ალების შემდგომ მოურავი სტამბოლს ჩაიყვანეს, სადაც „ოსმანიანთა დინასტიის წინაშე მას დიდ დამსახურებად ჩაეთვალა ყიზილბაშების განადგურება, მაჰმადიანობა მიიღო, სახელად მეჰმედი დაერქვა და სათანადო პატივის მიგების შემდეგ ებოძა ყარამანის ვილაიეთი.“<sup>31</sup> ნაიმა ქათიბისეულ ნათქვამს „ზოგიერთი ავაზაკი“ აკონკრეტებს და ასახელებს მის ყოფილ ყმათაგან „ერთ ხუცესს“, მუთესელიმად (ვალის მოადგილე) რომ დაუნიშნავთ და „აზნაურთა ერთ ჯგუფს“; რომლებიც კონიაში (ყარამანი) გაუგზავნიათ. მისი თქმითაც, იქ ჩადენილი დანაშაულობანი ოსმალური ზნე-ჩვეულებების ამ უცოდინარ, სპარსულ ყაიდაზე ფერადი მანდილით თავსმოხვეულ ქართველთა ბრბოს უნდა ჩაედინა, რომელნიც ხალხს დარევიან, იტაცებდნენ მათ ქონებას, დიდ-კაცებს ავიწროებდნენ, ყმაწვილ ქალებს უპატიოდ ეპყრობოდნენ და სხვ.<sup>32</sup> მათი უმსგავსოების გამო მდგომარეობა აუტანელი გამხდარა. კონიის უხუცესი დერვიშის, იბრაჰიმ ჩელების მეთაურობით მოსახლეობა ამბოხებულა, დასცემიან ქართველთა ბანაკს და მოურავის მოადგილე-მუთესელიმი ხუცესი კონიის ციხეში გამოუშვედევიათ. ამის შემსწრე ქართველთა ნაწილი დაფანტულა. კონიის მცხოვრებლებს იბრაჰიმ ჩელების რჩევით საჩივარი შეუდგენიათ და ვილაიეთის ყადისაც (სასულიერო მოსამართლე) აღშფოთებული ხალხი პირდაპირ დიდვეზირ ჰუსრევ-ფაშასთან გაუგზავნია. დიდვეზირთან მიტანილი პეტიციის გამო, ნაიმას თქმით, მოურავს შეშინებია. აქ ოსმალთა მემკვიდრე ჩაურთავს ერთობ საგულისხმო პასაჟს იმის თაობაზე, თუ როგორ არ იცნობდა მოურავი ოსმალეთის სინამდვილეს და ფიქრობდა, რომ, როგორც საქართველოში ლტოლვილს, სასურველ ადგილს რომ მიაღწევს, მფარველობას გაუწევს და შეიფარებენ, ასევე ამ ქვეყანაშიც შეიძლება თავის შველაო და, რადგანაც ბევრი უსამართლობა და სიავე დადასტურებულა, მალათიისკენ გაქცეულა.<sup>33</sup> 1629 წლის 28 აგვისტოს მის დასადევნებლად ერეგლიში აგზავნიან ანატოლიის ბეგლარბეგს, და აგრეთვე ნიგლეს სანჯაყ-ბეგს. მალათიისკენ გაემართა ჰუსრევ ფაშას მიერ გაგზავნილი ზორ-ფაშაც, რომელიც მოურავს დაეწია და კაცი მიუგზავნა დანებების წინადადებით. ქათიბ ჩელები იუწყება, რომ, დიდვეზირ ჰუსრევ ფაშას აზრით, გ. სააკაძე საქართველოში აპირებდა გაქცევას, თუმცა თავად მემკვიდრე არ იზი-

30 ქათიბ ჩელების ცნობები..., 234.

31 ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, ენიმკის მოამბე, 1943, №13, 211.

32 ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის..., 211.

33 იქვე, 211.

არებს ამ აზრს და ფიქრობს, რომ ეს იყო „ცრუ ცნობა“<sup>34</sup> და მოურავი სინამდვილეში ფიქრობდა, რომ „ამ ქვეყანაშიაც (ოსმალეთი) შესაძლებელი იქნება თავის შველა.“<sup>35</sup> მაგრამ სპარსული წყაროებიდან ირკვევა, რომ გ. სააკაძეს ოსმალეთში აღარ დაედგომებოდა და იგი მართლაც აპირებდა გაქცევას. ამის საბუთად მემატინანე მოიხმობს ფაქტს იმის თაობაზე, თუ როგორ გაზიდა მოურავმა საკუთარი ქონება „საქართველოს ციხისკენ“ (ოქროს ციხე): „ზემოხსენებულმა მოურავმა აღკაზმულობის ნაწილი, ფუფუნების საგნები, იარაღი, ხელთოფები და მრავალი აღჭურვილობა, რაც ხელთ იგდო, აქლემებს აჰკიდა და საქართველოს ციხისკენ ალთუნყალასკენ გაგზავნა.“<sup>36</sup> ისქანდერ მუნშის აზრით, სწორედ ქონებისა და ავლა-დიდების გაგზავნის ფაქტი გამხდარა ჰუსრევ-ფაშასთვის იმის დასტური, რომ გ. სააკაძე ოსმალეთიდან გაქცევას აპირებდა („სარდალმა ამ საქციელში გაქცევის განზრახვა დაინახა“). ამას გარდა, სადრაზამს მოურავის მოკვლის მიზეზად ისიც დაუსახელებია, რომ იგი სპარსელთა მომხრე და მხარდამჭერი (რაფუზი) იყო. მსგავსი ცნობა დაცული აქვს 1661-1679 წლებში სტამბოლს მყოფ ინგლისის ელჩს, რიკოტსაც, ვისი თქმითაც მოურავს დიდგვირმა სპარსეთის შაჰის მსახურობის გამო მოჰკვეთა თავი.<sup>37</sup> არზრუმის სანახებში ოსმალებმა გ. სააკაძის ამაღლა შეიპყრეს. 20 სექტემბერს მოურავი ალექოში მიიყვანეს და გოქმეიდანში დაბანაკდნენ. ამის შემდეგ მუსტაფა ნაიმა იმეორებს ქათიბ ჩელების ნაამბობს და თან ახალი დეტალებით ავსებს სიკვდილით დასჯის ამბავს. მისი თქმით, „დიდგვირმა თავისი კარვის ფარდა გახსნა და სკამზე დაჯდა, გასცა ბრძანება თავი მოეკვეთათ გ. სააკაძისთვის მისი შვილისა და შემდეგ დანარჩენი მისი ხელქვეითებისათვის. ჯერ მოურავის, მერე მისი შვილისა და შემდეგ მისი ხელქვეითების თავები მიწაზე გააგორეს.“<sup>38</sup> უნდა ითქვას, რომ ქათიბ ჩელებიცა და მუსტაფა ნაიმაც ცდილობენ აჩვენონ, თუ რა უძლოდა წინ მოურავის სიკვდილს და ახსნან, რამ გამოიწვია დიდგვირის გულისწყრომა ამ „გმირი მოხუცისადმი“. თანაც მონათხრობიდან აშკარად ჩანს, რომ მათი სიმპათიები მოურავისკენ იხრება. ქათიბ ჩელები და მის კვალდაკვალ მუსტაფა ნაიმა აღნიშნავენ, რომ მოურავი მმართველობასა და წესრიგში გათვითცნობიერებული არ იყო (ქათიბი) და რომ საქართველოს მმართველობის საქმეებში გარკვეული მოურავი მუსლიმური სახელმწიფოს ვითარებაში კომპეტენტური არ აღმოჩნდა და წესრიგის დამყარების საქმეში მზრუნველობა ვერ გამოიჩინა, მას მიეტმასნენ ზოგნი ბოროტმოქმედი პირნი, რომელნიც მძლავრობასა და უწესრიგობას სჩადიოდნენ, სახელი კი მისი – მოურავის იყო (ნაიმა). შემდეგ ნაიმა ქათიბ ჩელებთან შედარებით უფრო მეტად კიცხავს დიდგვირს და წერს, რომ, თუნდაც დაედასტურებინათ უშუალოდ სააკაძის მიერ ხალხის ჩაგვრა, მას ოდენ უფლებები უნდა ჩამორთმეოდა და გასამართლებულიყო, შემდეგ გაეფრთხილებინათ, რომ არანაირი ძალადობა არ ჩაედინა და ამით დაკმაყოფილებულიყვნენ. მემატინანეები სააკაძის დასჯას „უდიდეს მუხანათობად“ აღიქვამენ და ამას მხოლოდ დიდგვირის სისხლისმსმელი ბუნებით ხსნიან.<sup>39</sup> მუსტაფა ნაიმა სააკაძის მიერ

34 ქათიბ ჩელების ცნობები, 234.

35 ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის..., 213.

36 ნ. გელაშვილი, დასახ. ნაშრ., 49.

37 მ. სვანიძე, კიდევ ერთხელ გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, „მნათობი“, 1979, №2, 178.

38 ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის..., 213.

39 ქათიბ ჩელების ცნობები, 234; ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის..., 213.

მცდარი სჯულის (შიიტობა) უარყოფასა და მუსლიმობის (სუნიტობა) მიღებას „ეგოდენ დიდ დამსახურებას“ უწოდებს და „ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის“ სიკვდილით დასჯას უარყოფითად აფასებს. თუმცა, ოსმალთა მემკვიდრეები თავიანთ მსჯელობას კვლავაც ავითარებენ და გ. სააკაძის მკვლევლობის მნიშვნელობას განაზოგადებენ. ამ ფაქტს ისინი მიიჩნევენ როგორც ფრიად საზიანო მოვლენას ოსმალეთის საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პრესტიჟისთვის. ქათიბ ჩელები მოურავის დასჯას ისტორიულ გაკვეთილს უწოდებს, რაც სამომავლოდ იმის საწინდარი შეიძლებაოდა გამხდარიყო, რომ ოსმალეთს დაეკარგა ნდობა მისდამი კეთილგანწყობილ უცხოელთა, რომელნიც სულთნის მსახურებას მოისურვებენ. მუსტაფა ნაიმას თქმითაც, ამიერიდან მოურავის მაგალითი ყველას, ვინც კი ოსმალეთის მფარველობას მოისურვებს, დააფიქრებს, თუ რა შეიძლება მას დაემართოს.

ასე დასრულდა „ქართლში ბატონობისა და აღზევების მოსურნე“ მოურავის (ისქანდერ მუნში) ხანმოკლე ცხოვრება ოსმალეთში. ზემოგანხილულ წყაროთა ცნობებიდან ჩანს, რომ არსად, არც საქართველოში, არც ირანსა და არც ოსმალეთში ყოფნისას გ. სააკაძის მოღვაწეობა ერისა და ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი არ ყოფილა. დავიწყოთ იმით, რომ გ. სააკაძე ოსმალეთშიც ოდენ საკუთარი, პიროვნული წარმატების მაძიებელია. ახალ მრწამსსაც საჭიროებისდა მიხედვით უმაღლესი იცვლის და ირანში შიიტობას ნაზირევი აქ უმაღლესი სუნიტი ხდება. ამასთან, გ. სააკაძისთვის ძალაუფლებისკენ სწრაფვისას არა აქვს მნიშვნელობა, რა გზით მოიპოვებს მას, რომელ დამპყრობელს დაეყრდნობა და მისთვის სულერთია, ირანელთა მსახური იქნება თუ ოსმალთა ვასალი; საჭიროებისდა მიხედვით, ირანელთა ჯარს ჩააყენებს ქართულ ციხე-სიმაგრეებში თუ – ოსმალთა-იანიჩრებს. გ. სააკაძის „სახელმწიფოებრივი აზროვნებისთვის“ ჩვეულად მოიაზრება საკუთარი მიწა-წყლის შეთავაზება დამპყრობლისათვის. ამდენად მისი პოლიტიკური მიზნები არ გულისხმობდა ქართული მიწა-წყლის გათავისუფლებას და ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობას. მოურავი არც მეფის წინააღმდეგ თაკილობს ბრძოლასა და ძმათამკვლელი ომის გაჩაღებას, ოღონდაც თავად დაეუფლოს სამეფო ტახტს. ეს კი არა მხოლოდ სამეფოს ვასალური დამოკიდებულების შენარჩუნებას ნიშნავდა, არამედ უარესი შედეგის მომასწავებელიც იყო. გ. სააკაძის მიზნებში, ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოში ბაგრატიონთა სამეფო გვარის ჩამოშორება და მისი უზენაესობის ხელყოფაც მოიაზრებოდა. როდესაც გ. სააკაძის მოღვაწეობას აფასებ, ცხადი ხდება, რომ ყველაზე უფრო მიუღებელია არა მისი მცდელობა ქვეყანაში ერთი დამპყრობლის მეორე დამპყრობლით ჩანაცვლებისა და სიუზერენის შეცვლისა, არამედ ის, რომ იგი უცხო ძალას სთავაზობს დაიკავოს საქართველოს ტერიტორია, რათა მისი მხარდაჭერით სამეფოში ბაგრატიონი მეფის განმგებლობა საკუთარი მმართველობით ჩანაცვლოს. თუ არ ვცდებით, თამარის დროს უაზნოთა ჯგუფის მიერ მეფის ინსტიტუტის ხელყოფის მცდელობის შემდგომ ამგვარი მოვლენა ფეოდალური საქართველოს ისტორიაში არ განმეორებულა. ამდენად, ასეთი კადნიერი საქციელი მას წარმოაჩინს არა როგორც პატრიოტსა და მამულიშვილს, არამედ იგი ხასიათდება როგორც აღზევებისა და დიდებისმოყვარე მოხელე, რომელმაც ძალაუფლებისადმი სწრაფვას შესწირა ოჯახისა და სამშობლოს კეთილდღეობაც.



## **GIORGI SAAKADZE - LAST YEARS OF LIFE AND ACTIVITIES**

The essence and purposefulness activities of Giorgi Saakadze excite different opinions between researchers up to date. Most of all, they are different and opposite points of view. In many sources in different languages (Georgian, Armenian, Osmanian, Iranian, Russian, West European and others) there is a lot of materials described interesting for us, questions, but they have not taken into consideration as a whole yet to resolve this problem. The analysis of these materials will help us partly to estimate the importance of activities Giorgi Saakadze in the history of Georgian nation development.

Mouravi (ruler) Giorgi Saakadze lived in the Ottoman Empire only during two last years of his life (1627-1629). In spite of this short time activity, Turkish authors described it in details. First of all to begin the consideration of Giorgi Saakadze life, we shorten have to remember the events of the period, when he returned to Georgia from Iran.

At the beginning of July 1625 the Martkopi war was won and Georgians turned out janizaries from the strongholds. Aggressors left the whole amass by robbery. Iskander Munshi mentioned it many times. The Georgian Army returned many strongholds in Karabach and Ganja and it got a lot of a mass and stores, indeed. As it turned out from Mustafa Naima's and Iskander Munshi's notes, Mouravi (ruler) ordered the whole stores, he conducted himself as a king and he ordered the treasury of his own free will. As Ibrahim Fechevi, Katib Chelebi and Mustafa Naima told, G. Saakadze demanded the army from sadrazam (highvezir) to get free the strongholds from janizaries in Kartli and Kakheti kingdoms. This means, that he suggested to the foreign force (Ottoman Empire) to occupy the Kartl-Kacheti territory, if only for deliverance from Iranian expected punitive expeditions.

There was still one question, which G. Saakadze and rise Georgians had to solve after Martkopi war. It was the fact to take up the king's throne, what once more gave an evidence of his ambition and "duality" nature. As it proved, gained a victory in Martkhopi Mouravi, was in greatness and honourable. "He declared the claim of independence and to be the Shah of Georgia." He has coined money with legend: "Slave Holiness King's Mourav-Shah". Mouravi imagined, that he is king of Kartl-Kakheti and this wish so captured him that he wrote on the coin a legend typical for sheets. The fact, that G. Saakadze made his own money with legend on Iranian language, was not impossible to believe and it was real to make technically. It is known, that by such tradition, many centuries ago (from XIII-XIV cc) in Georgia's mint places (Tbilisi, Dmanisi, Achaltsiche, Anisi) coined money with Moslem legend. It seems that it was not impossible to coin money with sheet-Iranian legend at that time. But that is once more evidence that G. Saakadze wanted to be king. For some reasons or others, it was not his destiny and he forced to agree the reign of Teimuraz I.

Sustained a defeat on Bazaleti war G. Saakadze finally leaved Georgia and went to Ottoman Empire. In 1627 he was already in Anatolia. It was that time, when the sultan Murad II sent his army against a rise ruler of Erzurum - Mehmed Pasha Abchazi to put down him. In 1627 and 1628 there were two campaigns

against Erzurum. It is mentioned in Turkish sources, that G. Saakadze took active participation in these two campaigns. There are also written, that G. Saakadze for defeating Abchaz-Pasha in Erzurum brought there a cannon and encouraged besieger janizaries very much. Such selflessness of G. Saakadze to defeat Mehmed Pasha Abchazi may be explained as a big wish to reveal him before sadrazam (highvezir) and to get his favour. Although, we have to take into account here, that's so not decreasing wish may be explained by his personal inclination, because Abchaz-Pasha was unacceptable and dangerous for him, as he bounded up with king of Kartl-Kacheti Teimuraz I.

G. Saakadze activities in Ottoman Empire were very short. Only in two years at 3 October, 1629 year G. Saakadze, his son and his closer encirclement were executed.

Katib Chelebi shortly told: when G. Saakadze was bestowed of vilayets karmani, "he connected with some robberies, whose humiliations and disorders shifted the blame on him". Mouravi was notified that Husrev-Pasha was bloodsucker sadrasam. That was why he became anxious and decided to go to another place - he went to Malatya. But he was secretly under observation and Zor-Pasha sent him a man with order. Mouravi knew that nothing could help him and resigned to order. G. Saakadze, his son and his closer encirclement (40-50 men) were bound and at 3 October bring to Aleppo, where we're cut off the heads of all of them.

By Iskander Munshi's opinion, the fact that G. Saakadze sent all his stores and treasures in Georgia, became for Husrev-Pasha as confirmation of his decision to run from Ottoman Empire. Besides, it's the sudrasan told that he killed Mouravi because of that he was supportive and henchman (Rufusi) of Iranians. Analogical information was kept by the council of England in Istanbul in 1661-1679 years - Reekot too, who said, that sadrasam cut off head to Mouravi because of that he serviced to Iranian Shah.

Katib Chelebi and after he Mustafa Naima mentioned, that Mouravi knew anything about governing and ordering and Mouravi who was looking into forms of government in Georgia, was not competent in Muslim government specific character. That is why he hardly cared to establish order. Some deliberate criminals wormed into his confidence and perpetrated, but it was everything done under his name - Mouravi. Then Naima more strictly as Katib Chelebi, wrote about sadrasam: if it was confirmed, that Saakadze offended people personally, they had to deprive him of rights and condemn his actions. Then they had to let him know beforehand did not perpetrate and by this way they would obtain complete satisfaction. Such punishment chroniclers perceived as "enormous injustice" and explained it only by sadrasam's bloodsucker nature. That Saakadze refused mistaken faith (Shiite) and became Moslem (Sunnite) Mustafa Naima considers as "a great service" and the punishment of "such worthy and an eminent man" with violent death was estimated negative.

Turkish chroniclers continued their discussion and summarized the meaning of G. Saakadze's punishment. They were considering that fact, as a harmful occurrence for international interrelations and international prestige of Ottoman Empire. Katib Chelebi the punishment of Mouravi named as a history lesson, which may be at the bottom of distrust to Ottoman Empire in the future from foreign well-wishers, who would wish to serve the Sultan. According to Mustafa Naima, Mouravi's example would set thinking for everybody, who would wish protection of Ottoman Empire, what would be happening with him.

Such finished Mouravi his short life in Ottoman Empire, who “wished the rule and eminence in Kartli” - Iskander Munshi. From the mentioned sources, it is clear those activities of G. Saakadze neither in Georgia nor in Iran and nor in Ottoman Empire have never been useful to the nation and the country. Begin with that G. Saakadze in Ottoman Empire was seeker of his own personal success. In case of need he changed his new faith and Shiite in Iran became Sunnite in Ottoman Empire.

In spite of all this for urge towards the rule it was not matter to him how he would reach it, by what way he would achieve, on what kind of aggressor he would lean on. It was all the same for him would he be Iranian served or Ottomanian vassal. Depending on necessarily he would place Iranian army or Ottoman janizaries in Georgian fortresses. For the “State thinking” G. Saakadze was usual to suggest for aggressors the native land. So his political aims never meant to liberate Georgian lands and independent of Kartl-Kacheti. Mouravi did not stay apart from the struggle against the king and began the fratricidal war if only to conquer the king’s throne. This meant not only to maintain the vassal dependent, but worse portents. Evidently, in aims G. Saakadze there were to excommunicate a royal Bagrationi dynasty, as well it was meant the assault and battery of His Highness.

When we evaluate G. Saakadze’s activities, it is becoming too clear that most of the unacceptable is not his attempts to change one aggressor by another, but that he suggested to foreign forces to occupy Georgian territory, and wanted to change in the kingdom the governing of king Bagrationi by his own.

If I’m not mistaken, at the king’s Tamar period after attempt to assault and battery the royal institute by some rabble group, such phenomena was not repeated in feudal Georgia once more. Thus such insolent action reveals him not as a patriot or son of his land, but it characterizes him contrary as a lover of greatness and fame, who sacrificed to his urge towards the rule the honesty of his family and native land.

ინტერდისციპლინური კვლევები  
Interdisciplinary Studies

თამარ დემეტრაშვილი, თამარ ლეკვეიშვილი  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

მარიამ დადიანის ირანული სამოსი

(ფრესკებისა და მზითვის წიგნში დაცული ლექსიკის მიხედვით)<sup>1</sup>

ქართული სამოსის კვლევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, თუმცა მისი ისტორიის შესწავლა დღემდე მეტად აქტუალურ თემად რჩება. ქართული ტანსაცმლის კვლევა ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ჩაცმულობის შესახებ არსებული წყაროებისა და დოკუმენტების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია, რადგან საუკუნეების მანძილზე ქართველებს ამ ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

XVI-XVII საუკუნეებში განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ირან-საქართველოს ურთიერთობა, რაც გამოწვეული იყო შემდეგი ფაქტორებით: ბიზანტიის იმპერიასთან მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული კავშირი გაწყდა მას შემდეგ, რაც 1453 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და მის ადგილას ოსმალეთის ძლიერი იმპერია შეიქმნა; XV საუკუნის ბოლოს დაიშალა საქართველოს ერთიანი მონარქია, რის შედეგადაც რამდენიმე სამეფო და სამთავრო ჩამოყალიბდა. 1555 წელს ოსმალეთმა და ირანმა ამასიაში დადებული ზავით ქვეყანა ორად გაიყვეს.

ამგვარ ვითარებაში უზომოდ გაიზარდა სპარსეთის კულტურული გავლენა, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაც ჩაცმულობა გახდა.

ირანულ ტანსაცმელსა და ქსოვილებზე არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი გამოკვლევა და ალბომი გამოიცა როგორც საკუთრივ ირანში, ასევე უცხოეთში.<sup>2</sup> მაგალი თოდუას აზრით, „ეს გამოკვლევები ზოგჯერ ამ ხანის აღწერილობებს, დოკუმენტურ მასალებს და რეალურად არსებულ ნივთებს კი არ ეყრდნობა, არამედ ამ საგნებზე გაცილებით გვიან შექმნილ მინიატურებს. მინიატურები კი, როგორც არ უნდა იყოს იგი, დოკუმენტად არ გამოდგება. მით უმეტეს, ვერ შეასრულებს ამ ფუნქციებს სპარსული მინიატურები, რომლებიც მათი ავტორების

1 კვლევის პროცესში დიდი დახმარება გაგვიწია პროფ. მაგალი თოდუას პირად არქივში დაცულ მასალებზე მუშაობამ.

2 Albert Racinet, *Le Costume Historique* (6 volumes), Libr. de Firmin-Didot et c-ie, Paris (1888); Phyllis Ackerman, *Persische textilien*, Basel, 1953; Hermann Goetz, *The History of Persian Costume*, in a survey of Persian art, edited by Arthur U. Pope and Phyllis Ackerman, vol. 3, 2227-2256. London: Oxford University Press, 1933.

ضیاءپور، جنیل، پوشاک زنان ایرانی؛ از چهارده قرن پیش تا آغاز دوره شاهنشاهی پهلوی، وزارت فرهنگ و هنر، ۱۳۴۷. آشنائی با رنگ آمیزی در آثار ایرانیان از کهن ترین زمان تا دوره صفویه، داره کل نگارش وزارت فرهنگ و هنر [تهران] ۱۳۵۳. پوشاک باستانی ایرانیان، از کهن ترین زمان تا پایان شاهنشاهی ساسانیان، [تهران]: اداره کل موزه‌ها و فرهنگ عامه، ۱۳۴۳.

ხანის მონაცემებს ასახავენ. მაგალითად, ყაჯართა ხანის (XVIII-XX სს.) ოსტატები შაჰ-ნამეს (977-1010 წწ.) თავიანთი დროის აქსესუარებით გადმოსცემენ.<sup>3</sup>

ქართული ჩაცმულობის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა იმ დროის უცხოელ მოგზაურთა ჩანახატები და ჩანაწერები, მაგრამ თვით ისეთი დაკვირვებული მოგზაური, როგორც შარდენი<sup>4</sup> იყო, ყოველთვის სანდო არ არის.

ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა ქართული ჩაცმულობის ისტორიის საკვლევად საჭირო და აუცილებელი მასალები როგორც ქართულ, ისე არაქართულ წყაროებში.<sup>5</sup> მისი ნაშრომი სამოსის ისტორიაზე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი რამით გამოირჩევა: სწორი მეთოდოლოგიითა და ფართოდ მოხმობილი როგორც ქართული, ასევე ბიზანტიური და სპარსული წყაროების ღრმა ანალიზით. მეცნიერს მოხმობილი აქვს ყოველგვარი საამისოდ გამოსადეგი ქართული წყარო - მათ შორის ფრესკები და მზითვის წიგნები: გაირკვა, რომ საქართველოს ეკლესიებში არსებულ ფრესკებზე დოკუმენტურადაა ასახული ამა თუ იმ ეპოქის მეფეთა და ფეოდალთა ჩაცმულობა, ხოლო მზითვის წიგნებში სხვა ნივთთა შორის ჩამოთვლილია ქალთა ის ჩაცმულობა და სამკაულები, რომლებიც დამახასიათებელი იყო XVII საუკუნის საქართველოსთვის.

XVI-XVII საუკუნეებში საქართველოში, ირანის პოლიტიკურ გავლენასთან ერთად, სპარსული და თურქული ჩაცმულობაც შემოდის. მას ჯერ საჩუქრების სახე ჰქონდა. ქართულ და სპარსულ საისტორიო მწერლობაში სამოსის საჩუქრად ბოძების არაერთი მაგალითია მოთხრობილი, რომლებიც შემდეგ ჩვეულებრივ სახმარ ნივთებად იქცა. მაგალითად, შარდენი აღწერს, თუ როგორ ეახლა სპარსეთის შაჰს 1652 წლიდან სამშობლოდან რუსეთში გადახვეწილი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, ერეკლე (ნაზარალი-ხანი, ქართლის (1688-1703) და კახეთის (1703-1709) მეფე), რომელსაც შუამდგომლობას უწევდა რუსეთის ხელმწიფის საგანგებო ელჩი. უფლისწული ეახლა შაჰს, როგორც მსახური და ვასალი და თავისი სამეფოს მეფისნაცვლობა სთხოვა. ხელმწიფის ბრძანების მოლოდინში საზღვართან გაჩერებულ უფლისწულს, რომელსაც შაჰმა ხელმწიფის კარზე მოსვლის ნება მისცა, წყალობის ნიშნად და საწინდრად გაუგზავნა „უძვირფასესი ხალათი, რომელიც შედგებოდა ცხრა სრული ჩასაცმელისაგან: ერთი მათგანი ძვირფასი თვლებით საკინძებით იყო მორთული, ოთხი - ოქროქარგული, ხოლო დანარჩენები - ოქროთი და ვერცხლით მოქარგული ფარჩისა.“<sup>6</sup>

მნიშვნელოვანია, ასევე, კაპუცინი მისიონერის, დიონიჯო კარლის ცნობა გიორგი XI-ის (1676-1688 - ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) შვილი) შესახებ. ის თბილისის მინბაშისგან (მეციხოვნეთა ჯარის უფროსი) მიიღებს საჩუქრად შაჰის გა-

3 მაგალი თოდუა, არქივის მასალები: XVII საუკუნის ქართველ დიდგვაროვანთა ირანული ტანსაცმელი, ۱۷ بزرگزدگان گرجی قرن .

4 ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც 1672-1673 წლებში იმოგზაურა საქართველოში.

5 ივანე ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ნაკვ. 3, ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1962.

6 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მზია მაგლობლიშვილმა და გიორგი სანიკიძემ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, 351.

მოგზაენილ საპატიო ხალათს და შეიმოსება, რითაც სპარსულ ყაიდაზე ჩაცმული მეფე საქვეყნოდ აღიარებს ირანის შაჰის მორჩილებას.<sup>7</sup>

როგორც შარდენი აღნიშნავს, შაჰ აბასმა ძვირფას საჩუქრებს შორის, რომლებიც ლუარსაბს (ლუარსაბ II – ქართლის მეფე 1606-1615 წლებში) უძღვნა, ძვირფასი თვლებით მორთული ჯილაც იყო, როგორც სამეფო ნიშანი.<sup>8</sup>

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქართული არისტოკრატია ირანის დიდგვაროვნებს ბაძავდა. მაგალითისთვის, XVII საუკუნის დასაწყისში რუსეთის ელჩები კახეთში ასეთი სურათის მოწმენი გახდნენ: „მოვიდა ცნობა, რომ სპარსეთის ელჩი ძმობის გამოსაცხადებლად მოდისო და ყველამ ხალათები ჩაიცვა, დოლბანდები გაიკეთა, შესხდნენ ყველანი ცხენებზე და მოსალაპარაკებლად გაემართნენ. როდესაც მათ კითხეს, თუ რა მიზეზით შეიცვალეს ტანისამოსი, ქართველმა მოხელეებმა უპასუხეს: განა ჩვენ კი გვესიამოვნება ამ ტანისამოსის ჩაცმა, მაგრამ რა ვქნათ, სპარსეთის ელჩი მოდის, რომელმაც ჩვენი ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანა და ეხლაც შეუძლია გაანადგუროს. ჩვენ კი რა შეგვიძლია! ამიტომ უნდა ჩავიცვათ სპარსული ტანსაცმელი, დოლბანდები დავიხუროთ, ეგებ ამან მაინც გვიშველოსო...“ ასე იყო პირველ ხანებში, მაგრამ შემდეგ და შემდეგ ქართველი დიდგვაროვანი პირები უკვე სპარსულად ჩაცმულნი დადიოდნენ.<sup>9</sup>

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს ჩაცმულობა, რომელსაც დღეს ირანულად მივიჩნევთ, მხოლოდ ირანული ყოფილიყო. ამ სამოსში ბევრი იყო არასპარსული წარმოშობის ელემენტი. ირანელები და ირანში მყოფი უცხოელები რასაც ქართულ კაბად იხსენიებენ, იგივეა თუ არა, რასაც ქართველი მეცნიერები ირანული ყაიდის სამოსს უწოდებენ? მაგალითად, შარდენი აღნიშნავს: „ირანელ დიდებულებს (როგორც კაცებს, ასევე ქალებს) ქართული კაბა (Cabai) აცვიათ“<sup>10</sup>, მაგრამ იგივე შარდენი მეგრელი ქალების დახასიათებისას გვაუწყებს: „მათი ტანსაცმელი სპარსელი ქალების ტანსაცმელს ჩამოგავს“<sup>11</sup> ანდა: „ფეხსაცმელი ისეთივეა, როგორც სპარსელებისა. ქალების ტანსაცმელი სპარსულისაგან არაფრით განსხვავდება“<sup>12</sup>

ჩაცმულობის უნიფიცირება, რა ახლო ურთიერთობაც არ უნდა გვექონოდა ჩვენ და ირანელებს, არათუ ორი სხვადასხვა თვითმყოფადი კულტურის მქონე ხალხის, არამედ თვით ერთი ხალხის წიაღშიც შეუძლებელია. და ამიტომაც არის, რომ იმავე შარდენს თუ დაუფჯერებთ, მის დროს „ირანელ მანდილოსნებს წინდები არ ეცვიათ“<sup>13</sup>, მაშინ, როდესაც იმავე ხანის ქართულ მზითვის წიგნებში ეს ნივთი – ჯორაბი (წინდა) მრავალჯერაა ფიქსირებული.

როგორც ქართველი მკვლევარი ირინა კოშორიძე აღნიშნავს, შაჰ აბას I-ის დროს ირანში დაწინაურებულ ქართულ სამხედრო და საერო არისტოკრატიას

7 „დიონიჯო კარლის თბილისის აღწერა“, იტალიური ტექსტი თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29, 1951, 173–175.

8 უან შარდენის მოგზაურობა..., 305.

9 ჯავახიშვილი, მასალები..., 41.

10 Sir John Chardin's Travels in Persia with an introduction by Brigadier-General Sir Percy Sykes, London: The Argonaut Press, 1927, 212.

11 უან შარდენის მოგზაურობა..., 126.

12 იქვე, 295.

13 Sir John Chardin's Travels in Persia, 215.

იმდროინდელი სეფიანთა კარის გემოვნებისა და ეტიკეტის ჩამოყალიბებაზეც ჰქონია გავლენა – მოდასაც კი კარნახობდა სამეფო კარს. სეფიანთა ირანში კაბის შეტანა და მისი პოპულარობა ისფაჰანის სამეფო კარზე ქართველებთან და ქართულ სამხედრო არისტოკრატიასთანაა დაკავშირებული.<sup>14</sup>

ბოლო პერიოდში გამოითქვა მოსაზრება ისფაჰანური სკოლის დაზგური ფერწერის „ქართულობის“ შესახებ. ირანელი მეცნიერი შაჰრიარ ადლი XVII საუკუნის მეორე ნახევრითა და XVIII საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ისფაჰანის მხატვრული სკოლის ნიმუშებად აღიარებულ პორტრეტებს ქართულ მხატვრობად მიიჩნევს. უფრო მეტიც, მისი აზრით, ამ ტილოებზე გამოსახული პერსონაჟები ქართველები არიან და ეს ნიმუშები როსტომ მეფის (1632–1657) სასახლისთვის იყო განკუთვნილი.<sup>15</sup>

ქართველი მკვლევრის, ნინო ჩიხლაძის აზრით, „ქრისტიანულ დასავლეთზე ორიენტირებული ქართული ხელოვნება შეიძლება გამხდარიყო ხიდი დასავლეთეგროპულსა და ირანულ კულტურას შორის. სწორედ ამის ერთ-ერთი გამოვლენაა ქართული საერო პორტრეტის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გაზიარება და მის საფუძველზე ე. წ. ქართულ-სპარსული მხატვრული სკოლის ჩამოყალიბება.“<sup>16</sup> „ქართულ-სპარსული“ მხატვრული სკოლის ჩამოყალიბების საფუძველად ქართული საერო პორტრეტის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გაზიარება განიხილება, რომელიც ირანისა და საქართველოს სამეფო კარზე წარმოიშვა.<sup>17</sup>

ქართულ-სპარსული დაზგური ფერწერის ზეგავლენა შეიმჩნევა ქართული კედლის მხატვრობის საქტიტორო პორტრეტებზე.<sup>18</sup> ამ სკოლის ნიმუშები XVII საუკუნის 30–იანი წლებში უკვე იქმნებოდა: სვეტიცხოვლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯზე მარიამ დადიანისა და მისი ვაჟის ოტია გურიელის გამოსახულებები და მარტვილის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ ბურჯზე მარიამ დედოფლისა და ოტია გურიელის 1625-1634 წლებს შორის შესრულებული პორტრეტი, რომლებზეც მინიშნებაა მხატვრული ხედვის ახლებურ კუთხეზე.<sup>19</sup>

14 ირინა კოშორიძე, „XVI-XVII საუკუნეების ირანში მოღვაწე სამხედრო არისტოკრატთა ქართული სამოსი“ წიგნში საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2011, 22, 38; „ახალი ცნობები საქართველო-ირანის ურთიერთობათა შესახებ“, 41–58.

15 შაჰრიარ ადლი, „ქართული და აღმოსავლური ფერწერა შ. მირიანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში“ ნარკვევები, VII, 2001, 96-100.

16 ნინო ჩიხლაძე, „ქართული დაზგური მხატვრობის სათავეებთან. „ქართულ-სპარსული“ ფერწერული სკოლა.“ ნარკვევები, III, 2003, 106; „ირანულ-ქართული კულტურული ურთიერთობები და XVII ს-ის ქართული სახვითი ხელოვნების ერთი ასპექტი“, მნათობი, 5/6, 2003: 181.

17 ჩიხლაძე, „ქართული დაზგური მხატვრობის...“ 108.

18 იქვე, 107.

19 ქართულ-სპარსული დაზგური სკოლის ჩამოყალიბების ხანად ივარაუდება 1637-1829 წლები. საწყისად აღებულია მარიამ დადიანისა და ოტია გურიელის სვეტიცხოვლის პორტრეტი და მისი შექმნის თარიღი – მარიამი ამ ფრესკაზე უკვე როსტომ ხანის ცოლია, მისი ვაჟი ოტია კი მის გარდაცვალებამდეა გამოსახული. ოტია გარდაცვალების დროს 19-20 წლის იყო, ფრესკაზე კი 12-13 წლის ბავშვია. ხოლო ზედა ზღვრად მიჩნეულია 1829 წელი და ამ მხატვრული სკოლის ნიმუშის „ქსნის ერისთავ თორნიკეს ასული ნინოს“ შექმნის თარიღი. იხ.: ჩიხლაძე, „ქართული დაზგური მხატვრობის...“ 107-108; „ირანულ-ქართული კულტურული...“ 182.

XVI-XVII საუკუნეების ირანული და ქართული ჩაცმულობის შესასწავლად, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ მასალებს, რადგან ისინი, ჯერ ერთი, ირანულ ჩაცმულობასთან ახლოს დგანან და მეორე, ისინი დოკუმენტებს წარმოადგენენ. ამა თუ იმ ფრესკაზე გამოსახული, თუ რომელიმე მზითვის წიგნში დასახელებული ხალათი, ჯილა, ქამარი თუ კაბა, ნამდვილად არსებობდა სწორედ იმ სახით, როგორც გამოსახულია ფრესკებზე ან აღწერილია მზითვის წიგნებში. ზოგი მათგანი დღემდეა შემონახული.

ინტერესი მზითვის წიგნებისადმი, როგორც საისტორიო წყაროსადმი, XIX საუკუნიდან ჩნდება. მზითვის წიგნების მრავალმხრივი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში უდავოა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ისტორიისთვის. მზითვის წიგნების მიხედვით შესაძლებელია დადასტურება ამა თუ იმ ნივთის არსებობისა, ფრესკაზე გამოსახული ნივთი ნამდვილად ასახავდა თუ არა შესაბამის დროს. ამგვარად შეიძლება აღდგეს ყოფის, სავაჭრო ურთიერთობის და განვითარების საერთო სურათი.

რა თქმა უნდა, ფრესკებზე ასახული ნივთები როდი გვაძლევს იმ დროის ქართული ჩაცმულობისა და მორთულობის სრულ სახეს. ასევე, მზითვის წიგნებში ფიქსირებული ტერმინებიც როდი ასახავენ ამ ფრესკების ყველა დეტალს, მაგრამ ის, რაც საქართველოში დაცულია, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, უნიკალურია და მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XVI-XVII საუკუნეების ირანული და ქართული ჩაცმულობის შესწავლის საქმეში.

ქართულ ჩაცმულობაში ირანული კვალის ძიებას, სხვა მეცნიერთა შორის, ხელი მიჰყო აგრეთვე ქართველმა ირანისტმა, მაგალი თოდუამ. მან ვერ მოასწრო ჩანაფიქრის განხორციელება. მან ვერ მოასწრო ნაშრომის დასრულება, რომლის პირობითი სათაური „XVII საუკუნის ქართველ დიდგვაროვანთა ირანული ტანსაცმელი“ უნდა ყოფილიყო<sup>20</sup>. ჩვენი სტატიის ბაზად ვიყენებთ მის მიერ შეგროვებულ და სისტემატიზებულ მასალებს, რომლებმაც მოგვცა კვლევის მიმართულება და საშუალება, შეგვეჯერებინა ერთმანეთისთვის მზითვის წიგნები და ქართველ დიდგვაროვანთა ფრესკები. მაგალი თოდუამ ჩათვალა, რომ ჯავახიშვილის მეთოდი ქართული ჩაცმულობის ისტორიის შესასწავლად ყველაზე მართებული იყო და ჩვენც ზუსტად ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას.

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოში დაცული მარიამ დადიანის სამი ფრესკა.<sup>21</sup> მარიამ დედოფლის ფრესკების გარდა, შემონახულია მისი მზითვის წიგნიც – ქალისთვის გატანებული მოძრავი ქონება – რომელიც ყველაზე ძველია ჩვენამდე მოღწეულ მზითვის წიგნებს შორის – „მზითვის წიგნი დადიანის ქალის ქართლის დედოფლის მარიამის 1634 წ.“<sup>22</sup>

20 თოდუა, არქივის მასალები...

21 ცნობილია იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში მარიამ დადიანის კიდევ ერთი ფრესკა, იხ.: ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე მეტრეველმა (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1956); ასევე, არსებობს კრისტოფორე დე კასტელის ალბომში მარიამ დედოფლის ფანქრით ნახატი ერთი სურათი, იხ.: ღონ კრისტოფორე დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1976, 92 (სურათი N58).

22 მარიამ დედოფლის მზითვის წიგნი პირველად გამოსცა სარგის კაკაბაძემ 1925 წელს. იხ.: სარგის კაკაბაძე, ისტორიული საბუთები. საისტორიო მოამბე, 1925, 136-138.



მარიამ დედოფლის მზითვის წიგნში სხვა ნივთთა შორის ჩამოთვლილია მისი ტანსაცმელი და სამკაულები, რომლებიც დამახასიათებელი იყო XVII საუკუნის საქართველოსთვის. მასში ლექსიკურად ფიქსირდება ის, რაც აცვია ფრესკებზე გამოსახულ მარიამ დედოფალს.

შევეცდებით, მზითვის წიგნში არსებული ლექსიკის და სხვადასხვა მკვლევარების, მათ შორის ხელოვნებათმცოდნეების მიერ მარიამის ფრესკების აღწერილობის მიხედვით გამოვიკვლიოთ ირანული ელემენტები მარიამ დედოფლის ჩაცმულობაში.

On May 16, 2017 the meeting of President R. T. Erdogan and President Trump took place in the White House, where the US president pointed out: “We have always had good relations with Turkey and we are going to continue them in the future.” Ultimately, the Erdogan government occurred in such a situation where, on the one hand, straining relations with Russia did not bring significant dividends to any direction, and, on the other hand, the confrontation with the West reached its peak.

It is interesting to know how the current political course of Turkey affects its relations with the US? Erdogan’s foreign policy for the last 2-3 years has questioned Turkey and the US partnership. And today, when the relations with Russia warmed again, Turkey’s policy towards Russia will primarily depend on the US’s cooperation with Ankara. We believe that the stable relations with the US will not cause desire in Turkey to seek an alliance in Russia. In the Middle East issue, related to the Syrian problem, Turkey has become an unintentional participant of the game of great states – on the one hand, America, and on the other hand, Russia. The US’s recent bombings in Syria led the Turkish position to the side of America. It can be said that Turkey takes up a vacillating position in the above mentioned issue. However, in the Syrian war Turkey has its own interests, due to the Kurds’ problems, which are one of the components of Ankara’s new course.

Turkey could not gather around itself and led any Turkish territorial states. It could neither become the leader of the Islamic world, nor accelerate its entry into the EU. More successfully, it managed to use the problem of refugee in the relations with the NATO, although, there is still a lot to do and not everything is clear.

If Turkey wants to become a country with the “first rank world economy” and a liberal democracy, it should strengthen the relations with the US, which would partly require changes in priorities of its foreign policy and an establishment of a certain distance with the Muslim world.

---

15 Rex Tillerson answered to the foreign policy questions in the Senate, [http://www.trt.net.tr/georgian/msoplio/2017/01/12/rek-s-tilersonma-senatshi-sagareo-politikis-kit-xvebs-upasuxa-649606.\(2017\).](http://www.trt.net.tr/georgian/msoplio/2017/01/12/rek-s-tilersonma-senatshi-sagareo-politikis-kit-xvebs-upasuxa-649606.(2017).)

## ემზარ მაკარაძე, ბექა მაკარაძე

შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### თურქეთ-ამერიკის ურთიერთობების ძირითადი პრობლემები დღეს

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის 10-იან წლებში თურქეთ – ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა საერთაშორისო საზოგადოების სერიოზული ყურადღება მიიპყრო.

ცივი ომის დასრულებიდან დღემდე თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას, ძირითადად, უსაფრთხოებაზე ზრუნვა განსაზღვრავდა. ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დროდადრო საერთო, ზოგჯერ კი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები იკვეთებოდა. ამის პარალელურად, აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდები შეინიშნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობებშიც. სწორედ უსაფრთხოების პოლიტიკა წარმართავდა თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის. ერთ მხარეს იყო ცივი ომის პერიოდში არსებული ორი პოლუსიდან ერთ-ერთის ლიდერი – აშშ-ი, მეორე მხარეს კი – თურქეთი, რეგიონში მნიშვნელოვანი, მაგრამ აშშ-ზე მეტად დამოკიდებული ქვეყანა.

თურქეთი, აშშ-თან ერთად, ნატოს ბლოკში ყოფნის მიუხედავად, ყოველთვის როდი გრძნობდა თავს უსაფრთხოდ. ანკარის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასებისას აუცილებელია, აშშ-თან ურთიერთობის გათვალისწინება, რადგანაც სწორედ ის ახდენდა ყველაზე დიდ გავლენას თურქეთის პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ქვეყნის რეალური და პოტენციური ძალა თანაბარი არ იყო, ცივი ომის წლებში თურქეთი გადაიქცა ნატოსა და დასავლეთის ბლოკის დასაყრდენად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თურქეთი იყო ერთ-ერთი იმ ქვეყნებს შორის, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროების გამყოფ ზღვარზე აღმოჩნდა. ალბათ, ამიტომაც, ანუ გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებების გამო, თურქეთი მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებული პირობების მქონე ქვეყნად წარმოჩნდა. აშშ-თან ურთიერთობები, სწორედ, ამ ღერძის ირგვლივ ვითარდებოდა.

#### დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. Grigalashvili, S. *Turkey in modern regional politics*. Tbilisi, 2009 (in Georgian).
2. *Turkish Foreign Policy, 1990-2008*. Translated from Turkish by Manchkhavili, M. Tbilisi, 2014 (in Georgian).
3. Kupreishvili, T. *West European Union Policy*. Thesis. Tbilisi, 2016 (in Georgian). Barack Obama's foreign policy – “smart power” or idealism, <http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html>; 2010 (in Georgian). Rex Tillerson answered to the foreign policy questions in the Senate, <http://www.trt.net.tr/georgian/msoplio/2017/01/12/rek-s-tilersonma-senatshi-sagareo-politikis-kit-xvebs-upasuxa-649606> (in Georgian). Gentleson, B. *US Foreign Policy - Dynamics of Choice in the 21st Century*. Tbilisi, 2015 (in Georgian).

- Editör: Baskın Oran, Türk Dış Politikası, Kurtuluş Savaşından Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar (cilt III. 2001-2012), Bölüm Yazarları: (Ali Dayıoğlu, Baskın Oran, Funda Keskin Ata, İlhan Uzgel, Kudret Özesay, Mitat Çelikpala, Mithat Sancar, Mustafa Aydın, Nuri Yeşilyurt, Samim Akgönül, Sanem Baykal, Seyfettin Gürsel, Tuğrul Arat, Ünal Ünsal), İstanbul,2013 (in Turkish).
- Davutoğlu A., Principles of Turkish Foreign Policy and Regional Political Structuring, *SAM Vision Papers* (No. 3, April ), 2012.
- Uzgel İ., „ABD ve NATO’yla İlişkiler”, Baskın Oran (der.) *Türk Dış Politikası, Kurtuluş Savaşından Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar*, Cilt II: 1980-2001, İletişim, Ankara, 2001 (in Turkish).
- Özel, Yılmaz ve Akyüz, *Turkish -American Relations for a New Era: A Turkish Perspective*. İstanbul, 2011.
- [www.Census.gov/compendia/statab/2012/tables/12s1296.pdf](http://www.Census.gov/compendia/statab/2012/tables/12s1296.pdf) (Erişim: Kasım 2011).
- [www. trade.ec.europa.eu/doclib/docs/2011/November/tradoc – 148368. pdf](http://www.trade.ec.europa.eu/doclib/docs/2011/November/tradoc_148368.pdf) (Erişim: Kasım 2011).
4. [www.ekonomi.gov.tr/upload/ AB3A4280-D8D3-8566-45206F45BBCC409C/eko06.xls](http://www.ekonomi.gov.tr/upload/AB3A4280-D8D3-8566-45206F45BBCC409C/eko06.xls) ve [http:// www.ekonomi.gov.tr](http://www.ekonomi.gov.tr)

**თინათინ კუპატაძე**

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**ფემინიზმი ირანში**

ტერმინი „ისლამური ფემინიზმი“, რომელიც ინტელექტუალურ და აკადემიურ წრეებში 1990-იანი წლებიდან აქტიურ ხმარებაში შემოდის, ისლამური სამყაროს პირმშოა და ფემინიზმის ე.წ. „მესამე ტალღის“ ერთგვარ ახალ მიმდინარეობას წარმოადგენს. ტერმინის ფუძემდებლად პირობითად, შესაძლოა, მაროკოელი სოციოლოგი და სეკულარული ფემინისტი, ფატიმა მერნისი მივიჩნიოთ, რომელიც იკვლევდა ქალთა ადგილსა და როლს ისლამში, ისლამური აზროვნების ისტორიულ განვითარებას და შედეგად მნიშვნელოვნად განსაზღვრა იმ მიმდინარეობის ჩამოყალიბება, რასაც დღეს „ისლამურ ფემინიზმად“ მოვიხსენიებთ.<sup>1</sup>

ფემინისტურ იდეებსა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების პროპაგანდას ისლამურ სამყაროში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულს ჰქონდა ადგილი, როდესაც ჯალალ ად-დინ ალ ავღანი, მუჰამად აბდუ, რაშიდ რეზა და კასიმ ამინი ცდილობდნენ, მოეხდინათ ისლამის რეფორმისტული, ლიბერალური და ფემინისტური რეინტერპრეტაცია, რომელიც მოერგებოდა თანამედროვე ეპოქას.<sup>2</sup> იმ პერიოდში მათ იდეებს მასშტაბური გამოხმაურება და მუსლიმურ ქვეყნებში გავრცელება დიდად არ მოჰყოლია, მაგრამ ერთგვარი საფუძველი და საძირკველი მოამზადა მუსლიმური სამყაროს ქალების შემდგომი აქტივობისათვის. უკვე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მუსლიმი ქალების, უხეშად რომ ვთქვათ, „სახლიდან გამოსვლამ“, სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროში ჩართულობამ, მამაკაცებთან დე ფაქტოდ უფლებრივმა გათანაბრებამ და ემანსიპაციისაკენ სწრაფვამ აიძულა ისინი გაეძლიერებინათ ბრძოლა საკუთარი უფლებების მოპოვებისა და ლეგალიზებისათვის, რაც მუსლიმური პატრიარქალური სისტემისა და წყობის პირობებში საკმაოდ რთული აღმოჩნდა. დღესაც მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან მუსლიმური სამყაროს ქალები და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პატრიარქალურ წყობას ცდილობს შეებრძოლოს ყურანის ხელახლა გადაკითხვისა და რეინტერპრეტაციის გზით. შედეგად, სახეზე გვაქვს ფემინისტური მიმდინარეობა, რომელიც დღეს „ისლამური ფემინიზმის“ სახელით მოიხსენიება.

ტერმინი „ისლამური ფემინიზმი“ აერთიანებს იმ ინდივიდებსა თუ აქტივობას, რომელიც მიზნად ისახავს ისლამურ და რელიგიურ ჩარჩოში მამაკაცებთან ქალთა თანსწორობისა და უფლებების მოპოვებასათვის მოქმედებას/ბრძოლას.

ტერმინის გავრცელების გეოგრაფიული რუკა თავდაპირველად ახლო აღმოსავლეთის სამ ქვეყანას – თურქეთს, ირანსა და საუდის არაბეთს – მოიცავ-

1 Margot Badran, “Où en est le féminisme islamique ?”, Critique internationale 2010/1 (No 46), p. 25-44. Accessed June 12 , 2017, DOI 10.3917/cii.046.0025  
 2 Mehrdad darvishpour, “Islamic Feminism: Compromise or Challenge to Feminism?“, published in “Iran Bulletin Middle East Forum”, 2003, 55-58, 2017.  
<http://www2.sociology.su.se/home/Darvishpour/Islamicfeminism.pdf>, accesed May,18,

და. თუ ზიბა მირ-ჰოსეინისა და აფსან-ენაჯმაბადის მოსაზრებას გავიზიარებთ, მიმდინარეობის სამშობლოდ ირანის ისლამური რესპუბლიკა გვევლინება, სადაც ტერმინის გამოყენების პირველი შემთხვევები დიდი ინტენსივობით ფიქსირდება ქალთა ჟურნალ „ზანანში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში და რომლის რედაქტორიც სწორედ „ისლამური ფემინიზმის“ წამომადგენელი, შაჰლა შერქათი, გახლდათ.<sup>3</sup> ირანის შემდეგ მოდის თურქეთი, სადაც ტერმინი გამოყენებული იქნა პროფესორების იეში მარათისა და ფერიდე აჯარის მიერ სხვადასხვა სამეცნიერო სტატიებში, ასევე პოლიტიკური აქტივისტისა და სოციოლოგის ნილუფერ გოლეს მიერ წიგნში „აკრძალული თანამედროვეობა“, ხოლო საუდის არაბეთში – 1996 წელს ანთროპოლოგის და მკვლევრის მაი იამანის მიერ.<sup>4</sup> უკვე 1990-იანი წლების შუა ხანებიდან ამკარად შეინიშნება „ისლამური ფემინიზმის“, როგორც მიმდინარეობის, მზარდი განვითარება და გავრცელება ისლამურ სამყაროში. მას შემდეგ არ განელეზულა კამათი თუ მსჯელობა ტერმინის გარშემო, მის წარმოშობასა თუ სიტყვათშეთანხმების რეალურობაზე... ზოგი აქტივისტისათვის ძალიან სენსიტიური და მიუღებელიც კი იყო „ისლამის“ გვერდით ისეთი ცნების მოხსენიება, როგორიც „ფემინიზმია“, რადგან ის დასავლეთსა და კოლონიალიზმთან ასოცირდება. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ „ისლამური ფემინიზმის“ მიმდევრებს შორის ერთსულოვნება არასოდეს ყოფილა. ზოგი მუსლიმი ქალი თავის აქტივობასა და მოღვაწეობას აღწერს როგორც ყურანით გამართლებულ/ყურანზე დაფუძნებულ გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლას და თავს ისლამური ფემინიზმის წარმომადგენლებს მიაკუთვნებს, ხოლო ზოგი ამ ტერმინს საერთოდ არ იყენებს, ან არ აღიარებს და ამ მიმდინარეობას მოიხსენიებს როგორც ქალებზე კონცენტრირებული ყურანისა და წმინდა ტექსტების ხელახლა წაკითხვის მცდელობად. შესაძლოა, არ არსებობენ ერთ ენაზე მოსაუბრე „ისლამური ფემინისტები“;<sup>5</sup> მაგრამ ერთი რამ ცხადია – იქნება ეს რელიგიური მუსლიმი, სეკულარული მუსლიმი, თუ არამუსლიმი, რომელთა მოღვაწეობაც მიმართულია მუსლიმი ქალების უფლებების დასაცავად და გასამყარებლად ისლამზე და ყურანზე დაყრდნობით – ყველა მათგანი დღეს უკვე მთელს მსოფლიოში მიღებული ტერმინის ქვეშ მოიხსენიება.

„ისლამური ფემინიზმის“ თანახმად, ყურანი ყველა ჰუმანური არსებისთვის თანაბარ პირობებს გვთავაზობს, რაც პატრიარქალური იდეოლოგიის შედეგად, ფაქტობრივად, ანულირებულია. ისლამური იურისპრუდენციაც (ფიკჰი), შესაბამისად, გაჟღერებულია პატრიარქალური აზროვნებით, რამაც დღეს მუსლიმური სამყარო შარიათის ფორმულირების მრავალი ვარიაციების წინაშე დააყენა. ჰადისები, რომლებიც წარმოადგენს წინასწარმეტყველ მუჰამადის მოღვაწეობის შესახებ გადმოცემებს, არაერთხელ ყოფილა გამოყენებული პატრიარქალური იდეების გასამყარებლად ან გასავრცელებლად. ამიტომაც არის, რომ ისლამური ფემინიზმის იდეის მიზანია გამოიკვილოს და იხელმძღვანელოს ისლამის ფუნდამენტური ტექსტებით, ყურანით.

მარგო ბადრანი ყურანის ფემინისტური ჰერმენევტიკის სამ ტიპს გამოყოფს:

- 3 Ziba Mir-Hossini, “Beyond “Islam” vs “Feminism”, IDS Bulletin, (volume 42, number 1), last accessed June 10,2017, DOI: 10.1111/j.1759-5436.2011.00202.x
- 4 Margot Badran, “Feminism in Islam Secular and Religious Convergences”, (oneworld Oxford Publications, 2009), 243
- 5 Ziba Mir-Hossini, “Beyond “Islam” vs “Feminism”, IDS Bulletin, (volume 42, number 1), last accessed June 10,2017, DOI: 10.1111/j.1759-5436.2011.00202.x

1. გადაისინჯოს ყურანის სტროფები, რათა შესწორდეს არასწორი განმარტებები, სადაც მამაკაცთა უპირატესობაზეა საუბარი;
2. მოხდეს იმ სტროფების ციტირება, რომელიც არაორაზროვნად წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას;
3. მოხდეს იმ სტროფების დეკონსტრუირება, რომელიც ხაზს უსვამს ქალისა და მამაკაცის განსხვავებას, რომელიც ინტერპრეტირებულია მამაკაცთა სასარგებლოდ და მათ კანონის ძალით ანიჭებს უპირატესობას ბევრ სფეროში;<sup>6</sup>

ყურანის რეინტერპრეტაციასთან, იჯდიჰადთან, დაკავშირებით მუსლიმი სწავლულებიც საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობენ. სუდანის რელიგიურ-პოლიტიკური ლიდერიჰ ასან ალ-ტურაბი 1973 წელს გამოქვეყნებულ პამფლეტში – „ქალები რელიგიის სწავლებებსა და საზოგადოების წეს-ჩვეულებებს შორის“ – აღნიშნავს, რომ „ისლამი არ გულისხმობს მამაკაცისა და ქალის სეგრეგაციას... ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში წინასწარმეტყველის დროსაც... მონაწილეობდნენ მესამე ხალიფის არჩევაშიც... მხოლოდ შემდგომ მოხდა ქალების გათიშვა რიგი სფეროებიდან... ეს იყო ისტორია, რომელიც დაშორდა საწყისებს.“<sup>7</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ტურაბი ისლამური ფემინიზმის მომხრედ საერთოდ არ გვევლინება, მაინც საინტერესოა მისი, როგორც რელიგიური სწავლულის მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე, რომლის შესახებაც მას რამოდენიმე ნაშრომი აქვს დაწერილი: „ისლამური აზროვნების განახლება“; „ისლამური სახელმწიფო“; „ყურანის ყოველი განმარტება/ეგზეგეზა თავისივე ეპოქის ანარეკლია“;<sup>8</sup>

ახლო აღმოსავლეთისა და მუსლიმური სამყაროს მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს უკვე მრავალი ტიპის ისლამური ფემინიზმი არსებობს: ფემინიზმი შეიძლება ითქვას, არის მცენარე, რომელიც საკუთარ ნიადაგში იზრდება. ხოლო ამ ნიადაგის ადგილი და რაგვარობა თავისთავად განაპირობებს ფემინიზმის ხასიათს.<sup>9</sup>

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი მოსაზრებით ირანი მიიჩნევა „ისლამური ფემინიზმის“ სამშობლოდ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ირანი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ის მოწინავე ქვეყანაა, სადაც ისლამური რევოლუციის გამო უფრო მასშტაბური განვითარება ჰპოვა რელიგიურმა ფემინიზმმა. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვადგინოთ, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა ქვეყანაში ამ მიმდინარეობის წარმოქმნა და განვითარების რა ეტაპები გაიარა მან.

ზიბა მირ-ჰოსეინი ირანში „ისლამური ფემინიზმის“ ფენომენის გაჩენასა და მის განვითარებას მშობლისათვის არასასურველი ბავშვის გაჩენას ადარებს. მისი აზრით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც გამოწვია ქვეყანაში ფემინიზმის ამ მიმდინარეობის განვითარება, იყო პოლუტიკური ისლამი. სწორედ პო-

6 Margot Badran, “Feminism in Islam Secular and Religious Convergences”, (oneworld Oxford Publications, 2009), 248.

7 Hasan al\_Turabi, “Women between the teachings of Religion and Customs of Society”, 16-25, accessed August 10, 2017, <http://www.salaa.co.uk/kowladge/turabi-essey.pdf>

8 Abdelwahab el-Affendi, “Hasan al-Turabi and the Limits of Modern Islamic Reformation” in Ibrahim Abu-Rabi (ed.), The Blackwell Companion on Contemporary Islamic Thought, (Oxford: Blackwell Publishing, 2006), 149.

9 Margot Badran, “Feminism in Islam Secular and Religious Convergences”, (oneworld Oxford Publications, 2009), 243.

ლიტიკური ისლამის ზედმეტად მკაცრმა და პატრიარქალურმა ხასიათმა აიძულა ქალები, დაეწყოთ მუსლიმური კანონის გენდერული საფუძვლების ძიება და შარი'ათის პატრიარქალური ხასიათის კრიტიკა, რაც უპრეცედენტო მოვლენა იყო მუსლიმურ ისტორიაში. მართალია, ყოველთვის არსებობდნენ იურისტები და კანონდამცველები, რომლებიც სულ ცდილობდნენ შარი'ათის ეგალიტარულ ინტერპრეტირებას, მაგრამ მირ-ჰოსეინი ფიქრობს, რომ მხოლოდ 1980-იანი წლებიდან გაისმა პირველი და მძლავრი კრიტიკა ტრადიციის შიგნიდან და თავისი არსით მას ფემინიზმის მარკა შეიძლება მიენიჭოს.<sup>10</sup>

ის ფაქტი, რომ ისლამური ფემინიზმის განვითარება უშუალოდ ისლამური რევოლუციის შედეგია, ცხადია, მაგრამ ჩანასახოვანი მარცვლები შესაძლოა 1960-იანი წლების ირანსა და იმ პერიოდის ინტელექტუალთა ნააზრევსა და იდეებში ვიპოვოთ. მხედველობაში გვაქვს რელიგიური ინტელექტუალის, ალი შარი'ათის, შეხედულებები ქალის ადგილისა და როლის შესახებ ისლამში. ლექციათა ნაკრებში „ფატიმა ფატიმა“ მას მუსლიმი ქალის მოდელად წინასწარმეტყველ მუჰამადის ქალიშვილი ფატიმა მოჰყავს. „მუსლიმურ საზოგადოებაში ქალის სამი სახე არსებობს: ერთი ეს არის ტრადიციული ქალის სახე, მეორე – ახალი, ევროპული ყაიდის ქალის სახე, რომელმაც სულ ახლახანს დაიწყო გამოჩენა და განვითარება და მესამე – ფატიმას სახე, რომელსაც არანაირი ანალოგი არ ჰყავს და რომელიც ეთნიკური მუსლიმი ქალის სახეს წარმოადგენს.“<sup>11</sup> „თუ შევისწავლით იმ წიგნებს, რომელიც მუსლიმი ქალების შესახებ დაწერილა, ყველა შეგნიშნავთ, რომ მუსლიმი ქალები ისტორიის მანძილზე აჩვენებდნენ თავიანთ შეუდარებელ ნიჭს მეცნიერებაში, ლიტერატურასა და სოციალურ საკითხებში, მაგრამ როგორც კი ისლამური საზოგადოებები დაკნინდა, შესაბამისად დაკნინდა ქალების ტალანტიც...“<sup>12</sup>

შარი'ათისთვის მიუღებელია როგორც შაჰის ეპოქის ქალი, რომელიც გაუზრებლად და ბრმად იღებს ყველაფერს დასავლურს და ტრადიციონალიზმის ჩარჩოებში მოქცეული ქალიც, რომელიც ყველანაირი დაინტერესების გარეშე ირგებს ღვთისმეტყველ-სამართლისმცოდნეთა მიერ შეთავაზებულ ჭეშმარიტი მუსლიმი ქალის ტრადიციულ როლს. შარი'ათი თავისი თანამედროვე ირანის ქალების მდგომარეობის გამო ადანაშაულებდა როგორც მუსლიმ მამაკაცებს, ისე – კლერიკალებს, რადგან მათი კონსპირაციული ქმედების შედეგად, ქალები ვერ ეზიარნენ თავიანთ ჭეშმარიტ ისლამურ უფლებებსა და შედეგად, ხსნის გზად დასავლეთი მიიღეს, როგორც ალტერნატივა. ამიტომაც შარი'ათიმ თავისებური ხსნა იპოვა ფატიმას სახეში: ფატიმას სახე, როგორც სახე ქალისა, რომელიც არსებობდა... ცხოვრობდა... მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეჩეთში, საზოგადოებაში, ბავშვების აღზრდაში, თავისი ოჯახის ბრძოლებსა და ისლამში... წმინდად უნდა იქნას წარმოდგენილი თანამედროვე თაობებისათვის... როგორც საუკეთესო და ყველაზე ეფექტური სახე მუსლიმი ქალისა.<sup>13</sup>

10 Ziba Mir-Hossini, “Beyond “Islam” vs “Feminism”, IDS Bulletin, (volume 42, number 1), last accessed June 10, 2017, DOI: 10.1111/j.1759-5436.2011.00202.x

11 ، «فاتمه فاطمه است»، پارس بوک، کتابخانه الکترونیکی زبان، accessed July 1, 2017, file:///H:/fateme-fateme-ast.pdf

12 Ziba Mir-Hosseini, “stretching the limits: A feminist Reading of the Shari’a in post-Khomeini Iran”, published in “Dossier 17”, 1997, last modified December 15, 2016, <http://www.wluml.org/node/286>

13 Laleh Bakhtiari, trans., “Our Expectations of Muslim women”, a lecture by Dr. Ali Shari’ai, accessed August 21, 2017, <http://www.iranchamber.com/personalities/ashari->

რევოლუციის შემდეგ, ისლამური ფემინიზმის განვითარებისთვის ნოყიერი საფუძველი მომზადდა, რაც მნიშვნელოვანწილად ე.წ. რეფორმატორი ინტელექტუალის ნააზრევმა და იდეებმაც განსაზღვრა. ზიბა მირ-ჰოსეინი ისლამურ ფემინიზმს სწორედ „რეფორმისტული“ რელიგიური აზროვნების ნაწილად მიიჩნევს, რომლისთვისაც განსხვავებით ტრადიციონალისტებისა და წინა თაობის რელიგიური ინტელექტუალებისაგან, მოდერნულობა და ისლამი ურთიერთთავსებადია. რეფორმისტები არ უარყოფენ მოდერნიზმის იდეას, მისი დასავლური წარმოშობის გამო, არც ისლამს მიიჩნევენ მუსლიმური სამყაროს სოციალურ, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მიზეზად. ისინი მსგავსად მუსლიმური სამყაროს პირველი თაობის რეფორმისტებისა, როგორებიც იყვნენ მუჰამად აბდუ, მუჰამად იკბალი, ფაზლორაჰმან მალიქი, ფიქრობენ, რომ ისლამის ადამიანური გაგება ცვალებადია, რომ... ისლამი დროისა და სივრცის მიხედვით ცვლილებისა და ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა... მათ არა მხოლოდ გამოწვევის წინაშე დააყენეს ისლამის აბსოლუტისტური გაგება, არამედ ერთგვარი სივრცე შეუქმნეს ქალებს გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის... ახალი მუსლიმი/რელიგიური მოაზროვნეები ნაცვლად ისლამის გენეალოგიის ძიებისა მოდერნული კონცეპტებისათვის, როგორიცაა მაგალითად, გენდერული თანასწორობა, ადამიანის უფლებები და დემოკრატია (ადრეული რეფორმატორების ინტერესი), აქცენტს იმაზე აკეთებენ, თუ როგორ არის გაგებული რელიგია ან როგორაა წარმოებული რელიგიური ცოდნა. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია ახლო აღმოსავლეთის ახალი ტალღის მოაზროვნეების – ალჟირში მუჰამად არქუნის, ეგვიპტეში ნასრ აბდუ ზაიდისა და ირანში აბდოლ ქარიმ სორუშის ნაშრომები.<sup>14</sup>

სორუშის ეპისტემოლოგიური თეორია რელიგიური ცოდნის ევოლუციის შესახებ დასაშვებად მიიჩნევს რწმენის თავსებადობას რაციონალურობას, სამართლიანობასა და ქალთა უფლებების თანამედროვე ცნებასთან:

„ჩვენ გაგება გაცხადებული ტექსტებისა ემყარება ჩვენს გარშემო არსებულ ცოდნას... მორწმუნეები ფიქრობენ, რომ რელიგია რაღაც წმინდა და... მყარია. არ შეგვიძლია ვისაუბროთ რელიგიური ცოდნის ევოლუციასა და ცვლილებაზე. ისინი უცვლელობის იდეით არიან შეპყრობილნი. მაგრამ... ჩვენ უნდა მოვანდინოთ განსხვავება რელიგიასა და რელიგიურ ინტერპრეტაციას შორის. რელიგიაში არ ვგულისხმობ რწმენას, რომელიც სუბიექტური ნაწილია მისი, არამედ ისლამსა და გენდერულ სამართლიანობას, ობიექტურ მხარეს, როგორც აშკარა/გამოვლენილ ტექსტს, რომელიც მყარი ნაწილია, მაგრამ ჩვენი ინტერპრეტაცია ევოლუციის საგანია. იდეა ის არაა, რომ რელიგიური ტექსტები შეიცვალოს, არამედ შეიცვლება მათი ინტერპრეტაცია... ტექსტი ჩვენ არ გველაპარაკება. ჩვენ უნდა ავალაპარაკოთ ის კითხვების დასმით.“<sup>15</sup>

სორუში თვლის, რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციის არასწორი მიმართულება ართულებს რიგ საკითხებს. ამიტომ, საჭიროა მათი ინტერპრეტირება ისე, რომ გზა გაუხსნას რადიკალურ და პოზიტიურ ცვლილებებს და პასუხი

[ati/works/expectations\\_of\\_muslim\\_woman.php](http://ati/works/expectations_of_muslim_woman.php)

14 Ziba Mir-Hosseini, “Islam and Gender Justice” in “Voices of Islam” vol.5, ed. Vincent J.Cornell, (Praeger Publishers, 2007), 101.

15 Hossein Kamali, “The theory of Expansion and Contraction of Religion, a Research Program for Islamic Revivalism”, 1995, last modified February 10, 2011, [http://www.dr.soroush.com/English/On\\_DrSoroush/E-CMO-19950200-1.html](http://www.dr.soroush.com/English/On_DrSoroush/E-CMO-19950200-1.html)



გაცეს ისეთ კითხვებს, თუნდაც, როგორცაა: გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებები.<sup>16</sup>

ასევე საინტერესოა სორუშის თეორია ისლამის არსებით და შემთხვევით ნაწილებად დაყოფის შესახებ, რაც კვლავ რელიგიური ტექსტების რეინორე რეინპრეტირებისკენ მიუთითებს და, ამავდროულად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისლამური ფემინიზმის მიმდევართა იდეებისა თუ სამოქმედო გზის განვითარებაზე. მაგალითად, ღმერთის, როგორც ერთი ჭეშმარიტებისა და უნიკალურობის არსებობა არსებითი და პირველადია ისლამისთვის, მაგრამ ის, რომ მუჰამადი დაიბადა არაბეთში და ყურანის ენაც არაბულია, ეს ისტორიის შემთხვევითობაა. ის რომ დაბადებულიყო სხვა ადგილას ყურანის წესებიცა და სოციალური საგნებიც სხვაგვარი იქნებოდა. ყურანშიც ზოგი ადგილი სხვაგვარად იქნებოდა წამოდგენილი.<sup>17</sup>

ირანული ისლამური ფემინიზმი სხვა მუსლიმური ქვეყნებისგან გამორჩეულია, რადგან აქ ინტენსიური და მზარდი ხასიათი მიიღო ყურანის ტექსტების ფემინისტურმა წაკითხვამ,<sup>18</sup> რაც შეიძლება, პოსტმოდერნული ფემინიზმის იდეების გავლენადაც მივიჩნიოთ. მკვლევრებს შორის მუსირებს აზრი იმის თაობაზე, რომ ისლამური ფემინიზმის ფორმირებაზე, გარკვეულწილად, გავლენა პოსტმოდერნულმა იდეებმაც იქონია, განსაკუთრებით იდეამ ენის, როგორც ინსტიტუციური მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ. ირანელმა ფემინისტებმა, ასე ვთქვათ, გაიაზრეს დასავლელი ფემინისტების პოსტმოდერნული იდეები რელიგიის ენის შესახებ, რომელიც ღმერთის მასკულინურ სახეს წარმოაჩენდა და, შესაბამისად, განაპირობებდა ქალის მამაკაცისადმი მორჩილებასა და დაქვემდებარებას. არაბული ენის ახლებული ლინგვისტური კონსტრუქცია სხვა ფაქტორებთან ერთად გახდა ერთ-ერთი საფუძველი წმინდა ტექსტების ახლებურად წაკითხვისა.<sup>19</sup>

ვსაუბრობთ რა იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განსაზღვრა ისლამური ფემინიზმის განვითარება ირანში – მიმდინარეობისა, რომელიც, შესაძლოა, კიდევ გადის განვითარების ახალ ეტაპებს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გლობალიზაცია, რომლის თანმდევემ პროცესებმა, ხელი შეუწყო ახლო აღმოსავლეთში ფემინისტური აქტივისტების ცნობადობის ამაღლებას თავიანთი უფლებების შესახებ. ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში კი გაცილებით იზრდება ამ აქტივისტთა ინფორმირებულობა სხვადასხვა საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი ფემინისტური მოძრაობების თავისუფლებების შესახებ და შესაბამისად, ეხმარება საკუთარი მდგომარეობის შეფასებასა და ღირებულებების გადაფასებაში. „მას შემდეგ, რაც ხალხი გაეცნო სხვადასხვა ქვეყნების პოლი-

16 Ziba Mir-Hosseini, “The construction of gender in Islamic legal thought and strategies for reform”, last accessed Junw 6, 2016, [www.dr.soroush.com/PDF/E-CMO-20010610-Ziba\\_Mir-Hosseini.pdf](http://www.dr.soroush.com/PDF/E-CMO-20010610-Ziba_Mir-Hosseini.pdf)

17 Meisam Vahedi, “Epistemological Analysis of Traditionalist and Reformist Discourses Pertaining to Islamic Feminism In Iran”, 2016, (FIU Electronic Theses and Dissertations.2446), 40, last modified June 15, 2017, <http://digitalcommons.fiu.edu/etd/2446>

18 Ziba Mir-Hosseini, “stretching the limits: A feminist Reading of the Shari’a in post-Khomeini Iran”, published in “Dossier 17”, 1997, last modified December 15, 2016, <http://www.wluml.org/node/286>

19 Meisam Vahedi, „Epistemological Analysis of Traditionalist and Reformist Discourses Pertaining to Islamic Feminism In Iran”, 2016, (FIU Electronic Theses and Dissertations.2446), 34-35, last modified June 15, 2017, <http://digitalcommons.fiu.edu/etd/2446>

ტიკურ სიტემას ...მათ უფრო ნაკლები სურვილი აქვთ საკუთარი პოლიტიკური სისტემისა თუ გენდერული პოლიტიკის მიღებისა... მათ, ვინც ქვეყანა დატოვეს და მათ, ვინც სამშობლოში დარჩნენ, საშუალება აქვთ გლობალურ კონტექსტში შეაფასონ საკუთარი ცხოვრების სტილი, უფლებები, ვალდებულებები და შეზღუდვები სხვა ქვეყნების განვითარებასა თუ მდგომარეობასთან შედარებით.<sup>20</sup>

ისტორიულ ჭრილში თუ განვიხილავთ ირანში ისლამური ფემინიზმის წარმოშობასა და მის განვითარებას, ვფიქრობთ, შესაძლოა, რამდენიმე ეტაპის გამოყოფა – 1. 1989-1997; 2. 1997-2005; 3. 2005-დღემდე – რაც, რა თქმა უნდა, განისაზღვრება როგორც მოძრაობის თავისებურების, ისე მისი თანადროული პოლიტიკური ფონისა და მმართველი ძალის პოლიტიკის მიხედვით. 1979 წელი ზიზა მირ ჰოსეინის აზრით, ორმაგად მნიშვნელოვანი იყო ირანისთვის როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. პირველი ის, რომ ქვეყანაში დაემხო შაჰის რეჟიმი და დამყარდა ისლამური მმართველობა, ხოლო მეორე ის, რომ ამავე წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიღო კონვენცია ქალთა წინააღმდეგ ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), რამაც გენდერულ თანასწორობას საერთაშორისო მანდატი მიანიჭა; ამ კონვენციამ ქალებს პატრიარქალური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება მისცა. შესაბამისად, 1980-იანი წლები შეიძლება მსოფლიოში ქალთა საერთაშორისო მოძრაობის დაწყების ეტაპად მივიჩნიოთ, მუსლიმური სამყაროს ჩათვლით. 1990-იანი წლების დასაწყისში კი ტრანსნაციონალური მოძრაობა გაფართოვდა და გაერთიანდა იმ იდეის გარშემო, რომ ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევას წარმოადგენს და მოახდინეს მისი ინტეგრირება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოებაში, რომელთა მიერ წამოწყებული კამპანიები ნათელს ჰყვანდა გენდერულ დისკრიმინაციასა და ძალადობას სხვადასხვა კულტურულ ტრადიციასა და რელიგიურ პრაქტიკაში. ძალადობისგან დაცვა გახდა უმთავრესი მოთხოვნა ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტებისთვის საერთაშორისო და ლოკალურ (ირანი) დონეზე. ამის საპასუხოდ ისლამური ძალები, ოპოზიციაში იყვნენ ისინი თუ – ხელისუფლებაში, მაქსიმალურად ცდილობდნენ ისლამისა და შარი'ათის გამოყენებას კანონების სეკულარიზაციისა და რეფორმების წინააღმდეგ. ისლამისტების „შარი'ათთან დაბრუნების“ პროპაგანდა გენდერული სეგრეგაციისკენ მიმართული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო, რაც აუტანელ გარემოს ქმნიდა ქალებისათვის,<sup>21</sup> რომლებმაც შაჰის მმართველობის პერიოდში 1963 წლის „ეთერი რევოლუციიდან“ მოყოლებული სიღრმისეულად თუ არამნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს უფლებრივი მდგომარეობა: მიიღეს ხმის მიცემის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში დასაქმების უფლებები. 1975 წელს მიღებული საოჯახო კანონმდებლობით გამკაცრდა პოლიგამიის წესები, გოგონათა ქორწინების ასაკი აწია 18 წლამდე. კონტროლირებადი გახდა გაყრის პროცესი საოჯახო სასამართლოების მიერ. ასევე, ქალს მიეცა მეურვეობის უფლებაც, მაგრამ ავტორიტეტად ოჯახში მაინც მამა და მისი მშობლები მოიაზრებოდა. შემსუბუქდა აბორტთან დაკავშირებული კანონებიც. თუმცა, დროებითი ქორწინებისა და მემკიდრეობის კანონები უცვლელი, შარიათზე დაფუძნებული დარჩა.

20 Nayereh Tohidi, „The Global-local Intersection of Feminism in Muslim Societies: the cases of Iran and Azerbaijan”, Social research, Vol. 63, no. 3, „the Status of Women in the Developing World” (New School, 2002), 851-887 accessed: December 7, 2016.

21 Ziba Mir-Hosseini, „Beyond „Islam” vs „Feminism”, IDS Bulletin, (volume 42, number 1), accessed June 10, 2017, DOI: 10.1111/j.1759-5436.2011.00202.x

რეფორმების შედეგად ქალებისათვის მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა როგორც მმართველობის, ისე განათლების სფეროები, მაგრამ შეზღუდვები არსებობდა რელიგიური ქალებისთვის, რომლებსაც დაწესებულებებში თავსაფრით სიარული ეკრძალებოდათ. ამიტომ ისინი უარს ამბობდნენ საზოგადოებრივ და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობაზე. ამავე პერიოდში არსებობდა ირანის ქალთა ორგანიზაცია, რომლის სათავეშიც შაჰის და – პრინცესა აშრაფი – იდგა და რომელიც ერთი შეხედვით ქალთა საკითხებზე და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მუშაობდა. მაგრამ, მისი ფუნქციონირება შაჰის კონტროლქვეშ მიმდინარეობდა და ავტორიტარულ და ანტი-ეგალიტარულ პოლიტიკური მმართველობის რეჟიმს ექვემდებარებოდა. შაჰს სურდა, რომ ქალები ყოფილიყვნენ მოდერნულები, მაგრამ თავმდაბლები.<sup>22</sup> სწორედ შაჰის დაუბალანსებელმა და მმართველობის საკუთარ სიტუმაზე მორგებულმა გენდერულმა პოლიტიკამ დარაზმა და გააერთიანა ქალები მის წინააღმდეგ 1970-იანი წლების მიწურულს, რამაც დაასამარა გენდერული თანასწორობის ცნება.

როგორც კი უღემები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში 1980-იანი წლების პირველი ათწლეულის მანძილზე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში აიკრძალა ქალთა მოღვაწეობა მთელ რიგ სფეროებში. მაგალითად, სასამართლო სისტემაში. გაუქმდა შაჰის მიერ მიღებული საოჯახო კანონმდებლობა. ამის სანაცვლოდ, ახალმა ხელისუფლებამ შარიათზე დაფუძნებული საოჯახო კოდექსი შეადგინა, რამაც მკვეთრად შეაფერხა და შეაჩერა ქალთა ემანსიპაცია. შეიზღუდა მათი უფლებები განათლების სფეროსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მათ სჭირდებოდათ ოჯახის უფროსის ან მეუღლის ნებართვა სამსახურის დასაწყებად, სამოგზაუროდ წასასვლელად თუ პასპორტის მისაღებად. ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ წამოიწყო მასშტაბური იდეოლოგიური კამპანია, რომელიც მკვეთრად უსვამდა ხაზს ისლამური ღირებულებებს, დასავლეთის „შავ“ მხარეებისა და ქალის როლის მნიშვნელობას ოჯახში. ქალი, პირველ რიგში, განისაზღვრებოდა როგორც დედა და ცოლი, რომლის მთავარ ამოცანას კაცობრიობის მომავალი თაობის აღზრდა წარმოადგენდა.<sup>23</sup> ისლამური ნორმების მიხედვით, დაწესდა სერიოზული შეზღუდვები ქალის სამუშაო უფლებასთან მიმართებაში. ეს, შეიძლება ითქვას, იყო შენიღბული აგრესიული პოლიტიკა ქალთა საქმიანობის წინააღმდეგ. მიღებულ იქნა კანონი ქალების არასრული ხანგრძლივობის სამუშაო დღის შესახებ, რაც აისახებოდა მათ ანაზღაურებაზეც. იყო მათი სამსახურიდან იძულებით გათავისუფლების შემთხვევებიც. ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც. თუ რევოლუციამდე დასაქმებულქალთა რიცხვი შეადგენდა 13.74 %-ს, 1986 წლისათვის მხოლოდ 8.85 % შეადგინა.<sup>24</sup> ძირითადი სფეროები, რომელშიც ისინი საქმდებოდნენ, გახლდათ მეანობა, ლაბორატორიული სამუშაოები, ფარმაცევტიკა, თარჯიმნობა, განათლება. ისეთი სამსახური, რომელიც ორივე სქესის ურთიერთობას გულისხმობს, იკრძალებოდა. მაგალითად, გეოლოგიური, არქეოლოგიური სამუშაოები, ვეტერინარია. შეზღუდვები იყო სას-

22 Azadeh Kian, "Islamic Feminism in Iran: a New Form of Subjugation or th Emergence of Agency?", tran. Ethan Rundell, Critique internationale (2010/1, No 46), 45-66, Accessed June 5, 2017, DOI 10.3917/criti.046.0045

23 "Women's Rights and Democracy: Peaceful Transformation in Iran", The Initiative for Inclusive Security Policy Commission, (Hunt Alternatives Fund, 2006, 5), accessed March 5, 2013, [https://www.inclusivesecurity.org/wp-content/uploads/2012/08/63\\_women\\_s\\_rights\\_and\\_democracy\\_peaceful\\_transformation\\_in\\_iran\\_full\\_report.pdf](https://www.inclusivesecurity.org/wp-content/uploads/2012/08/63_women_s_rights_and_democracy_peaceful_transformation_in_iran_full_report.pdf)

24 "Women's Rights and Democracy", Security Policy Commission, 6.

წავლებლებშიც. გოგონებს არ შეეძლოთ რიგ ფაკულტეტებზე სწავლა. პირველ რიგში, აღსანიშნავია იურიდიული ფაკულტეტი. ჩამოყალიბდა გენდერულად სეგრეირებული სკოლები. ასეთი პოლიტიკის გამო ბევრი ქალი იძულებული გახდა წასულიყო კერძო სექტორში. ამ მოვლენების პარალელურად გაქტიურდნენ ისლამისტი ქალები. ხომეინი თავად უწყობდა აღნიშნულ პროცესს ხელს, ცდილობდა რა შაჰის მომხრე ფემინისტები ისლამისტ ქალთა ორგანიზაციებით ჩაენაცვლებინა, რომელიც ხელს შეუშლიდა ძველი რეჟიმის მომხრე ქალების პოლიტიკურ ფორმაციას და ისლამის პროპაგანდასაც შეეცდებოდა. შეიქმნა ისლამური რევოლუციის ქალთა საზოგადოება, რომელსაც სათავეში აიათოლა ხომეინის ქალიშვილი ზაჰრა მოსთაფავი ჩაუდგა. აღნიშნული ორგანიზაციის მთავარ მიზანს ირანელი ქალებისათვის ავთენტურ ისლამთან ზიარება წარმოადგენდა.

ისლამისტი ქალებისგან<sup>25</sup> განსხვავებით, როგორც შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, ნეიტრალურ მდგომარეობაში იყვნენ უბრალო რელიგიური ქალები. მათ საკუთარი თავის რეალიზების საშუალება მიეცათ, რაც შაჰის დროს არ შეეძლოთ. ზოგიერთმა მათგანმა მიღო უმაღლესი განათლება და თავისი რელიგიური ოჯახისგან ავტონომია მოიპოვა. თავდაპირველად ამ ქალების ნაწილი თავს ისლამური რევოლუციის მემკვიდრედ მიიჩნევდა, მაგრამ რევოლუციიდან პირველი ათი წლის მანძილზე ქალების უფლებებისა და ზოგადი გარემოს გაუარესებამ უბიძგა მათ უპრეცედენტო ნაბიჯებისაკენ, კერძოდ, ეთანამშრომლათ განსხვავებული პოლიტიკური და სოციალური ღირებულებებისა და შეხედულებების მქონე ქალებთან: „ჩვენ ვიცით, რომ სეკულარული ქალები არ იზიარებენ ჩვენ რწმენას, მაგრამ არანაირი პრობლემა არ გვაქვს აღნიშნულთან დაკავშირებით, რადგან ყველა ვიბრძვით ქალის სტატუსის გასაუმჯობესებლად. ჩვენ [ისლამური აქტივისტები] თავს ისლამური რევოლუციის მემკვიდრეებად უკვე აღარ მივიჩნევთ... გავაცნობიერეთ, რომ ჩვენმა ფრაქციულობამ ბევრი ქალი დააზიანა რევოლუციის ადრეულ წლებში...ახლა გვსურს, რომ შეცდომები გამოვასწოროთ...“<sup>26</sup>

1990 იანი წლების დასაწყისში სახეზე მივიღეთ ერთგვარი ალიანსი პროგრესულად მოაზროვნე რელიგიური და სეკულარული ქალების სახით, რომლებმაც გზა გაუხსნეს ახალ გენდერულ მიმართულებას „ისლამური ფემინიზმის სახით.“<sup>27</sup>

1990-1997 წლები, შესაძლოა, „ისლამური ფემინიზმის“ განვითარების პირველ საფეხურად მივიჩნიოთ. ფემინისტებმა დაიწყეს საკუთარი იდეების ფორმირება რელიგიური ტექსტების გადაკითხვისა და ისლამურ საზოგადოებაში ქალების როლის განსაზღვრის შესახებ ქალთა პრესაში, რომელიც წარმდგენილი იყო სამი ჟურნალის – „ზანან“, „ფარზანე“ და „ზან“ – სახით. ყველაზე აქტიურად იწერებოდა ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა: პოლიგამია, მემკვიდრეობა, ქალების ჩართულობა სოციალურ თუ პოლიტიკურ აქტივობაში. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს პოსტრევეოლუციური ჟურნალი „ფაიამ-ე ჰაჯარ“, რომელიც

25 ტერმინში „ისლამისტი ქალები“ იგულისხმება პოლიტიკური ისლამის იდეით გაერთიანებულ ქალებს, რომლებისთვისაც რელიგია იდეოლოგიად ქცეული ბრძოლის საშუალებაა და ამ ბრძოლისას მთავარი ტერმინებია: „დავუბრუნდეთ „შარი‘ათს, ან „გზა ხსნისა ისლამშია“ და სხვ.

26 Azadeh Kian, “Islamic Feminism in Iran: a New Form of Subjugation or th Emergence of Agency?”, tran. Ethan Rundell, Critique internationale (2010/1, No 46), 45-66, Accessed June 5, 2017, DOI 10.3917/crui.046.0045

27 Ziba Mir-Hossini, “Beyond “Islam” vs “Feminism”, IDS Bulletin, (volume 42, number 1), accessed June 10, 2017, DOI: 10.1111/j.1759-5436.2011.00202.x

1980-იან წლებში გამოდიოდა „ისლამური ფემინიზმის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წამორმადგენლის, აზამ თალეყანის, რედაქტორობით, რომელმაც რევოლუციის შემდეგ პირველმა გაილაშქრა პოლიგამიის წინააღმდეგ და რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციის აუცილებლობაზე მიანიშნა: „ყურანის ტექსტები პოლიგამიის შესახებ აჩვენებს, რომ ის რეკომენდირებულია გარკვეულ სპეციფიურ შემთხვევებში... გარკვეული სოციალური საჭიროების შემთხვევაში ... ეს მაშინ, როდესაც ომის დროს ოჯახის უფროსები იღუპებოდნენ, ხოლო, შესაბამისი ინსტიტუტების არარსებობის გამო მათ მრავალშვილიან და გაჭირვებაში მყოფ ოჯახზე მზრუნველობა სხვა მამაკაცზე გადადიოდა. ახლა კი როდესაც არსებობს უამრავი დაწესებულება, რომელიც გაჭირვებულ ობლებსა და ქვრივებზე აიღებს პასუხისმგებლობას, პოლიგამიის არანაირი საჭიროება აღარა რსებობს.“<sup>28</sup>

1990-იანი წლების ქალთა პრესაში წამყვანი ადგილი უურნალ „ზანანს“ ეკავა, რომლის მთვარ მიზანსაც წამორმადგენდა წინ წამოეწია ქალებთან დაკავშირებული საკითხები, გაეზარდა მოსახლეობის ცნობადობა და გაეწია პროპაგანდა ქალების როლის ზრდის შესახებ სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ სფეროში. „ზანანის“ გარშემო გაერთიანებული ფემინისტები თავიანთ სტატიებში ცდილობდნენ იმის ხაზგასმას, რომ ყურანი ქალებს მამაკაცების მსგავსად აღეგნა ნებას ჩართულები ყოფილიყვნენ საზოგადოების რელიგიურ, ლეგალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებში. ურყოფდნენ კაცის პრივილეგიებს ოჯახში და აქცენტს მოვალეობების გადანაწილებაზე აკეთებდნენ. თავიანთი არგუმენტების გასამყარებლად, რომ ქალებსაც შეეძლოთ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, მოჰქონდათ ქალების აქტიური და ნაყოფიერი ჩართულობა ისლამურ რევოლუციაში. იგმოზოდა ისლამურ სამართალზე დაფუძნებული სისხლის სამართლის კოდექსი, მემკვიდრეობის უფლება, პოლიგამია. უურნალის კონცეფცია სამ ნაწილად იყოფოდა: 1. რელიგიური; 2. ფემინისტური; 3. სოციალურ საკითხების განხილვა. უურნალი ასევე ინტენსიურად იბრძოდა ქალი მოსამართლეების უფლებების დასაცავად. ის ფაქტი, რომ უურნალის გარშემო ყველა ტიპის „ბექგრაუნდის“ მქონე ქალი და მამაკაცი იყო გაერთიანებული, განაპირობებდა მის წარმატებას.<sup>29</sup> უურნალის რედაქტორი შაჰლა შერქათიცი ისლამური ფემინიზმის ერთ-ერთი ყველზე აქტიური და წამყვანი ფიგურაა ირანში. ის იმ ახალგაზრდა, რელიგიურ და განათლებულ ქალთა წრეს მიეკუთვნება, რომელიც სოციალური აქტივისტი 1979 წლის რევოლუციის შემდგომ გახდა და მოღვაწეობის პირველივე დღიდან დაუღალავად იბრძვის ისლამური კანონისა და ტრადიციის რეინტერპრეტირებისათვის: „იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რომელსაც დღეს მუსლიმი ქალები აწყდებიან, კანონის რადიკალური ცვლილებაა საჭირო. გარდაუვალია გარკვეული თავების რეინტერპრეტირება სამოქალაქო კოდექსში, რომელიც შარი'ათს ეფუძნება. ამ საქმეში კი ქალების ჩართულობა აუცილებელია.“<sup>30</sup>

28 Azadeh Kian, “Islamic Feminism in Iran: a New Form of Subjugation or th Emergence of Agency?”, tran. Ethan Rundell, Critique internationale (2010/1, No 46), 45-66, Accessed June 5, 2017, DOI 10.3917/crii.046.0045

29 Roza Eftekhari, „Zanan: trials and success of a feminist magazine in Iran“, (a paper presented at the Woodrow Wilson International Center for Scholars, Washington D.C., October 1-2, 2001).

30 Azadeh Kian, “Islamic Feminism in Iran: a New Form of Subjugation or th Emergence of Agency?”, tran. Ethan Rundell, Critique internationale (2010/1, No 46), 45-66, Accessed June 5, 2017, DOI 10.3917/crii.046.0045

ისლამური ფემინიზმის მეორე ეტაპის საწყისი თანამედროვე ირანის ისტორიაში მნიშვნელოვან გარადმტეხ პერიოდს ემთხვევა, როდესაც ქვეყნის მმართველობის სადავეები რეფორმტორმა მოჰამად ხათამიმ აიღო, რომელიც ორიენტირებული იყო ქვეყანაში დემოკრატიული და ლიბერალური ღონისიებების გატარებისაკენ. განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, საოჯახო კანონმდებლობაში. გოგონათა ქორწინების ასაკი 9-დან 13 წლამდე გაიზარდა. ხათამის მმართველობის დროს იქნა არჩეული პირველად ქალი – მასუმე ებთეჟარი – ვიცე პრეზიდენტის თანამდებობაზე. ასევე, ქალთა საკითხების სფეროში მრჩევლის თანამდებობაზეც ქალი – ზაჰრა შოჯაი – დაინიშნა. თავისი ერთ-ერთი გამოსვლის დროს ხათამიმ განაცხადა: „ქალების არ წარემოდგენენ მეორეხარისხოვან სქესს. ისტორიულად კაცები მათ უსამართლოდ ეპყრობოდნენ. ჩვენ მათ უნდა მივცეთ უფლებები, რათა მოვახდინოთ წარსულის კომპენსაცია. სწორედ ამიტომ უნდა გავხსნათ მათთვის სივრცე განათლებისა და სოციალური აქტივობის სფეროში.“<sup>31</sup> მაგრამ, ისლამური ფემინიზმის მიმდევრებს ამ ეტაპზე უკვე სხვა, უფრო ხმამაღალი მოთხოვნები ჰქონდათ. ისინი იბრძოდნენ უკვე ქალის ადგილისა და როლის განზღვრისათვის პოლიტიკაში, მაღალპოლიტიკურ თანამდებობაზე – მინისტრის ან თუნდაც პრეზიდენტის თანამდებობაზე წვდომის უფლებასა და საშუალებას. 1996-2000 წლებში ამ მხრივ თითქოს დადებითი ძვრები განხორციელდა. მეხუთე მოწვევის პარლამენტში 320 ქალი კანდიდატიდან რამდენიმე ქალთა უფლებების დამცველიც იყო: სოჰეილა ჯელოუდარზი, ფაეზე ჰაშემი-რაფსანჯანი, მარზიე სადიყი, რომლებსაც მიეცათ საშუალება მოეთხოვათ კანონების გადახედვა ქალთა უფლებების გაუმჯობესების თავლსაზრისით. თუმცა, უკვე 2000 წლიდან, მას შემდეგ, რაც საგრძნობლად გამწვავდა დაპირისპირება რეფორმისტებსა და კონსერვატორებს შორის, ქალთა უფლებების თემამ უკანა პლანზე გადაიწია. თუმცა, მეექვსე მოწვევის ქალი დეპუტატები რეფორმისტ რელიგიურ ავტორიტეტთან მოლაპარაკების გზით მაინც ცდილობდნენ ირანელი ქალების ლეგალური უფლებების გაუმჯობესებას. მაგრამ, მიუხედავად რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, ისლამური ფემინიზმის მიმდევრები და სხვა ქალთა უფლებების დამცველები თვლიდნენ, რომ მსგავსად წინა ხელისუფლებებისა, ამ ეტაპზეც რადიკალური ცვლილებები ქალების საკითხთან დაკავშირებით არ განხორციელებულა. მეექვსე მოწვევის მეჯლისის წევრი, ჯამილე ყადივარი, წერდა: „ვიცი, რომ ერთი ან ორი ქალის ყოფნა ხელისუფლებაში არ გადაწყვეტს ქალთა პრობლემებს, მაგრამ გვჯეროდა, რომ ქალების დანიშვნას მინისტრებად დადებითი გავლენა ექნებოდა საზოგადოებასა და კულტურაზე... ამ ქვეყანაში ჩვენ დიდ პროპაგანდას ვეწევით პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის შესახებ, მაგრამ სახეზე გვაქვს მათი შესაძლებლობების მცირე გამოყენება.“ ყადივარის მოსაზრებას იზიარებდა ზაჰრა შოჯა'იც, მოჰამად ხათამის მრჩეველი ქალთა საკითხებში: „ისლამური რევოლუციიდან ორი ათეული წლის შემდეგაც არ ვიცი, თუ როგორია ირანის ისლამური რესპუბლიკის დამოკიდებულება ქალთა საკითხის მიმართ.“<sup>32</sup>

31 Valentin M. Moghaddam, “Women in the Islamic Republic of Iran: Legal Status, Social Positions, and Collective Action”, (a paper as presented at the Woodrow Wilson International Center for Scholars, Washington D.C., November 16-17, 2004).

32 Azadeh Kian, “Islamic Feminism in Iran: a New Form of Subjugation or th Emergence of Agency?”, tran. Ethan Rundell, Critique internationale (2010/1, No 46), XVII, Accessed June 5, 2017, DOI 10.3917/crii.046.0045

რეფორმისტი ქალების იმედგაცრუებამ, მათი აქტივობის შენელებამ ხელი შეუწყო კონსერვატორი ქალების გააქტიურებას. 2004-2008 წლის მოწვევის პარლამენტში სწორედ კონსერვატორები წამროადგენდნენ უმრავლესობას, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ რეფორმისტი ფემინისტების მოძრაობას და მოითხოვდნენ „საზოგადოების ისლამიზაციას.“ თუ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გადავხედავთ 2005-2008 წწ. განმავლობაში, როდესაც ერთგვარად მიძინებული ქალთა უფლებების დამცველები კვლავ ძველებური ძალისხმევით ერთვებიან სხვადასხვა კამპანიებში ქალთა უფლების დასაცავად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ირანში ისლამური ფემინიზმის ისტორიაში ერთგვარი ახალი, მესამე ეტაპი, სწორედ, კონსერვატორების ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ იწყება. 2006 წლიდან ირანში ადგილი ჰქონდა ქალთა უამრავ კოლექტიურ, ორგანიზებულ მასობრივ კამპანიას. მათგან ყველაზე გრანდიოზული იყო „მილიონი ხელმოწერის კამპანია“, რომლის მიზანი იმ კანონების შეცვლა იყო, რომლებიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა და ლახავდა ქალთა უფლებებს. კამპანია 54-მა კანდიდატმა წამოწყო, რომელთა შორისაც იყვნენ ისეთი ცნობილი აქტივისტები და ფიგურები, როგორებიც არიან: შირინ ებადი, ნუშინ აჰმადიხორასანი, ნარგეს მოჰამადი, ფარვინ არდალანი, ფარიბა დავუდი მოჰაჯერი, ბაჰარე ჰედაიათი. კამპანიას ჰქონდა ცნობილი სახეებისა და საზოგადო მოღვაწეთა – თაჰმინე მილანის, ფურან დერაჰშანდეს, რახშან ბანი ეთემადის, სიმინ ბეჰბაჰანის – მხარდაჭერა.<sup>33</sup>

ამ პერიოდში მოქმედი სხვა კოალიციებიდან აღსანიშნავია: „ქალები თანაბარი მოქალაქეობისთვის“, „დედები მშვიდობისთვის და ჩაქოლების სამუდამოდ აღკვეთის“, „ეროვნულ ქალთა ქარტიის“, ქალების საფეხბურთო სტადიონებზე დასწრების კამპანიები.<sup>34</sup> ქალთა ამ აქტივობას პასუხად სახელმწიფოს მხრიდან მოჰყვა რეპრესიების სერია. 70 ქალი აქტივისტი დააპატიმრეს და ევინის ციხეში ჩასვეს „საზოგადოებრივი აზრის შერყვნის“, „სახელმწიფოს საწინააღმდეგო პროპაგანდისა“ და „ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნის“ ბრალდებით. ამ პროცესებმა გარკვეულად განაპირობა და განსაზღვრა 2009 წლის წინასაარჩევნო კამპანიის ხასიათი. ოთხი საპრეზიდენტო კანდიდატიდან – მაჰმუდ აჰმადინეჟადი, მირ-ჰოსეინ მუსავი, მეჰდი ქარუბი, მოჰსენ რეზაი – მეტ-ნაკლებად ყველა ეხებოდა ქალთა პრობლემებსა და მათი უფლებების გაუმჯობესებას, მაჰმუდ აჰმადინეჟადის გარდა. შესაბამისად, ქალ აქტივისტებს გაუჩნდათ იმედი მომავალში სასიკეთო გარდაქმნებისა და თავიანთი მიძინებულ აქტივობა ნელ-ნელა გამოაცოცხლეს. არჩევნებამდე სამი თვით ადრე ირანელმა ფემინისტებმა შექმნეს კოალიცია „ჰამგერაიე ზანან“ (ქალთა ინტეგრაცია), რომელიც 42 ქალთა ჯგუფისა და 700 დამოუკიდებელი აქტივისტისგან შედგებოდა და საპრეზიდენტო კანდიდატებს ორ მთავარ მოთხოვნას უყენებდა: CEDAW-ის რატიფიცირებასა და კონსტიტუციის მე-19, მე-20, 21-ე და 115-ე მუხლების გადახედვას. კოალიციის მთავარი მიზანი იყო რაც შეიძლება წინა პლანზე წამოეწიათ ქალებთან დაკავშირებული საკითხები და პრობლემები წინასაარჩევნო კამპანიის დროს მედიის, პრესის, დემონსტრაციების, ინტერვიუების, შეხვედრებისა თუ

33 کمپین یک میلیون امضا: تغییر برای ایرانیان accessed 19 June, 2015, <https://tavaana.org/fa/node/1789>

34 Nayereh Tohidi, “Women and the Presidential Elections: Iran’s New Political Culture” 2009, Accessed 12, November 2009).<http://www.juancole.com/2009/09/tohidi-women-and-presidential-elections.html>

ტექსტური შეტყობინებების საშუალებით.<sup>35</sup> ამავე პერიოდში გავრცელდა ცნობილი ირანელი რეჟისორის, რახშან ბანი-ეთემადის,<sup>36</sup> მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმიც – „მა ნიმი აზ ჯამიათე ირანიმ“ (ჩვენ ირანის მოსახლეობის ნახევარი ვართ), რომელიც შეიცავდა ინტერვიუებს სხვადასხვა პოლიტიკური თუ იდეოლოგიური შეხედულებების მქონე მკვლევრებსა და ქალთა უფლებების დამცველ აქტივისტებთან. მთვარი საკითხი, რის შესახებაც ბანი-ეთემადი ესაუბრებოდა რესპოდენტებს, რა თქმა უნდა, იყო ქალთა უფლებები და ის, თუ რა მოლოდინი ჰქონდათ მათ პრეზიდენტობის კანდიდატებისაგან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ფილმს კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა საპრეზიდენტო კანდიდატების (მაჰმუდ აჰმადინეჟადის გარდა) ინტერვიუები, რომლებიც ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად, ქალთა მოთხოვნებზე გაეცათ პასუხი. კანდიდატებთან ერთად ფილმში მონაწილეობდნენ მათი მეუღლეებიც, რაც ერთგვარი დადებითი ჟესტი იყო მათი მხრიდან, რათა დაეფიქსირებინათ დამოკიდებულება გენდერული საკითხებისა და ქალის როლისა და ადგილისადმი ქვეყანაში.<sup>37</sup> აღსანიშნავია, რომ კანდიდატების მეუღლეები აქტიურად იყვნენ ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში. მათგან არ შეიძლება არ გამოვყოთ ისლამური ფემინიზმის თვალსაჩინო წარმოდგენელი, მირ-ჰოსეინ მუსაგის მეუღლე – ზაჰრა რაჰნავარდი (პირველი მუსლიმი ქალი, რომელიც უნივერსიტეტის დირექტორად დაინიშნა ირანში). მისი გაბედული საუბარი გენდერულ თემაზე და მუსლიმი ქალისათვის თამამი ჩაცმულობა ოპტიმისტურ განწყობას უქმნიდა თანამედროვე ქალებს. შესაბამისად, მათი დიდი ნაწილი მირ-ჰოსეინ მუსაგის მხარდამჭერად გვევლინებოდა. მაგრამ, 2009 წლის არჩევნების შედეგად კვლავ კონსერვატორი ძალების მოსვლამ ხელისუფლების სათავეში, ირანელი ქალები ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ზიბა მირ-ჰოსეინის აზრით, 2009 წელი 1979 წლის მსგავსად თანმდევი მოვლენებით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო რელიგიის, პოლიტიკისა და ფემინიზმის ახალ საფეხურზე გადაყვანის თვალსაზრისით.<sup>38</sup> ქალებმა ახლაც მნიშვნელოვანი როლი აიღეს საკუთარ თავზე და მთელი ძალისხმევით ჩაერთვნენ იმ საპროტესტო კამპანიაში, რომელიც ისტორიაში „მწვანე მოძრაობის“ სახელით შევიდა. მოძრაობის ფარგლებში აქტივისტები სხვადასხვა საშუალებით ცდილობდნენ საკუთარი უფლებების დაცვას. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ კამპანია „სად არის ჩემი“ ხმა, რომელიც ორგანულ, ფერად და აქტიურ მოძრაობად იქცა სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის.<sup>39</sup> აღნიშნული აქტიურობა შედეგი იყო იმ რადიკალიზმისა, რომელსაც მაჰმუდ აჰმადინეჟადის ხელისუფლება იჩენდა ქალების მიმართ. კონსერვატორთა ხელმეორედ გამარჯვების შემდგომ სეკულარულმა და რელიგიურმა ფემინისტებმა კოლექტიური მოქმედების ძალა კვლავ იგრძნეს, გაიაზრეს რა, რომ მათი რელიგიური და იდეოლოგიური „ბექ-

35 Ziba Mir-Hosseini, *Islam, Gender and Democracy in Iran*, Ed., Joseline Cesari et al., (Oxford University Press, 2017), 228.

36 რახშან ბანი-ეთემადი ცნობილი ირანელი ქალი კინო-რეჟისორია, რომელიც თავის ფილმებში მნიშვნელოვან როლს უთმობს ქალის თემას, მისი ყოფის ასახვას, თუმცა, საკუთარ თავს ფემინისტად არ მოიხსენიებს.

37 ფილმი 5 ნაწილად იყო დაყოფილი და განთავსებული გახლდათ youtube-ის გვერდზე. დღეს იმ გვერდებზე წვდომა, სადაც ფილმის ნაწილები იყო განთავსებული, დაბლოკილია.

38 Ziba Mir-Hosseini, “Beyond “Islam” vs “Feminism”, *IDS Bulletin*, (volume 42, number 1), accessed June 10, 2017, DOI: 10.1111/j.1759-5436.2011.00202.x

39 Mir-Hosseini, “Beyond “Islam” vs “Feminism”, (volume 42, number 1).



რაუნდი“ არანაირ დაბრკოლებას არ შემქნიდა საერთო მიზნისათვის მულწევრის გზაზე. რეფორმისტი პოლიტიკოსისა და სწავლულის, ფათემე ჰაყიყათჯუს თანახმად: „ისლამი არ წამოადგენს პრობლემას. მთავარი პრობლემა წინააღმდეგობაა არა მხოლოდ კლერიკალების, არამედ მამაკაცების მხრიდანაც სხვადასხვა კლასიდან, რომლებიც თვინათ პატრიარქალურ ხედვას ამართლებენ რელიგიის მცდარი ინტერპრეტაციით.“ შესაბამისად, 2000-იანი წლების შუა ხანებიდან ნელ-ნელა იმ დასკვნამდე მიდიან ირანელი ფემინისტები, რომ „ფემინიზმი“, როგორც ბრენდი, რომელიც არჩევანის ცნებას აღიარებს და სცემს პატივს, არანაირად არ ეწინააღმდეგება „ისლამის“ ბრენდს, რომელიც აფასებს მორწმუნეებს.<sup>40</sup> შესაბამისად, სრულიად ბუნებრივად ჟღერდა 2009 წლის საპროტესტო აქციის მონაწილეთა ლოზუნგი: „არ შეშინდეთ, ჩვენ ყველა ერთად ვართ...ირანელი ქალები ძლიერები არიან... მათ სურთ თავისუფლება.“<sup>41</sup>

გავიზიარებთ ზიზა მირ-ჰოსეინის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ირანში ისლამური ფემინიზმი, თუ კიდევ არსებობს ის ძველებური სიმტკიცით (რაც გამოწვეულია ორივე ფემინისტური ფრთის მზარდი ურთიერთობითა და თანამშრომლობით), სრულიად სხვა პლატფორმაზე გადავიდა 2009 წლის არჩევნების შემდგომ. ეს იყო ერთგვარი ცვლილების თუ გარდამტეხი მომენტი ქალთა უფლებების დამცველთათვის, რადგან რელიგიური თუ სეკულარული წრის წარმომადგენლებმა ერთიანი ძალით დაიწყეს და დღემდე აგრძელებენ მასობრივ კამპანიასა და აქტივობებს საკუთარი უფლებების დასაცავად. „ჩვენ [სეკულარული და ისლამური აქტივისტები] ყველა ერთი მიმართულებით მივდივართ, მაგრამ ჩვენ ასევე გვჭირდება, გავაცნობიეროთ და შევაფასოთ განსხვავება ჩვენს მიდგომებს შორის და შევქმანთ სივრცეები, სადაც სხვადასხვა ფემინიზმები და ხმები შეძლებენ ერთად მუშაობას ერთი მიზნისა და იდეისთვის“ (მირჰოსეინი)<sup>42</sup> თუმცა, მთავარია, ამ იდეისა და მიზნისთვის ბრძოლის გზაზე ქალებმა, როგორც რელიგიური ისე სეკულარული წრიდან, გაითვალისწინონ და შეძლონ იმ მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათავისება, რომელიც ნებისმიერი მოძრაობის წარმატებისთვისაა აუცილებელი: მკაფიოდ დაისახონ და განსაზღვრონ სამოქმედო გეგმა, მიზნები, მათ აქტივობას ჰქონდეს რეგულარული ხასიათი, ჰყავდეთ გამორჩეული ლიდერი, რომელიც სწორად განსაზღვრავს მოძრაობის მიმდინარეობას. ამ ეტაპზე, მართალია, ერთი ლიდერი მოძრაობას არ ჰყავს, მაგრამ ისეთი აქტივისტების მოღვაწეობს, როგორებიც არიან შირინ ებადი, შაჰლა ლაჰიჯი, მეჰრანგიზ ქარი, სიმინ ბეჰბეჰანი და სხვა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არა მხოლოდ ისლამური, არამედ სეკულარული ფემინიზმის და, ზოგადად, ქალ აქტივისტთა მოქმედების მიმართულებას როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე.

40 Haleh Afshari, „Muslim women and feminisms: illustrations from the Iranian experience“, *Social Compass* 54 (3), (2007) 430, accessed October 26, 2018, [doi.org/10.1177/0037768607080838](https://doi.org/10.1177/0037768607080838).

41 Fatemeh Haghghatjoo, „Women in Iran’s Green Movement: their role in the 2009 presidential election“, Middle East Program, Occasional Paper Series, 17, 2009 accessed May 10, 2016 <https://www.wilsoncenter.org/sites/default/files/Women%20in%20Iranian%20Election.pdf>

42 Ziba Mir-Hosseini, „Beyond ‘Islam’ vs ‘Feminism’“, *IDS Bulletin*, (volume 42, number 1), accessed June 10, 2017, DOI: 10.1111/j.1759-5436.2011.00202.x

## **FEMINISM IN IRAN**

“Islamic Feminism” as a special term has been extensively presented in academic and intellectual fields since 1990. It is special kind of Feminism, which was originated in Islamic world and coincides with the third wave of Feminist movement. Fatima Mernissi, Moroccan Sociologist and secular Feminist, who was researching the women’s role and place in Islam and development of Islamic thinking, is regarded as the founder of the term. Her work had significant impact on the development of „Islamic Feminism” as a Movement.

According to the „Islamic Feminism”, Qur’an offers us equal rights for every single person and this notion is practically rejected by the patriarchal ideology. In accordance with it, Islamic Jurisprudence (fiqh) also has a great impact of patriarchal thinking that causes the emergence of different variations/versions of Sharia’s formulation/interpretation. Hadiths are often used either for strengthening or distribution of patriarchal ideas. That’s why the main aim and idea of Islamic Feminism is to research and use the fundamental Islamic texts and Qur’an as their main guide. Taking into account the diversity of Muslim world, it is possible to discuss about different types of „Islamic Feminism”. Feminism itself is the kind of a plant that only grows in its own soil. And the place and quality of this soil or the way of life of the area determines the character of Feminism itself.

Iran is one of the leading countries in the Middle East, where the Islamic Revolution gave the jump start to the development of Religious Feminism.

The fact that Islamic Revolution had the catalyzing role in the formation of Iranian „Islamic Feminism” is obvious, it’s also possible to seek the roots of the movement in the early 1960’s and in the ideas or thoughts of contemporary intellectuals. In this case the object of my consideration is Religious intellectual and public figure ‘Ali Shari’ati and his views about women’s role and place in Islam.

After the revolution there was a major among the intellectual thinking. The politic of Islamic republic and religious leaders made intellectuals either to re-value their principles or change their point of view. While discussing to which discourse the Islamic feminism is mostly related to: traditionalist, neo-traditionalist or reformist discourse, the conclusion will be obvious: to reformist one. Reformist intellectuals, their ideas and works were those important factors that stimulated women activists to form their ideology and the main route of activity. Unlike traditionalist and past decade’s religious intellectuals co-existence of Modernism and Religion is acceptable for reformists, they don’t reject the idea of Modernism because of its western origin, and neither sees the Islam as the reason of social, economical or political problems of the Muslim world.

The new generation of Muslim intellectuals offers new approaches to religious texts. Instead of research of Islam Genealogy for the modern concepts such as e.g. gender equality, human rights, democracy (that was the interest sphere of the early religious thinkers) they are more focused on religious knowledge. How it is produced or how religion is understood. From this point of view the works of Religious thinkers and intellectuals, like: Moahmmad arqun in Algeria, Nasr Abdu Zayed in Egypt and Abold Karim Soroush in Iran – are very interesting.

The compatibility faith and religion with rationality, justice and women rights' modern understandings is acceptable for Abdol Karim Soroush's epistemological theory of evolutions of knowledge: „our understanding of revealed texts is contingent upon the knowledge already set around us. Believers generally conceive of religion as something holy or sacred, something constant. You cannot talk about change or evolution of religious knowledge. They stick to the idea of fixity. But ... we have to make a distinction between religion on the one side and religious interpretation on the other. By religion here I mean not faith which is the subjective part of religion but the objective side which is the revealed text. This is constant, whereas our interpretations of that text are subject to evolution. The idea is not that religious texts can be changed but rather over time interpretations will change... The text does not speak to you. You have to make it speak by asking questions of it.”

Iranian „Islamic Feminism” is distinguished from other Muslim countries, because of intensive and strong character of feminist readings of Qur'an. As some scholars discuss and I also share this opinion, that formation of „Islamic Feminism” was partially caused by the influence of postmodernism's ideas about the language as the functional institutional mechanism. Iranian feminists shared their western counterparts' ideas about the language of religion that was presenting the God's masculine face and was the reason of women's obedience to men. The innovative linguistic constructions of the Arabic language became one of the basis for the sacred texts' rereading.

Among the reasons and factors that gave the start to „Islamic Feminism's” development in Iran, Globalization is also very important one. „Globalization is accompanied by intensification of consciousness of the world as whole. This and other effects of Globalization have important implications for gender relations and Women's status in all societies. Anthony Giddens, for example, points to the indirect impact of global processes on Social pressure for democratization in the form of the „expansion and de-traditionalization. As they become more informed about new and varied political alternatives in the world, populations become less likely to accept traditional models of political and gender regimes.” Iranian women too saw the big difference between western progressive women's and their society and tried to revalue old and traditionalist point of view about women place and role in society or public life.

Historically speaking, we may discuss the origin and development of Iranian „Islamic Feminism” in three main chronological periods: 1. 1989-1997; 2. 1997-2005; 2005-present; These periods are determined of course by nature of the movement, the political background and ruling power in government at that time.”

The first decade of Islamic governance may be considered as the prelude to the development of the „Islamic Feminism”. This was the massive isolation period form women. It was forbidden for them to work in many fields, such as e.g. in judicial system, Reza Shah's „Family protection law” was abolished and replaced by the Shari'a based family code that caused the obvious delay of women emancipation. Their educational and working rights were strictly limited. The Islamic republic started the massive ideological campaign against western values and impact that was admitted as the heir of colonialism and opposite of it they tried to emphasize the Islamic values and women place and role in Muslim society as a good wife and mother. Based on Islamic regulations the state introduced aggressive policies regarding women's employment. Many women were dismissed from official positions. Government agencies stopped providing day-care ser-

vices for working mothers to discourage them from working full-time. Women were persuaded and sometimes forced to quit their jobs. There was massive restriction in educational field too. Girls were not allowed to study at technical or other humanitarian faculties, that wasn't suitable for women. As a result of government's gender politics, many women went to private sector, others, e.g. the Islamist women, became very active. Their main goal was to popularize Islam and prevent the political formation of any oppositional forces.

In the beginning of 1990's consolidation of religious and secular women caused the formation of new branch of feminist movement - Islamic feminism. Feminists started to form their ideas about re-reading Islamic texts and women's role and place in the Islamic society by publishing articles in the women press. 1990's women press in Iran was introduced by following magazines: „zanan“, „farzane“ and „zan“, out of which „zanan“ was the most important one. Its main purpose was to represent women related issues and raise public awareness about increasing the role of women in social and cultural fields.

The second stage of „Islamic Feminism“ coincides with a major transitional period of modern Iran, when the country was ruled by Mohammad Khatami. He highly oriented on implementing democratic and liberal reforms and events. Despite many positive changes, the followers of „Islamic Feminism“ still considered that just like in the times of previous government no radical actions were taken in favor of their movement.

The disappointment of reformist women caused their activities to slow down, which then triggered conservative women to emerge. The parliament of 2004-2008 was mainly represented by conservatives, who, of course, were against reformist feminist movement and „Islamization of Society“ If we look at the country of 2005-2008, we'll see that the defenders of women's rights are still actively involved in different campaigns, to increase the role of women in them. Therefore we may conclude, that the so called new, the 3rd stage of „Islamic feminism“ began exactly at the times of conservative government in Iran.

In 2009, when the election was won by Mahmud Ahmadinejad, who did almost nothing for improving conditions for women, massive protests started throughout the country. Like other times, women stood strong and got massively involved in protests, they later were named „Green Movement“. Within this movement, they used different tactics to defend their rights. One of them was to start the campaign called „where is my voice“, which turned into one of the major civil rights movements.

It's worth mentioning, that united women movement of Iran played a major role in social fights in Iran. This was the result of Mahmud Ahmadinejad's radicalism towards women issues.

We will share the notion of Ziba Mir-Hosseini, which says that the „Islamic Feminism“ (if it's still as solid) entirely changed its platform after the elections of 2009. This was sort of the transitional stage for women's rights defenders, because after that time, representatives of religious and secular groups began to unite power to start different campaigns and struggles to protect their rights. „We [secular and Islamic activists] are following one direction, but we need to realize and recognize the difference between our approaches and we also need to create the space, where different feminisms and voices will be able to work together for one purpose“.

## დამოწმებული ლიტერატურა - References:

1. Abdelwahab, el-Affendi. „Hasan al-Turabi and the Limits of Modern Islamic Reformation.” In Ibrahim Abu-Rabi (ed.), *The Blackwell Companion on Contemporary Islamic Thought*. Oxford: Blackwell Publishing, 2006.
2. Kian, Azadeh. „Islamic Feminism in Iran: a New Form of Subjugation or the Emergence of Agency?”, trans. Ethan Rundell. *Critique internationale* (2010/1, No 46), 45-66, DOI 10.3917/cii.046.0045. Accessed June 5, 2017.
3. Haghghatjoo, Fatemeh. „Women in Iran’s Green Movement: their role in the 2009 presidential election.” *Middle East Program, Occasional Paper Series*, 17, 2009 <https://www.wilsoncenter.org/sites/default/files/Women%20in%20Iranian%20Election.pdf> accessed May 10, 2016.
4. al-Turabi, Hasan. „Women between the teachings of Religion and Customs of Society”, 16-25. <http://www.salaa.co.uk/kowladge/turabi-essey.pdf>”, accessed August 10, 2017,
5. Afshari, Haleh. „Muslim women and feminisms: illustrations from the Iranian experience”, *Social Compass* 54 (3), (2007) 430, doi.org/10.1177/0037768607080838, accessed October 26, 2018.
6. Bakhtiari, Laleh. trans., „Our Expectations of Muslim women”, a lecture by Dr. Ali Shari’ai, [http://www.iranchamber.com/personalities/ashariati/works/expectations\\_of\\_muslim\\_woman.php](http://www.iranchamber.com/personalities/ashariati/works/expectations_of_muslim_woman.php), accessed August 21, 2017,
7. Badran, Margot. *Feminism in Islam Secular and Religious Convergences*. Oneworld Oxford Publications, 2009.
8. Badran, Margot. «Où en est le féminisme islamique ?» *Critique internationale* 2010/1 (No 46), p. 25-44. Accessed June 12, 2017, DOI 10.3917/cii.046.0025.
9. Darvishpour, Mehrdad. „Islamic Feminism: Compromise or Challenge to Feminism?” Published in *Iran Bulletin Middle East Forum*, 2003, 55-58, <http://www2.sociology.su.se/home/Darvishpour/Islamicfeminism.pdf>. accessed May, 18, 2017.
10. Meisam, Vahedi. „Epistemological Analysis of Traditionalist and Reformist Discourses Pertaining to Islamic Feminism in Iran”, 2016 (FIU Electronic Theses and Dissertations. 2446), 40, last modified June 15, 2017, <http://digitalcommons.fiu.edu/etd/2446>.
11. Tohidi, Nayereh. „Women and the Presidential Elections: Iran’s New Political Culture”, 2009, <http://www.juancole.com/2009/09/tohidi-women-and-presidential-elections.html>. Accessed 12, November 2009.
12. Tohidi, Nayereh. „The Global –local Intersection of Feminism in Muslim Societies: the cases of Iran and Azerbaijan”, *Social research*, Vol. 63, no. 3, „the Status of Women in the Developing World” (New School, 2002), 851-887 accessed: December 7, 2016.

13. Eftekhari, Roza. „Zanan: trials and success of a feminist magazine in Iran” (a paper presented at the Woodrow Wilson International Center for Scholars, Washington D.C., October 1-2, 2001)
14. Moghaddam, Valentin M. „Women in the Islamic Republic of Iran: Legal Status, Social Positions, and Collective Action”, (a paper as presented at the Woodrow Wilson International Center for Scholars, Washington D.C., November 16-17, 2004).
15. Mir-Hossini, Ziba. „Beyond „Islam” vs „Feminism”, IDS Bulletin, (volume 42, number 1), DOI: 10.1111/j.1759-5436.2011.00202.x. Accessed June 10, 2017,
16. Mir-Hosseini, Ziba. „Islam and Gender Justice.” In *Voices of Islam*, vol. 5, ed. Vincent J. Cornell. Praeger Publishers, 2007.
17. Mir-Hosseini, Ziba. *Islam, Gender and Democracy in Iran*. Ed., Joseline Cesari, Jose Casanova, (Oxford University Press, 2017).
18. Mir-Hosseini, Ziba. „The construction of gender in Islamic legal thought and strategies for reform.” [www.dr.soroush.com/PDF/E-CMO-20010610-Ziba\\_Mir-Hosseini.pdf](http://www.dr.soroush.com/PDF/E-CMO-20010610-Ziba_Mir-Hosseini.pdf). Accessed June 6, 2016.
19. Mir-Hosseini, Ziba. „stretching the limits: A feminist Reading of the Shari’a in post-Khomeini Iran”, in *Feminism and Islam: Legal and Literary perspectives*, ed. M. Yamani. London: Garnet, 1996.
20. علی شریعتی، ”فاتمه فاتمہ است“، پارس بوک، کتابخانه الکترونیکی زبان، accessed July 1, 2017, file:///H:/fateme-fateme-ast.pdf.
21. کمپین یک میلیون امضا: تغییر برای برابری در ایران، accessed 19 June, 2015, <https://tavaana.org/fa/node/1789>.

**დარეჯან გარდავაძე**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბაჰა ტაჰირი – ეგვიპტელი მწერლების 60-იანელთა თაობის  
თვალსაჩინო სახე**

(რეცენზია ბაჰა ტაჰირის რომანის „დეიდა საფია და მონასტერი“  
ქართულ თარგმანზე)

*„ბერების დაცვა ჩვენს უფალს – დიდება მის სახელს! –  
ყურანში უბრძანებია.“<sup>1</sup>*

„ახალი ლიტერატურის შექმნა გვინდოდა. გამოთქმა „ახალი გამოცდილება“ პირზე გვეკერა ყოველი ახალი ნაწარმოების წარდგინებისას. ნაჯიბ მაჰჰუზისა და იუსუფ იდრისის უკან ჩამოტოვებას ვცდილობდით... რიტორიკული წინადადებები, სიტყვათშეთანხმებები ან სტილური სინატიფე უმართებულოდ გვეჩვენებოდა...“

არც მეტი, არც ნაკლები, ისეთი ლიტერატურის შექმნა გვინდოდა, რომელიც საზოგადოების აზრს შეცვლიდა... მთელი ჩვენი თაობა, მათ შორის მეც, ერთგულნი დავრჩით ჩვენი ოცნებებისა – ახალი ლიტერატურის შექმნა, უკეთესობის მომტანი ცვლილება გვსურდა; გვინდოდა, ჩვენი შემოქმედება ნამდვილ ლიტერატურად დარჩენილიყო, დაცლილი ყოველგვარი ბელეტრისტიკისა და გაცვეთილი მგრძნობელობისაგან, – წერს ბაჰა ტაჰირი რომანის „დეიდა საფია და მონასტერი“ შესავალ სიტყვაში.<sup>2</sup>

მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსული ახალი თაობა, რომელთაც ეგვიპტური ლიტერატურაში ახალი ტალღისა და ახალი ეპოქის სული მოიტანეს, მართლა გამორჩეულად საინტერესო მოვლენაა არაბულ კულტურაში – მათი ურთიერთობა მამების თაობასთან, სურვილი დიდი და სახელოვანი „მამების“ ჩრდილიდან გამოსვლისა და მათი ამბიცია – საკუთარი „ახალი გამოცდილები“ საფუძველზე პიროვნული და შემოქმედებითი განვითარება-ჩამოყალიბებისა, მათი სწრაფვა საზოგადოებაში დემოკრატიული, რევოლუციური ცვლილებებისა – რა იყო ეს? – მხოლოდ ახალგაზრდული შემართება და დულილი თუ მათი ცხოვრების კრედო, რაც ახალ ეგვიპტურ ლიტერატურაში მათი თვითდამკვიდრების საფუძველი გახდა?! რამდენად სერიოზული იყო მათი პრეტენზია, რადიკალურად განეახლებინათ ეგვიპტური ლიტერატურა?! მათი ლიტერატურული ექსპერიმენტები რამდენად მნიშვნელო-

1 ბაჰა ტაჰირი, *დეიდა საფია და მონასტერი*. არაბულიდან თარგმნა ზვიად ცხვედიანმა. გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, აღმოსავლური ბიბლიოთეკის სერია, 2017, 104.

2 იქვე, ავტორის წინათქმა: „და დაველოდები!“ 22.

ვანი გარდატეხის მომასწავებელი იყო ეგვიპტურ პროზაში, თუ მხოლოდ ქარიშხალი ჭიქაში და დასავლური ლიტერატურის უბრალო მიბაძვა?!<sup>3</sup>

მამათა და შვილთა ემოციური დაპირისპირება, პაექრობა არცერთი კულტურისა და საზოგადოებისთვის უცხო არაა – სწორედ მათ ჯანსაღ პოლემიკურ ურთიერთობაზე დგას საზოგადოების კულტურული განვითარება და პროგრესული ტრანსფორმაცია.

ამ კონტექსტს და მოცემულ თემას ყველაზე კარგად მილორად პავიჩის დაკვირვება ერგება – გამარჯვებული მამათა თაობის შვილები უფრო ძლიერები არიან თუ დამარცხებული მამებისა?! მწერლის მტკიცებულების არსი ასეთია:

*გამარჯვებას შვილები არ ჰყავს! გამარჯვებული თაობა ყველგან ძღვევამოსილი და გამარჯვების კვარცხლბეკზე მდგომია! მას გამარჯვების ნადავლი მაგრად აქვს ხელში ჩაბლუჯული შინ და გარეთ. გამარჯვებულებს შვილებიც კი მუდამ ჩრდილში ჰყავთ, თავისზე მიჯაჭვულები, სანამ თავად შვილებს თმა არ გაუთეთრდებათ თავზე. დამარცხებას კი ასი შვილი მაინც ჰყავს! დამარცხებული მამები ნაცემი ძაღლებივით ბრუნდებიან შინ – პირწმინდად განადგურებულები. მათი შვილები კი მამების გამარჯვების ტვირთის სიმძიმისგან თავისუფალი თაობაა. მათ კისერზე არ ასხედან ძღვევამოსილი და გამარჯვებული მამები, რომლებიც მათ ცხვრებივით მიერეკებიან. შესაბამისად, დამარცხებული მამების შვილების თაობა ბევრად ძლიერი თაობაა – მათ წინ წამოსვლისა და იმისი თქმის უფლება ეძლევათ, რისი უფლებაც გამარჯვებულ მამათა შვილებს არასოდეს მისცემიათ.<sup>4</sup>*

ბაჰა ტაჰირი და ეგვიპტური ლიტერატურის 60-იანელთა თაობა გამარჯვებულ მამათა დიდების ჩრდილში გაზრდილი შვილების თაობაა – მათი „მამები“ პიონერი ნოველისტები და რომანისტები იყვნენ ეგვიპტეში, „ალორძინების“ (ან-ნაჰდას) მოძრაობის ლიტერატორთა ავანგარდული ჯგუფი, რომელთაც პირველებმა გააკეთეს მოწოდება ცხოვრების, აზროვნებისა და ლიტერატურის განახლებისკენ ეგვიპტეში. როგორც ბაჰა ტაჰირი თავისი რომანის „დეიდა საფია და მონასტერი“ შესავალ სიტყვაში აღნიშნავს, ისა და მისი ბავშვობისა და სტუდენტობის მეგობრები ალ-მანფალუტის მოთხოვნებზე გაიზარდნენ, ტაჰა ჰუსეინის შემოქმედებით იყვნენ მოხიბლულები, ნაჯიბ მაჰფუზს, იაჰია ჰაკის, ალ-მაზინის კითხულობდნენ, სურდათ, თავადაც მოესინჯათ თავისი მწერლური, ლიტერატურული შესაძლებლობები, რაღაც საერთო იმპულსი აერთიანებდათ, მაგრამ ლიტერატურული ასოციაციები მათ არ იღებდნენ, საკუთარის დაარსების ფინანსური საშუალება კი თავად არ ჰქონდათ, ერთმანეთს ყავახანა „რიშ-ში“ ხვდებოდნენ,<sup>5</sup> რაღაც ახლის, საკუთარის, რეალიზმისაგან განსხვავებულის თქმისკენ ისწრაფვოდნენ, არადა, 50-იანი წლების ლიტერატურული ასპარეზი რეალიზმს ჰქონდა უალტერნატივოდ დაპყრობილი, ის ზედმიწევნით ასახავდა იმ ეპოქის სულს – ქვეყნის ისტორიაში დიდი რევოლუციური ცვლილებებისთვის ინტელექტუალურ საფუძვლებს ამზადებდა – ძველი სისტემის, ოკუპაციისა და კოლონიალიზმის, მიწათმფლობელობისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმისტურ პათოსს უნერგავდა მკითხველს.<sup>6</sup>

3 ბაჰა ტაჰირი, *დეიდა საფია და მონასტერი*. მთარგმნელის ბოლოთქმა, 129.

4 მილორად პავიჩი, *უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინეპოლში*. თარგმნეს ელზა და გიორგი მეტრეველებმა. გამომცემლობა თბილისი: ინტელექტი, 2015, 71-72.

5 ბაჰა ტაჰირი, *დეიდა საფია და მონასტერი*. ავტორის წინათქმა..., 27

6 იქვე, 28.



რეალიზმის მიმართულებაზე დადგომით ახალი ეგვიპტური მწერლობის პირველი (მამათა) თაობა გრძნობდა და თავის მხრებზე იღებდა რეფორმისტული ლიტერატურული პასუხისმგებლობის სიმძიმეს, მწერლობაში თავს უყრიდა ცხოვრებაზე საკუთარ დაკვირვებებს – პარაზიტთა ცხოვრების წესზე, საშუალო და განსაკუთრებით კი, უმდაბლეს ფენებზე, მათ ღირსებასა და ნაკლოვანებებზე წერდა, მხატვრულ ძალისხმევას არ იშურებდა, შეეყვარებინა მკითხველისთვის პატარა, უბადრუკი ადამიანი, რომელსაც თავისი გაჭირვების მიუხედავად, ცხოვრების იმედი არ გადაუწურავს; რომელშიც მატერიალურ და სოციალურ სიდუხჭირეს ადამიანობის კვალი არ წაუშლია. ამისთვის კი რეალისტი მწერალი ერთმანეთში აზავებდა ხუმრობასა და სერიოზულობას, ზუსტად და საინტერესოდ გადმოსცემდა ჩანაფიქრს.<sup>7</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპის ხასიათს ყველაზე დამაჯერებლად რეალისტური ხედვა გამოხატავდა და ყველაზე მეტად მას ხელეწიფებოდა კრიტიკული რეალიზმის სიმბოლისტური პარალელიზმის სოციალ-პოლიტიკური ასახვა. ამ ეტაპის მწერალთა უმრავლესობა არაბული ერთობისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ატმოსფეროში იყო მოქცეული, რევოლუციურ ტალღას აყოლილი, ნასერისტული სახალხო გეგმის განხორციელებას ესწრაფვოდა, საერთო არაბული მიზნების იდეა იდო სუდანთან ერთობის შექმნის მცდელობაში, ალჟირის რევოლუციის მხარდაჭერაში, სირიასთან განხორციელებულ ერთობაში (1958), იემენის რევოლუციის მხარდაჭერაში (1962), პალესტინის პრობლემისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის გულშემმატკვირობაში, სხვადასხვა დროის მონაკვეთებში ერაცთან, ლიბიასთან დაახლოებაში, მიუმხრობლობის მოძრაობის, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის, ისლამური კონფერენციის, აზიისა და აფრიკის მწერალთა კონგრესის დაფუძნებაში ქმედითი წვლილის შეტანაში, არაბთა ლიგის როლის განმტკიცებისთვის გაწეულ აქტიურ მოქმედებებში... ეს ყველაფერი ხდებოდა სოციალისტური იდეის, სოციალისტური კურსისა და რეალისტური ლიტერატურის განვითარებასთან ერთად. თუმცა ეს ალტკინება და შემართება ჯერ 1952 წლის ეგვიპტური რევოლუციის შემდგომმა, პოსტრევოლუციურმა იმედგაცრუების სინდრომმა შეცვალა, როცა რევოლუციური ეიფორიიდან გამოსვლა იმედების მსხვრევისა და მძიმე გულგატეხილობის, დაპატიმრებებისა და კომმარული რევოლუციური სასამართლოების ფონზე ხდებოდა; ლიტერატურულ გამოცემებში კი კვირიდან კვირამდე ერთი და იგივე სახელები იბეჭდებოდა, ნაბეჭდი გამოცემები მხოლოდ თავიკ ალ-ჰაქიმის, ნაჯიბ მაჰფუზისა და იუსუფ იდრისის ნაწერებისთვის იყო ღია... ამგვარმა იზოლაციურმა პოლიტიკამ ახალ ხმებთან შეხვედრისა და დიალოგის შესაძლებლობა მოსპო. კულტურულ დაწესებულებებში ქვეყნის კულტურული პოლიტიკა ერთი და იმავე სახეებითა და სახელებით ხორციელდებოდა... ამ ყველაფერს კი 1967 წ. არაბ-ისრაელის ე.წ. „ექვსდღიანი ომის“ სამხედრო-პოლიტიკური მარცხი დაერთო, რამაც შემოქმედებით წრეებში საკმაოდ დიდხანს წარუშლელი ნეგატიური კვალი დატოვა და მამათა თაობის გამარჯვების კვარცხლბეკიდან იმედგაცრუებისა და ნიჰილიზმის ჭაობამდე დაცემის, მძიმე სულიერი კრიზისის მიზეზი გახდა. დიდი ცვლილებებისა და გამარჯვებების ეპოქა ერთი ხელის მოსმით დასრულდა. რევოლუცია მისივე მხარდამჭერებს უმძიმეს რეჟიმად ექცათ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების გათელვის

7 ტაჰა ვადი, ნოველა \_ არაბთა დივანი. ლიბანის ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 2011 წ. (ნოველის განვითარების გზა ეგვიპტეში. ნოველის დაბადებისა და ფეხმოკიდების ეტაპი).

ფონზე ოპტიმისტური ლიტერატურისთვის, რომელიც გამარჯვებებსა და ძლევამოსილ, გამარჯვებულ, აქტიურ ადამიანს განადიდებდა, ადგილი აღარ რჩებოდა. რეალიზმის მრავალ გამოჩენილ მწერალს, კრიტიკოსსა და თეორეტიკოსს, რომელიც რეჟიმის ტაშის დამკვრელად ვერ იქცა, ციხეში უკრეს თავი. რეალისტური მწერლობის აწყობილი სისტემა ჩამოიშალა. მწერალმა სისუსტე, გარემოზე ბატონობის შეუძლებლობა იგრძნო. გამარჯვებული რევოლუციის დადებითი გმირის საპირისპიროდ, ლიტერატურაში დამარცხებული, წელში გატეხილი გმირი გამოჩნდა. ახალმა რეალობამ წარმატების ზენიტში მყოფ მამათა თაობას შინაგანი მარცხის მძაფრი შეგრძნება მოუტანა<sup>8</sup>. ამ საყოველთაო დაბნეულობისა და გათიშულობის პერიოდში ახალი ლიტერატურა, მანამდე კულტურული ინსტიტუციების განაპირას სპონტანურად და უკონტროლოდ რომ იქმნებოდა და მზა ლოზუნგებსა და ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა, მიმდინარე ცვლილებების ყველაზე ადეკვატურად ამსახველი გამოდგა – ამგვარი ლიტერატურის ძირითადი მახასიათებლები მკაცრი, შეუვალი გარეგანი სამყაროს პირისპირ დარჩენილი არათანმიმდევრული, ბზარგაჩენილი და დანაწევრებული შინაგანი სამყარო იყო. ასე გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე ახალი, „სამოციანელთა“ სახელით ცნობილი, ინდივიდუალიზმის ნიშნით აღბეჭდილი თაობა, რომლის ზოგიერთი წარმომადგენელიც ამტკიცებდა, რომ „უმამო თაობა“ იყო და რომელთა უკლებლივ ყველა თხზულება პროტესტის, ბუნტისა და ცვლილებისკენ მოწოდების ირიბი გამოძახილი იყო, უმხედრდებოდა სოცრეალისტური მწერლობის შემოთავაზებულ მოდელს, ცდილობდა მის უფრო ღრმადმხატვრულ და ფართო განვითარებას.

ისევ პავლიჩის თემას თუ დავუბრუნდებით დამარცხებული მამების შვილთა თაობის სიძლიერის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ეს „გაბრაზებული ახალგაზრდების“<sup>9</sup> სახელით ცნობილი „სამოციანელთა“ თაობა, რომლის თვალსაჩინო სახეც ბაჰა ტაჰირია, საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა ეგვიპტურ მწერლობაში – იბრაჰიმ ასლანი, აბდ ალ-ჰაქიმ კასიმი, ჯამილ ატია, იუსუფ ალ-კუაიდა, გამალ ალ-ლიტანი და ბაჰა ტაჰირის სხვა ბევრი თანამედროვე ეგვიპტელი მწერალი დღემდე წარმატებით სარგებლობს და ქმნის თანამედროვე ეგვიპტური ლიტერატურის სახეს.

თავად ბაჰა ტაჰირი საოცრად კარგად ხედავს მწერლისთვის საკუთარ თავზე საუბრის სირთულეს, რადგან მას ამ დროს ან მორცხვობა დასძლევს, თავმდაბლობის ზღვარს გასცდება და უბადრუკად წარმოაჩენს თავის შემოქმედებას და თავს იჩაგრავსო, ან პირიქით, შესაძლებლობით სარგებლობს, ცხოვრებასა და კრიტიკოსებს ანგარიშს უსწორებს და თავს განადიდებსო. თავად ბაჰა ტაჰირი იმ მცირედთა შორისაა, ოქროს შუალედი რომ უპოვიათ და საოცრად სადად და თან მჭერმეტყველურად, ლაღად მოგვითხრობს საკუთარი თავისა და სამწერლობო გზის შესახებ რომანის „დეიდა საფია და მონასტერი“ შესავალ სიტყვაში. მიუხედავად მისი სამწერლობო არენაზე გამოსვლის გზის სიმძიმისა, ამ მონათხრობს არც ბოღმა და გაბოროტება ეტყობა და არც ანგარიშსწორების სურვილი – როგორც თავად ამბობს, წერასა და ცხოვრებაში წუწუნი არ უყვარს<sup>10</sup> და ამ ყველაფერს მოგვითხრობს, როგორც ერთ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რაც

8 ბაჰა ტაჰირი, *დეიდა საფია და მონასტერი*. ავტორის წინათქმა..., 29.

9 ბაჰა ტაჰირი, *დეიდა საფია და მონასტერი*. მთარგმნელის ბოლოთქმა, 129.

10 იქვე, ავტორის წინათქმა..., 30.

სხვას, შესაძლოა, მაგალითად ექცეს და ცხოვრებისეული გზის სიძნელე გაუადვილოს. აქ ის „ათას ერთი ღამის“ სიბრძნეს იმეორებს –

*ჭეშმარიტად, წინაპართა ცხოვრება შეგონებად იქცევა მომდევნო თაობათათვის, რათა იხილოს კაცმა ის, რაც სხვას გარდახდომია და შეიგნოს, განბჭოს გარდასულ ტომთა ამბები, მათი თავგადასავალი და გულისხმა ჰყოს. დიდება მას, ვინც ძველთა ამბავი მომავალ თაობათა შეგონებად აქცია.<sup>11</sup>*

ეს არ არის პოზა, ეს ბაჰა ტაჰირის ბუნებრივი შინაგანი მდგომარეობაა, რაც სტუდენტობის წლებიდან და საკმაოდ ახალგაზრდული ასაკიდან ეგვიპტის სახელოვნებო და კულტურის წრეებში მიღებული მწერლისთვის, რომელმაც პირველი ნოველა 28 წლისამ ძლივს გამოაქვეყნა ლიტერატურულ ჟურნალ „ალ-ქათიბში“ ეგვიპტეში მოქმედი მკაცრი სალიტერატურო ცენზურის გამო და ნოველებისა და მოთხრობების პირველი კრებული მხოლოდ 37 წლისამ გამოსცა, რომელიც ანვარ სადათის პრეზიდენტობის წლებში რადიომაუწყებლობიდან დაითხოვეს და საკუთარ ქვეყანაში 1975 წელს წერა აუკრძალეს, მკითხველთა ფართო წრეებამდე რომ არ მიეშვათ, რის გამოც ოთხმოციანი წლების დასაწყისში უენევაში მოუწია საცხოვრებლად და სამუშაოდ გადასვლა, მწერლისთვის, რომელსაც მის მიერ აქტიურად მხარდაჭერილმა რეჟიმმა დიდი იმედგაცრუება და ბევრი ტკივილი მიაყენა, იოლი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. ის და მისი თაობა ხომ საკმაოდ წინააღმდეგობრივი გრძნობებით გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, მათ საკმაოდ დიდხანს თავადაც ვერ გაეცნობიერებინათ ბოლომდე საკუთარი დაბნეულობის მიზეზები.<sup>12</sup>

„სამოციანელთა“ თაობისა და მათი საერთო მდგომარეობის აღწერა იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთის ის ატმოსფეროა, იმ პერიოდის ეგვიპტურ საზოგადოებას რომ მსჭვალავს და ნათელ მომავალზე მეოცნებე ამ მწერალთა ლიტერატურულ პერსონაჟებს რეალობასთან შეჯახებისას იმედებს ბოლომდე უმსხვრევს, მათი ყველა მცდელობა, შეცვალონ საკუთარი ბედი უკეთესობისკენ, მარცხისთვისაა განწირული და გამოუვალობის მწარე შეგრძნებას უტოვებს.<sup>13</sup>

ამ ყველაფრის მიუხედავად, 1999 წელს, თავისი შემოქმედების სიმწიფის მწვერვალზე მყოფი ბაჰა ტაჰირი კვლავ სრული თავმდაბლობითა და პასუხისმგებლობით ამბობს, რომ საკმაოდ რთულგზაგამოვლილი, ის და მთელი მისი თაობა ერთგულნი დარჩნენ თავიანთი ოცნებებისა და შემოქმედებითი მრწამსისა – ახალი ლიტერატურის შექმნა რომ სურდათ და უნდოდათ, მათი შემოქმედება ნამდვილ ლიტერატურად დარჩენილიყო;<sup>14</sup> რადგან ნაჯიბ მაჰფუზისა არ იყოს, მათ კარგად ესმოდათ, რომ ღამის წყვილი უნდა გაიფანტოს და ბორკილები უნდა დაიღწეოს.<sup>15</sup>

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ბაჰა ტაჰირის რომანის „დეიდა საფია და მონასტერი“ თხრობის მანერა. დავეთანხმები ქართულად მის მთარგმნელს, ზვიად ცხვედიანს – ბაჰა ტაჰირი უმაღლესი კლასის მთხრობელია.<sup>16</sup> მისი თხრობის ენა საგანგებოდ ნათელი და მარტივია, წერის ტექნიკა – გამოკვეთილად ინდივიდუალური; მთხრობელი იმ მოვლენათა თანამონაწილეა, რომელზეც მოგ-

11 ათას ერთი ღამე, ტ.1, 1967 წ. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1.

12 ბაჰა ტაჰირი, დეიდა საფია და მონასტერი. მთარგმნელის ბოლოთქმა, 126.

13 იქვე, 128

14 იქვე, ავტორის წინათქმა..., 22

15 იქვე, 27.

16 იქვე, მთარგმნელის ბოლოთქმა, 132.

ვითხრობს და ეს თხრობას კიდევ უფრო უშუალო იერს სძენს. საკუთარი თავის ძიებისა და საკუთარი გამოცდილების გაზიარების პროცესში ავტორი ინტროს-პექტული ფსიქოლოგიური რომანის ტიპს ქმნის, სადაც რეალობა მთხრობელის სუბიექტურ ცნობიერებაშია გარდატეხილი.<sup>17</sup>

ბაჰა ტაჰირი სამართლიანად შენიშნავს, რომ 70-იანების ეგვიპტურ ლიტერატურაში არაერთი მოთხრობა და რომანი, მათ შორის, თავად მისი, ბავშვობისკენ მიბრუნება ან ბავშვისა თუ ყმაწვილის თვალსაწიერიდან ამბის თხრობაა<sup>18</sup>. ეს ტაჰირის მსგავსი მწერლისთვის ძალიან მომგებიანი რაკურსია – ის სვამს კითხვებს, წამოჭრის პრობლემებს, მაგრამ არ წარმოგვიდგება ყოვლისმცოდნე მენტორად, არ გვთავაზობს ცალსახა პასუხებს, პრობლემათა გადაჭრის გზებსა თუ ეჭვიმუტანელ დასკვნებს – ამ ყველაფერს მკითხველს უტოვებს განსასჯელად.<sup>19</sup>

„დეიდა საფია და მონასტერი“ ბაჰა ტაჰირის მესამე რომანია, რომელიც 1991 წელს გამოიცა ეგვიპტეში. ის 10 ენაზეა თარგმნილი (ახლა უკვე ქართული თარგმანიც შეემატა ამ რომანის თარგმანთა რიცხვს) და 2000 წელს მან იტალიაში ჯუზეპე აჩერბეს პრემია დაიმსახურა. რომანის გეოგრაფიული სივრცე ალ-უკსურის (ლუკსორის) რეგიონია, ზემო ეგვიპტე, საიდანაც არიან წარმოშობით მისი მშობლები და რომელსაც თავად მწერლის არდადეგები და ბავშვობის წლები უკავშირდება. საიდი, იგივე ზემო ეგვიპტე, მისი უკვდავი ძველეგვიპტური ძეგლები ლუკსორსა და კარნაკში, საიდური დიალექტი და ადათ-წესები, სოფლური ურთიერთობები და იქაური ამბები ბაჰა ტაჰირისთვის დედამისში იყო განსხეულებული, წერა-კითხვის უცოდინარ, სოფელ ქალში, რომელიც ნამდვილი ხალხური მთხრობელი იყო, თანდაყოლილი ნიჭით რომ აცოცხლებდა თხრობაში საიდური სოფლის ცხოვრებას; რომელშიც სიცოცხლის ბოლომდე ცოცხლობდა ზემო ეგვიპტე, ისე ცოცხლად ყვებოდა ამ ყველაფერს, თითქოს სადაც დაიბადა, ის ადგილი არც დაუტოვებიაო არასდროს და მთელი ცხოვრება იქ გაუტარებიაო. საიდელი ნათესავების კაიროში ხშირი სტუმრიანობა და დედისა და მათი საუბრები, – ყოფითი წვრილმანებით გაჯერებული კუთხური ენით მონაყოლი ამბები, – ბაჰა ტაჰირისთვის ბავშვობისა და ახალგაზრდობის ყველაზე სასიამოვნო და დასამახსოვრებელი წუთები იყო. სწორედ ამიტომ, პირველი რომანი „ფინიკის ხის აღმოსავლეთით“ დედის ხსოვნას უძღვნა – იმ ქალის ხსოვნას, რომლისგანაც ისწავლა თხრობისა და საიდის სიყვარული.<sup>20</sup> რომანი „დეიდა საფია და მონასტერი“ კი მწერლის მამის ხსოვნას ეძღვნება – ალ-აზჰარელი ღვთისმოსაში შეინისა, ვინც შვილებს ღვთისმოსაში მუსლიმებად ზრდიდა და სამშობლოსა და ადამიანთა სიყვარულს ასწავლიდა, განურჩევლად მათი რელიგიური თემისა.<sup>21</sup> ის რომანის პროტაგონისტია, პრინციპული, ღირსებებით აღსავსე კაცი, თავისი თემის სოციალური და რელიგიური ლიდერი.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდები 60-იანელების თაობას ეგვიპტურ მწერლობაში, რომლის თვალსაჩინო სახე ამ რომანის ავტორი ბაჰა ტაჰირია. მიუხედავად მათი მკვეთრი გამიჯვნისა მამების თაობისგან და სხვა ესთეტიკური ღირებულებების შემოტანისა, შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად, ბევრი მათგანის მხატ-

17 იქვე, გვ. 130

18 ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ იუსუფ იდრისის „ეგვიპტელი ჯოკონდა“, იაჰია ჰაკის „უმ ჰაჰიმის კანდელი“ და სხვა მრავალი.

19 ბაჰა ტაჰირი, *დეიდა საფია და მონასტერი*. ავტორის წინათქმა..., 32.

20 იქვე, 9.

21 იქვე, 34.

ვრულ შემოქმედებაში მამათა თაობის მიერ დამკვიდრებული და საყვარელი „პატარა, უბრალო ადამიანის“ მიმართ სულისშემძვრელი თანაგრძნობა და თანაღმობა შეუფარავად იგრძნობა. ეს რომანიც ადამიანის სიყვარულითაა გაჯერებული, იმ უბრალო, სოფლელი უბირი ადამიანისა, რომელიც ტანჯვისთვისაა გაჩენილი და ეს ტანჯვა მთელ მის ცხოვრებას გასდევს.<sup>22</sup>

სრულიად განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული თარგმანის ენობრივი და სტილური ღირსებები, რაც მთარგმნელის – ჩინებული აღმოსავლეთმცოდნის, დიალექტოლოგისა და არაბული დიალექტების უბადლო სპეციალისტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ზვიად ცხვედიანის დამსახურებაა. აქ საუკუნეთა მანძილზე ქართულში შემოსული არაბული ლექსიკა ისე კარგად, ბუნებრივად, ორგანულად ერწყმის და ესადაგება რომანის ქართული თარგმანის ენობრივ ქსოვილს, როგორც აყალო მიწით აგობილი სადგომები და კელიები, ანეულის დაბალი და თხელი ღობე ზედ სქელი ხის ორსაგდულიანი კარით და ფინიკის პალმების ჩრდილში ლერწმით მოწული პატარა ფაცხა საიდურ მონასტერს და სრულებით არ ამძიმებს თარგმანის ენას, ისევე, როგორც ალაგ-ალაგ შეპარული იმერიზმები საოცრად კოლორიტულს ხდის აღწერებს (მაგ., სარწყავ სავარგულებში ზედმეტად ჟანტიან მიწაზე უჟამოდ დათესილი ოსპის დანახვაზე ბიშაის რჩევა-დარიგებანი და სხვ.) და ისე ათბობს ნარატივს, როგორც დედანში საიდური კილოთი ამეტყველებული პერსონაჟების ფრაზები. ისეთი გრძნობა მაქვს, ამ რომანის არაბ მკითხველს რომანის ეს საიდელი გმირები და საიდური ამბები სწორედ ისე აღიმებენ, როგორც ქართველ მკითხველს მიკადდის ბიშაის თავზე არახჩინი და ჰაჯის ჯაგლაგი ცხენი, რომელიც ხანდახან ფოფინებას იმსახურებს; მოთქმა და რუზრუზი საფიას სახლში და თაფლიანი ნარაჯი, რომლითაც მონასტერში სტუმრებს მასპინძლობენ. ეს ის შემთხვევაა, როცა მწერალს ზუსტად მისი მთარგმნელი მოეძებნა და მოერგო. ბაჰა ტაჰირი საკმაოდ პროდუქტიული მწერალია და არა მხოლოდ „დეიდა საფია და მონასტერი“, არამედ ბევრი მისი სხვა რომანი იმსახურებს თარგმნასა და პოპულარიზაციას. დიდი იმედი მაქვს, მწერალ-მთარგმნელის \_ ბაჰა ტაჰირისა და ზვიად ცხვედიანის წარმატებული შეხვედრა მომავალში კიდევ გაახარებს ქართველ მკითხველს.

---

22 იქვე, 118.

**BAHAA TAHER – A PROMINENT REPRESENTATIVE OF  
THE EGYPTIAN WRITERS OF THE 1960<sup>s</sup>**

**(Towards the publication of the Georgian translation of Bahaa Taher’s novel –  
Aunt Safiyya and the Monastery)**

*„Our Lord – Glory to him – ordered the monks to be protected”<sup>23</sup>  
Bahaa Taher, Aunt Safiyya and the Monastery*

The new generation of Egyptian writers, who brought out the new spirit of the age into the literary process of Egypt, was one of the interesting phenomena in Arabic literary prose in the early sixties of the twentieth century – their relationship with the “fathers” of the previous generation, desire to escape living in the shadow of their famous “fathers”, their literary experiments were the indicators of a significant breakthrough in an Egyptian prose.<sup>24</sup>

The emotional confrontation between fathers and children and their competition is not uncommon for different cultures and societies – their healthy discussions serves as the key to the cultural development of society.

Bahaa Taher and the 1960s generation of the Egyptian literature are the generation of children raised under the glory of their fathers – their “fathers” were the pioneer novelists and the authors of novels in Egypt, the avant-garde group of literary “Enlightenment”, first to encourage the development of life, thought and literature in the country.

Based on realism, the first (the Fathers’) generation of the new Egyptian writers took over the heavy responsibility of the literary reformation. Most of the writers of this period wrote about the struggle for the Arab unity and liberation, socialist ideology, socialist course and the importance of the development of the realistic literature. However, this spark was replaced by the post-revolutionary frustration syndrome following the 1952 Egyptian Revolution, when the revolutionary euphoria died out in parallel with the crash of hopes and imprisonments and nightmarish revolutionary courts. As for the literary editions, the same names were printed from week to week ... This politics aiming at the isolation killed the possibility of meeting with new voices and conducting dialogues with them. As if this was not enough, in 1967 the country was defeated in the so-called Arab-Israeli military-political “six-day war”, leading to a long-standing negativity in creative circles and resulting in a great disappointment and severe spiritual crisis in the Fathers’ generation. The epoch of tremendous changes and victories ended in a second. The revolution became the hardest regime for its supporters, there was no longer the space for the optimistic literature that praised the victories and the winners, as the reality was harsh, hardened by the violation of human rights and freedom. Contrary to the positive hero of the victorious revolution, the new, defeated hero emerged. The new reality brought a strong sense of the inner failure to the Fathers’ generation being at the zenith of their achievement.<sup>25</sup>

23 Bahaa Taher, Aunt Safiyya and the Monastery. Translated into Georgian from Arabic by Zviad Tskhvediani. Publishing house „Tsignebi Batumshi”, Series of the Oriental Library, 2017, 104.

24 Ibid, The afterword by the translator, 129.

25 Ibid. The author’s foreword: “And I will wait!”, 29.

In the state of this general confusion, new literature, which developed spontaneously and uncontrolled next to the official cultural institutions and failed to fit into the slogans and frames, turned out to be reflecting the current changes most adequately. Thus appeared the new generation known as “the 60s”, an individualistic, original generation, some of the representatives of which claimed that they were “a fatherless generation.” The works by these writers appealed for protests and changes. They fought against the proposed model of writing of the socialist realism. It can be claimed that the generation of “the 60s”, known for its “angry young people,”<sup>26</sup> whose prominent representative is Bahaa Taher, turned out to be quite powerful in the Egyptian prose – many of them are still successful and create the face of the modern Egyptian literature.

Bahaa Taher himself perfectly understands how difficult it is for the author to talk about himself in the book and, in the prologue of his novel “Aunt Safiyya and the Monastery”, he describes himself and his journey on the way to becoming a writer plainly but joyfully. Despite the difficulty of his journey, his narrative is neither morbid nor aggressive, nor shows the thirst for revenge. As claimed by the writer, he does not love complaining, either in his writings or in life<sup>27</sup>, and talks about all this as one of the experiences of life one has gone through, that might become an example for someone else and help them ease the difficulties of life.

This is not a pretense but a natural inner state of Bahaa Taher, which is a great source of frustration and pain for the writer, who experienced a lot of disillusionment from the regime he himself had been supporting so actively once. This experience could not have been easy.

Despite everything, Bahaa Taher, who was on the peak of his creativity in 1999, still filled with humility, said with full responsibility that he and his whole generation remained loyal to their dreams and creativity – they desired to create a new type of literature and wished their creations to remain samples of the genuine literature.<sup>28</sup>

The manner of narration of the novel “Aunt Safiyya and the Monastery” deserves a special attention. I agree with his translator into Georgian, Zviad Tskhvediani – Bahaa Taher is a high-class narrator.<sup>29</sup> His narrative language is deliberately clear and simple and the writing technique – exclusively unique; The narrator is an accomplice of the events that tell us about the story and gives it a more direct tone. In the process of self-exploration and sharing his personal experience, the author creates the type of introspective psychological novel where reality is transformed into the subjective consciousness of the narrator.<sup>30</sup>

Bahaa Taher rightly observes that in the Egyptian literature of the 70s, many stories, and novels, including those by himself, are the return to the childhood, or the story retold from the child or youth’s point of view.<sup>31</sup> This is a very productive angle for a writer like Taher – he asks questions, sets challenges, but does not appear to be a know-it-all mentor, does not offer unequivocal answers, solving problems or undoubted conclusions – all these are left for the reader to judge about.<sup>32</sup>

“Aunt Safiyya and the Monastery” is the third novel by Bahaa Taher, which was published in 1991, in Egypt. It is translated into 10 languages (now Georgian translation

---

26 Ibid, The afterword by the translator, 129.

27 Ibid. The author’s foreword: “And I will wait!”, 30.

28 Ibid.

29 Ibid. The afterword by the translator, 132

30 Ibid: 130

31 Example for this can be Yusuf Idris’ “Egyptian Gioconda”, Yahya Hakki’s “The Lamp of Umm Hashim” and many more.

32 Bahaa Taher, Aunt Safiyya and the Monastery. The author’s foreword: “And I will wait!”, 32.

has also been added to the translations of this novel). The geographical setting of the novel is the region of El-Uqsur (Luxor), Upper Egypt, the region where Taher's parents are from and which is associated with the writer's childhood years. The novel "Aunt Safiyya and the Monastery" is dedicated to the memory of the writer's father – the godly Sheikh educated at Al-Azhar, who raised children as pious Muslims and taught them how to love their homeland and humans regardless of their religious affiliation.<sup>33</sup> He is the protagonist of the novel, a principled, dignified man, the social and religious leader of his community.

I will once again mention the Egyptian writers of the "60s", whose most prominent representative is the author of this novel – Bahaa Taher. Despite his obvious separation from the Fathers' generation and other aesthetic values, consciously or subconsciously, in many of his works, there is a feeling of compassion towards the "little and simple man", initiated by the Fathers' Generation. This novel is also filled with love towards people, towards a simple, rural man who was born for suffering and is destined to suffer all his life.<sup>34</sup>

Zviad Tskhvediani – an excellent Orientalist, Dialectologist and an Associate Professor of Akaki Tsereteli State University, Kutaisi, deserves special mention as the translator of the novel, for linguistic and stylistic qualities of the Georgian translation. The Arabic vocabulary which has become part of the Georgian language for centuries perfectly blends in with the linguistic fabric of the translation without aggravating it. Bahaa Taher is a very productive writer and many other novels by him deserve to be translated and popularized. I hope that the successful meeting of the writer Bahaa Taher and the translator Zviad Tskhvediani will make the Georgian readers happy again in the future.

---

33 Ibid, 34.

34 Ibid, 118.



დავით თინიკაშვილი

**უხარხულია წინა საუკუნეებში ჩარჩენა:  
პასუხი ედიშერ ჭელიძეს\***

არ მეგონა პატივცემული მეცნიერი თუ ღია კარის მტვრევას დაიწყებდა და ასეთი ალტკინებით დაესხმებოდა თავს სამი წლის წინანდელ (2015 აგვისტო) ჩემს ფეისბუქ რეპლიკას ჰუმანიტარიაში სიტყვის scientific არამართებული გამოყენების შესახებ. თანამედროვე სამყაროში ეს საკითხი იმდენად ტრუიზმია, რომ სასაცილოა მის წინააღმდეგ ასეთი გააფთრებული ბრძოლა და საპირისპიროს მტკიცება. უფრო მეტი უხერხულობა კი პროფ. ედიშერ ჭელიძემ საკმაოდ ტლანქი მოძრაობით შექმნა: საკუთარი პოზიციის გამყარებას უსაშველოდ მოძველებული, მე-18-19 საუკუნეებში შექმნილი ტექსტების საფუძველზე ეცადა.

მაშ ასე, წვრილად განვჩხრიკოთ მისი საპასუხო წერილი, თუმცა ჯერ მცირე შესავალი წარმოვადგინოთ საქმეში ჩაუხედავთათვის. სასულიერო აკადემიის პატროლოგიისა და დოგმატიკის კათედრის გამგემ, პროფესორმა ედიშერ ჭელიძემ ვრცელი სტატია დაწერა სათაურით „საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო დაფუძნებულობის მეცნიერული მტკიცებულებანი“, რომელიც გამოქვეყნდა კრებულში: საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები. მეექვსე ტომი. 2015 წელი. ხსენებულ ფეისბუქ პოსტში სტატიის შინაარსს არ შევხებივარ. მხოლოდ სტატიის ინგლისურენოვანმა დასათაურებამ მომჭრა თვალი: „The Scientific Evidences of the Apostolic Foundation of the Orthodox Church in Georgia,“ კერძოდ მასში უადგილოდ გამოყენებულმა სიტყვებმა scientific evidences. აღვნიშნავდი, რომ ამ სიტყვებს დღეს არავინ იყენებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ფბ პოსტის ყველა ის კომენტატორი, ვინც ინგლისური ენა კარგად იცის, იზიარებდა აღნიშნული შენიშვნის არსობრივ სისწორეს. დავიწუნე ასევე თავად კრებულის ინგლისური სათაურიც: Theological-Scientific works, თითქოს ის ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო კვლევების კრებული ყოფილიყოს.

ამის შემდეგ ჩაიარა თითქმის სამმა წელმა. რამდენიმე დღის წინ მატყობინებენ, რომ 2018 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ სასულიერო აკადემიის კრებულში (სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები ტ. VIII-IX, 2018, გვ. 612-631) ბატონ ედიშერს არც მეტი, არც ნაკლები, ოც გვერდიანი „მამხილებელი“ სტატია დაუბეჭდავს. ცხადი იყო, რომ აღნიშნული ფბ-რეპლიკა მას ერთ-ერთმა ჩემმა „ფბ-ფრენდმა“ მიართვა. დავით ბრეგვაძემ თავად აღიარა ეს ფაქტი. ხსენებული „განმაქიქებელი“ ოპუსი ამავე თვის 26 რიცხვში განთავსდა ვებ-საიტზე (ბეჭდურ კრებულში გამოქვეყნებული სტატიის ფოტოფირებით): edisherchelidze.

\* რედაქტორის შენიშვნა: სტატიებში და სამეცნიერო პოლემიკის დროს ამა თუ ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისს, მაგრამ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, რომ ჟურნალი ყოველთვის ღია იყოს სამეცნიერო პოლემიკისა და ამა თუ იმ საკითხზე დისკუსიისთვის.

blogpost.com. სწორედ ამ გზით გაავრცელა ბატონმა დავითმა სოციალურ ქსელში ეს წერილი, რითაც საშუალება მომეცა მას გავცნობოდი.

არ ვაპირებდი საპასუხო გამომხაურებას, რადგან დასავლურ ჰუმანიტარულ აკადემიურ წრეებში ეს იმდენად მიღებული, აღიარებული, გაცხეთილი და ბანალური ლინგვისტური ჭეშმარიტებაა, რომ ჩემი ძვირფასი დროისა და ენერჯის დაკარგვა დამენანა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბატონი ედიშერის თაყვანისმცემლებისთვის სრულიად უცნობია ეს ბანალური ჭეშმარიტება.

ამ საპასუხო წერილის დაწერა იმ ფორმამაც გადაამაწყვეტინა, რომლითაც ჩემი სამი წლის წინანდელი ფეისბუქ შენიშვნა გამოთქმული: ყურადღებაამისაქცევია ის გარემოება, რომ მაშინდელი რეპლიკა პრივატულ სივრცეში გამოვთქვი (როგორც წესი, ფბ-პოსტები გასაჯაროებული არ მაქვს და არც ამ პოსტის სტატუსი იყო ამგვარი). ამიტომ, ნამდვილად არ მოველოდი, რომ ვილაც მიუტანდა მას ბატონ ედიშერს და ეს უკანასკნელი აკადემიური ხასიათის პასუხს მოამზადებდა, თორემ ცხადია სხვა ფორმით და უფრო ვრცლად, არგუმენტირებულად გადმოვცემდი სათქმელს. განა გასაკვირია, რომ თავად ბატონი ედიშერიც შეიძლება სამეგობროში რაიმეს შინაურულად, ემოციურად ან ჟარგონულად ამბობდეს, მაგრამ ამაზე ოფიციალურ პასუხს არავინ სწერდეს ამა თუ იმ დაწესებულების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. სწორედ ასეთია ზემოთ ხსენებული კრებული, რომელშიც აღნიშნული „გამომხაურება“ დაბეჭდილი.

ამრიგად, იძულებული ვარ იგივე აკადემიური სტილით, ტონით და მიზანდასახულებით შევადგინო ეს წერილი, თორემ ისე გამოდის, რომ მე ავღებულად, უხეშად მივმართე მას (თუმცა, მე ასე არ ვთვლი, თუ რატომ, იხ. ქვემოთ), მან კი დინჯად და აკადემიურად მიპასუხა. რა ცუდი ბიჭი ყოფილა ეს დავით თინიკაშვილი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ობიექტურ მკითხველს ჩემი მხრიდანაც უნდა ჰქონდეს სათანადო არგუმენტები. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს კეთილსინდისიერ ადამიანს მორალური უფლება საკუთარი დასკვნა გამოიტანოს.

როგორც ჩანს, ბატონმა ედიშერმა თავი დამცირებულად იგრძნო ჩემი შემდეგი ფეისბუქ-შეფასების გამო: „ასეთი ელემენტარული შეცდომა უბრალოდ სირცხვილია.“ ის თავის საპასუხო წერილში დიდ ყურადღებას ამახვილებს სწორედ ამ სიტყვებზე. ამ გარემოებას მისი ინფორმატორი, ბატონი დავით ბრეგვაძეც ადასტურებს: თურმე ედიშერი მისი მეგობარია და მანაც ვერ აიტანა მისი ამგვარი დამამცირებელი მოხსენიება. ამიტომ მან თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნია მისთვის ამ ყველაფრის შეტყობინება (ფბ პოსტი თავის კომენტარებიანად), რის შემდეგაც ოპონენტმა საპასუხო წერილი გამოგვიქვეყნა. დარწმუნებული ვარ სხვა ჩემს ადგილას მძაფრ შენიშვნას მისცემდა ბატონ დავითს, რადგან პირადი და ახლობელთა წრისთვის განკუთვნილი სიტყვები ავტორის დაუკითხავად გაავრცელა. ეს ვერ არის მთლად გამართული ქცევა ურთიერთობის ეთიკის თვალსაზრისით. მაგრამ არ შეექმნი ახლა ამისგან პრობლემას! როგორც იტყვიან so far, so good! ახლა კი ყურადღებით გაეცნოს ამ წერილს პროფესორი ედიშერ ჭელიძე და ყველა მისი მიმდევარი, ვინც მისი „გამომხაურების“ უბადრუკი ტექსტის გამო აღტაცება ვერ დამალა. სარგებელს ნამდვილად ნახავენ.

რეალურად ჩემს ფბ სიტყვებში ოდენ შეცდომის ხარისხია შეფასებული და არანაირი აუცილებლობა არ არსებობს ვინმემ პიროვნულ დამცირებად მიიღოს ამგვარი შეფასება, თუკი მისი პატივმოყვარეობა უზომოდ გაბერილი არაა. შეცდომებისადმი სტერილური არავინ ვართ და, როგორც გამოჩნდა, ამის აღიარება ძალიან მტკივნეულია ზოგიერთებისთვის.

ვინ ვინ და სწორედ ედიშერ ჭელიძემ და მისმა თანამოაზრეებმა არ უნდა მიუთითონ არავის პოლემიკაში დამამცირებელი სიტყვების გამოყენების მიუღებლობის თაობაზე. ღრმა წარსულში რომ არ წავიდეთ, ავიღოთ თუნდაც მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ბროშურა სათაურით „ოდეს სამართალმან დაგასამართლოს“ (თბ., 2011, 91გვ.), რომელშიც ავტორი მოპაექრეს, გიორგი გოგოლაშვილს „აბსოლუტურად უბადრუკ ადამიანად“ (გვ. 3) მოიხსენიებს. მის ნაშრომს კი „ღვირმიშვებულ ბილწმეტყველებას“ და „წლობით ნაგროვებ თხრამლს“ (გვ. 4) უწოდებს. ამავე გვერდზე ბატონი ედიშერი ოპონენტზე წერს, რომ მას „...მოლანდებია (დაავადებული გონებისთვის ეს სრულიად ბუნებრივია)“: სხვა მრავალი მსგავსი გამოთქმის მოყვანაც შეიძლებოდა ბატონი ედიშერის პოლემიკური შემოქმედებიდან. მაგრამ სიქველედ უნდა მივიჩნიოთ მკითხველის სასმენელის დანდობა ისევე, როგორც ამგვარი ღვარძლიანი სიტყვების წაკითხვა კეთილკრძალული ქრისტიანის მზერას შეურაცხყოფს. საინტერესოა, თუ აცნობიერებს სასულიერო აკადემიის პროფესორი, რომელიც თავს მორწმუნე ადამიანად მიიჩნევს, რა დონის პიროვნულ შეურაცხყოფას აყენებს მოსაუბრეს ასეთი სიტყვებით? ამგვარი სტრიქონების გაცნობის შემდეგ მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ბატონ ედიშერს წარმოდგენა არ აქვს იმ ეტიკეტისა და კულტურის შესახებ, რომლითაც იწარმოება აკადემიური პოლემიკა თანამედროვე სამყაროში. არცერთი დასავლელი მეცნიერი (იქნება ის მორწმუნე თუ ურწმუნო), რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, ასე შეურაცხყოფელად არ მიმართავს თავის მოსაუბრეს. ერთი სიტყვით, ამ ფონზე ჩემი სიტყვები, „ელემენტარულ შეცდომასა“ და „სირცხვილთან“ დაკავშირებით, ტკბილ გალობად უნდა ჩაესმას მკითხველს.

ხსენებული სოციალური ქსელის სულ რამდენიმე სტრიქონიან პოსტში აღვნიშნავდი, რომ სიტყვების science, scientific გამოყენება არ არის მიღებული თანამედროვე ფილოლოგიურ, თეოლოგიურ, ისტორიოგრაფიულ და ფილოსოფიურ კვლევებში. გამოჩაკლისი ინტერდისციპლინარულ კვლევებს შეიძლება ეხებოდეს, როდესაც ჰუმანიტარები და ბუნებისმეტყველები ერთად ანხორციელებენ რაიმე პროექტს. ამ შემთხვევაშიც კი ამ ორი სფეროს მეცნიერთა მიერ ლექსიკური ერთეულების აღრევა არ ხდება. ასეთ დროს ჰუმანიტარი არასდროს მიმართავს სიტყვებს science ან scientific კონკრეტულად მის მიერ გამოყენებულ კვლევით მეთოდზე საუბრისას. მისთვის გამართლებულია მხოლოდ შემდეგი სიტყვებით ოპერირება: scholarly, literary. ამგვარი ინტერდისციპლინარული პროექტის შედეგებზე საუბრისას თავისუფლად შეუძლია ვინმეს თქვას, რომ გამოყენებული იქნა ასევე scientific მეთოდი, რაც, როგორც წესი, გულისხმობს ლაბორატორიულ ექსპერიმენტს, სტატისტიკურ ანალიზს. ბატონი ედიშერის სტატია კი არანაირად არ სცდება ისტორიისა და ფილოლოგიის საზღვრებს. შესაბამისად, ის მოიცავს ოდენ ფილოლოგიურ მოწმობებს და ისტორიულ ცნობებს. ასეთ დროს თანამედროვე ჰუმანიტარი უნდა იყენებდეს გამოთქმას historical evidence და არანაირად scientific evidence. ეს მიღებული და დადგენილი კონვენციაა ინგლისურენოვან აკადემიურ წრეებში.

ამრიგად, უადგილოდ გამოყენებული ამგვარი სიტყვები შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ უხერხულ არქაიზმად ან ე.წ. ვორდროისის პრობლემად, რომელიც მხოლოდ სტილსა და გემოვნებას შეიძლება უკავშირდებოდეს, არამედ შეცდომად, ამასთან „ელემენტარულ შეცდომად“. ეს ნამდვილად „სირცხვილია“ ასეთი დამსახურებული ფილოლოგის მხრიდან, როგორც პროფ. ედიშერ ჭელი-

ძეა, რაც გამოწვეულია შესაბამისი თანამედროვე ჰუმანიტარული კვლევების არცოდნით ან უფრო უარესი: მათი მიჩქმალვით.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბატონმა ედიშერმა ამ სრულიად ცხადი ვითარების წინააღმდეგ წინასწარვე განწირული ბრძოლა გადაწყვიტა, მოიმარჯვა რა მე-18-19 საუკუნეების ტექსტები. მაგ., ის გვატყობინებს, რომ ფილოლოგიაში სიტყვის science გამოყენება „არათუ მიღებულია, არამედ დაკანონებულიცაა“ (ჭელიძე, გვ. 614) და იმომებს მე-19 საუკუნეში მოღვაწე მეცნიერის, ვინმე გ. დროისენის ციტატას. მას მსგავსი სახის სხვა ციტატები მოჰყავს აღნიშნულ საუკუნეებში გამოცემული წიგნებიდან, ასევე ისტორიასა და ფილოსოფიაში სიტყვების science და scientific-ის გამოყენების მართებულობის საჩვენებლად.

ოპონენტი აგრძელებს: „არსებობს თვით სინტაგმა ‘მეცნიერული ფილოლოგია’ (scientific philology), რაც დიდი გერმანელი ფილოლოგის ფრიდრიხ აუგუსტ ვოლფის (1759-1824) სახელს უკავშირდება“ (ჭელიძე, გვ. 620). სხვაგან გვატყობინებს: „გამორჩენილი ინგლისელი ფილოლოგი Henry Sweet (1845-1912) გერმანიას, უწოდებდა „მეცნიერული ფილოლოგიის (scientific philology) სამშობლოს“ (ჭელიძე, გვ. 621). ოპონენტი იმომებს ასევე სხვა მსგავს ძველ ავტორებს: Benjamin Woodbridge Dwight (1772-1829) და სხვებს.

პროფ. ჭელიძის მიერ დამოწმებულ ამ ძველ გამოცემებს ზოგჯერ აწერია 2007 ან 2004 წელი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი უმეტესად რეპრინტებს წარმოადგენს, რომლებიც თავდაპირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში ან უფრო ადრეა გამოცემული. შესაბამისად, ამგვარი გამოცემების ტექსტები თავის სტილს ინარჩუნებს. მაგ., თავად ოპონენტი მიგვითითებს ერთ-ერთ ასეთ გამოცემაზე, კერძოდ, 1888 წელს დაბეჭდილ ნაშრომზე *Philosophia Ultima*. სურს რა ხაზი გაუსვას ნაშრომის მნიშვნელობას, გვაუწყებს, რომ მისი „ექვსგზისი ხელახალი გამოცემა განხორციელდა (2012, 2013, სამგზის 2015 და 2018 წწ-ში)“ (ჭელიძე, გვ. 625).

ბატონი ედიშერი გულწრფელად აღიარებს, რომ სწორედ ამ ექვსჯერ გამოცემული წიგნის სათაურმა განსაზღვრა მისი სტატიის ინგლისურენოვანი სახელწოდებაც (ჭელიძე, გვ. 626). დიახ, სწორედ ესაა პრობლემა, რომ დღევანდელი ფილოლოგი 2015 წელს დაწერილ სტატიას 1888 წელს გამოცემული წიგნის მიხედვით ასათაურებს.

პატივცემული პროფესორი სხვა საგულისხმო აზრსაც გამოთქვამს: „რაიმე დასათაურებას ჩვენ კი არ ვთარგმნით ჩვენი ინიციატივით (ჩვენს თავზე მინდობით) ქართულიდან ინგლისურად, არამედ ვეძიებთ ინგლისურში უკვე დადასტურებულ ფორმებს ანუ ვეძიებთ და ვიყენებთ მხოლოდ იმას, რაც უკვე გამოყენებულია და გამოკვეთილად აპრობირებულია საკუთრივ ინგლისელ (ან ინგლისურენოვან მეცნიერთა მიერ საუკუნეთა მანძილზე“ (ჭელიძე, გვ. 618-9). როგორც ჩანს, ბატონი ედიშერი ვერ აცნობიერებს ბოლო ორი სიტყვის („საუკუნეთა მანძილზე“) რეალურ მნიშვნელობას. მას ჰგონია, რომ ხანგრძლივ საუკუნოვან ტრადიციაზე მითითებით საიმედოდ იმყარებს საკუთარ პოზიციას. არადა სწორედ ამ საუკუნეებზე აპელირებაშია საბედისწერო შეცდომა. ამ გარემოებას რომ ნამდვილად ვერ აცნობიერებს ოპონენტი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ის კიდევ ერთ ადგილას ომბახინად გვამცნობს, რომ „ინგლისი გახლავთ ის ქვეყანა, სადაც ‘მეცნიერული ფილოლოგია’ არსებობას ითვის უკვე მეთხუთმეტე საუკუნიდან“ (ჭელიძე, გვ. 622). ნუთუ?

ოპონენტს მოჰყავს უფრო მოგვიანო პერიოდის შემთხვევა. მაგრამ საკმარისია მისი დედანში გადამოწმება, რომ არაწინასწარგანწყობილი და გონებაგანსნილი მკითხველი მყისვე ჩაწვდება საქმის არსს. მაგალითად, განვიხილოთ ბატონი ედიშერის მიერ დამოწმებული სერბი ავტორის პუბლიკაცია “Liturgical Renewal in the 20<sup>th</sup> century” (The Theological Faculty of the Serbian Orthodox Church, Belgrade 2009), რომელიც, საბედნიეროდ, academia.edu-ზე ატვირთულია, რაც აადვილებს ტექსტის ნახვას ნებისმიერი მსურველის მხრიდან. მითითებულ 124-ე გვერდზე ავტორი წერს: „ზოგადად ითვლება, რომ ლიტურგიკული განახლება არ დაწყებულა ვატიკანის მეორე კრებით. მას წინ უძღოდა მრავალი საღვთისმეტყველო-სამეცნიერო (theological-scientific) და პასტორალური ექსპერიმენტი.“ როგორც ირკვევა, სერბი ავტორი ვატიკანის მეორე კრების ანუ 1962-65 წლებამდე ვითარებას განიხილავს (ეს გარემოება, ნებით თუ უნებლიედ, მიჩქმალულია ბატონი ედიშერის მიერ ციტირებულ მის სიტყვებში). ვფიქრობ, აქ ბატონ ედიშერს, როგორც მეცნიერს, უნდა მოეხმო კრიტიკული აზროვნება და მინიმუმ ორ ვერსიაზე მაინც ვფიქრა: 1) იქნებ ხსენებული სერბი ავტორი სწორედ იმ დროისთვის შემორჩენილ ენობრივ ნორმებს იყენებს, კონკრეტულად კი გამოთქმას “theological-scientific”, რომელსაც აუცილებელი არაა თავად იზიარებდეს (ავტორი შეიძლება სხვისი ენით და ლექსიკით საუბრობდეს გარკვეული მიზეზით); 2) თუნდაც აღნიშნული ავტორი ბელგრადის სასულიერო აკადემიიდან იწყნარებდეს ამგვარ გამოთქმას, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ, ბატონი ედიშერის მსგავსად, ისიც ცდება და მხოლოდ მე-18-19 საუკუნეების ტექსტების ნორმებს ითვალისწინებს ამ კუთხით, მცდარად იყენებს რა ამგვარ გამოთქმას 21-ე საუკუნეში? სხვისი შეცდომის დამოწმებით საკუთარი შეცდომის განმტკიცება როდიდანაა საიმედო აკადემიური მანევრი?

ხაზს ვუსვამ: ჩვენი დავა თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ამ ინგლისური სიტყვის დამკვიდრებულობას ეხება. თუ ეს დამკვიდრებულია და მიღებულია, მაშინ უნდა არსებობდეს მრავალი მოწმობა, რაც ტენდენციებზე მიუთითებს და არ წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს. ამგვარ მოწმობათა აბსოლუტური უმრავლესობა კი ბატონ ედიშერს მხოლოდ მე-18-19 საუკუნეების ტექსტებიდან მოჰყავს. რასაკვირველია, თუ ვინმე დაგუგლავს, მან შეიძლება აღმოაჩინოს კიდევ რომელიმე ნაკლებად კრედიბილური საიტი ან გამოცემა, რომელსაც სიტყვა science იქნება გამოყენებული ჰუმანიტარიაში, მაგრამ თანამედროვე დასავლურ მეინსტრიმულ და წამყვან გამოცემებში ამგვარ სიტყვას ვერავინ იპოვის ჰუმანიტარიის სფეროში.

ამრიგად, კარგი იქნებოდა თუ პატივცემული ფილოლოგიის დოქტორი როგორმე თავს დააღწევდა მე-18-19 საუკუნის ტექსტებს და გაეცნობოდა არა მხოლოდ თანამედროვე და წამყვანი ინგლისურენოვანი ჰუმანიტარების წერის მანერას შესაბამისი ტექნიკური ტერმინების ადეკვატური გამოყენების დასასწავლად, არამედ ასევე ამ ორი სფეროს (ჰუმანიტარია და ბუნებისმეტყველება) კონცეპტუალური და ტერმინოლოგიური გამიჯვნის შესახებ არსებულ კვლევებს. ამ მხრივ, გვერდს ვერ ავუვლით მაგ., Charles Snow-ს საეტაპო მნიშვნელობის წიგნს *The Two Cultures* (Cambridge, 2012). აგრეთვე Rens Bod-ს საინტერესო ნაშრომს *A New History of the Humanities* (Oxford, 2013) ჰუმანიტარული დარგის ისტორიასა და მეცნიერულობასთან დაკავშირებით.

როგორც სწოუს კვლევაშია აღნიშნული ე.წ. ორ კულტურას (ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო) შორის გამიჯვნა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან იწყება და ეს გამიჯვნა აუცილებლად გულისხმობდა ლინგვისტური შემადგენ-

ლის ცვლილებასაც: სიტყვა science-ის მნიშვნელობა თანდათან დავიწროვდა და ის დღეს გამოიყენება „ფიზიკური“ ანუ ნატურალური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სფეროში. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულს *Oxford Learners Dictionary*-ს შემდგენლები ადასტურებენ ამ ფაქტს და აღნიშნავენ, რომ ამგვარი გამიჯვნა სულ ახალი მომხდარია. ეს ავტორიტეტული ლექსიკონი მიუთითებდა, რომ სიტყვა science გამოიყენება „ფიზიკური და ექსპერიმენტული და არა თეოლოგიური და მეტაფიზიკური მეცნიერებებისადმი“ (*Snow, Two Cultures*, გვ. xi-xii).

ასე რომ, ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დარგებს თავისი მეთოდოკისა და ლექსიკონის განვითარების ისტორია აქვს და როცა მათი აღრევის გამო ვინმე შენიშვნას იძლევა, ადრესატმა უნდა გაითვალისწინოს ის და არ მოჰყვეს სასოწარკვეთილ ციტირებებს ორი საუკუნის წინანდელი ტექსტებიდან.

სრულიად წარმოუდგენელია 21-ე საუკუნეში რომელიმე პრესტიჟული და რეიტინგული დასავლური უნივერსიტეტის (ოქსფორდი იქნება ის ჰარვარდი თუ იელი) ჰუმანიტარული დარგის თვით სტუდენტმაც კი სიტყვები science, scientific გამოიყენოს რეფერატის ან დისერტაციის წერისას და მან ამის გამო მკვეთრი შენიშვნა არ მიიღოს. ამიტომ, დიან, ეს „ელემენტარული შეცდომა“ და „სირცხვილია“ და არ ვაპირებ ამ სიტყვების უკან წაღებას. თუ ვინმე თავს მაინც დამცირებულად გრძობს ამგვარი სიტყვების მოსმენისას, ეს მისივე ქედმაღლობაზე შეიძლება მოწმობდეს და არა ამ სიტყვების სიმცდარეზე.

ასე რომ, ნაცვლად იმისა, რომ ოპონენტმა ალიაროს შეცდომა, ის ყველანაირად ცდილობს დაიცვას, გააღრმავოს, განამტკიცოს ეს შეცდომა. სამწუხაროა! არავინ აყენებს ეჭვის ქვეშ პროფ. ედიშერ ჭელიძის ზოგად ფილოლოგიურ კომპეტენციას და მის ღვაწლს ქართული საღვთისმეტყველო ტექსტების გამოცემის საქმეში. მაგრამ აქაც ვისურვებდი მას თავისი ცოდნა და კვალიფიკაცია უფრო ნაყოფიერად გამოეყენებინა. მაგ., ამას წინათ გამოიცა მისი 1,546 გვერდიანი უზარმაზარი წიგნი „საეკლესიო დოგმატიკა და ერესები“, რომელიც პოლემიკური ხასიათისაა და ავტორი განაქიქებს მცდარად მოაზროვნეთ, რომლებიც მისთვის მიუღებელ აზრებს გამოთქვამენ. საინტერესო ისაა, რომ ამხელა მოცულობის წიგნს აწერია „პირველი ნაწილი“. ნეტავ, კიდევ რამდენი ასეთი ნაწილის გამოცემას გეგმავს პატივცემული პროფესორი? ვფიქრობ, ამის ფუფუნება არ უნდა ჰქონდეს იმ სასწავლო დაწესებულების პროფესორს, რომლის სტუდენტებს ერთი ნორმალური სახელმძღვანელო არ აქვთ მშობლიურ ენაზე თუნდაც ბატონი ედიშერისვე სფეროში: პატროლოგიაში. ცხადია, მე არ ვუთითებ პატივცემულ მკვლევარს რა და როგორ უნდა დაწეროს. უბრალოდ მას პრიორიტეტებს ვუწუნებ. იმედია, ამ შენიშვნაზეც ისევე არ გაცხარდება პატივცემული ფილოლოგი, როგორც იმ ელემენტარულ შეცდომაზე, რის გამოც ამ მოკლე საპასუხო და განმარტებითი წერილის დაწერა მომიხდა.

ბატონი ედიშერი ინგლისური „of“-ის მართებულ გამოყენებასთან დაკავშირებით ისევ ძველ ტექსტებს გვიკოპირებს და ომანიანად მოგვიწოდებს, აი, ნახეთ აქ როგორ წერიაო (ჭელიძე, გვ. 629), ავიწყდება რა, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია: ის ვითარდება და იცვლება. როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებს, რომ დღევანდელი ენობრივი ნორმები შეიძლება განსხვავდებოდეს წინა საუკუნეებში გავრცელებული ნორმებისგან. ნეტავ, უკეთესი ხომ არ იქნებოდა ეს საპასუხო წერილი ილია ჭავჭავაძის დროინდელი ან უფრო ადრინდელი ქართულით დამეწერა?

ვინაიდან სამი წლის წინანდელ ფბ რეპლიკაში ხსენებული სტატიის ინგლისური სათაურის ყველა შეცდომაზე არ გამიმახვილებია ყურადღება, აქვე აღვ-

ნიშნავდი შემდეგსაც: Orthodox Church in Georgia (მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში) ასევე მცდარია. უფრო მართებული იქნებოდა Orthodox Church of Georgia (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია), რადგან წინდებული "in", როგორც წესი, იმ რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებით იხმარება, რომელიც ქვეყანაში გარედანაა შესული და არ წარმოადგენს მოცემული ქვეყნის ტრადიციულ რელიგიას.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვა „გაკერპებასთან“ დაკავშირებით შემოგებებულ ოპონენტის პასუხზე. სამი წლის წინანდელ ფბ სტრიქონებში აღვნიშნავდი, რომ ბატონი ედიშერი ბევრს „გაკერპებული“ ჰყავს. ვაღიარებ, რომ ეს სიტყვა ემოციურ ფონზეა ნათქვამი, თან, როგორც აღვნიშნე, პრივატულ, არასაჯარო სივრცეში. მაგრამ არანაირი პრობლემა არაა წინამდებარე ოფიციალურ წერილში მისი სხვა რომელიმე ევფემიზმით ჩანაცვლება, რითაც საქმის არსი არ შეიცვლება. იგივე აზრის გადმოცემა სხვა სიტყვით თავისუფლადაა შესაძლებელი. მრავალი გამოჩენილი მოღვაწე გაუკერპებიათ, გაუფეტიშებიათ თუ უკრიტიკო ავტორიტეტად მიუღიათ, მაგრამ ეს გამკერპებლების პრობლემა უფროა, ვიდრე გაკერპებულის.

სულის სიმშვიდეს გისურვებთ!

**მანანა (მაკა) ბოსირიძე**  
**(1956-2018)**

ქართულმა აღმოსავლეთმცოდნეობამ, კერძოდ, სემიტოლოგიურმა სამეცნიერო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ჩვენს რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო ებრაისტი, ძველი და თანამედროვე ებრაული ენის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა მკვლევარი, აკადემიზმითა და სიღრმით გამორჩეული სამეცნიერო შრომების ავტორი, ბრწყინვალე პედაგოგი, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელი და სამაგალითო ზნეობრივი თვისებებით შემკული პიროვნება – მანანა (მაკა) გოცირიძე.

მანანა (მაკა) გოცირიძე დაიბადა 1956 წ. 28 იანვარს ქ.თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, შემდეგ კი – ასპირანტურაში. 1980 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტ.) სემიტოლოგიის განყოფილებაში. 1985 წ. ბრწყინვალედ დაიცვა რა დისერტაცია თემაზე „ვეფხისტყაოსნის“ ბორის გაპონოვისეული თარგმანის ებრაული ლექსიკის ანალიზი“; მოიპოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამის პარალელურად თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ებრაულ-არამეული კათედრის დაარსებისთანავე შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას და 2016 წლამდე მიჰყავდა არაერთი სასწავლო-სამეცნიერო კურსი. იმავდროულად ებრაულ ენას ასწავლიდა მეორე უმაღლეს სასწავლებელშიც, კერძოდ, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ნაყოფიერი თანამშრომლობა ორივე უმაღლესი სასწავლებლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებთან, ბევრმა ადგილობრივმა თუ უცხოელმა მაგისტრანტმა და დოქტორანტმა გაიარა მასთან მომზადება ებრაისტიკაში. ყველა დაწესებულებაში (სკოლა, უნივერსიტეტი, აკადემიის სისტემის კვლევითი ინსტიტუტი), სადაც კი მას მოუწია სწავლა და მუშაობა, მ. გოცირიძეს მუდამ თან სდევდა აღიარება და წარმატება.

მ. გოცირიძე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა მოწაფეთა და სტუდენტთა შორის, რომელთა ნაწილის პროფესიონალ-ებრაისტად ჩამოყალიბებაში მას დიდი წვლილი მიუძღვის. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სხვადასხვა თაობის კოლეგების გამორჩეული დამოკიდებულება მის მიმართ, რასაც განაპირობებდა მაკა გოცირიძის უანგარობა, მაღალი ინტელექტი, ბრწყინვალე ზოგადლინგვისტური ერუდიცია, სემიტური და ევროპული ენების სათანადო დონეზე ფლობა. სამეცნიერო საქმიანობაში მასალის შესწავლასა და კვლევას იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მის ნაშრომებს ახასიათებს სიღრმე და აკადემიზმი, მათში დეტალებიც კი დიდი რუდუნებითა და სკრუპულოზულობითაა დამუშავებული. ამიტომაც, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ შემოქმედებითი აღმავლობის ხანაში უკურნებელმა სენმა შეწყვიტა მ. გოცირიძის წარმატებული პროფესიული საქმიანობა.



მაკა გოცირიძის სამეცნიერო თემატიკა ფართო დიაპაზონით გამოირჩევა. მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ძველი და თანამედროვე ებრაული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, სიტყვათწარმოების, სემანტიკისა და სტილისტიკის აქტუალური საკითხები. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ შესაძლებელია აღინიშნოს სხვადასხვა წლებში მეცნიერის მიერ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დასტამბული რამოდენიმე სტატია, კერძოდ:

- „სემანტიკური მოტივაციის ძირითადი ტიპები კლასიკურსა და თანამედროვე ებრაულ ენაში.“ კრებულში *თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზრი*. ქუთაისი, 2013.
- “Morphological and Lexical Causatives in Modern Hebrew.” *Jubilee Volume dedicated to the 80th anniversary of Konstantin Tsereteli*. Tbilisi, 2003.
- „არამეიზმების სტატუსისათვის თანამედროვე ებრაულ ენაში.“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VII. თბილისი, 2013.
- „ებრაული არტიკლის ხმარების სინტაქსური ასპექტი.“ *პერსპექტივა-XXI*, IX. თბილისი, 2007.
- “Об индивидуальном употреблении фразеологизмов в еврейском переводе «Внтызя в барсовой шкуре».” *სემიტოლოგიური ძიებანი*, III. თბილისი, 1987.
- „შენიშვნები ხუთთანხმოვნისა და ზმნების შესახებ ბიბლიის ებრაულში.“ *სემიტოლოგიური ძიებანი*, VI. თბილისი, 2003;
- „რედუქციის სემანტიკური ფუნქციისათვის თანამედროვე ებრაულ ზმნურ ლექსემებში.“ *პერსპექტივა-XXI*, X. თბილისი, 2008;
- „საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ თარგმანში.“ *სემიტოლოგიური ძიებანი*, II. თბილისი, 1085;
- “Некоторые особенности семантики многосогласных отименных глаголов в современном еврейском языке.” *სემიტოლოგიური ძიებანი*, V. თბილისი, 1991.
- “О некоторых медицинских терминах в «Врачебной книге».” *სემიტოლოგიური ძიებანი*, IV. თბილისი, 1988.

კვლევის შედეგებს იგი არა მხოლოდ ნაბეჭდი სახით აქვეყნებდა, არამედ სისტემატურად მონაწილეობდა მოხსენებებით სხვადასხვა რესპუბლიკურსა თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში. ამიტომაც მ. გოცირიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე სემიტოლოგებსა და ებრაისტებს შორის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ღვაწლი, რომელიც მ. გოცირიძეს მიუძღვის ქართულ-ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების განვითარების საქმეში, რაც სათანადოდ დაფასდა კიდეც. 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მ. გოცირიძეს განათლების სფეროში დამსახურებისათვის გადასცა ჯილდო „ამაგდარი“.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმ დამსახურებას, რაც მ. გოცირიძეს მიუძღვის ქართული ებრაისტიკისა და ზოგადად, სემიტოლოგიის განვითარების საქმეში. მაკა ავტორია 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა 2007 წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფია “Лексика еврейского перевода “Внтызя в барсовой шкуре”, სადაც დეტალურადაა გაანალიზებული ბორის გაპონოვისეული ნათარგმნი ტექსტის ლექსიკურ-სტილისტური თავისებურებანი. უაღრესად მნიშვნე-

ლოვანია მონოგრაფიის ის ნაწილი, სადაც მ. გოცირიძემ გამოამზეურა ლექსიკურ – სემანტიკური ინოვაციები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ებრაული ენის ვოკაბულარის შევსებასა და ლექსიკური მარაგის გამრავალფეროვნებაში. ვფიქრობთ, ეს ნაშრომი კიდევ მრავალი სპეციალისტის ყურადღებას მიიპყრობს, იქნებთან ისინი სემიოლოგები თუ ზოგადად ენათმეცნიერები, რომელთა კვლევის სფეროს ლექსიკოლოგია და სემანტიკა წარმოადგენს.

P.S. ნიშანდობლივია, რომ წინამდებარე კრებულში ქვეყნდება მაკა გოცირიძის უკანასკნელი სამეცნიერო სტატია სათაურით „შენიშვნები სემიოტური ოთხთანხმოვნისანი ზმნური ძირების თაობაზე“. ჩემთვის, მისი კოლეგისა და მეგობრისთვის, დიდი პატივია და იმავდროულად პასუხისმგებლობაც, ვიყო ამ ნაშრომის თანაავტორი.

*მარინა მეფარიშვილი, 2018 წ. 2 დეკემბერი*

## გიორგი შაყულაშვილის ხსოვნას

2018 წლის 21 აპრილს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შაყულაშვილი. 1939 წელს თბილისში დაბადებულმა გიორგი შაყულაშვილმა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, თურქული ენისა და ლიტერატურის განხრით გააგრძელა. ასპირანტურაში მისი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი სერგი ჯიქია. რამდენიმე წლის წარმატებული ჟურნალისტური საქმიანობის შემდეგ მომავალმა მეცნიერმა თავისი მოღვაწეობა თურქოლოგიას დაუკავშირა.

გიორგი შაყულაშვილი 1960 წლიდან აკადემიკოს გიორგი წერეთლის მიერ ჩამოყალიბებული აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელია, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. ქართველი აღმოსავლეთმცოდნე ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი შაყულაშვილის წვლილი აშუღური პოეზიის კვლევაში, რადგან ლიტერატურათმცოდნეობის ეს უბანი ნაკლებად შესწავლილი იყო. 1968 წელს სერგი ჯიქიას ხელმძღვანელობით დაცულ საკანდიდატო დისერტაციას 1991 წელს სადოქტორო დისერტაცია მოჰყვა.

გიორგი შაყულაშვილმა მაღალ დონეზე შეისწავლა საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით (1970). მეტად ფასეულია ქართველი თურქოლოგის ნააზრევი საიათნოვას შემოქმედებაში თეოლოგიური და მისტიკური ნაკადების, სატრფიალო პოეზიის საკითხების კვლევაში. გიორგი შაყულაშვილი ქართულ და აზერბაიჯანულ აშუღურ პოეზიას აღმოსავლური მისტიციზმის – სუფიური პოეზიის შედარება-განხილვის კონტექსტში იკვლევდა. აშუღთა შემოქმედება თავისი წარმომავლობით განსაკუთრებით 7-12 საუკუნეების თურქულენოვან სამყაროს სახალხო მთქმელ-მუსიკოსთა პოეზიას უკავშირდება, მკვლევარიც ისტორიულ ფონზე იკვლევდა საკითხებს.

ვინაიდან აშუღური პოეზია თავისი არსით სინკრეტულია (ლექსი, მუსიკა, ცეკვა) გიორგი შაყულაშვილმა საგანგებოდ შეისწავლა აშუღთა ქორეოგრაფიისა და სამუსიკო საკრავთა ზოგიერთი საკითხი, რაც ორ მონოგრაფიაშია წარმოდგენილი. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთმცოდნე გიორგი შაყულაშვილის ხელოვნების ხსენებულ საკითხებისადმი მიძღვნილმა ნაშრომებმა მნიშვნელოვნად დააზუსტეს და შეავსეს ჩვენი ცოდნა აღმოსავლურ კულტურასთან ნაზიარები ძველი თბილისის ქორეოლოგიასა და მუსიკოლოგიაში.

ლიტერატურათმცოდნე თურქოლოგმა არც ძველი თბილისის სუბკულტურის შესწავლაში დატოვა უყურადღებოდ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც ტერმინოლოგიაა. 2006 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ეტიუდები ძველი თბილისის ლექსიკიდან“ გიორგი შაყულაშვილის როგორც ლიტერატურათმცოდნის ინტერესები მხოლოდ აშუღური პოეზიით არ იფარგლებოდა. საინტერესოა მისი სტატია დიდი აზერბაიჯანელი პოეტის მოლა ფანაჰვაგიფის პოეზიაზე, რომელსაც მეცნიერი აღმოსავლურ მწერლობაში მოქმედი თეოლოგიური მოძღვრების – სუფიზმის ლიტერატურული პრინციპების საფუძველზე განიხილავს.

განსვენებულმა მეცნიერმა ძველი თბილისის პოეზიის ისტორიას საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ე.წ. „მესამე ტიპის“ ლიტერატურა სპეციალური შესწავლი-

სა და კვლევის საგნად ჯერ კიდევ არ ქცეულა. საიათნოვასა და, საზოგადოდ, აშუღურ პოეზიაზე მსჯელობისას გიორგი შაყულაშვილი ამტკიცებდა, რომ იგი არ გამოხატავს ქალაქური მხატვრული სიტყვის ბუნებას ვერც იდებით, ვერც თემატიკით, ვერც მხატვრული აზროვნებით. „აშუღური პოეზია გენეტიკურად არ არის დაკავშირებული იმ სოციალურსა და საზოგადოებრივ მოვლენებთან, რომლებმაც განსაზღვრეს ქალაქური ლიტერატურის აღმოცენება, განვითარება, სპეციფიკა“ (ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, 1987).

მეცნიერი განმარტავს, რომ აშუღური პოეზიისთვის ჰედონიზმი თვისობრივი და შინაგანი არ არის, ხოლო ძველი თბილისის პოეზიისთვის უმნიშვნელოვანესია. აშუღური პოეზიის ქვაკუთხედი სატრფიალო „აშიკური“ თემატიკაა, ძველი თბილისის პოეზიისთვის კი მნიშვნელოვანი არ არის. აშუღური პოეზიისთვის სოციალური საკითხი წუთისოფლის გაუტანლობისა და დაუნდობლობის ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა, ძველი თბილისის პოეზიისთვის ის კონკრეტულ, ლოკალურ იერსაც მოიცავს.

გიორგი შაყულაშვილი ამტკიცებს, რომ აშუღური პოეზია ქალაქის კუთვნილებას არ წარმოადგენს და მას ურბანისტული ლიტერატურის ჩარჩოში ვერ მოვათავსებთ. ძველი თბილისის პოეზია კი ამქრების ქალაქური ცხოვრების ლიტერატურული ფიქსაციაა. აშუღურ პოეზიას არ ახასიათებს ე.წ. „სიმდიდრის დაგროვების“ საწინააღმდეგო პროპაგანდა, ხოლო ძველი თბილისის პოეზიისთვის ეს ცენტრალური თემაა, რომელიც „ყარიბობის“ ინსტიტუტიდან მომდინარეობს, სუფიურ-დერვიშული წარმომავლობისა და აღმოსავლური ქალაქის ფითიანურ-რინდულ-ჯევეანმარდული ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელია.

გიორგი შაყულაშვილი იკვლევდა საქალაქო ინსტიტუტების ორგანიზაციული, სოციალ-ეკონომიკური და ზნეობრივი კოდექსების შესახებ არსებულ ნარატიულ თუ დოკუმენტურ წყაროებს. მის ნაშრომებში ხელოსან-ვაჭართა კორპორაციებისა და რინდ-ფითიანთა თუ სუფიურ დერვიშთა ძმობის ურთიერთობა გამოვლენილია არა მხოლოდ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ აღნაგობაში, არამედ ამქრის ცხოვრების ყველა დეტალში: პროფესიონალურ ტერმინოლოგიაში, საყოცხვაცხოვრებო და საწესჩვეულებო რიტუალებსა და ცერემონიალებში, ზნეობრივ-ეთიკურ აქსიოლოგიაში. გიორგი შაყულაშვილმა თბილისის საქალაქო ამქრის წევრის – ყარაჩოხელისა და მისი გადაგვარებული მოდემის – კინტოს ტიპური სახე გამოკვეთა და ჯევეანმარდის, რინდისა თუ ფითიანელის პერსონაჟთან შედარებისას დაასკვნა, რომ მათი ზნეობრივი კოდექსი რინდულ-ფითიანურ-ჯევეანმარდულ კოდექსიდან მომდინარეობს.

გიორგი შაყულაშვილი, რომლისთვისაც უცხო იყო ყოველგვარი მანერულობა, არ იზიარებდა ჩვენს მეცნიერებასა და ხელოვნებაში ფეხმოკიდებულ სტერეოტიპს ყარაჩოხელზე როგორც რაინდზე, შეგირდებზე მამობრივად მზრუნველ, ხელგაშლილ პიროვნებაზე, რაც მან ისტორიული ფაქტების მოხმობით დამაჯერებლად წარმოაჩინა. ამ საკითხებზე იგი არ ეთანხმებოდა მისთვის ესოდენ საყვარელ პოეტსა და ძველი თბილისის ისეთ მემბტიანეს, როგორიც სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი იყო.

გიორგი შაყულაშვილი სტატიაში „ბესიკის ლიტერატურული ორიენტაციისთვის“ (ელიზბარ ჯაველიძე 75 ისტორიულ-ლიტერატურული კრებული, 2014) ძველი ქართული პოეზიის მეტრის ბესარიონ გაბაშვილის ლირიკის მხატვრული ენის შესწავლისას სვამს საკითხს იმის თაობაზე არის, თუ არა, ქართული ლირიკის სიამაყე ბესიკი აღმოსავლური ლიტერატურის ორიენტაციისა, როგორადაც მიაჩნია ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ზოგიერთ წარმომადგენელს. აღ-

მოსავლური მწერლობისთვის ნიშანდობლივი ისეთი დოგმატური კომპონენტები როგორცაა: „ტრფიალის ადრესატის პრობლემა“, „ლექსის სიუჟეტის პრობლემა“, „რაციფის პრობლემა“ გიორგი შაყულაშვილის შესწავლით არ შეინიშნება ბესიკის ლირიკაში. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ბესიკის ლირიკის აღმოსავლური ელფერი მხოლოდ გარეგნული ხასიათისაა.

მკვლევარი თვლიდა, რომ ბესიკის ლირიკის მხატვრული სახეების უშრეტი წყარო ქართული ფოლკლორი, ქართული საგალობლები, კლასიკური ლიტერატურა, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსანია“. ბესიკის პოეტური ორიენტაციის საკითხებზე გიორგი შაყულაშვილს მზად ჰქონდა მონოგრაფია, რომლის გამოქვეყნება, მას არ დასცალდა. იგი აღნიშნავდა, რომ მხატვრული აზროვნებისთვის ნიშნული კატეგორიის – შედარებისა და მეტაფორის ანალიზმაც ცხადყო, რომ ბესიკი არ გვევლინება აღმოსავლური ლიტერატურის ორიენტაციის შემოქმედად.

მნიშვნელოვანია გიორგი შაყულაშვილის ღვაწლი მთარგმნელობით სფეროში. მას ეკუთვნის არაერთი თარგმანი აზერბაიჯანული და თურქული ენებიდან. გიორგი შაყულაშვილისეული თარგმანი თვალსაჩინო თურქი მწერლის ომერ სეიფედინის ნოველებისა ორგზის წიგნად გამოიცა. ცალკე აღნიშვნის ღირსია აკად. ე. ჯაველიძესთან ერთად შესრულებული ოღუზ თურქთა ბრწყინვალე ფოლკლორული ძეგლის „დედე ქორქუთის წიგნის“ თარგმანი, რომელსაც დართული აქვს ვრცელი წინასიტყვაობა და კომენტარები.

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად გიორგი შაყულაშვილი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მრავალი წლის განმავლობაში განსვენებული მეცნიერი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველ და აზერბაიჯანულ სტუდენტებს აცნობდა ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. მეზობელ ერებს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისთვის აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მას აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა.

გიორგი შაყულაშვილი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ასევე ქუთაისის აკაკი წერეთლი სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თურქული ლიტერატურის ისტორიის კურსი მიჰყავდა. გიორგი შაყულაშვილის ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა ერასის ბალდადის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე თურქოლოგმა მეცნიერ-მუშაკმა.

გამორჩეული მეცნიერის, პედაგოგის, ერთგული მეგობრის გიორგი შაყულაშვილის ხსოვნა დიდხანს იქნება კოლეგების მეხსიერებაში, მისი ნაღვაწი კი მომავალშიც დარჩება სამაგიდო წიგნებად როგორც ქართული მწერლობის აღმოსავლეთის კულტურასთან ურთიერთობის პრობლემით დაინტერესებულ მეცნიერთათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვის. ნაშრომი „ჩვენი სულიერი ცხოვრების ანომალიები“ (2001), სწორედ ასეთი მკითხველისთვის არის გამიზნული.

*შალვა გაბესკირია, ელენე ჯაველიძე*

Proceedings of the 8th International Conference  
on Popular Cultures of  
the Middle East and North Africa

POPULAR CULTURES BETWEEN SITE AND FLOW

Tbilisi  
September 28-30, 2017

Articles and Summaries

## Articles

**Tinatin Karosanidze**

Free University of Tbilisi

### **SOCIAL MEDIA LANGUAGE DURING THE “ARAB SPRING” IN EGYPT AND TUNISIA**

The language of the “Arab Spring” became political tool for different social groups or camps (secularist or “Islamists”) in the Middle East countries. From day of the revolution and until today, the role of language is still under the great interest of scholars or analysts working on the “Arab Spring” problems. Protesters used social media to organize demonstrations, spread information about their activities, future events etc.

Some analysts say that the role of Social media as Twitter and Facebook during the “Arab Spring” is overstated but it is true that protests and unrest in the Middle East countries generated a substantial amount of social media activity. But statistics shows that the number of social media users arose dramatically during the “Arab Spring” in most Arab countries, especially where political uprising took place.

After 2009 Iranian elections many Twitter users altered their profile images so that they were tinted green (the color of Islamic Revolution in Iran) and switched their location to Tehran in a sign of solidarity with the movement.

The paper tries to answer the question: to what extent did social media language influence on the “Arab Spring” - a leaderless movement in the Middle East region. To answer on this question, two Arab countries - Egypt and Tunisia - are chosen to analyze because these two countries had the biggest number of social media users as Facebook and twitter among Arab countries influenced by the “Arab Spring” in the Middle East region.<sup>1</sup>

The paper aims to find out the political discourse of slogans and messages used in the social media during the “Arab Spring” and how it influence on uprisings in Egypt and Tunisia. It tries to answer the question on what extent the slogans and messages used in social media influenced on gathering people during the “Arab Spring”.

Studies on the social language of the “Arab Spring” have been given a special attention by some scholars. Al-Haq and Hussein (2012) attempted to analyze the social discourse of 400 slogans collected from different media sources in Egypt and Tunisia. Colla (2012) analyzed Egyptian slogan “the People Want” which became the common slogan for the uprising in the Middle East region. Lahlali (2014) studied social, political, cultural and linguistic aspects of the slogans used in Egyptian revolution. Al-Suwaidi, Banda and Mansour (2017) analyzed slogans collected in Egypt, Lybia and Yemen. The authors showed to what extent the slogans meet the standards of political discourse.

The WAAKS-ENG page showed up in a post on the 19th of January featuring a short video called “The camera is my weapon”. Later, Facebook page “We are all Khaled Said” posted: “On the 25<sup>th</sup> January, Egyptian protesters will carry their

---

1 For example, nine out of ten Egyptians and Tunisians responded to a poll that they used Facebook to organize protests and spread awareness.

cameras as their weapons... They will use cameras to capture every policeman who will attack peaceful protesters... (And then we will) show it to the world. Have you got your camera ready?"<sup>2</sup>

The idea from Egyptian government to close Internet and social media had reaction from protesters. As admins of "We are all Khaled Said" posted: "Let me give u some facts & u give us input plz: Mubarak switched off Internet, so everyone went to street to see what happens & ended up joining ..."<sup>3</sup>

Facebook Page "We all are Khalid Said" was created by Wael Ghonim, Google marketing executive living in Dubai, who saw the photo of a bloodied face with broken jaw of a young man whose life was taken away. That young man was Khaled Said killed by the Egyptian police. Egyptian born Ghonim got very angry and he posted online on Facebook: "Today they killed Khalid". "If I don't act for his sake, tomorrow they will kill me".<sup>4</sup> So he decided to create Facebook page under the title "kulluna Khaled Said" ("We Are All Khaled Said").

The page became so popular, that "We are all Khaled Said" admin was posting on the 26th of January: "I can't keep up with the news that are coming. I need 20 more people sitting on computers here to report everything: People in Suez are so angry and started donating blood for the tens of victims of Police opening fire in Suez. We will not be silent".<sup>5</sup>

Egyptian protests were organized through old and new media with activists such as "the April 6 Youth Movement", using social media, blogging, and video sharing to encourage people to protest. As nine out ten Egyptians and Tunisians responded to a poll that they used Facebook to organize protests and spread awareness.<sup>6</sup>

As Jerad declared, "the Tunisian revolution represents a good model for the study of the role of language in the very advent of the revolt and the scope of its slogans, which resonated with many elsewhere and expressed the first Arab awakening to democracy".<sup>7</sup> The language became an effective weapon to topple the dictators in Tunisia and Egypt. So, Tunisian *Degage* became *Irhal* in Egypt and Yemen. "The protesters have therefore employed a lengthy list of politico-linguistic devices to resist the power of the regimes in their relevant countries".<sup>8</sup>

As social media language is divided into two main parts: pictures and photos and posts and text slogans delivered directly from demonstrations during the "Arab Spring", the paper analyzes only slogans used during the demonstrations and spread by social media. Several Facebook and twitter pages are analyzed

---

2 "We are all Khaled Said", at <http://www.elshaheed.co.uk/2012/01/26/the-story-of-we-are-all-khaled-said-english-facebook-page-1-of/> accessed 20/08/2018.

3 Ibid.

4 Jose Antonio Vargas, "How Egyptian Revolution Began on Facebook", Feb, 2012, Sunday Book Review, at <http://www.nytimes.com/2012/02/19/books/review/how-an-egyptian-revolution-began-on-facebook.html> accessed on 20/10/2018.

5 "We are all Khalid Said", at <http://www.elshaheed.co.uk/2012/01/26/the-story-of-we-are-all-khaled-said-english-facebook-page-1-of/> accessed 20/08/2018.

6 Huang, Carol (6 June 2011). "Facebook and Twitter key to Arab Spring uprisings: report". *thenational.ae*. Retrieved 17 May 2015.

7 Nabiha Jerad, *The Tunisian Revolution: From Universal Slogans for Democracy to the Power of Language*, MEJCC, Leiden, 2013, 234.

8 Elliott Colla, "The People Want", Middle East Report, No.263, THE ART & CULTURE OF THE ARAB REVOLTS, Summer, 2012, MERIP, 5



such are “We are All Khalid Said”, #Egypt, #25January, #Day of revolt” and slogans and saying are collected.

### **Slogans/Tweets**

During the “Arab Spring” media sources as TV channels, articles, Facebook and Twitter slogans were spread. The language of slogans was different. They were written and chanted in Standard and Colloquial Arabic. As Colla (2012) mentioned: “They were not only singing to themselves – they were self-consciously performing revolution for only the entire Arab world”. These slogans can be analyzed according to protesters’ religious, political, social and cultural perspectives. Analysts point out several types of slogans used during the unrest in the Middle East countries.

They are:

- **Secular:**

“الشعب يريد اسقاط النظام”

*Ash-sha’b yuriid isqaat an-nizaam* (“The people want to overthrow the regime”) (Egypt & Tunisia)

This is the central slogan for the “Arab Spring” and speaks to a broader Arab society. It became the slogan of January 25<sup>th</sup> in Egypt, but it was not pure Egyptian one. The slogan was borrowed from Tunisia. It was chanted nor in French neither in Tunisian as activists knew this slogan was for the whole Arab world. When government of Zein al-Abidin shut down websites, Egyptian activists began to repost videos and pictures on mirror sites. So #SidiBouazid and #Bouazizi were Egyptian Twitter pages.<sup>9</sup>

The slogan soon was spread in Yemen, Libya and appeared in Bahrain in February 2011. A month later it was shown up in Syria too.<sup>10</sup>

As Rashid Khalidi suggest in his article published in February, 2011, Tunisian chant ‘*ash-sha’b yuriid isqaat an-nizaam* (“The people want the downfall of the regime”) which widespread in Egypt, Libya, Yemen, Bahrain, Syria and Jordan refers to all Arab people’s desire to change the prevailing regimes in the region.<sup>11</sup>

“ويسقط الفرعون والزيانية”

*wā yasqut al-fir’awn waz-zabbaniyya* (“Down with the pharaoh and tyrant”) (Egypt)

“يسقط، يسقط حسني مبارك”

*yasqut yasqut husnii mubaarak* (“Down, Down Husni Mubarak”) #Jan25#Egypt#Sidibouazid#Tunisia

“يسقط الطاغوت”

*Yasqut at-taaghut* (“Down with the tyrant”) (Egypt)

The most common attributes of slogans describing Mubarak are “taghut” (“tyrant”) or “fir’awn” (“pharaoh”). It is interesting to mention, that “pharaoh” was used first time towards the second president of Egypt Anwar As-Sadat. When

9 Colla, “The People Want”, 10.

10 In the West Bank and Gaza Strip, the slogan was changed to *ash-sha’b yuriid inha’ al-inqisaam* (“The People want an end of the division”) where demonstrators demanded the unification of Fatah and Hamas; In Jordan this slogan was changed to *ash-sha’b yuriid isqaat al-hukuuma* (“The People want downfall of the Government”).

11 Khalidi, “Reflections on the Revolutions”.

he was killed, Khalid a-Islambuli, the killer said during the court trial: "I killed the Pharaoh and I am not afraid of death!"

"وصادمون حتى يرحل الطاغية"

*Wa saadimuuna hatta yarhal at-taghiyya* ("Preserving until the downfall of the tyrant") (Egypt)

"بن علي يا جبان ... الشعب التونسي لا يهان"

*Bni <ali yaa jabban ... ash-sha'b at-tuuniisiyi laa yahaan* ("Bin Ali, O, coward, Tunisian people are not insulted") (Tunisia)

"مبارك ارحل غور احسن بكره تموت مقتول"

*mubaarak irhal ghuur ahsan bukra tamuut maqtuul* ("Oh, Mubarak get lost, or else you'll soon be killed") (Egypt)

Targets of the slogans often were not just presidents but their family members, top figures and representatives of state repressive apparatus.<sup>12</sup> For example,

"يا جمال قل لأبوك ... شعب مصر بيكرهوك"

*yaa jamaal qul liabuuk ... sha'b misr byaqrhuuk* (O, Jamal, tell your father that Egyptian people hate you") (Egypt)

"جمال مبارك، باطل! سوزن مبارك، باطل! احمد عز باطل! حبيب العدلي، باطل! باطل،

باطل، باطل!"

*Gamaal Mubaarak, baatil! Suzanne Mubaarak, baatil! Ahmed 'Ezz, baatil/ Habib al-Adli, baatil!/ baatil, baatil, baatil!* (Gamal Mubarak, useless!/Susan Mubarak, useless! Ahmad Ezz, useless!/Habib al-Adly, useless!/Useless, useless, useless!

"يا سوزن قولي للبيه كيلو عدس بعشرة جنيه"

*Yaa Suuzan qulii li-al-biyh kilo al-'adas bi-'asharah jiniih* (O, Suzan! tell the Bey, one kg of lentils costs ten Egyptian pounds).

As Al-Suwaidi mentions, "Here, people who are afflicted with poverty cannot even get their essential needs. Lentils, which is the national dish for a high percentage of Egyptians is no longer affordable."<sup>13</sup>

- **Religious:**

"اتقوا الظلم. فان الظلم ظلمات يوم القيامة"

*ittaquu az-zulm. fainna z-zulm zulumaat yawm al-qiyaama* ("Avoid cruelty. The same darkness will return for The Day of Judgment").

- **Justice:**

"من حقنا أن نعيش في سلام"

*min haqqinaa an ta'iisha fii salaam* ("It is our right to live in peace")

"لا بد من يوم تُرد فيه ... أبيض على كل مظلوم ... أسود على كل ظالم..."

*laa budda min yawm turad fihi ... abyad <ala kulli mazluum ... aswad <ala kulli zaalim* ("There is no day you will be returned ... white to all oppressed ... black to all unjust ...")

"شهداء من أجل تونس"

*shuhadaa'u min ajli tunis* ("Martyrs for Tunisia's sake") (Tunisia)

12 Colla, "In Praise of Insult", 43.

13 Al-Suwaidi B., and Banda and Mansour, "Doing Politics in the Recent Arab Uprisings: Towards a Political Discourse Analysis of the Arab Spring Slogans", JAAS, Vol.52 (5), 2017, 629.

• **Joke:**

"خبز وماء، بن علي لا"

*khubz wa maa' bni <ali laa* ("Yes to bread and water, no to Bin Ali") (Tunisia)

"ارحل عاوز اتزوج"

*irhal <awuz atazawwaj* ("Step down, I want to get married")

"والله ما هنمشي. ومالهاش حل ثاني انتا هتمشي وأنا باقي بمكاني"

*wallahi maa hanimshii. wimalhaash hali thaanyi inta hatimshyi w'anaa baaqyi bimakaanyi*

("By God, we will not leave. No other solution, you will leave or I will stay here")

"لا، لا، لا يا جيش خليك بره وأوعى تطيش حسني مبارك مش حيعيش"

*la, la, la yaa giish khaliik barra wuw'a ttiish husni mubaraak mish hay'ish*  
(No, no, no, oh army, stay out and don't be reckless, Hosni Mubarak will not live") (Egypt)

"لست من الاخوان لكن مبارك هو المحظور"

*lastu min al-ikhwaan lakin mubaraak huwa al-mahzuur* ("I am not from the brotherhood, but Mubarak is the one outlawed") (Egypt)

• **Proverbs/Quotes:**

"الجوع كافر"

*al-jaw' kaafir* ("A hungry man is an angry man") (Egypt)

• **Dialect:**

Some slogans and Tweets are posted in dialects. Slogans written in dialects are more emotional, might be because to be close to local population of all levels and social camps.

"مش عايزينه، حسني مبارك مش عايزينه" و"لازم يمشي، لازم يمشي"

*mush <ayiziinhu, husnii mubaraak mush <aiziinhu wa laazim yimshi, laazim yimshi* ("We don't want him, Hosni Mubarak, we do not want him. He must leave, he must leave") (Egypt)

"ارحل يعني امشي... يلي مبتفهمشي"

*irhal ya'nii imshii ... yalii mabtafhamshii* ("Leave means step down ... You do not understand") (Egypt) <sup>14</sup>

"يعني بن علي فهم واننا يا مبارك لسا ما فهمتش؟"

*ya'nii bni 'alii fahim vanta'aa yaa mubaarak lisaa maa fahimtish?* ("Bin Ali understood and you, O, Mubarak, why don't you understand?") (Egypt) #Egypt#Jan25

"حنحرر بلدنا... حنرجع مصر للمصريين"

*hanuharrir baladanaa ... hanarja' misr lilmisriyyina* (Let's free our country... let's return Egypt to Egyptians") #Jan25#2011#Egypt

"جيل ٢٠١١ يقول لجيل ١٩٥٤ احنا مش زيكم، احنا بنفكر في الستين السنة اللي حابة"

*jil 2011 yaquulu lijil 1945 ihnaa mush zayyikum, ihnaa binufakkir fii s-sittiin as-sana ilyya haaba* (Generation of 2011 says to generation of 1945 we are not like you, we think sixty years before") #Egypt#Jan25

"اقوى الهتافات النهاردة: الشعب يريد باسقاط الرئيس، حسني يا خاربها اطلع بره..."

14 Al-Suwaidi and Banda and Mansour, "Doing Politics in the Recent Arab Uprisings", 638.

*aqwa l-hutaafaat n-nahaarda: ash-sha‘b yuriid biisqaat ar-ra‘iis, husnii yaa khaaribuhaa itla‘ barra wasiibuhaa* (“The strongest slogan today: people want the downfall of the president, Hosni step down ...”) #jan25

Sometimes diglossia was used during writing the slogans or posts or tweets. Slogans and tweets in Egypt and Tunisia were written in two languages: English-Arabic or French-Arabic. For example:

"المصريون ليسوا ارهابيون"

*al-misriyyuna laisuu irhabiyyuna* (“Egyptians are not terrorists”)

"ارحل... بن علي"

«dégage ... Bin Ali»

*irhal bnu ‘alii* (“Leave, Bin Ali”)

“Dégage, degage, degage, ya khumaj” (“Get out, get out, get out you rotten scoundrel”)

“Dégage!”

“Irhal!” (“Leave!” “Get out!”) used in Tunisia to ouster Ben Ali in 2011. As Michel Harb said: “It is significant, that the initial expression of the sentiment was articulated in French, to be translated only once it was evident that the Tunisian uprising had captured the attention of the wider Arab region; the French chant needed to be reiterated in MSA for reasons of mutual comprehensibility, Tunisian Arab identity, and to successfully export the revolution”.<sup>15</sup>

The “Arab Spring” slogans were analyzed according to sociolinguistic attitudes too. For example, Fawwaz Al-Abed Al-Haq and Abdullah Abdelhameed Hussein used data from 400 slogans from Egypt and Tunisia and based on six sociopolitical features of slogans:<sup>16</sup>

### 1. Calling for change:

“التغيير التغيير ارحل ارحل يا حفير”

*at-taghiir at-taghiir irhal irhal iaa haqiir* (“Change, change, leave, leave O, scum”) (Egypt).

### 2. Calling for rejection of foreign interference:

“اوباما: توقف عن دعم الارهاب، توقف عن دعم مبارك”

*uubaamaa: tawaqqaf ‘an ‘adami l-irhaab, tawaqqaf ‘an ‘adami mubaarak* (“Obama: stop supporting terror, stop supporting Mubarak”) (Egypt).

### 3. Calling for rejection of justice, tyranny and oppression:

"لا للفساد ونهب ثروات البلاد"

*laa lilfasaad wanahib sarawaat al-bilaad* (“No for corruption and rifling of the country”) (Tunisia & Egypt)

### 4. Calling for positive participation in political life:

“يا مواطن يا ضحية... اخرج شارك في القضية”

*yaa muwaatin yaa dahyyia ... ukhruj shaarik fii l-qadiyya* (“O, citizen, O, victim, come and participate in the case”) (Tunisia)

### 5. Calling for freedom and independence:

“تونس، تونس، حرة، حرة، بن علي برّه”

*tuunis tuunis hurra, hurra, bni ‘alii ‘ala barra* (“Tunisia, Tunisia, free, free, Bin Ali is out”) (Tunisia)

15 Michel, H., “IRHAL!: The role of language in the Arab Spring”, 2013.

16 Al-Haq, F., and Abdullah Abdelhameed Hussein, “The Slogans of the Tunisian and Egyptian Revolutions”, a sociolinguistic study, Leiden, 2012.

## 6. Challenging the World policy:

“أمريكا: نعم نستطيع”

*amriikaa: na'am nastatii'* (“America: Yes, we can”) (Egypt)<sup>17</sup>

### Tweets

During the “Arab Spring” dual language posts were used on Facebook and Twitter. For example: “I make *du'a*<sup>18</sup> for your country/people, that you can make a change! *Wallahi*<sup>19</sup>, if I were a man, I would come to Egypt to support you” (Post on Facebook page of “We are all Khalid Said”).

Twitter hashtags began from Tunisia as #sidibouزيد, #tunisia later was added #egypt, #jan25. These tweets became the most popular during the revolution in Egypt and Tunisia.

Developments of the “Arab Spring” were accompanied by discussions in Twitter - English, Arabic, and mix. For example, #Egypt Twitter page is in English, Arabic and mix languages. For example, Alyouka, 21 year old Egyptian girl was the first person to tweet out the #Jan25 hash tag which along with #Egypt became the most popular tool for communication between protesters, said that Twitter was the most important tool for protesters.

During the revolution in Egypt demonstrates used twitter to create texts and distribute fast. One of the most important organization and social features of twitter use in Egypt was the “hashtag” #jan25 along with others like #Egypt and #Tahrir. As Facebook was blocked several times in Egypt, Twitter became more popular to spread the information during the uprising.

It is interesting to mention that after 2009 Iranian elections many Twitter users altered their profile images so that they were tinted green (the color of Revolution) and switched their location to Tehran in a sign of solidarity with the movement.<sup>20</sup>

The use of hash tags in Latin characters (even the use of Latin names of the countries: #Egypt, #Libya) does not limit audience to English speakers. During the “Arab Spring” mostly Latin hash tags were used but Twitter supports the use of non-Latin characters in tweets too.

Hashtags were not limited to English speakers, in spite of the use of the English names of these countries. Arab speakers were forced to use Latin characters, although Twitter supports the use of non-Latin characters in tweets themselves. Tweets were written in both languages, but dual language hashtags were not supported by the platform, which could not yet support left-right or right-left hashtags. Tweets in two languages were as “English bridges” for MENA region across Levant area and “Arabic bridges” for other countries. For example, in Syria Arabic was used to discuss “more general issues government, unemployment and poverty”, when English was used for more specific activist issues including individual cases of arrests, harassment (Jansen).

In tweets on Tunisian revolution #sidibouزيد multiple languages were used to gain vast audience (Arabic, English, French).

17 Compare to Obama’s slogan: “Yes We Can”.

18 Du’a - The term is derived from an Arabic word meaning to “call out”, to “summon”.

19 Wallahi - “I swear to Allah” used by Muslims.

20 Lotan, G., Erhardt Graeff, Mike Ananny, Devin Gaffney, Ian Pearce, Danah Boyd, “The Revolutions Were Tweeted: Information Flows During the 2011 Tunisian and Egyptian revolutions, *International Journal of Communication*”, 5 (2011), 1380.

On Twitter most tweets were in English cause of Twitter was used by diverse group of people throughout the World. For example:

"Yesterday we were all Tunisians. Today we are all Egyptians. Tomorrow we'll be free" (#jan25#sidibouzid#egypt).

"If you are in EGYPT - UNLOCK your WIFI - so people can access the Internet" (#Jan25#Egypt#fb, 25/11/2011).

Sometimes tweet users use popular quotes: "A great revolution is never the fault of the people, but of the government" (Goethe) (#Egypt#Jan25).

"The regime is in shock" #Jan25

The "Arab Spring" slogans and tweets have created the political discourse in the Middle East region during the uprisings. The slogans collected in the research show that they do deal with political as well as with social topics. The variety of slogans shows diversity of views of demonstrators participated in uprising during the "Arab Spring" in Egypt and Tunisia. Most slogans were written in Arabic, but some of them were chanted in English or French. The common language used by social media was Modern Standard Arabic which shows that middle class actively participated in the riots. In brief, it could be said that variety of slogans and languages used by social media points to the variety of participants from middle educated social class in the "Arab Spring" demonstrations.

#### References:

1. Al-Haq, F., and Abdullah Abdelhameed Hussein. "The Slogans of the Tunisian and Egyptian Revolutions." *42nd Colloquium on African Languages and Linguistics (CALL)*, Leiden, The Netherlands, 27-29 August 2012, Leiden, The Netherlands: Leiden University Centre for Linguistics.
2. Al-Suwaidi B., Felix Banda, Arwa Mansour. "Doing Politics in the Recent Arab Uprisings: Towards a Political Discourse Analysis of the Arab Spring Slogans." *JAAS*, Vol.52 (5), 2017, 6621-645.
3. Huang, Carol (6 June 2011). "Facebook and Twitter key to Arab Spring uprisings: report." *thenational.ae*. Retrieved 17 May 2015.
4. Colla, Elliott. "The People Want." *Middle East Report*, No.263, THE ART & CULTURE OF THE ARAB REVOLTS, Summer, 2012, 8-13.
5. Colla, Elliott. "In Praise of Insult: Slogan Genres, Slogan Repertoires and Innovation." *Cultural Production in the Arab World*, Part I, Georgetown University, 2013, 37-48, at <http://www.cambridge.org/core/terms>.
6. Jerad, Nabiha. "The Tunisian Revolution: From Universal Slogans for Democracy to the Power of Language." *MEJCC*, Leiden, 2013.
7. Khalidi, Rashid. "Reflections on the Revolutions in Tunisia and Egypt." *Foreign Policy*, February 24, 2011, [http://mideast.foreignpolicy.com/posts/2011/02/24/reflections\\_on\\_the\\_revolutions\\_in\\_tunisia\\_and\\_egypt](http://mideast.foreignpolicy.com/posts/2011/02/24/reflections_on_the_revolutions_in_tunisia_and_egypt).
8. Lotan Gilad, Erhardt Graeff, Mike Ananny, Devin Gaffney, Ian Pearce, Davah Boyd. "The Revolutions Were Tweeted: Information Flows During the 2011

Tunisian and Egyptian revolutions." *International Journal of Communication* 5 (2011), Feature pp. 1375-1405.

9. Michel, Nazir Nader Harb. *"IRHAL!": The role of language in the Arab Spring*. Washington DC, 2013.
10. Vargas, Jose Antonio, "How Egyptian Revolution Began on Facebook", Feb 2012, *Sunday Book Review*, <http://www.nytimes.com/2012/02/19/books/review/how-an-egyptian-revolution-began-on-facebook.html> accessed 20/10/2018.
11. "We are all Khaled Said." at <http://www.elshaheed.co.uk/2012/01/26/the-story-of-we-are-all-khaled-said-english-facebook-page-1-of/> accessed 20/08/2018

